ნ. ჭ ო ბ რ თ უ ა

საქართველო 1806—1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში

(რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან)

სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა"
თბილისი — 1964

შესავალი

რუსეთ-თურქეთის (1806—1812 წწ.) ომმა მიიპყრო მაშინდელი ევროპის დიდი სახელმწიფოების განსაკუთრებული ყურადღება. ომის დაწყება ძირითადად რუსეთსა და თურქეთს შორის არსებულმა პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის წინააღმდეგობებმა განაპირობეს, მაგრამ ომის მომზადებასა და მსვლელობაში საკმაოდ დიდი როლი ითამაშეს აღმოსავლეთის ქვეყნებით დაინტერესებულმა საფრანგეთმა და ინგლისმა. ოსმალეთის სამხედრო, ეკონომიურ და ფინანსურ საშუალებებს ემატებოდა საფრანგეთიდან და ინგლისიდან მიღებული დიდძალი დახმარება, რასაც თან ერთვოდა ამ ქვეყნების სამხედრო სპეციალისტთა მიერ ოსმალეთის არმიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის გატარებული ღონისძიებანი; ეს კი შესამჩნევად ზრდიდა ოსმალეთის სამხედრო პოტენციალს რუსეთის წინააღმდეგ ომში. ხშირად რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულებით დაკავშირებული საფრანგეთი და ინგლისი (ხან ცალ-ცალკე, ხან კი ერთად) ღალატობდნენ რუსეთს. ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატიის აქტიური საქმიანობის შედეგად 1810 წ. შეიქმნა ირან-ოსმალეთის სამხედრო კოალიცია, რომელიც მიმართული იყო საქართველოში ირანისა და ოსმალეთის ბატონობის აღდგენისაკენ.

რადგან ომში ირანი ოსმალეთის მოკავშირე იყო, შეუძლებელია მკვლევარმა გვერდი აუაროს რუსეთ-ირანის (1804—1813 წწ.) ომის მნიშვნელოვან ეპიზოდებს და რუსეთ-ოსმალეთის ომი განიხილოს რუსეთ-ირანის ომისაგან იზოლირებულად. დიდძალი საარქივო და გამოქვეყნებული მასალებით დასტურდება, რა კოლოსალური რაოდენობის სამხედრო და ფინანსურ დახმარებას უწევდნენ ინგლისი და საფრანგეთი ოსმალეთის მოკავშირე ირანს ამიერკავკასიაში თავისი ბატონობის აღდგენისათვის ბრძოლაში; ირკვევა, რაოდენ ძლიერი იყო ქართველი და ამიერკავკასიის სხვა ხალხების სიძულვილი ირანელი და ოსმალო დამპყრობლებისადმი; როგორ

ირაზმებოდა ქართველი ხალხი ომის წლებში სხვა მოძმე ხალხებთან ერთად ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების გარშემო ირანელი და ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ, რომელთა ასიმილატორული პოლიტიკა საქართველოს, ისე როგორც სხვა მეზობელ ხალხებს, დენაციონალიზაციისა და ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე აყენებდა; ირკვევა ის უაღრესად პროგრესული როლი, რომელიც რუსეთმა ობიექტურად ითამაშა ირანელ და ოსმალო დამპყრობთა ბატონობისაგან ამიერკავკასიის ხალხთა განთავისუფლების საქმეში.

ირანელი და ოსმალო დამპყრობლები, რომლებსაც ზურგს უმაგრებდნენ ინგლისელი და ფრანგი კოლონიზატორები, ცდილობდნენ თავიანთი ბატონობის აღდგენისათვის ბრძოლის გზაზე ესარგებლნათ იმ მძიმე პოლიტიკური მდგომარეობით, რომელიც იქმნებოდა საქართველოში ცარიზმის ანტიხალხური ხელისუფლების დამყარების შედეგად. ისინი განსაკუთრებით შეეცადნენ, გამოეყენებიათ იმერეთის მეფე სოლომონ II, რომელიც თავისი სამეფოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა; მათ სცადეს 1810 წ. იმერეთისა და 1812 წლის კახეთის აჯანყებების გამოყენებაც. საქართველოდან გადახვეწილი სოლომონ II და ალექსანდრე ბატონიშვილი ტახტისათვის ბრძოლაში ემყარებოდნენ ირან-ოსმალეთის სამხედრო ძლიერებას, ხოლო შაჰი და სულთანი მოხერხებულად იყენებდნენ მათ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, თავიანთი ბატონობის აღდგენისათვის საქართველოში.

საქართველოში წარმოშობილი სოციალური ხასიათის თუ ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობანი იხლართებოდა საგარეო ხასიათის მოვლენებთან; ხშირად საქართველოს ისტორიული მტრები ეტმასნებოდნენ ამ მოძრაობას, რაც მეტწილად თავის ადრინდელ ხასიათს უკარგავდა და სხვა მიმართულებას აძლევდა მას. დასტურდება, რომ იმერეთის მეფე სოლომონ II თავიდანვე რუსული ორიენტაციის იყო და „გეორგიევსკის ტრაქტატის“ მუხლების გარანტირებულ დაცვას მოითხოვდა. არაა სწორი ჟმის მტკიცება, რომ სოლომონ II ოსმალეთის ორიენტაციას უჭერდა მხარს; მით უფრო, სოლომონი ოსმალეთის აგენტი არასოდეს არ ყოფილა. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი იმერეთის მეფე ცდილობდა რუსეთის ცარიზმის დაპყრობითი პოლიტიკისათვის ამიერკავკასიაში მთელი ძალით ირანი და ოსმალეთი დაეპირისპირებინა; იგი ცდილობდა საქართველოსათვის გამართულ რუსეთისა და ირან-ოსმალე-

თის ჰიდილს იმდენად მძაფრი ხასიათი მიეღო, რომ თითოეული მათგანისათვის ეს ბრძოლა მომქანცველი და დამასუსტებელი გამხდარიყო, საქართველოს დამპყრობ ძალებთან ლავირებაში გამოენახა გზა საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. იმერეთის მეფის ლოიალობა ოსმალეთთან და ირანთან სხვა არაფერი იყო, თუ არა ორივე მათგანის იმერეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სამსახურში ჩაყენების ცდა. მაგრამ ეს ცდა საქართველოს საერთო სისუსტის გამო ყოველად სახიფათო და წარუმატებელი აღმოჩნდა.

სოლომონ II-ისა და სხვა დიდებულების სუბიექტური მისწრაფებანი და მათი საქმიანობის ობიექტური შედეგები, ომის მთელ მანძილზე ერთმანეთის მიმართ დიამეტრალურად საწინააღმდეგო აღმოჩნდა. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა საქმიანობის ობიექტური შედეგები ხალხის ინტერესების საწინააღმდეგო იყო. ირან-ოსმალეთის მმართველი წრეები ცდილობდნენ საქართველოში სამეფოების აღდგენისათვის მებრძოლი დიდებულებისათვის მხარი დაეჭირათ და საბოლოოდ თავიანთი დაპყრობითი მიზნები საქართველოში და ამიერკავკასიაში სისრულეში მოეყვანათ. იმ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება ყოველად შეუძლებელი აღმოჩნდა.

რუსეთ-თურქეთის ომის ობიექტურმა შედეგებმა უაღრესად დიდი როლი ითამაშა ოსმალთა ბატონობის ქვეშ მყოფი ხალხების განთავისუფლებელ ბრძოლებში. მან დააჩქარა ოსმალთა ბატონობისაგან საქართველოს დიდი ნაწილის გახთავისუფლება. ბუქარესტისა და გულისტანის სახავო ხელშეკრულებათა გაფორმებამ, რომელსაც მთელი მოწადინებით ხელს უშლიდა ინგლის-საფრანგეთის დიპლომატია, გაათავისუფლა საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ირან-ოსმალეთის ბატონობის მძიმე უღლისაგან და ქართველი ხალხის ბედი საბოლოოდ დააკავშირა რუსეთთან. რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ომები თავიანთი შედეგებით შემობრუნების მომენტი გახდა ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში, რომლითაც ძირითადად აღდგენილ იქნა საქართველოს ტერიტორიული ერთიანობა.

მართალია, რუსეთთან შეერთებით საქართველოს თავს დაატყდა თვითმპყრობელობის მხრიდან ეროვნულ-კოლონიალური ჩაგვრა, მაგრამ იგი ირანისა და ოსმალეთის მხრიდან ფიზიკური განადგურების საფრთხეს გადაურჩა. ქართველი ხალხის დაბლება.

სხვებთან ერთად, დიდ რუს ხალხთან, იწვევდა მათი ძალების გაერთიანებას საშინაო და საგარეო მტრების წინააღმდეგ და აახლოვებ-, და სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან საბოლოოდ განთავისუფლების დიად საქმეს.

საქართველოს ადგილისა და როლის გარკვევის საკითხს რუსეთ-თურქეთის 1806—1812 წწ. ომის პერიოდში, მეტ-ნაკლებად ეხებოდნენ რევოლუციამდელი და საბჭოთა ისტორიკოსები, მაგრამ იგი სპეციალური კვლევის საგნად დღემდე არავის გაუხდია.

რევოლუციამდელ ისტორიკოსებს შორის აღსანიშნავია დუბროვინი, პოტტო, მიხაილოვსკი-დანილოვსკი, პეტროვი და სხვ. ზემოაღნიშნული ისტორიკოსები, რომლებიც ცდილობდნენ რუსეთ-თურქეთის ომის აღწერას დიდმპყრობელური. შოვინისტური პოზიციებიდან, ცხადია, ვერ ხსნიან ჭეშმარიტად ვერც ამ ომის გამოწვევ მიზეზებს და ვერც საქართველოს როლსა და ადგილს ამ ომში. ისინი ამ ომის დაპყრობით ხასიათზე სდუმდნენ და რუსეთის ცარიზმს ხატავდნენ ბალკანეთის ნ. კ-ისა და ამიერკავკასიის ხალხების განმათავისუფლებლად; ცარიზმის წინააღმდეგ მოწყობილ სახალხო აჯანყებებს აძლევდნენ უარყოფით შეფასებას, და ხალხებს, რომლებსაც არ სურდათ ცარიზმის „ამაგის დაფასება", ველურებად ნათლავდნენ.

მხოლოდ საბჭოთა ისტორიკოსებს, რომლებიც შეიარაღებულნი არიან მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით, შესაძლებლობა ეძლევათ მეცნიერულად შეისწავლონ ესა თუ ის ისტორიული მოვლენა და მას მისცენ სწორი, ჭეშმარიტად მეცნიერული ანალიზი. რუსი და ქართველი ხალხების .საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიისა და ირან-ოსმალეთთან ურთიერთობის პრობლემაზე ფრიად საყურადღებო ნარკვევებს შორის, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება, აღსანიშნავია აკადემიკოსების — ნ. ბერძენიშვილის, გ. ხაჭაპურიძის, პროფესორების — ი. ცინცაძის, ალ. ფირცხალაიშვილის, ე. ბურჭულაძის, შ. მესხიას, ვ. დონდუას, ა. იოსელიანის, ი. ანთელავას, მ. დუმბაძის, დ. გვრიტიშვილის, ა. კიკვიძის, შ. ჩხეტიას, ვ. გაბაშვილისა და სხვათა მეცნიერული შრომები. ასევე დიდი წვლილი შეიტანეს ზემოაღნიშნული პრობლემის დამუშავების საქმეში გამოჩენილმა რუსმა ისტორიკოსებმა ა. შილერმა, ა. ფადეევმა, ო. შარკოვამ, ს. ბუშუევმა, ნ. სმირნოვმა და სხვ.

ზემოაღნიშნული თემის დასამუშავებლად ჩვენ შეძლებისდაგვარად შევისწავლეთ მოსკოვში არსებული სსრ კავშირის სამხედრო ისტორიული არქივის (ЦГВИА), რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის (АВПР), ლენინგრადის სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის არქივის (ЦГИАВМФ СССР). ლენინგრადის ისტორიული არქივის (ЦГИАЛ), დაღესტნის ასსრ არქივის, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის (ЦГИАГ) სათანადო ფონდები, მრავალი გამოქვეყნებული საარქივო საბუთები (მათ შორის პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოცემული „აქტები"). მემუარული თუ სხვა სახის მასალა.

საარქივო თუ გამოქვეყნებული მასალების ყურადღებით შესწავლამ ჩვენ საშუალება მოგვცა საბუთები ერთმანეთისათვის შეგვედარებინა, კრიტიკული შესწავლის საფუძველზე დაგვედგინა ესა თუ ის ისტორიული ფაქტი და მისთვის სათანადო მეცნიერული ანალიზი მიგვეცა.

ჩვენ იძულებული ვხდებით წიგნის მოცულობის შეზღუდულობის გამო განგებ შევიკავოთ თავი გამოუქვეყნებელი თუ გამოქვეყნებული დიდძალი საარქივო მასალისა და სხვა წყაროების კრიტიკული განხილვისაგან.

დასასრულ, ფრიად სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია მადლობით მოვიხსენიოთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები — პროფ. ო. პ. მარკოვა და პროფ. ი. გ. ანთელავა, რომლებისგანაც არაერთი სასარგებლო რჩევა მიგვიღია აღნიშნულ შრომაზე მუშაობის პერიოდში.

თავი პირველი

წინაალმდეგობანი ინგლისს, საფრანგეთსა და რუსეთს შორის ოსმალეთში და საფრანგეთის დიპლომატიის როლი რუსეთ-ოსმალეთის ომის მომზადებაში (1801—1806 წწ.)

XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის მსხვილმა ბურჟუაზიამ, ჩაახშო რა რევოლუციური მოძრაობა საფრანგეთში და განამტკიცა თავისი ხელისუფლება სახელმწიფოს შიგნით, დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა მსოფლიოში გაბატონებისათვის. ამ აგრესიული მიზნის განხორციელების გზაზე თავისი პოლიტიკის სერიოზულ იარაღს საფრანგეთის ბურჟუაზიისათვის ნაპოლეონ ბონაპარტე და მის მიერ შექმნილი საფრანგეთის შეიარაღებული ძალები წარმოადგენდა.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია უდავოდ პროგრესული მოვლენა იყო, რომელმაც დაამხო ბურბონების დინასტია საფრანგეთში, ბოლო მოუღო შუასაუკუნეობრივ ფეოდალურ ურთიერთობას და დაამყარა ახალი წყობილება.

ვ. ი. ლენინი, ახასიათებდა რა საფრანგეთს ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში, წერდა: „მთელი ხალხი და მეტადრე მასები, ე. ი. ჩაგრული კლასები, უსაზღვრო რევოლუციური ენთუზიაზმით იყვნენ გამსჭვალულნი. ომი ყველას სამართლიან ომად მოაჩნდა და იგი ნამდვილადაც ასეთი იყო. რევოლუციური საფრანკეთი თავს იცავდა რეაქციულ-მონარქისტული ევროპისაგან"[1]. მაგრამ საფრანგეთში ნაპოლეონის დიქტატურის პერიოდში, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, მდგომარეობა სულ სხვანაირი იყო: „არა 1792—1793 წლებში, არამედ მრავალი წლის შემდეგ, ქვეყნის შიგნით რეაქციის გამარჯვების შემდეგ, ნაპოლეონის კონტრრევოლუციურმა დიქტატურამ საფრანგეთის თავდაცვითი ომები დაპყრობით ომებად გადააქცია"[2].

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 442.

[2] იქვე.

საფრანგეთის არმია უკვე აღარ იყო რევოლუციონერ-პატრიოტთა არმია, რადგანაც ის დაპყრობით მიზნებს ისახავდა. ნაპოლეონი ცდილობდა არმიის რიცხობრივი შემადგენლობის გაზრდით გაეძლიერებინა მისი ბრძოლისუნარიანობა. ევროპაში რუსეთის ჯარებთან შეჯახების შემდეგ ნაპოლეონი დარწმუნდა იმაში, რომ რუსეთის არმია გაუტეხელ ძალას წარმოადგენდა და შეეცადა დაეწყო დიპლომატიური მაქინაციების მთელი სერია რუსეთის წინააღმდეგ.

ნაპოლეონი აგრესიული მიზნების განხორციელების გზაზე სერიოზულ წინააღმდეგობას მხოლოდ რუსეთისა და ინგლისის მხრიდან აწყდებოდა. თავისი სამხედრო და ეკონომიური პოტენციის მიხედვით სწორედ ამ სახელმწიფოებს შეეძლოთ წინ გადაღობებოდნენ ნაპოლეონის დაპყრობითს მისწრაფებებს ევროპასა და აზიაში. ნაპოლეონს საფრანგეთის მოწინააღმდეგეთა შორის სერიოზულ მეტოქედ რუსეთი მიაჩნდა. იგი კარგად გრძნობდა, რომ თუ ინგლისი და რუსეთი გაერთიანდებოდნენ საფრანგეთის წინააღმდეგ, საფრთხე შეექმნებოდა მას. ამიტომ ნაპოლეონი საგანგებოდ ცდილობდა ყოველთვის გაეთიშა ისინი, მათი მოსალოდნელი გაერთიანებისათვის ხელი შეეშალა და თავიდან აეცდინა მათი საერთო ძალის დაპირისპირება საფრანგეთთან. ნაპოლეონის გაქნილი დიპლომატები, მსოფლიო იმპერიის შექმნისათვის ბრძოლაში, ცდილობდნენ დიპლომატიური შანტაჟის გზით მიემხროთ რუსეთი, მოეხდინათ ინგლისის იზოლაცია, საფრანგეთისა და რუსეთის სამხედრო ბლოკის შექმნის გზით მოესპოთ ინგლისის სამხედრო ძლიერება, ხოლო შემდეგ კი ცალკე გასწორებოდნენ რუსეთს.

ნაპოლეონამდე ჯერ კიდევ ადრე საფრანგეთის მმართველი წრეები აღმოსავლეთისათვის ბრძოლაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ეგვიპტეს. ისინი მას უყურებდნენ როგორც პლაცდარმს, საიდანაც შეიძლებოდა საფრთხე შეექმნათ მათი სავაჭრო და პოლიტიკური კონკურენტებისათვის ინდოეთსა და ინდონეზიაში.

ცნობილი ფილოსოფოსი ლაიბნიცი თავის დროზე ლუდოვიკო XIV-ს ურჩევდა, რომ აღმოსავლეთისათვის ბრძოლაში საფრანგეთს, უპირველესად ყოვლისა, დაეპყრო ეგვიპტე და ამით დაესუსტებინა ჰოლანდიელთა ბატონობა მთელს აღმოსავლეთში[1]. მაგრამ XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში არა ჰოლანდია, არამედ ინგლისი იყო საფრანგეთის დიდი კონკუ-

[1] Е. В. Тарле, 1812 год, сборник, стр. 61, М., 1959.

რენტი აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ბრძოლაში. ჯერ კიდევ 1797 წელს იტალიაში ლაშქრობის დროს ნაპოლეონი თავის ბანაკიდან პარიზში იწერებოდა, რომ «не далеко уже то время, когда мы почувствуем, что для того, чтобы в самом деле разгромить Англию, нам нужно овладеть Египтом».[1] ეგვიპტის დაპყრობით ნაპოლეონის საბოლოო მიზანი, ცხადია, არ ამოიწურებოდა. ნაპოლეონს ამით სურდა გზა გაეკაფა ინდოეთისაკენ. ინგლისის მმართველ წრეებს არ ასვენებდა ნაპოლეონის ზრახვები აღმოსავლეთისათვის ბრძოლაში; ადრე თუ გვიან ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო დაჯახება გარდუვალი იყო. ინგლისელი სპეციალისტები ცდილობდნენ დაეზუსტებიათ, თუ რომელი გზით მოაწყობდა ნაპოლეონი ლაშქრობას ინდოეთში[2].

ეგვიპტე ოსმალეთის სულთნის სამფლობელოდ ითვლებოდა. ნაპოლეონის ლაშქრობამ ეგვიპტეში აღაშფოთა ინგლისისა და ოსმალეთის მმართველი წრეები, მიუხედავად იმისა, რომ ნაპოლეონი ცდილობდა ამ ანექსიისათვის შენიღბული სახე მიეცა, ისეთი სახე, თითქოსდა იგი სულთანს კი არ ებრძვის, არამედ ებრძვის მამელუკების ბეებს, რომლებიც ჩაგრავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

ნაპოლეონის ექსპედიციამ ეგვიპტეში, მალტისა და იონიის კუნძულების დაპყრობამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია რუსეთში. ნაპოლეონის პირველი ნაბიჯები ხმელთაშუა ზღვის აუზში რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. ნაპოლეონის შეჩერას ეგვიპტეში შესაძლებელი იყო ოსმალეთში საფრანგეთის ბატონობის დამყარება მოჰყოლოდა და რუსეთის პრეტენზიები ოსმალეთის მიმართ საბოლოოდ დაესამარებინა. აღმოსავლეთში რუსეთის გავლენის გაძლიერების მიზნით პავლე I-ს დაებადა აზრი — კუნძულ მალტაზე მოეწყო მძლავრი ფორპოსტი. რუსეთი დიდ ამოცანებს ისახავდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის გაფართოებისათვის და, ბუნებრივია, საფრანგეთის წარმატებანი აღმოსავლეთში გაართულებდა მის მდგომარეობას. ეგვიპ-

[1] Е. В. Тарле, 1812 год, сборник, стр. 61, М, 1959.

[2] Бар. Баршу де-Поноэн, Индия под английским владычеством, т. I, стр. 226., მოტანილია წიგნიდან „Сборник географических, топографических и статистичсских материалов по Азии", вып. XXIII, стр. 5, СПБ, 1886.

ტეში ნაპოლეონის ლაშქრობით დამფრთხალი ოსმალეთი ინგლისმა და რუსეთმა საფრანგეთის წინააღმდეგ მოწყობილ კოალიციაში ჩაითრიეს. „Европа увидела необычайное зрелище: союз Турции с Россией против французской республики".[1]

ამ კოალიციას მალე ავსტრიაც შეუერთდა. სწორედ ნაპოლეონის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა გახდა ძირითადი მიზეზი, რომელმაც დროებით შეარიგა ორი, აქამდე ერთმანეთის დაუძინებელი მტერი — რუსეთი და ოსმალეთი. ნაპოლეონის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლამ ერთმანეთთან დააახლოვა აგრეთვე ინგლისი და რუსეთი.

ნაპოლეონის პოლიტიკით განაწყენებულმა სულთანმა 1798 წლის სექტემბერში ომი გამოუცხადა საფრანგეთს, ხოლო 1798 წლის 23 დეკემბერს (ახალი სტილით 1799 წლის 3 იანვარს) ოსმალეთმა სამოკავშირეო ხელშეკრულება დაუდო საფრანგეთის მტრებს — ინგლისსა და რუსეთს.

რუსეთ-ოსმალეთის სამოკავშირეო ხელშეკრულება 14 მუხლისაგან შედგებოდა. ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე საზეიმოდ აცხადებდა: «Друзья одной стороны да будут друзьями другой, неприятели же одного из них да почтутся такими же и другому».[2] ოსმალეთი ადასტურებდა იასისა და რუსეთთან დადებული სხვა საზავო ხელშეკრულებების მიმართ თავის ერთგულებას და ყოველგვარ ტერიტორიალურ პრეტენზიებზე უარს აცხადებდა. სამაგიეროდ რუსეთი ოსმალეთის ტერიტორიად ცნობდა საფრანგეთის მიერ დროებით ოკუპირებულ ეგვიპტეს და ვალდებულებას კისრულობდა, — დახმარებოდა ოსმალეთს მის განთავისუფლებაში.

აღნიშნული ხელშეკრულებით ორივე მხარე უფლებამოსილი იყო საჭირო შემთხვევაში. სურვილისამებრ ცალკე დაედო ხელშეკრულება რომელიმე მესამე სახელმწიფოსთან, მაგრამ მას არ უნდა შეელახა მხარეთა სუვერენული უფლებანი და უშიშროება[3].

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობდა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთმანეთს დახმარებოდნენ სახმელეთო და საზღვაო ძალებითა და ფინანსური და საომარი საშუალებებით. რუსეთი და ოსმალეთი საზეიმოდ აცხა-

[1] История дипломатии, т. I, стр. 359.
[2] ЦГИА Грузии, ф. 2, оп. 1, д. 12, л. 23—26.
[3] იქვე.

დებდნენ, რომ მათი ძირითადი ამოცანა თითქოსდა მდგომარეობდა «в сохранении целости обоюдных владений и политического равновесия между державами, а также в противодействии французскому правительству, которое, упорствуя в своих умыслах на ниспровержение закона божия, престолов государских и всякого порядка, и преуспев завоеваниям и заразой развратных правил, поработить области, устремилась в земли Порте принадлежащия».[1]

მოკავშირეები — რუსეთი და ოსმალეთი, საკუთარი ინტერესებისა და ტერიტორიალური პრეტენზიების შესახებ კრინტსაც კი არ ძრავდნენ. ისინი საბოლოოდ შეთანხმდნენ, — არ დაედოთ სეპარატული წესით დროებითი ზავი ან სხვა სახის საზავო ხელშეკრულება მოწინააღმდეგესთან. ხელშეკრულება დადებულ იქნა 9 წლის ვადით, მაგრამ აღნიშნული დროის გასვლის შემდეგ ორივე მხარე უფლებამოსილი იყო სურვილისამებრ გაეგრძელებინა მისი რწმუნების ვადა.

ხელშეკრულებით პავლე I ომის განმავლობაში უნდა დახმარებოდა ოსმალეთის საზღვაო ფლოტს 12 სამხედრო გემით, თუ საჭირო იქნებოდა, მას ამასთანავე უნდა გაეგზავნა სულთნისათვის 75—80 ათასამდე რუსი ჯარისკაცი; თავის მხრივ კი ოსმალეთი ვალდებული იყო საერთო მტრის (ნაპოლეონის) წინააღმდეგ მებრძოლ რუსეთის სამხედრო ფლოტისათვის გაეხსნა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელად. ხელშეკრულების დამდები არც ერთი მხარე არ იყო ბოლომდე ერთგული საკავშირეო ხელშეკრულებისა; თითოეული მათგანი ცდილობდა ეს კავშირი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესებით დაპირისპირებული სახელმწიფოების — რუსეთისა და ოსმალეთის ეს ხელშეკრულება არ ნიშნავდა მათს საბოლოო შერიგებას. პირიქით, რომ არაფერი ვთქვათ ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და ამიერკავკასიაში რუსეთის დაპყრობითი მიზნების შესახებ, რუსეთი მზად იყო, თუ მომენტი ამის საშუალებას მისცემდა, კონსტანტინოპოლიც კი დაეპყრო, რითაც ცდილობდა საბოლოოდ მტკიცედ გადაეკრა შავი ზღვისა და მისი სრუტეების რთული პრობლემა; ბუნებრივია, აღნიშნული ხელშეკრულება ძალაში დიდხანს არ შეიძლებოდა დარჩენილიყო.

---

[1] ЦГИА Грузии, ф. 2, оп. 1, д. 12, л. 23—26.

ნაპოლეონის ექსპედიცია ეგვიპტეში მარცხით დამთავრდა. მართალია, ფრანგებმა ადვილად დაამარცხეს უდისციპლინო და სამხედრო თვალსაზრისით გაუწვრთნელი მამელუკები, მაგრამ ნაპოლეონმა დაკარგა თავისი ფლოტი, რომელიც 1798 წლის 1 აგვისტოს ინგლისელმა ადმირალმა ნელსონმა აბუქირთან გაანადგურა. 1799 წელს რუსეთის ესკადრა ადმირალ უშაკოვის მეთაურობით ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებით ხმელთაშუა ზღვაში შეიჭრა, ხოლო რუსეთის ჯარები სუვოროვის სარდლობით იტალიაში საფრანგეთის ჯარებზე ბრწყინვალედ იმარჯვებდნენ.

ნაპოლეონმა თავისი ჯარები ეგვიპტეში დატოვა და 1799 წლის 23 აგვისტოს საფრანგეთს გაემგზავრა, რათა მოეწყო საფრანგეთის თავდაცვის ორგანიზაცია ახალი კოალიციის წინააღმდეგ.

რუსეთ-ოსმალეთის საზღვაო ფლოტმა თ. თ. უშაკოვის სარდლობით გაათავისუფლა ფრანგებისაგან იონიის კუნძულები.

მაგრამ მოკავშირე სახელმწიფოებს შორის არ იყო ინტერესთა ერთიანობა. ყოველი მათგანი ცდილობდა ნაპოლეონის წინააღმდეგ შექმნილი კოალიცია, რომლის წევრებსაც თვითონ წარმოადგენდნენ, საკუთარი ინტერესებისათვის გამოეყენებინა. შინაგანი უთანხმოება ასუსტებდა კოალიციის ბრძოლისუნარიანობას და საომარი ოპერაციების ეფექტურობას. ავსტრია აშკარად ღალატობდა რუსეთს, რის გამოც მოკავშირეთა ჯარებმა არა ერთი დამარცხება განიცადეს.

1800 წლის სექტემბერში ინგლისელებმა ხელთ იგდეს კუნძული მალტა. ხელშეკრულების თანახმად მალტა უნდა დაბრუნებოდა იმ ორდენს, რომელსაც ის ადრე ეკუთვნოდა და რომლის მაგისტრადაც ითვლებოდა პავლე I, მაგრამ ინგლისის მთავრობა ამაზე არც კი ფიქრობდა. ამ ფაქტმა საბოლოოდ დაადასტურა, რომ ინგლისელები ცდილობდნენ რუსეთთან კავშირი გამოეყენებინათ თავისი ძლიერების დასამკვიდრებლად ხმელთაშუა ზღვის აუზში. რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ამით დაიწყო ინგლისის წინააღმდეგ შემობრუნება და ნაპოლეონთან დაახლოება. ჯერ კიდევ 1800 წლის აგვისტოში რუსეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა დაიწყეს მოლაპარაკება ბერლინში საზავო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ.

1800 წლის 23 ოქტომბერს რუსეთის ყველა საზღვაო ნავსადგურში ინგლისის გემებზე და საქონელზე ემბარგო იქნა გამოცხადებული; 22 ნოემბერს რუსეთის მთავრობამ შეწყვიტა ინგლისის

ვალების გადახდა. დასასრულს უახლოვდებოდა ჩრდილოეთის სახელმწიფოთა მძლავრი კოალიციის ჩამოყალიბების საქმე; 1800 წ. 4—6 (16—18) დეკემბერს ხელმოწერილ იქნა სამოკავშირეო ხელშეკრულება ჩრდილოეთის ოთხ დიდ სახელმწიფოს — რუსეთს, პრუსიას, შვეციასა და დანიას — შორის. ეს ხელშეკრულება ინგლისმა მიიღო, როგორც ომის პირდაპირ გამოცხადება. ინგლისის ნავსადგურებში ემბარგო დაედო რუსეთის, შვეციის და დანიის საქონელს. პრუსიას კი ჯერჯერობით ეს არ ეხებოდა; ინგლისის მთავრობა საშუალებას აძლევდა პრუსიის მთავრობას გონს მოსულიყო და შეეცვალა თავისი საგარეო პოლიტიკის ხაზი.

რუსეთ-საფრანგეთის მოლაპარაკება დასასრულს უახლოვდებოდა. 1801 წ. 4 იანვარს რუსეთის სრულუფლებიანი ელჩი კოლიჩევი პარიზს გაემგზავრა საზავო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მიზნით.

ინგლისელები საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ დახმარებას უწევდნენ ოსმალეთს. ბუნებრივია, ინგლისის ბურჟუაზია უანგაროდ არავის დაეხმარებოდა; მას სურდა საფრანგეთი განედევნა ხმელთაშუა ზღვის აუზიდან, თვითონ დამკვიდრებულიყო ეგვიპტეში და ეს უკანასკნელი გამოეყენებინა როგორც ბარიერი საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო ოსმალეთი გაეხადა თავისი პოლიტიკის იარაღად რუსეთის წინააღმდეგ. ეგვიპტის ოპერაციის პერიოდში ოსმალეთისათვის ინგლისის მთავრობის მიერ გაწეულ „დახმარებას“, რომელიც ისედაც დიდი იყო, ინგლისელები კიდევ უფრო გაზვიადებულად ხატავდნენ. რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენელი პოლკოვნიკი ტამარა ამის შესახებ 1801 წ. 16(28) იანვარს პავლე I-ს აუწყებდა: «Дабы ободрить правительство Турецкое и побудить оное к большей деятельности, аглинской посол увеличивает силы, прибывшия с адмиралом Кейтом. На последней конференции объявил, что привел он на услуги Порты военных кораблей и судов числом 64 и от 19 до 20 т. высадного войска; и тем более встревожил турков, приемлющих охотно внушения на собственные виды агличан в Египте»[1].

საზღვაო ფლოტი და არმია, რომელიც ეგვიპტეში ოსმალეთის სულთნის „დასახმარებლად“ ინგლისმა გამოაგზავნა, აშინებდა ოსმალეთის მთავრობას, იწვევდა მასში უნდობლობას ინგლისის მი-

[1] АВПР, 1801 г. Ф. Канцелярия, оп. 468, д. 2218, ч. I, л. 44.

მართ; აშკარად ჩანდა, რომ ინგლისს თვითონ სურდა ხელთ ეგდო ეგვიპტე, რომლის განთავისუფლებისათვის ოსმალეთი იბრძოდა. ინგლისის „დახმარება“ ოსმალეთის მიმართ აშკარა ძალმომრეობაზე იყო დამყარებული. ინგლისის მთავრობის შორს გამიზნული პოლიტიკა არა მარტო ოსმალეთისაგან ეგვიპტის ჩამოშორებას, არამედ ოსმალეთის სუვერენიტეტის მოსპობას, ან უკიდურეს შემთხვევაში, მის ნახევრადკოლონიურ მდგომარეობაში ჩაყენებასაც ითვალისწინებდა.

ინგლისი აშკარად ეწეოდა რუსეთის მიმართ მტრულ საქმიანობას: მისმა საზღვაო ფლოტმა დააკავა რუსეთის სავაჭრო გემები[1]. ინგლისელებმა დამატებით დიდძალი საზღვაო ფლოტი შეიყვანეს ხმელთაშუა ზღვის აუზში. რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენელი პოლკოვნიკი ტამარა იუწყებოდა, რომ «**сия держава объявила уже нам войну и вооружениями своими наполняет, так сказать, все пространство вод от Мальты до острова Родоса**».[2]

რუსეთის ფლოტი სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე ეხმარებოდა თავის დროზე ფრანგების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმულ ოსმალეთს; ახლა კი ინგლისელები იმდენად გამძვინვარდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზში, რომ რუსეთის გემებს თავისუფალი ნაოსნობის საშუალებას არ აძლევდნენ[3].

ინგლისი და რუსეთი ერთმანეთის მიმართ საომარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ ისინი ცალ-ცალკე ოსმალეთის მოკავშირეებად რჩებოდნენ, და ის ფლოტი, რომელიც რუსეთმა ოსმალეთს დასახმარებლად გადასცა, ინგლისს არ უნდა დაეკავებინა. ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობამ იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ ინგლისი ამას ანგარიშს უკვე აღარ უწევდა. იგი აშკარად მტრობდა ოსმალეთის დასახმარებლად გაგზავნილ რუსეთის ფლოტს, რომლის დანიშნულებაც საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლა იყო; სამაგიეროდ ინგლისის მთავრობა ოსმალეთის სულთანს დიდ დახმარებას აღუთქვამდა. ინგლისის ელჩი ლორდი ელგინი არწმუნებდა სულთანს „о бескорыстной помощи его двора“.[4]

რუსეთს ძლიერ აწუხებდა თავისი მოკავშირის, ოსმალეთის, ინგლისთან დაახლოება, რასაც, შესაძლებელია, არასასურველი შე-

[1] АВПР, 1801 г. ф. Канцелярия, оп. 468, д. 2218, ч. I, л. 44.
[2] იქვე, ფ. 132.
[3] იქვე.
[4] იქვე.

დეგები მოჰყოლოდა რუსეთისა და თვითონ ოსმალეთისათვის. რუსეთი ყოველგვარ ზომებს იღებდა, რათა ინგლისს თავის ექსპანსიის რკალში არ მოექცია ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები. ინგლისისაგან დამოკიდებულ მდგომარეობაში ოსმალეთის ჩავარდნა არსებითად დასცემდა რუსეთის პრესტიჟსა და შეზღუდავდა მის გავლენას ოსმალეთზე, რაც საერთოდ დიდად შელახავდა რუსეთის ინტერესებს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ოსმალეთის სულთანს რუსეთი ურჩევდა ჩაეკეტა აღნიშნული სრუტეები ინგლისისათვის. უარი ეთქვა იმ საეკვო დახმარებაზე, რასაც იგი ინგლისელებისაგან იღებდა. პოლკოვნიკი ტამარა თავისი მთავრობის სახელით ჩააგონებდა ოსმალეთის სულთანს: «Стараться разделаться с агличанами по Египту чем возможно скорее и выслать эскадру их, дабы не иметь в доме своем чужестранных войск, что столь любящему тишину хозяину, как Порта, не может быть приятно»[1].

ახლო აღმოსავლეთში ინგლის-საფრანგეთისა და რუსეთის ინტერესთა დაპირისპირება საშუალებას არ აძლევდა საფრანგეთს ეგვიპტეში დამკვიდრებულიყო, მაგრამ ინგლისი თავის მხრივ იმისათვის, რომ ოსმალეთი დამოკიდებულ მდგომარეობაში ჰყოლოდა, დიდძალ სამხედრო და ეკონომიურ დახმარებას უწევდა მას.

ეგვიპტის ოპერაციის პერიოდში ინგლისის ოსმალეთისადმი დახმარების ვერაგული ხასიათი, რომელიც შემდეგშიაც გრძელდებოდა, მისი ექსპანსიონისტური პოლიტიკიდან გამომდინარეობდა.

ინგლისელები აღმოსავლეთში დამკვიდრებისათვის ბრძოლაში ეგვიპტეს, როგორც სამხედრო პლაცდარმს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ცდილობდნენ გაეხადათ იგი ისეთივე კოლონიად, როგორიც ინდოეთი იყო. იქ ინგლისს სურდა მოეწყო სავაჭრო ფაქტორიები და შემოსავლის დაუშრეტელ წყაროდ ექცია ის.

ოსმალეთი თავის მხრივ რუსეთისაგან ფინანსურ დახმარებასა და სამხედრო მხარდაჭერას იღებდა, რათა მას მალე აღეკვეთა საფრანგეთის ბატონობა ეგვიპტეში და აღრინდელი თავისი მდგომარეობა აღედგინა. რუსეთის დიპლომატია ოსმალეთისაგან მოითხოვდა უახლოეს დროში გაედევნა ახლო აღმოსავლეთის ზღვებიდან და სიმაგრეებიდან ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო ძალები. რუსეთის მთავრობა დამაფიქრებელ გაფრთხილებას აძლევდა ოს-

[1] АВПР, 1801 г. Ф. Канцелярия, оп. 468, д. 2218, ч. 1, л. 44.

მალეთის სულთანს: «Соперничество англичан и французов в завладении Египтом рождает справедливое опасение, что может оной остаться в руках которой либо из сих держав».[1]

პარიზს ნაპოლეონის გამგზავრების შემდეგ საფრანგეთის ჯარების სარდლებმა, ჯერ გენერალმა კლებერმა, შემდეგ კი გენერალმა მენუმ, ვერ შეძლეს საფრანგეთის ჯარების მდგომარეობის გაუმჯობესება ეგვიპტეში. კოლონიზატორთა ძარცვა-გლეჯის პოლიტიკა ეგვიპტის მოსახლეობაში დიდ აღშფოთებას და ახალ-ახალ აჯანყებებს იწვევდა. 1801 წელს ინგლის-ოსმალეთის ჯარების წინაშე გენერალმა მენუმ კაპიტულაცია მოახდინა. იმავე წელს საფრანგეთ-ოსმალეთს შორის დადებული საზავო ხელშეკრულება და ინგლისსა და საფრანგეთს შორის შეკრული ამიენის ზავი 1802 წ. ეგვიპტეში ნაპოლეონის ავანტიურის საბოლოო ლიკვიდაციას ახდენდა. აღნიშნული ხელშეკრულებებით სულთანი იბრუნებდა ეგვიპტის მიმართ ადრინდელ სიუზერენულ უფლებას, მაგრამ ფაქტიურად თურქეთმა ეგვიპტეში ვერ შეძლო თავისი წინანდელი მდგომარეობის აღდგენა. ეგვიპტეში დამკვიდრდნენ მოკავშირე ინგლისელები; მათ დაჟინებით არ უნდოდათ ეგვიპტიდან გასვლა, მაგრამ საფრანგეთისა და სხვა დაინტერესებული სახელმწიფოების ზემოქმედების შედეგად ინგლისი იძულებული გახდა ეგვიპტიდან თავისი ჯარების ევაკუაცია მოეხდინა. ინგლისელებმა ეგვიპტეში ძალაუფლება გადასცეს მამელუკთა ბეებს იმ ვარაუდით, რომ მათი საშუალებით ემართათ ქვეყანა.

ნაპოლეონის ლაშქრობა ეგვიპტეში ძირითად მიზნად ინდოეთში მიმავალი საზღვაო გზების დაპყრობას ისახავდა. როგორც კი ამ საქმეში მარცხი განიცადა, ნაპოლეონი შეუდგა ინდოეთში ხმელეთით ლაშქრობის გეგმის შემუშავებას; იგი იმედოვნებდა, რომ ლაშქრობისათვის ირანის ტერიტორიას გამოიყენებდა. ჯერ კიდევ ადრე, 1797 წელს, თეირანს ჩავიდა საფრანგეთის ორი წარმომადგენელი იმ ხელშეკრულების ასლით, რომელიც საფრანგეთს სეფიანთა ირანთან უნდა დაედო, მაგრამ აღა მაჰმად-ხანის შემდგომმა ირანის პირველმა ვეზირმა ჰაჯი იბრაჰიმმა საფრანგეთის წარმომადგენლები უკან გააბრუნა.

1800 წლის დასასრულს ნაპოლეონი შეუთანხმდა რუსეთის იმპერატორ პავლე I-ს ირანის გზით ინდოეთში რუსეთისა და საფრან-

[1] АВПР, 1801 г. ф. Канцелярия, оп. 468, д. 2218, ч. 1. л. 44.

გეთის არმიების გაერთიანებული ლაშქრობის მოწყობის შესახებ. ინდოეთში ლაშქრობის ოპერაცია საგანგებოდ იყო მოფიქრებული. აზრი ინდოეთში ლაშქრობის შესახებ ნაპოლეონს ეკუთვნოდა[1]. ინდოეთში ლაშქრობის გეგმა ითვალისწინებდა: მოკავშირე სახელმწიფოებს, საფრანგეთსა და რუსეთს, თითოეულს ინდოეთში სალაშქროდ გამოეყვანა 35 ათასიანი არმია. საფრანგეთის არმიას უნდა გადაელახა რუსეთის იმპერიის სამხრეთის ვრცელი ტერიტორია — დუნაიდან შავი და აზოვის ზღვებით ტაგანროგამდე, ტაგანროგიდან დონითა და ცარიცინით ასტრახანამდე; ეს უკანასკნელი უნდა ყოფილიყო შეკრების ადგილი, საიდანაც მოკავშირეთა არმიები კასპიის ზღვით გემებით უნდა გამგზავრებულიყვნენ ასტრაბადს, შემდეგ კი ქალაქებით — ჰერატი-ფერანი-ყანდაგარით ინდოეთში[2]. მოკავშირეთა ლაშქრობის ძირითადი ამოცანა ინდოეთიდან ინგლისის გაძევება იყო. რუსეთისა და საფრანგეთის მმართველი წრეები ცდილობდნენ ინდოეთში ლაშქრობა გაემართლებიათ იმით, რომ ისინი თითქოსდა ინგლისელების ბარბაროსული ჩაგვრისაგან ანთავისუფლებდნენ ინდოეთს. იმ სახანოებისა და ქვეყნებისათვის, რომლებსაც მოკავშირეთა არმია გაიელდა, უნდა ეცნობებიათ, რომ თითქოსდა *«единственная цель этой экспедиции состоит в изгнании из Индостана англичан, поработивших эти прекрасния страны»*[3] (ხაზი ჩვენია, ნ. ჭ.). სინამდვილეში საფრანგეთისა და რუსეთის მთავრობათა ნამდვილი მიზანი ინდოეთში მათი ბატონობის დამყარება იყო. ინდოეთში ერთიანი ლაშქრობისათვის მზადებასთან ერთად პეტერბურგში შეუდგნენ აგრეთვე ისეთ ღონისძიებათა შემუშავებას, რომელიც უზრუნველჰყოფდა ეკონომიურად რუსეთის გაბატონებულ მდგომარეობას ინდოეთში. ამასთან დაკავშირებით დაიბადა ორენბურგიდან ინდოეთში ლაშქრობის გეგმა. თუ მოკავშირეთა არმიების ირანით ლაშქრობის მარშრუტი წმინდა სამხედრო თვალსაზრისიდან გამომდინარეობდა, ორენბურგიდან ლაშქრობის პროექტი სავაჭრო-კომერციულ ხასიათსაც ატარებდა. 1801 წ. დასაწყისში 22,5 ათასიანი დონის კაზაკთა კორპუსი უკვე ლაშქრობას შეუდგა, მაგრამ 1801 წ. 11 მარტს პაველ I-ის მკვლე-

---

[1] Сборник географических, топографических и статистических материалов по Азии, вып. XXIII, стр, 39, СПБ., 1886 г.

[2] იქვე გვ. 41—42

[3] იქვე, გვ. 45.

ლობამ, რომელიც ინგლისელების მონაწილეობის გარეშეც არ მომხდარა, შეაჩერა ინდოეთში ლაშქრობა და წინასწარ შემუშავებული გეგმა ჩაფუშა.

საფრანგეთისა და რუსეთის სამხედრო კავშირს დაუპირისპირდა ინგლისი, ისე როგორც თავის დროზე ინგლისისა და რუსეთის ასეთ კავშირს საფრანგეთი უპირისპირდებოდა; მოკავშირეთა დაპყრობითი გეგმების დაპირისპირებული ხასიათი აჩქარებდა სამხედრო კავშირის დაშლას. თუ ინგლისისა და რუსეთის სამხედრო კავშირის ჩაფუშვას თავის დროზე დიდი ძალა და ენერგია მოანდომა საფრანგეთის დიპლომატიამ, ახლა რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო კავშირის მოსპობისათვის თავგამოდებით იბრძოდა ინგლისის დიპლომატია.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთ-საფრანგეთ-ინგლისის წინააღმდეგობანი ახლო აღმოსაელეთში — ოსმალეთში, ირანსა და ამიერკავკასიაში უფრო გამწვავდა. აქ ერთმანეთს ეჯახებოდა ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები. ინგლისი ცდილობდა თავისი საქონლის გასაღების ბაზრად და თავისი მრეწველობისათვის ნედლეულის მოპოვების წყაროდ, მსგავსად ინდოეთისა, ირანი, ოსმალეთი და ამიერკავკასია ვაეხადა. ზემოაღნიშნულ ქვეყნებში თავისი ეკონომიური გავლენის ზრდას ინგლისი უყურებდა, როგორც მოსამზადებელ ღონისძიებას კოლონიალურ სისტემაში მათ ჩასაბმელად. იმისათვის რომ რუსეთ-საფრანგეთის ერთიანი ლაშქრობის გეგმა ჩაეშალა და უზრუნველეყო თავისი საქონლისათვის თავისუფალი ბაზარი, ინგლისის სამხედრო ხელისუფლებამ 1800 წელს ინდოეთიდან ირანში გამოგზავნეს კაპიტანი ჯონ მალკოლმი, რათა მას ვადაებირებინა შაჰი და დიდებულები.

ჯონ მალკოლმი ირანში ჩამოვიდა თავისი მრავალრიცხოვანი სამხედრო მისიით. ოქრო იყო იმ მაგიური ძალის მქონე გასაღები, რომელიც მალკოლმის წინაშე საიდუმლოებით მოცულ ყველა კარებს აღებდა.

რუსეთის გენერალური კონსული ირანში სკიბინევსკი 1801 წ. 14 იანვარს ბაქოდან იტყობინებოდა, რომ ბაბა-ხანთან ჩავიდა ინგლისის ელჩი; ასტრახანელი სომეხი ვაჭრებისაგან მიღებული ცნობით **«с берегов Ормусского пролива через Ширяз** (შირაზი, ნ. ქ.) **и Испаган прибыл европейский посланник с весьма многолюдною свитою, из тысячи человек состоящею, великолепно одетою и**

хорошо вооруженною, при музыке и барабанах, также богатые подарки для Баба-хана поднесены сим посланником».[1]

ჩვენს ხელთ არსებული სხვა წყაროებით ადვილია იმის დადგენა, რომ ირანში ინგლისის მისია ნამდვილად ჩავიდა. ალექსანდრე ბატონიშვილის მხლებელმა ზაქარია ჯორაშვილმა, რომელიც სპეციალური დავალებით იყო გაგზავნილი ირანში (და რომელიც დაბრუნების შემდეგ დააკავა რუსეთის სამხედრო ხელისუფლებამ). დაადასტურა, რომ მისი იქ ყოფნის პერიოდში (1801 წ. იანვარ-თებერვალი) ბაბა-ხანთან ინგლისის მისია იმყოფებოდა. ზაქარია ჯორაშვილის ჩანაწერში (1801 წ. მარტი) ვკითხულობთ: „ჩემს იქ ყოფნაში ბაბა-ხანთან ინგლიზის ელჩი იყო, რომელიც ითხოვდა ბანდარბუშერს, მაგრამ პასუხი არა გამოვიდა რა და როდესაც მე წამოველ, მაშინ ისიც წასვლას აპირებდა. ბაბა-ხანისაგან ელჩის ხალათის გაგზავნის დუშალიგად ათასი თუმანი მისცა და მანამ იქ ვიყავი ასე გავიგონე, რომ ასი ათასი თუმანი დახარჯეს და ქალაქიც გააზომინა" (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.)[2]. სხვა წყაროებიც ადასტურებენ, რომ ირანს ჩასული მისია ინგლისისა იყო[3].

ირკვევა, რომ ინგლისელებს გარდა პოლიტიკური საკითხებისა, აგრეთვე დიდად აინტერესებდათ კომერციული საქმე. ინგლისი ცდილობდა თავისი გავლენის ორბიტში მოექცია არა მარტო ირანი, არამედ მთელი ამიერკავკასია, პირველ რიგში კი იგი კასპიის ზღვაზე გაბატონებაზე ოცნებობდა. რუსეთის გენერალური კონსულის სკიბინევსკის ცნობა ნათელ წარმოდგენას იძლევა ინგლისის მისწრაფებათა შესახებ ამიერკავკასიაში. იგი ინგლისის სამხედრო მისიის საქმიანობაში საკმაოდ ჩახედული ყოფილა.

სკიბინევსკი კაპიტან ჯონ მალკოლმის მისიის ირანში ჩასვლის ძირითადი მიზნის შესახებ ბაქოდან იტყობინებოდა: «Представление же сего посланника в том состоит, чтобы Баба-хан позволил им построить в Ленгарутской (ლენქორანი, ნ. ქ.) области, смежной с Гилянскою областию, корабли и посредством оных производить

---

[1] АВПР, ф. Главный архив, 1801—1814. 1—13, д. 5. л. 4—5.

[2] ЦГИА Грузии, ф. 2, оп. 1, д, 6, л., 198 и об. შდრ. АВПР, ф. Главный архив, 1801—1814, I—13, д. 5, л л. 4—5.

[3] Акты, т. I, стр. 683.

торговлю с Бакою, во вторых, чтобы шелк Гилянской предоставлено было одним им покупать, а взамену того и они привезут или доставят такие товары, какие потребно на ту сумму денег, на какую шелк отдадуть им, договорясь о сходной для обоих сторон цене на шелк и на товары»[1].

მოტანილიდან ნათელია: ინგლისს სურდა გილიანსა და ლენჭორანში გემთსაშენი ვერფები ჰქონოდა, ფართოდ გაეშალა ვაჭრობა კასპიის ზღვის აუზის სახანოებთან, მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებია ბაქოსთან, ამიერკავკასიიდან გაეზიდა მისთვის საჭირო აბრეშუმის ნედლეული; სამაგიეროდ კი შემოეტანა ინგლისური მრეწველობის ნაწარმი. ინგლისი ამიერკავკასიაში და კასპიისა და შავი ზღვების აუზში დამკვიდრებისათვის იღწვოდა. ინგლისის ეს მისწრაფება, ცხადია, ეჯახებოდა რუსეთის ინტერესებს და ამწვავებდა მათ შორის ურთიერთობას.

ინგლისის მისია მალკოლმის მეთაურობით საქმაო ხანს აწარმოებდა მოლაპარაკებას ბაბა-ხანთან. კონსული სკიბინევსკი მოლაპარაკების შედეგებზე 1801 წ. 1 მაისს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოახსენებდა: «Баба-хан в феврале, отпустив посланника аглинского, отправил с ним через Багдад и своего посланника Аджи Халилья Казьбинского купца, которому препоручил сие главное дело: *Чтоб вывез триста человек мастеровых людей, не только в мануфактуре искусных, но и в построении морских судов и в приготовлении нужных для вооружения судов припасов., а ежели сие желание Баба-хана исполнено будет: то и он со стороны своей изволит агличанам в Бендерабасах и в протчих портах торговлю производить».* [2] (ხაზი ჩვენია, ნ. ჭ.)

ჯონ მალკოლმის მიერ მოსყიდული და გადაბირებული იქნა ირანის მმართველი წრეები; მან შეძლო აეძულებინა შაჰი, დაედო ინგლისთან პოლიტიკური და სავაჭრო ხელშეკრულება. პოლიტიკური ხელშეკრულება ხუთი მუხლისაგან შედგებოდა. ინგლისისა და ირანის ხელისუფალნი ვალდებულებას კისრულობდნენ გაეწიათ ერთმანეთისათვის მხარდაჭერა და დახმარება. ინდოეთზე ავღანელთა თავდასხმის შემთხვევაში ირანის ჯარები უნდა შეჭრილიყვნენ ავღანისტანში. თუ ირანსა და ავღანისტანს შორის დაზავება მოხდებოდა, მაშინ საზავო ხელშეკრულებაში უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი

[1] АВПР, Ф. главный архив, 1801—1814, I—13, д. 5, л. 5.
[2] АВПР, ф. Главный архив, 1801—1804, I—13, д. 5, л. 8 и об.

ჰუხლი, რომლითაც ინდოეთი გარანტირებული იქნებოდა ავღანელების თავდასხმისაგან. საფრანგეთის ან ავღანისტანის მხრივ ირანის წინააღმდეგ საომარ მოქმედებათა დაწყების შემთხვევაში ინგლისელები უზრუნველყოფდნენ ირანს მომსახურე სამხედრო სპეციალისტებთან ერთად ქვემეხებითა და სხვა საომარი მასალით. თუ ვინიცობაა, საფრანგეთი განიზრახავდა ირანის კუნძულების ან სანაპიროების დაპყრობას, საფრანგეთის წინააღმდეგ ინგლისისა და ირანის შეიარაღებული ძალები ერთად უნდა გამოსულიყვნენ. ამავე დროს ირანის მთავრობა ვალდებულებას კისრულობდა, არ დაეშვა ფრანგების დასახლება კუნძულებსა და სანაპიროებზე და არ მიეცა მათთვის ნება. რომ მოეწყოთ სავაჭრო ფაქტორიები.

სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც ექვსი მუხლისაგან შედგებოდა, თითქმის განუსაზღვრელ უფლებას აძლევდა ინგლისს ირანში.

უდავო იყო, რომ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებით ინგლისმა ამჯერად დაამარცხა ირანში ბატონობისათვის მებრძოლი საფრანგეთი და ირანი თავისი პოლიტიკის იარაღად აქცია. ახასიათებდა რა 1801 წ. ინგლისსა და ირანს შორის დადებულ პოლიტიკურ და სავაჭრო ხელშეკრულებებს, კ. მარქსი წერდა:

«Наполеон вел интриги и на востоке; калькутские «тергаши» трепетали перед такой комбинацией: Франция, Персия, Афганистан. Этим объясняется посольство в Персию во главе с капитаном Малькольмом! [Оно] стоило бешеных денег; он «покупает» все, *«от Шаха до погонщика верблюдов»;* добился следующего договора, заключенного в Тегеране: шах персидский изгоняет из Персии *всех французов;* прекращает всякие нападения *на Индию* и в случае необходимости препятствует таковым силой оружия; в иностранной торговле обеспечивает покровительство исключительно англичанам».[1]

ირანში ინგლისის გამარჯვებას მოჰყვა რუსეთსა და ირანს შორის ურთიერთობის შემდგომი გაუარესება. ინგლისის დიპლომატია დიდძალ ფულსა და სხვა სახის სიმდიდრეს ფანტავდა ირანის შაჰის კარზე და განაწყობდა მას რუსეთის წინააღმდეგ. ინგლისელები ცდილობდნენ უხვად მიეყარათ ირანისათვის სამხედრო ტექნიკა, სპეციალისტები და გადაექციათ იგი საშიშ ძალად რუსეთის წინა-

[1] К. Маркс, Хронологические выписки по истории Индии, госполитиздат, 1947 г., стр. 105.

აღმდეგ მომავალ ომში. ინგლისის ზემოაღნიშნული საქმიანობის გათვალისწინება საშუალებას იძლევა გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: ინგლისის მმართველი წრეები და დიპლომატია ცდილობდა ოსმალეთსა და ირანში თავისი პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო გავლენა დაემკვიდრებია, რათა ეს ქვეყნები გადაექცია აზიაში თავისი პოლიტიკის იარაღად, და, რაც მთავარია, სამხედრო ბარიერად რუსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თავის მხრივ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ნაპოლეონი ორმაგ პოლიტიკას ახორციელებდა. მთელი მისი საქმიანობა ერთდროულად მიმართული იყო, როგორც ინგლისის, ისე რუსეთის წინააღმდეგ.

ცნობილია, რომ ნაპოლეონმა 1801 წ. კონსტანტინოპოლში გაგზავნა სამხედრო მისია პოლკოვნიკ სებასტიანის მეთაურობით იმ ვარაუდით, რომ მას ინგლისის წინააღმდეგ მტრული საქმიანობის გაძლიერებით დაესუსტებინა ინგლისის გავლენა ოსმალეთზე. პირველმა კონსულმა სულთანს გაუგზავნა წერილი, რომლითაც ითხოვდა საფრანგეთსა და ოსმალეთს შორის ადრე გაფორმებულ საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციასა და საფრანგეთის ყოფილი საელჩოს შენობის, რომელიც მაშინ ინგლისელებს ეჭირათ, დაუყოვნებლივ დაცლას და საფრანგეთის დიპლომატიური მისიისათვის გადაცემას[1].

1802 წ. შემოდგომაზე ნაპოლეონმა ჰალიბ რეის ეფენდი პარიზს მიიწვია, სადაც მას საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან — ტალეირანთან. პარიზს საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ ტალეირანმა მთელი თავისი დიპლომატიური ტალანტი და გაიძვერული საქმიანობა რუსეთ-ოსმალეთის კავშირის დარღვევას მოახმარა. რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენელი კონსტანტინოპოლში პოლკოვნიკი ტამარა 1802 წ. 12 ოქტომბერს იმპერატორ ალექსანდრე I-ს, პარიზში რეის ეფენდსა და ტალეირანს შორის საიდუმლო მოლაპარაკების შესახებ, ხატოვნად სწერდა: «Здесь следуют две пьесы, открывающие мрачность негоциации Галиб-Ефендия с Талейраном при уложении трактата, между ими заключенного»[2].

[1] АВПР, Канцелярия, 1801, оп. 468, д. 2218, ч. 2, л. 525.
[2] АВПР, ф. Канцелярия, 1802 г. д. 2222, л. 322.

პოლკოვნიკი ტამარა სულ მალე მიხვდა საფრანგეთ-ოსმალეთის საიდუმლო მოლაპარაკების ძირითად შინაარსს, რაც საფრანგეთის გავლენის ქვეშ ოსმალების მოქცევის, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე თავისუფლად გასვლის უფლების მოპოვების უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად; რუსი დიპლომატი იქვე დასძენდა: *«Виды французского правительства не сомнительно касаются до нас, как в старании своем получить дозволение от Порты французским военным судам иметь вход в Черное море, так и в внушения, делаемые турецкому полномочному против нашего влияния»*[1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.)

მოტანილიდან გასაგები ხდება, რომ საფრანგეთს იერიში მიჰქონდა რუსეთ-ოსმალეთის სამხედრო კავშირის წინააღმდეგ. ნაპოლეონი ცდილობდა ძირი გამოეთხარა ამ კავშირისათვის და მის ნაცვლად შეექმნა ახალი — საფრანგეთ-ოსმალეთის სამხედრო კავშირი, რომელიც პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით საბოლოოდ რუსეთის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული.

გარდა ამისა, პოლკოვნიკ ტამარას ცნობით, სებასტიანი კონსტანტინოპოლში ეწეოდა ინგლისის საწინააღმდეგო საქმიანობასაც. ნაპოლეონი დაინტერესებული იყო და ყოველმხრივ ცდილობდა ირანსა და ოსმალეთში ფართოდ გაეშალა საფრანგეთის დიპლომატიის ანტიინგლისური საქმიანობა და ძირი გამოეთხარა ინგლისის პოზიციებისათვის ახლო აღმოსავლეთში. მას შემდეგ, რაც ინგლის-საფრანგეთის ინტერესთა დაპირისპირებულობის შედეგად ამოიკვეთა ეგვიპტიდან საფრანგეთის გაელენა, ნაპოლეონი დაინტერესებული იყო ოსმალეთის სულთანს არავითარი შეღავათი არ მიეცა ინგლისისათვის იმ დახმარების საფასურად, რაც ინგლისმა გაუწია ოსმალეთს ეგვიპტისათვის ბრძოლაში. 1802 წ. 10 დეკემბერს პოლკოვნიკი ტამარა პეტერბურგში იუწყებოდა, რომ: *«Себастиани ищет повредить кредиту англичан у Порты и внушает министерству не делать никаких уступок Англии в награждение за участие ея в освобождении Египта»*[2]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.). პოლკოვნიკი ტამარა ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ საფრანგეთის მისიის აღნიშნული საქმიანობა კონსტანტინოპოლში გამოიწვევდა როგორც რუსეთ-ოსმალეთის, ასევე ინგლის-ოსმალეთის კავშირის დასუსტებას[3].

---

[1] АВПР, ф. канцелярия, 1802 г. д. 2222, л. 325.
[2] იქვე, д. 2222, л, 14 об.
[3] იქვე.

მართლაც, ინგლისსა და ოსმალეთს შორის უთანხმოება დღითიდღე იზრდებოდა. ოსმალეთის სამხედრო ხელისუფალნი ეგვიპტეში სპობდნენ მამელუკთა იმ ბეებს, რომლებიც ინგლისელებმა თავიანთ დასაყრდენ ძალად გაიხადეს. კაპიტან-ფაშამ ეგვიპტეში შეიპყრო ინგლისური ორიენტაციის მრავალი ბეი, ისინი ოსმალეთის მტრებად ჩათვალა და დასასჯელად გემით კონსტანტინოპოლს გაამგზავრა; ამან დიდად გაანაწყენა ინგლისის ხელისუფლება და ოსმალეთისადმი მისი უნდობლობა და უკმაყოფილება გამოიწვია[1]. ოსმალეთის მთავრობას არ უნდოდა ინგლისთან ურთიერთობის გაწყვეტა, რის გამო იძულებული გახდა, კომპრომისზე წასულიყო და დაპატიმრებული ბეები გაეთავისუფლებინა[2].

მოვლენათა ლოგიკური განვითარების წინასწარი განჭვრეტა იძლეოდა იმის საშუალებას, რომ დადგენილიყო თუ რა შედეგებს მოუვებოდა საფრანგეთის დაახლოება ოსმალეთთან.

საფრანგეთის ამოცანა იყო, მოეხდინა ინგლისისა და რუსეთის იზოლაცია ოსმალეთის საშინაო და საგარეო საქმეებისაგან, ოსმალეთი კი გაეხადა თავისი პოლიტიკის იარაღად ინგლისისა და რუსეთის წინააღმდეგ, ხელთ ეგდო ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე კონტროლის უფლება.

1802 წ. შემოდგომაზე ოსმალეთი იძულებული გახდა „აღმოსავლეთის საკითხით" დაინტერესებულ ყველა სახელმწიფოსათვის მიეცა სრუტეებზე თავისუფლად გასვლის უფლება. ყველა სახელმწიფო გარკვეულ არგუმენტს უყენებდა ოსმალეთს ამ უფლების მისანიჭებლად. საინტერესოდაა გადმოცემული ეს არგუმენტები პოლკოვნიკ ტამარას მიერ იმპერატორისადმი 1802 წ. 9 ნოემბრის თარიღით გამოგზავნილ წერილში, სადაც ვკითხულობთ: «Знаменитыя происшествия принудили Порту допустить к торговле и плаванию *в Черном море некоторые державы: Россию — после несчастной с нею войны; Австрию—дабы войны избегнуть; Францию, для приобретения мира: Англию в знак благодарного чувствования одолжения*»[3].

ინგლისისა და საფრანგეთის ანტირუსულ პოლიტიკას თავისი ეკონომიური მიზეზებიც ჰქონდა; ინგლისელი და ფრანგი კოლონი-

[1] АВПР, ф. Канцелярия, 1801 г. д. 2218, ч. 2: л. 506.
[2] იქვე. ფ. 544.
[3] АВПР, ф. Канцелярия, 1802 г., д. 2222, л. 388.

ზატორები ბალკანეთზე ოსმალეთის ბატონობას განიხილავდნენ როგორც ადგილობრივი მოსახლეობის განუსაზღვრელი ექსპლოატაციის საუკეთესო საწინდარს. საოკუპაციო რეჟიმი და დაბალი საბაჟო გადასახადები ევროპის კაპიტალს მოგების გადიდების საუკეთესო პირობებს უქმნიდა. ევროპის უძლიერეს სახელმწიფოთა ინტერესები ამიტომაც იხლართებოდა ოსმალეთში. ყოველი მათგანი ცდილობდა ზღვების გასაღები ხელთ ეგდო და ამიტომაც საზღვაო უფლების ასეთი „თანასწორობა“ სანვრძლივი შენარჩუნების საშუალებას მოკლებული იყო. ყოველ მათგანს სურდა სრუტეების მონოპოლისტი გამხდარიყო და ამიტომაც ევროპის დიდ სახელმწიფოებს შორის შეჯახება, ადრე თუ ცოტა გვიან, გარდუვალი იქნებოდა.

ნაპოლეონი სრულებითაც არ ფიქრობდა კეთილსინდისიერად შეესრულებინა ის ვალდებულებანი, რომელიც მან იკისრა ამიენის ხელშეკრულებითა და რუსეთ-საფრანგეთს შორის დადებული საიდუმლო კონვენციით. იგი, პირიქით, ცდილობდა გაეუმჯობესებინა საფრანგეთის სტრატეგიული მდგომარეობა და მაქსიმალურად დაეკმაყოფილებინა საფრანგეთის ბურჟუაზიის კომერციული ინტერესები. ევროპაში ფართოვდებოდა საფრანგეთის დაპყრობანი. პოლკოვნიკი სებასტიანი ოსმალეთის იმპერიაში ზვერავდა ინგლისის ძალებს, ჰკრებდა საჭირო მასალებს და ამზადებდა ნიადაგს ეგვიპტეზე ახალი თავდასხმისათვის. ახალი ბაზრებისათვის ბრძოლაში ინგლისსა და საფრანგეთს შორის წინააღმდეგობათა შეურიგებელმა ხასიათმა 1803 წ. 22 მაისს გამოიწვია ომის განახლება. რუსეთის მთავრობა კი დარწმუნდა იმაში, რომ დიპლომატიური საშუალებებით შეუძლებელი იყო საფრანგეთის ექსპანსიის შეზღუდვა ხმელთაშუა ზღვის აუზსა და ცენტრალურ ევროპაში; ამიტომ ალექსანდრე I-მა გადაწყვიტა, ამ ექსპანსიისათვის დაეპირისპირებინა ევროპის სახელმწიფოთა თავდაცვითი კავშირი. 1804 წლის მარტსა და აპრილში დანიასთან და პრუსიასთან ხელმოწერილ იქნა კონვენცია ჩრდილოეთ გერმანიის დაცვის შესახებ, ხოლო იმავე წლის დასასრულს ანალოგიური კონვენცია გაფორმდა ავსტრიასთან და შვეციასთან. რუსეთსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობის საბოლოოდ გაწყვეტა დააჩქარა ნაპოლეონის მიერ ენგიენის ჰერცოგის სიკვდილით დასჯამ; მას ნაპოლეონზე თავდასხმის მომზადებაში ედებოდა ბრალი. რუსეთის მთავრობის პროტესტს ამ საკითხზე მოჰყვა საფრანგეთიდან ალექსანდრე I-ის სახელზე მეტად დამამცირებელი წე-

რილის მიღება. ყოველივე ამან ბიძგი მისცა „მეგობრული" ურთიერთობის გაწყვეტას რუსეთსა და საფრანგეთს შორის.

რუსეთსა და ინგლისს შორის ცოტა წინააღმდეგობანი როდი არსებობდა. ამ წინააღმდეგობათა კვანძში მნიშვნელოვანი ადგილი. როგორც ზემოთ აღინიშნა, აღმოსავლეთის საკითხს ეჭირა. ორივე სახელმწიფოს ინტერესები ახლო და შუა აღმოსავლეთში ერთმანეთს ეჯახებოდა, მაგრამ ევროპაში საფრანგეთის ბატონობის პრეტენზიამ ინგლისისა და რუსეთის მთავრობები აიძულა დროებით კვლავ გაერთიანებულიყვნენ ნაპოლეონის წინააღმდეგ საბრძოლველად. 1805 წლის 11 აპრილს ინგლისსა და რუსეთს შორის დაწყებული მოლაპარაკება პეტერბურგში სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებით დამთავრდა[1].

ნაპოლეონ ბონაპარტემ 1804 წ. მაისში იმპერატორის ტიტული მიიღო, ხოლო 1805 წ. 18 მარტს თავი იტალიის მეფედ გამოაცხადა; იმავე წლის ივნისში საფრანგეთს შეუერთდა გენუა და ლუკა. ამან ინგლისის ინტერესებს ბღალავდა, ამიტომ იგი 1805 წ. აგვისტოს ნაპოლეონის წინააღმდეგ შექმნილ ინგლის-რუსეთის კავშირს შეუერთდა.

საინტერესოა, როგორი იყო ნაპოლეონის ამ პერიოდის პოლიტიკა ოსმალეთში და როგორ მზადდებოდა ოსმალეთის ახალი ომი რუსეთთან.

ნაპოლეონმა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საფრანგეთი და რუსეთი მოკავშირეებად ითვლებოდნენ, გააჩაღა ჭრელი საქმიანობა ოსმალეთში. იგი ცდილობდა სულთანი და ოსმალეთის სამხედრო წრეები რევანშისტულად განეწყო რუსეთის მიმართ, რათა დაერღვია 1798 წ. რუსეთ-ოსმალეთს შორის დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულება, დაემარტოხელებინა ოსმალეთი, ესარგებლნა რუსეთ-ოსმალეთს შორის მტრობის გაღვივებით. მოეწყო ახალი თავდასხმა ეგვიპტეზე და დაეპყრო ის. 1803 წელს ოსმალეთში საფრანგეთის დიპლომატიურ მისიას სათავეში ჩაუდგა გაქნილი დიპლომატი გენერალი ბრიუნი, რომელიც რუსეთის მიმართ მტრულ საქმიანობას ეწეოდა. ბრიუნის დიპლომატიურ მისიაში განსწავლული სამხედრო სპეციალისტები შედიოდნენ. გენერალ ბრიუნის მიზანი იყო, აღედგინა ოსმალეთთან დავიწყებას მიცემული „მეგობრობა".

[1] История дипломатии, т. 1, стр. 467, М. 1959 г.

დაეპირისპირებინა იგი რუსეთისათვის; სამაგიეროდ სულთანს რუსეთთან XVIII საუკუნის ომებში დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას ჰპირდებოდა.

1803 წ. 3(15) იანვარს კონსტანტინოპოლიდან რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ა. იტალინსკი პეტერბურგში იტყობინებოდა, რომ საფრანგეთის ელჩი გენერალი ბრიუნი ცდილობს შთააგონოს სულთანს *«о дружбе первого консула к его султанову величеству и настояние о восстановлении древней между империей Оттоманскою и Францией связи; наконец, обещает не только гарантировать целость владений Оттоманских, но и возвращение потерянных, включая в том и Крым»*[1].

საფრანგეთის ელჩს საიდუმლო მოლაპარაკებანი გაუმართავს სულთანთან და საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელეებთან იმ მიზნით, რომ რუსეთთან და ინგლისთან ოსმალეთის მეგობრული განწყობილება მტრული დამოკიდებულებით შეეცვალა. იტალინსკის ცნობით, «у французского посла было намерение стараться расторгнуть союз Порты с Россиею и Англиею и вмешаться во внутренние дела правительства»[2]. გენერალი ბრიუნი ცდილობდა ოსმალეთის ხელისუფლებისა და საზოგადოების წინაშე შეექმნა აზრი ევროპაში საფრანგეთის სამხედრო უძლეველობის შესახებ: «Посол ни о чем ином не говорит, как о военных своих преимуществах»[3] — წერდა იტალინსკი.

გენერალ ბრიუნის მისიის წევრები, როგორც სამხედრო საქმის სპეციალისტები, ცდილობდნენ ოსმალეთის სამხედრო ხელისუფალთა გულის მოგებას. ისინი, როგორც ირკვევა, ოსმალეთის იმ ციხე-სიმაგრეთა აღდგენა-გამაგრებაზე მუშაობდნენ, რომლებიც რუსეთის საზღვრებზე იყო განლაგებული. საფრანგეთს ოსმალეთისათვის არა მარტო მისიის წევრები, არამედ სამხედრო სპეციალისტთა საიმედო დიდი ჯგუფიც უნდა გამოეგზავნა[4].

იტალინსკის მიერ 1803 წ. 4(16) თებერვალს სახელმწიფო კანცლერისადმი გაგზავნილი ცნობით ირკვევა, რომ საფრანგეთის მთავ-

[1] АВПР, ф. канцелярия, 1803, оп. 468, д. 2234, ч. 1, л. 156.
[2] იქვე, ფ. 39.
[3] იქვე.
[4] იქვე, ფ. 156—157.

რობა ცდილობდა გაეზარდა ოსმალეთის სამხედრო პოტენციალი, და წარემართა იგი რუსეთის წინააღმდეგ. გენ. ბრიუნს ფრანგ კონტრ-ადმირალთან ერთად საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდა კაპიტან ფაშასთან. ა. იტალინსკის დასკვნით ეს საიდუმლო მოლაპარაკება მიზნად ისახავდა საფრანგეთსა და ოსმალეთს შორის სამხედრო კავშირის გაფორმებას. გენ. ბრიუნი და ფრანგი კონტრ-ადმირალი კაპიტან ფაშას მოაგონებდნენ, რომ ოსმალეთის იმპერია შინაფეოდალური ომებისაგან დასუსტდა, მისი სამხედრო ძლიერება დღითი დღე ეცემა და ოსმალეთის იმპერიის კატასტროფა გარდაუვალია, თუ ის არ მიიღებს საფრანგეთის მთავრობის დახმარებას. მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ოსმალეთი «оградит себя полезным и приличным союзом, каким он почитает союз с Францией... Уверял, наконец, что союз такой может послужить Порте к возвращению Крыма под державу его султанского величества».[1]

გენ. ბრიუნი ცდილობდა სულთანი და დიდებულები მიემხრო, რისთვისაც მიმართავდა მათს მოსყიდვასა და მოქრთამვას ძვირფასი საჩუქრებით. ამის შესახებ რუსეთის დაზვერვას საკმაოდ ზუსტი ცნობები გააჩნდა, რაც კარგად ჩანს იტალინსკის მიერ პეტერბურგში 1803 წლის 16(28) თებერვალს გაგზავნილი წერილიდან: *«В день аудиенции своей* — ლაპარაკია გენ. ბრიუნზე — *поднес в подарок его султанову величеству пять больших зеркал, персидскую трубку,... визирю дал большой ковер гобеленской фабрики, а капитану паше большой хрустальной люстре в десять тысяч франков. Рейс Ефендию и прочим при Порте чиновникам деланы от него подарки, состоящие в табакерках, часах и прочих вещах»*[2]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.)

ხან მუქარით, ხან კიდევ დაპირებებითა და მოსყიდვა-მოქრთამვის გზით საფრანგეთის დიპლომატიური მისია განაწყობდა ოსმალეთის მმართველ წრეებსა და თვითონ სულთანს რუსეთის წინააღმდეგ. ნაპოლეონს სურდა: ევროპის კონტინენტზე საფრანგეთის ყველაზე უფრო ძლიერი მოწინააღმდეგე რუსეთი ოსმალეთთან ომში ჩაბმის გზით დროებით მაინც ჩამოეცილებინა ევროპის საქმეებისაგან; სწორედ ამიტომ უბიძგებდა იგი ოსმალეთს რუსეთის წი-

[1] АВПР, ф. канцелярия, 1803, оп. 468, д. 2234, ч. 1. л. 169—170.
[2] იქვე, ფ. 219

ნააღმდეგ. ოსმალეთის სამხედრო წრეებს, მოხელეებსა და დიდებულებს უღვივებდა რწმენას იმის შესახებ, რომ საფრანგეთის რესპუბლიკა უძლეველია, მისი სამხედრო ძალები აურაცხელია, სამხედრო ტექნიკა და სპეციალისტები კი თითქოს და გაცილებით მაღლა იდგნენ რუსეთისაზე. გენერალმა ბრიუნმა განუცხადა ოსმალეთის იმპერიის წარჩინებულებს კონსტანტინოპოლში, რომ *«мнение о храбрости Россиян не справедливо, что французы превосходят их в рассуждении сего качества, так как генералы французские российских генералов превосходят искусством»*, რომ თითქოსდა რუსეთის სანაქებო გენერალი სუვოროვი საშუალო ნიჭისა და შესაძლებლობის გენერალი ყოფილიყოს[1]. ასეთ დიპლომატიურ შანტაჟს თავისი შედეგები მოჰქონდა. საფრანგეთმა მალე ოსმალეთის სულთნის კარზე გარკვეული ნდობა მოიხვეჭა. გენერალ ბრიუნის ინტრიგის შედეგები ოსმალეთში დღითი-დღე შესამჩნევი ხდებოდა.

როგორც ირკვევა, ოსმალეთის მმართველ წრეებზე შესამჩნევი გავლენა იქონია საფრანგეთის დიპლომატთა და ემისართა საქმიანობამ და გარკვეული ცვლილებანი შეიტანა რუსეთისა და ინგლისის მიმართ ოსმალეთის დამოკიდებულებაში. ოსმალეთის მთავრობამ ინგლისში თავის საელჩოში ერთგვარი ცვლილებანი მოახდინა, ზოგიერთი პროინგლისური ორიენტაციის ჩინოვნიკი გამოიწვია ლონდონიდან და საელჩო შეავსო საფრანგეთის ერთგული დიპლომატებით. მათ შორის აღსანიშნავია ლონდონის ოსმალეთის საელჩოში თარჯიმნად ბერძენი ივანე კალპაჩის დანიშვნა[2].

საფრანგეთის პირველი კონსული ნაპოლეონი ცდილობდა, რომ ოსმალეთი თავისი კონტროლის ქვეშ მოექცია. გენ. ბრიუნმა საფრანგეთის დიპლომატიური მისიისათვის სულთანს მოსთხოვა ნებართვის ფირმანი, რათა მას ჰქონოდა საკონსულოები ვარნას, სინოპს, ტრაპეზუნდს, გალაცსა და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ქალაქებში. ეს საკონსულოები ნაპოლეონის დაჟინებითი მტკიცებით თითქოსდა საფრანგეთის კომერციულ საქმეთა მომწესრიგებლები უნდა ყოფილიყვნენ. ნაპოლეონის კატეგორიული მოთხოვნა სულთანმა შეასრულა და საფრანგეთს ნება დართო ოსმალეთის იმპერიის სამხედრო მნიშვნელობის ქალაქებში საკონსულოები ჰქო-

[1] АВПР, ф. канцелярия, 1803, оп. 468, д. 2234, ч. 1, л. 242.

[2] იქვე, ფ. 252.

ნოდა. როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ეს საკონსულოები სინამდვილეში ჯაშუშური საქმიანობის ცენტრებს წარმოადგენდნენ და სამხედრო, ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის ცნობებს აწვდიდნენ საფრანგეთის მთავრობას. რუსეთის ელჩი იტალინსკი ღრმად იყო დაჯერებული იმაში, რომ ვარნას, სინოპს, ტრაპეზუნდს, გალაცსა და სხვა ადგილებში «никакой коммерции не имеется, и что консулы французские там будут иметь дела не коммерческие, но политические, предосудительные спокойствию Империи»[1]. საფრანგეთის საკონსულოების დაარსებას ოსმალეთში იტალინსკი სამართლიანად მიიჩნევდა რუსეთისათვის საშიშ საქმედ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ოსმალეთის მთავრობა, კერძოდ, რეისეფენდი, ირწმუნებოდა, რომ ყოველ საკონსულოს საიდუმლო მეთვალყურეები დაენიშნებოდა და აცდენილ იქნებოდა მათი მტრული საქმიანობა რუსეთის მიმართ[2].

საფრანგეთის საკონსულოებში თავმოყრილი იყვნენ ჯაშუშები და გაქნილი დიპლომატები, რომლებიც მოსყიდულნი იყვნენ ნაპოლეონის მიერ. ისინი თავიანთ თავს ხან ვაჭრებად, ხან მხატვრებად, ხან კიდევ სხვა ხელობის ადამიანებად ასაღებდნენ, სინამდვილეში კი საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკურ სამსახურში იყვნენ ჩაბმულნი. საფრანგეთის ჯაშუშებით იყო მოფენილი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, კერძოდ, ოსმალეთი, ირანი და ეგვიპტე. ისინი რუსეთის შავი ზღვის სანაპირო ქალაქებშიც შენიღბულად მოქმედებდნენ რომ არაფერი ვთქვათ საქართველოზე.

დიპლომატი ა. იტალინსკი 1803 წ. 17(29) ივლისს გრაფ რუმიანცევს აუწყებდა, რომ ახლო აღმოსავლეთის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ადგილზე იმყოფებოდნენ ჯაშუშები, რომლებიც ინიღბებოდნენ *«званиями вояжиров, художников, купцов и прочее. На сих днях*— წერდა იგი— *отправляется сухим путем в Одессу на пребывание некто Бридель, называющий себя купцом, имеющий кредитивы* (так, Н. К.) *на весьма великия суммы. Из Вены пишут, что тамошняя полиция имела средство удостовериться, что Бридель есть эмиссар французской, снабженный от Бонопарте оными кредитивами*[3]. (ხაზი ჩვენია, ნ. ჯ.)

---

[1] АВПР. ф. канцелярия, 1803, оп. 468, д. 2234, ч. 1, л. 260. შდრ. იქვე. д. 2235,

[2] იქვე.

[3] АВПР. ф. канцелярия, 1803, оп. 468 д. 2234, л. 88.

აშკარად ჩანს, როგორ დაუზოგავად ხარჯავდა საფრანგეთის მთავრობა დიდძალ ფინანსებს იმისათვის, რომ ემისართა და საკონსულოების საშუალებით მიეღო მისთვის საჭირო ცნობები რუსეთის, ინგლისისა და ოსმალეთის შესახებ და ძირი გამოეთხარა რუსეთ-ოსმალეთის მეგობრობისათვის. ემისარ ბრიდელის ოდესაში შემოპარვის შემთხვევა კერძო მოვლენად, ცხადია, არ შეიძლება ჩაითვალოს; ასეთი ფაქტი მრავალი იყო. საფრანგეთის ეს საქმიანობა არამც თუ შეიზღუდა, არამედ უფრო ფართედ გაიშალა ირან-რუსეთისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების წლებში, რაზედაც ჩვენ ცალკე გვექნება ლაპარაკი.

იტალინსკი თავის მხრივ ცდილობდა საფრანგეთის საკონსულოების საქმიანობას ჩასწვდომოდა და შეუმჩნეველი არ დარჩენოდა მათი მტრული მოქმედება, თუმცა იგი ამას მეტად რთულ საქმედ მიიჩნევდა; იგი წერდა: «*Стараться буду достать инструкцию, которая от французского посла заготовлялась агентам их в черноморских портах, но предвижу великие в том трудности*».[1] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.)

ფრანგი სენ-ლიუკი, «этот тонкий и хитрий человек» როგორც საფრანგეთის კონსული ბუქარესტში იჯდა და, იტალინსკის სიტყვებით, იქ ატრიალებდა შავბნელ საქმეებს რუსეთის წინააღმდეგ[2].

განსაკუთრებით აღშფოთებული იყო ა. იტალინსკი გენერალ ბრიუნის მტრული საქმიანობით; მთელ რიგ საკითხებში ბრიუნი ოსმალეთის მთავრობისაგან დათმობების მიღებას აღწევდა. ა. იტალინსკის სპეციალური მეთვალყურეობა ჰქონდა დაწესებული გენერალ ბრიუნის მიმართ და იგი ამხილებდა თურქეთის დიპლომატიურ წრეებში ფრანგი გენერლის საქმიანობის ანტირუსულ და ანტიოსმალურ ხასიათს. 1803 წ. 18(30) ნოემბერს ა. იტალინსკი სახელმწიფო კანცლერ ნ. რუმიანცევს სწერდა: «Касательно до генерала

[1] АВПР. ф. канцелярия, 1803, оп. 468, д. 2234, ч. 2. л. 413.
[2] იქვე, ფ. 527.

Брюна, я всегда имею его в виду и строгое имею наблюдение за всеми поступками его»[1].

იტალინსკიმ და რუსეთის დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ შეძლო ოსმალეთის დიპლომატიური წრეების დაჯერება იმაში, რომ საფრანგეთის საკონსულოები ფაქტიურად დაზვერვის შტაბებს წარმოადგენდნენ და ძირს უთხრიდნენ როგორც რუსეთ-ოსმალეთის მეგობრობას, ასევე ოსმალეთის სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს. ოსმალეთის ხელისუფლებმა ხელი მოჰკიდეს საკონსულოების შეიწროებასა და მათზე სასტიკი კონტროლის დაწესებას. შემთხვევითი არ იყო ის საჩივრები, რომელიც მოსდიოდა გენერალ ბრიუნს საფრანგეთის საკონსულოებიდან. ა. იტალინსკის 1803 წ. 2(14) დეკემბრის წერილი რუმიანცევისადმი ამ მხრივ მეტად საგულისხმოა; იგი წერდა: «Комиссары французские в Трапизонте и в Синопе уведомляют Брюна, что положение их там тягостнее ссылки; что турки почитают их шпионами и, мнением сим руководствуясь в своем с ними поведении, причиняют им всякия возможныя неприятности»[2].

ოსმალეთში ფრანგ ემისართა ამგვარი შეიწროება დიდხანს არ გაგრძელებულა; მალე ნაპოლეონმა შეძლო სულთნისა და მთავრობის წევრთა გადაბირება და მდგომარეობა ისევ საფრანგეთის სასარგებლოდ შეიცვალა.

საფრანგეთის დიპლომატთა და სამხედრო ემისართა მტრულმა საქმიანობამ რუსეთის მიმართ თავი იჩინა მოლდავეთსა და ვალახეთშიც. რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ინტერესები ერთმანეთს ეჯახებოდნენ ბალკანეთში ოსმალეთის პროვინციების საკითხშიც. რუსეთი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე თავისი პოზიციების მომაგრების მიზნით მხარს უჭერდა სლავი ხალხების მისწრაფებას ოსმალთა უღლისაგან განთავისუფლების საქმეში. ინგლისი და საფრანგეთი კი, პირიქით, ოსმალეთის მთავრობას ხელს უწყობდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბალკანეთში დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა, ან ამ პროვინციების რუსეთის ხელში გადასვლა გამოიწვევდა აქ ინგლისისა და საფრანგეთის ეკონომიური პრივილეგიების შესუსტებასა და გაუქმებასაც კი. სწორედ აქედან გამომდინარეობდა ინგლისელების მიერ წამოყენებული დოგმა status quo-ს შენარჩუნების

[1] АВПР, ф. канцелярия, д. 2235, л. 638 об.
[2] იქვე, ფ. 563.

შესახებ. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა განსაზღვრით ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ხალხთათვის status quo-ს შენარჩუნება ნიშნავდა მათს მუდმივ მონობაში ყოფნას. კ. მარქსი წერდა: «В чем состоит этот status quo? Для христианских подданных Порты он обозначает лишь увековечение их угнетения Турцией»[1]. ლოზუნგი status quo გამოხატავდა ინგლისისა და საფრანგეთის მისწრაფებას, ოსმალეთი ევროპის კაპიტალის სრული ეკონომიური და პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექციათ, ხელი შეეწყოთ იქ ჩამორჩენილი ფეოდალური წყობილების შენარჩუნებისათვის, აღეკვეთათ ბალკანეთის ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობა და ამასთან ერთად წინ აღდგომოდნენ კონსტანტინოპოლისაკენ რუსეთის წინსვლას.

ოსმალეთი სასტიკად ავიწროებდა სერბიას, რომელიც მაშინ ოსმალეთის ერთ-ერთ პროვინციას წარმოადგენდა. ოსმალეთის ბანიჩარებმა და სიპაჰებმა ხელში ჩაიგდეს მთელი ძალაუფლება ქვეყანაში.

ცნობილია, რომ XVIII საუკუნის რუსეთ-ოსმალეთის ომებმა ძლიერ შეარყია ოსმალეთის ძლიერება სერბიაში და ობიექტურად ხელი შეუწყო სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომ ზრდასა და გაფართოებას. 1804 წელს სერბიაში იფეთქა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ყარა გიორგის მეთაურობით. სერბიელთა რაზმები აწარმოებდნენ გმირულ ბრძოლას ოსმალო. დამპყრობლების წინააღმდეგ. აჯანყებული სერბიელები დაუკავშირდნენ რუსეთს. კ. მარქსი წერდა: «Когда в 1804 году разразилась сербская революция, Россия тотчас взяла под свою защиту восставших «раиа» и, поддержав их при помощи двух войн, закрепила в двух договорах внутреннюю независимость Сербии»[2].

რუსეთის პოლიტიკით ოსმალეთის მთავრობის უკმაყოფილება საფრანგეთის აგენტურის გაძვერული საქმიანობის შედეგად დღითი დღე იზრდებოდა.

ცნობილია, რომ კუჩუკ-ყაინარჯისა და იასის საზავო ხელშეკრულებათა საფუძველზე მოლდავეთისა და ვალახეთის სამთავროები რუსეთის მფარველობის ქვეშ გადავიდა, იქაური მთავრები უშუა-

[1] К. Маркс и ф. Энгельс, Соч. т. IX, стр. 393. М. 1933 г.

[2] იქვე, გვ. 394.

ლოდ რუსეთის იმპერატორის თანხმობით ინიშნებოდნენ და მისი ნებართვის გარეშე მათი გადაყენება ოსმალეთის სულთანს ეკრძალებოდა.

საფრანგეთის დიპლომატიური მისია ცდილობდა დუნაისპირა სამთავროებში რუსეთის გავლენა დაესუსტებია; ამ მიზნით აღნიშნულმა მისიამ მოლდავეთსა და ვალახეთს ოსმალეთის სულთნისაგან განმდგარი ვიდინის ფაშა პაზვანტ-ოღლი აუმხედრა. პაზვანტ-ოღლი ნაყაჩაღარი იყო და მის არმიას თვალი მთლიანად უჭირღობასა და ძარცვა-გლეჯაზე ჰქონდა მიპყრობილი. პაზვანტ-ოღლის თავი ოსმალეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად ეჭირა. ჭრიდა მონეტას დამოუკიდებლად, რომელსაც პაზვანჩეტი ეწოდებოდა. იგი დიდი ავანტიურისტი იყო. ოცნებობდა კონსტანტინოპოლში ლაშქრობაზე და სულთნის ტახტიდან ჩამოგდებაზეც კი.

ბუქარესტში მყოფი საფრანგეთის კონსული, გაქნილი დიპლომატი სენ-ლიუკი აქეზებდა პაზვანტ-ოღლის თავს დასხმოდა თავისი ბანდით ვალახეთს და აიძულებინა თავადი იბსილანტი იქიდან გაქცეულიყო, რომელიც რუსეთის მთავრობამ დასვა მთავრის ტახტზე[1].

საფრანგეთის კონსულს გენ. ბრიუნს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბუქარესტში საფრანგეთის ელჩ სენ-ლიუკთან. მათ მოახერხეს მოსყიდვისა და გადაბირების გზით პაზვანტ-ოღლი იავისი რაზმებით 1803 წელს თავს დასხმოდა ვალახეთს[2].

პაზვანტ-ოღლის არმიაში საკმაოდ დიდი რაოდენობით იყვნენ ოსმალეთის ქვეშევრდომნი, რომლებიც საფრანგეთის მიერ იყვნენ მოსყიდულნი და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ვალახეთის აოხრებაში. საფრანგეთის დიპლომატია ამით ცდილობდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ჩამოეგდო სერიოზული უთანხმოება, რომელიც ხელს შეუწყობდა, ან უკიდურეს შემთხვევაში დააჩქარებდა მაინც სამოკავშირეო ხელშეკრულების დარღვევას.

პაზვანტ-ოღლის ჯარების მუხანათური თავდასხმა რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფ ვალახეთზე და რუსეთ-ოსმალეთის სამოკავშირეო ხელშეკრულების არსებობის პირობებში მისი გაძარცვა, აშკარად ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებსაც კი. რუსეთსა და ოსმალეთს შორის ეს იყო დიდი ინციდენტი, რომელიც ინსპირირებული იყო საფრანგეთის დიპლომატიის მიერ. თვითონ ოსმალეთის მმართველ წრეებში არ მა-

[1] АВПР. ф. канцелярия, 1803 г. оп. 468, д. 2234, ч. II, л. 527 об.

[2] იქვე. ч. I. л. 198.

ლავდნენ იმას, რომ ეს საფრანგეთის მიერ მოწყობილი საქმე იყო; ოსმალეთის ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა იტალინსკის განუცხადა, რომ «скорее можно изобретение сие почитать плодом французских интриг»[1].

იტალინსკიმ იცოდა, თუ როგორ აქეზებდა საფრანგეთის ელჩი გენერალი ბრიუნი ოსმალეთის მთავრობას რუსეთის წინააღმდეგ მოლდავეთისა და ვალახეთის საკითხთან დაკავშირებით. იგი წერდა: «Я знаю, что Брюн часто покушался раздражить Порту, представляя сей в ложном виде покровительство, оказываемое России княжествам Воложскому и Молдавскому»[2].

რუსეთის მთავრობამ პაზვანტ-ოღლის ვალახეთზე თავდასხმის გამო პროტესტი განუცხადა ოსმალეთის მთავრობას. იტალინსკის დაჟინებითი მოთხოვნით პაზვანტ-ოღლიმ მალე დასტოვა ვალახეთი[3]. დასტურდება, რომ საფრანგეთის დიპლომატია გამალებით იღწვოდა, ძირი გამოეთხარა რუსეთის საქმაოდ მომავრებული პოზიციებისათვის დუნაისპირა სამთავროებში, დაესუსტებინა იქ რუსეთის გავლენა, აღედგინა ოსმალეთის სასაზღვრო ციხე-სიმაგრეები და აბრძოლო მდგომარეობაში მოეყვანა ისინი.

ის ფაქტი, რომ საფრანგეთის სამხედრო ემისრები გამალებით მუშაობდნენ ოსმალეთის სასაზღვრო ციხე-სიმაგრეების აღდგენასა და გამაგრებაზე, შიშს იწვევდა საქმეში ჩახედულ რუს დიპლომატთა შორის. ამ მხრივ მეტისმეტად საგულისხმოა ა. იტალინსკის 1803 წ. 14(16) თებერვლის გრაფ რუმიანცევისადმი გამოგზავნილი წერილი: «Границы... России, будучи в том состоянии, в котором они ныне находятся, подвержены опасности».[4]

იმისათვის, რომ ოსმალეთში რუსეთის საწინააღმდეგო საზოგადოებრივი აზრი შეექმნილიყო, გენ. ბრიუნს ხშირად ჰქონდა აუდიენცია რეის ეფენდისთან და სხვა ჩინოვნიკებთან. რუსეთის საწინააღმდეგო აზრებს თვითონ ფრანგები თხზავდნენ, ხოლო შემდეგ მის ფართო პროპაგანდას ეწეოდნენ[5].

ოსმალეთის მმართველი წრეების დიდი ნაწილისათვის ცნობილი იყო, რომ XVIII საუკუნის რუსეთ-ოსმალეთის ომებმა გამოიწ-

---

[1] АВПР, ф. канцелярия, 1803 г. оп. 468, д, 2234, ч. 1, л. 202 об.
[2] იქვე, ფ. 207.
[3] იქვე. ფ. 228—229.
[4] იქვე, ფ. 157.
[5] იქვე; ფ. 245.

ვია ოსმალეთის იმპერიის სამხედრო ძლიერების დაცემა. ქვეყნის შიგნით გაჩაღებულმა შინაფეოდალურმა ომებმა. სულთნისადმი ფაშების დაუმორჩილებლობამ და სახელმწიფო მართვა-გამგეობის ყოველ უბანზე უწესრიგობის დამკვიდრებამ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პრეტენზიები და რუსეთის მიერ შემოერთებული ტერიტორიების უკან დაბრუნება უპერსპექტივო გახადა ოსმალეთისათვის.

ირკვევა, რომ ოსმალეთი მიუხედავად საფრანგეთის დიპლომატიური მისიის ანტირუსული საქმიანობისა, საფრანგეთის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში პოტენციალურ მოკავშირედ რუსეთს თვლიდა. გრაფი ა. ვორონცოვი 1803 წლის 5 აგვისტოს გენ. პ. ციციანოვს სწერდა: «С своей стороны двор Константинопольский, убедившись, что силы его не могут ратоборствовать с нашими, не только не ищет возврата утраченного им, но ожидает от нас ограждения областей своих от замыслов Франции, всю свою надежду возлагая на прозорливость и могущество государя императора».[1] მაგრამ თუ საფრანგეთის ზემოქმედების შედეგად ოსმალეთი შეწყვეტდა მეგობრულ ურთიერთობას რუსეთთან, არსებული სამოკავშირეო ხელშეკრულება დაირღვეოდა და საომარი მდგომარეობით შეიცვლებოდა. მაშინ ოსმალეთს ძველებურად კვლავ საფრანგეთის დახმარებისათვის უნდა მიემართნა.

ოსმალეთმა რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულების ვადის გაგრძელება მოიწადინა, მაგრამ საფრანგეთი დიდად შეეცადა ხელი შეეშალა მისთვის. სულთანმა ეს წინადადება რუსეთის იმპერატორს 1804 წელს შესთავაზა. როცა ხელშეკრულების რწმუნების ვადა არც კი იყო გასული. ალექსანდრე I-მა თანხმობა განაცხადა. მაგრამ იგი მოითხოვდა განახლებულ ხელშეკრულებაში რიგი ახალი მუხლების შეტანას, რომლებიც უზრუნველჰყოფდნენ რუსეთის ინტერესებს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. უნდა ითქვას, რომ ალექსანდრე I-ის მიერ წაყენებული მუხლები ობიექტურად (მთავრობის სურვილის გარეშე) იცავდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ ბალკანეთის ხალხთა ინტერესებს. მოლაპარაკება რუსეთსა და ოსმალეთს შორის თითქმის რვა თვე. 1805 წ. 11 სექტემბრამდე გაგრძელდა; ეს გაჭიანურება გამოწვეული იყო საფრანგეთის მტრული საქმიანობით. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების გაფორ-

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 11, л. 233—234.

მება რუსეთისათვის უდავოდ დიდი გამარჯვება იყო, მაგრამ ეს ხელშეკრულება ხანმოკლე გამოდგა; იგი მალე მუხანათურად დაარღვია ოსმალეთმა. ნაპოლეონი არწმუნებდა სულთან სელიმ III-ს იმაში, რომ საფრანგეთმა რუსეთს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ევროპაში და მას უკვე აღარა აქვს ძალა, წინ აღუდგეს ოსმალეთის სურვილებს. თუ უკანასკნელი მოიწადინებს კუჩუქ-ყაინარჯისა და იასის ხელშეკრულებით დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას.

ნაპოლეონმა დააჯერა ოსმალეთის სულთანი, რომ აუსტერლიცთან რუსეთისა და ავსტრიის ჯარების დამარცხების შემდეგ მისთვის ადვილი იქნებოდა რუსეთზე გამარჯვების მოპოვება. ნაპოლეონი ცდილობდა რუსეთ-ოსმალეთის ომის გაჩაღებით რუსეთის ყურადღება ჩამოეშორებინა ცენტრალური ევროპის მოვლენებისაგან. თვითონ კი ემზადებოდა პრუსიის წინააღმდეგ საომრად.

კონსტანტინოპოლში დიდი დიპლომატიური და პოლიტიკური ბრძოლა წარმოებდა საფრანგეთსა და რუსეთს შორის. ეს იყო ორი დიდი ქვეყნის ჰიდილი ოსმალეთში პოლიტიკური ბატონობისათვის. რუსეთი ცდილობდა, თავის მოკავშირედ შეენარჩუნებინა ოსმალეთი, საფრანგეთი კი არწმუნებდა სულთანს, რომ საფრანგეთ-ოსმალეთის სამხედრო კავშირის განახლება და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება ოსმალეთის იმპერიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელი იქნებოდა.

ამ მხრივ მეტისმეტად საინტერესოა ნაპოლეონის წერილი სულთნისადმი, რომელიც მან 1805 წლის შემოდგომაზე გამოუგზავნია ეს წერილი სავსებით ნათელს ჰფენს ნაპოლეონის პოლიტიკის არსს ოსმალეთის მიმართ რუსეთ-ოსმალეთის ომის წინ და ამიტომ საჭიროდ ვსცანით მისი აქ მთლიანად მოტანა. «В то время, когда изъявляю вам возможное уважение и почести. — ეკითხულობთ იქ,— зачем отказываетесь вы признать права мои? Зачем переносите вы терпеливо поступки России? Войско ея в Корфу простирается ныне до 15.000 человек. С какою целью находится оно там? Русский флот проходит часто в виду вашей столицы и Россия продолжает исполнение своего предложения в покорении греков. Сообразно-ли с вашими выгодами не обращать на то внимания. и действовать против меня? Если бы я не знал настоящей цели России. то не говорил бы с вами откровенно. Ваши министры преданы России. Предупреждаю вас, что если вы впредь будете доверять соблазнительным словам русских

и откажете мне в выгодах, какими у вас с давняго времени пользовалась Франция, должны почитать неприятелем своим. Ваше министерство не заботится о происходящем в Кипре, Мекке, Дамаске и Медине, а между тем, как русские занимаются покорением Персии, коего следствия разрозятся на вас, ваши министры даже не упоминают о том и восстают против меня. При вашем дворе нет никого приверженного ко мне. Потому решился я писать прямо к вам, убеждая вас вверится Франции, вашей естественной союзнице, без чего вы подвергаетесь опасности, о которой я предупреждал вас. Знаю, до какой степени простираются пагубные замыслы России против вас. Половина подданных ваших исповедают одну с нею веру, и преданы ей. На семи островах у вас нет более подданных. Там на всех купеческих судах русский флаг. Даже ваши министры почитают корфиотов за русских. От вашего благоразумия не могут скрыться такие поступки дивана. Будучи вашей союзницей, Россия заключила отдельный мир. Когда дело идёт об его выгодах, Петербургский двор не обращает внимания на выгоды Порты и на обязанности, налагаемыя на него союзом с вами. Впредь мои поступки с вами будут зависеть от большей или меньшей откровенности ожидаемого мною от вас ответа. Если вы хотите разрыва с Францией, то не буду жалеть о последствиях, которыя из того произойдут. Идите по следам ваших предков, султанов Селима и Мустафа».[1]

მოტანილი წერილიდან შეიძლება დავადგინოთ, რომ ყველა პრეტენზია, რომელსაც ნაპოლეონი აყენებდა ოსმალეთის სულთნის წინაშე, რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული; უპირველესად ყოვლისა ნაპოლეონი სულთნისაგან მოითხოვდა: ეცნო მას იგი საფრანგეთის იმპერატორად. ნაპოლეონი წინააღმდეგი იყო რუსეთის საზღვაო ფლოტის ხმელთაშუა ზღვის აუზში ყოფნისა და მოითხოვდა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ჩაკეტვას რუსეთის საზღვაო ძალებისათვის, ოსმალეთის მინისტრთა პოსტებიდან რუსეთის მომხრეთ ლოიალურად განწყობილი, ანტიფრანგული ორიენტაციის მინისტრების გადაყენებას; ნაპოლეონი ბრალს სდებდა სულთანს იმაში, რომ მის სასახლეში საფრანგეთის იმპერატორი-

[1] ЦГВИА, ф. 470, д. 39, лл. 2, 3, 4, и. об.

სადმი ერთგული არც ერთი დიდებული არ იყო. ნაპოლეონი სულთანს იმასაც უსაყვედურებდა, რომ იგი განზე განუდგა ირანს და საკუთარ საქმედ არ ჩათვალა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა. ნაპოლეონს მიზნად ჰქონდა, როგორც ამას შემდეგ დავინახავთ, საფრანგეთისა და ირან-ოსმალეთის სამხედრო კოალიციის შექმნა რუსეთის წინააღმდეგ; ამიტომ იგი, ცხადია, ოსმალეთის ასეთ პოზიციას არ ურიგდებოდა. ფაქტიურად ნაპოლეონის წერილი მუქარით აღსავსე ულტიმატუმი იყო. თუ კი ოსმალეთის სულთანი გონს არ მოვიდოდა და რუსეთის წინააღმდეგ ომში მხარს არ დაუჭერდა საფრანგეთს. ნაპოლეონი პასუხისმგებლობას იხსნიდა იმ შედეგებისათვის. რაც შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა.

ოსმალეთის სულთანსა და რუსეთს შორის მეგობრული ურთიერთობა ფორმალურად მაინც ძალაში რჩებოდა. ნაპოლეონის წერილის ასლი იტალინსკის დაბეჭითებითი მოთხოვნის შედეგად ოსმალეთის მთავრობამ ალექსანდრე I-ს გაუგზავნა. თვით ეს ფაქტი მეტყველებს იმის შესახებ, რომ რუსეთი აქამდე ინარჩუნებდა ოსმალეთში პირველობას, ხოლო რუსეთის დიპლომატია ფხიზლად ადევნებდა თვალყურს საფრანგეთის დიპლომატიურ შანტაჟს და მის წინააღმდეგ ენერგიულად იბრძოდა. სულთანს ჯერ კიდევ, მიუხედავად თავისი პოლიტიკური მერყეობისა, რუსეთთან მეგობრობაზე ხელი არ აეღო და ცდილობდა მისთვის ერთხელ კიდევ მოჩვენებითი ერთგულება დაემტკიცებინა. ალექსანდრე I კი ცდილობდა ოსმალეთთან შეენარჩუნებინა არსებული სამოკავშირეო ხელშეკრულება. საპასუხო წერილში სულთნისადმი ალექსანდრე I ამხელდა საფრანგეთის ძირგამომთხრელ საქმიანობას რუსეთ-ოსმალეთის კავშირის წინააღმდეგ და მოუწოდებდა ძველებურად გაენეგრძო მას მეგობრობა რუსეთთან. იგი წერდა: «От прозорливости вашего величества сокрыться не может, что старания и усилия, употребленныя многократно Бонапартом, для посеяния между нами недоверчивости, явно показывают, что дружбу нашу почитает он сильнейшею преградою властолюбивым его видам. Истина сия столь ощутительна, что не требует доказательства»[1]. სავსებით სწორად იყო გაგებული რუსეთის იმპერატორის მიერ ნაპოლეონ ბონაპარტის პოზიცია. მისი მტრული დამოკიდებულება რუსეთ-ოსმალეთის სამოკავშირეო ხელშეკრულებისადმი.

[1] ЦГВИА. Ф. 470. д. 39. л. 5 и об.

1805 წლის 20 ნოემბერს (2 დეკემბერს) აუსტერლიცთან მოხდა ნაპოლეონის ჯარებსა და ავსტრია-რუსეთის ჯარებს შორის დიდი ბრძოლა: მიუხედავად რუსი ჯარების გმირობისა და მამაცობისა მოკავშირეებმა ამ ბრძოლაში სასტიკი მარცხი განიცადეს. აუსტერლიცთან დამარცხებამ რუსეთს საკმაოდ შეულახა ავტორიტეტი. ოსმალეთის მმართველ წრეებშიაც რუსეთისადმი პატივისცემა უკვე გაქრა. ამას ზედ დაერთო ნაპოლეონის ანტირუსული პოლიტიკა ოსმალეთში.

1806 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების რამდენიმე თვით ადრე, ოსმალეთის მთავრობამ წინადადება მისცა იტალინსკის გადაეცა თავისი მთავრობისათვის, რომ «они впредь не дозволят русским военным судам проходить через Мраморное море»[1].

ალექსანდრე I ა. იტალინსკის ურჩევდა გონს მოეყვანა ოსმალეთის დივანი და მოეწოდებინა მისთვის ზუსტად დაეცვა სამოკავშირეო ხელშეკრულება.

ოსმალეთის მთავრობამ ზემოაღნიშნულზე არავითარი პასუხი არ გასცა რუსეთის ელჩს და დაიწყო რუსული ორიენტაციის მქონე მინისტრებისა და სხვა მოხელეების გადაყენება, ნაპოლეონს კი სულთანმა გაუგზავნა თავისი ელჩი და ცნო იგი საფრანგეთის იმპერატორად. ნაპოლეონის საფრანგეთის იმპერატორად აღიარებისთანავე სულთანი რუსეთის წინააღმდეგ ომისათვის მზადებას შეუდგა. 1806 წ. 7 თებერვალს რუსეთის კონსული ბოლკუნოვი იასიდან იუწყებოდა, რომ «Порта признала титул Бонапарте и разослала приказ по крепостям, особенно в Измаиле и Хотине набирать войски: а в ту лагерь под начальством Скутарского паши начать повсеместный набор войск».[2] დიდად სასიამოვნო იყო ნაპოლეონისათვის მისი წერილის პირველი შედეგი: მან საზეიმო აუდიენცია მოუწყო ოსმალეთის ელჩს და თავისი მთავრობის მოხელეთა წინაშე განაცხადა, რომ «он принимает Порту под свое покровительство и будет мстить за нее неприятелям ея»[3].

ნაპოლეონის ასეთმა განცხადებამ დაადასტურა დიდი ხნით ადრე რუსეთის მთავრობაში შექმნილი აზრი ნაპოლეონის განზრახვის შესახებ ოსმალეთის მიმართ. ნაპოლეონის ზრახვებს დღითიდღე ფრთა ესხმებოდა ოსმალეთში, განსაკუთრებით კი 1806 წლის

---

[1] ЦГВИА, Ф. 470, д. 39. л. 23 и об.
ЦГВИА, ф. ВУА. д. 2884, л. 138 об.
ЦГВИА, ф. 470, д. 39. л. 24.

ივნისიდან, იმ დროიდან, როცა კონსტანტინოპოლში ჩავიდა საფრანგეთის გაჭნილი ელჩი გენერალი სებასტიანი. იტალინსკის ცნობით, სებასტიანს ნაპოლეონისაგან ნაბრძანები ჰქონდა: «Употребить все способы против России. Подкупом и угрозами настаивал посол Наполеона на самыя враждебныя меры против России»[1].

სებასტიანის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ ინიშნებოდნენ ოსმალეთის მთავრობაში ახალი მინისტრები. სებასტიანმა კატეგორიულად მოითხოვა ახალი მთავრობისაგან, რათა წაერთმია ბერძნებისათვის უფლება «издавна ими употребляемого, иметь на кораблях своих русский флаг»[2]. ეს იმას ნიშნავდა, რომ რუსეთს, რომელიც თავის თავს ქრისტიანი ხალხების განმათავისუფლებლად აცხადებდა, ხელი აეღო ხმელთაშუა ზღვის აუზში ქრისტიანი ხალხების «მფარველობაზე», რასაც რუსეთი პოპულარულ ხასიათს აძლევდა.

ოსმალეთმა დაარღვია აგრეთვე მოლდავეთისა და ვალახეთის მიმართ თავისი განსაზღვრული უფლებები; იგი შეეცადა შეეცვალა მოლდავეთისა და ვალახეთის მთავრები იპსილანტი და მურუზი, იასის საზავო ხელშეკრულებით ისინი ინიშნებოდნენ შვიდი წლის ვადით, და აღნიშნული ვადის გასვლამდე ოსმალეთს ეკრძალებოდა მათი გადაყენება რუსეთის თანხმობის გარეშე. მაგრამ დავანმა, რუსეთთან დადებული ხელშეკრულების წინააღმდეგ, იმ მოტივით, რომ მოლდავეთისა და ვალახეთის თავადები თითქოსდა ფარულად ხელს უწყობდნენ აჯანყებულ სერბიელებს, დაწესებული ვადის გასვლამდე შეცვალა ისინი რუსეთთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე. საინტერესოა გაირკვეს, თუ რა იყო მათი გადაყენების ძირითადი მიზეზი. როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, მათი რუსულ-ორიენტაცია და ანტიფრანგული განწყობილება იყო მთავარი მიზეზი, რომლის გამოც ისინი, ოსმალეთისა და საფრანგეთის ხელისუფალთა აზრით, შეუძლებელი იყო მთავრებად ყოფილიყვნენ მოლდავეთსა და ვალახეთში. ზემოაღნიშნულ საბუთში ამის შესახებ ვკითხულობთ: «Настоящая причина смены заключались в отказе господарей, особенно к. Ипсиланти, склониться на сторону Наполеона и быть орудиями политики его»[3].

---

[1] ЦГВИА, Ф. 470, д. 39 л. 24.

[2] იქვე.

[3] ЦГВИА, ф. 470, д. 39, л. 25 об.

გენ. სებასტიანი დივანს ბიძგს აძლევდა, რათა ოსმალეთს მტკიცე სამხედრო კავშირი დაემყარებინა ნაპოლეონთან. უკანასკნელი ერთხელ კიდევ კატეგორიულად მოითხოვდა სულთნისაგან: დაეხურა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები რუსეთისა და ინგლისის სამხედრო გემებისათვის; წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთი იმუქრებოდა, რომ თავის სამხედრო ძალებს გამოიყენებდა თურქეთის წინააღმდეგ. ოსმალეთს, ნაპოლეონის წინადადებით სასწრაფოდ უნდა გაეწყვიტა კავშირი ინგლისთან და რუსეთთან. სებასტიანმა 1806 წლის შემოდგომაზე დივანს შემდეგი მოახსენა: «Наполеон почтет объявлением войны со стороны Порты, если она впредь будет дозволять русским военным судам проходить через Константинопольские проливы, и что в таком случае он будет полагать себя в праве отправить французския войска через турецкия владения для действий против русских на Днестре...Возобновление или продолжение Портою союза с неприятелями Франции, Россиею и Англиею, будет принято Наполеоном не только за нарушение нейтралитета, но и за содействие Порты в войне России и Англии против Франции».[1]

ოსმალეთის დივანი ძლიერ დააფრთხო სებასტიანის მიერ წაყენებულმა ულტიმატუმმა; რაც დრო გადიოდა, ნაპოლეონის მოთხოვნა ოსმალეთის მიმართ სულ უფრო მკაცრი ხდებოდა. დივანი ნათლად ხედავდა, რომ საფრანგეთისადმი გაწეული დათმობა ფაქტიურად რუსეთთან ომის დაწყებას ნიშნავდა, ამიტომ იგი აყოვნებდა საფრანგეთის მიერ წაყენებულ მკაცრ მოთხოვნათა შესრულებას. ამის გამო სებასტიანმა განუცხადა დივანს: თუ კი ოსმალეთი აო შეასრულებდა საფრანგეთის მიერ წაყენებულ მოთხოვნას, იგი ნიშნად პროტესტისა სასწრაფოდ დატოვებდა კონსტანტინოპოლს, ხოლო საბოლოო შედეგისათვის პასუხისმგებლობას იბნიდა[2].

მართალია, რუსეთისა და ოსმალეთის ურთიერთობაში თავისთავად არსებობდა გარკვეული წინააღმდეგობანი, მაგრამ რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომის დაწყება უდავოდ დააჩქარა საფრანგეთის დიპლომატიამ. ოსმალეთში იყო რუსეთთან კავშირის გაგრძელებისა და მასთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნების მომხრეთა საკმაოდ ძლიერი პარტია, მაგრამ ეს ძალა საფრანგეთის აგენტურის ანტირუსული საქმიანობის შედეგად დამარცხდა, და

[1] ЦГВИА. ф. 470, д. 39, л. 26 об. შდრ. იქვე, д. 2, лл. 76 об. и 83.
[2] იქვე.

გაიმარჯვა მისმა მოწინააღმდეგემ. საფრანგეთთან სამხედრო კავშირის დამყარებისათვის მებრძოლმა რეაქციულმა პარტიამ, რომელიც მოსყიდული იყო საფრანგეთის მთავრობის მიერ[1]. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბუდბერგი ფელდმარშალ მიხელსონისადმი გაგზავნილ წერილში 1807 წ. 19 მარტს შემდეგნაირად ახასიათებდა საფრანგეთის პოლიტიკის როლს რუსეთ-ოსმალეთის ომის მომზადებაში: «**Порта на войну с нами решилась совершенно противу своего желания, и уступила в том сильным настояниям французского посла, которыя с одной стороны подкреплял он угрозами, с другой —обещаниями скорой помощи, и наконец, льживыми известиями о успехах французских войск над нами**»[2].

რუსეთ-ოსმალეთის მეგობრული ურთიერთობის გაგრძელება უკვე შეუძლებელი გახდა. ოსმალეთი აშკარა მტრულ საქმიანობას ეწეოდა. საფრანგეთმა ოსმალეთში გაგზავნა არტილერისტები და დაიწყო დიდძალი საომარი ტექნიკის, კერძოდ კი არტილერიის შეზიდვა. სამხედრო სპეციალისტები დიდი მონდომებით მუშაობდნენ ოსმალეთის ციხე-სიმაგრეების საბრძოლო მდგომარეობაში მოსაყვანად. 1806 წლის ზაფხული და შემოდგომა ფაქტიურად ორივე მხარემ ომის სამზადისს მოანდომა.

1806 წ. 11(23) აგვისტოს ა. იტალინსკი კონსტანტინოპოლიდან აუწყებოდა იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა ნაპოლეონის უშუალო კარნახის შედეგად მოლდავეთისა და ვალახეთის მთავრების გადაყენება. და აგრეთვე, ოსმალეთის მთავრობიდან რუსული ორიენტაციის მქონე პირთა იზოლაცია[3]. მოლდავეთისა და ვალახეთის მთავრებად დაინიშნენ ფრანგული ორიენტაციის თავადები — სუტცო და კალიმახი. ამრიგად, ნაპოლეონი და საფრანგეთის დიპლომატია წარმოადგენდა იმ რეაქციულ ძალას, რომელმაც რუსეთ-ოსმალეთის მეგობრობის გზაზე ყველა ხიდი ჩაანგრია.

საფრანგეთის გავლენის ქვეშ მყოფმა სულთანმა უარი განუცხადა რუსეთს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში სამხედრო და სავაჭრო გემების თავისუფლად ნაოსნობაზე. როგორც ცნობილია, ეს გზა ერთად ერთი იყო, რომლითაც რუსეთი უკავშირდებოდა იონიის კუნძულებზე მყოფ თავის არმიას. გარდა ამისა, საზღვაო გზის გადაკეტვა დიდ ეკონომიურ ზარალსაც მიაყენებდა რუსეთს.

---

[1] ЦГВИА, ф. 470, д. 2. л. 72.
[2] იქვე. л. 20 об. и лл. 21, 22.
[3] ЦГВИА. ф. ВУА, д. 2884, л. 152.

XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში შავი ზღვის აუზი სერიოზულ როლს თამაშობდა რუსეთის საგარეო ვაჭრობაში. შავი ზღვის აუზს რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის ეკონომიკისათვის. შეიძლება დავრწმუნდეთ აქვე მოტანილი სტატისტიკური მონაცემებით; ირკვევა, რომ რუსეთის საგარეო ვაჭრობა შავი ზღვის აუზით 1776—1812 წლებში (ოცდათექვსმეტ წლის ვანძილზე) 35-ჯერ გაზრდილა:

წლები	შემოსული სავაჭრო გემების რაოდენობა	შემოტანილი საქონლის ღირებულება (მანეთებში)	გატანილი საქონლის ღირებულება (მანეთებში)
1776	29	85.000	305.000
1786	160	483.000	627.000
1796	470	718.000	1.156.000
1802	700	2.054.000	3.000.000
1812	1.096	5.000 000	10.767.000[1]

მოტანილიდან ისიც ირკვევა, რომ XIX საუკუნის დასაწყისში (1812 წ.) შავი ზღვის აუზით ქვეყნის ექსპორტი 3.5-ჯერ მეტი იყო, ვიდრე იმპორტი. ამიტომ რუსეთის მთავრობა, ცხადია, ვერ შეუნიგდებოდა შავი ზღვის სანაოსნო გზის გადაკეტვას, მას ხომ სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის მზარდი ეკონომიკისათვის. რუსეთის მმართველი წრეები ყველა საშუალებათა გამოყენებით ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ შავი ზღვის აუზში რუსეთის მიერ ადრე მოპოვებული უფლებრივი მდგომარეობა.

ოსმალეთს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაბრძანები ჰქონდა ნაპოლეონისაგან გაეწყვიტა ყოველგვარი კავშირი ინგლისთან და რუსეთთან; სულთანი, რომელიც ნაპოლეონის შიშისა და მუქარის ქვეშ იმყოფებოდა, უხალისოდ დაეთანხმა რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტას და თავის ჯარებს წინადადება მისცა შეჭრილიყვნენ მოლდავეთსა და ვალახეთში. ამგვარად, რუსეთის მხრიდან ოფიციალური მიზეზის გარეშე ოსმალეთმა დაარღვია სამოკავშირეო ხელშეკრულება. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შექმნილი რთული პოლიტიკური მდგომარეობისა და საფრანგეთის მტრული საქმიანობის შედეგად რუსეთ-ოსმალეთს შორის ურთიერთობის გამწვავების

[1] Начертание статистики Россійского государства, составленное главного педагогического института Адъюнкт-профессором К. Арсеньевым, ч. 1, стр. 159, СПБ, 1813 г.

ამსახველია გენ. მიხელსონის წერილი, რომელიც მას 1806 წლის 13 ოქტომბერს ტულჩინოდან გამოუგზავნია. წერილში ვკითხულობთ:

«Получил сведения, что продолжающимися поборами и вывозом хлеба из Молдавии и Валлахии жители истощаются; что Позвант Оглу скопляет более и силы свои к Валлахии; что преемник убитого Персеники Оглу, известный противник партии Французской, находится в опасности; что сербов стараются уловить прощениями и обещаниями; что в Галацах собрано противу обыкновенного знатное количество хлеба и других припасов и остается там без отправления в Константинополь. Французский офицер разъезжает по всем сим крепостям для осмотра, должно полагать, что Порта хочет только выиграть время в переговорах, пока планы ея созреют, почему и готовится к занятию Молдавии и Валлахии»[1]. მოტანილი დოკუმენტი ფარდას ხდის ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მოლდავეთსა და ვალახეთში ოსმალეთის მიერ დამკვიდრებულ ტერორისტულ რეჟიმს; მეტყველებს იმაზე, თუ როგორ ისჯებოდნენ განმათავისუფლებელი ბოძრაობის ბელადები, როგორ ეზიდებოდნენ ოსმალები მოლდავეთიდან და ვალახეთიდან სურსათ-სანოვაგესა და სხვა პროდუქტებს, როგორ ფართოდ იყენებდნენ ოსმალეთის ხელისუფალნი მათთვის ნაცად მოსყიდვა-გადმობირების ეერაგულ მეთოდებს მოლდავეთში, ვალახეთსა და სერბიაში, იმისათვის, რათა ძირი გამოეთხარათ სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის. როგორც ირკვევა, ფრანგი ოფიცრების უშუალო კონტროლისა და მეთვალყურეობის ქვეშ ხდებოდა ოსმალეთის სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-სიმაგრეთა საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა, ხოლო ანტიფრანგული ორიენტაციის პირთა მიმართ გამოყენებულ იქნა სასტიკი რეპრესიული ზომები.

საფრანგეთის სამხედრო ემისართა საქმიანობა ფართოდ გაიშალა; ფრანგები წარმოადგენდნენ ოსმალეთის არმიის სარდლობის სამხედრო მრჩევლებსაც. 1807 წ. 17 ივნისის თარიღით ბუდბერგისადმი გაგზავნილ წერილში გენ. მიხელსონი ოსმალთა ერთ-ერთი ციხე-სიმაგრის აღების შემდეგ წერდა: «При войске находились переодетые три француза, которые подавали советы свои визирю, из которых один, говорят, был родственник Себастиана»[2].

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2884, л. 126.

[2] იქვე.

საფრანგეთის სამხედრო ემისართა გამოგზავნა ოსმალეთში მასობრივ ხასიათს ატარებდა. თითქმის ოსმალეთის არმიის ყველა დანაყოფში იყვნენ საფრანგეთის არტილერისტები, სამხედრო ინჟინრები და სხვა სახის სპეციალისტები, რომლებიც ევროპულად წრთვნიდნენ ოსმალეთის არმიას რუსეთის წინააღმდეგ ომისათვის.

ფრანგ ემისართა მოზღვავებას ოსმალეთის არმიაში იძულებული გაუხდია რუსეთის მთავრობა სპეციალური ღონისძიებანი გაეტარებინა მათ წინააღმდეგ. როგორც ირკვევა, რუსეთის მთავრობის საგანგებო განკარგულებით შექმნილა საიდუმლო ექსპედიცია, რომელსაც უნდა დაეზუსტებინა ოსმალეთის არმიის საერთო მდგომარეობა, მისი საბრძოლო მზადყოფნა, მზის სინათლეზე გამოეყვანა ფრანგი ემისრები და შეექმნა მათ წინააღმდეგ ბალკანეთის ხალხთა საზოგადოებრივი აზრი იმის შესახებ, რომ ნაპოლეონის ინტრიგით მზადდებოდა ახალი. რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელიც დიდ უბედურებას მოუტანდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ხალხებს. საიდუმლო ექსპედიციის ხელმძღვანელობა დიპლომატიურ საქმეებში საკმაოდ განსწავლულ რუს ჩინოვნიკ ფონტონისათვის დაუკისრებიათ. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ბარონ ბუდბერგის 1806 წლის 16 ოქტომბრის წერილი როდოფინკინისადმი:

«Для положения преграды пронырству Французских эмиссаров, повсюду рассеянных, учреждается тайная экспедиция под его (ლაპარაკია ფონტონის შესახებ. ნ. ჯ.) *начальством в том крае, где главная часть войск наших находиться будет. Сия экспедиция должна стараться узнавать с точностью о состоянии войск неприятельских, о силе армии их, о эмиссарах, которые со стороны Французского правительства при войске турецком находиться будут, направлять мнение народное соответственно видам нашим, на нужные по сему предмету расходы отпускается экстраординарная сумма; делать значущие подарки, лишь бы успехи соответствовали нашему ожиданию»*[1] (ხაზი ჩვენია. ნ. ჯ.).

რუსეთის მთავრობა მზად იყო დიდძალი თანხა და საჩუქრები გაეღო იმისათვის, რომ ბოლო მოეღო ოსმალეთში ფრანგ ემისართა მტრული საქმიანობისათვის, მაგრამ საფრანგეთის ხვედრითი წონა და პოლიტიკური გავლენა ოსმალეთზე ყოველდღე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. საფრანგეთი მტრობდა რუსეთს არა მარტო მაშინ, როცა იგი საზოგადოების თვალში რუსეთის აღიარებული მტერი იყო, არამედ მაშინაც კი, როცა ფორმალურად რუსეთის მო-

[1] ЦГВИА ф. BVA. д. 2884. лл, 152 об. и 153.

კავშირად ითვლებოდა. თვით ის ფაქტი, რომ რუსეთის მთავრობამ დააწესა საიდუმლო ექსპედიცია, რომელსაც საფრანგეთის ემისართა წინააღმდეგ უნდა ემოქმედნა ოსმალეთში, ლაპარაკობს საფრანგეთის ჯაშუშობისა, დივერსიისა და მისი სამხედრო სპეციალისტების მტრული საქმიანობის ფართო მასშტაბზე და საშიშ ხასიათზე.

რუსეთის დიპლომატია ცდილობდა მთელი წლის (1806 წ.) მანძილზე მოეწესრიგებინა ოსმალეთთან სადავო საკითხები, რათა თავიდან აეცდინა მასთან მოსალოდნელი ომი. რუსეთის მთავრობამ ოსმალეთს, ნოტა გაუგზავნა, რომლითაც იგი მოითხოვდა: 1. აღდგენილიყო რუსეთის უფლებები და უპირატესი მდგომარეობა დუნაისპირა სამთავროებში, დაცულიყო პაზვანტ-ოღლის და სხვა ფაშების თავდასხმებისაგან ვალახეთი, რომელიც მათგან დიდად იყო დაზარალებული. 2. ოსმალეთს ძველებურად უნდა აღედგინა ინგლისთან კავშირი, რომლის გარეშე, ნათქვამი იყო ნოტაში, შეუძლებელი იქნებოდა ოსმალეთის მთლიანობის შენარჩუნება. (ამ კავშირით კი რუსეთი ვარაუდობდა საფრანგეთის მზარდი დესპოტური ზეგავლენის დასუსტებას ოსმალეთზე) და, რაც მთავარია, 3. რუსეთის გემებისათვის ოსმალეთს უნდა მიეცა სრუტეებში თავისუფლად გასვლის უფლება[1].

ოსმალეთის მთავრობას კონსულტაციას უწევდა საფრანგეთის დიპლომატიური მისია. რუსეთსა და ოსმალეთს შორის სადავო საკითხების თითქოსდა მოწესრიგების მიზნით, საფრანგეთის რჩევით, დაიწყო მოლაპარაკება, რომელიც უშედეგოდ ჭიანურდებოდა. ოსმალეთი, დროის მოგების ინტერესებიდან გამომდინარე, გადამწყვეტ პასუხს არ იძლეოდა. ოსმალეთთან მოლაპარაკებაში ა. იტალინსკის ენერგიულად მხარს უჭერდა ინგლისის ელჩი ერბეტნოტი, რომელიც აფრთხილებდა დივანს, რომ თუ კი არ დააკმაყოფილებდა მოკავშირეთა მოთხოვნას, მალე გამოჩნდებოდა ინგლისის საზღვაო ფლოტი, რომელიც დაეხმარებოდა რუსეთს მოლდავეთსა და ვალახეთში მისი უფლებების აღდგენასა და რუსეთის საზღვაო ფლოტს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე თავისუფლად გასვლის უფლების მოპოვებაში.

1806 წლის ოქტომბრის დასასრულს იმის გამო, რომ რუსეთის მოთხოვნებზე ოსმალეთმა ფაქტიურად უარი განაცხადა, რუსეთის არმიას, რომელსაც გენ. მიხელსონი სარდლობდა, ოსმალეთის ჯარების მოსალოდნელი თავდასხმისაგან დაცვის მიზნით, ალექსანდრე

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2884, л. 153.

I-ის მიერ, ებრძანა გადაელახა მდ. დნესტრი და შეჭრილიყო მოლდავეთსა და ვალახეთში.

სანამ რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების შესახებ ვილაპარაკებდეთ, საინტერესოა გაირკვეს საკითხი, როგორ პოლიტიკას ატარებდა საფრანგეთი ირანის მიმართ, შეურიგდა თუ არა იგი ინგლისსა და ირანს შორის 1800 წელს დადებულ სავაჭრო და პოლიტიკურ ხელშეკრულებას, რომელიც აშკარად ირანიდან საფრანგეთის გავლენის ამოკვეთას ნიშნავდა; ამასთანავე საინტერესოა გაიოკვეს, თუ როგორ ცდილობდა საფრანგეთი ირან-ოსმალეთის სამხედრო ბლოკის შექმნას რუსეთის წინააღმდეგ?

საფრანგეთის მთავრობა არ ურიგდებოდა ირანში ინგლისის გაბატონებას და მიმართავდა ყოველგვარ საშუალებას იმისათვის, რათა ძირი გამოეთხარა ირანში მისი ძლიერებისათვის. ოსმალეთთან პარიზის საზავო ხელშეკრულების დადებამ საშუალება მისცა საფრანგეთს, არა მარტო განეახლებინა დიპლომატიური და სავაჭრო ხელშეკრულება მასთან, არამედ აგრეთვე გზა გაუხსნა მას ირანისაკენ. ისტორიკოსი ა. რ. იოანისიანი მდიდარი საარქივო მასალის შესწავლის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნაპოლეონმა გამოამახვილა თავისი ყურადღება ირანის მიმართ ჯერ კიდევ 1802 წელს[1] და შეეცადა ირანის მმართველი წრეების მოსყიდვას, რათა იქიდან განედევნა ინგლისელები და თვითონ გაბატონებულიყო.

როგორც ზემოთ ითქვა, ჯერ კიდევ ადრე, 1802 წ. შემოდგომაზე, ეგვიპტეში სპეციალური დავალებით გაიგზავნა პოლკოვნიკი სებასტიანი. ნაპოლეონს იგი გაუგზავნია «для исследования английских тайн. интриг и для доставления первому консулу сведений, полезных в намерении его спасти край оный Порте». გარდა ამისა, მის ამოცანას თურმე შეადგენდა ლევანტის ქვეყნებთან კავშირის აღდგენა. ჯერ კიდევ ადრე, კონსტანტინოპოლში ყოფნის პერიოდში, მას დავალება ჰქონდა, განეახლებინა ირანთან ურთიერთობა[2].

ინგლისელების ირანიდან განდევნის მიზნით საფრანგეთი ცდილობდა დაახლოებოდა ბაბა-ხანს, მოეხვეჭა მის წინაშე ავტორიტეტი და გამოეყენებინა იგი ინგლისისა და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნაპოლეონი მზად იყო, დიდძალი ფინანსები და განძე-

[1] А. Р. Иоаннисян, Присоединение Закавказья к России и международные отношения в начале XIX столетия, стр. 56, Ереван, 1958 г.

[2] АВПР, ф. канцелярия, 1803 г. д. 2235, л. 16 и об.

ულობა დაებნია შაჰის სასახლეში მისი გულის მოგებისა და გადმობირების მიზნით.

რუსეთის მმართველი წრეებისათვის ცნობილი იყო ნაპოლეონის განზრახვა. კავკასიის მთავარსარდალ ციციანოვისათვის იმპერატორის მიერ გამოგზავნილ რესკრიპტში, რომელიც დათარიღებულია 1802 წ. 26 სექტემბრით, ამის შესახებ ვკითხულობთ შემდეგს: «Ныне министерство турецкое происками правительства Французского более заимется делами сими. Известно, что первый консул располагался послать в Грузию и Персию эмиссара под видом путешественника, некоего полковника Себастиани, который из Константинополя имел начать свое путешествие»[1].

სებასტიანი 1801—1802 წლებში არ ყოფილა ირანში, მაგრამ იგი ოსმალეთში საფრანგეთის საკონსულოების საშუალებით აგროვებდა ცნობებს ირანის შესახებ. 1803 წელს ირანში გამოჩნდნენ ფრანგი ჯაშუშები, რომლებიც შეუდგნენ ინგლისის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ მუშაობას[2]. არსებობს მრავალ. ფაქტი იმის დასადასტურებლად, თუ როგორ ებრძოდნენ ინგლისი და საფრანგეთი ერთმანეთს ირანში დამკვიდრებისათვის 1802—1806 წწ. ფრანგ ემისართა საქმიანობა განსაკუთრებულ აქტიურ ხასიათს ღებულობს ირანში 1804—1807 წწ.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, 1804 წ. ინგლისის მიერ წაქეზებულმა ირანმა ომი გამოუცხადა რუსეთს, მაგრამ ინგლისმა მაშინ ირანს არსებითი დახმარება ვერ გაუწია, რითაც ისარგებლა საფრანგეთმა. საფრანგეთის ემისართა საქმიანობა ირანში დღითი დღე იზრდებოდა. პარიზიდან გაიგზავნა მრავალი სამხედრო სპეციალისტი, რომლებსაც ირანის არმიის რეორგანიზაცია და მისი ბრძოლისუნარიანობის გაძლიერება ჰქონდათ დავალებული. ამ ემისართა რიცხვს ეკუთვნოდა იმ დროს საფრანგეთში სახელმოხვეჭილი გენერალი რომიე. ემისარ რომიეს 1805 წ. სპარსეთში გამგზავრების მიზანი ცნობილი იყო რუსეთის მაშინდელი დიპლომატიური წრეებისათვის. იტალინსკი კონსტანტინოპოლიდან შემდეგს იტყობინებოდა: «Эмиссар сей (ლაპარაკია რომიეზე, ნ. ქ.) избранный Бонапартом, конечно для подаяния персидскому владетелю советов для соображения с ним средств, могущих послужить ко вреду России, имел здесь (კონსტანტინოპოლში, ნ. ქ.) он ночныя свидания с верховным визирем. Можно заключить, что Ромье пущен в

[1] Акты, т. 2, стр. 9.

[2] АВПР, ф. канцелярия, 1803 г. д. 2234, т. 2, л. 658 об.

Персию для поддержания и оживления там войны против России»[1].

საფრანგეთის ემისრები ტალეირანის მიერ იყვნენ განსწავლული თაღლითობასა და გაიძვერობაში; ისინი ძლიერ შენიღბულად მოქმედებდნენ, ხშირად სახელგამოცლილი ჩადიოდნენ ოსმალეთსა და ირანში. იმისათვის, რომ ნათელი მოვფინოთ ფრანგ ემისართა საქმიანობას ირანში, ჩვენ შევეცდებით ყველაზე უფრო დამახასიათებელი დოკუმენტები მოვიტანოთ.

1805 წლის ზაფხულის დასაწყისს ოსმალეთის სულთანთან ნაპოლეონის წერილით ჩასულა ცნობილი ფრანგი ემისარი ჟობერი. კონსტანტინოპოლში საიდუმლო მოლაპარაკების შემდეგ, ივნისის პირველ რიცხვებში, იგი, ოფიციალური ცნობის მიხედვით, თითქოსდა უკანვე პარიზს გაბრუნებულა, მაგრამ რუსეთის მზვერავებს ყურადღების ქვეშ ჰყოლიათ იგი და საფრანგეთში წასულად არ ჩაუთვლიათ, რადგანაც საზღვარზე გადასული არ შეუნიშნავთ. დიპლომატი ა. იტალინსკი, როგორც იგი 1805 წ. 7(19) აგვისტოს წერილით იტყობინებოდა, დიდად დაინტერესებულა და ცდილა გაერკვია, ჟობერმა ფრანგ ემისართათვის ჩვეული გაიძვერობა ხომ აო გამოიჩინა და სადმე შენიღბული ხომ არ მიიმალა სპეციალური დავალების შესრულების მიზნით. საინტერესოა ა. იტალინსკის იმ წერილის შინაარსი, რომელიც საფრანგეთის ემისართა ჯაშუშური საქმიანობის ერთ ყველაზე უფრო მკაფიო მაგალითს ხდის ფარდას. იგი ნათლად გვიჩვენებს, საფრანგეთის დიპლომატიური მისიის წარმომადგენლები, თუ როგორ, ყოველგვარ ადამიანურ თავმოყვარეობასა და ღირსებაზე ხელის აღებით, მზად იყვნენ შეესრულებინათ ნაპოლეონის დავალებები აღმოსავლეთის ქვეყნებში აგრესიული მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლაში. წერილში ვკითხულობთ: «Любопытствуя знать причину таковой его медленности (ლაპარაკია ჟობერზე, ნ. ქ), употребил я зависящие от меня способы разведать об оной. Узнал между тем, что французской поверенный в делах и чины миссии его разглашают, что Жобер занемог на пути и остановился в Варне; *но в продолжение собирания справок открылось, что француз сей прибыв в Варну, переоделся в длинное платье и тайным образом отправился оттуда в лодке на азиатской берег к Синопу или другому какому*

[1] Акты, т. 2, стр. 883.

способному порту; а порученные ему здесь пакеты отправил в Париж с предпровождавшим его отсюда Французским драгоманом... Жобер намерен пробраться в Персию, где он имеет исполнить данные ему от Бонапартия поручения, неприятельские для России.. Не сомнительно то, что он, поощряя Баба Хана к продолжению противу нас войны, имеет обещать разные пособия; а особливо доставление ему из Восточной Индии довольного числа офицеров и прочих служителей артиллерийских... Единовременно почти с отбытием отсюда Жобера, отправился в Восточную Индию, бывший здесь проездом хитрой и весьма подвижной эмиссар Ромье».[1] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.) ჟობერს ნაპოლეონისაგან დავალებული ჰქონდა ქურდულად, რუსეთისა და ინგლისის ელჩებისათვის შეუმჩნეველად, ოსმალეთიდან შეპარულიყო ირანში, ბაბა-ხანისათვის გადაეცა ნაპოლეონის წერილი და შეპირებოდა მას რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში სერიოზული დახმარების აღმოჩენას, აღეთქვა შაჰისათვის აღმოსავლეთ ინდოეთიდან საფრანგეთის ოფიცრებისა და სხვა სამხედრო სპეციალისტების გადმოსხმა ირანში იმ მიზნით, რომ ბაბა-ხანს განეგრძო შეუნელებელი და ენერგიული ომი რუსეთის წინააღმდეგ.

ცნობილია, რომ ირანსა და რუსეთს შორის ომის დაწყების საქმეში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ინგლისელებმა. ირან-რუსეთის ომის გაგრძელება ახლა დიდად ხელსაყრელი იყო ნაპოლეონისათვის. იგი ცდილობდა, ამ ომის ხანძრისათვის ნავთი დაესხა და მისთვის ფართო ხასიათი მიეცა. რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ინგლისი ირანის პოლიტიკურ სცენაზე ახლა საფრანგეთს უნდა შეეცვალა. სულ მალე ინგლისის ადგილი მართლაც საფრანგეთმა დაიკავა, მაგრამ ძირითადი პოლიტიკური ხაზი აღმოსავლეთში — ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ, — უცვლელი რჩებოდა. დიპლომატ ჟობერს ნაპოლეონისაგან დავალებული ჰქონდა, დაერწმუნებინა შაჰი იმაში, რომ ინგლისი მას ვერავითარ დახმარებას ველარ გაუწევდა, რადგანაც იგი უკვე რუსეთის მოკავშირე იყო. ბაბა-ხანს რჩევა ეძლეოდა, — ინგლისელები ირანიდან გაეძევებინა და თვითონ კი საფრანგეთს მიკედლებოდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. საფრანგეთის ემისარი შთააგონებდა ირანის დიდებულებსა და შაჰს, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიაში ირანის ბატონობის აღდგენისათვის ერთადერთი საიმედო ძალა საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონი იყო.

[1] ЦГИА Грузии, ф. 2, оп. 1, д. 88, л. 235—236 и об.

ჟობერი ირანში მიემგზავრებოდა არა თავისი სახელით, არამედ ვინმე ალიეს სახელზე გაფორმებული დოკუმენტით. ა. ჩარტორიჟსკის 1805 წლის 8 სექტემბრის ცნობით «Жобер отправился через Требизонт и Эрзерум, и пред отъездом своим из Царграда взял подорожный фирман на имя Алье (Allie), потому догадываются, что он преименует себя в Персии сим последним прозванием»[1].

ინგლისსა და საფრანგეთს შორის წინააღმდეგობა ირანში იმდენად გამწვავდა, რომ ინგლისელები და ფრანგები ერთმანეთის წინააღმდეგ ტერორისტულ აქტებსაც არ ერიდებოდნენ. როგორც ირკვევა, ირანში მიმავალი რომიე მშვიდობით ჩასულა ალეპოში; იქ მას შეხვედრია ჟოზეფ რუსო და მისთვის წინადადება მიუცია, ერთად გამგზავრებულიყვნენ ირანს. რუსო შეპირებია უფრო გვიან ჩასვლას ირანში, ხოლო რომიესთვის გაუყოლებია თავისი ჭკვისლი ჟორჟ უტრეი. რომიესა და მის მხლებელთა მგზავრობა ირანში სახიფათო აღმოჩნდა. ინგლისელებმა, როგორც იტალინსკის 1805 წ. 3(15) ოქტომბრის წერილიდან ირკვევა, მიუჩინეს რომიეს გზაზე ვიღაც „თათარი", რომელიც თავს უნდა დასხმოდა მას და მოეკლა იგი, მკვლელობისათვის ამ თათარს დიდძალ თანხას შეპირდნენ. მიუხედავად მრავალი ცდისა, მან ვერ მოახერხა რომიეს მოკვლა. რომიე ირანს ჩავიდა; მას საუბარი ჰქონდა ბაბა-ხანთან და საფრანგეთის მთავრობის სახელით დაპირდა დიდ დახმარებას რუსეთის წინააღმდეგ ომში. რუსეთის გენერალური კონსული რუბო დე პონტეევ ამის შესახებ იტყობინებოდა, რომ ფრანგ ემისარ რომიეს ჰქონდა *«две аудиенции при тамошнем дворе, уверял, сколь нужно для Персии употребить все усилия свои для возвращения завоеванных Россиею мест, что Бонапарте будет сильно в том способствовать»*[2]. მოტანილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონი ბაბა-ხანს ჰპირდებოდა სამხედრო დახმარებას რუსეთის მიერ შემოერთებული ტერიტორიების დაბრუნების საქმეში. უპირველესად ყოვლისა, აქ იგულისხმებოდა რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთებული აღმოსავლეთი საქართველო და ამიერკავკასიის სხვა სახანოები, რომლებიც რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

[1] ЦГИА Грузии, ф. 2, оп. 1, д. 88, л. 278 и об.

[2] АВПР. 1805—1810 гг. ф. Главный архив 1—9, д. 2. лл. 163—165.

თეირანში ჩასვლიდან დაახლოებით სამი კვირის შემდეგ რომიე გარდაიცვალა. რომიეს გარდაცვალებაში, როგორც იტალინსკი იტყობინებოდა, საფრანგეთის მთავრობა ინგლისელებს ადანაშაულებდა. თვით ეს ფაქტი მიგვითითებს იმაზე, თუ რაოდენ მუხანათურად ექცეოდნენ ერთმანეთს ინგლისელები და ფრანგები ირანში დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. ინგლისისა და საფრანგეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკა მიმართული იყო ერთდროულად ერთმანეთისა და ამავე დროს რუსეთის წინააღმდეგ.

საფრანგეთის მტრული საქმიანობა რუსეთის მიმართ მარტო ოსმალეთსა და ირანში პირველობისათვის ბრძოლით არ ამოიწურებოდა. არსებობს მრავალი საარქივო მასალა, რომლებიც უტყუარად ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ საფრანგეთი განაწყობდა ირანსა და ოსმალეთს საქართველოს დასაპყრობად. საფრანგეთს თავისი ჯაშუშები საქართველოშიაც ჰყავდა, ე. წ. კათოლიკე მისიონერების სახით. ქართველთა ეს ვითომდა „განმანათლებლები", საქართველოს შესახებ მდიდარ ცნობებს აწვდიდნენ საფრანგეთის საელჩოს ოსმალეთში. რუსეთის ელჩი იტალინსკი კონსტანტინოპოლიდან გენ. ციციანოვს 1803 წ. 2(14) ნოემბერს აუწყებდა იმის შესახებ, რომ «учреждено издавна в Грузии общество миссионеров католического исповедания, которое всегда состоит в переписке с находящимся здесь французскими министрами. Сии миссионеры по прошествии нескольких лет переменяются. Сюда недавно прибыло двое таковых, но по причине позднего времени не прежде будущей весны могут они отправиться в Грузию. Один из них имел весьма частыя свидания с пребывающим здесь Французским послом и, может быть, получил от него наставления трудиться в пользу французских в том крае видов»[1].

იტალინსკი სთხოვს გენ. ციციანოვს: დააწესოს მტკიცე კონტროლი კათოლიკე მისიონერთა საქმიანობაზე, რადგანაც იგი დარწმუნებულია იმაში, რომ «католические миссионеры, находящиеся в Персии и Грузии, бессомненно, сообщают ей (ლაპარაკია საფრანგეთზე. ნ. ჭ.) все новости»[2].

რუსეთის გენერალური კონსული ტრაპიზონში რუბო დე პონტევე 1806 წ. 20 ივნისს რუსეთის ხელისუფლების წინაშე სვამდა

[1] Акты, т. 2, д. 1800, стр. 874.

[2] ЦГИАГ. ф. 2, оп. 1, д. 88 л. 281 и об. შდრ. АВПР, ф. канцелярия, 1805, д. 2249, л. 658, შდრ. Акты, т. 3, д. 1809. стр. 886.

საკითხს «о надобности надзирать за перепискою католических духовных».[1]

შეიძლებოდა მრავალი ფაქტის მოტანა იმის შესახებ, თუ როგორ უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (კერძოდ ირანსა და ოსმალეთში) საკუთარი ბატონობის დამყარებისათვის, მაგრამ ამჯერად ჩვენ გადავწყვიტეთ მოტანილით დავკმაყოფილდეთ. ინგლისი და საფრანგეთი ახალი ბაზრებისათვის ბრძოლაში ცალ-ცალკე ერთმანეთს მტრობდნენ, მაგრამ ორივე ერთად რუსეთის დაუძინებელი მტრები იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ფორმალურად რუსეთის მოკავშირეებადაც გამოდიოდნენ.

ნაპოლეონ ბონაპარტემ თავისი ძირითადი პოლიტიკური მიზანდასახულება უფრო გვიან გენერალ გარდანისადმი მიცემულ ინსტრუქციაში შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: *«Наша главная цель заключается: в образовании троественного союза между Францией, Персией и Турцией в проложении себе пути в Индию и в доставлении нам союзников против России»*[2] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.).

საფრანგეთი ცდილობდა ინტენსიური გაეხადა ირანის სამხედრო მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ, შთაეგონებია ირანელებისათვის, რომ რუსები წარმოადგენდნენ მათ ბუნებრივ მტერს, *«они отняли у них Грузию, угрожают ея лучшим провинциям».*[3] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.). რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში საფრანგეთი ჰპირდებოდა ბაბა-ხანს 30 საველე ქვემეხს და 10 ათას შაშხანას[4], იმ ვარაუდით, რომ *«Персия произвела сильную диверсию к границам России»*[5]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.)

ნაპოლეონი საფრანგეთსა და ირანს შორის სამხედრო კავშირის გაფორმების მიზნით სისტემატურად აგზავნიდა ირანში სამხედრო მისიებს ბონტანის, ჟუანენის, დე ლაბლანშის, რუმანის, პონტეკულანის და სხვათა მეთაურობით. ირანის შაჰმა საფრანგეთის მისიის უშუალო კარნახით რამდენიმეჯერ გაგზავნა ოსმ-

---

[1] АВПР, 1805—1810 гг. Главный архив, I—9, д. 2. л. 160 об.

[2] Сборник географических, топографических и статистических материалов по Азии, стр. 73. Спб. 1886 г.

[3] იქვე, გვ. 69.

[4] იქვე, გვ. 72.

[5] იქვე, გვ. 69.

ლეთში სპეციალური დიპლომატიური წარმომადგენელი, რომელსაც უნდა დაერწმუნებინა სულთანი რუსეთის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნისა და სამხედრო ბლოკის გაფორმების აუცილებლობაში. ირანის ელჩმა აუწყა სულთანს, რომ შაჰის სარდლობის ქვეშ იმყოფებოდა 149 ათასიანი ცხენოსანი და 60 ათასიანი ქვეითი კარგად გაწრთვნილი და შეიარაღებული არმია.

ირანსა და ოსმალეთს შორის არსებობდა არსებითი ხასიათის წინააღმდეგობა, რომელიც ხელს უშლიდა მათ შორის სამხედრო კავშირის გაფორმებასა და ერთიანი ფრონტის შექმნას რუსეთის წინააღმდეგ; ამის შესახებ ჩვენ ცალკე გვექნება ლაპარაკი. საფრანგეთის მთავრობა კი ცდილობდა ეს წინააღმდეგობანი დროებით მაინც ჩაექრო და ირან-ოსმალეთის საერთო ძალა რუსეთის წინააღმდეგ წარემართა.

1806 წ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების წინ, საფრანგეთის გავლენა ირანზე საკმაოდ დიდი იყო; საფრანგეთი ცდილობდა შაჰის მოსყიდვითა და რუსეთის წინააღმდეგ ინტენსიური დახმარების გაწევით ირანიდან განედევნა ინგლისელები.

1806 წლის დასასრულს ოსმალეთში საბოლოოდ გაიმარჯვა რუსეთისადმი მტრულად განწყობილმა პარტიამ. საგარეო საქმეთა მინისტრი ბუდბერგი ფელდმარშალ მიხელსონს სწერდა, რომ **«сила французской партии в Царграде одержала совершенную поверхность над благомыслящею частью дивана, требовавшею быть верною пользам своего отечества и союзу с Россиею».**[1]

საფრანგეთის დიპლომატია აჩქარებდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომის დაწყებას, ართულებდა რუსეთის მდგომარეობას აღმოსავლეთში, დახმარებას აღუთქვამდა ირანს რუსეთის წინააღმდეგ ომში და ცდილობდა ირანისა და ოსმალეთის გაერთიანებული სამხედრო ძალა დაეპირისპირებინა რუსეთისათვის. ნაპოლეონის ვერაგულმა პოლიტიკამ თავისი შედეგი მოიტანა, რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი გარდუვალი გახდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ომის დაწყების წინ არსებობდა რუსეთს, ოსმალეთსა და ირანს შორის საქართველოსთან დაკავშირებული წინააღმდეგობანი, რომელმაც სხვა წინააღმდეგობათა შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების მომზადების საქმეში.

---

[1] ЦГВИА, ф. 470, д. 2, л. 81.

თავი მეორე

რუსეთისა და თურქეთ-ირანის წინააღმდეგობანი საქართველოში გაბატონებისათვის XIX ს. დასაწყისში

აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახეთის) რუსეთთან შეერთებით არ ამოიწურებოდა რუსეთის ინტერესები საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ამით დაიწყო რუსეთის მიერ სამხედრო-სტრატეგიული პლაცდარმის შექმნა ამიერკავკასიის შუაგულში. რუსეთის დიპლომატია ცდილობდა ამ პლაცდარმის შემდგომ გაფართოებას. პირველ ხანებში იგი იფარგლებოდა კასპიისა და შავი ზღვების სანაპიროებზე მდებარე ფეოდალური სახანოებისა და სამთავროების მიღებით თავისი მფარველობის ქვეშ; ზოგჯერ მათ ერთგვარ ავტონომიასაც კი უტოვებდა. რუსეთს ამიერკავკასიაში აინტერესებდა აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიები, რომლებიც ირანს ეჭირა და ოსმალეთის ხელქვეითი შავი ზღვის სანაპირო პროვინციები, რომლებსაც ენიჭებოდათ უაღრესად დიდი სამხედრო და ეკონომიური მნიშვნელობა. აღმოსავლეთ საქართველოში ფეხისმოკიდებით რუსეთი დიდ საშუალებას აძლევდა რუსული ორიენტაციის ამიერკავკასიის სახელმწიფო მოღვაწეებს დაკავშირებოდნენ რუსეთის ხელისუფლებას და მისი მფარველობის ქვეშ შესულიყვნენ. თვითონ ალექსანდრე I 1801 წ. 12 სექტემბრის მანიფესტში რჩევას აძლევდა გენ. კნორინგს დაახლოებოდა ამიერკავკასიის ხალხებსა და მათს დიდკაცობას, მიემხრო ისინი და საბოლოოდ რუსეთის მფარველობის ქვეშ მოექცია; იგი წერდა: «Содержа сношения с окрестностными владельцами и народами, стараться приумножить число приверженных к России, особенно же привлекать ханов Эриванского, Ганджинского, Шекинского, Ширванского, Бакинского и других,над коими власть Баба-хана еще не утвердилась»[1]. რუსეთის მთავრობა, ირკვევა, ცდილობდა თავისი ხელი-

[1] Акты, т. 1, д. 548, стр. 436.

სუფლება გაევრცელებინა ირანის იმ სახანოებზე ამიერკავკასიაში, სადაც ირანის გავლენა დასუსტებული იყო და რომელთა საბოლოო დამორჩილება ბაბა-ხანს ჯერ კიდევ ვერ მოესწრო.

რუსეთის მისწრაფებანი ირანის შაჰ ბაბა-ხანისათვის ცნობილი იყო. 1802 წ. შემოდგომით ყარაბაღის იბრაჰიმ-ხალილ-ხანთან გამოცხადდა ირანის ელჩი ფირ-ყული-ხანი უჯარი, რომელმაც კატეგორიულად მოითხოვა ყარაბაღის ირანისადმი დამორჩილება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სასტიკად იმუქრებოდა[1]. ამგვარივე წინადადება ბაბა-ხანმა წაუყენა ბაქოს ჰუსეინ-ხანს. როგორც ირკვევა, იგი ესწრაფოდა აღედგინა შაჰების ძველი დიდება და გავლენა ამიერკავკასიის სახანოებში.

ალექსანდრე I, თავის მხრივ, ცდილობდა აზერბაიჯანისა და დაღესტნის ხანებთან დაემყარებინა მეგობრული ურთიერთობა, მოესყიდა ისინი, გადმოებირებინა რუსეთის მხარეზე და მიეღო თავის მფარველობის ქვეშ, რითაც საფუძველს გამოაცლიდა ირანის ბატონობას; ამ მიზნით ალექსანდრე I-მა კნორინგს უბრძანა: **«Собрать на совещание самых владельцев или их посланцев и предложить им заключить между собою союзный договор под верховным покровительством России»**[2].

ალექსანდრე I თავს აზერბაიჯანისა და დაღესტნის სახანოების მოსარჩლედ ასაღებდა, საქმეს ისე წარმოადგენდა თითქოსდა იგი ხელმძღვანელობდა „კაცთმოყვარული“ პრინციპით მათ მიმართ, სახანოებს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმების ძირითადი იდეა რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების ზედამხედველობით თითქოსდა ამ ხალხებისადმი რუსეთის მთავრობის კეთილი სურვილებიდან გამომდინარეობდა[3]. აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების ობიექტური შედეგები მართლაც პროგრესული იყო, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ცარიზმის სუბიექტური მისწრაფებანი და მისი ობიექტური შედეგები ერთი და იგივე ყოფილიყოს.

რუსეთის გენერალური კონსული ირანში სკიბინევსკი 1802 წ. 27 აპრილს ბაქოდან იტყობინებოდა, რომ ბაბა-ხანმა განიზრახა გადაეყენებინა და სასტიკად დაესაჯა აზერბაიჯანის ის ხანები, რომ-

---

[1] История Азербайджана, т. 2,стр. 2, Баку, 1960.

[2] ЦГА Даг. АССР, ф. 150, оп. 1, д. 18, лл. 21 и об. Цит. Н. Дубровин, Закавказье от 1803—1806 г. стр. 66.

[3] Н Дубровин, Закавказье... стр. 66.

ლებიც რუსული ორიენტაციისანი იყვნენ და რუსეთთან ხელშეკრულების გასაფორმებლად ემზადებოდნენ, განსაკუთრებით კი თალიშის მირ-მუსტაფა-ხანი. ბაბა-ხანისათვის ცნობილი იყო, რომ რუსეთი „მფარველობითი ხელშეკრულების“ გასაფორმებლად იწვევდა აზერბაიჯანისა და დაღესტნის ხანებს გეორგიევსკში; სკიბინევსკი წერდა, რომ ბაბა-ხანი **«немало воспрепятствует предполагаемому соделанию союза между владельцами по сию сторону Куры реки»...**[1].

თალიშის ძლიერი სახანოს რუსეთის მფარველობის ქვეშ გადასვლა ირანს ბევრ სხვა სახანოს, მათ შორის დიდი მნიშვნელობის მქონე ბაქოს სახანოსაც დაუკარგავდა. ცხადია, ბაბა-ხანი ვერ შეურიგდებოდა რუსეთის ამგვარ ნაბიჯს ამიერკავკასიაში. ამის გამო სკიბინევსკი რუსეთის მთავრობას რჩევას აძლევდა სახანოებს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმების საქმე დაეჩქარებინა, ვიდრე ბაბა-ხანი დაიწყებდა ამიერკავკასიაში ლაშქრობას[2].

დაღესტნისა და აზერბაიჯანის ხანების ყრილობას უნდა გადაეწყვიტა რუსეთისათვის საინტერესო სამხედრო და სავაჭრო-ეკონომიური ხასიათის პრობლემა კასპიის ზღვის აუზში. ქ. გეორგიევსკში 1802 წლის ბოლოს თავი მოიყარეს ყუბისა და თალიშის სახანოების, ტარკის საშამხლოს, ყარაყაიტაღის უცმისა და სხვა ფეოდალური სამფლობელოების წარმომადგენლებმა; დაღესტნისა და აზერბაიჯანის ფეოდალური სახანოებისა და სამფლობელოების ერთი ნაწილი მომლოდინეობით პოზიციებს ინარჩუნებდა და უცდიდა პოლიტიკურ მოვლენათა შემდგომი განვითარების შედეგებს. მოლაპარაკება იმავე წლის 26 დეკემბერს დამთავრდა ე. წ. „გეორგიევსკის ხელშეკრულების“ გაფორმებით. **«Посланцы — ნათქვამია ისტორიულ დოკუმენტში,—действительно были собраны Кнорингом в Георгиевске, трактовали с ним и во всем согласились»**[3].

„გეორგიევსკის ხელშეკრულება“ 12 მუხლისაგან შედგებოდა; ხელშეკრულების პირველი მუხლი საზეიმოდ აღიარებდა, რომ ყრილობის მონაწილენი ამიერიდან რუსეთის მფარველობის ქვეშ შედიოდნენ, ხელს იღებდნენ ურთიერთ მტრობასა და უთანხმოებაზე[4].

---

[1] АВПР. Ф. Главный архив, 1801—1814 гг., 1—13, д. 5, л. 4—5.

[2] იქვე.

[3] ЦГА Даг. АССР, ф. 150, оп. 1, д. 18, л. 21 и об.

[4] Н. Дубровин, Закавказье..., приложение документов, стр. 486.

თუ მოკავშირეთა შორის წარმოიშობოდა უთანხმოება რაიმე საკითხთან დაკავშირებით, მაშინ სადავო საკითხი, ნათქვამია მეორე მუხლში, «разбирать дружески, по общим законам и обыкновениям той земли, в которой то будет»[1]. სადავო საკითხი თუ ამ გზითაც ვერ გადაიჭრებოდა, მაშინ დავა მოკავშირე ხანების შუამავლობით უნდა გადაწყვეტილიყო. ხოლო თუ კი ამ საშუალებითაც საკითხის მოგვარება შეუძლებელი გახდებოდა, მაშინ უმაღლესი ინსტანციის — რუსეთის იმპერატორის განაჩენი საბოლოო და სავალდებულო უნდა ყოფილიყო მოდავე მხარეებისათვის[2]. ხელშეკრულება განამტკიცებდა მოკავშირე სახანოებს შორის მეგობრულ ურთიერთობას.

მოკავშირეთა წინააღმდეგ ირანის შაჰისა და სხვა სახანოების გაერთიანების შემთხვევაში, რუსეთის იმპერატორის მფარველობით ისინი, როგორც ერთი, უნდა გამოსულიყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად[3].

რუსეთი დაინტერესებული იყო ეკონომიური ურთიერთობა განემტკიცებინა აღმოსავლეთის ქვეყნებთან, ფართო გავლენა ჰქონოდა კასპიის ზღვის აუზში და გარანტირებული ყოფილიყო მისი სავაჭრო გემების უსაფრთხოება. იმ შემთხვევაში, თუ სტიქიური უბედურება — საზღვაო კატასტროფა ან მოულოდნელი ავარია — თავს დაატყდებოდა საზღვაო ტრანსპორტს, ხელშეკრულების დამდებნი ვალდებულებას კისრულობდნენ ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინათ სავაჭრო ტრანსპორტისა და დაზარალებული ეკიპაჟისათვის[4]. ხელშეკრულებით რეგლამენტირებული იყო სავაჭრო ბაჟები და მისი შესრულება სავალდებულო იყო ხელშეკრულების დამდები ყველა ხანისათვის.

სავაჭრო ქარავნები ხელშეკრულებით დაზღვეული უნდა ყოფილიყვნენ ყოველგვარი თავდასხმისაგან ხმელეთზეც. თუ რომელიმე სახანოში სავაჭრო ქარავანი გაიძარცვებოდა, ხანი თვითონვე იყო ვალდებული თავისი ჭონებიდან ზარალი აენაზღაურებინა.

---

[1] Н. Дубровин, Закавказье .. приложение документов, стр, 486.

[2] იქვე, გვ. 487.

[3] იქვე, გვ. 487—488.

[4] იქვე, გვ. 488—489.

ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით იდებოდა[1]. რუსეთის მთავრობა უფლებამოსილი იყო სასტიკი ზომები მიეღო ხელშეკრულების დამრღვევთა მიმართ და სანიმუშოდ დაესაჯა ისინი[2].

„გეორგიევსკის ხელშეკრულებას", როგორც ეკონომიური, ისე დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის. რუსეთის მთავრობას უკვე გააჩნდა იურიდიული დოკუმენტი, რომლის საფუძველზე მას ამიერიდან შეეძლო ებრძოლა აზერბაიჯანსა და დაღესტანში თავისი ხელისუფლების დამკვიდრებისათვის. იგი შეეცადა ირანის შაჰისათვის აზერბაიჯანისა და დაღესტნის ზოგიერთი ხანებისა და მსხვილი ფეოდალების სამხედრო და პოლიტიკური კავშირი დაეპირისპირებინა. ამიერიდან რუსეთი უფლებამოსილი იყო კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარე ზოგიერთი სახანოებისაგან მისდამი მორჩილება და პატივისცემა მოეთხოვა. თუ ირანსა და ინგლისს შორის დადებული ხელშეკრულებით ინგლისი კასპიის ზღვის აუზში გაბატონებისათვის იბრძოდა, რუსეთი ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით და ცალკეული ხანების გადმობირებისა და მოკავშირეებად გახდომის გზით შეეცადა საკუთარი ბატონობა დაემყარებინა იმავე ზღვის აუზში. ირანსა და რუსეთს შორის წინააღმდეგობა სულ უფრო რთულდებოდა, ირანი საქართველოში რუსეთის ჯარების განადგურებაზე ფიქრობდა.

1803 წელს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის ვალდებულებას ბაქოს სახანოს წარმომადგენელმაც ხელი მოაწერა, რომლითაც რუსეთი უფლებამოსილი ხდებოდა თავისი ჯარი ბაქოში შეეყვანა. იმავე წელს რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდა ავართა სულთანი აბმედ-ხანი, რომელმაც ვალდებულება იკისრა თავს არ დასხმოდა რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფ მთის ხალხებს და დაეცვა საქართველოს უშიშროება, მეზობელ სახანოებთან უთანხმოების შემთხვევაში სადავო საკითხების გადასაწყვეტად რუსეთის იმპერატორისათვის მიემართნა[3].

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და აქ რუსეთის ძალაუფლების დამყარება, ასევე დაღესტნისა და აზერბაიჯანის ზოგიერთი სახანოს რუსეთის მფარველობის ქვეშ გადასვლა დიდ განგაშს იწვევდა როგორც ირანში, ისე აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართვე-

[1] Н. Дубровин, Закавказье..., приложение документов, стр. 490—491.

[2] იქვე.

[3] Акты, т. 2, стр. 766.

ლოს დიდებულთა იმ ნაწილში, რომელიც საკუთარი ხელისუფლების დაკარგვას ვერ ურიგდებოდა. ირანის შაჰი საომრად ემზადებოდა.

ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმება და რუსეთის ძალაუფლების დამყარება 1783 წლის „გეორგიევსკის ტრაქტატის“ პირობებს სცილდებოდა, რამაც ქართველ დიდებულთა გულისწყრომა გამოიწვია; ისინი უკმაყოფილონი იყვნენ ადრინდელი პრივილეგიების დაკარგვითა და რუსი ჩინოვნიკების თავგასულობით.

ალექსანდრე ბატონიშვილი 1800 წელს საქართველოდან გაიქცა, შემდეგ იგი სამეფო ტახტზე დამკვიდრებისათვის და ტახტის მოცილეთა წინააღმდეგ საბრძოლველად ირანის შაჰის კარზე ეძებდა დამხმარე ძალებს.

ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთება არ მოსწონდა იმერეთის მეფესაც. ის საკმაოდ ჩახედული იყო რუსეთის ცარიზმის პოლიტიკაში, და ასე ფიქრობდა: თუ დღეს გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო, ხვალ იგივე ბედი იმერეთს ეწვევა. ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ ქართლ-კახეთის სამეფო აღმდგარიყო თავის ადრინდელ პირობებში. იმერეთის მეფესთან თავს აფარებდნენ აღმოსავლეთ საქართველოდან გახიზნული იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები.

სოლომონ II თავიდანვე რუსული ორიენტაციის წინააღმდეგი არ ყოფილა, მაგრამ წინააღმდეგი იყო საქართველოში სამეფოების გაუქმებისა და მათი რუსეთის პროვინციებად გადაქცევისა. იმერეთის მეფეს რუს მოხელესთან გენ. ლაზარევთან 1801 წ. 18 აგვისტოს ქუთაისიდან ყველაზე სანდო პირი — როსტომ ნიჟარაძე გაუგზავნია და მისთვის თავისი პოლიტიკური თვალსაზრისი გაუზიარებია. სოლომონ II ლაზარევს სწერდა: „ჩემი სარწმუნო, სანდო და მესაიდუმლე ნიჟარაძე როსტომ გამომიგზავნია, რაც ამ ჩემმა კაცმა როსტომ ნიჟარაძემ სთქვას ისე მიიღევით, როგორც თვითონ მე მან ვიყო“[1].

საინტერესოა, რა შინაარსისა იყო როსტომ ნიჟარაძის საუბარი ლაზარევთან და როგორი იყო ამ საუბრის მიხედვით სოლომონის დამოკიდებულება რუსეთისადმი. ნიჟარაძეს განუცხადებია: „...ამას წინათ უნდა მეფე სოლომონს უმაღლეს კარზე ელჩი გაეგზავნა თავის ბიძების შესაევედრებლად, ამ აზრზე მისმა უმაღლესობამ ჩემი თავი თქვენს მაღალ მსვლელობას აახლა და ასე მოგახსენათ: თუ ბიძა ჩემს ივ-

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 5, л. 52.

ლონს თავისი მამა-პაპათსეული სამეფო ებო ძე-
ბაასე, რომ მბრძანებელი იყოს როგორც მამა
ამისი მეფეირაკლი უბრძანებდა საქართველოს,
ტფილის და კახეთს, ისე ეს უბრძანებდეს, და
თქვენი უძლეველიმხედრობაცაქიმყოფებოდეს
ყმა საყოფელი. რაც საქართველოში მადანი შუ-
შაობს, ესენი უველა ხელმწიფეს მიერთვას, სა ლ-
დათი, როგორც შეიძლებოდეს საქართველო დ-
გან, ისე მიირთვას, სხვა სამსახური კიდევ რო-
გორც შეიძლებოდეს. თითონ ეს თუ მეფედ იქმ-
ნეს იულონ, ხელმწიფის ბრძანების მორჩილი
იქმნეს თვინიერ მეფობის ახდისა. თუ ამ ვედრე-
ბას ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორი
გაუგონებს და ამ მოწყალებას მის უმაღლეს ო-
ბის მეფესზე მიიღებს, თავის თავს მის საფარ-
ველს ქვეშ მიართმევს, სანამდის ცოცხლებს
ერთგულად სამსახურს ეცდება და შემდგომად
აღსასრულისა თავის საბრძანებელს იმერეთს
იმპერიათ გახდის ხელმწიფის საბრძანებელს
ქვეშ. ამ ვედრებაზე უდიდებულეს კარზედაც
ელჩი ახლო ბრწყინვალე თავადი საჩინო ვახ-
ტანგისშვილი, ამ საქმეს ჩემი ხელმწიფე უმაღ-
ლეს კარსვედრებითსთხოვს და თქვენის მაღალ-
მსელელობისაგანითხოვს, რომ ეს ჩვენი (ასეა, ნ. ქ.)
ვედრება უმაღლეს კარზე გამოაცხადოო"[1]. (ხაზი
ჩვენია, სასვენი ნიშნები ჩვენს მიერაა დასმული, ნ. ქ.)[1].

ჩანს, სოლომონ მეფეს რუსეთის „მფარველობისა" ეშინოდა: რუსეთის მთავრობამ ხომ ქართლ-კახეთი, რომელთანაც ადრე „მფარველობითი ხელშეკრულება" გააფორმა, უკვე შეიერთა და იქ მეფობა გააუქმა. იმერეთის მეფე მოითხოვს: ქართლ-კახეთში აღდგენილ იქნას მეფობა, სამეფო ტახტზე აყვანილ იქნას მისი ბიძა იულონი, იმ უფლებით, რომელიც ქართლ-კახეთის მიმართ ადრე ერეკლე მეფეს ჰქონდა. სოლომონი რუსეთის ჯარის საქართველოში ყოფნის წინააღმდეგი არაა, იგი თანახმაა ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები რუსეთის ხელმწიფეს გადაეცეს, ქართველობა ჯარში გავიდეს და სხვ. თუკი რუსეთის ხელმწიფე ზემოაღნიშნულ თხოვ-

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 5, л. 46 и об.

ნას დააკმაყოფილებდა, თვითონ სოლომონ II „რუსეთის მფარველობის“ ქვეშ შევიდოდა და მზად იყო ერთგულად ემსახურა. ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ სოლომონი „გეორგიევსკის ტრაქტატის“ მოშლას და მის გარანტირებულ დაცვას მოითხოვს, იგი წინააღმდეგია საქართველოს სამეფოების გაუქმებისა და ქვეყნის მართვა-გამგეობაში რუსული წესების დამკვიდრებისა; მეფე სოლომონი მოითხოვს იმერეთში მეფობის ხელუხლებლად შენარჩუნებას, ხოლო ქართლ-კახეთში კი გაუქმებული სამეფოს აღდგენას.

სოლომონ II აგზავნიდა რა ელჩებს იმპერატორის კარზე, ოფიციალურად ითხოვდა რუსეთის მფარველობის ქვეშ იმერეთის მიღებას, მაგრამ მისი ნამდვილი მიზანი მაშინ ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენა და სამეფო ტახტზე იულონ ბატონიშვილის დამტკიცება იყო.

მეფე სოლომონს 1802 წლის ივლისის პირველ რიცხვებში გენ. კნორინგთან სოლომონ ლიონიძე გაუგზავნია და მისთვის თავისი, იულონისა და ფარნაოზის წერილები გაუტანებია. სოლომონს ერთგულების ნიშნად რუს ხელისუფალთან შაჰის მიერ მისთვის გამოგზავნილი წერილებიც გაუგზავნია. სოლომონ ლიონიძე ჩასულა კოვალენსკისთან და მისი მეშვეობით გენ. კნორინგისათვის გადაუცია სოლომონ II-ის პოლიტიკური შეხედულებანი საქართველოს მართვა-გამგეობის შესახებ. სოლომონის პოლიტიკური შეხედულებებიდან არ ჩანს, რომ იგი შექმნილ კონკრეტულ ვითარებაში წინააღმდეგი იყო რუსეთის მფარველობის ქვეშ საქართველოს შესვლისა, თუ კი რუსეთის მთავრობა ზუსტად დაიცავდა მფარველობის შესახებ დადებულ ხელშეკრულებას და არ გააუქმებდა მეფობას საქართველოში. იმერეთის მეფე თანახმა იყო შესულიყო რუსეთის მფარველობის ქვეშ, თუ მას სიკვდილამდე მეფის ტიტულს შეუნარჩუნებდნენ, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ იგი, ვითარცა უშვილო, დასაშვებად თვლიდა იმერეთი შეერთებოდა რუსეთს. ამის შესახებ კოვალენსკის მიერ კნორინგისათვის გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „О н (ლაპარაკია სოლომონ II-ზე, ნ. ქ.). *все свои владения, в коих ныне без всякой от Порты зависимость утвердился, подвергнет под верховную власть его императорского величества на присоединение к Грузии, с одним токмо условием— сохранить ему почесть и наименование царя по конец дней его;*

ибо быв бездетен, претензии своих дале не простирает».[1] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.) არც აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სოლომონ II ანტირუსული ორიენტაციისა ყოფილიყოს.

როგორც ზემოთ ითქვა, სოლომონ II-ემ გენ. კნორინგს გაუგზავნა ბაბა-ხანის მიერ მისთვის გამოგზავნილი ფირმანები. როგორც კი ქართლ-კახეთში რუსეთის ხელისუფლება დამკვიდრდა და იულონი და ფარნაოზი იმერეთს გადაიხვეწნენ, ირანის შაჰი შეეცადა იმერეთის მეფე რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება და აღმოსავლეთ საქართველოში თავისი ძველი უფლებები აღედგინა. ფირმანში ბაბა-ხანი წერდა, რომ „ქვეყანა საქართველოსა ერანის უზადოს მფლობელისა და ცამდე აღწევნილის სიმტკიცით შემოზღუდვილთ მამულთა და ადგილთ ნაწილიარის, და გიორგი მეფემ და მისმან შვილებმა, პირშაობითა და უჭკოობით, მცირე რამ ჯარი რუსეთისა თავეთის სიმტკიცისა და შემწეობისათვის მოიყვანეს თბილისს ქალაქში და დააყენეს, და იმ მხარეს დაპყრობისა და დამკვიდრების ალამი და ბაირახი აუმართავსთ"[2]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.)

მოტანილიდან აშკარად ჩანს ირანის დაპყრობითი პრეტენზიები საქართველოს მიმართ. შაჰი იმუქრებოდა, რომ რუსეთის არმია საქართველოში სულ ერთიანად განადგურებულ იქნებოდა ირანის ჯარების მიერ. სოლომონ II-ეს ბაბა-ხანი სწერდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე იულონ ბატონიშვილის დასამკვიდრებლად „წარმოვგზავნეთ ამ კეთილს ჟამზედ, მაღალს ადგილს აღყვანებული, სასიქადულოს ბედნიერებაზე მინდობილი მამაცი, ჩინებული და პატივცემული, მახარობლის თანამგზავრი, კარისკაცებსა და დიდრონს ხანებში გამორჩეული ფირ-ყული-ხან ყაჯარი, გამარჯვებულისა და უძლეველის დოსტებით, რომელიც დიდებულის ხელმწიფის ბედნიერის ავჟანდისაგან, ზემოხსენებულის მაღალ ადგილიანის იელონ ხანის შესაწევნელად ბრძანებულ იქნა, დამტკიცებისა მისისათვის და რაც მას ხსენებულსა ქვეყანასა შინა წინააღმდეგი რომ არის მისის აღებისა გაწმენდისათვის; იმ მხარეს წარმოვგზავნეთ და უმაღლესსა და მაღალსა ადგილსა ზედა აღყვანებული მეფე სოლომონ ვბრძანეთ და

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1. л. 118.

[2] იქვე, ფ. 122.

განვაწესეთ, რომ ისიც თავისის შემწეობით შეეწიოს მაღალ ადგილიანს იულონ ხანს და წინააღმდეგი მაგიერი მიეგოსთ და რასაც მეფე სოლომონ ცდასა, გარჯასა და შეწევნას გამოიყვანს, ხსენებულის იულონ ხანის მეფობის ხარისხზე აღყვანებისა და დამკვიდრებისათვის, ამ ხოსროვანის მხრიდან მოწყალება გარდაეფინება, და რაც მოსახსენებელი ჰქონდეს ამ დიდებულ ქამს მოახსენოს და თავამაღლებული შეიქმნება«[1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.)

სოლომონ II-ის მიერ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის შაჰის ასეთი შინაარსის ფირმანების გაგზავნა უდავოდ უნდა ადასტურებდეს ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ სოლომონ II რუსული ორიენტაციის წინააღმდეგი კი არ ყოფილა, არამედ, პირიქით, მას მხარს უჭერდა; იგი რუსეთის მთავრობისაგან მფარველობას ითხოვდა, მაგრამ არა ისეთს, როგორიც მან ქართლ-კახეთის სამეფოს გაუწია.

სოლომონ II ცდილობდა იმერეთის სამეფოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში რუსეთის ავტორიტეტი გამოეყენებინა და იქ სამეფო ხელისუფლება გაეძლიერებინა, რაც იმ კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში ყოვლად შეუძლებელი აღმოჩნდა. ირანისა და ოსმალეთის მმართველი წრეები კი შეეცადნენ სოლომონსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის არსებული უთანხმოებანი თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ, ცარიზმის წინააღმდეგ დამხმარე ძალების დაპირებით სოლომონ II საბოლოოდ ჩამოეცილებინათ რუსული ორიენტაციისაგან და ამ გზით თვითონ დამკვიდრებულიყვნენ საქართველოში, რაც საქართველოს ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე აყენებდა. სოლომონ II-ს ირან-ოსმალეთი საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენის დაპირებებით ანტირუსულ კოალიციაში ითრევდნენ.

სოლომონ II-ემ რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლაზე მალე უარი განაცხადა. 1802 წ. დასავლეთ საქართველოში ალექსანდრე I-ის განკარგულებით გაიგზავნა რუსი ჩინოვნიკი ლ. სოკოლოვი, რომელსაც სხვა დავალებათა შორის დაკისრებული ჰქონდა ზემოქმედება მოეხდინა სოლომონ II-ზე, რათა ამ უკანასკნელს გაეგზავნა პეტერბურგს თავისი დეპუტაცია თხოვნით რუსეთის მფარ-

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, лл. 122—124.

ველობის ქვეშ იმერეთის მიღების შესახებ. სოკოლოვი იმერეთს ჩავიდა სწორედ მაშინ, როდესაც მეფეს ბრძოლა ჰქონდა სამეგრელოს ურჩ მთავარ დადიანთან. სოლომონი ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენის გარეშე რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლაზე უარს აცხადებდა. რუსი ჩინოვნიკი სოკოლოვი წერდა: «Я уже приобрел много сведений о дурном расположении царя к России и его участии с царевичами, в Имеретии укрывающимися, к востановлению царства Грузинского и к истреблению войск Российских в Грузии»[1].

იმერეთში თავშეფარებული იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები სოლომონ II-ის უშუალო მხარდაჭერით ვარაუდობდნენ ფეოდალური მონარქიის აღდგენის მომხრეთაგან ძლიერი სამხედრო ძალის ჩამოყალიბებას, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დაუპირისპირდებოდა რუსეთის არმიას აღმოსავლეთ საქართველოში და გაანადგურებდა ან, უკიდურეს შემთხვევაში, კავკასიის მთებს იქით უკუაგდებდა მას.

1802 წლის ივლისში კახეთის თავადებმა მოაწყეს შეთქმულება და ფიცი მისცეს ქართლ-კახეთის მეფობაზე მხარს დაუჭერდნენ იმერეთში გადახვეწილ იულონ ბატონიშვილს. ერთდროულად კახეთის თავადებმა მოწოდებით მიმართეს ადგილობრივ მოსახლეობას, მხარი დაეჭირათ სამეფო ტახტზე იულონ ბატონიშვილის კანდიდატურისათვის.

ირკვევა, რომ იმერეთში მყოფ ბატონიშვილებსა და სოლომონ II-ს უშუალო კავშირი ჰქონდათ კახეთში შეთქმულ თავადებთან[2].

საყურადღებოა კახეთის დიდებულთა მიერ იმპერატორ ალექსანდრე I-სადმი გაგზავნილი წერილი. დიდებულები მოითხოვენ ქართლ-კახეთის სამეფოს ძველი სახით აღდგენას: „...ჩვენი ვედრება ეს არის, რომ ჩვენზედ მრავალგვარად გარჯილის და ღუაწლ დადებულის მეფის ირაკლის ანდერძი დაგვიმტკიცოთ და იმ ანდერძის წესით მეფე დაგვისვათ და ჩვენის მეფით თქვენს მფარველობის ქვეშ გვამყოფოთ, და რაოდენ ჩვენი შეძლება იყოს ისე გვიმსახუროთ“[3]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.).

[1] Чтения в императорском обществе истории и древностей русских при Московском университете, М., 1873 г. стр. 50—51.

[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 41199, л. 72.

[3] ЦГИАГ, ф. оп. 1, д. 28, л: 299.

სოლომონ II-ისა და კახეთის დიდებულთა მოთხოვნა ფაქტიურად ერთი და იგივე შინაარსისა იყო; ისინი რუსეთის მფარველობაზე კი არ აცხადებდნენ უარს, არამედ პოლიტიკური მართვა-გამგეობის ბიუროკრატიული წესების დამკვიდრებისა და საკუთარი ხელისუფლების დაკარგვის წინააღმდეგნი იყვნენ და ქართული მონარქიის აღდგენისათვის იღწვოდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი რუსეთის პროტექტორატის ქვეშ ყოფნასა და გეორგიევსკის ხელშეკრულების ზუსტად გატარებას მოითხოვდნენ.

რუსეთის მთავრობას მათი თხოვნა არამცთუ ყურად არ უღია. არამედ, პირიქით. შეთქმულების მონაწილე 69 დიდებული მკაცრად დასაჯა. ეს სრულიად ადვილად მოახერხა რუსეთის ცარიზმმა, რადგანაც შეთქმულებს ხალხის მასებთან კავშირი არ ჰქონდათ; სწორედ ეს ფაქტი — ხალხის მასების მხარდაუჭერლობა — იყო შეთქმულების სწრაფად ჩაქრობის ერთი ძირითადი მიზეზთაგანი. კახეთის დიდებულთა ეს შეთქმულება მონარქისტული ხასიათის მატარებელი იყო და ამიტომ მან არსებითი კვალი ვერ დატოვა ქართველი ხალხის ისტორიაში. ამ შეთქმულების ჩაქრობის შემდეგ ქართველი თავადაზნაურობის მონარქისტულად განწყობილ ნაწილს რუსეთის მთავრობისა უკვე აღარ სჯეროდა, რამაც ხელი შეუწყო მათს უიმედობას, რუსეთისადმი უნდობლობასა და გულგატეხილობას. რუსეთთან კავშირის დამყარების იდეაზე ხელი აიღო სოლომონ II-ემაც; მას რუსეთის მთავრობის მფარველობისა უკვე აღარ სჯეროდა. სოლომონ II ცდილობდა ამიერკავკასიაში რუსეთის ცარიზმისათვის ირანი და ოსმალეთი დაეპირისპირებინა: საქართველოს დამპყრობ ძალებთან ლავირებაში გამოენახა გზა საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის.

ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველი დღიდანვე ირანში გადაიხვეწა, ლეკთა რაზმებით ჭარ-ბელაქანში იდგა და კახეთზე თავდასხმისათვის ემზადებოდა; სოლომონ II, იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები კი ახდენდნენ ძალთა მობილიზაციას აღმოსავლეთ საქართველოზე თავდასხმისათვის. ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენაზე იმედგაცრუებული და იმერეთის სამეფოს გაუქმების საფრთხის წინაშე მყოფი სოლომონ II, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დაუახლოვდა ქართველი ხალხის უბოროტეს მტრებს — ახალციხის ფაშას და ლეკ-აბრაგებს; მათი დახმარებით ცდილობდა იგი აღმოსავლეთ საქართველოდან რუსეთის ჯარების განდევნას, მაშინ, რო

დესაც იმერეთში ოსმალთა საბოლოო დამკვიდრების საფრთხე დღითი დღე რეალური ხდებოდა. „Царь Имеретинский, — აუწყებდა გენ. ლაზარევი იმპერატორს, — собрав свои войска, приблизился к границам Грузии и находится уже в деревне Чало, от границ Грузинских в 30 верстах расположенной; к нему присоединились несколько лезгин, коих от Ахалцыхского паши требовал,—всех войск имеретинских и Лезгинских полагают до 3-х тысяч, по верному счету, и, как известно, с войсками находятся царевичи Юлон и Парнаоз и сделано уже предположение напасть в Границы Грузии с двух сторон, от деревни Чало, в кое они находятся, и от стороны осетинцев; в то же самое время турки с лезгинами должны напасть на Грузию от стороны Джавахети, или смотря по обстоятельствам, соединиться с Имеретинскими войсками»[1].

ოსმალეთს სურდა იმერეთის მეფე თავისი პოლიტიკის იარაღად გაეხადა საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რუსეთის მთავრობა კი თავის მხრივ ცდილობდა ოსმალეთთან ურთიერთობა არ გაერთულებინა დასავლეთ საქართველოში თავისი ინტერესების აშკარად დაპირისპირებით. იმერეთის სამეფოსა და დასავლეთ საქართველოს სამთავროების მიმართ რუსეთის დაპყრობითი გეგმების გამომჟღავნება უთუოდ გამოიწვევდა ოსმალეთთან ურთიერთობის გამწვავებას, მათ ხომ სულთანი თავის ვასალურ პროვინციებად თვლიდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ალექსანდრე I 1801 წლის შემოდგომაზე გენ. კნორინგს სწერდა: «С царем Имеретинским и с владельцем области Одишской (სამეგრელო, — ნ.ქ.) Дадианом долженьствуете вы иметь приязненное сношение, не подавая, однако тем повода к подозрениям чиновников Порты Оттоманской, в том краю начальствующим»[2]. იმერეთს რუსეთი ადვილად დაეუფლებოდა, მას რომ ოსმალეთის რიდი არ ჰქონოდა.

1802 წ. 1 სექტემბერს ალექსანდრე I გენ. კნორინგს სწერდა: «Я никак не желаю дать сим поступком Порте Оттоманской повод к притязаниям или остуде и поручаю вам на будущее вре-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 41199 л. 72—73.
[2] П. Бутков, материалы... т. 2, стр. 503.

мя в поведении вашем против царя (ლაპარაკია იმერეთის მეფე სოლომონ II-ზე, — ნ. ჭ.). держаться сего правила»[1].

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ რუსეთის მთავრობა საბოლოოდ ხელს იღებდა დასავლეთ საქართველოში თავისი მიზნების განხორციელებაზე. რუსეთს განზრახული ჰქონდა, კასპიის ზღვის დასავლეთ და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე გაბატონებით, ამ ზღვების ერთმანეთთან დაკავშირება, რასაც უნდა მოჰყოლოდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან რუსეთის სავაჭრო ურთიერთობის შემდგომი გაძლიერება. 1803 წლის 25 ოქტომბრის რესკრიპტში ალექსანდრე I გენ. ციციანოვს სწერდა: «*Займитесь вы учреждением безпрепятственного сообщения между Баку и Грузиею, которое по занятии Имеретии и Мингрелии, соединив, так сказать, Каспийское море с Черным,—откроет торговле нашей новый путь*»[2]. (ხაზი ჩვენია, ნ. ჭ.)

მოტანილიდან აშკარად ჩანს, რომ რუსეთის მთავრობას განზრახული ჰქონდა იმერეთისა და სამეგრელოს დაპყრობის გზით საგარეო ვაჭრობის შემდგომი გაფართოება, მხოლოდ იმ პირობით, რომ დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთებას ოსმალეთთან ურთიერთობის გამწვავება არ გამოეწვია.

გენ. ციციანოვის დაპყრობით გეგმაში შედიოდა, როგორც ირანის გავლენის ქვეშ მყოფი აზერბაიჯანისა და სომხეთის, ასევე დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების დაპყრობაც, მაგრამ რუსეთი ამ საქმის მოგვარებას ცდილობდა ოსმალეთთან „მეგობრული" ურთიერთობის შენარჩუნების პირობებში[3].

რუსეთი ცდილობდა დაეთანხმებინა ოსმალეთის მთავრობა, რათა ხელი აეღო მას იმერეთზე, გურიასა და სამეგრელოზე (ფოთით-ურთ) და ახალციხის საფაშოზე. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველოდან საბოლოოდ ამოკვეთილიყო ოსმალეთი. რუსეთის მიმართ საფრანგეთის დიპლომატიის მტრული საქმიანობა ართულებდა რუსეთის განზრახვის სისრულეში მოყვანას.

1803 წ. 19 მაისს იტალინსკი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემდეგს აცნობებდა: «При всех тех внушениях, которые посол французской

[1] Акты, т. 1, д. 743.

[2] Акты, т. 2. д, 720, стр. 358—360.

[3] АВПР, 1803 г. ф. канцелярия, оп. 468, д. 2234, ч. 2, лл. 174—175.

делает членам Порты для произведения в ней недоверия к России, оказание с нашей стороны намерения взять из-под ея покровительства Мингрелию, Имеретию и Гуриель произведет весьма неприятные следствия. Что касается до уступки Ахалциха с округом, оную сделать без войны Порта не имеет власти, хотя бы и желание ея было»[1].

ირკვევა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს აღნიშნული პროვინციების შემოერთების საქმეს ხელს უშლიდა საფრანგეთის დიპლომატია კონსტანტინოპოლში. ციციანოვის დაპყრობით გეგმაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ახალციხეს ეჭირა, რადგანაც მისი შემოერთებით გარანტირებული იქნებოდა სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების შემოერთება. ეს კი საერთოდ გამოიწვევდა ოსმალეთის პოზიციების დასუსტებას ანატოლიაში, მაგრამ რუსეთის მიერ ახალციხის დაკავება, როგორც იტალინსკი იუწყებოდა, დააჩქარებდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომის დაწყებას. ამიტომ რუსეთის მთავრობამ ციციანოვს 1803 წ. 23 მაისს დამატებითი განკარგულება მისცა — დროებით ხელი აეღო ახალციხის საფაშოს დაპყრობაზე[2]. მოსალოდნელი იყო, რომ განაწყენებული სულთანი რუსეთის წინააღმდეგ ნაპოლეონს დაუკავშირდებოდა. ამიტომ ციციანოვს რჩევა მიეცა ხელსაყრელ მომენტამდე ახალციხის საფაშოს შემოერთების განზრახვა სრული საიდუმლოებით შეენახა. რუსეთის მთავრობა რწმენას არ კარგავდა და იმედოვნებდა, რომ ახალციხის საფაშო თავის დროზე ისევე იქნებოდა შემოერთებული რუსეთის მიერ, როგორც ადრე ყირიმის ნახევარკუნძული. რესკრიპტის დასასრულს ციციანოვს ებრძანა: «Оставя времени представить удобность приобретения Ахалцыха, *заимитесь теперь приведением в действо присоединение Имеретии и Мингрелии,... а равно не упустить из виду и побережных мест Каспийского моря, когда обстоятельства к тому благоприятствовать будут*»[3].

რუსეთის მთავრობის მიერ ახალციხის საფაშოს დაპყრობაზე დროებით ხელის აღება ციციანოვისათვის სრულიად მოულოდნელი იყო. მას ხელთ ჰქონდა რუსეთის სამხედრო სამინისტროდან მიღებული, იმპერატორის მიერ უდავოდ მოწონებული გენერალური

[1] АВПР. 1803 г. ф. канцелярия, оп. 468. д. 2234, ч. 2, л. 473 и об.
[2] ЦГИАГ, ф. 2. оп. 1, д. 11, л. 2. 235.
[3] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 11, л. 236 об.

გეგმა, რომელიც მთელი კავკასიის დაპყრობას ითვალისწინებდა. მაგრამ რუსეთის მთავრობა ამჯერად დროებით უკან იხევდა და პირველ ხანებში იმერეთისა და სამეგრელოს შემოერთებით კმაყოფილდებოდა. რუსეთის დიპლომატიურ წრეებს იმის შიში ჰქონდათ, რომ საფრანგეთის დიპლომატიური მისიის მტრული საქმიანობის შედეგად შეიძლებოდა ახალციხეზე ლაშქრობას რუსეთსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობის გამწვავება და სამოკავშირეო ხელშეკრულების დარღვევა გამოეწვია. პ. ციციანოვს გენერალურ გეგმასა და ზემოაღნიშნულ რესკრიპტს შორის არსებითი წინააღმდეგობა შეუნიშნავს და გარკვევის მიზნით სამხედრო მინისტრისათვის შეკითხვა გაუგზავნია, რომელზედაც მას შემდეგი პასუხი მიუღია:

«Речь о сем представляет мне случай объяснить вашему сиятельству противоречие, которое нашли вы между генеральным планом, данным вам в руководство при отправлени вашем, и в рескрипте от 23 мая к вам писанном. Сказанное в рескрипте сем о течении реки Фаза (იგულისხმება მდ. რიონი,– ნ.ჭ.) относится токмо до пристани Поти, по ту сторону устья реки сей находящейся и охраняемой турецким гарнизоном, в прочем древния границы Имеретии и Мингрелии должны войти внутр по рубежной черты нашей. Предположенное же завоевание земель до Аракса есть план обширной, коему для исполнения сроку назначить нельзя, а предоставляется вашему усмотрению постепенно оной в действо производить по мере, как сами обстоятельства к *тому путь открывать будут*»[1].

ციციანოვს მითითება ეძლეოდა, რომ აუჩქარებლად, საერთაშორისო ურთიერთობისათვის ანგარიშის გაწევით ემოქმედნა. ამიერკავკასიაში მოქმედების ვრცელი გეგმა, რომელიც მას მთავრობამ გადასცა, ითვალისწინებდა შავი ზღვის სანაპიროებიდან მდ. არაქსამდე მდებარე ტერიტორიების შემოერთებას. ამ გეგმის სისრულეში მოყვანა არც ისე ადვილი საქმე იყო, რადგანაც ირანი და ოსმალეთი უომრად ესოდენ ვრცელ ტერიტორიას ამიერკავკასიაში რუსეთს არ დაუთმობდნენ.

ცარიზმი ცდილობდა ამიერკავკასიაში დამკვიდრების გაადვილების მიზნით ძვირფასი საჩუქრებით მოესყიდა მსხვილი ხანები, მთავრები და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, იმერეთის მეფე სოლომონ II-ეც; ციციანოვისათვის ამ მიზნით გამოუგზავნიათ ძვირფასა

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 11, л. 237

განძეულობა — ოქროს სათუთუნეები, ბეჭდები, საათები და სხვ. გამოგზავნილი ნივთების ერთ-ერთი სიით დასტურდება, რომ მარტო ერთჯერად გამოგზავნილი საჩუქრების ღირებულება მაშინდელი ფულის კურსით 11.927 მანეთს შეადგენდა[1].

ირკვევა, რომ მარტო ინგლისელები და ფრანგები როდი იყვნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში ხანებისა და მმართველი წრეების მოსყიდვა-გადმობირების საქმის ოსტატები. ამიერკავკასიაში დამკვიდრების მიზნით რუსეთის ცარიზმიც ამ მეთოდს საკმაოდ კარგად იყენებდა[2].

რუსეთის მთავრობამ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროების დაუფლებისათვის ბრძოლაში სოლომონ II-ის გადმობირება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმედ ჩათვალა. რუმიანცევი 1803 წ. 13 აგვისტოს ციციანოვს სწერდა, რომ იმპერატორს სოლომონ II-სათვის გაეგზავნა ალექსანდრე ნეველის ორდენი, ხოლო იმერეთის მიტროპოლიტისათვის ძვირფასი თვალმარგალიტით შემკული პანაგია[3]. სოლომონ II-ის გადაბირება რუსეთის მთავრობის მიერ ძნელი საქმე იყო. სოლომონს მისი უკვე აღარ სჯეროდა.

იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოში მყოფი დიპლომატი ა. სოკოლოვი საკმაოდ ენერგიულად მუშაობდა. იგი ცდილობდა რუსეთის სასარგებლოდ განეწყო ადგილობრივი დიდებულები. სოლომონ II-სა და სამეგრელოს მთავარს შორის ბრძოლა ლეჩხუმისათვის დაუსრულებლად ჭიანურდებოდა, იმერეთის მეფე ავიწროებდა სამეგრელოს მთავარს.

1802 წ. იმერეთის მეფე სოლომონ II-ემ გაილაშქრა სამეგრელოს მთავრის — დადიანის წინააღმდეგ, რომელსაც აფხაზეთის მთავარი ეხმარებოდა. მეფემ, როგორც ირკვევა, შეძლო ურჩი ვასალის დამარცხება, მაგრამ მისი ეს გამარჯვება ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგანაც დასავლეთ საქართველოს საქმეებში რუსეთის ჩარევა იმერეთის მეფის ხელისუფლებას დღითი დღე ასუსტებდა[4]. სამეგრელოს მთავარი თავისი პოლიტიკით უპირისპირდებოდა სოლომონ II-ეს. სრულიად მართებულად მიუთითებს პროფ. მ. დუმბაძე, როცა წერს: „მას შემდეგ, რაც რუსეთმა ქართლ-კახეთის სახელმწიფო გააუქმა, დადიანს არ შეიძლებოდა არ ეგრძნო, რომ იმერეთის მეფე თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკით, გაუქმებული სახელმწიფოს

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 11, л. 230.
[2] იქვე. ფ. 237—238.
[3] იქვე, ფ, 239—240.
[4] Акты, т. 1, д. 761.

აღდგენისათვის მებრძოლი, რუსეთისათვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო, ხოლო თვითონ იმერეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლით უკვე რუსეთის ერთგულ კაცად გამოდიოდა და წარმოადგენდა მისი ხელისუფლების გავრცელების დამხმარე ძალას. ამიტომ დადიანი თავისი მომაკვდავი ხელისუფლების დაცვის ერთ იმედად რუსეთს აღიარებდა"[1].

1802 წლის 20 დეკემბერს სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა სთხოვა რუს დიპლომატს, სოკოლოვს რუსეთის მთავრობას სამეგრელო მიეღო თავისი მფარველობის ქვეშ, რათა თავი დაეღწია იმერეთის ვასალური მდგომარეობისაგან; ხოლო თუ რუსეთი ამ თხოვნას არ შეიწყნარებდა, მაშინ ნება დაერთო სამეგრელოს მთავრისათვის ოსმალეთის ქვეშევრდომობა მიეღო. სოკოლოვისადმი წერილში დადიანი წერდა: «Я имею желание войти под покровительство всемилостливейшего государя, а ежели в сем моем намерении ни в чем не пособите, то дайте мне волю, чтобы я с моим имением и семьею вошел в подданство и протекцию Оттоманской Порты»[2].

თავისებური ხასიათისაა დადიანის ზემოთ მოტანილი წერილი; სამეგრელოს მთავარი ნებართვას თხოულობს რუსეთის დიპლომატიური წრეებისაგან, — რუსეთის მხრივ მფარველობაზე უარის თქმის შემთხვევაში შევიდეს ოსმალეთის ქვეშევრდომობაში. რა ნებართვა სჭირდებოდა მას რუსეთის ხელისუფლებისაგან, როცა სამეგრელო ნომინალურადაც კი არ აღიარებდა მანამდე რუსეთის ხელისუფლებას? ეს ნაბიჯი უდავოდ საგანგებოდ უნდა იყოს მოფიქრებული იმისათვის, რომ გააღიზიანოს რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა და დაჩქარდეს რუსეთის მფარველობის ქვეშ სამეგრელოს მიღება. სამეგრელოს მთავრის მოქმედება აშკარად ეწინააღმდეგებოდა სოლომონ II-ის პოლიტიკურ ხაზს. იმერეთის მეფე სამეფოს შინაურ საქმეებში რუსეთის თუ სხვა რომელიმე სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგი იყო[3]. იგი რუსეთისაგან მოითხოვდა ისეთი ხელშეკრულების დადებას, რომელიც საერთაშორისო უფლებათა ნორმების საფუძველზე იმერეთის სამეფოს საშინაო

[1] მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX-ს. პირველ ნახევარში. თბ. 1957 წ. გვ. 145.

[2] Акты, т. 2, д. 899, стр. 453, письмо Гр. Дадиани к К. С. Соколову от 20-декабря 1802. г.

[3] А. Г. Пирцхалаишвили, Имеретия и Гурия в период 1804—1840 г.г. Материалы по истории Грузии и Кавказа", вып. I, 1942 г. стр. 33—35.

საქმეებში სრულ დამოუკიდებლობას უზრუნველჰყოფდა. ამას რომ სოლომონ მეფე ვეღარ აღწევდა, ეს მისი დანაშაული კი არ იყო, არამედ მეტყველებდა იმის შესახებ, რომ დასუსტებულ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის საჭირო ძალები ამოეწურა.

სოლომონმა ვერ გაითვალისწინა ის, რომ ირანი და ოსმალეთი, საქართველოს ეს ისტორიული მტრები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე სპობდნენ ქართველობასა და ყოველივე ქართულს და რომლებმაც საქართველო გადაშენების კარამდე მიიყვანეს, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და შენარჩუნებისათვის არ გამოადგებოდა და რომ მათ ქართველი ხალხი მხარს არ დაუჭერდა. რუსეთს კი პირიქით, ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი ხალხი მხარში ამოუდგა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ რუსეთი ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, მიუხედავად ცარიზმის დაპყრობითი პოლიტიკის სისასტიკისა, ობიექტურად საქართველოს დესპოტური და ბარბაროსული მეთოდებით ჩაგვრისა და ფიზიკური განადგურების საფრთხისაგან დამხსნელის როლს თამაშობდა. სწორედ ამ ძირითადი მომენტის გაუთვალისწინებლობა განსაზღვრავდა არა მარტო სოლომონ II-ისა და მისი პარტიის პოლიტიკურ მარცხს, არამედ საერთოდ ირანსა, ოსმალეთსა და რუსეთს შორის საქართველოსათვის ხანგრძლივი ჰიდილის შედეგებს. სოლომონ II, რა მიზანიც არ უნდა ჰქონოდა მას, ირან-ოსმალეთთან დაკავშირებით მისდაუნებურად უპირისპირდებოდა ქართველი ხალხის სისხლხორცეულ ინტერესებს და ამიტომ იგი თავის მომხრეებთან ერთად განწირული იყო დასაღუპავად. სოლომონ II-ის ირანთან და ოსმალეთთან დაახლოება ძირს უთხრიდა არა მარტო საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, არამედ საშიშროების ქვეშ აყენებდა თვით ქართველი ხალხის ფიზიკურ არსებობასაც. სწორედ ეს იყო ძირითადი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა სოლომონისა და მისი მომხრეების წარუმატებლობა.

სამეგრელოს მთავრის რუსული ორიენტაცია შეიძლება მისი პროგრესული ზრახვებიდან არ გამომდინარეობდა, მაგრამ იგი ობიექტურად უდავოდ სასიცოცხლო მნიშვნელობისა აღმოჩნდა მთელი დასავლეთ საქართველოსათვის. სამეგრელოს მთავრის რუსული ორიენტაცია იმერეთის გაერთიანებული, პოლიტიკურად ძლიერი სამეფოს აღდგენის მიმართ მტრული დამოკიდებულებით

და სოლომონ II-ის ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის სურვილით იყო ნაკარნახევი. ასეთივე პოზიციებზე იდგნენ დასავლეთ საქართველოს სხვა მთავრებიც, და ბუნებრივია, რომ სოლომონ II-ის ცდა ერთიანი იმერეთის სამეფოს აღდგენისა, თვით ქართველი მთავრების პარტიკულარიზმით იყო დასაღუპავად განწირული, რომ არაფერი ვთქვათ ირანისა და ოსმალეთის მტრული მოქმედების შესახებ.

ცნობილია, რომ ოსმალეთის სულთანი საგანგებო ღონისძიებათა გატარების გზით ყოველნაირად ძირს უთხრიდა დასავლეთ საქართველოში მეფის ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისა და განმტკიცების საქმეს. იგი უმხედრებდა იმერეთის მეფეს მისსავე ვასალებს — სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის მთავრებს. დასავლეთ საქართველოს მთავრებთან სულთანი ხშირად მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა; იყო შემთხვევა, როცა ზოგიერთ მათგანს ძვირფას საჩუქრებსა და ჯარსაც კი უგზავნიდა იმ მიზნით, რათა იმერეთის მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოსულიყო. შინაფეოდალური ომების გაჩაღება, მეფის ხელისუფლებისათვის ძირის გამოთხრა იყო ოსმალეთის ნაცადი მეთოდი საქართველოს დასუსტებისა და პოლიტიკურად დამორჩილებისათვის ბრძოლაში. საგულისხმოა ამასთან დაკავშირებით რუსი კაპიტნის იაზიკოვის ჩანაწერები სამეგრელოსა და იმერეთის შესახებ რუსეთ-ოსმალეთის ომის (1768—1774 წწ.) პერიოდში. კაპიტანი იაზიკოვი გონივრულად ახასიათებს ოსმალეთის პოლიტიკას დასავლეთ საქართველოში ცენტრალური ხელისუფლების მოსპობისათვის ბრძოლაში. იგი წერდა: «Турки, делая нападение на Имеретию, более всего старались Соломона (ლაპარაკია სოლომონ I-ზე, რომელმაც საკმაოდ განმტკიცა პოლიტიკური ხელისუფლება იმერეთის სამეფოში და დაასუსტა ოსმალეთის ბატონობა მთელ დასავლეთ საქართველოში. — ნ. ჭ.) поимать или убить»[1], მაშინ, როცა „Султан князя Мингрельского ласкал, даже жену его царицею именовал".[2]

იმერეთის მეფე სოლომონ II შექმნილი რთული ვითარებისა გამო გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ოსმალეთი და ირანი მათთვის საჭირო მომენტში იყენებდნენ მას რუსეთის წინააღმდეგ

[1] А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, т. 1, СПБ, 1891, стр. 192.

[2] იქვე, стр. 262. Записка капитана Языкова о Мингрелии

ბრძოლაში, ხოლო კავკასიიდან რუსეთის შესაძლო განდევნის შემდეგ ისინი თვითონვე ცდილობდნენ დაუფლებოდნენ საქართველოს, სოლომონ II-ის მიმართ კი ოსმალეთი იმავე პოლიტიკური ხაზის გატარებას ვარაუდობდა, რასაც მისი წინამორბედი მეფე სოლომონ I-ის მიმართ ატარებდა.

სოლომონ II ცდილობდა, ყოველნაირად შეეშალა ხელი სამეგრელოს მთავრისა და ციციანოვის დაკავშირებისათვის. იმერეთის მეფემ გზაზე დაიჭირა სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის მიერ ციციანოვთან გაგზავნილი ქაიხოსრო და როსტომ კვინიხიძეები, მათ დადიანის წერილი წაართვა და რამდენიმე დღით დააკავა. ერთი მათგანი, როცა ისინი ციციანოვის წერილით სამეგრელოში ბრუნდებოდნენ, გზაზე მოაკვლევინა[1], ხოლო ციციანოვის წერილი ხელში ჩაიგდო.

ფაქტები აშკარად მეტყველებენ იმის შესახებ, რომ სოლომონ II უკვე ყოველმხრივ ავიწროებდა რუსული ორიენტაციის მატარებელთ დასავლეთ საქართველოში, ხოლო როცა საჭიროდ მიიჩნევდა, ფიზიკურადაც სპობდა მათ.

სოლომონ II დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ხშირად დიპლომატიურ მაქინაციებსაც მიმართავდა — იგი რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღებაზე უარს არ აცხადებდა. მან პეტერბურგშიც კი გაგზავნა თავისი წარმომადგენელი სოლომონ ლიონიძე, რომელიც იქ 1803 წლის 5 აგვისტოს ჩავიდა და იმპერატორ ალექსანდრე I-ს გადასცა სოლომონ II-ის წერილი, რომლითაც იმერეთის მეფე რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღებას თხოულობდა[2].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ერთდროულად იმერეთიდან ოსმალეთში სულთნის კარზე საიდუმლოდ გაუგზავნიათ სპეციალური წარმომადგენელი, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის დახმარებას ითხოვდა.

რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენელი კონსტანტინოპოლში იტალინსკი ფხიზლად ადევნებდა თვალ-ყურს დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური მოვლენების განვითარებას და მის შედეგებს. მას არ გამორჩენია მხედველობიდან იმერეთიდან სპეციალური დავალებით ოსმალეთში ჩასული პიროვნების ანტირუსული საქმიანობა და მან 1803 წ. 18 ივლისს სპეციალური წერილით ოფი-

---

[1] Акты, т. 2, д. 704, стр. 351.

[2] Н. Дубровин. Закавказье от 1803—1806 гг. стр. 193—194.

ციალურად პეტერბურგის მთავრობასა და გენ. ციციანოვს ყველაფერი აცნობა მომხდარი ფაქტის შესახებ. იტალინსკი კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილ წერილში აღნიშნულის შესახებ შემდეგს იტყობინებოდა: «Недавно прибыли два посланца, один из Персии, другой от Имеретинского хана (ლაპარაკია იმერეთის მეფე სოლომონ II-ზე, — ნ. ქ.), при котором, как слышно, находятся двое сыновей царя Ираклия. Хан сей объявляет, что Россия, овладев частью принадлежащих ему земель, приближалась к Оттоманской границе и просит Порту о даче противу нас помощи»[1].

ალექსანდრე I-მა გაიგო რა იმერეთის სამეფოდან სპეციალური დავალებით კონსტანტინოპოლში საიდუმლოდ კაცის გაგზავნის შესახებ, ამ საქმის მთელი პასუხისმგებლობა იმერეთის მეფეს დააკისრა და განკარგულება გასცა შეეწყვიტათ ყოველგვარი მოლაპარაკება ლიონიძესთან და იგი უკანვე გაებრუნებინათ იმერეთში. მოულოდნელი ფაქტით აღშფოთებული ალექსანდრე I ციციანოვს სწერდა: «Обнаружено коварство царя Соломона, искавшего предать себя и царство свое под покровительство и в верховную власть России и в то же самое время просящего у Порты Оттоманской защиты против нашего оружия, а паче всего бесчеловечие, содеянное им над посланным кн. Дадиана и преступившее пределы всякого чаяния, показали, какия меры надлежит принять для упреждений замыслов его ко вреду нашему и побудили меня повелеть преостановить начатую негоциацию с прибывшим сюда посланцем имеретинским»[2].

გარკვეულ ინტერესს იწვევს, თუ ვის ეკუთვნოდა იმერეთიდან ოსმალეთში გაგზავნილი წერილი — სოლომონ II-ს თუ მის მიმართ ოპოზიციაში მყოფ დიდებულებს, რომლებიც ცდილობდნენ რუსეთის ხელისუფლების წინაშე იმერეთის მეფის გაშავებას.

მეფის მოწინააღმდეგეთა შორის განსაკუთრებით ცნობილი იყო თავადი ზურაბ წერეთელი, რომელიც საკმაოდ დიდ როლს თამაშობდა იმერეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იმერეთის მეფის სახელის გატეხის მიზნით იგი ათასგვარ ხრიკებს მიმართავდა. თუ სოლომონ ლიონიძის მოურავის ბაზღაძის ნაამბობს სარწმუნოდ მივიღებთ, ზურაბ წერეთელი ადგენდა ყალბ დოკუმენტებს, რომლებ-

[1] Акты, т. 2, д. 1798, стр. 873 и д. 719, стр. 353.
[2] Акты, т. 2. д. 720, стр. 358—359.

შიაც მოტანილი იყო სოლომონ II-ის ოსმალური ორიენტაციის დამადასტურებელი ფაქტები. გუგუნა ბაზღაძის ნაამბობში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ გაიგზავნა იმპერატორ ალექსანდრე I-თან იმერეთის მეფის მიერ სოლომონ ლიონიძე და რა პატივით ყოფილა იგი მიღებული პეტერბურგში იმპერატორის კარზე; ამის შემდეგ იმერეთში პოლიტიკურ მოვლენათა განვითარების შესახებ გუგუნა ბაზღაძის ნაამბობში ვკითხულობთ:

„...ამ დროს სახლთუხუცესს ზურაბ წერეთელს შურით არ ეძინა თურმე თავის მოდინახეს ციხეში და ამზადებდა საოცარ წერილს, რომელსაც უნდა დაეღუპა იმერეთის მეფე სოლომონ II და იმერეთის ბედის ჩარხი უკუღმა დაეტრიალებინა. ზურაბ წერეთელმა შეთხზა თათრულად იმერეთის მეფის მაგიერად ბარათი, ვითომც ოსმალეთის ხვანთქართან მას მიერ მიწერილი შემდეგი შინაარსისა: „სოლომონ მსაჯული რუსის ხელმწიფესთან გავგზავნე ელჩადო, ვითომც მოსარიგებლათ, მაგრამ უფრო დროს მოსაგებათო. საჩქაროთ მომაშველეთ დიდი ჯარები, რომ იმერეთი დაიპყროთ და მე სამკვიდრო ტახტი არ დამეკარგოსო.

სახლთუხუცესმა ზურაბ წერეთელმა მოიპარა მეფის ბეჭედი, დაჰკრა ამ შეთხზულ ბარათს და გაუგზავნა თბილისის მთავარმართებელს ციციანოვს, ვითომ ეს მეფის ხონთქართან მიწერილი ბარათი გზაზე დაეჭიროს. მთავარმართებელმა მაშინვე კურიერი გაგზავნა პეტერბურგს, საჩქაროდ გაეწყვიტათ სოლომონ მსაჯულთან დიპლომატიური მოლაპარაკება და დასამტკიცებლად იმერეთის მეფის ცბიერებისა ზემოხსენებული ბარათი თან გაატანა ხელმწიფესთან“[1].

მოტანილი საბუთიდან ძნელია იმის დადგენა, რომ ოსმალეთის სულთანთან მისული წერილი ეკუთვნოდეს ზურაბ წერეთელს, რადგან იქ ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. აღნიშნული საბუთი მოგვითხრობს, თუ როგორ შეიყვანა შეცდომაში ზურაბ წერეთელმა სოლომონის წინააღმდეგ შეთხზული დოკუმენტის საშუალებით რუსეთის მთავრობა და როგორ განაწყო იგი იმერეთის მეფის წინააღმდეგ.

მაგრამ ზემოთ მოტანილი დოკუმენტი შეიძლება აძლიერებდეს იმ აზრს, რომ სოლომონ II-ის სახელით ოსმალეთში გაგზავნილი

[1] იხ. „საისტორიო მოამბე“, ტ. 6, გვ. 225, 1896 წლის ოქტომბრის 4, ზეპირი გადმოცემა სოლომონ მსაჯულის შესახებ, შეკრებილი გ. წერეთლის მიერ დოკუმენტი გამოსცა ა. იოვიძემ.

წერილი ეკუთვნოდა არა მეფეს, არამედ თავად ზურაბ წერეთელს. შესაძლებელია ამ უკანასკნელს მოეწყო დასახელებული დოკუმენტის შექმნა და ოსმალეთის სულთანთან გაგზავნა იმ მიზნით, რომ სახელი გაეტეხა სოლომონისათვის და დაემტკიცებინა თავისი ერთგულება რუსეთის მთავრობისათვის. ცნობილია, რომ ზურაბ წერეთელი თავგამოდებით იბრძოდა იმერეთის მეფის პოლიტიკის წინააღმდეგ და მხარს უჭერდა რუსეთის ხელისუფლების იმერეთში დამკვიდრების საქმეს, მიმართავდა ათასგვარ მაქინაციებს რუსეთის მთავრობის წინაშე ნდობის მოხვეჭისა და პირადი დაწინაურებისათვის

მაგრამ ისიც ცნობილია, რომ სოლომონ II-ს მსგავსი შინაარსის წერილები არა ერთი გაუგზავნია ოსმალეთის სულთნისა და ირანის შაჰისათვის. იგი ცდილობდა საქართველოსათვის გამართულ რუსეთისა და ირან-ოსმალეთის ჰიდილს იმდენად მძაფრი ხასიათი მიეღო, რომ ყოველი მათგანისათვის ეს ბრძოლა მომქანცველი გამხდარიყო და ამ გზით ქვეყნის შინაგანი მმართველობის დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა. საარქივო მასალიდან ირკვევა, რომ მას სამეფოს ორი ბეჭედი ჰქონდა, რომლებსაც უცხოეთის სახელმწიფოებთან მიმოწერისას თავისი შეხედულებისამებრ იყენებდა. ერთი იყო ოფიციალური, ნამდვილი სახელმწიფო ბეჭედი, ხოლო მეორე კი ყალბი, ფალსიფიცირებული. როცა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში სოლომონ II დახმარების თხოვნის ქაღალდს უგზავნიდა ოსმალეთის სულთანს ან ირანის შაჰს, თავის ნაწერზე იგი არტყამდა არა ოფიციალურად აღიარებულ იმერეთის სამეფოს სახელმწიფო ბეჭედს, არამედ მეორეს, — ყალბ ბეჭედს. თუ კი ეს ქაღალდი ხელში ჩაუვარდებოდა რუს მოხელეებს, თავს გაიმართლებდა. იმით, რომ ეს წერილი მას კი არ ეკუთვნოდა, არამედ რუსეთის მთავრობის წინაშე მისი სახელის გატეხის მიზნით საგანგებოდ სხვის მიერ იყო დაწერილი და გაგზავნილი. გენ. სიმონოვიჩს ხელთ ჰქონია არა ერთი დოკუმენტი, რომლებზედაც დასმული იყო მეფის შეხედულებისამებრ ორი სხვადასხვა ბეჭედი. გენ. სიმონოვიჩი 1811 წ. 11 ნოემბერს გენერალ-მაიორ პაულუჩს სწერდა: „Царь (Соломон, Н. К.) имел две печати, одну настоящую, а другую неверную, которую прикладает он к фальшивым бумагам, к таким, которые он оспаривать может»[1]. ყოველივე ამას იგი, თავისი აზრით, საქართველოს კეთილდღეობისათვის აკეთებდა.

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 67, л. 445. об.

ფაქტები აშკარად მეტყველებენ იმის შესახებ, რომ დასავლეთ საქართველოში რუსეთის დამკვიდრების საქმეს დიდი წინააღმდეგობა ეღობებოდა. სოლომონ II რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის იწვევდა სულთანს. იმერეთის მეფე ანგარიშს ვერ უწევდა საქართველოს რთულ საერთაშორისო ვითარებას, რომ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლით გზა ეხსნებოდა დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის საბოლოოდ დამკვიდრებას, რითაც საერთოდ საფრთხე ექმნებოდა ქართველი ხალხის მომავალს. ბაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ იმერეთის მეფე სუბიექტურად საქართველოს მტერი კი არ უოფილა, უკანასკნელთა ბანაკში მას, ცარიზმის მიერ შევიწროვებულსა და დევნილს, მხოლოდ მისი საქმიანობის ობიექტური შედეგები აქცევდნენ.

რუსეთის დიპლომატია აქტიურად მოქმედებდა იმ მიზნით, რომ ოსმალეთისათვის ხელიდან გამოეცალა საქართველოს შავი ზღვისპირა პროვინციები. სამხედრო სისუსტემ და მზარდმა შინაპოლიტიკურმა კრიზისმა აიძულა ოსმალეთი დროებით ხელი აეღო სამეგრელოზე. რუსეთის ელჩი ოსმალეთში (იტალინსკი) 1803 წლის 3 სექტემბერს რუსეთის სახელმწიფო კანცლერს ამის შესახებ ატყობინებდა: «О вступлении Мингрелии в зависимость Российской империи имел я удовольствие сделать Порте сообщение таким образом, что принято ею оное без всякого оскорбления»[1].

ასეთ პირობებში რუსეთის მფარველობის ქვეშ სამეგრელოს მიღებას უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. 1803 წლის 4 დეკემბერს სოფელ ჭალადიდში დაიდო ტრაქტატი რუსეთის მფარველობის ქვეშ სამეგრელოს შესვლის შესახებ; ხოლო 1804 წლის 4 ივნისს ტრაქტატი დამტკიცებულ იქნა ალექსანდრე I-ის მიერ.

ოსმალეთი სამეგრელოზე გულწრფელად ხელს არ იღებდა. სინამდვილეში ეს იყო დიპლომატიური ტრიუკი; ოსმალეთი უბრძოლველად დასავლეთ საქართველოს არ დათმობდა.

გენ. ციციანოვმა კარგად იცოდა, რომ ამიერკავკასიის დაპყრობის გენერალური გეგმის შესრულება არც ისე ადვილი საქმე იყო. მას ადრე თუ გვიან მოუწევდა შეჯახება ირანთან და ოსმალეთთან; ამიტომ იგი ცდილობდა არმიის რიცხობრივი შემადგენლობის გაზ-

[1] Акты, т. 2, д. 939 стр. 462. შდრ. ალ. ფირცხალაიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 17—30., თბ. 1955 წ.

რდას და საომარი ტექნიკით მის უზრუნველყოფას. გენ. ციციანოვს ჯერ კიდევ ადრე, 1802 წელს, რუსეთის იმპერიის სამხედრო სამინისტროს წინაშე დაუსვამს საკითხი საქართველოში მყოფი არმიის არტილერიით უზრუნველყოფის შესახებ. მას მოუთხოვია სამგირვანქიანი ყალიბის 24 ქვემეხის გამოგზავნა საჭირო პურვებით და აგრეთვე საქართველოში ერეკლე II-ის საარტილერიო სახელოსნოს აღდგენა. არტილერიის სახელოსნოს აღსადგენად ციციანოვი რუსეთიდან სპეციალისტების გამოგზავნას ითხოვდა[1]. 1803 წელს მეფის განკარგულებით მართლაც გამოუგზავნიათ 24 ქვემეხი და მისთვის საჭირო პურვები[2]. გარდა ამისა, ადგილზე ქვემეხთა ჩამოსხმის დაწყების მიზნით, 1804 წელს რეკრუტით გაწვეულთაგან, საქართველოს მადნების მოპოვებაზე სამუშაოდ გამოუგზავნიათ 52 კაცი[3], რომელთაც უშუალოდ მეთაურობდა სამთო ჭარხნების ქართველი გრაფი მუსინ-პუშკინი[4].

1803 წ. დასასრულს საქართველოში გენ. ციციანოვის განკარგულებაში იყო 10 პოლკი 15 ათასამდე ქვეითი და ცხენოსანი ჯარისკაცითა და 24 ქვემეხით, რაც, ცხადია, არ იქნებოდა საკმარისი ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ მოსალოდნელი ომის შემთხვევაში[5]. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიას მეფის მთავრობა იყენებდა, როგორც ძირითად პლაცდარმს აზერბაიჯანისა და სხვა ტერიტორიების დასაპყრობად. რუსეთის სარდლობამ ჯერ განიზრახა ჰარისა და ბელაქნის დაპყრობა, აღნიშნულ ტერიტორიას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ირანისა და ოსმალეთის ჯაშუშები ცდილობდნენ ჰარ-ბელაქნის მოსახლეობა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამოეყენებინათ. 1802 წ. ჰარში ირანისა და ლეკთა 10-ათასიანი ჯარით მოვიდა ალექსანდრე ბატონიშვილი[6]. მას თან ახლდა დაღესტნისა და ნუხის დიდკაცობა. 1803 წ. მარტში მათ წინააღმდეგ გაიგზავნა რუსეთის რაზმები გენერალ გულიაკოვის მეთაურობით. ჰარ-ბელაქნისა და ირანის რაზმები რუსებთან ბრძოლაში სასტიკად მარცხდებოდნენ; რუსებმა წარმატებით გადალახეს მდ. ალაზანი და დაიკავეს ბელაქანი, იქიდან კი რუსეთის ჯა-

[1] ЦГВИА, Ф. I (Ленинградский), д. 198, л. 3.
[2] იქვე, ფ. 8—11.
[3] იქვე, ფფ. 6—7, 8, 9, 10.
[4] იქვე, ფ. 30.
[5] История русской армии и флота, вып. VI, стр. 38.
[6] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6166, ч. I, л. 38 об.

თა ნაწილი მიემხრო მტერს, მაგრამ ეს საშიში გამოსვლა მალე ლიკვიდირებულ იქნა.

1804 წ. იანვარს გენ. გულიაკოვმა კვლავ გაილაშქრა თავისი რაზმებით ჭარ-ბელაქანში. მალე ჭარი აიღო და გადაწვა. მან გადაწყვიტა მტერს ფეხდაფეხ დადევნებოდა და მისსავე თავშესაფარში გაენადგურებინა. «впереди шли грузины конные и пешие», წერდა ციციანოვი[1].

რუსეთის ჯარი ზაქათლის ხევში მოულოდნელად მოიმწყვდიეს ლეკმა ფეოდალებმა და სასტიკი ცეცხლი გაუხსნეს. გაიმართა ცხარე ბრძოლა, რომელშიაც მოკლულ იქნა გენ. გულიაკოვი. ამ ბრძოლაში მოწინააღმდეგემ 1000-ზე მეტი მებრძოლი დაკარგა მარტო მოკლულთა სახით[2].

მიუხედავად იმისა, რომ რუსებმაც დიდი ზარალი ნახეს, ჭარ-ბელაქანს შემდგომი ბრძოლის გაგრძელება არ შეეძლო; მალე ლეკებმა კაპიტულაცია მოახდინეს და რუსეთის ხელისუფლების ქვეშ დარჩნენ.

გენ. ციციანოვი 1803 წ. დეკემბრის დასაწყისს ქვეითი ჯარის ექვსი ბატალიონით, დრაგუნთა სამი ესკადრონითა და 11 ქვემეხით თბილისიდან შამქორისკენ გაემართა და მოთხოვა განჯის ჯევათხანს დაუყოვნებლივ უსიტყვო კაპიტულაციაზე წასულიყო. ჯევათხანი უარზე იდგა; ციციანოვი მალე განჯას მიადგა, დაიკავა მისი მიდამოები და ალყა შემოარტყა ციხე-სიმაგრეს. რუსეთის სარდლობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა განჯის სახანოს დამორჩილებას, რადგანაც ამით აღმოსავლეთისაკენ ფართოვდებოდა ის სტრატეგიული პლაცდარმი, რომელიც ამიერკავკასიაში რუსეთს ეჭირა. განჯის შემოერთებით ლახვარი ეცემოდა აზერბაიჯანში ირანის გავლენას და მზადდებოდა ნიადაგი აზერბაიჯანში რუსეთის საბოლოო დამკვიდრებისათვის. პირველი შეჯახება რუსეთის ჯარებსა და ჯევათ-ხანის რაზმებს შორის განჯის ციხიდან 2 კმ. დაშორებით მოხდა. ჯევათ-ხანმა ვერ გაუძლო რუს ჯარისკაცთა დაწოლას, უკუიქცა და განჯის ციხეს შეაფარა თავი.

აზერბაიჯანის მოსახლეობას ოდნავი წინააღმდეგობაც არ გაუწევია რუსთა ჯარისათვის. პირიქით, ისინი რუს ჯარისკაცებთან ერთად ჯევათ-ხანის წინააღმდეგ იბრძოდნენ: «Выступали азербайджанские конные отряды, которые... были сформированы накану-

[1] ЦГВИА, ф. I (Ленинградский), д. 580, л. 10.

[2] იქვე, ფ. 10—12.

ოფიცრის გასპარ დრუვილის ცნობით, ინდოეთიდან ჯონ მალკოლმის გამოგზავნის დღიდან «он начал сыпать золото обеими руками..., делал великолепные подарки министрам, придворным вельможам и всем особам, кои предлагали ему свои услуги при дворе Шаха»[1].

ინგლის-ინდოეთის კომპანია უზრუნველყოფდა ირანის არმიას როგორც საომარი საშუალებებით, ასევე სამხედრო სპეციალისტებით[2]. ინგლისელმა პოლკოვნიკმა დარსმა, რუსი პოლკოვნიკის ენსგოლმის ცნობით, ჩამოაყალიბა ირანში სამხედრო სკოლა, სადაც ევროპულ ყაიდაზე იწვრთნებოდა ირანის ოფიცრობა[3]. ირანის არმიისათვის ინგლისმა ინდოეთიდან თავრიზში გამოგზავნა სამხედრო სპეციალისტები და ინჟინრები საჭირო ხელსაწყოებით, სადაც მათი ხელმძღვანელობით აშენდა სამხედრო ქარხნები[4].

ირანის არმიას სათავეში ედგა შაჰის ტახტის მემკვიდრე აბას-მირზა: არმიის რეორგანიზაციაში ინგლისის დიდი როლის შესახებ პოლკოვნიკი ენსგოლმი წერდა: ირანის არმიის გარდაქმნა, მისი ბრძოლისუნარიანობის ამაღლების საქმე ირანის შაჰის მიერ მინდობილი ჰქონდა «*находящимся в Персии, английско-индийской компании офицерам, без помощи коих и сильного содействия, все усилия, все старания, заботы и издержки и его будущего венценосца Персии* (ლაპარაკია აბას-მირზაზე. ნ. ქ.) *остались бы* в обучении войск, вероятно, тщетными»[5].

ზემოალნიშნული ფაქტები მეტყველებენ იმის შესახებ, რომ ინგლისის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ ევროპულ ყაიდაზე რეორგანიზებული არმია ჰყოლოდა ირანს აღმოსავლეთში მისი ყველაზე დიდი მოწინააღმდეგის — რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბაბა-ხანმა ირანი ადრევე დაუყო თავის შვილებს სამფლობელოებად, ყველას თავ-თავისი პროვინცია მიუჩინა, ხოლო აბას-მირ-

---

[1] Сочинение Гаспара Друвиля.—Путешествие в Персию в 1812 и 1813 гг. стр. 116. М. 1826 г.

[2] ЦГВИА, ф. 446, д. 12, л. 17, Военно-политическое обозрение персидского государства, сочинение свиты его императорского величества по квартирмейстерской части полковником Энгольмом, 1827 г.

[3] იქვე, ფ. 24.

[4] იქვე, ფ. 31

[5] იქვე, ფ. 26.

ზას აზერბაიჯანი ჩააბარა და მასვე რუსეთთან დამოკიდებულების ყველა საკითხის მოგვარება მიანდო[1]. იმის გამო, რომ ყველაზე დიდ უნარსა და ნიჭს შაჰის შვილებს შორის აბას-მირზა ამჟღავნებდა, ბაბა-ხანმა მას გადასცა რუსეთთან საცილობელი აზერბაიჯანის სახანოები. პოლკოვნიკ ენსგოლმის ცნობით, აბას-მირზა, ეომებოდა რა რუსეთს, ბრძოლის ველზე ბაძავდა სისხლიან დამპყრობლებს — ჩინგიზ-ხანს, თემურ-ლენგს და ნადირ-შაჰს; იგი ცდილობდა გაემართლებინა თავისივე მამის ბაბა-ხანის ნდობა — გამხდარიყო დიდი დამპყრობელი[2].

ინგლისის დიპლომატია უბიძგებდა ირანს რუსეთის წინააღმდეგ ომისაკენ და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით დიდძალ დახმარებას ჰპირდებოდა.

ინგლისი ცდილობდა ირან-ოსმალეთის სამხედრო კავშირის გაფორმების საქმე დაეჩქარებინა. ეს კავშირი კი პირველ რიგში მიმართული იქნებოდა რუსეთის წინააღმდეგ. ირანის შაჰს, როგორც ა. იტალინსკის მიერ 1803 წ. 18 (30) ივლისის თარიღით გრაფ რუმიანცევისათვის გამოგზავნილი წერილიდან ირკვევა, გაუგზავნია ელჩები ოსმალეთის სულთანთან იმ მიზნით, რომ რუსეთის ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად დახმარება ეთხოვა[3].

მართალია, ირანის შაჰმა ოსმალეთი მაშინ რუსეთის წინააღმდეგ ვერ განაწყო, მაგრამ თვით ეს ფაქტი მეტყველებს იმის შესახებ, რომ ის უკვე ადრიდანვე ემზადებოდა რუსეთთან ომისათვის. როგორც სოლომონ II-სადმი გამოგზავნილი ფირმანიდან ვიცით, ირანის შაჰი საქართველოს თავის სამფლობელოდ თვლიდა.

1804 წელს შაჰის მიერ თბილისში გამოგზავნილმა ელჩმა იაკუბ-ბეგმა გენ. ციციანოვს ულტიმატუმი წაუყენა; ის კატეგორიულად მოითხოვდა სასწრაფოდ გაეყვანა რუსეთს თავისი ჯარები საქართველოსა და ამიერკავკასიის ტერიტორიიდან. საინტერესოა აღნიშნული ულტიმატუმიდან ის ადგილი, სადაც ვკითხულობთ: ***«Если вы с потомками Ираклия Хана под прикрытием вашего коварства имеете сделку о распространении торговли в Тифлисе и завладении оным городом, то постыдность такого коварства очевидна, а потому шахские области вы должны без малейшего***

[1] ЦГВИА, ф. 446, д. 12, л. 17.

[2] იქვე. ფ. 33—34.

[3] АВПР. ф. канцелярия, 1803 г. д. 2235, л. 92 и об.

предлога очистить»[1]. ამრიგად, შაჰი მოითხოვდა თავისი ძველი უფლებების აღდგენას საქართველოზე და იმ პროვინციებზე, რომელიც რუსეთის მიერ იყო შემოერთებული; კერძოდ, ის რუსეთის მიერ დაკავებულ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიას თავის საკუთარ სამფლობელოდ იჩემებდა. თუ კი ციციანოვი ამ მოთხოვნას არ შეასრულებდა ბაბა-ხანი იმუქრებოდა: «На р. Куре головы без тела как пузыри будут плавать и какия тела на каспийском море приливом и отливом будут прибываемы и отбываемы от берега».[2]

ბაბა-ხანს ირანის არმია, რომელსაც ინგლისელები წრთვნიდნენ, უძლეველ არმიად ეჩვენებოდა და საქართველოში მყოფი რუსეთის ჯარების განადგურებაზე ფიქრობდა.

გენ. ციციანოვმა ირანის ელჩის თვალწინ რუსული პოლკები გაატარ-გამოატარა იმ მიზნით, რომ დაეშინებინა იგი რუსეთის ძლიერების დემონსტრირებით. საარქივო მასალაში ვკითხულობთ: «Князь Цицианов принял его весьма грубо, с произношением многих оскорбительных и обидных слов насчет Баба-Хана... О драгоценных камнях, которые Шахи персидские носят на руках выше локтя вместо короны, сказал он, что сделает заднюю пряжку к своему изподнему платью»[3].

რუსეთის სარდლობამ 1804 წ. დასაწყისში განიზრახა ერევნის სახანოს დაპყრობა, რომელსაც კავკასიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ციხე-სიმაგრე — ერევნის ციხე-სიმაგრე ჰქონდა.

ჯერ კიდევ ადრე, როგორც ირკვევა, ვ. ზუბოვის სარდლობის ქვეშ მყოფ რუსეთის არმიას ერევნის აღება, სხვა მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეთა შორის, სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმედ მიაჩნდა. თავის მოხსენებით ბარათში 1796 წლის 3 ოქტომბრის თარიღით, კასპიის კორპუსის შტაბში მყოფი მაიორი სერებროვი ვ. ზუბოვს მოახსენებდა: «Нахожу полезным и безопасным, покорение крепости Еревана, и к ней принадлежащих провинций, яко гнезда скоплявшихся хищников»[4]. სერებროვი მიუთითებდა, რომ ერევნის ციხე ამ ლაშქრობამდე რამდენიმე წლის უკან ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ემ თავისი ჯარებით დაიპყრო და

[1] Акты, т. 2, д. 1665, стр. 808.

[2] იქვე.

[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258, ч. 2, л. 1, Экспедиция Эриванская.

[4] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2601, л. 1.

ერევნის სახანო თავის ვასალად გაიხადაო. მართალია, ეს მდგომარეობა შემდეგ შეიცვალა და ქართლ-კახეთის მეფემ ერევნის სახანოს მიმართ თავისი უფლებები დაჰკარგა, მაგრამ სომხეთის მოსახლეობაში ერეკლეს დიდი გავლენა აქვს და მას შეუძლია ამჟამადაც სომეხი მელიქების მხარდაჭერით ციხე-სიმაგრის აღებაში დიდი როლი ითამაშოსო. სერებროვის მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ იგი სრულიად მართებულად კავკასიის ხალხთა ბედისათვის ერევნისათვის ბრძოლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმის გამო, რომ ერევანი ირანელ დამპყრობთა ერთი უძლიერესი ციტადელი იყო. საიდანაც ისინი შიშის ზარსა სცემდნენ სომხეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის მოსახლეობას; ამიტომ ერევნისათვის ბრძოლა წმინდა ეროვნულ, სომხურ ჩარჩოებს გასცილდებოდა. მისი აზრით, სომხებთან ერთად ქართველები და აზერბაიჯანელები აქტიურ მონაწილეობას მიიღებდნენ ამ დიდ საერთო სახალხო ბრძოლაში[1].

ერევნის ოპერაციის დამთავრების შემდეგ მაიორი სერებროვი ვარაუდობდა ერევანში დაეტოვებინათ ქართველთა და სომეხთა ჯარი ერეკლე II-ის შვილიშვილის, რუსეთის არმიის პოლკოვნიკის— დავით ბატონიშვილის სარდლობით, ხოლო მეფე ერეკლე კი უკან, თბილისს გაბრუნებულიყო[2].

მართალია, სერებროვის მოსაზრება იმ პერიოდში არ განხორციელდა, მაგრამ, მისი ვარაუდი, — რომ ერევნისათვის ბრძოლაში რუსეთის ჯარებს მხარში სომხებთან ერთად ქართველები და აზერბაიჯანელები ამოუდგებოდნენ — უდავოდ სწორი იყო; ისტორიულ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ გაამართლა მისი მოსაზრება. ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში სამივე მოძმე ხალხს ერთი საერთო ინტერესი — თავიანთი საკუთარი სამშობლოს გადარჩენა ამოძრავებდათ, ხოლო განთავისუფლების იმედს რუსეთის არმიის გმირული მოქმედება უღვივებდათ; ამ რთული ამოცანის გადაჭრას ისინი რუსეთის არმიის სიძლიერეს უკავშირებდნენ, რადგანაც მარტო საკუთარი ძალებით ირანელთა ბატონობის უღლის გადაგდება შეუძლებელი აღმოჩნდა.

შაჰი ერევნის ციხე-სიმაგრის მეშვეობით ავრცელებდა აღმოსავლეთ სომხეთზე, აზერბაიჯანსა და საქართველოს დიდ ნაწილზე თავის დესპოტურ რეჟიმს; ერევნის ციხე-სიმაგრე ამავე დროს წარმოადგენდა საიმედო ციტადელს დამოუკიდებლობისათვის გმირუ-

[1] ЦГВИА. ф. ВУА. д. 2801, лл. 2—3.

[2] იქვე, ფ. 4

ლად მებრძოლ საქართველოს დედაქალაქზე — თბილისზე განუწყვეტელი თავდასხმისათვის.

თუ კი რუსეთი ერევნის ციხე-სიმაგრეს დაეუფლებოდა, მაშინ იგი მის ხელში შუაგულ ირანისაკენ მიმავალი გზების გასაღები გახდებოდა; ამიტომ შაჰი საგანგებოდ ამაგრებდა ერევანს[1]. აბას-მირზას საქართველოზე სალაშქროდ 20000-იანი არმია გამზადებული ჰყავდა.

გენერალმა ციციანოვმა ერევანზე ლაშქრობისათვის საბაბად გამოიყენა ეჩმიაწინის პატრიარქის ტახტისათვის წარმოშობილი დავა.

1804 წ. მაისის დასაწყისში გენ. პ. ციციანოვმა ბრძანება გასცა კავკასიის გრენადერთა, სარატოვის მუშკეტერთა, მე-9 ეგერთა და ნარვის დრაგუნთა პოლკებს თავი მოეყარათ თბილისში, ხოლო თბილისის მუშკეტერთა პოლკს ებრძანა წასულიყო ბამბაკს და იქ დალოდებოდა მთავარსარდლის ბრძანებას.

საინტერესოა, რა რაოდენობისა და როგორი შემადგენლობისა იყო ერევანს მოლაშქრე რუსეთის არმია? ერევნის ექსპედიციის შესახებ არსებული საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ამ ლაშქრობაში მონაწილეობდა 3350 ქვეითი და 1020 ცხენოსანი მეომარი. ცხენოსანთა შორის 370 ქართველი მოხალისე იყო[2]. ერევნის ექსპედიციაში ტყვია-წამლისა და სხვა საომარ საშუალებათა და აღჭურვილობის გადასაზიდად თბილისიდან (ქართლიდან და კახეთიდან) გაიგზავნა თავიანთი ურმებითა და საზიდრებით ასობით გლეხი; გარდა ამისა, დრო და დრო საქართველოდან იგზავნებოდა ქართველ მოხალისეთა მრავალრიცხოვანი რაზმებიც, რომლებმაც თავი ისახელეს ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ერევნის მამედ-ხანი ცდილობდა მოეტყუებინა ციციანოვი; იგი თავისი ელჩების მეშვეობით იუწყებოდა, რომ თითქოს აბას-მირზა თავს დაესხა ერევნის ციხეს და დიდი ბრძოლა ჰქონდა მასთან, ხოლო თვითონ კი მზად იყო გადაეცა ერევნის ციხე-სიმაგრე რუსეთისათვის[3]. ციციანოვი არ მიენდო მამედ-ხანის მოციქულს და, ცხადია, მას ამის საფუძველი უდავოდ ჰქონდა.

[1] Шопен, Исторический памятник состояния Армянской области в эпоху ее присоединения к Российской Империи, СПБ, 1852, стр. 449, შდრ ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258, ч. 2, лл. 17—18.

[2] ЦГВИА ф. ВУА, д. 2801, л. 7.

[3] იქვე, ფ. 8.

ციციანოვმა 1804 წლის 10 მაისს მამედ-ხანისაგან ერთგულების პირობად მოითხოვა ერევნის ციხის რუსეთის ჯარებისათვის გადაცემა, რუსეთის ერთგულებაზე ფიცის მიღება და ყოველწლიურად რუსეთის სასარგებლოდ 80 ათასი მანეთის რაოდენობით ხარკის გადახდა[1].

მამედ-ხანი ერევნის ციხე-სიმაგრის უბრძოლველად დათმობას არ ფიქრობდა, მაგრამ საგანგებოდ აჭიანურებდა ციციანოვისათვის პასუხის გაცემას იმ მიზნით, რომ დრო მოეგო, საბრძოლო მდგომარეობაში მოეყვანა ციხე-სიმაგრე, აბას-მირზას ჯარსაც მოესწრო და შეერთებოდა მის მეციხოვნე გარნიზონს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1804 წ. 29 მაისს ერევნისკენ დაიძრა კავკასიის გრენადერთა პოლკი გენერალ-მაიორ ტუჩკოვის მეთაურობით, ხოლო დანარჩენი ჯარი მას უნდა მიჰყოლოდა გენ. ციციანოვთან ერთად. მალე რუსეთის ჯარები ყარაღაჩს მიადგა, სადაც ტუჩკოვმა წერილი მიიღო თბილისის პოლკის მეთაურის გენერალ-მაიორ ლეონტიევისაგან: გენ. ციციანოვის ბრძანებით ტუჩკოვი თავისი პოლკის ორი ბატალიონით უნდა წასულიყო და გუმრის ციხესთან (ახლა ლენინაკანი) შეერთებოდა ლეონტიევის რაზმს, მდინარე არფაჩაის ნაპირზე. რუსეთის არმია მალე შურაღელში შევიდა (შირაქში). 9 ივნისს გენ. ტუჩკოვი თავისი ორი ბატალიონითა და 5 ქვემეხით შეუერთდა გენ. ლეონტიევის რაზმებს, აქვე მათ შეუერთდა სომეხთა შეიარაღებული რაზმიც[2].

ირანისა და რუსეთის ჯარებს შორის პირველი შეჯახება მოხდა მდ. არფაჩაისთან ახლომდებარე სოფ. ყარაკლისთან, რომელიც რუსების გამარჯვებით დამთავრდა აბას-მირზას ბანაკში იყვნენ ალექსანდრე ბატონიშვილი, სულეიმან სარდარ მეხტი ყული-ხანი, ახალციხის ყოფილი შერიფ-ფაშა და სხვ. პირველი შეჯახებისას მოწინააღმდეგემ მოკლულთა სახით დაჰკარგა 100-მდე ჯარისკაცი და ამდენივე ტყვედ ჩავარდა. ირანელთა ტყვეობიდან განთავისუფლებულ იქნა 400 სომხური ოჯახი. ირანის სარდლობა ცდილობდა 7.000-მდე სომეხთა და თათართა ოჯახი, რომელიც ერევნის სახანოდან საქართველოში გამოქცევასა და თავის შეფარებას აპირებდა, შუა ირანში გაერეკა. მაგრამ მან მიზანს ვერ მიაღწია. ზემოაღნიშნულის შესახებ იგივე საარქივო მასალაში ვკითხულობთ

[1] **Акты**, т. 2, стр. 613.

[2] **ЦГВИА**, ф. ВУА, д. 4258, ч. 2. л. 3.

შემდეგს: «*В сем деле* (ლაპარაკია პირველ შეჯახებაზე. ნ. ჭ.) *с неприятельской стороны убито более 100 человек, в плен взято 100, освобождено захваченных ими семейств 400 и пресечено намерение их угнать 7000 семей, которые большею частию потом поселились в Грузии*»[1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ჭ.)

მოტანილი აშკარად მეტყველებს იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებდა რუსეთის არმია ობიექტურად ამიერკავკასიის ხალხების განმათავისუფლებლის როლს ბარბაროსული ირანისა და ოსმალეთის დესპოტური ჩაგვრისაგან, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მმართველი წრეები ამ ომში ახალ-ახალი ტერიტორიების დაპყრობისათვის იბრძოდნენ. მტერმა სცადა თავს დასხმოდა გენერალ-მაიორ ტუჩკოვის ბანაკს, მაგრამ ტუჩკოვმა წინასწარვე გაგზავნა კაზაკთა და სომეხთა რაზმები, რათა მტრისათვის გზა გადაეღობათ[2].

12 ივნისს ციციანოვი დანარჩენი ჯარებით მივიდა გუმრის მისადგომებთან და შეუერთდა რუსეთის ჯარის ავანგარდს. 15 ივნისს მან დაძრა თავისი ჯარი აპარანის გზით ერევნისაკენ. ერევნის ხანი კვლავ ცდილობდა, მოეტყუებინა გენ. ციციანოვი[3]. ციციანოვმა კი უკვე კარგად იცოდა მისი ვერაგული საქმიანობის შესახებ. აპარანში ციციანოვი ოთხი დღე შეჩერდა, მან ავანგარდის სარდლობა გენერალ ტუჩკოვს დააკისრა, ხოლო არიერგარდისა — გენერალ ლეონტიევს მიანდო.

19 ივნისს რუსეთის ჯარის ავანგარდი ეჩმიაწინს მიადგა, რომელიც ირანელების მიერ იყო გამაგრებული. 20 ივნისს დაიწყო ბრძოლა ეჩმიაწინისათვის. ირანელები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსებს; მტრის იერიში ხუთჯერ იქნა მოგერიებული; ეტყობოდა, რომ ირანის არმია საკმაოდ კარგად იყო შეიარაღებული. აბას-მირზას რაზმებმა რუსეთის აღალის ნაწილი ტყვედ ჩაიგდო[4].

აბას-მირზა ცდილობდა არა მარტო დაეცვა ეჩმიაწინი რუსეთის ჯარისაგან, არამედ სასტიკად დაემარცხებინა ის და გზა გაეხსნა თბილისისაკენ. ერევნის ხანი საომარი იარაღითა და ყველა საშუალებით ეხმარებოდა აბას-მირზას[5].

---

[1] ЦГВИА, д. 4258,. ч. 2, л. 3—5.
[2] იქვე.
[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258, ч. 2. л. 5—6.
[4] იქვე, ფ. 9.
[5] იქვე ფ. 5—6.

რუსეთის ჯარმა ეჩმიაწინისათვის ბრძოლაში წარმატებას ვერ მიაღწია, მაგრამ სარდლობამ განიზრახა ძირითადი დარტყმა გადაეტანა ერევნის მისადგომებზე, სადაც დაბანაკებული იყო აბას-მირზას ჯარი. 25 ივნისს რუსეთის ჯარმა კანაკირი აიღო. აბას-მირზას ჯარი დიდი ზარალით უკან იხევდა ერევნისაკენ და აშკარა დამარცხების წინაშე იდგა.

28 ივნისს რუსების ბანაკში გამოცხადდა რამდენიმე სომეხი ეჩმიაწინიდან და ციციანოვს აუწყეს, რომ ირანელებმა დასტოვეს ეჩმიაწინი და რომ იქ ეგულებოდათ სურსათ-სანოვაგე, რაც სასიამოვნოდ დაურჩა მთავარსარდალს[1]. ჯარში სურსათის ნაკლებობა უკვე იგრძნობოდა და ციციანოვმა ბრძანა ეჩმიაწინი აეღოთ, თვითონ კი ჯარის დიდი ნაწილით 29—30 ივნისს ღამით გადალახა მდ. ზანგა და აბას-მირზას ბანაკზე იერიში მიიტანა[2]. რუსების ენერგიული შეტევის შედეგად აბას-მირზას ჯარები უკან იხევდნენ.

რუსების შეტევის წინ ალექსანდრე ბატონიშვილმა გენ. ციციანოვს გამოუგზავნა მისი თანმხლები 10 ქართველი თავადი და შემოუთვალა, რომ ქართველი ბატონიშვილი მზადაა მოვიდეს გენ. ციციანოვთან და მის მხარეზე გადმოვიდეს. თუ კი მას იგი პატივებას აღუთქვამდა. ციციანოვმა ქართველი ბატონიშვილის ელჩები დააპატიმრა, ხოლო ალექსანდრეს შეუთვალა, რომ იმპერატორის გარეშე მას პატიება არ შეუძლია და პირადად ციციანოვს მისთვის ბორკილები აქვს გამზადებული.

2 ივნისს რუსეთის ჯარმა ერევანი ალყაში მოაქცია. მამედხანმა, როგორც კი გაიგო აბას-მირზას უკან დახევის შესახებ, მას დიდძალი საჩუქრები გაუგზავნა და უმორჩილესად თხოვდა შეჩერებულიყო იგი ერევანთან და ერევნის დაცვაში მიეღო მონაწილეობა. ერევნის გარნიზონი ითვლიდა 7.000 კაცს, ბაბა-ხანისაგან მამედხანს ბლოკადის დროს დამატებით მოუვიდა 800 ქვეითი ჯარისკაცი[3].

ერევნის ბლოკადის მესამე დღეს ციციანოვთან გამოცხადდა ერევნის ხანის მიერ გამოგზავნილი კაცი, რომელმაც ხანისაგან ბოდიში გადასცა ციციანოვს ჩადენილი დანაშაულის გამო. ხანის მოციქულმა ციციანოვს განუცხადა: «1. Хан весьма сожале-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258. ч. 2, л. 14.
[2] იქვე.
[3] იქვე, ფ. 18.

ет, что не мог ему сделать надлежащей встречи, не яко своему неприятелю, но яко почтенному своему соседу. 2. что ничего так не желает, как покровительства и защиты великого государя Российского. 3. дань, которую он по обязанности своей не платил, Грузии, у него готова за 6 лет по 40.000 руб. сер. за каждый год. 4. далее, намерен Хан говорить о городе, 5. извинялся в сделанных из крепости выстрелах»[1].

ერევნის ხანს სურდა ამით ერთხელ კიდევ მოეტყუებინა და დაებნია გენ. ციციანოვი, მისთვის თავი ისე მოეჩვენებინა, რომ თითქოს იგი რუსეთის ერთგული იყო; ცხადია, ყოველივე ამას იგი აკეთებდა იმისათვის, რომ შეცდომაში შეეყვანა რუსეთის სარდლობა. ციციანოვისათვის უკვე გასაგები იყო ერევნის ხანის მუხანათური მოქმედება, მან უხეშად გამოლანძღა მამედ-ხანის მოციქული, დამამცირებელი სიტყვებით მიმართა მას და უბრძანა, გადაეცა თავის ბატონისათვის, რომ დაუყოვნებლივ მოეტანათ მასთან ეჩმიაწინის მონასტრიდან გატაცებული მთელი განძეული[2].

რუსეთის არმია ერევნის ასაღებად გმირულად იბრძოდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი გაცილებით მცირერიცხოვანი იყო, ვიდრე მტრის ჯარი. გენ. ვ. ციციანოვმა ერევნის მისადგომებთან ბრძოლაში მიმართა რუსეთის არმიისათვის ნაცად ტაქტიკურ ხერხს — მტერი დაეღალა ხანგრძლივი თავდაცვითი ბრძოლის წარმოებით, გაენადგურებინა მისი ცოცხალი ძალა და შემდეგ კი გადასულიყო იერიშზე ძალაგამოლეული მტრის ციხე-სიმაგრის ერევნის ასაღებად.

რაც დრო გადიოდა, მრავალჯერ დამარცხებული ირანის არმია. მით უფრო და უფრო მორალურად ეცემოდა; ერევნის ციხის დაცემა გარდაუვალი იქნებოდა, რომ აბას-მირზასა და ერევნის გარნიზონისათვის არ მოესწროთ დამხმარე ძალის მოშველიება.

მაშინ, როდესაც რუსეთის არმიასთან ბრძოლაში აბას-მირზა დამარცხებას განიცდიდა, სულთანიეში ბაბა-ხანთან იმყოფებოდა ინგლისის ელჩი, რომელიც მას ურჩევდა, ერევნის ბრძოლაში არ გაეგზავნა თავისი ჯარები, რადგანაც რუსები იმასაც დაამარცხებდნენ. ციციანოვმა თავრიზიდან რუსეთის აგენტ ოსიპ ტერ ნაზაროვისაგან 1804 წ. ზაფხულში ამის შესახებ შემდეგი გაიგო: «Баба Хан, находясь в Султание, когда получил известие о разбитии сына его Российскими войсками, тотчас собрался к нему

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258. ч. II. л. 18.

[2] იქვე, ფ. 19.

на помощь, и тогда находившийся аглинский посол со свитою из 200 человек состоящею, советовал ему не ехать, говоря, что русские и его разобьют, привыкшие всех побеждать»[1].

ინგლისელი ელჩის ასეთი რჩევა, ალბათ, იმით იყო გამოწვეული, რომ მას სურდა უფრო სრულყოფილი გაეხადა ირანის არმია და მისი შეიარაღება, რათა წარმატების სრული გარანტია ჰქონოდა და გამარჯვების ფაქტის წინაშე დაეყენებინა ირანის შაჰი. მოტანილიდან ირკვევა, რომ ინგლისელი ელჩი ხაზს უსვამდა რუსეთის არმიის ძლიერებას იმ მიზნით, რომ შაჰი სრულ დამოკიდებულ მდგომარეობაში ჰყოლოდა, რომ მისთვის თავზე მოეხვია თავისი პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო ძლიერება. და ამის შემდეგ ბიძგი მიეცა რუსეთის წინააღმდეგ უფრო აქტიური მოქმედებისაკენ.

ინგლისის მთავრობას სურდა დაერწმუნებინა ირანის შაჰი, რომ რაც უფრო მეტად იქნებოდა ინგლისისაგან იგი დამოკიდებული, მით უფრო მეტი შანსი ექნებოდა რუსეთის არმიაზე გამარჯვებისა; ამაზე უნდა მიუთითებდეს ის ფაქტი, რომ ინგლისის ელჩს შაჰისაგან მოუთხოვია ინგლისის განკარგულებაში ირანის მთელი რიგი ტერიტორიების გადაცემა. ზემოაღნიშნულ დოკუმენტში ამის შესახებ ვკითხულობთ: **«Англичане у Шаха просили уступки Бандар-Бушир, Бандар-Абас, Бандар-Сурат, городов близ персидского залива лежащих»**[2].

ბაბა-ხანი, მართლაც, ინგლისის ელჩის რჩევით და უშუალო დახმარებით ერევნის ლაშქრობისათვის საკმაოდ კარგად მოემზადა. ბაბა-ხანის მიერ გამოგზავნილ ჯარს უნდა გადაეწყვიტა ერევნისათვის ბრძოლის ბედი.

რუსეთის ჯარი გენ. ციციანოვს, მიუხედავად მისი მცირერიცხოვნებისა და სურსათის ნაკლებობისა, სრულ საბრძოლო მდგომარეობაში ჰყავდა. ქართველობა მტკიცედ უჭერდა მხარს ერევნისათვის მებრძოლ ჯარს. ერევანთან ბაბა-ხანის მოსვლის ორი დღით ადრე მოალყე ჯარების დასახმარებლად თბილისიდან მოსულა დამატებით ქართველთა რაზმი 300-მდე მებრძოლით თავად ივანე ორბელიანის სარდლობით[3].

---

[1] АВПР, 1801—1814, ф. Главный архив, 1—13, д. 5, л. 38.

[2] იქვე, ლ. 38 и об.

[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258. ч. 2, л. 24, Экспедиция Эриванская.

უკანასკნელ ხანებში ერევნის ბრძოლაში, გენ. ტუჩკოვის ცნობით, მრავალათასიანი ქართული მილიცია მონაწილეობდა[1].

მალე ბაბა-ხანი აბას-მირზას დასახმარებლად გამოჩნდა თავისი მრავალრიცხოვანი ჯარით. ერევნის ციხიდან რუსეთის მსარეზე გადმოსულ სომეხთა ცნობით მისი არმია 50 ათას ჯარისკაცს ითვლიდა[2].

1804 წ. 15 ივლისს ბაბა-ხანი რუსეთის მოალყე ჯარის წინააღმდეგ იერიშზე გადმოვიდა. დაიწყო სასტიკი ბრძოლა. რუსეთის ჯარის საპირისპიროდ ბაბა-ხანმა თავისი არმია სამ ნაწილად დაყო. ბაბა-ხანის ჯარი პირველად თავს დაესხა რუსეთის არმიის მარცხენა ფრთას, რომელსაც გენერალ-მაიორი ლეონტიევი მეთაურობდა, მაგრამ მტერმა სასტიკი მარცხი განიცადა, მიუხედავად მისი რაოდენობრივი სიმრავლისა. ირანელების მეორე ძლიერმა რაზმმა, რომელსაც გადავიდა მდ. ზანგაზე, იერიში მიიტანა პოლკოვნიკ ცეხანოვსკის მიერ დაკავებულ პოზიციებზე, მაგრამ რუსი ჯარისკაცების ძლიერი ცეცხლის ქვეშ მოყვა, იგი სასტიკად დამარცხებული უკუიქცა და დაჰკარგა ერთი საბრძოლო დროშა. ირანელთა მესამე მრავალრიცხოვანმა რაზმმა იერიში მიიტანა გენერალ-მაიორ პორტნიაგინის ნაწილებზე, მაგრამ ისიც სულ მალე უკუქცეულ იქნა. ეჩმიაწინისა და ერევნისათვის ბრძოლებში არაჩვეულებრივი ენერგიულობით მოქმედებდა ირანის კავალერია; ახასიათებდა რა ირანის კავალერიის მოქმედებას, გენ. ტუჩკოვი თავის მოგონებაში წერდა: **«Должно представить себе здесь всю быстроту их кавалерии... Они скакали во всю прыть при безпрерывной пальбе из коротких своих ружей и сопровождали стрельбу ужаснейшим криком. Можно сказать, что земля тряслась от топоту, а пыль, подобно густой и мрачной туче затьмила сияние солнца»**[3].

ირანის კავალერიას იწგლისელი სპეციალისტების ხელი უკვე დატყობოდა, ისევე როგორც სხვა სახეობის ჯარებს. ბაბა-ხანის ჯარის მოსვლამ გამოაცოცხლა ერევნის ხანი და მან უფრო ენერგიული მოქმედება დაიწყო რუსეთის არმიის წინააღმდეგ[4]. ბაბა-ხანის მრავალრიცხოვანი არმიის იერიშები რუსეთის ჯარებისათვის საკმაოდ მძიმე იყო. მტრის რაზმები ხშირად შემოიჭრებოდნენ ხოლმე

---

[1] Записки Сергея Алексеевича Тучкова, стр. 241—242, СПБ, 1908 г.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258, ч. 2, л. 21.
[3] Записки Сергея Алексеевича Тучкова, стр. 228—229, СПБ, 1908 г.
[4] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258, ч. 2, л. 23.

რუსეთის არმიის პოზიციებზე და საფრთხეს უქმნიდნენ მას. იყო ბრძოლის ერთი მომენტი, როცა ირანელებმა ერთ-ერთ უბანზე საკმაოდ მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს. მტერმა მოულოდნელად მოახერხა შემოჭრილიყო ციციანოვის არმიის ზურგში და ზურგიდან და ფრონტიდან ძლიერი დარტყმებით შეავიწროვა რუსეთის რაზმები. სწორედ ასეთ კრიტიკულ მომენტში ქართველმა მეურმეებმა, რომლებიც ქართლ-კახეთიდან იყვნენ გაგზავნილი ერევნის მოლაშქრე არმიისათვის სურსათისა და ტყვია-წამლის გადასაზიდად, თავი ისახელეს; მეურმეთა გმირულმა მოქმედებამ მტერი უკუაქცია. საინტერესოდ აღწერს ამ ფაქტს ტუჩკოვი: ერთხელ ღრმად შემოიჭრნენ ირანელები და დიდი საფრთხე შეექმნა რუსეთის არმიას, *«но к счастию, собраны были там все грузинския повозки, взятыя нами пред выступлением в поход под провиант. При них находились и их хозяева, то есть крестьяне грузинские, вооруженные однако же, по обычаю страны, ружьями, пистолетами и кинджалами. Сии люди, услышав вблизи их пальбу, приготовились и встретили персиян из-за своих повозок сильным ружейным огнем»*[1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.)

მოტანილი დოკუმენტი ადასტურებს ქართველი ხალხის, მისი უღარიბესი კლასის—ქართველი გლეხობის აქტიურ მონაწილეობასა და სიმამაცეს ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მათს საბრძოლო თანამეგობრობას რუს ჯარისკაცებთან ინგლისური ტექნიკით აღჭურვილი ბაბა-ხანის არმიაზე გამარჯვების მოსაპოვებლად.

რუსეთის ჯარში რაც დღე გადიოდა, მით უფრო იგრძნობოდა სურსათისა და საბრძოლო საშუალებათა ნაკლებობა. ყოველივე ეს ჯაშუშების საშუალებით ბაბა-ხანისათვის ცნობილი გახდა; გათამამებული ბაბა-ხანი რუსი და ქართველი მებრძოლებისაგან დიდ წინააღმდეგობას აღარ მოელოდა, მაგრამ ქართველ მეურმეთა რაზმმა, როგორც ზემოთ ითქვა, მას იმედები არ გაუმართლა; ირანელები იძულებული იყვნენ დიდი დანაკარგით უკან დაეხიათ. ტუჩკოვის ცნობით, ამ ბრძოლის შემდეგ ბაბა-ხანმა ბრძანა ჩამოეხრჩოთ ის ჯაშუში, რომელმაც იგი შეცდომაში შეიყვანა[2].

სამი კვირის მანძილზე ფიცხელი ბრძოლის შემდეგ ბაბა-ხანმა განიზრახა ალყაში მოექცია რუსეთის ჯარი და ის მთლიანად გაენადგურებინა. რუსეთის ჯარს, როგორც აღინიშნა, საომარი მასალა

[1] Записки Сергея Алексеевича Тучкова, стр. 240.
[2] იქვე.

და სურსათი თითქმის აღარ ჰქონდა. გენერალ ციციანოვს სურსათის მცირე მარაგი ყარაკლისში ეგულებოდა, სადაც გაგზავნა სხვადასხვა პოლკებიდან რჩეული 600 ჯარისკაცი 3 მსუბუქი ქვემეხით, მათ პოლკოვნიკი მონტრეზორი მეთაურობდა; მის განკარგულებაში გადავიდა ერევნის მოალყეთა დასახმარებლად დამატებით მისული ქართველთა მრავალრიცხოვანი რაზმი გენერალ-მაიორ ივანე ორბელიანის მეთაურობით. სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში, სურსათის მოსატანად წასულ რუს და ქართველ მეომრებს დაეჯახა ირანის ათიათასიანი არმია ალექსანდრე ბატონიშვილის სარდლობით, რომელიც თავის თანამემამულეებს რუს ჯარისკაცებთან ერთად სასტიკად გაუსწორდა. ამის შესახებ ტუჩკოვი წერს: «Цицианов... послал подполковника Монтрезора в крепость Караклис для доставления провианта. При этом он дал ему три легкия пушки, 600 человек отборных солдат от разных полков, из которых каждый имел при себе по сту патронов, всех вооруженных грузин человек до 3 тыс. и с ним предводителя грузинского дворянства нашего генерал-маиора кн. Ивана Орбелианова... Но персияне, дав оному пройти миль восемь..., окружили его со всех сторон... Персияне дали знать между тем царевичу Александру, который с 10 тыс. войсками отправлен был Баба-ханом в Грузию, дабы произвести там возмущение. Он поспешил возвратиться из пределов Грузии и встретил Монтрезора не доходя три мили до Караклиса. Тут Персияне, обще с царевичем, сделали на него сильное нападение. Не стало у солдат патронов и зарядов при пушках. Однако, несмотря на безмерное превосходство неприятеля, ударили они в штыки, как отчаянные. И все почти до одного погибли, исключая нескольких грузин, двух тяжело раненных офицеров, и человек десяти рядовых, которых персы пощадили и взяли в плен. Подполковник Монтрезор и все прочие офицеры были убиты, орудия достались неприятелю, кн. Орбелянов был тяжело ранен и взят в плен»[1].

მოტანილი ფაქტი მეტად საგულისხმოა; იგი იძლევა ცნობას იმის შესახებ, რომ ერევნის ბრძოლაში მარტო ქართველთა ცალკეული ასეულები კი არ იბრძოდნენ, არამედ ქართველთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი რაზმებიც მონაწილეობდნენ. ზემოაღნიშნულ სა-

[1] Записки Сергея Алексеевича Тучкова, стр. 241—242.

ბუთში მოხსენებულია, რომ ამ ბრძოლაში მონაწილეობდა სამი ათასი ქართველი. ისინი ისეთივე გმირობასა და ვაჟკაცობას იჩენდნენ, როგორც რუსი ჯარისკაცები და ისევე გმირულად შეაკვდნენ მტერს, როგორც ბრძოლის ველზე გეერდში მყოფი რუსი მეომრები.

სურსათის უქონლობა საბედისწეროდ ემუქრებოდა ირანის წინააღმდეგ მებრძოლ რუსეთის ჯარს. ირანელთა ბატონობისაგან განთავისუფლებას მოწყურებული სომეხი ხალხი ყოველმხრივ ხელს უწყობდა ციციანოვის არმიას, მიუთითებდა ჯარს სურსათის გადანახულ მარაგზე, თუ მისი მოპოვების სხვა საშუალებებზე[1]. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის მოსახლეობას მოჰქონდა სურსათი და ასწავლიდა რუსეთის არმიას მისი მოპოვების სხვადასხვა საშუალებებს, ეხმარებოდა მას როგორც შეეძლო და რითაც შეეძლო, სურსათით უზრუნველყოფა ადგილობრივი საშუალებებით მაინც შეუძლებელი გახდა, რადგანაც ასეული წლების მანძილზე ირანელი დამპყრობლები ანადგურებდნენ ქვეყნის მეურნეობას. სომხეთის სოფლები და ქალაქები, გენ. ტუჩკოვის ცნობით, სრულიად გაეერანებული გამოიყურებოდნენ[2]. ბოლოს და ბოლოს არმიისათვის სრულიად აუტანელი პირობები შეიქმნა; არ იყო პური და ხორცი, მიუხედავად იმისა, რომ ციციანოვი ცდილობდა ის ადგილზე გამოეძებნა[3]. რუსეთის არმიას თბილისიდან სურსათით უზრუნველყოფის იმედი უკვე დაკარგული ჰქონდა.

ირანელები ხელს უშლიდნენ რუსეთის სარდლობას აეღოთ ხორბლის მოსავალი და იგი ჯარისათვის მიეწოდებინათ. ყოველდღიურად 10—12 რუსი ჯარისკაცი შიმშილისაგან იღუპებოდა, ერევნის ციხის აღება კი შეუძლებელი გახდა.

1804 წ. 31 აგვისტოს გენ. ციციანოვმა მოიწვია სამხედრო საბჭო; ციციანოვს სურდა შემდგომი მოქმედების გეგმა მიეღო: გაენეგრძოთ ერევნისათვის ბრძოლა, თუ უკან დაეხიათ. ჯარის მძიმე მდგომარეობის გარდა, ციციანოვს ცნობა ჰქონდა მიღებული თიანეთში დაწყებული აჯანყების შესახებ. სამხედრო საბჭომ გადაწყვიტა მოეხსნათ ერევნის ალყა და ჯარი უკანვე, საქართველოში დაებ-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258, ч. 2, л. 27.
[2] Записки Сергея Алексеевича Тучкова, стр. 222.
[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258, ч. 2, л. 27.

რუნებიათ[1]. 3 სექტემბერს დაიწყო უკანდახევა. 14 სექტემბერს ჯარი სოფ. კარაკლისში იყო (ახლანდელი კიროვაკანი), ხოლო სექტემბრის დასასრულს კი თბილისში.

მიუხედავად იმისა, რომ ერევნის ამ ოპერაციას ამჯერად წარმატება ვერ მოყვა, მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალში ირანელების წინააღმდეგ ძალთა მობილიზაციის საქმეში. ეს იყო ირანის მძლავრი ციტადელის—ერევნის წინააღმდეგ რუსეთის ჯარების პირველი დიდი ლაშქრობა, რომელშიაც რუს ჯარისკაცებთან ერთად თავი ისახელეს სომხებმა, აზერბაიჯანელებმა და ქართველებმა. რუსეთის ჯარების გმირული ბრძოლა და მასში ამიერკავკასიის ხალხების ენერგიული მონაწილეობა დღითი-დღე ასუსტებდა ირანის პოზიციას ამიერკავკასიაში და ირანელ დამპყრობელთაგან ამიერკავკასიის ხალხთა საბოლოო განთავისუფლების მომასწავებელი იყო.

ერევნის ლაშქრობიდან დაბრუნებული რუსეთის ჯარი ქართლის თიანეთში გაიგზავნა აჯანყების ჩასახშობად, რომელიც გამოწვეული იყო ცარიზმის დაპყრობითი პოლიტიკის სიმძიმითა და აუტანელი საგადასახადო სისტემის დამკვიდრებით. აჯანყებაში გაერთიანდნენ მოხევეები, მთიულები, ფშავ-ხევსურები და ოსები. იმერეთში მყოფ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებს სურდათ გლეხობის ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ სამეფო ტახტის დასამკვიდრებლად გამოეყენებინათ და ამიტომ მათ აჯანყების კერას მიაშურეს თავიანთი შეიარაღებული რაზმებით. მაგრამ ბატონიშვილების ცდა უშედეგო აღმოჩნდა. რუსეთის ჯარებმა თავად ამილახვრის ხელშეწყობით ჯერ შეიპყრეს იულონ ბატონიშვილი, ხოლო შემდეგ ერევნისაკენ გაქცეული ფარნაოზ ბატონიშვილი, რომელიც ცდილობდა შეერთებოდა თავის ძმას — ალექსანდრე ერეკლეს-ძეს. დაპატიმრებული უფლისწულები 1805 წლის 4-აპრილს გენ. ციციანოვმა რუსეთს გაგზავნა[2].

იმერეთის მეფე, მიუხედავად იმერეთით რუსეთის მთავრობის დიდი დაინტერესებისა, სამეფოს დამოუკიდებლობას ახერხებდა.

1804 წლის დასაწყისიდან გენ. ციციანოვი ცდილობდა იმერეთის გავლენიანი თავადები მოესყიდა ან გადმოებირებინა, რათა ზემოქმედება მოეხდინა იმერეთის მეფეზე და ამ საშუალებით ხელთ

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258, л. 34.

[2] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), გვ. 59—60, თბ. 1954 წ.

ეგდო იმერეთის სამეფო; მიზნის მისაღწევად არც დაშინებისა და დამუქრების მეთოდი იყო გამორიცხული[1].

1804 წ. 7 თებერვალს ციციანოვი ქაიხოსრო წერეთელს სწერდა, რომ იმერეთს ჩრდილოეთიდან ქარიშხალი ემუქრებოდა და მას განსაცდელს მხოლოდ სოლომონ II-ის უსიტყვო მორჩილება ააცილებდა[2]. მეფე სოლომონი ციციანოვთან მოლაპარაკებას თავისი წარმომადგენლების ქაიხოსრო და სეხნია წულუკიძეების მეშვეობით აწარმოებდა; იგი თანახმა იყო რუსეთის მფარველობის ქვეშ შესულიყო, თუ კი მას სამეგრელოს მთავართან საცილობელი ლეჩხუმი გადაეცემოდა, რაზედაც ციციანოვი უარზე იყო; იგი სამეგრელოს მთავრის ინტერესებს იცავდა.

1804 წ. 17 მარტს პეტერბურგიდან დაბრუნდა იმერეთის ელჩი სოლომონ ლიონიძე ,რომელსაც გენ. ციციანოვმა აცნობა, რომ იმპერატორთან იმერეთის ელჩის წარუმატებელი მოლაპარაკება აიძულებს მას იარაღის ძალით შემოიერთოს იმერეთი[3].

ციციანოვმა ლიონიძის პირით სოლომონ II-ეს შეუთვალა, რომ დაღუპვის თავიდან ასაცდენად მას სხვა გზა არ დარჩენია, გარდა იმისა, რომ თანხმობა განუცხადოს რუსეთის მთავრობას შევიდეს მისი მფარველობის ქვეშ. სოლომონ ლიონიძესა და იმერეთის მეფეს საბოლოო გადაწყვეტილება ერთ კვირაში უნდა მოეხსენებინათ გენ. ციციანოვისათვის[4]. რუსეთის მთავრობა იმერეთის მეფისაგან კატეგორიულად მოითხოვდა, ხელი აეღო სამეფოს საშინაო დამოუკიდებლობაზე; ერთდროულად ციციანოვმა ფართოდ გამოიყენა იმერეთის დიდებულთა მოსასყიდად მისთვის გამოგზავნილი ძვირფასი განძეულობა და ფული.

1804 წლის 16 და 19 აპრილს სოფელ ელაზნაურში ერთმანეთს შეხვდნენ ციციანოვი და სოლომონ II. მათ შორის გაიმართა მოლაპარაკება რუსეთის მფარველობის ქვეშ იმერეთის შესვლის შესახებ. მეფე და ციციანოვი ლეჩხუმის საკითხში ვერ შეთანხმდნენ. ციციანოვი ლეჩხუმს სამეგრელოს მთავარს უტოვებდა. მოლაპარაკება დიდი კონფლიქტით დამთავრდა. გენ. ციციანოვს განშორები-

---

[1] Акты, т. 2, д. 726, стр. 362.

[2] Акты т. 2, д. 734, стр. 367.

[3] Акты, т. 2, д. 748. стр. 375.

[4] Н. Дубровин, Закавказье..., стр. 247, შდრ. Акты, т. 2, д. 748. стр. 376.

სას, როგორც ისტორიკოსი ნ. დუბროვინი მიუთითებს, იმერეთის მეფისათვის განუცხადებია: **«К сожелению, видит себя в необходимости иметь с ним уже другого рода свидание, т. е. на ратном поле со шпагою в руках»**[1].

მეორე დღეს, 20 აპრილს, რუსეთის ჯარი პოდპოლკოვნიკ ერისთავის სარდლობით შეიჭრა იმერეთის საზღვრისპირა სოფლებში და სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლები გზადაგზა ხალხს რუსეთის ერთგულებაზე აფიცებდნენ. ერთდროულად ციციანოვმა უბრძანა გენ. ტუჩკოვს, იმერეთში დამატებით გაეგზავნა ჯარის ნაწილები, რაც სასწრაფოდ სისრულეში იქნა მოყვანილი. იმერეთში გაიგზავნა რაზმი პოდპოლკოვნიკ კოზლოვსკის მეთაურობით, რომელსაც ებრძანა დაეკავებინა იმერეთის სოფლები — კოლბრეული და ბრეშტი. სოლომონ II იძულებული გახდა მოლაპარაკება კვლავ განეახლებინა მთავარსარდალთან. მეფემ მას განუცხადა, რომ ის თანახმაა მის მიმართ წაყენებული ყველა მუხლისა, გარდა სამეგრელოს მთავართან საცილობელი ლეჩხუმისა, რადგანაც მისი თქმით **«как Имеретия, так и Лечхуми было наше наследственное и никто из царей Багратионовых никогда Дадиани оного не отдавал»**[2].

სოლომონ II წინააღმდეგი იყო სამეგრელოს მთავრისათვის ლეჩხუმის გადაცემისა. გენ. ციციანოვს, ოსმალეთთან უთანხმოების თავიდან აცდენის მიზნით, მეფისათვის ლეჩხუმის დაბრუნების შესახებ საიდუმლო გარანტია მიუცია, თუმცა მან აღნიშნული პროვინცია ვერ მიიღო. 1804 წ. 25 აპრილს სოფ. ელაზნაურში გაფორმდა ტრაქტატი იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის შესახებ[3].

ამ ხელშეკრულებით ფაქტიურად იმერეთის მეფემ დაკარგა ყოველივე ის, რისი შენარჩუნებისათვის იგი თავგამოდებით იბრძოდა; მან ვერ შეინარჩუნა ვერც სამეფოს შინაური დამოუკიდებლობა და ვერც ლეჩხუმი. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ამ ხელშეკრულებით ციციანოვმა აღიარა სოლომონ II-ის უფლებები გურიაზე, ის

---

[1] Н. Дубровин, Закавказье..., стр. 249.
[2] Акты, т. 2. д. 748, стр. 457.
[3] Н. Дубровин, Закавказье.., Приложение № 20, стр. 525—528.

იმერეთის ვასალურ მდგომარეობაში მყოფ სამთავროდ სცნო. იმერეთის მეფის უფლების ცნობა გურიის მიმართ და მისი დადასტურება გაფორმებული იურიდიული აქტით, სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ სოლომონი უფრო მეტად შეძლებდა თავისი უფლებების ქქ გაძლიერებას; პირიქით, თვითონ იმერეთშიც კი შეექმნა საფრთხე მეფის ხელისუფლებას, მას, დღეს თუ არა, ხვალ უნდა მოღებოდა ბოლო. გურიაზე სოლომონ II-ის ხელისუფლების ცნობა იმას ნიშნავდა, რომ იმერეთის სამეფოს გაუქმების შემთხვევაში, იქაც რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება გავრცელდებოდა და ამიერიდან გურიის სამთავროს პოლიტიკური საქმეები რუსეთის მთავრობას დაემორჩილებოდა.

ამგვარად, რუსეთის მთავრობა ცდილობდა, ხან მოფერებისა და მოსყიდვა-გადმობირების, ხან კი შიშისა და მუქარის საშუალებით ხელში ჩაეგდო შავი ზღვის სანაპიროები და იქიდან ნელ-ნელა აღეკვეთა ოსმალეთის უფლებები. ფორმალურად ყოველივე ეს ხდებოდა ოსმალეთთან სრული ლოიალური ურთიერთობის შენარჩუნების პირობებში. დასავლეთ საქართველოში მოპოვებული წარმატებებით აღფრთოვანებული ციციანოვი ალექსანდრე I-ს აუწყებდა, რომ მისი სურვილი აღსრულდა, იმერეთის სამეფო რუსეთის ერთ-ერთ პროვინციად იქცა[1].

გენ. ციციანოვს საშუალება არ ჰქონდა დასავლეთ საქართველოში გადაესხა ჯარი და დაეკავებინა იგი, რადგანაც საერთოდ ჯარის სიმცირე და ირანთან საომარი მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლეოდა. ციციანოვი სთხოვდა ალექსანდრე I-ს, დამატებით გამოეგზავნა მისთვის დამხმარე ძალა, რომელიც დასავლეთ საქართველოს რუსეთის იმპერიას დაუმკვიდრებდა. ეს ის დრო იყო, როცა ქართლის თიანეთში აჯანყებამ იფეთქა; აჯანყებულებმა ჩაჰკეტეს დარიალის გზა და რუსეთიდან ჯარის შემოყვანა შეუძლებელი გახდა, ციციანოვი კი ამ დროს ერევანთან იბრძოდა.

ალექსანდრე I-მა უბრძანა შავი ზღვის ფლოტის სარდალს აღმირალ მარკიზ დე-ტრავერსეს სასწრაფოდ გაეგზავნა დამხმარე ძალა და სურსათი ამიერკავკასიაში მოქმედი არმიისათვის[2]. 1804 წ. 14 მაისს სევასტოპოლიდან კაპიტან-ლეიტენანტ ველიზარიას მეთა-

[1] Акты, т. 2, д. 748, стр. 374, Щдр. იქვე, д. 750, стр, 378, Щдр, Н. Дубровин, Закавказье..., стр. 256—257.

[2] ЦГИА ВМФ СССР, ф. 166 департамента морского министра, д. 409С, л. 3: Рапорт главного командира Черноморского флота товарищу Министра от 4 июля 1804 г.

ურობით გამოიგზავნა ჯარითა და სურსათით დატვირთული გემები[1]. რუსეთის გემებმა გამოსცურეს ფოთის ნავსადგურისაკენ, რომელიც ოსმალეთის გარნიზონის ხელში იმყოფებოდა. შავი ზღვის ფლოტის სარდლობა ფიქრობდა, მოესყიდა ფოთის გარნიზონის კომენდანტი და სამეგრელოში რუსეთის ჯარები გადმოესხა[2], მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა — ოსმალთა გარნიზონმა ისინი ნავსადგურში არ დაუშვა. გარნიზონის კომენდანტმა რუსეთის ფლოტის წარმომადგენლებს განუცხადა: **«Имеют ли они о входе в реку султанский фирман, или от визиря Паши, или кого-нибудь начальника турецкого повеления о пропуске»**[3]. რუსეთის სამხედრო ფლოტის ეკიპაჟი იძულებული გახდა უკანვე გაბრუნებულიყო. იმერეთის მეფე სოლომონ II ცდილობდა ხელი შეეშალა რუსეთის არმიის სამეგრელოში გადმოსხმისათვის, აქეზებდა ფოთში მყოფ გარნიზონს ყირიმიდან მოსული ჯარის წინააღმდეგ. იგი ცდილობდა **«толкнуть турок на сопротивление выходу русских войск на берегах Поти и других местах»**[4].

როგორც კი გაიგო ალექსანდრე I-მა ფოთში გაგზავნილი ჯარის ყირიმში დაბრუნების ამბავი, კატეგორიულად მოითხოვა, დაუყოვნებლივ გაეგზავნათ საქართველოში ჯარის ის ნაწილები, რომლებიც ფოთში არ იქნენ დაშვებული[5].

რუსეთის ელჩმა კონსტანტინოპოლში, იტალინსკიმ მიმართა სულთანს თხოვნით, რათა ნება დაერთო რუსეთისათვის ჯარი გადმოესხა ფოთის ნავსადგურში. იგი პრწმუნებდა სულთანს, რომ რუსეთის მიერ სამეგრელოში ჯარების გადმოსხმა გამოწვეული იყო დარიალის გზის დაზიანებით, რაც შეუძლებელს ხდიდა ირანის წინააღმდეგ მეომარი რუსეთის არმიისათვის დამხმარე ძალებისა და სურსათის მიწოდებას. იგი აღუთქვამდა სულთანს, რომ ოსმალეთის

---

[1] ЦГИА ВМФ СССР, ф. 166 департамента морского министра, д. 4080, л. 59; Рапорт главного командира Черноморского флота товарищу Министра от 4 июля 1804 г.

[2] Н. Дубровин, Закавказье..., стр. 279—280.

[3] ЦГИА ВМФ СССР, ф. 166 департамента морского министра, д. 4090, л. 20.

[4] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258 (В), л. 159. Рапорт генерал-лейтенанта Волконского кн. Цицианову от 16 августа 1804 г. Ср. ЦГИА ВМФ СССР, ф. 166, д. 4090, л. 145. Рапорт генерала Рикгофа адмиралу Маркизу Де-Траверсе, от 7 ноября 1804 г.

[5] ЦГИА ВМФ СССР, ф. 166 департамента морского министра, д. 4090, л. 27—28.

ინტერესები ამით ოდნავადაც არ შეილახებოდა. სულთანი იძულებული გახდა დათანხმებოდა რუსეთის მოთხოვნას იმ პირობით, რომ ფოთში გაგზავნიდა თავის წარმომადგენელს მეთვალყურეობისათვის[1].

ოსმალეთის წარმომადგენელს დავალებული ჰქონდა უშუალოდ სულთნისათვის მოეხსენებინა ყველა დეტალი რუსეთის ჯარების მოქმედებისა.

1804 წლის ოქტომბერში სევასტოპოლიდან ფოთის ნავსადგურში კვლავ გამოიგზავნა ჯარით, სურსათითა და საომარი მასალით დატვირთული სამი გემი. მიუხედავად სულთნის დაპირებისა, ფოთის ალამ კვლავ კატეგორიული უარი განუცხადა რუსეთის სარდლობას ნავსადგურში დაშვებაზე; როგორც ჩანს, იგი სულთნის წარმომადგენელთან ერთად, ოსმალეთისათვის სახიფათოდ თვლიდა რუსეთის ჯარების გადმოსხმას ფოთში. ფოთის ალამ რუსეთის მიერ გამოგზავნილი ჯარების მეთაურს, გენერალ-მაიორ რიკჰოფს განუცხადა, რომ «**у Дадиани земли вовсе нет, а сам Дадиани и Царь Соломон со своими землями и водами принадлежат турецкому султану, и что он без кровопролития не допустит идти войскам мимо Поти**»[2].

მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, მდ. ხობისწყლის შესართავთან, ყულევში, გვიან შემოდგომით გადმოსხმული იქნა დაახლოებით 2 ათასამდე ჯარისკაცი გენერალ რიკჰოფის მეთაურობით. გადმოსხმის დროს ამოვარდნილი ქარიშხლისაგან ჩაიძირა 2 გემი და 61 კაცი დაიღუპა[3].

ციციანოვი რუსეთის ჯარების ყულევში გადმოსხმის შესახებ 1804 წლის მიწურულს იმპერატორს სწერდა: «**Белевский полк прибыл в Мингрелию, не взирая на упорство Потийского аги не пропускать мимо сей пристани судов наших с войсками по Риону, к правому берегу реки для высадки полка в Мингрелии. Белевский полк, не останавливаясь ни пред какими затруднениями, сделав высадку при устье реки Хопи, прибудет сухим путем в Мингрелию и на первый случай Дадиану принадлежащие земли. В конце будущего**

[1] ЦГИА ВМФ СССР, ф. 166 департамента морского министра, д. 4090, л. 129.

[2] Н. Дубровин, Закавказье от 1803—1806 гг., стр. 284.

[3] Акты т. 2, д. 961—962, стр. 492 493, 494, 495.

месяца шеф с половиной полка займет квартиры в столичном имеретинском городе Кутаиси и в его окрестностях»[1].

რუსეთის ჯარების სამეგრელოში შემოსვლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამით საფუძველი ეყრებოდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებიდან ოსმალთა განდევნის საქმეს. დღითი-დღე უკეე რეალური ხდებოდა დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთება. ოსმალეთთან ომის შემთხვევაში იქმნებოდა მტკიცე დასაყრდენი ბაზა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. რუსეთი ლოიალობდა თავის მოკავშირე ოსმალეთთან, სწორედ ამიტომ, მან სამხედრო ძალა არ გამოიყენა ფოთში ჯარების გადასხმის განზრახვის სისრულეში მოსაყვანად; რუსეთის მმართველ წრეებს არ სურდათ ფოთის საკითხი ჯერჯერობით სადავო გაეხადათ რუსეთსა და ოსმალეთს შორის. როგორც ირკვევა, მოკავშირეთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობის პირობებში ციციანოვს შესაძლებლად მიაჩნდა რედუტ-კალე მძლავრ სამხედრო და სავაჭრო ნავსადგურად გადაექცია, რომელიც საბოლოოდ კონკურენციას გაუწევდა ოსმალეთის ხელში მყოფ ფოთს, დასცემდა მის ეკონომიურ მნიშვნელობას, და ოსმალეთის მთავრობა იძულებული გახდებოდა მისთვის ყოვლად უსარგებლო და დაკნინებული ფოთი რუსეთისათვის გადაეცა. ზემოაღნიშნულის შესახებ ციციანოვი 1804 წლის 24 დეკემბერს ალექსანდრე I-ს სწერდა: «*Особливо же естьли будут туда приходить*— ლაპარაკია რედუტ-კალეზე—*суда наши с железом, солью и другими продуктами, составляющими важной и главнейшей торг турок с жителями Мингрелии, и тогда то владеющий пристанью Поти турецкий ага, потеряв важнейшия своего выгоды, добровольно согласится на уступку оной*»[2].

რუსეთმა, მართლაც, კეთილმოწყობილი გახადა ყულევის ნავსადგური. სამეგრელოსთან სავაჭრო ურთიერთობა ფოთის აღებამდე რუსეთის მიერ ყულევით მყარდებოდა, მაგრამ ფოთის მნიშვნელობა მაინც დიდი იყო, როგორც სამხედრო ნავსადგურისა და უძველესი სავაჭრო ქალაქისა. მალე ოსმალეთთან ომის დაწყებამ კვლავ დღის წესრიგში დასვა ფოთის აღების საკითხი.

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258 (В), л. 170. შდრ. А. В. Фадеев, Россия и Кавказ первой трети XIX в. стр. 119—121, М. 1961 г.

[2] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 4, л. 155 об.

რუსეთის ჯარის შემოსვლას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მოვლენათა შემდგომი განვითარების საქმეში. დასავლეთ საქართველოში შემოსული რუსეთის პოლკი წარმოადგენდა ძირითად ბირთვს, რომლის გარშემო იკრიბებოდა ოსმალეთის ძალმომრეობისაგან განაწამები ქართველობა საბოლოო განთავისუფლებისათვის. სოლომონ II-ეს უნდოდა სანიმუშოდ გასწორებოდა სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანს რუსული ორიენტაციისათვის და, მართლაც, საფიქრებელია, მან 1804 წლის 24 ოქტომბერს იგი მოაწამვლინა[1].

სოლომონ II ცდილობდა, გამოეყენებინა დადიანის სიკვდილი თავისი მიზნებისათვის, მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა, რადგანაც რუსეთის ჯარის ყოფნა სამეგრელოში ზღუდავდა მას[2]. «Приход кораблей все переменил, — სწერდა დიპლომატი ლიტვინოვი ციციანოვს, — «и царь (Соломон II, Н. К.) боле не опасен не только вам, но и мне»[3]. მართლაც, რუსეთის პოლკის სამეგრელოში შემოსვლამ მთლიანად შესცვალა მდგომარეობა რუსეთის სასარგებლოდ მთელ დასავლეთ საქართველოში. სწორედ მაშინ მოხდა სამეგრელოში აჯანყება გარდაცვლილი მთავრის ძმების—მანუჩარ და ტარიელ დადიანების მეთაურობით რუსეთის „მფარველობის“ ქვეშ შესვლის წინააღმდეგ. მათ მხარს უჭერდა სოლომონ II, მაგრამ აჯანყებულები დამარცხდნენ. ლიტვინოვმა ოდიშის მთავრებს მეორედ მიაღებინა ფიცი ერთგულების შესახებ.

1805 წ. დასაწყისიდან რუსეთის ჯარები ამაგრებენ პოზიციებს დასავლეთ საქართველოში და აფართოებენ თავიანთი გავლენის სფეროს; მოეწყო სამხედრო ექსპედიცია აფხაზეთში. ექსპედიციის საბაბი იყო გარდაცვლილი გრიგოლ დადიანის შვილის, ლევანის მძევლობიდან გამოხსნა. იმისათვის, რომ ვასაგები გახდეს ამ ექსპედიციის შინაარსი, ჩვენ შევჩერდებით ზოგიერთ ისტორიულ ფაქტზე.

---

[1] Чтения в императорском обществе истории и древностей Российских при Московском университете, кн. 2, М., 1862 г. статья Литвинова „Политическое положение Имеретии, Мингрелии, Гурии и Абхазии“ стр. 86.

[2] Н. М. Кортуа, Западная грузия в конце XVIII в. в борьбе с турецкими захватчиками и ее присоединение к России; кандидатская диссертация, 1953 г., стр. 208, библиотека ЛГУ им. А. А. Жданова.

[3] Н. Дубровин, Закавказье... от 1803—1806 гг. стр. 267.

ცნობილია, რომ იმერეთის მეფესა და მის ურჩ ვასალებს შორის განუწყვეტელი ომი წარმოებდა. მეფეს განსაკუთრებით ეურჩებოდა სამეგრელოს მთავარი დადიანი, რომელიც არ ცნობდა მის უმაღლეს ხელისუფლებას. მეფესა და მთავარს შორის ბრძოლამ XVIII საუკუნის 90-იანი წლებიდან მძაფრი ხასიათი მიიღო, რაც ასუსტებდა ქვეყნის ეკონომიურ, სამხედრო და პოლიტიკურ ძლიერებას. იმერეთის მეფემ დადიანს, იმ მიზნით, რომ იგი დაესუსტებინა, აუმხედრა მისივე ძმა მანუჩარ დადიანი. მართლაც, ძმებს შორის ბრძოლა ხელს უწყობდა იმერეთის მეფის გამარჯვებას. მეფემ სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი დაამარცხა და მთავრის ტახტზე ცნო მანუჩარ დადიანი. ძმებს შორის ბრძოლა ამით არ მომთავრებულა. გრიგოლ დადიანი უსიკვდილოდ მთავრის ტახტს არ თმობდა. მანუჩარ დადიანი დაუკავშირდა აფხაზეთის მთავარს ქელეშ-ბეგ შერვაშიძეს და საკუთარი ძმის — გრიგოლის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვა, სამაგიეროდ მას ანაკლიის გადაცემა აღუთქვა.

აფხაზეთის მთავარი მრავალრიცხოვანი ლაშქრით მანუჩარ დადიანთან ერთად მოადგა სამეგრელოს საზღვარს და საფრთხე შეუქმნა გრიგოლ დადიანს, რომელიც მთავრის ტიტულისა და ტახტის შენარჩუნებისათვის იბრძოდა.

იმ მიზნით, რომ აფხაზეთის მთავრის მტრული დამოკიდებულება მისდამი მეგობრობით შეეცვალა, გრიგოლ დადიანი ქელეშ-ბეგ შერვაშიძეს, თავის მხრივ, სამეგრელოს სასაზღვრო ნავსადგურ ანაკლიის გადაცემას შეპირდა, და, მართლაც, 1794 წელს ანაკლია აფხაზეთის მთავარს გადაეცა. ამ დროიდან, მიუხედავად გრიგოლ დადიანის მოთხოვნისა, რომ ანაკლიაში არ დაეშვა მას ტყვეებით ვაჭრობა, იგი ტყვეებით მოვაჭრე ყაჩაღთა ერთ-ერთი მთავარი საბუდარი გახდა. ანაკლიაში აფხაზეთისა და სამეგრელოს მოსახლეობის რიაქციული ფენა აწარმოებდა ქვეყნის გამანადგურებელ ტყვეებით ვაჭრობას[1].

1799 წელს სოლომონსა და გრიგოლ დადიანს შორის დროებითი ზავი დაიდო; გრიგოლ დადიანმა კვლავ დაიბრუნა სამეგრელოს მთავრის ტიტული, ხოლო მანუჩარმა სამფლობელოდ მიიღო სამეგრელოს ნაწილი — სალიპარტიანო. გრიგოლ დადიანმა, როგორც კი მთავრის ტიტული დაიბრუნა, შეეცადა ანაკლია კვლავ სამეგრელოს სამთავროს კუთვნილებად გაეხადა. ამ მიზნით,

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 4, л. 156.

«собрав он войска из Одиши и Лечхуми, пошел на Анаклию, которую взяв, поставил над нею князя сардара Деисма Чичуа охранителем»[1].

შინაფეოდალურმა ომებმა, რომელსაც სამეგრელოში ბოლო არ უჩანდა, გრიგოლ დადიანს კვლავ დააკარგვინა მთავრის ტახტი. 1802 წელს იმერეთის მეფესთან ბრძოლაში იგი სასტიკად დამარცხდა; სოლომონ II-ემ სამეგრელოს მთავრად გრიგოლის ძმა ტარიელი აღიარა. გრიგოლ დადიანი კვლავ განაგრძობდა ბრძოლას მთავრის ტიტულის დასაბრუნებლად, რისთვისაც იგი აფხაზეთის მთავარს დაუკავშირდა. ქელეშ-ბეგმა თანხმობა მისცა დახმარებაზე, იმ პირობით, თუ მას დადიანი დიდ თანხას მისცემდა. დაუბრუნებია ანაკლიასა და მძევლად მცირეწლოვან შვილს ლევანს გაატანდა. გრიგოლ დადიანს სხვა გზა არ ჰქონდა და დათანხმდა. ქელეშ-ბეგი 20.000-იანი ჯარით დაეხმარა მას[2]. ანაკლია აფხაზეთის მთავარს დაუბრუნდა, რომლის შემდეგ ეს ნავსადგური ოსმალეთის ერთ-ერთ საიმედო ციხე-სიმაგრედ იქცა სამეგრელოში. იქ ოსმალეთის მთავრობამ თავისი გარნიზონი ჩააყენა.

1804 წ. სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა, სიკვდილის წინ, ციციანოვს ანდერძი დაუტოვა. რომლითაც ითხოვდა სამეგრელოს მთავრად დაემტკიცებინათ მისი შვილი ლევანი, რომელიც ქელეშ-ბეგს მძევლად ჰყავდა წაყვანილი[3]. მართლაც, ალექსანდრე I-ის 1805 წ. 26 იანვრის რესკრიპტით მთავრის მემკვიდრედ აღიარებულ იქნა მცირეწლოვანი ლევანი, რომლის განთავისუფლებას აყოვნებდა აფხაზეთის მთავარი და დიდძალ გამოსასყიდ თანხას მოითხოვდა. 1805 წ. 21 იანვარს გენ. ციციანოვმა ქელეშ-ბეგს მრისხანე ტონით დაწერილი და მუქარით აღსავსე წერილი გაუგზავნა, რითაც იგი მოითხოვდა ლევან დადიანის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას[4].

ციციანოვმა უბრძანა გენერალ რიკჰოფს, ემოქმედნა აფხაზეთის წინააღმდეგ თავისი სამხედრო ძალებით, თუ კი მისი მთავარი ლევანს არ გაათავისუფლებდა. სულ მალე, მართლაც, რიკჰოფმა დაიწყო სამხედრო მოქმედება აფხაზეთის მთავრის წინააღმდეგ. მან 1805 წ. მარტში გადალახა მდ. ენგური და 20 კმ. სიღრმით საზღვრის-

[1] ЦГИАГ, ф. 2. оп. 1, д. 4, л. 156.
[2] Акты, т. 1, стр. 577.
[3] Акты. т. 2. д. 950, стр. 490.
[4] Акты. т. 2. д. 971, стр. 478.

პირა სოფლები დალაშქრა; მას შეტევის გაგრძელება სურდა, მაგრამ წინსვლა ჰაობიანმა გზებმა შეაფერხეს და რუსი გენერალი იძულებული გახდა უკან მობრუნებულიყო და გეზი ანაკლიისაკენ აეღო. ანაკლია, მართალია, ოსმალეთს ეკავა, მაგრამ მასზე მეთვალყურეობა და მისი დაცვა ქელეშ-ბეგს ჰქონდა მინდობილი. გენ. რიკჰოფმა 1805 წ. 28 მარტს დაიკავა ანაკლიის ციხე-სიმაგრე და გადაწყვიტა შაკი ზღვის სანაპიროებით იერიში მიეტანა სოხუმზე. მან სამურზაყანოელ დიდებულებს რუსეთის ერთგულებაზე ფიცი მიაღებინა. ქელეშ-ბეგმა, როგორც კი იგრძნო მოახლოებული საფრთხე, 2 აპრილს გაათავისუფლა სამეგრელოს მთავრის მემკვიდრე ლევანი და ითხოვა საომარი მოქმედების შეწყვეტა[1].

ანაკლიის, როგორც ნავსადგურის აღება, თუ მას რუსეთი დიდხანს შეინარჩუნებდა, მნიშვნელოვანი გამარჯვება იქნებოდა არა მარტო რუსეთისათვის, არამედ თვითონ ქართველი ხალხისათვის, რადგანაც ის, როგორც ითქვა, ტყვეებით ვაჭრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო სამეგრელოში.

რუსეთის ჯარების მოქმედებით დიდად განაწყენებული დარჩა ოსმალეთი. რუსეთ-ოსმალეთს შორის ურთიერთობა დღითი დღე დაძაბული ხდებოდა. რუსეთისა და ოსმალეთის პოლიტიკური და ეკონომიური წინააღმდეგობანი შიგნიდანვე არღვევდა ნორმალურ ურთიერთობას მათ შორის; ამ პროცესს გარედან აჩქარებდა საფრანგეთის დიპლომატია. რუსეთის ჯარების მიერ ანაკლიის აღებამ დიდი სენსაცია გამოიწვია ოსმალეთში. ამას ოსმალეთის მთავრობის მსხვილი მოხელეები, რომლებიც ფრანგების მიერ იყვნენ მოსყიდულნი, რუსეთის მიერ ოსმალეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დასაწყისად მიიჩნევდნენ, ხოლო საფრანგეთის დიპლომატიური მისია არ დაბნეულა, რომ მისთვის სათანადო კვალიფიკაცია მიეცა და ოსმალეთის მთავრობაში ერთხელ კიდევ გამოეწვია უნდობლობა რუსეთის მიმართ.

ოსმალეთში ანაკლიის აღებით გამოწვეული დიდი აღშფოთებისა და ამასთან დაკავშირებით კონსტანტინოპოლში საფრანგეთის მტრული საქმიანობის შესახებ რუსი დიპლომატი იტალინსკი 1805 წლის 15 ივნისს გენერალ ციციანოვს სწერდა: **«Взятие Анаклии поколебало весьма приметным образом Порту в доверии ея к России, сим случаем воспользовались, с одной**

[1] **Акты, т. 2, стр. 510.**

стороны, некоторые важные члены правительства, недоброжелательные нам, с другой, — французы, и раздражают ее на нас коварными внушениями»[1].

ოსმალეთის სულთანმა პროტესტი განუცხადა რუსეთის მთავრობას ანაკლიის აღების გამო. იმპერატორი ალექსანდრე იძულებული იყო სულთნისადმი გაგზავნილ წერილში ბოდიში მოეხადა ანაკლიის აღებისათვის და დაემტკიცებინა მისთვის, რომ ეს ფაქტი სრულიად შეცდომით და გაუგებრობის ნიადაგზე იყო მომხდარი[2].

ციციანოვმა უბრძანა რიკჰოფს დაეტოვებინა ანაკლია, რადგანაც ამას შეეძლო სამხედრო ინციდენტი გამოეწვია ოსმალეთთან. ციციანოვმა მალე მიიღო ალექსანდრე I-ის რესკრიპტიც; იმპერატორი ანაკლიის ოსმალეთისათვის დაუყოვნებლივ დაბრუნებას მოითხოვდა, ხოლო კონსტანტინოპოლში იტალინსკის გაეგზავნა განკარგულება, დაერწმუნებინა მას ოსმალეთის მთავრობა იმაში, რომ ეს არასასიამოვნო ფაქტი მოხდა უცაბედი შეცდომის გამო[3].

1805 წლის 9 ივლისს სოფ. ბანძაში ლევან დადიანმა რუსეთს ერთგულების ფიცი მისცა. ქელეშ-ბეგმა გენ. გლაზენაპისაგან პორუჩიკ ამირეჯიბის მეშვეობით მიიღო 1000 მანეთი იმ დანაკარგის საზღაურად, რაც ანაკლიის აღების დროს მას მიაყენეს.

* * *

როგორც ცნობილია, სამეგრელოში ყულევით შემოსული ბელევის პოლკი სამ ნაწილად გაიყო: ერთი ჩადგა სამეგრელოში, მეორე ხონში, ხოლო მესამე სამეგრელოს მთავრისა და იმერეთის მეფეს შორის საცილობელ ლეჩხუმში. მალე სოლომონ II-თან დადებული „მფარველობითი ტრაქტატის“ საფუძველზე რუსეთის ჯარის ნაწილები ქუთაისში შევიდნენ. ყოველივე ეს რუსეთის გავლენას ზრდიდა დასავლეთ საქართველოში, რაც დიდად აფრთხობდა არა მარტო ოსმალეთს, არამედ საფრანგეთის მთავრობასაც. საფრანგეთის მთავრობა, კონსტანტინოპოლში აკრედიტებული დიპლომატიური მისია აზვიადებდნენ რუსეთის დიპლომატიისა და შეიარაღებულ ძალთა მოქმედების შედეგებს საქართველოში და

[1] Акты, т. 2, д. 805, стр. 882, შდრ. АВПР, 1805, ф. канцелярия, оп. 468. д. 2249, л. 328 и об.

[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 39, лл. 7—8.

[3] ЦГВИА, Ф. 470, д. 39, лл. 7—8.

განაწყობდნენ ოსმალეთის მთავრობას საომრად რუსეთის წინააღმდეგ.

საფრანგეთის პრესა ასევე გაზვიადებულად აღწერდა დასავლეთ საქართველოში რუსეთის დამკვიდრების პროცესს და შაე ფერებში ხატავდა ოსმალეთისათვის შექმნილ მდგომარეობას. ფრანგულმა გაზეთმა „Gazette Nationale de la Moniteur Universel"-მა (1805 წ. 24 ივლისი) გამოაქვეყნა სპეციალური ცნობა სათაურით — „Turque" („თურქეთი"), სადაც ვკითხულობთ: „რუსები უკვე დაეუფლნენ ფაზისის სანაოსნაციო გზებს. სამეგრელოს ეს მდინარე დღეს იმყოფება მათი ბატონობის ქვეშ. რუსებმა უკვე ჩააყენეს გარნიზონი ქუთათისის (ქუთათისი — ქუთაისი, ნ. ქ.) ციხეში და სოფელ ფოთში. მართლმორწმუნე მაჰმადიანები გმინავენ, მაგრამ მათი გმინვის ხმას ახშობს შიში"[1].

მოტანილი საგაზეთო ცნობა, რომ არაფერი ვთქვათ საფრანგეთის დიპლომატიური მისიის კონსტანტინოპოლში ანტირუსული საქმიანობის შესახებ, აქეზებდა „მგმინავ", „მართლმორწმუნე მაჰმადიანებს", ამხედრებულიყვნენ რუსეთის წინააღმდეგ. ამ ცნობის ფრანგულ ოფიციალურ გაზეთში მოთავსება უნდა მეტყველებდეს აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ დაძაბულად იყო მიპყრობილი საფრანგეთის მთავრობის ყურადღება საქართველოსაკენ, სადაც რუსეთი დღითი დღე აფართოებდა თავის პოზიციებს და ქმნიდა პლაცდარმს ოსმალეთის წინააღმდეგ მომავალი ომისათვის.

მართალია, რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1805 წ. 11 (23) სექტემბერს განახლდა სამოკავშირეო ხელშეკრულება და ოსმალეთი დე ფაქტოდ სცნობდა იმერეთისა და სამეგრელოს რუსეთის მფარველობის ქვეშ გადასვლას, მაგრამ ამ აქტს იგი საბოლოოდ არ ურიგდებოდა. რუსეთმა ოსმალეთთან „მეგობრული" ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით, როგორც აღინიშნა, ანაკლია ოსმალეთის ერთგულ ვასალს, აფხაზეთის მთავარს უკანვე დაუბრუნა, მაგრამ რუსეთსა და ოსმალეთს შორის არსებულ წინააღმდეგობათა გადაჭრა ამით შეუძლებელი იყო. ოსმალეთი რუსეთს საქართველო-

[1] АВПР, 1805 г. ф. канцелярия, д. 2250, л. 231. აღნიშნულ გაზეთში ვკითხულობთ: „Les Russes Viennent de s' emparer de la navigation du Phase. Cette rivière de la Mingrelie est aujourd'hui sous leur domination. Ils ont mis garnison dans le château de Cotatis, et dans le village de Pote. Les vrais musulmans gemissent, mais leurs gemissement sont etouffés par la crainte".

ში ედავებოდა იმერეთის სამეფოსთან ერთად, გურიისა და სამეგრელოს სამთავროების გამო, რომლებიც უკვე რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებას აღიარებდნენ.

საქართველოსთან დაკავშირებული რუსეთ-ოსმალეთის წინააღმდეგობანი სხვა სახის წინააღმდეგობათა სისტემაში მნიშვნელოვან ადგილს იკერდა და აჩქარებდა რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებას.

ირანთან ომის პირველი შედეგებით რუსეთმა შემოიერთა შურაღელის სასულთნო, ასევე რუსეთის ქვეშევრდომობაში გადავიდნენ — ყარაბაღის, ბაქოსა და შირვანის სახანოები. შურაღელს რუსეთისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა: იგი ჰკეტავდა ქართლის სამხრეთ მისადგომებს, ხოლო საჭირო შემთხვევაში ის შეიძლებოდა გამხდარიყო დიდი მნიშვნელობის მქონე პლაცდარმი შეტევითი ოპერაციისათვის, როგორც ერევნის მიმართულებით — ირანის წინააღმდეგ, ასევე ყარსის მიმართულებით—ოსმალეთთან ომის შემთხვევაში.

ოსმალეთი ომის სამზადისს შეუდგა. ჯერ კიდევ 1805 წლის 25 იანვარს გენ. ციციანოვი სწერდა კონსტანტინოპოლში იტალინსკის, რომ ახალციხის სელიმ-ფაშას დიდი სამზადისი ჰქონდა ომისათვის და საიდუმლოდ უკავშირდებოდა სოლომონ II-ეს. პ. ციციანოვი თხოვდა ა. იტალინსკის გამოერკვია ახალციხის ფაშის მიზნები და შეიარაღების მიზეზები, დაეზუსტებინა, თავისი მთავრობის დავალებას ასრულებდა იგი, თუ საკუთარი ავანტიურისტული ზრახვებით მოქმედებდა[1].

პასუხად წერილში იტალინსკი სწერდა ციციანოვს, რომ მას ზემოაღნიშნულ საკითხზე საუბარი ჰქონდა რეის-ეფენდისთან, რომელმაც განუცხადა, რომ თითქოსდა ახალციხის ფაშა ემზადებოდა სხვა საფაშოებისაგან თავდასხმის შემთხვევაში თავდაცვისათვის[2].

ომისათვის ემზადებოდნენ ყარსისა და ერზრუმის საფაშოებიც. რუსეთის ჯაშუში არშაკოვი (არშაკიანი) 1806 წ. 25 სექტემბერს ყარსში ომისათვის სამზადისის შესახებ რუსეთის სარდლობას აუწყებდა: „Видел я привоз туда (ლაპარაკია ყარსზე, ნ. ქ.) 150 палаток, также множество пороху и свинца... заготовляются во всех городах, как здесь, так в Эрзруме и других местах в знатном количестве»[3].

[1] АВПР, 1805. Ф. канцелярия, оп. 468, д. 2249, л. 330—331.

[2] იქვე, ფ. 336—337.

[3] Акты, т. 3, д. 792, стр. 422.

ახალციხეს ოსმალეთი საგანგებოდ ამაგრებდა, რათა იგი რუსეთის ჯარებისათვის მიუვალ ფორპოსტად გაეხადა. ერთ-ერთი საიდუმლო აგენტთაგანი იტყობინებოდა, რომ «турки спешат укрепить Ахалцых и вывозят на стены крепости все орудия»[1].

რუსეთის მზვერავების ცნობებით, საქართველოზე თავდასხმის განზრახვის მქონე «эрзерумский сераскир будет следовать через Карс с 50.000 к Тифлису, а Ахалцихский паша, соединясь с Имеретинским царем Соломоном... через Трялети в Карталинию»[2].

ზემოთ მოტანილიდან ირკვევა, რომ ოსმალეთი რუსეთთან ომისათვის გამალებით ემზადებოდა. საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონი ცდილობდა რუსეთი მტრულ სახელმწიფოთა გაერთიანებაში შეექცია. ნაპოლეონის ამ მისწრაფებებს სრულად და მოხდენილად ახასიათებს ისტორიკოსი ა. ვანდალი, რომელიც წერს: «Он хотел охватит великую империю непрерывной цепью врагов и поднять их в целях диверсии на всем протяжении ее границ... Он замышлял перевести свою армию из Далмации к низовьям Дуная; по его мысли, тридцать пять тысяч французов должны были служить поддержкой мусульманским баидам во время их наступления... из долины Дуная к Днестру... Наполеон выражал желание, чтобы турецкий флот на Черном море тревожил берега России и нападал на Крым; он указывал на Севастополь как на уязвимую пяту колосса... Его агенты подкупали пашей Армении и убеждали их сделать нападение на Кавказ. Подготовлялся союз с Персией»[3].

ოსმალეთი ფრანგი სპეციალისტების უშუალო მითითებით აძლიერებდა ფოთის, სოხუმის, ანაპის, ბათუმისა და სუჯუკ-კალეს ციხე-სიმაგრეებს, რათა რუსეთისათვის მიუვალ ფორპოსტებად გაეხადა ისინი შავი ზღვის აუზში. რუსეთის მთავრობა დღე-დღეზე მოელოდა ოსმალეთთან ომის დაწყებას და ამიტომ ცდილობდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ციხე-სიმაგრეთა კომენდანტები მოესყიდა ან თავის მხარეზე გადმოებირებინა, და ამ გზით დაესუსტებინა იქ ოსმალეთის სამხედრო ძლიერება.

---

[1] Акты, т. 3, д. 242, стр. 131.
[2] Акты, т. 3, д. 932, стр. 536.
[3] А. Вандаль, Наполеон и Александр I, т. 1, СПБ 1910 г., стр. 25.

გენ. ციციანოვს, როგორც ირკვევა, საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდა ფოთის კომენდანტ მამედ-აღასთან. იგი ცდილობდა ოსმალეთის სამხედრო საიდუმლოების გაგებას და ომის დაწყების შემთხვევაში ფოთის აღებას. როგორც სათანადო წყაროებიდან ჩანს, მამედ-აღასა და ციციანოვს შორის საიდუმლო მოლაპარაკების შესახებ ხმებს კონსტანტინოპოლში ჩაუღწევია; 1806 წ. ოქტომბერში, ჩადენილი ღალატისათვის სულთნის განკარგულებით ტრაპიზონიდან მოსულმა იანიჩართა რაზმმა, რომელიც 40 ჯარისკაცისაგან შედგებოდა, ქუჩუკ-ბეის მეთაურობით მამედ-აღა დააპატიმრა, ხოლო თვითონ ქუჩუკ-ბეი, აფხაზეთის მთავრის — ქელეშ-ბეგის ახლო ნათესავი, ფოთის კომენდანტის მოვალეობის შესრულებას შეუდგა[1]. იმერეთის მეფე სოლომონ II-ეს ახლო ურთიერთობა ჰქონია ქუჩუკ-ბეისთან, ხშირად საიდუმლო მოლაპარაკებაც უწარმოებიათ რუსეთის წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის შესახებ.

რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების წინ მეფე სოლომონ II-სთან ბაბა-ხანმაც საიდუმლო კავშირი დაამყარა. გენერალ-მაიორი რიკჰოფი 1806 წ. (საბუთს თვე და რიცხვი მოხეული აქვს) აუწყებდა გენ. ნებეტაევს იმის შესახებ, რომ ერევნიდან იმერეთის მეფესთან ჩავიდა ალექსანდრე ბატონიშვილისა და ბაბა-ხანის აგენტი მაჰმედ-ბეგი, რომელმაც დაზვერა იმერეთის სამეფო, რუსეთის ჯარების განლაგებანი და საუბარი ჰქონდა მეფესთან რუსეთის წინააღმდეგ საერთო ძალებით ბრძოლის წარმოების შესახებ[2].

ირკვევა, რომ რუსეთის მფარველობის ქვეშ სამეგრელოს შესვლის შემდეგ ადამიანებით მოვაჭრე, მოღალატე სამეგრელოს დიდებულთა ნაწილი ფოთის ციხე-სიმაგრეში გაიქცა, რომელიც სამეგრელოში ოსმალეთის ძლიერების დასაყრდენს წარმოადგენდა. ისინი პროთურქული ორიენტაციისა იყვნენ და რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად უკავშირდებოდნენ ფოთის კომენდანტს — ქუჩუკ-ბეი შერვაშიძეს. რუსეთის მთავრობა, ოსმალეთთან ომის შემთხვევაში, მათ საშიშ ძალად მიიჩნევდა. როგორც ქვემოთ მოტანილი საბუთიდან ჩანს, მათ ადრევე უარყვეს ქრისტიანული რელიგია და ადამიანებით ვაჭრობას მიჰყვეს ხელი, რაც ქვეყანაზე დამღუპველ გავლენას ახდენდა. თავისი ბატონობის დამყარებისათვის

---

[1] **Акты, т. 3. д. 327. Рапорт полковника Попова из Редут-кале от 11 ноября 1806 г.**

[2] **ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 52. л. 25 и об.**

მებრძოლი რუსეთის მთავრობა, ცხადია, სასტიკ ბრძოლას უცხადებდა პროოსმალური ორიენტაციის მქონე მეგრელ დიდებულებს. საინტერესოა ამ მხრივ 1806 წ. 14 თებერვლის თარიღით ა. ჩარტორიჟსკის მიერ გენ. ციციანოვის სახელზე გამოგზავნილი წერილი, სადაც ვკითხულობთ: „Государь император соизволил предположение вашего сиятельства относительно мингрельских дворян, отпавших от христианства и переселившихся в Поти, поручая вам сделать нужныя распоряжения, чтобы приличившиеся из них в краже людей были предоваемы (ალბათ უნდა მოსდევდეს სიტყვა „суду". ეს ნაწილი დოკუმენტს მოხეული აქვს, ნ. ჭ.) и чтобы виновные наказывалися»[1].

დასტურდება, რომ ოსმალეთის ხელისუფლება ომის დაწყების წინ ყოველი საშუალებით ხელს უშლიდა რუსეთთან ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის გაგრძელებას. ნაპოლეონის მთავრობის მიერ წაქეზებული სულთანი ომის პროვოკაციაზე მიდიოდა და სამოკავშირეო ხელშეკრულებას აშკარად არღვევდა. ყოველმხრივ ავიწროებდნენ საქართველოდან ჩასულ ვაჭრებს და არღვევდნენ საერთაშორისო ვაჭრობაში აღიარებულ ელემენტარულ წესებსაც კი. გრაფი გუდოვიჩი 1806 წ. 19 დეკემბერს ახალციხის შერიფ-ფაშას სწერდა, რომ რუსეთის მთავრობა ოსმალეთის ვაჭრებს ყველგან საქართველოს ტერიტორიაზე მფარველობას უწევდა, რომ «купцы из Ахалцыха, приезжающие в Грузию, нигде и никем не были притесняемы и обижаемы», ასრდა იმისა, რომ ისინი საერთო წესის მიხედვით იხდიდნენ დაწესებულ სახელმწიფოებრივ ბაჟს, რასაც ასევე ახალციხის საფაშოში და ოსმალეთის სხვა პროვინციებში იხდიდნენ საქართველოდან ჩასული ვაჭრები ოსმალეთის იმპერიის სასარგებლოდ. ოსმალეთის ვაჭრები, წერდა გუდოვიჩი, საქართველოში «всегда будут иметь свободный и безвозбранный проезд». ამიტომ იგი მოითხოვდა ახალციხის ფაშასაგან ვაჭრების მიმართ ხელშეუხებლობის და უსაფრთხოების პრინციპი დაცულიყო და საქართველოდან ჩასული ვაჭრებისათვის მთავრობას ნორმალური პირობები შეექმნა[2].

---

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 6, л. 216 и об.

[2] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 4, л. 63 об. и 64.

ზემოაღნიშნული მოთხოვნის წაყენება ახალციხის ფაშის წინაშე იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ომის დაწყების წინ ოსმალეთში ყოველმხრივ ავიწროებდნენ საქართველოდან ჩასულ ვაჭრებს და ხშირად ისინი უსაფრთხოებით არ იყვნენ გარანტირებულნი. როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ სფეროში რუსეთსა და ოსმალეთს შორის თავხ იჩინა უთანხმოებამ, რომლის გადაწყვეტა მშვიდობიანი გზით შეუძლებელი გახდა საფრანგეთის დიპლომატიის აქტიური ჩარევის შედეგად.

რადგან ოსმალეთთან ურთიერთობა დაძაბული გახდა და რუსეთის მთავრობა ყოველდღე ომის გამოცხადებას მოელოდა, იგი ცდილობდა ამიერკავკასიაში თავისი პოზიციების გამაგრებას..

რუსეთის სარდლობა ამიერკავკასიაში დამკვიდრებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბაქოს სახანოს შემოერთებას. ყარაბაღისა და შაქის სახანოების აღების შემდეგ გენ. ციციანოვი აუცილებლად თვლიდა დაუფლებოდა ბაქოს, როგორც დიდ სტრატეგიულ პლაცდარმსა და სავაჭრო ცენტრს[1].

გენ. ციციანოვის პირადი შეხედულებიდან კი არ მომდინარეობდა ბაქოს დაპყრობის ეს სერიოზული ამოცანა, არამედ უშუალოდ რუსეთის იმპერიის მმართველი წრეებისა და იმპერატორის ინტერესებიდან გამომდიოდა. ისინი არაფერს არ ზოგავდნენ ბაქოს დასაპყრობად და მზად იყვნენ გაეღოთ დიდი მსხვერპლი, ეს იქნებოდა ფინანსური საშუალებებით თუ ცოცხალი ძალით. ალექსანდრე I ბაქოს ლაშქრობის წინ პ. ციციანოვს სწერდა: *«Чем быстрее будет течение происшествий, имеющих покорить Российской империи страны, орошаемыя Курою и Араксем, тем благонадежнее успех сих предприятий наших...*

...Чтобы довершить предначатое и постановить в крае сем твердую ногу, прежде нежели владетель сей в состоянии будет представить тому преноны. Если для совершения оного потребным найдете вы усилить себя войском и денежным пособием, донесите мне»[2]. (ხაზი ჩვენია ნ. ჯ.)

ირკვევა, კასპიის ზღვის აუზის ამ მნიშვნელოვანი ნავსადგურისა და სავაჭრო ქალაქის აღება ალექსანდრე I-ს პირველხარისხოვან საქმედ მიაჩნდა; იგი ბაქოს აფასებდა როგორც სავაჭრო-კომერცი-

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4262, л. 4.

[2] Акты т. 2, стр. 593—594.

ული, ასევე სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისითაც. ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში მას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მისი დაკავებით რუსეთი დაასუსტებდა კასპიის ზღვის აუზში ირანის გავლენას და გაუმჯობესებდა თავის მდგომარეობას მთელ ამიერკავკასიაში.

გენ. ციციანოვის მოშდეგნო მთავარსარდალი ამიერკავკასიაში გენერალი გუდოვიჩი უფრო მაღალ შეფასებას აძლევდა ბაქოს. გარდა იმისა, რომ ბაქოს გზით აზერბაიჯანის სახანოების მიერ სავაჭრო ურთიერთობის დამყარება საქართველოსთან მომგებიანი იქნებოდა და თანაც ბაქოს საშუალებით შეიძლებოდა რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებიდან ამიერკავკასიაში მოქმედი ჯარისათვის სურსათის შემოტანა, იგი წერდა:«**Без занятия Баки и Ериванской области удержание Грузии подвержено великим трудностьям и убыткам**»[1]. ამიტომ გასაგები ხდება, თუ რატომ ასე დაბეჯითებით მოითხოვდა რუსეთის იმპერატორი ბაქოს დაპყრობას.

ირანის წინააღმდეგ ლაშქრობაში, გეგმის მიხედვით, როგორც ციციანოვის 1805 წ. 7 აპრილის თარიღით ალექსანდრე I-სადმი გაგზავნილი წერილიდან ჩანს, მონაწილეობა უნდა მიეღო სახმელეთო ჯარებთან ერთად რუსეთის საზღვაო ფლოტს, რომელიც მხარს დაუჭერდა სახმელეთო ჯარებს აზერბაიჯანის ირანელებისაგან განთავისუფლების საქმეში. ციციანოვს სადესანტო საზღვაო ფლოტის სარდლად დაუნიშნავს ასტრახანის გარნიზონის მეთაური გენერალ-მაიორი ზავალიშინი.

კასპიის ზღვის სადესანტო ფლოტი შემდეგი შემადგენლობისა იყო: იგი ითვლიდა 12 სამხედრო გემს 128 ქვემეხით, 11 სატრანსპორტო გემს საზღვაო ფლოტისათვის საჭირო სურსათის გადასატანად, 8 ფელუკს 1345 მეზღვაურითა და 4 ქვემეხით[2]. საზღვაო ექსპედიციის ძირითადი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ ბაბა-ხანს ერევანთან ბრძოლის დროს ტყვედ წაყვანილი რუსი და ქართველი მებრძოლები დაებრუნებინა, აენაზღაურებინა რუსეთისათვის მიყენებული ზარალი 1 მილიონი მანეთის რაოდენობით, დაებრუნებინა ნადავლის სახით არა-მაჰმად-ხანის დროს თბილისიდან წაღებული ერეკლე II-ის 12 ქვემეხი. საზღვაო ექსპედიცია ამო-

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4259, ч. IV, л. 233 и об.

[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4261, л. 3.

ცანად ისახავდა საბოლოოდ დაუფლებოდა ბაქოს ციხე-სიმაგრეს[1].

გარდა აღნიშნულისა, სადესანტო ფლოტს ნაბრძანები ჰქონდა დაეპყრო კასპიის ზღვის აუზში ირანის სიმაგრეები — ენზელი, ფერიბაზარი, რეშტი და სხვ.

ციციანოვმა ულტიმატუმი გაუგზავნა ბაბა-ხანს და თავისი წინადადებანი წარუდგინა, რომელთა უსიტყვოდ შესრულება მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი განადგურებით ემუქრებოდა მას[2]. ბაბა-ხანმა ციციანოვის წინადადებას პასუხიც კი არ გასცა. 1805 წ. ზაფხულში რუსეთის საზღვაო ექსპედიციამ კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე დაიკავა ენზელი და ფერიბაზარი. რუსეთის დესანტი რეშტისათვის ბრძოლაში დიდ წინააღმდეგობას წააწყდა და იძულებული გახდა უკან დაეხია. ზავალიშინის ესკადრა სარის კუნძულზე დაბანაკდა, მას ნაბრძანები ჰქონდა მხარი დაეჭირა რუსეთის სახმელეთო ჯარებისათვის.

1805 წ. დეკემბერს გენ. ციციანოვი თავისი რაზმით, რომელიც 1600 კაცისა და 10 ქვემეხისაგან შედგებოდა, დაიძრა განჯიდან და მტკვრის სანაპიროებით ბაქოს მიადგა. ციციანოვისათვის ბაქო და მისი მიდამოები ცნობილი იყო; 1795 წ. ირანში ლაშქრობის დროს ის იყო ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი ვ. ზუბოვისა, 1796—1797 წწ. მას დაკისრებული ჰქონდა ბაქოს კომენდანტის მოვალეობის შესრულება. ახლა კი, თითქმის ათი წლის შემდეგ, იგი მიდიოდა ბაქოში, როგორც რუსეთის ჯარების სარდალი და მეფის ნაცვალი.

როგორი იყო აზერბაიჯანის მოსახლეობის მდგომარეობა ირანელთა ბატონობის პირობებში? ირანის ბატონობის დროს ადგილობრივი მოსახლეობა საშინლად იტანჯებოდა და განიცდიდა როგორც სოციალურ, ისე ეროვნულ ჩაგვრას. ჩაგვრის ეს უკანასკნელი ფორმა იმდენად მძიმე იყო, რომ ხალხი გადაშენების გზაზე იდგა.

აზერბაიჯანში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ რუსეთის ელჩი ირანში ა. ვოლინსკი XVIII ს. პირველ მეოთხედში იტყობინებოდა: «Они (ლაპარაკია აზერბაიჯანელებზე, ნ. ქ.) великими налогами отягчены и платят чрезмерные побори... и в том бедным подданным милосердия весьма нет, хотя б которые и единоверцы были, поступают жесточае»[3].

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д.4261, л. 3 об.

[2] იქვე, ფ. 2.

[3] Журнал посланника Волынского, 1715—1718 гг. ციტირებულია წიგნიდან—Е. Зевакин, „Азербайджан в начале XVIII в." Баку, 1929 г., стр. 6.

უცხოელმა დამპყრობლებმა აზერბაიჯანში მოშალეს სოფლის მეურნეობა. გავერანებული ქვეყნის მოსახლეობა შიმშილისაგან იხოცებოდა. ერუანტელის მომგვრელია ცნობა, რომელსაც ამის შესახებ ა. ვოლინსკი იძლევა. იგი წერს: „Великий здесь голод был, от чего в бытность нашу было множество нищих и многие из них без стыда наги ходят. Также часто и мертвые по улицам валяются без всякого призрения, которых тела собаки ели»[1]. აზერბაიჯანში სოფლის მეურნეობის კატასტროფული დაცემა გამოწვეული იყო ირანის ეკონომიური და პოლიტიკური ჩამორჩენილობით, წარმოების შუასაუკუნეობრივი ფორმების არსებობით და სხვ. ფეოდალები ითვისებდნენ არა მარტო ზედმეტ პროდუქტებს, არამედ გლეხის შრომით თავისთვის შექმნილი აუცილებელი პროდუქტების დიდ ნაწილსაც.

მსგავსად ოტომანთა იმპერიისა, ირანში XVIII საუკუნის შუა წლებში და მის მეორე ნახევარში, დასუსტდა მმართველობის ცენტრალიზებული სისტემა, გაძლიერდა სეპარატიზმი; განსაკუთრებით დაშორებულ პროვინციებში ხანები ნახევრად დამოუკიდებელნი იყვნენ და შვილებს მემკვიდრეობითაც გადასცემდნენ თავიანთ ტიტულს. მიუხედავად იმისა, რომ ირანის მმართველი წრეები ცდილობდნენ მსხვილი ფეოდალების დამორჩილებას, მათი სამხედრო ძალა ამისათვის საკმაოდ უძლური ჩანდა. რუსი მეცნიერი გმელინი, რომელმაც იმოგზაურა და შეისწავლა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის აზიის ქვეყნების პოლიტიკური მდგომარეობა, წერდა: «Областные ханы почти вели себя по-шахски... кои о себе столь высоко думают, что между собою и верховным своим начальником никакого различия не полагают, в своем поведении не дают ему отчета»[2]. ირანის პოლიტიკური დაქუცმაცების ტენდენცია ქვეყნის ეკონომიური განვითარების დაბალი დონით იყო განპირობებული. ცენტრალიზებული ხელისუფლების დასუსტებას თან სდევდა შინაფეოდალური ომები, რაც კიდევ უფრო ანადგურებდა უცხოელთა თარეშითა და სასტიკი ექსპლოატაციის შედეგად ისედაც გაჩანაგებულ ქვეყანას.

---

[1] Журнал посланника Волынского, 1715—1718 гг. ციტირებულია წიგნიდან—Е. Зевакин, „Азербайджан в начале XVIII в". Баку, 1929 г., стр. 6.

[2] С. Г. Гмелин, Путешествие по России для исследования всех трех царств по природе, ч. 3, стр. 261.

ამიტომ, ბუნებრივია, აზერბაიჯანის მოსახლეობა ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში მხარში ედგა მოძმე ქართველ და სომეხ ხალხს. რუს ჯარისკაცებს სიმედოდ ჰპარს უპყრდა ამიერკავკასიის მოსახლეობის მშრომელი ფენა და აჩქარებდა ირანელ დამპყრობთა საბოლოო დამარცხების საქმეს.

გენ. ციციანოვი 1805 წ. სექტემბერს მიადგა ბაქოს ციხე-სიმაგრეს და ბაქოს ჰუსეინ გული-ხანს, რომელთანაც ძველი ნაცნობობა ჰქონდა, კაცი გაუგზავნა და შეუთვალა, რომ თვითონ ციციანოვი მოვიდა თავისი მრავალრიცხოვანი ჯარით, თანაც კეთილი განზრახვით და მოითხოვს მისგან ქალაქის ჩაბარებას, სამაგიეროდ «останется он тогда (ლაპარაკია ბაქოს ხანზე, ნ. ქ.) в покровительстве императора Александра и будет главным начальником и губернатором города, со всеми привиллегиями и содержанием и сверх того особенно получит от государя императора почетную награду»[1].

ბაქოს ხანმა ციციანოვის წინადადება მოისმინა თითქოსდა დიდი მორჩილებითა და თანხმობით და თანაც საბოლოო პასუხისათვის მოსაფიქრებლად ითხოვა 12 საათი. ბაქოს ხანი უშუალოდ დაკავშირებული იყო ირანის ბაბა-ხანთან და მისი მითითებით მოქმედებდა; ხანმა მოიწვია თათბირი, რომლის მონაწილე დიდებულებმა გადაწყვიტეს, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლათ ქალაქის დასაცავად, მაგრამ ხანმა თათბირის მონაწილეებს საზეიმო ფიცი მისცა, რომ თვითონ, მარტო შეძლებდა მოსალოდნელი საფრთხისაგან დაეცვა ქალაქი ციციანოვის მუხანათურად მოკვლის საშუალებით. ეს წინადადება თათბირის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს. მალე ხანმა გენ. ციციანოვს თანხმობის პასუხი გაუგზავნა, რომ მზადაა ჩააბაროს ქალაქი და მიიღოს რუსეთის ქვეშევრდომობა.

ბაქოს ხანის მაცდურმა პასუხმა აღაფრთოვანა ციციანოვი; მას ეგონა, რომ იგი უბრძოლველად იღებდა ისეთ ქალაქს, რომელსაც უდიდესი სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა. მთავარსარდალმა ბრძანება გასცა, ჯარი გალავნის კედლებთან დაბა-

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258, ч. I, л. 206 об. „Записка о военных действиях Российских войск, противу неприязненных персиян, бывших в 1803, 1804 и 1805 годах".

ნაკებულიყო, თვითონ კი თავისი ადიუტანტითა და ერთადერთი კაზაკით შევიდა ქალაქში იმ განზრახვით, რომ ხანს შეხვედროდა. როგორც კი ბაქოს ციხის ალაყაფის კარებს მიუახლოვდა, კარები მაშინვე გაიღო; ჰუსეინ გული-ხანი ორი მებრძოლის თანხლებით. ცხენზე მჯდომი გამოემართა გენ. ციციანოვის შესახვედრად, მიუახლოვდა რუსეთის ჯარების სარდალს, ცხენიდან ჩამოხტა და ნიშნად მორჩილებისა ციციანოვს გადასცა ბაქოს გასაღები, თანაც სთხოვა თავისი ჯარით ქალაქი დაეკავებინა[1].

გენ. ციციანოვმა საკმაო სიფხიზლე ვერ გამოიჩინა, რაც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მან თანმხლები კაზაკი დაბანაკებულ ჯარებთან გაგზავნა, რათა ორი ბატალიონი შემოსულიყო ქალაქის დასაკავებლად. სწორედ ამ მომენტში ხანის ერთმა მხლებელმა ციციანოვს ზურგში დამბაჩა ესროლა, მეორემ კი დანა ჩასცა გვერდში; ციციანოვი 1806 წ. 18 თებერვალს მოკლულ იქნა. რუსეთის ჯარებს ციხიდან ცეცხლი გაუხსნა მეციხოვნე გარნიზონმა. რუსები უწესრიგოდ იხევდნენ უკან.

ციციანოვს ჯარი წინასწარ ჰყავდა გაფრთხილებული; თუ ოპერაციას წარმატება არ მოჰყვებოდა და გაუთვალისწინებელი რამ მოხდებოდა, მაშინ ფლოტი ყიზლარში ან კუნძ. სარისკენ უნდა წასულიყო. მართლაც, მისი მოკვლის შემდეგ რუსეთის ჯარი გემებით კუნძ. სარისკენ გაემართა.

როგორც ირკვევა, ციციანოვის მკვლელობის საქმე ადრევე მზადდებოდა ირანის აგენტურის მიერ, რათა ხელი შეეშალა ბაქოს სახანოს რუსეთთან შეერთებისათვის[2]. ციციანოვის სიკვდილმა ირანელებს ფრთები შეასხა; ბაბა-ხანი შეეცადა მოეწყო კომბინირებული ლაშქრობა ამიერკავკასიაში და მთლიანად გაენადგურებინა იქ მყოფი რუსეთის ჯარი. ყაზიყუმუხის სურხაი-ხანი დიდძალ ლაშქარს ამზადებდა საქართველოზე თავდასხმისათვის. მას მხარში ავართა ხანი ედგა.

გენ. ციციანოვის მკვლელობით გათამამებული ბაბა-ხანი და მისი სარდლები ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების მდგომარეობას სრულიად უიმედოდ მიიჩნევდნენ. ისინი აღაღრთოვანებდნენ ირანის არმიას საქართველოში გასალაშქრებლად: მათი განცხადებით, საქართველოში მყოფი რუსეთის ჯარი სარდლობის უკ-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258, ч. I, л. 207.
[2] История Азербайджана, т. 2, стр. 11, Баку, 1960.

რეშე დარჩა და დადგა საუკეთესო მომენტი საქართველოდან რუსეთის ჯარების გასადევნად[1].

ბაქოსთან ციციანოვის მკვლელობა უდაო მარცხი იყო რუსეთისათვის. ამ ფაქტმა აღაფრთოვანა ამიერკავკასიაში რუსეთისადმი მტრულად განწყობილი ხანები, მთავრები, დიდებულები და, მათ შორის, იმერეთის მეფე სოლომონ II.

ბაბა-ხანის მიერ შემუშავებულ იქნა საქართველოში ლაშქრობის ვრცელი გეგმა, რომლის განხორციელებისათვის ბრძოლაში, ირანის მრავალრიცხოვან არმიასთან ერთად, დიდი როლი უნდა ეთამაშნათ ალექსანდრე ბატონიშვილსა და აბას-მირზას. ირანის ჯარების საქართველოში გამოჩენისთანავე კახეთს თავს უნდა დასხმოდა ლეკთა ლაშქარი და ამ კომბინირებულ ლაშქრობას საბოლოოდ რუსეთის ჯარების სრული განადგურება და საქართველოში ირანელთა ბატონობის აღდგენა უნდა მოჰყოლოდა[2].

ირანის შაჰს რუსეთის წინააღმდეგ იმ დროს განაწყობდა საფრანგეთიდან ნაპოლეონის მიერ გამოგზავნილი აგენტები, რომლებიც ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლის გზით ცდილობდნენ ირანში დამკვიდრებას. მალე ფრანგებმა დიდი გავლენა მოიპოვეს შაჰის კარზე. საფრანგეთთან კავშირის მაძიებელი ირანის შაჰი აბამდა ინტრიგის ხლართებს დასავლეთ საქართველოში, მას სურდა თავის მოკავშირედ ჰყოლოდა სოლომონ II რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. გენერალი გლაზენაპი იმპერატორ ალექსანდრე I-ს 1806 წ. 14 აპრილს სწერდა: «**Единомыслия Баба хана, как уже известно, подстрекаемого французским правительством и неблагонамерение Имеретинского царя Соломона представляют всеобщий план решительного на Грузию нападения**»[3].

ბაბა-ხანი საგანგებოდ ამარაგებდა ერევნის სახანოს დიდძალი არტილერიითა და ჯარით. ბაბა-ხანი, ერევნის ჰუსეინ ყულიხანი და ალექსანდრე ბატონიშვილი ცდილობდნენ რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინათ აგრეთვე ამიერკავკასიის ხალხებიც. ისინი დიდი მოწყალებისა და დაპირებებით აღსავსე წერილებსა და მოწოდებებს უგზავნიდნენ ქართველ დიდებულებს, რომ ჩაბმულიყვ-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 50, л. 254 и об.
[2] იქვე, ფ. 157—158.
[3] იქვე, ფ. 27.

ნენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ირანელებმა დაახლოებით 50 ათასიანი არმია მოაყენეს საქართველოს საზღვრებს. მეტად მძიმე და რთული იყო ქვეყნის მდგომარეობა.

საინტერესოა ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ ყაზახის მოურავ თავად იოსებ ბებუთოვისადმი გამოგზავნილი წერილის შინაარსი, რომლითაც ჩვენს თვალწინ იშლება საქართველოში ირანის ძველი ბატონობის აღდგენისა და რუსეთის ჯარის მთლიანად განადგურების შაჰისეული გეგმა. ალექსანდრე ბატონიშვილი წერდა: „ღვთის მოწყალებით ჩვენი განზრახვა ეს არის, რომ ქალაქზედ (ლაპარაკია თბილისზე, ნ. ქ.) მოვიდეთ. შაზადეც (შაჰზადე, ნ. ქ.) ხომ ყარაბაღის გზაზედ მობრძანდება. და ღვთით ჩვენი ოჯახის მტერს დავცემთ. რადგან შენ ამჟამად ყაზახში ხარ, შენ ვალი გაქვს, რომ ჩვენს სამსახურს ეცადო. ღმერთ ერწმუნე და მამის ჩვენის მზემა, თუ შენ ამჟამად ერთგულად გუემსახურები, ჩვენგან დიდს წყალობას მიიღებ. და რომელნიც აქ ჩვენ გუახლავან და ჩვენთან სისხლსა ღვრიან, ამათში გამორჩეული არ იქნები“[1].

1806 წლის აპრილში ირანის მრავალრიცხოვანმა ჯარმა მდ. არაქსის გადმოლახვა და ყარაბაღში შეჭრა დაიწყო. ირანელები შეეცადნენ 4-ათასიანი რაზმით თავს დასხმოდნენ ხოის ჯაფარ ყული-ხანის სამფლობელოს, რომელიც რუსეთის ქვეშევრდომობაში იმყოფებოდა, მაგრამ მალე იქიდან უკუგდებულ იქნენ. შაჰმა ხელმეორედ სცადა ცხენოსნებით იერიშზე გადმოსულიყო და აეღო თალიში, მაგრამ რუსეთის ჯარის ნაწილების გმირულმა კონტრიერიშებმა უკუაგდო მოძალებული მტერი.

ირანის შაჰის მიერ მოსყიდული ყაზიყუმუხის სურხაი-ბანი თავისი რაზმებით ჭარში მოვიდა იმ მიზნით, რომ მოეოხრებინა და გაეძარცვა შაქის სახანო, ხოლო შემდეგ იერიში მიეტანა კახეთზე, გაენადგურებინა ალაზნის თავდაცვითი სიმაგრე, რომელსაც თავადი შანშე ერისთავი მეთაურობდა.

საქართველოს მდგომარეობა დღითი დღე სულ უფრო მძიმე ხდებოდა; ირანელები და ლეკები შეთანხმებულად მოქმედებდნენ, ახალ-ახალი იერიში მოჰქონდათ საქართველოზე, ხოლო ქართლის თიანეთში კი აჯანყების ტალღა ბობოქრობდა.

---

[1] ЦГВИА, ф. ВУД, д. 6164, ч. 50, л. и 254 об.

1806 წ. მარტის პირველ რიცხვებში თბილისში მოიწვიეს კავკასიის არმიის სამხედრო საბჭოს სხდომა, სადაც განსახილველად იქნა საკითხი—საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ. საბჭომ გადაწყვიტა, მტრის იერიშების მოგერიების მიზნით, გაეძლიერებინა საქართველოში თავდაცვის ზღუდეები, კერძოდ ფასანაურთან და ლეკების წინააღმდეგ საბრძოლველად ალაზნის სანაპიროზე — ალექსანდრეს რედუტი, რომლის დაცვაც გენერალ-მაიორ ორბელიანს ჰქონდა მინდობილი. თიანეთში უნდა გაეძლიერებინათ თავდაცვის ზღუდეები აჯანყებული მთიულების შემოტევისაგან თავდაცვის მიზნით[1].

რუსეთის სარდლობა შეუდგა ალაზნის თავდაცვითი ხაზის გამაგრებას; იგი ზომებს ღებულობდა იმისათვისაც, რომ შეკრულიყო მტრისათვის მოსასვლელი გზები და რუსეთის ჯარს დაეცვა სამხედრო გზა, რომლითაც ის ჩრდილოეთ კავკასიას უკავშირდებოდა, მტრისათვის მიუვალი გაეხადა კახეთი და თბილისში მივალი გზებიც.

1806 წლის 21 მარტს რუსეთის სარდლობამ მიიღო ცნობა, რომ სურხაი-ხანი 12-ათასიანი ლაშქრით მოვიდა და დაბანაკდა ალექსანდრეს რედუტიდან 50 კმ. დაშორებით, მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე. სურხაი-ხანის ჯარის რიცხობრივი შემადგენლობა სწრაფად მატულობდა. სურხაი-ხანს შეილის ხალიმ-ბეგის რაზმს შეუერთდნენ ჭარის რამდენიმე სოფლის ლეკები და მან 9-ათასიანი რაზმით სცადა ალექსანდრეს რედუტის აღება. ალექსანდრეს რედუტის აღებით იგი გზას გაუხსნიდა ლეკების ჯარს, რათა ჰეროხრებინათ კახეთი და შეერთებოდნენ ბაბა-ხანის არმიას, რომელსაც განზრახული ჰქონდა საქართველოს დაპყრობა. ხალიმ-ბეგი იერიშზე გადავიდა და სცადა სიმაგრის ფორპოსტი აეღო, მაგრამ რუსეთის არმიის სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა; რუს ჯარისკაცთა შეუპოვარი ცეცხლით გზა გადაეღობა მტერს და იგი იძულებული გახდა უკანვე დაეხია. მტერმა მოკლულთა სახით 150 კაცი დაჰკარგა, რამდენიმე ათეული ლეკი კი ტყვედ ჩავარდა[2].

1806 წ. აპრილის დასაწყისში სურხაი-ხანის რაზმის დიდმა ნაწილმა — 3 ათასმა ქვეითმა და 1500 ცხენოსანმა, შეძლო მუღალოს

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4259, ч. IV, л. 212.

[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 50, л. 317, „Выписка главнейшим происшествиям в Грузии сего года (1806 г. Н. К.) с марта месяца".

ფონზე გადმოელახა მდ. ალაზანი და ალაზნის მარჯვენა სანაპირო-ზე მდებარე ტყეს შეაფარა თავი. სურხაი-ხანის ყაჩაღური ბრბოს წინააღმდეგ იერიში მიიტანა ყაბარდოს მუშკეტერთა პოლკის გენერლის ორბელიანის რაზმებმა. არტილერიის ძლიერი ცეცხლით მტერი განდევნილ იქნა ალაზნის მარჯვენა სანაპიროებიდან; სურხაი-ხანის ცხენოსნებს სძლია კაზაკებმა, 10 ლეკი მოკლულ იქნა; სურხაი-ხანმა კვლავ წარუმატებლობა განიცადა, მან ვერ მოახერხა კახეთში შემოჭრა. იგი სურსათით არმიის მომარაგებას კახეთში ნაძარცვი პროდუქტით ვარაუდობდა, მაგრამ რადგანაც იქიდი ვერ გაუმართლდა და სურსათის ნაკლებობას განიცდიდა, დახმარებისათვის შაქის სელიმ-ხანს მიმართა.

რუსეთის სარდლობისათვის ცნობილი გახდა, რომ სურხაი-ხანი თავისი რაზმების სურსათით მომარაგებას შაქის სელიმ-ხანს თხოვდა. როგორც ირკვევა, სელიმ-ხანს შეეშინდა რუსეთის ჯარების სიძლიერისა და მან უარი განუცხადა სურხაი-ხანს დახმარების გაწევაზე. სელიმ-ხანი რუსეთის სარდლობას ერთგულებას უმტკიცებდა. სურხაი-ხანის წინააღმდეგ საბრძოლველად რუსეთის სარდლობამ გაგზავნა რაზმი პოლკოვნიკ კოტლიარევსკის მეთაურობით.

სელიმ-ხანს სურხაი-ხანთან ძველი მტრობა ჰქონდა და ახლა რუსეთის ჯარების შემოსვლით სარგებლობდა.

1806 წლის 11 მაისს სელიმ-ხანისა და რუსეთის რაზმები დაუპირისპირდა სურხაი-ხანს. სასტიკი ბრძოლა გაიმართა სოფ. ბელაქანთან, საიდანაც სურხაი-ხანი იძულებული გახდა გაქცეულიყო სოფელ ჭეინიუქში. გენ. გუდოვიჩის ცნობით, სელიმ-ხანთან ბრძოლაში დაიჭრნენ სურხაი-ხანი, მისი შვილი, ძმისწული და სხვა მეთაურები. სურხაი-ხანმა ბრძოლაში 2 ათასამდე მებრძოლი დაკარგა, და იძულებული გახდა უკან დაეხია[1]. სურხაი-ხანის წინააღმდეგ მებრძოლი სელიმ-ხანის რაზმი შაქის მოსახლეობისაგან შედგებოდა. სელიმ-ხანის მიერ მოპოვებული წარმატება მიუთითებს იმის შესახებ, რომ შაქის მოსახლეობა სურხაი-ხანს ირანის აგენტად თვლიდა და ერთსულოვნად გამოდიოდა მისი რაზმების გასანადგურებლად; მათ იცოდნენ, რომ სურხაი-ხანის გამარჯვებას ირანელთა ბატონობის აღდგენა უნდა მოჰყოლოდა. სურხაი-ხანი, ამჯერად სასტიკად დამარ-

[1] ЦГВИА, ф УА, д. 6164, ч. 50, л. 317—318.

ვერ გაამართლა.

ცხებული, უკუიქცა და თავისი ირანელი მბრძანებლების იჭიბე-

ირანელები შეეცადნენ სურხაი-ხანის დამარცხების გამო სასტიკად ეძიათ შური რუსეთის ჯარებზე. ირანელთა შეტევა ასე დაიწყო: 1806 წლის 29 აპრილს ირანელთა 700-კაციანი ბრბო თავს დაესხა სოფელ სუხანვერდს და გუმრელთა პირუტყვი წაასხა. მაგრამ მაიორ შმიდტის რაზმი ირანელ ავაზაკთა ბრბოს სწრაფად დაეწია და ის გაანადგურა, ხოლო გარეკილი ჯოგი უკანვე წამოასხა; მოკლულ იქნა 100-მდე ირანელი, ხოლო დანარჩენები პანიკით მოცულნი გაიფანტნენ. რუსებმა სამხედრო საჭურველთან ერთად ნადავლის სახით ხელთ იგდეს 120 ცხენი[1]. მაგრამ ირანის შაჰი საქართველოს მიმართ თავის პრეტენზიებზე ხელს მაინც არ იღებდა.

1806 წლის მაისის პირველ რიცხვებში ირანელთა 30-ათასიანი არმია აბას-მირზას მეთაურობით მოადგა მდ. არაქსს; მას განზრახული ჰქონდა გადმოელახა აღნიშნული მდინარე და თავს დასხმოდა ყარაბაღის პროვინციას, გაეძარცვა ის და იქიდან გეზი საქართველოსაკენ აეღო; მეორე მხრივ, ალექსანდრე ბატონიშვილი და ირანის დიდებულები 18.000-იანი ჯარით მზად იყვნენ საქართველოზე თავდასასხმელად.

იქმნებოდა კვლავ სახიფათო მომენტი. ირანის 50.000-იანი არმია შეტევის დაწყებისათვის მხოლოდ ცოტა დრო იყო საჭირო. ისედაც მცირერიცხოვანი რუსეთის ჯარი ამიერკავკასიაში დაქსაქსული აღმოჩნდა, ნაწილი ოსმალეთთან ომისათვის ემზადებოდა, ნაწილი კი მეფის მოხელეებმა საქართველოში ცარიზმის ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლთ დაუპირისპირეს. ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად დიდი რაოდენობით ჯარის გამოყვანა შეუძლებელი აღმოჩნდა. რუსეთის სარდლობამ სასწრაფოდ მოახდინა ჯარების შევსება და სტრატეგიულ ადგილებზე გაანაწილა, რომ მტერი მოულოდნელად არ შემოჭრილიყო ქვეყნის სიღრმეში. რუსეთის მხარეზე გადასული ზოგიერთი ხანი კრიტიკულ მომენტში პოლიტიკურ მერყეობას იჩენდა და იმის მომხრე იყო, ვინც უფრო მეტ ძლიერებას აჩვენებდა. სწორედ ასე მოიქცა ერთ დროს თავისი „ერთგულებით" ცნობილი, რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფი შაქის სელიმ-ხანი.

---

[1]ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 50, л. 323

შაჰის სელიმ-ხანმა თავისი რაზმები ლეკებით გააძლიერა. მისმა მტრულმა მოქმედებამ აიძულა რუსეთის რაზმები დაეტოვებინათ შაქის სახანო და ელიზავეტპოლს დაბრუნებულიყვნენ. სელიმ-ხანმა ხელი აიღო რუსეთის ქვეშევრდომობაზე და აბას-მირზას დაუკავშირდა. მაისის შუა რიცხვებში აბას-მირზა 20-ათასიანი არმიით მიუახლოვდა შუშის ციხეს და მის მისადგომებზე დაბანაკდა.

გენერალ-მაიორი ნებოლსინი თავისი რაზმით შუშის ციხესთან დაეჯახა ირანის არმიის ავანგარდს, რომელიც 4 ათასამდე ცხენოსან მებრძოლს ითვლიდა. ირანელების ავანგარდი აქ ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ ეს მტერზე სრულ გამარჯვებას არ ნიშნავდა, რადგანაც ირანელთა 20-ათასიანი არმია რუსეთის ჯარის პოზიციებთან ახლო იდგა და შეტევისათვის იყო გამზადებული.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყარაბაღის იბრაჰიმ-ხანმა ღალატი ჩაიდინა; ის დაუკავშირდა ირანელებს, რის გამოც მალე მაიორ ლისანევიჩის რაზმების მიერ იგი მოკლულ იქნა. იბრაჰიმ-ხანის უფროსი შვილი მეხტი ყული-აღა რუსული ორიენტაციისა იყო და თავისი რაზმებით მხარს უჭერდა რუსეთის არმიას, ხოლო უმცროსი შვილი აბულ-ფეტი აბას-მირზას რუსეთზე გამარჯვების საქმეში ეხმარებოდა.

რუსეთის სარდლობისათვის ცნობილი გახდა, რომ აბულ-ფეტმა ყარაბაღის მკვიდრი მოსახლეობიდან აყარა 3000 ოჯახი, რათა ისინი იოანში გადაესახლებინა. 1806 წ. 16 ივნისს მაიორ ლისანევიჩს ებრძანა თავისი 200 ჯარისკაცითა და ოფიცრით ხელი შეეშალა აბულ-ფეტის მტრული განზრახვის სისრულეში მოყვანისათვის. ლისანევიჩის რაზმს შეუერთდა ყარაბაღის პატრიოტები — ყარაბაღელთა მილიცია 250 ცხენოსნით და ორასკაციანი სომეხთა რაზმი; პატრიოტებს ჯაფარ-ყული-ბეკი მეთაურობდა. აბულ-ფეტის წინააღმდეგ საკმაო ძალამ მოიყარა თავი, ამიტომ იგი შეეცადა თავისი რაზმი გაეძლიერებინა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან დახმარებისათვის თავის მეგობარს ატა-ხანს მიმართა, რომელიც ყარაბაღში იდგა. უკანასკნელმა ერთგულება აღუთქვა, ხოლო თვითონ აბულ-ფეტმა, მაიორ ლისანევიჩის ცნობით, აბას-მირზას ბანაკს მიაშურა[1].

[1] ЦГВИА, ф ВУА, д 6164, ч. 50, л. 128.

აბას-მირზამ სასწრაფოდ მიიღო ზომები და მას მისცა საკმაოდ ძლიერი დამხმარე რაზმი ნაბი-ხანის მეთაურობით. აბულ-ფეტეხ ჯარს აბას-მირზას ბრძანებით შეუერთდნენ, გარდა ატა-ხანისა, ფაზი-ბეკისა და მირზა ალი-ბეგის რაზმები. განზრახული იყო სასწრაფოდ გაერეკათ არაქსს გაღმა ყარაბაღის მოსახლეობა, გაერეკათ მანამ, სანამ მათ რუსები დაეწეოდნენ[1]

ლოდინისათვის უკვე დრო აღარ იყო; 19—20 ივნისს ღამით მაიორმა ლისანევიჩმა თავისი რაზმი მარშით მიიყვანა იქ, სადაც ნახჭევნის საზღვარი იწყებოდა და მტერს, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას ირანში ერეკებოდა, დაეწია. ირანელებს სტრატეგიულად ხელსაყრელი პოზიცია ეჭირათ, მაგრამ ლისანევიჩის ჯარი ყოველგვარი დაყოვნების გარეშე იერიშზე გადავიდა. მტრის ძლიერება ხელჩართულ ბრძოლაში გატყდა. პანიკით მოცული ირანის ჯარი გარბოდა. რუსეთის ჯარის წარმატებამ ფრთა შეასხა ყარაბაღელ ტყვეებს, რომლებსაც ირანში თავისუფლების სრული დაკარგვა და სამუდამო მონობა მოელოდათ. ისინი თვითონვე ჩაებნენ ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში და გმირულად ეკვეთნენ მტერს რუსეთის არმიის ჯარისკაცებთან ერთად. მტერი მთლიანად განადგურებულ იქნა. ეს ფაქტი შესანიშნავად არის გადმოცემული გენ. ლისანევიჩის მიერ, რომელიც წერდა: *«Упорно защищавшегося неприятеля менее чем четверть часа опрокинули, пехота оного тут бывшая почти вся поколота штыками и изрублена саблями, протчие же в крайнем безпорядке обратилися в бегство; конница наша бросилась в преследование и делала ужаснос поражение, но еще вящему усугублению урона неприятельского способствовали и угнатые им народы Карабахские, которые, увидя себя через приход мой освобожденными, а персиян разбитых и бегущих, вооружились так же против их, и заняв бывшия к отступлению неприятеля дороги, убивали их безпощады, тут неприятель, будучи уже совершенно разстроен и со всех сторон окружен, не находил другого спасения, как кидая оружие и лошадей. ...Неприятель был совершенно разбит и разсеян, оставя убитых на месте сражения, в погоне и убившихся с крутизны более тысячи пятьсоть человек»*.[2] (ხაზი ჩვენია. ნ. ჯ.)

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 50, л. 128.

[2] იქვე, ფ. 128—129.

მოტანილი ბრძოლის აღწერა მეტისმეტად საგულისხმოა. რუსეთის ჯარის ნაწილები ათავისუფლებენ ირანის ტყვეობიდან აზერბაიჯანის მოსახლეობის ნაწილს, რომელთა ხვედრი ბარბაროსული ჩაგვრის პირობებში მუდმივი მონობა უნდა ყოფილიყო. ასეთი ფაქტები ზრდიდა რუსეთისა და მისი არმიისადმი კავკასიის ხალხთა სიმპატიას ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მოტანილ დოკუმენტიდან ჩანს, თუ როგორ აღაფრთოვანებდა და ძალასა და ენერგიას ჰმატებდა სამუდამო მონობისათვის განწირულ ხალხს რუსეთის ჯარისკაცთა გმირული ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ.

ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ რუსეთის არმიის ბრძოლის ისტორიიდან მრავალი ანალოგიური ფაქტის დასახელება შეიძლება. მაგრამ მოტანილიც საკმარისია იმისათვის, რომ დავასკვნათ: რუსეთის არმია ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ომებში ობიექტურად კავკასიის ხალხების განმათავისუფლებლის როლს თამაშობდა.

გენერალური ბრძოლა აბას-მირზას გენ. ნებოლსინმა ასკერანთან 1806 წ. ივნისის რიცხვებში გაუმართა. მაიორ ლისანევიჩის გამარჯვება აღაფრთოვანებდა რუს ჯარისკაცებს აბას-მირზას მრავალათასიანი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

აბას-მირზას განზრახული ჰქონდა მთლიანად დაეპყრო ყარაბაღი, შეერთებოდა თავის სხვა სარდლებს — ჰუსეინ ყული-ხანსა და ალექსანდრე ბატონიშვილს და შეპრილიყო საქართველოში. გენ. ნებოლსინისათვის ცნობილი იყო აბას-მირზას განზრახვა და იგი მტრის იერიშების მოსაგერიებლად ემზადებოდა. მან გააძლიერა თავისი რაზმი — შუშის ციხის გარნიზონიდან შეიერთა 100 ჯარისკაცი და ყარაბაღის პატრიოტებისაგან შემდგარი 300 კაციანი ცხენოსანი მილიცია, რომელსაც ყარაბაღის მეხტი-ყული-აღა მეთაურობდა.

გენ. ნებოლსინმა გადაწყვიტა მოულოდნელად თავს დასხმოდა ირანელთა ბანაკს, რომელიც 4 ათასი ქვეითი და 16 ათასი ცხენოსნით ასკერანთან იყო დაბანაკებული. ეს ბრძოლა დიდი და უთანაბრო ბრძოლა იყო. მტერი 5-ჯერ აღემატებოდა რუსეთის ჯარს თავისი რიცხობრივი შემადგენლობით, მაგრამ რუსი ჯარისკაცების გმირობამ გასტეხა მტრის ძლიერება და სასტიკად დაამარცხა იგი[1].

ასკერანთან ბრძოლაში აბას-მირზამ დაჰკარგა დიდძალი ჯარი მოკლულთა და დაჭრილთა სახით, ბევრი ცხენი, აქლემი და არტი-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 50, л. 328.

ლერია. ამგვარად, აბას-მირზა ამჯერადაც სასტიკად დამარცხდა, ხოლო ყარაბაღი განადგურებას გადაურჩა. ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი — ბავშვები, ქალები, მოხუცები, რომლებიც ირანელების შიშით გახიზნული იყვნენ, სახლ-კარს თანდათანობით უბრუნდებოდა[1]. სწორედ მაშინ, როდესაც აბას-მირზა ყარაბაღს უტევდა, ირანის არმიის ერთი ნაწილი—7 ათასიანი რაზმი ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით, მოიწევდა ელიზავეტპოლისა, ყაზახისა და შამშადილის პროვინციებისაკენ, ხოლო მეორე — ჰუსეინ ყული-ხანის მეთაურობით, ანადგურებდა დამწიფებულ ხორბლის ყანებს, რათა რუსეთის ჯარისათვის ადგილობრივი სურსათის მარაგი მოესპო[2].

რუსეთის ჯარმა ასევე დიდი ზარალი მიაყენა ალექსანდრე ბატონიშვილისა და ჰუსეინ ყული-ხანის მეთაურობით გამოგზავნილ ირანის კორპუსს. ალექსანდრე ბატონიშვილის რაზმების წინააღმდეგ გაიგზავნა ყარაბაღის მუშკეტერთა პოლკი პოლკოვნიკ ერისთავის მეთაურობით, რომელიც წააწყდა მტრის არმიის ავანგარდს და სასტიკად დაამარცხა იგი[3]. ალექსანდრე ბატონიშვილისა და ჰუსეინ ყული-ხანის კორპუსი, ნავარაუდევი იყო, შეერთებოდა აბას-მირზას მრავალრიცხოვან არმიას და გაეკაფა გზა საქართველოსაკენ. მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილმა თავისი ავანგარდის დამარცხებასთანავე მიიღო ცნობა აბას-მირზას დამარცხებისა და გაქცევის შესახებ. ალექსანდრე ბატონიშვილისა და ჰუსეინ ყული-ხანის კორპუსს ალყაში მოქცევის საფრთხე ემუქრებოდა, რის გამო ისინი თავიანთი ჯარით იძულებული გახდნენ ერევანს გაქცეულიყვნენ[4].

ირანის მრავალრიცხოვანი არმიის შემოტევა არა მარტო შეჩერებულ იქნა, არამედ აბას-მირზა, ალექსანდრე ბატონიშვილი და ჰუსეინ ყული-ხანი დიდი დანაკარგით უკუგდებულ იქნენ. რუსეთის პოზიციები უკვე დღითი დღე მყარი ხდებოდა. ელიზავეტპოლის, ყაზახის, შამშადილისა და ბამბაკის უსაფრთხოება ამჯერად უზრუნველყოფილ იქნა.

ირანელების წინააღმდეგ ბრძოლის ეს შედეგები საბოლოო არ იყო. ირანის არმიის სარდლობა ახალი იერიშისათვის ემზადებოდა.

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д, 6164, ч. 50, л. 328.
[2] იქვე, ფ. 329.
[3] იქვე.
[4] იქვე.

ამიტომ საჭირო იყო რუსეთის ჯარისათვის ზურგის განმტკიცება მტრის ხელში მყოფი მძლავრი ციხე-სიმაგრეების დაუფლებით. გუდოვიჩმა გენერალ-მაიორ წესვეტაევს უბრძანა, ირანის ჯარისათვის საშუალება არ მიეცა მდინარე არაქსი და მტკვარი გადმოელახა, ინფანტერიის გენერალი ბულგაკოვი კი დარუბანდს გაგზავნა დავალებით, დარუბანდს ჰყოლოდა საჭირო გარნიზონი, ხოლო დანარჩენი ჯარით კი ყუბისა და ბაქოს ასაღებად წასულიყო. ბულგაკოვის რაზმისათვის კასპიის ზღვის ფლოტს დახმარება უნდა გაეწია.

როგორც ირკვევა, ბაქოს პირველი ოპერაციის დროს კასპიის ზღვის ფლოტი ნაკლებად დაეხმარა გენ. ციციანოვს. გენ. ზავალიშინმა თავდაპირველად დაიკავა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სარის კუნძული, რითაც სერიოზულად ემუქრებოდა კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპირო ირანის ტერიტორიებს. აბას-მირზა იძულებული იყო ჯარის ნაწილი მის საპირისპიროდ გამოეყვანა, რითაც იქსაქსებოდა ირანის ძალები[1]. მაგრამ იმის გამო, რომ გენ. ზავალიშინმა მალე დასტოვა ეს ადგილი, ჰტერმა შეძლო თავისი ძალების მაქსიმალურად გამოყვანა მისთვის საჭირო მიმართულებით რუსეთის წინააღმდეგ.

ზავალიშინის მიერ კუნძ. სარის დატოვებამ გაამწვავა საქართველოს მდგომარეობა და საშუალება მისცა ირანის სარდლობას მაქსიმალური სიძლიერით ემოქმედნა 1806 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში. ზავალიშინისათვის ადრევე იყო ცნობილი, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აღნიშნულ კუნძულზე რუსეთის ჯარის ნაწილების ყოფნას. ჯერ კიდევ ადრე თვითონვე ამის შესახებ შემდეგს იტყობინებოდა: «**Пребывание там наших войск удерживало Баба-Хана от нападения на Грузию**»[2]. მიუხედავად ამისა, გენერალმა ზავალიშინმა თვითნებურად დატოვა სარის კუნძული.

გენერალი გლაზენაპი, რომელმაც ციციანოვის სიკვდილის შემდეგ დროებით მთავარსარდლის პოსტი დაიკავა, ალექსანდრე I-დმი გაგზავნილ წერილში ამათრახებდა ზავალიშინს სარდლისათვის შეუფერებელი საქციელის გამო, რომელიც ძვირად დაუჯდა რუსეთის ჯარს ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში და რომელმაც ბაბა-ხანს საშუალება მისცა სერიოზულად დამუქრებოდა საქართველოს. გლა-

[1] ЦГВИА, ф. 1. (Ленинградский), д. 580, л. 286.

[2] იქვე, ფ. 291.

ზენაპი ურჩევდა იმპერატორს პირველ რიგში აეღოთ ბაქო, წინააღმდეგ შემთხვევაში შირვანი და ყარაბაღი მუდმივად ირანელთა თავდასხმის საფრთხის ქვეშ იქნებოდნენ. რაც შეეხება საქართველოს, გლაზენაპი უკვე მიხვედრილი იყო, რომ თუ ბაქოს, ერევნის და სხვა დიდ ციხე-სიმაგრეებს რუსეთი ვერ დაეუფლებოდა, ბაბა-ხანი და მისი არმია, რომელსაც დიდ დახმარებას პპირდებოდნენ ნაპოლეონის მიერ გამოგზავნილი ემისრები, მას საბედისწეროდ ემუქრებოდა[1].

იმპერატორმა ალექსანდრე I-მა სწორად ცნო გენ. გლაზენაპის მოსაზრებანი, მასვე დააკისრა კასპიის ზღვის ფლოტის სარდლის მოვალეობის შესრულება და დაავალა გაერკვია, თუ რატომ მოხდა ციციანოვის სიკვდილის შემდეგ სარის კუნძულის დატოვება, რატომ არ აიღო კასპიის ზღვის ფლოტმა ბაქო და მისი მიდამოები.

ფაქტი იყო, რომ ზღვითა და ხმელეთით კომბინირებული შეტევის გარეშე ბაქოს ციხე-სიმაგრის აღება მაშინ შეუძლებელი გახდა.

კასპიის ზღვის ახალგაზრდა ფლოტმა იმპერატორის განკარგულებით კვლავ დაიკავა სარის კუნძული[2], რათა დამუქრებოდა ირანდესანტის გადასხმით და საკმაო რაოდენობის ჯარის ნაწილი თავისკენ მიეზიდნა, მაგრამ მაშინ მდგომარეობა მეტად გართულებული იყო; გლაზენაპი 1806 წ. 24 მაისს იმპერატორს ატყობინებდა, რომ მართალია, თვითონ შეუძლია დროებით მთავარსარდლის მოვალეობის შესრულებას, მაგრამ ხედავს, მდგომარეობა მეტად მძიმეა: ბაბა-ხანი წამოვიდა ყარაბაღის, ნუხის და ელიზავეტპოლის მიმართულებით, აბას-მირზა და ალექსანდრე ბატონიშვილი — ბაშბაკისა და შურაღელის პროვინციების დასაკავებლად დაიძრა, ლეკები კი იერიშით მიდიან მდ. ალაზნისაკენ ხახეთზე თავდასასხმელად. ამგვარად, საქართველო ყოველი მხრიდან მტრების თავდასხმის საფრთხის წინაშე იდგა[3]. რუსეთის საზღვაო ფლოტი მცირერიცხოვანი იყო და მას საშუალება არ ჰქონდა დესანტით სერიოზულად დამუქრებოდა ირანს.

---

[1] ЦГВИА ф. I, (Ленинградский), д. 580, л. 289.

[2] იქვე, ფ. 278.

[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258, ч. I, л. 223. „записка о военных действиях Российских войск, против неприязненных персиян, бывших в 1803, 1804 и 1805 годах".

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1806 წ. გაზაფხულ-ზაფხულში მტრის იერიშები მოგერიებულ იქნა, მაგრამ სად იყო იმის გარანტია, რომ მტერი შემოდგომითაც არ გააგრძელებდა მრავალრიცხოვანი ჯარით შემოტევას.

ბაქოს აღების შემდეგ, რუსეთის სარდლობას განზრახული ჰქონდა დაეპყრო ყუბის სახანო და საბოლოოდ დაემარცხებინა ლეკები.

1806 წ. 2 ივნისს რუსეთის ჯარის ნაწილი, რომელიც 1400 ქვეითისა, ამდენივე ცხენოსნისა და 9 ქვემეხისაგან შედგებოდა, დაიძრა გლაზენაპის მეთაურობით ჩრდ. კავკასიიდან კასპიის ზღვის სანაპიროებით სამხრეთისაკენ. ჯარს მხარს უჭერდა ტარკის საშამხლოში შექმნილი რაზმებიც; 22 ივნისს ისინი მიადგნენ დარუბანდს, რომლის მოსახლეობამ ციხე-სიმაგრე უბრძოლველად ჩააბარა რუსეთის სარდლობას.

დარუბანდში რუსეთის ჯარის სარდალთან გამოცხადდა ბაქოსა და ყუბის მოსახლეობის მიერ გამოგზავნილი დეპუტაცია, რომლებიც ითხოვდნენ რუსეთის ქვეშევრდომობის ქვეშ ბაქოსა და ყუბის სახანოების მიღებას.

1806 წ. 5 სექტემბერს რუსეთის ჯარის ნაწილებმა, რომელთაც გლაზენაპის ადგილზე დანიშნული ბულგაკოვი სარდლობდა, გეზი აიღო ბაქოსაკენ. ჰუსეინ ყული-ხანი ირანში გაიქცა, ხოლო მოსახლეობა გულითადად მიესალმა რუსეთის არმიას. 3 ოქტომბერს, სამხელეთო და საზღვაო ძალების საომარი მოქმედების გარეშე, ბაქო საბოლოოდ ირანელებისაგან განთავისუფლებულ იქნა რუსეთის ჯარების მიერ, ბაქოს სახანო კი გაუქმდა. ბაქოს აღება უდავოდ რუსეთის არმიის დიდი გამარჯვების მომასწავებელი იყო ამიერკავკასიაში. ბაქოს ხანი სასტიკი წინააღმდეგი იყო ბაქოს რუსეთის ხელში გადასვლისა. გენ. გუდოვიჩი 1806 წ. 19 ოქტომბერს ბაქოს ხანის მტრული საქმიანობის შესახებ წერდა: «**Изверг Хан Бакинский держался все в Баке, уговоривая жителей к обороне, но когда увидел с одной стороны корпус свежих войск, приближающийся к Баке, а с другой стороны, каспийскую флотилию с моря, то и успел бежать из Баки**»[1].

საგულისხმოა, რომ ბაქოს მცხოვრებლები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ რუსეთის არმიის გამოჩენას; გუდოვიჩის ცნობით,

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6166, ч. I, л. 246 и об.

«знатные и первые беки с их духовными поднесли ключи города и знамена при уклонении оных до земли и весь народ при пушечной со стены пальбе с музыкою, а духовенство армянское с процессиею вышли»[1].

მოღალატე ფეოდალთა დიდი ნაწილი, რომელიც მხარს უჭერდა აზერბაიჯანში ირანელთა ბატონობას, ბაბა-ხანთან გაიქცა. იკა იქიდან მოუწოდებდა მოსახლეობას რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. მალე ბაქოდან რუსეთის ჯარი ყუბის სახანოსკენ გაემართა. ყუბა, ისე როგორც ბაქო, უბრძოლველად ჩაბარდა რუსეთის ჯარს, ხოლო შიხ-ალი-ხანი მთებს შეეხიზნა. სწორედ მაშინ, როცა ირანელთა ბატონობისაგან განთავისუფლებულ იქნა ბაქოსა და ყუბის სახანოები, რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა შაქის სახანოში, რომელსაც შაქის სელიმ-ხანი მეთაურობდა. მალე აჯანყება ჩაქრობილ იქნა, ხოლო სელიმ-ხანი ირანში გაიქცა. დაწესდა შაქის სახანოს დროებით მმართველობა, რომლის შემადგენლობაშიაც რუსული ორიენტაციის ადგილობრივი ხანები შევიდნენ.

გენ. გუდოვიჩი ცდილობდა მოპოვებული წარმატებანი გამოეყენებინა იმისათვის, რომ მეამბოხე ლეკი ფეოდალები სანიმუშოდ დაესაჯა ჭარ-ბელაქანში. რუსეთის რაზმები საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ მეამბოხენი დაემარცხებინა და ისინი სრულ მორჩილებაში მოეყვანა, რათა საბოლოოდ ჩამოცილებოდნენ ავართა ახმედ-ხანისა და მთის დიდებულების გავლენას და ხელი აეღოთ საქართველოზე თავდასხმებისაგან.

ჭარ-ბელაქანში მეამბოხე ავართა ხანისა და მთის მსხვილი ფეოდალების დასამარცხებლად საქართველოში შექმნილა მძლავრი სახალხო მილიცია, რომელიც 2 ათასიანი ცხენოსანთა რაზმისაგან შედგებოდა. ქართველთა ამ ლაშქრის შექმნის შესახებ 1806 წლის 28 ოქტომბერს გენერალ-ლეიტენანტი, ბარონი როზენი გრაფ გუდოვიჩს შემდეგს მოახსენებდა: „*Маршал грузинский князь Шенша Эристав подал мне записку, что к Алазанскому отряду обывательского войска назначил он конно-вооруженных из Горийского уезда 400-человек, из Лорийского или Тифлисского— 400, из Ананурского — 200; из Телавского — 500, из Сигнахского — 500, всего 2000 человек, с тем, что Телавский, Сигнахский уезды 1000 человек тотчас выставят, а прочие уезды че-*

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6166, ч. 1, л. 149.

рез 15 дней доставят к Алазанскому отряду... другую тысячу войска»[1].

გორიდან, ლორიდან, ანანურიდან, თელავიდან და სიღნაღიდან, ჰართლაც, თავი მოუყრია 2 ათას ქართველ მეომარს და შეერთებია ალაზნის სანაპიროზე ლეკების წინააღმდეგ შექმნილ საგუშაგოსთან მყოფ ჯარისკაცებს, რომლებსაც ნაბრძანები ჰქონდათ ჭარ-ბელაქანში მყოფი მეამბოხეების დამარცხება. ამაზე მიუთითებს აგრეთვე სამხედრო ისტორიკოსი ა. პეტროვის შემდეგი სიტყვები: „Отряд, стоявший на р. Алазани, усиленный 2.000 ч. Грузинской конницы, получил приказание наказать Лезгинцев"[2].

მეამბოხეთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართველთა ლაშქარს შანშე ერისთავი მეთაურობდა. მრავალი მეამბოხე მოუკლავთ ქართველ მებრძოლებს, მრავალიც ტყვედ წამოუყვანიათ[3].

* * *

XIX საუკუნის დასაწყისში ურთიერთობა ირანსა და ოსმალეთს შორის მეტად დაძაბული გახდა, რაც დაკავშირებული იყო მოუთავებელ სასაზღვრო ინციდენტებთან. საქმე იქამდე მივიდა, რომ მოსალოდნელი იყო მათ შორის არა მარტო კეთილმეზობლური ურთიერთობის გაწყვეტა, არამედ ომის დაწყებაც კი. განსაკუთრებით ერევნის სახანო ავიწროებდა ყარსის საფაშოს, ამიტომ მათ შორის გამუდმებული მტრობა იყო. ჯერ კიდევ ადრე, 1802 წლის 3 ივლისს ყარსის მამედ-ფაშა კოვალენსკის სწერდა: „როდესაც ერევანზე თქუენი წაბძანება იქმნება, კიდევაც მე თქუენი მეგობარი ვარ და ერევნის მტერი ვიქნები, არა თუ ასლა მანამ ცოცხალვარ თქუენი კეთილმეგობარი გახლავარ"[4]. რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომის დაწყების წინ განსაკუთრებით გამწვავდა ურთიერთობა ირანსა და ოსმალეთს შორის. ყორაჩორანის აბდულ რახმან-ფაშამ, რომელიც თავისი სამფლობელოებით უწინ ოსმალეთის სულთანს ემორჩილებოდა, მიიღო ირანის შაჰის ქვეშევრდომობა, რის გამო სულთანს ბრძანება გაუცია დიდძალი ჯარისათვის მოეყარათ თავი და დაეწყოთ სამხედრო მოქმედება ირანის წინააღმდეგ, რომელმაც ქვეშევრდომობაში მიიღო სულთნის ურჩი ვასალი. ოსმალთა არმია, რომელიც

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 50, л. 92.
[2] А. Петров. Война России с Турцией 1806—1812 гг. т. I, стр. 296.
[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 50, л. 92.
[4] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 28, л. 295.

ირანის საზღვარზე იდგა, გუდოვიჩის ცნობით, 80 ათასი ქვეითი და ცხენოსანი ჯარისკაცისაგან შედგებოდა, ხოლო ირანის არმია, რომელსაც ბაბა-ხანის შვილი მეძედ ალი-ბეკი სარდლობდა, 30 ათას მებრძოლს ითვლიდა[1].

გენერალ-მაიორი ნესვეტაევი, რომელიც კარგად იცნობდა ჯაშუშების მეშვეობით ირან-ოსმალეთის ურთიერთობას, 1806 წ. შემოდგომაზე იუწყებოდა, რომ ირანისა და ოსმალეთის ჯარები ერთმანეთს დაეჯახნენ; ერთ-ერთ ბრძოლაში ბაღდადის ფაშის რაზმებს ირანის ჯარის ნაწილი დაუმარცხებია. ნესვეტაევი წერს: **«Вследствие неудовольствия, открывшагося с Баба-Ханом и Портою, Багдадской Юсуф-Али-паша имел уже сражение с старшим сыном Баба-Хана, который был пашею разбит. С обеих сторон новыя делаются приуготовления, из Ерзерума в Баязет прибыло 700 ч. турецкого войска»**[2].

ირანსა და ოსმალეთს შორის ომი გარდუვალი იყო, რომ ფრანგი ემისრები არ ჩარეულიყვნენ საქმეში. ფრანგ ემისართა უშუალო ხელმძღვანელობით ირანსა და ოსმალეთს შორის ომის დაწყება ამჯერად შეჩერებულ იქნა. 1806 წ. 21 ოქტომბერს რუსეთის ჯაშუში ქ. რ. არშაკოვი ნესვეტაევს აუწყებდა: «На сих днях был отправлен от персидского Шаха к Султану посланник с заключением мира, а что ими произведет,—по узнании моем не премину. В. пр. увсдомить»[3]. საფრანგეთის დიპლომატია ცდილობდა ირანსა და ოსმალეთს შორის არსებული წინააღმდეგობანი შეერბილებინა, ისინი ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ მდგომარეობიდან გამოეყვანა და სამხედრო მოკავშირეებად ექცია რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ირანსა და ოსმალეთს შორის წინააღმდეგობა, მიუხედავად ჯერ საფრანგეთისა და უფრო გვიან ინგლისის დიპლომატიის მრავალმხრივი ჩარევისა, არ გამქრალა: ამან დიდად შეუშალა ხელი ირანისა და ოსმალეთის სამხედრო ძალების გაერთიანების საქმეს რუსეთის წინააღმდეგ. რუსეთისათვის სასარგებლო აღმოჩნდა ირანსა და ოსმალეთს შორის არსებული უთან-

---

[1] АВПР, 1801—1814, ф. гл. Архив, 1—13, д. 5, л. 83 и об.
[2] АВПР, Ф. Гл. архив, 1809—1811, д. 28, л. 26.
[3] Акты, т. 3, д. 792, стр. 421.

ხმოებანი, რამაც აგრეთვე დააბრკოლა მათი გაერთიანებული ძალების ეფექტური მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ.

საფრანგეთის დიპლომატია რუსეთ-ოსმალეთის ომს აჩქარებდა, ხოლო ირანსა და რუსეთს შორის დაზავებას ხელს უშლიდა. 1806 წ. სექტემბერში, ოსმალეთთან დაძაბული ურთიერთობის მომენტში, ბაბა-ხანთან ყველაზე დაახლოებულ პირს, გილიანის მმართველ მირზა-მუსას სანდო კაცის ხელით წერილი გამოუგზავნია გენ. გუდოვიჩისათვის, რომელშიაც ნათქვამი იყო: «Письмо сие для того писано, чтобы между нами ссоры никакой не было»[1].

გუდოვიჩი საპასუხო წერილში მოითხოვდა ირანსა და რუსეთს შორის საზავო ხელშეკრულების გაფორმებას საფუძვლად მტკვრისა და არაქსის გასწვრივ სასაზღვრო ხაზის დაწესება დადებოდა ალექსანდრე I-მა მოიწონა გენ. გუდოვიჩის მიერ ირანისათვის წაყენებული წინადადება და 1806 წ. 4 ოქტომბერს გრაფ გუდოვიჩს რესკრიპტი გამოუგზავნა: ირანისათვის წარედგინა ხელშეკრულების წინასწარი მუხლები, რომლებიც ირანთან ხელშეკრულებას ძირითადად ასახავდა. მაგრამ ირანთან საზავო ხელშეკრულების გაფორმების საქმე შეფერხდა. ბაბა-ხანი დიდ იმედებს ამყარებდა ნაპოლეონის მიერ გამოგზავნილი ემისრების რომიესა და ჟობერის დაპირებებზე. რომლებიც ალუთქვამდნენ შაჰს დიდძალ სამხედრო დახმარებას: „Вся ея надежда (ლაპარაკია ირანზე, ნ. ჭ.) была на заявления французских эмиссаров, что Франция готова оказать ей сильную помощь в борьбе против России»[2].

გრაფი გუდოვიჩი ცდილობდა ირანსა და ოსმალეთს შორის გაემწვავებინა ურთიერთობა, ეჩვენებინა გილიანის პროვინციის მმართველის წარმომადგენლისათვის, რომ მათი შერიგება შეუძლებელია, რადგანაც ოსმალეთს მითვისებული ჰქონდა ირანის სასაზღვრო პროვინციები. საფრანგეთი კი მათ შორის წინააღმდეგობის შერბილებისათვის იღწვოდა. გუდოვიჩმა მირზა-მუსას განუცხადა: «Баба-хан, ведя войну с Россией, не только ничего не найдет, но может все потерять. Мне кажется, что прежде Баязет, Эрзерум и Карс были персидскими провинциями»[3]. ამ სიტყვებში

[1] А. Петров, Война России с Турцией 1806—1812 гг. т. 1, стр. 293. СПБ. 1885.

[2] იქვე, გვ. 295.

[3] იქვე, გვ. 297.

აღანთო გილიანის მფლობელის ელჩი და იგი გუდოვიჩს შეეკითხა: «А может нам Россия возвратить их?»[1].

გუდოვიჩმა კი უპასუხა, რომ რუსეთსა და ირანს შორის საკმაო მდგომარეობის პირობებში ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. გრაფი გუდოვიჩი უბიძგებდა ირანის შაჰს, დაედო ზავი რუსეთთან და ირანსა და რუსეთს შორის სამხედრო კავშირი გაეფორმებინათ, რომელიც, პირველყოვლისა, მიმართული იქნებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ.

ირან-რუსეთს შორის საზავო მოლაპარაკების დაწყების დროს მოწინააღმდეგე იყო გენერალი ჟობერი. მისი აზრით, საფრანგეთსა და რუსეთს შორის ომის შემთხვევაში, ნაპოლეონისათვის ირანს დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო.

გრაფ გუდოვიჩს თავისი წერილის პასუხი გილიანის მფლობელისაგან არ მიუღია, რის გამო მან განიზრახა უშუალოდ ირანში გაეგზავნა თავისი წარმომადგენელი და გაეგო, თუ რას ფიქრობდა ირანის მთავრობა რუსეთთან დაზავების შესახებ. 1806 წ. 10 ოქტომბერს გენ. გუდოვიჩმა ირანის საგარეო საქმეთა მმართველს მირზა ბეზიურგს გაუგზავნა თავისი ადიუტანტი კაპიტანი სტეპანოვი, რომელსაც უნდა ეწარმოებინა ირანთან საზავო მოლაპარაკება.

როგორც ზემოთ დავინახეთ, რუსეთსა და ოსმალეთს შორის წინააღმდეგობა იქამდე მივიდა, რომ მისი მშვიდობიანი გზით გადაჭრა შეუძლებელი გახდა, ხოლო ირანსა და რუსეთს შორის ომი უკვე საკმაო ხანი იყო წარმოებდა.

იმ წინააღმდეგობათა შორის, რასაც ადგილი ჰქონდა რუსეთ-ირანსა და რუსეთ-ოსმალეთს შორის, საქართველოს საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. რუსეთი, რომელიც დაეუფლა აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ პროვინციას, ცდილობდა ეს პლაცდარმი გამოეყენებინა როგორც ტრამპლინი ამიერკავკასიაში დამკვიდრებისათვის და საქართველოსა და კავკასიაში პირველობისათვის ბრძოლაში მბრძანებელი პოზიციები დაეჭირა.

---

[1] А. Петров, Война России с Турцией 1806—1812 гг., т. I, стр. 297.

თავი მეხუთე

რუსეთ-ოსმალეთის ომის დასაწყისი და მისი მსვლელობა კავკასიის ფრონტზე. სლაბოდეას დროებითი საზავო ხელშეკრულების დადება

საფრანგეთის დიპლომატია საკმაოდ დიდ ენერგიას ხარჯავდა ოსმალეთში რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ რუსეთ-ოსმალეთს შორის ომი უშუალოდ მათ შორის არსებულმა წინააღმდეგობებმა გამოიწვია.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთი წარმოადგენდა ევროპაში ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს, სადაც ბატონყმური წყობილების რღვევისა და ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პროცესი საკმაოდ ნათლად ჩანდა. კაპიტალიზმი ვითარდებოდა როგორც ქალაქად, ასევე სოფლის მეურნეობაში. XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთს გააჩნდა 2.500 მანუფაქტურული საწარმო, სადაც 95 ათასამდე მუშა მუშაობდა. რუსეთის ქარხნებში აღნობდნენ 10 მილიონ ფუთამდე თუჯს, რომელიც არა მარტო აკმაყოფილებდა რუსეთის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას, არამედ საზღვარგარეთაც დიდი რაოდენობით გაჰქონდათ იგი.

რუსეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა სასაქონლო ხორბლის წარმოებაც. საქონელბრუნვის საერთო მოცულობა XIX ს. დასაწყისის რუსეთში კოლოსალურად გაიზარდა, — ის 900 მილიონ მანეთს უდრიდა; აქედან მარცვლეულის ექსპორტზე 56—58 მილიონი მანეთი მოდიოდა[1].

რუსეთის საგარეო ვაჭრობა ძირითადად ბალტიის, თეთრი და შავი ზღვების ნავსადგურებით წარმოებდა. XIX ს. დასაწყისში, რო-

---

[1] Начертание статистики русского государства, составленное главного педагогического института Адъюнкт-профессором К. Арсеньевым, ч. I стр. 174, СПБ, 1813 г.

გორც აღინიშნა, განსაკუთრებით გაიზარდა შავი ზღვის ნავსადგურების მნიშვნელობა. ძირითადად შავი ზღვის ნავსადგურებიდან წარმოებდა დასავლეთ ევროპაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი XIX საუკუნის დასაწყისში შავი ზღვის როლის შესახებ შემდეგს აღნიშნავდნენ:

«Две трети Европы, т. е. часть Германии и Польши, вся Венгрия, плодороднейшие части России и, кроме того, вся Европейская Турция естественным образом связаны с Черным морем в своем экспорте и обмене своими продуктами»[1].

ბუნებრივია, რუსეთი დაინტერესებული იყო იმით, რომ განემტკიცებინა თავისი პოზიციები შავი ზღვის აუზში, რათა თავისუფალი გასასვლელი ჰქონოდა ხმელთაშუა ზღვაში. რუსეთის ამ მისწრაფებას წინ ეღობებოდა ოსმალეთი, რომელიც თავისი განვითარების დონით დიდად ჩამორჩებოდა რუსეთს, მაგრამ მას მხარს უჭერდნენ და აქეზებდნენ ევროპის უძლიერესი სახელმწიფოები — ინგლისი და საფრანგეთი. ოსმალეთი ძარცვავდა და ჩაგრავდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ სლაეურ მოსახლეობას, ხოლო ამიერკავკასიაში — ქართველებს, სომხებს და სხვ. ხალხებს.

რუსეთის ბრძოლა ოსმალეთის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ის გაბატონებული კლასების ინტერესებიდან გამომდინარეობდა, ობიექტურად ხელს უწყობდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის და კავკასიის ხალხებს ბარბაროსული ოსმალეთის ბატონობისაგან განთავისუფლების საქმეში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ოსმალეთი რუსეთთან ომისათვის მზად იყო. 1805 წ. აგვისტოში ალექსანდრე I თავის ბრძანებაში სამხედრო სამინისტროსადმი მოითხოვდა. რუსეთის არმია მზადყოფნის მდგომარეობაში ჰყოლოდათ მოსალოდნელი ომისათვის[2]. არმიის ფორმირება მთავარსარდლის დანიშვნამდე გენ. ტორმასოვს დაევალა. არმიის ფორმირების პროცესი გაჭიანურდა. რადგან რუსეთის ძირითადი ძალები მაშინ გაგზავნილი იყო ავსტრიის დასახმარებლად. პრესბურგის ზავის დადებისა (1805 წ. დეკემბერი) და ავსტრიიდან ჯარების დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე I-მა მოიწვია სამხედრო საბჭო იმ მიზნით, რომ განეხილათ საკითხი: საიდან იყო მოსალოდნელი ოსმალეთის მხრივ სამხედრო თავდასხმა.

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. IX, стр. 382, М. 1933 г.

[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2875, ч. I, л. 10.

ჩამოყალიბებულ იქნა ოსმალეთის დასაპირისპირებლად არმია; მას დნესტრის არმია ეწოდა. იგი ხუთი დივიზიისაგან შედგებოდა. არმიის მეთაურობა დაეკისრა 67 წლის მოხუცს — გენერალ მიხელსონს.

მოლდავეთისა და ვალახეთის მოსახლეობა სურვილს გამოთქვამდა გამოსულიყო ოსმალეთის წინააღმდეგ თავისი რაზმებით. ვალახეთის დიდი მთავარი იბსილანტი, რომელიც გადაუენების შემდეგ რუსეთს შეეფარა, თავის მხრივ ქმნიდა ბატალიონს ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად[1]. საფრანგეთის დიპლომატიის კატეგორიული მოთხოვნით 1806 წლის ოქტომბერში ოსმალეთის არმიას მიეცა ბრძანება შეჭრილიყო მოლდავეთსა და ვალახეთში. ოსმალეთის ჯარებს დასწრო და ნოემბრის პირველ რიცხვებში დნესტრს გალმა გადავიდა რუსეთის არმია, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა ბესარაბიის, მოლდავეთისა და ვალახეთის დაკავება.

რუსეთის ჯარებს უნდა ეღოთ პირველხარისხოვანი ციხე-სიმაგრეები ბენდერის, ხოტინის, ბუქარესტის და გალაცისა. ალექსანდრე I გენ. მიხელსონს დამოუკიდებლად მოქმედების უფლებას აძლევდა[2].

1806 წ. ოქტომბერში, ნაპოლეონმა სულ რამდენიმე დღეში შეძლო სასტიკად დაემარცხებინა პრუსიის არმია, რომელსაც რუსეთი ეხმარებოდა. აზრადაც კი არავის მოსვლია, რომ ფრიდრიხის მონარქია ერთი დარტყმით განადგურდებოდა. ასეთმა მოულოდნელმა მარცხმა აიძულა ალექსანდრე I, გაედიდებინა არმიის რიცხვი, რომელიც გათვალისწინებული იყო პრუსიის დასახმარებლად და აგრეთვე მნიშვნელოვანი ძალებისათვის მოეყარა თავი დასავლეთის საზღვარზე. დნესტრის არმიიდან, რომელიც ხუთი დივიზიისაგან შედგებოდა, ორი — დასავლეთის ფრონტზე გაიგზავნა; მიხელსონს თავის განკარგულებაში დარჩა სამი დივიზია, რომელიც 30 ათას ჯარისკაცს ითვლიდა.

რუსეთის არმიის შესვლას მოლდავეთსა და ვალახეთში უნდა მოყოლოდა ოსმალეთის რუსეთთან ადრინდელი ურთიერთობის აღდგენა, ანდა მას უნდა დაეჩქარებინა საომარი მოქმედების დაწყება[3]. საომარი მოქმედების დაწყების შემთხვევაში, გუდოვიჩს ებ-

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2875, ч. I, л. 15—16.
[2] იქვე, ფ. 16.
იქვე. ფ. 21.

რძანა ამიერკავკასიაში მყოფი რუსეთის ჯარი შეტევაზე გადაეყვანა და ოსმალეთის პროვინციები და ციხე-სიმაგრეები დაეპყრო[1]. ა ჯ-

შავი ზღვის ფლოტს ნაბრძანები ჰქონდა მზად ყოფილიყო ოსმალეთის შავიზღვისპირა ციხე-სიმაგრეებზე სალაშოდ, ხოლო ვიცე-ადმირალ სენიავინს, რომელიც რუსეთის ფლოტით იმყოფებოდა იონიის რესპუბლიკაში, ებრძანა ხმელთაშუა ზღვის აუზში შებმოდა ოსმალეთის ფლოტს და გაენადგურებინა ის.

ამგვარად, ოსმალეთთან ომის დაწყების შემთხვევაში რუსეთის შეიარაღებულ ძალებს უნდა შეევიწროებინა ოსმალეთი ოთხი მხრიდან: დუნაიზე, შავ ზღვაზე, არქიპელაგიდან და საქართველოდან.

ოსმალეთი, მართალია, ომისათვის ემზადებოდა, მაგრამ მაინც საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა: სერბიელები აუჯანყდნენ, იანიჩარები ამბოხებებს აწყობდნენ, მრავალი ფაშა ოსმალეთის იმპერიაში უარს აცხადებდა დამორჩილებოდა სულთნის ხელისუფლებას, ადგენდა თავისთვის შეიარაღებულ ძალას და აღწევდა დამოუკიდებლობას. დივანის განკარგულება არმიის საომარი მზადყოფნის შესახებ ნელა სრულდებოდა.

1806 წ. 11 ნოემბერს რუსეთის არმიამ გადალახა მდ. დნესტრი. ჯარის სარდლობას დავალებული ჰქონდა მდინარეზე გადასვლისთანავე დუნაისპირა მოსახლეობისათვის გამოეცხადებინათ მთავრობის სახელით, რომ «**русские, входя в княжества, не имеют враждебных намерений и желают только удержать Порту от нарушения мира и обязывающих ее договоров**»[2]. ასეთივე შინაარსის წერილები უნდა გაეგზავნათ ოსმალთა მეციხოვნე გარნიზონების მეთაურებისათვის, რათა უბრძოლველად დანებებოდნენ ისინი რუსეთის ჯარებს და გადაეცათ ციხე-სიმაგრეები.

1806 წ. 11 ნოემბერს მთავარი კორპუსის ავანგარდის მეთაურმა, დოლგორუკოვმა პონტონური ხიდით გადასხა ავანგარდი და 16 ნოემბერს წინააღმდეგობის გარეშე დაიკავა ქ. იასი. მოლდაველები აღფრთოვანებული ხვდებოდნენ რუსეთის ჯარს[3]. 15 ნოემბერს რუსეთის ჯარმა ხოტინის ციხე-სიმაგრე დაიკავა, სადაც ოსმალებს

[1] ЦГВИА; ф. ВУА, д. 2875, ч. I, л. 25.
[2] იქვე.
[3] იქვე, ფ. 26.

162 ქვემეხი და ბევრი საომარი მასალა ჰქონდათ, 25 ნოემბერს კი— ბენდერი იქნა აღებული. რუშუკის კომენდანტმა მუსტაფა ბაირახტარმა სასწრაფოდ თავი მოუყარა 6.000-იან ჯარს და ოსმალეთის სულთანს შეპირდა, არ დაუშვებდა რუსებს ვალახეთში; მაგრამ რუსეთის ჯარების შეტევამ აიძულა მისი რაზმი, დაეტოვებინა თავისი პოზიციები და უკან დაეხია ბუქარესტისაკენ. ოსმალები ბუქარესტში შეიჭრნენ, მათ დაიწყეს მოსახლეობის ძარცვა; ქალაქში სასტიკი ბრძოლა გაიმართა მოქალაქეებსა და მუსტაფა ფაშას ჯარებს შორის. ამასობაში რუსეთის ჯარის ნაწილები ბუქარესტს მიადგნენ. ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით გენ. მილორადოვიჩმა ბუქარესტი აიღო. დოლგორუკოვის ჯარის ნაწილებმა მალე, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, გალაცი აიღეს. რუსეთის ჯარი წარმატებით მოქმედებდა. ოსმალეთს დუნაის მარცხენა სანაპიროზე დარჩა მხოლოდ სამი სიმაგრე — იზმაილი, ბრაილოვი და ჟურჟა; დანარჩენი ციხე-სიმაგრეები მოლდავეთსა და ვალახეთში რუსეთის ხელში იყო. ამის შემდეგ რუსეთის არმია საზამთროდ დაბანაკდა. მიხელსონი შეუდგა არმიის სურსათით მომარაგების თადარიგს.

სულთანმა კონსტანტინოპოლში რეგულარული არმიის ნაწილებს მოუყარა თავი. იმ მიზნით, რომ რუსეთის ფლოტის მოქმედება შეეზღუდა, რომელსაც სენიავინი მეთაურობდა. კონსტანტინოპოლი, მართლაცდა, საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. ინგლისის ელჩი კონსტანტინოპოლში არბუტნოტი შეეცადა, ოსმალეთს ხელი აეღო რუსეთთან ომზე, რადგანაც ინგლისს ამჯერად მათ შორის ომი აშკარად არ აწყობდა. იგი დაემუქრა ოსმალეთს, თუ ომს გამოუცხადებდა რუსეთს, ხმელთაშუა ზღვის აუზში მყოფი ინგლისის ფლოტი ლორდ დე-კუორტის მეთაურობით ადმირალ სენიავინის ფლოტთან ერთად, ნაცარტუტად აქცევდა კონსტანტინოპოლს. სენიავინი, მართლაც, გაემართა დარდანელისკენ, სადაც დე-კუორტი უკვე მისულიყო, და ტენედოსთან ღუზა ჩაუშვა.

არბუტნოტმა ნოტა გაუგზავნა სულთანს და კატეგორიულად მოითხოვა მისგან, გენ. სებასტიანი დაუყოვნებლივ გაეძევებინა ოსმალეთიდან და, ამას გარდა, სამოკავშირეო ხელშეკრულება დაედო ინგლისთან; წინააღმდეგ შემთხვევაში, კონსტანტინოპოლს გადაწვით ემუქრებოდა. პასუხის მოლოდინში მყოფი არბუტნოტი ხმელეთიდან ინგლისის ხომალდზე გადავიდა. სულთანმა მერყეობა დაიწყო. მაგრამ სებასტიანმა დააჯერა იგი იმაში, რომ ნაპოლეონს

განსაზღვრული ჰქონდა დალმაციიდან სულთნისათვის გამოეგზავნა 25 ათასი ფრანგი ჯარისკაცი[1]. სებასტიანმა სულთანი იმაშიც დაარწმუნა, რომ ნაპოლეონმა დაამარცხა რა პრუსია და აიღო ბერლინი. სულ მალე რუსეთს გაუსწორდებოდა, ხოლო უკანასკნელს საშუალება არ ექნებოდა დიდძალი არმია დაეპირისპირებინა ოსმალეთისათვის.

1806 წლის 30 დეკემბერს სულთან სელიმ III-მ, ევროპაში ნაპოლეონის წარმატებებით დაბრმავებულმა, ომი გამოუცხადა რუსეთს. სულთანი იმით იყო დაიმედებული, რომ ის დნესტრის ან დუნაის სანაპიროებზე შეხვდებოდა საფრანგეთის მაშველ არმიას დადგილად დაეუფლებოდა ყირიმს[2].

სულთანი ხელშეკრულების დარღვევაში რუსეთს ადანაშაულებდა[3].

ოსმალეთის წინააღმდეგ ომში, ბალკანეთის ფრონტთან ერთად, კავკასიის ფრონტს ცოტა მნიშვნელობა როდი ენიჭებოდა. ოსმალეთის სულთანი დიდ ინტერესს იჩენდა საქართველოს დაპყრობის საქმისადმი, არ ზოგავდა საომარ მასალასა და ცოცხალ ძალას; ოღონდ რუსეთისაგან საქართველო საბოლოოდ ჩამოეცილებინა.

კავკასიის არმიის მთავარსარდალს — გრაფ გუდოვიჩს კავკასიაში სულ 22 ათასი ჯარისკაცი ჰყავდა, აქედან ამიერკავკასიაში 11 ათასი ჯარისკაცი იდგა[4]. ძნელი იყო ამ არმიით ორ ფრონტზე მოქმედება. ირანთან ომს, რომელიც 1804 წელს დაიწყო, ბოლო არ უჩანდა. მთავარი საზრუნავი რუსეთის დიპლომატიისათვის გახდა ირანთან ზავის, ან უკიდურეს შემთხვევაში, დროებითი ზავის დადება, რაც გააუმჯობესებდა რუსეთის მდგომარეობას მთელ კავკასიაში.

1806 წ. თეირანს ჩავიდა ნაპოლეონის წარმომადგენელი ჟობერი, რომელმაც წინადადება შესთავაზა ბაბა-ხანს — შეეკრა სამხედრო კავშირი საფრანგეთთან ინგლისისა და რუსეთის წინააღმდეგ. ჟობერი შეჰპირდა შაჰს, რომ ნაპოლეონი დაეხმარებოდა საქარ-

---

[1] А. Петров, Война России с Турцией 1806—1812 гг. т I. стр. 169 СПБ. 1885 г.

[2] С. Жигарев, Указ. соч., т. I, стр. 263.

[3] А. Михайловский—Даниловский, Описание турецкой войны с 1806 до 1812 г. СПБ, 1849 г. т. 3, стр. 29.

[4] იქვე გვ. 52, იხ. А. Петров, Война России с Турцией 1806—1812 гг. т. 1, стр. 289.

თველოს დაპყრობაში, უზრუნველჰყოფდა მას საომარი საშუალებებით; სამაგიეროდ შაჰს კავშირი უნდა გაეწყვიტა ინგლისთან და საფრანგეთთან ერთად მოეწყო ლაშქრობა ინდოეთში. ჟობერის ეს მისია თავისებური დაზვერვა იყო ირანში; მაშინ საფრანგეთსა და ირანს შორის არავითარი ხელშეკრულება არ გაფორმებულა. რუსეთის არმიის მოპოვებულმა წარმატებებმა ამიერკავკასიაში საგონებელში ჩააგდო შაჰი. უკანასკნელმა ნაპოლეონთან თავისი წარმოადგენელი — მირზა რეზა-ხანი გაგზავნა იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება მალე გაეფორმებინა საფრანგეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულება. 1807 წ. 4 მაისს ფინკენშტეინში ხელმოწერილ იქნა საფრანგეთსა და ირანს შორის თავდაცვითი და შეტევითი ხასიათის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ნაპოლეონმა ირანს ვაგზავნა გენ. გარდანის ელჩობა, რომელშიც, გენ. გუდოვიჩის ცნობით, 150 კაცი შედიოდა. გუდოვიჩის ეჭვი ამ მისიის ძირითადი მიზნების შესახებ სავსებით მართალი იყო. იგი გრაფ რუმიანცევს 1807 წ. 4 დეკემბერს სწერდა: «Утверждают, будто он имеет (ლაპარაკია გენ. გარდანზე, ნ. ქ.) препоручение трактовать о Грузии и присоединенных к России Ханствах»[1] ფინკენშტეინის ხელშეკრულება ერთდროულად მიმართული იყო რუსეთისა და ინგლისის წინააღმდეგ. ნაპოლეონი ამ ხელშეკრულებითა და აგრეთვე გარდანისადმი მიცემული ინსტრუქციით ირანის წინაშე შემდეგს კისრულობდა:

«Гарантия неприкосновенности и целости владений Персии. Признание Грузии за Персией. Обещание принять всевозможныя меры, дабы понудить Россию, вывести свои войска с Персидской территории и из Грузии и для достижения этого войти в соглашение с этою державою договором; и, наконец, обязательство снабдить Персию в потребной, по желанию, количестве орудиями, ружьями, офицерами, мастеровыми»[2]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.)

თავის მხრივ, ირანის შაჰი კისრულობდა, რომ იგი დაუყოვნებლივ გამოუცხადებდა ომს ინგლისს, ირანიდან განდევნიდა ყველა ინგლისელს, ინგლისის ელჩებსა და აგენტებს სასტიკად აუკრძალავ-

[1] АВПР, 1801—1814, гл. архив, I—13, д. 5, л. 86 об.

[2] Сборник географических, топографических и статистических материалов по Азии, вып. XXIII, стр. 62—63.

და ირანში შემოსვლას, ინდოეთის წინააღმდეგ მოლაშქრე საფრანგეთის არმიას გაატარებდა თავისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე[1].

რუსეთთან ომმა ირანი დაასუსტა, დღითი-დღე იფიტებოდა მისი სამხედრო რესურსები. აშკარა იყო, რომ ირანს უძნელდებოდა რუსეთთან ომი და მოწინააღმდეგეს სათანადოდ ვერ უმკლავდებოდა.

ირანის შაჰის — ბაბა-ხანის მთელი იმედები დამყარებული იყო ფრანგ ემისართა დაპირებებზე. ცნობილია, რომ ნაპოლეონი ცდილობდა შეეკოწიწებინა ირან-ოსმალეთისა და საფრანგეთის სამხედრო კოალიცია რუსეთის წინააღმდეგ; ამიტომაც საფუძველს მოკლებული არ იყო ეჭვი, რომელსაც გამოთქვამდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი — ბარონი ბუდბერგი 1806 წ. 25 სექტემბრის თარიღით გრაფ გუდოვიჩისადმი გამოგზავნილ წერილში ოსმალეთსა და ირანს შორის საიდუმლო კავშირის არსებობის შესახებ[2]. მართალია, ირანსა და ოსმალეთს შორის ამის მსგავსი ჯერჯერობით არაფერი იყო იმ წინააღმდეგობათა გამო, რომელსაც მათ შორის ადგილი ჰქონდა, მაგრამ მომავალში ნამდვილად არსებობდა რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო კავშირის ჩამოყალიბების საფრთხე საფრანგეთის ზედამხედველობით. ეს კი დიდად გაართულებდა რუსეთის მდგომარეობას კავკასიის ფრონტზე და გაუადვილებდა ორივე მოწინააღმდეგეს — ოსმალეთსა და ირანს — რუსეთთან ბრძოლას.

მეორე მხრივ, ირანთან დაზავება საშუალებას მისცემდა რუსეთის არმიას, ხელფეხი გახსნოდა და მაქსიმალურად დაპირისპირებოდა ოსმალეთის არმიას. ირანთან დაზავება რუსეთის სამხედრო ხელისუფალთ მომავალი წარმატების საწინდრად მიაჩნდათ[3].

ალექსანდრე I გუდოვიჩს 1807 წლის 7 იანვრის რესკრიპტით აფრთხილებდა, რომ სანამ ნაპოლეონი ვისლიდან უკუგდებული არ იქნებოდა, სარდლობას საშუალება არ ჰქონდა დამხმარე ძალები კავკასიაში გამოეგზავნა.

ამის შემდეგ გუდოვიჩს რჩებოდა მხოლოდ ერთი საეჭვო შესაძლებლობა: რაც შეიძლება, მალე გამოეწახა საერთო ენა ირანის

---

[1] Сборник географических, топографических и статистических материалов по Азии. вып. XXIII, стр. 62—63.

[2] Акты, т. 3, д. 918, гг. 525.

[3] А. Петров, Указ. соч., т. 1, стр. 303. შდრ. Акты, т. 3, д. 923, Письмо барона Будберга к гр. Гудовичу от 7 января 1807 г.

შაჰთან, თუნდაც დროებითი ზავის დადების შესახებ. შაჰთან მოლაპარაკების მიზნით თეირანში წერილით გაიგზავნა გუდოვიჩის ადიუტანტი — კაპიტანი სტეფანოვი, რომელიც შაჰის წინაშე ძვირფასი საჩუქრებით წარსდგა. კაპიტან სტეფანოვს დავალებული ჰქონდა, რაც შეიძლება მალე დაერწმუნებინა შაჰი საფრანგეთის უძლურებაში, შთაეგონებინა რომ საფრანგეთის მიერ აღთქმულ დახმარებას ირანი ვერ მიიღებდა. რადგანაც ნაპოლეონს სხვისთვის დახმარების გაწევის საშუალებანი უკვე აღარ გააჩნდა. გუდოვიჩი თავის წერილში უმტკიცებდა შაჰს, რომ საფრანგეთსა და მის მოკავშირე ოსმალეთს რუსეთის ჯარებმა სასტიკი დამარცხება აგებეს ბალკანეთში, ხოლო რუსეთის მოკავშირის — ინგლისის ფლოტმა საფრთხის ქვეშ დააყენა კონსტანტინოპოლი. გუდოვიჩი დაზავების წინადადებას სთავაზობდა შაჰს და თანაც მოაგონებდა, რომ რუსეთთან ირანის დაკავშირება ხელსაყრელი იქნებოდა უკანასკნელისათვის, რადგანაც სულთანზე გამარჯვების შემთხვევაში, ოსმალეთის ციხე-სიმაგრეებს ერზრუმსა და ბაიაზეთს, რუსეთი ირანს გადასცემდა[1].

თეირანში ჩასული სტეფანოვი პატივით მიიღეს, მაგრამ გუდოვიჩის წერილი უპასუხოდ დატოვეს. სტეფანოვს თეირანში ჩასვლისას ადგილზე დახვდა ოსმალეთის სულთნის წარმომადგენელი— რეფი ეფენდი, რომელიც საფრანგეთის დავალებით სპეციალურად იყო ჩასული შაჰთან მოსალაპარაკებლად. ფრანგ ემისართა დახმარებით მას მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინა შაჰთან სამხედრო კავშირის გაფორმების შესახებ საფრანგეთსა და ოსმალეთ-ირანს შორის[2]. საფრანგეთის მთავრობა დიდ დაპირებებს აძლევდა ირანის შაჰს იმ მიზნით, რათა უკანასკნელს განეგრძო საომარი მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ და არ დაედო თუნდაც დროებითი ზავი. 1807 წლის 21 აპრილის თარიღით გენ. გუდოვიჩს შემდეგს აუწყებდა ბარონი ბუდბერგი: «Французы с обыкновенным своим хвастовством не запнутся, конечно, обещать Баба-хану войска, артиллерии, артиллеристов и инженеров, равномерно не затруднятся они обещать миллионы денег насчет будущих завоеваний»[3].

ფრანგ ემისართა დაპირებებით წაქეზებული შაჰი ფიქრობდა, რომ ოსმალეთ-რუსეთის ომით მოხდენილად ისარგებლებდა და აღ-

---

[1] Акты, т. 3, д. 804, стр. 430—431.

[2] А. Ф. Миллер. Мустафа Паша Байрактар, М. Л., 1947, стр. 150.

[3] Акты, т. 3, д. 809, стр. 435. Отношение барона Будберга гр. Гудовичу от 21 апреля 1807 г.

მოსავლეთ საქართველოში დამკვიდრდებოდა, თანაც საშუალება მიეცემოდა არ ეცნო სასაზღვრო ზონად მდინარეების — მტკვრისა და არაქსის ზოლი.

1807 წლის 15 მარტს ალექსანდრე I-ს გენ. გუდოვიჩი მოახსენებდა იმის შესახებ, რომ ირანთან დაზავება უიმედოა, რომ ამაში ჯან ხელს უშლის როგორც ოსმალეთი, ისე საფრანგეთის მთავრობა; ისინი ცდილობენ გააერთიანონ თავიანთი სამხედრო ძალები ირანთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ. გუდოვიჩი იმპერატორს სწერდა: «По каковым обстоятельствам заключить должно, ლაპარაკია დაზავების შესახებ, — что Баба-хан, обольщенный предложениями французскими и турецкими, по прибытии в Персию их посланников, а более надменный разрывом мира с турками, с коими соединенное действие полагает он для себя полезным, желает, как я думаю, продержать меня в неведении о решительном отзыве своем на мое предположение, а между тем, собравшись с своими силами, сделать неожидаемое движение с войсками и не дать мне времени изготовиться принять его вооруженную рукою»[1]. ნაპოლეონს ირანსა და ოსმალეთში არა ერთხელ გაუგზავნია სამხედრო მისია, რათა ირან-ოსმალეთსა და საფრანგეთს შორის სამხედრო ბლოკის გაფორმებისათვის მიეღწია. მისი აზრით აღნიშნულ სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკს სასიკვდილო ლახვარი უნდა ჩაეცა რუსეთისათვის.

ზემოთ მოტანილის ანალოგიურია ბუდბერგის მიერ 1807 წ. 22 იანვრის თარიღით გუდოვიჩისათვის გამოგზავნილი წერილი, სადაც ვკითხულობთ: «Французский эмисар Жобер приехал через Рущук вместе с персидским посланником, отправленным к Бонапарте. Из сего не трудно заключить, что Порта, имевшая давно тайныя соглашения с французами, употребила посредничество свое для сближения Баба-Хана с Французским правительством»[2].

ირკვევა, ოსმალეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ ომის გამოცხადებამ ირანში გააქტიურა საფრანგეთის დიპლომატია. თუ ევროპაში ნაპოლეონი რუსეთსა და მის მოკავშირეთა ჯარებს პირისპირ შეება, ირანსა და ოსმალეთში თავისი სამხედრო სპეციალისტებით, და დიპლომატიის მახვილით აყენებდა დიდ ზიანს რუსეთს.

---

[1] Акты, т. 3, д. 807, стр. 433.

[2] Акты, т. 3, д. 927, стр. 533.

იმ პერიოდში, როცა ბაბა-ხანთან რუსეთის წარმომადგენელი საზავო მოლაპარაკებას აწარმოებდა, საფრანგეთის დიპლომატია უკვე მზრივ ცდილობდა ჩაეფუშა ეს მოლაპარაკება. საინტერესოა ცნობა, რომელიც გუდოვიჩმა 1807 წ. 27 მაისს მიიღო გუმრის ცხესთან მდგომი გენერალ ნესვეტაევისაგან, სადაც ნათქვამია:

«Лазутчики по возвращении из Эривани единогласно донесли, что чрез Константинополь и Карс прибыл в Эриван посланник двора Французского в сопровождении двух при нем, еще и от Константинопольского султана посланники, следующия к Баба-хану с важными депешами, и чтобы всеми своими силами отклонить Баба-хана от перемирия с Россиянами, которыя посланники уже отправились из Эривана к месту нахождения Баба-хана».[1] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.)

ნესვეტაევი იმ შთაბეჭდილებისა იყო, რომ ფრანგმა ემისრებმა შეძლეს ირანის შაჰისა და ოსმალეთის სულთნის შერიგება, რომ მოსალოდნელი იყო ოსმალეთის ჯარების სარდლის—იუსუფ-ფაშასა და ერევნის ყული-ხანის გაერთიანებული გალაშქრება საქართველოზე[2]. მართალია, მაშინ ირან-ოსმალეთის ჯარების გაერთიანებული ლაშქრობა არ მომხდარა, მაგრამ საფრანგეთის მტრულმა საქმიანობამ თავისი ნაყოფი მაინც გამოიღო. ირან-ოსმალეთის ურთიერთობაში გარკვეული ცვლილება მოხდა მისი გაუმჯობესების მიმართულებით.

ალექსანდრე ბატონიშვილს იუსუფ ფაშასთან სპეციალური დავალებით გაუგზავნია თავისი წარმომადგენელი, რომელიც მოუწოდებდა ოსმალეთის სარდალს ირანის ჯარებთან ერთად ემოქმედნა რუსეთის წინააღმდეგ[3]. ალექსანდრე ბატონიშვილი ირან-ოსმალეთის ჯარების გაერთიანებისათვის იღწვოდა. სინამდვილეში, ოსმალეთის ჯარების სარდალი ამიერკავკასიაში — იუსუფ-ფაშა, შეეცადა კიდეც თურმე, სულთნის დავალებით ირანის ჯარებს დაკავშირებოდა და ერთად მიეტანათ იერიში საქართველოსა და რუსეთის მიერ შემოერთებულ სხვა ტერიტორიებზე[4].

---

[1] ЦГВИА. Ф. ВУА, д. 4259, ч. I, л. 103 и об.

[2] იქვე.

[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4259, ч. I, л. 115. Рапорт генерала Несветаева гр. Гудовичу от 4-июля 1807 г.

[4] იქვე, ფ. 105.

ირანთან დაზავების საქმე წარმოუდგენლად გაჭიანურდა. 1807 წ. 15 ნოემბრის თარიღით გრაფ რუმიანცევისადმი გაგზავნილ წერილში გუდოვიჩი წერდა, რომ რუსეთის წინადადებაზე ზავის დადების შესახებ, ირანელები გადამჭრელ პასუხს არ იძლეოდნენ. გვერდს უვლიდნენ მას. ირანელების ასეთი მოქმედებისათვის გუდოვიჩი ფრანგ გენერალ გარდანს ადანაშაულებდა[1].

მოლაპარაკება რუსეთსა და ირანს შორის დაზავების შესახებ მთელი ერთი წლის განმავლობაში, თითქმის 1808 წლის დასაწყისამდე, გრძელდებოდა უშედეგოდ[2].

როგორც აღინიშნა, რუსეთის ჯარის ნაწილები, რომლებიც საქართველოში იმყოფებოდნენ, არც თუ ისე მრავალრიცხოვანი იყო. მათ ადვილად როდი შეეძლოთ თავი გაერთმიათ ორ ფრონტზე ბრძოლის საქმისათვის. ამიტომ საგებითაა გასაგებია, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართველთა და კავკასიის სხვა ხალხთა მონაწილეობას ირანელ და ოსმალო დამპყრობთა წინააღმდეგ ომში. კავკასიის ხალხებს, კერძოდ, ქართველებს რუსებთან ერთად, გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლის საკმაო გამოცდილება და ტრადიცია უკვე გააჩნდათ. ქართველები რუსებთან ერთად ჩაებნენ ამ ომში და იმ დაკარგული მიწა-წყლის გასათავისუფლებლად იბრძოდნენ, რომელიც ისტორიულად საქართველოს ეკუთვნოდა. საქართველო, ომში ჩაბმული რუსი ჯარისკაცებისათვის, საიმედო ზურგი და ერთგული თანამებრძოლი აღმოჩნდა. რუსეთის მმართველი წრეები ნამდვილად გრძნობდნენ, ქართველებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება რომ შეეძლოთ კავკასიის ფრონტზე და ამიტომაც საფიქრებელია, მათ მიერვე გამოიგზავნა რუსეთიდან საქართველოში გამოჩენილი ქართველი მხედართმთავრის, ბოროდინოს მომავალი გმირის — პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის ძმა, პორუჩიკი რომან ივანეს ძე ბაგრატიონი, რომელმაც თან ჩამოიტანა თავად ოთარ ამილახვრისადმი გამოგზავნილი პ. ი. ბაგრატიონის წერილი. ეს ბარათი სინამდვილეში წარმოადგენს მოწოდებას ქართველებისადმი, რათა მათ ოსმალეთის წინააღმდეგ ომში გმირული მონაწილეობა მიეღოთ[3]; როგორც ჩანს, რუსეთის მთავრობა ცდილობდა საერთო მტრის წინააღმდეგ ქართველთა დარაზმვის საქმეში გამოეყენებინა ის დიდი ავტორიტეტი და სიყვარული, რომელიც სახელოვან თავა-

[1] Акты, т. 3, стр. 708.

[2] О. Маркова, Восстание в Кахетии 1812 г. М. 1951. стр. 206.

[3] А. Петров, Указ. Соч., стр. 290

მემამულეს პ. ი. ბაგრატიონს ჰქონდა ქართველებში. წერილში ვკითხულობთ: „...სხვაბრ ვითხოვ თქვენის კეთილგონიერებისაგან, რომ თქვენის ჩვეულებისამებრ ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ერთგულებასა და თქვენის ქვეყნის სამსახურში გულსმოდგინე იყოთ. ვინაითგან მათს დიდებულებას ყოვლად მოწყალეს ხელმწიფეს სრულის გულით სურს, რომ საქართველო ყოვლით მხრით მშვიდობასა და ბედნიერებაში იყოს დაცული; ამისათვის თქვენც გმართებთ, რომ ყოველნივე თქვენნი ნათესაენი და მოყვარენი განამტკიცოთ ხელმწიფის ერთგულებასა და ქვეყნის სამსახურში. თქვენვე იცით, თუ რუსეთის უძლეველი მხედრობა და ყოვლად მოწყალის ხელმწიფის საფარველი მაგ ქვეყანას არ შესწეოდა, აქამდინ დიდს უბედურებას მიეცემოდა და ამისათვის გმართებთ სრულის ერთგულებით სამსახური ხელმწიფისა და თქვენის ქვეყნისა; და გირჩევთ სიყვარულით, როგორც მანდ მყოფთ ჯართა დასჭირდეთ პური, თუ სხვა სახმარი ნივთი, შეძლებისამებრ შეეწივნეთ და სასყიდელიც მიიღეთ ხელმწიფისაგან“[1].

აღნიშნული წერილის პასუხად ქართველ თავადებს რუსეთისათვის ერთგულება შეუფიცავთ ხალხის სახელით, თუმცა შემდეგ ზოგი მათგანი ირან-ოსმალეთის აგენტურის ქსელში გაება. თავადი ჭობულოვი აუწყებდა პ. ი. ბაგრატიონს, რომ **«все мы охотно готовы верноподданическому служению Его Императорскому Величеству, жертвовать и самою нашею жизнью»**[2]. სხვა თავადებიც ასევე აცხადებდნენ: **«Мы когда учинили присягу Его Императорскому величеству, с того времени желаем, непосредственно, служить российскому монарху до пролития капли крови, ибо чего просили предки наши, то исполнилось и непобедимыми Российскими войсками покровительствуемы мы»**[3].

რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკურ ინტერესთა დამთხვევა ქმნიდა ერთიან ფრონტს ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, ადიდებდა სამხედრო ოპერაციების სიძლიერეს და აახლოებდა საერთო მტრის დამარცხების საქმეს.

ქართველთა მონაწილეობა ომში კავკასიის ფრონტზე სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელი იყო იმიტომაც, რომ რუსე-

[1] საქ სსრ შსს საარქივო სამმართველოს ძველი საბუთების განყოფილება, ფონდი 226, საბ. 6119. მოტანილია ავ. იოსელიანის წიგნიდან „რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან“, გვ. 215—216.

[2] **Акты**, т. 3, д. 6, стр. 11.

[3] იქვე.

თის ისედაც მცირერიცხოვან არმიას, რომელსაც ბრძოლა უხდებოდა ირანისა და ოსმალეთის არმიის ნაწილებთან, მტრობდა კავკასიის მუსლიმანური მოსახლეობის ზედაფენა, რომელიც ოსმალეთის სულთნისა და ირანის შაჰის მიერ იყო მოსყიდული. სერასკირი იუსუფ ზია-ფაშა და აბას-მირზა უგზავნიდნენ დიდძალ წერილებსა და საჩუქრებს ჭარის ლეკებს, ყაზი-ყუმუხის სურხაი-ხანს, ყუბის ხანს, ავართა სულთან ახმეტ-ხანსა და სხვებს, რათა გაერთიანებულიყვნენ რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად[1]. მარტო ანაპის ფაშას ჰქონდა ნაბრძანები, რომ რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად სხვადასხვა მთიელი ტომებისაგან შეედგინა 100 ათასიანი არმია[2]. მართალია, ასეთი მრავალრიცხოვანი არმიის შედგენას ის ვერ შეძლებდა, მაგრამ თვითონ ეს ფაქტი მიგვითითებს იმის შესახებ, რომ ოსმალეთი და ირანი ომის დაწყების პირველი დღიდანვე ცდილობდნენ კავკასიის მუსლიმანი მოსახლეობის ზედაფენა მოესყიდათ და შეექმნათ ერთიანი ფრონტი რუსი და ქართველი „გიაურების“ წინააღმდეგ.

იუსუფ ზია-ფაშა მუსლიმან ხანებისადმი თავის ერთ-ერთ მოწოდებაში აღნიშნავდა: «Гяуры русские, по нечистоте своей души, воспламенились огнем вражды... и без всякого повода, нарушив трактат, решились внезапно вторгнуться в соседния им султанские области... Его величество Султан дал повеление, чтобы армия... выступила из Румелии и Анатолии, справа и слева, подобно горному потоку... таким образом, предвидится уничтожение гяуров»[3].

რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების პირველივე დღიდან საომარი ოპერაციები ბალკანეთში, სადაც მთავარი ფრონტი იყო გაშლილი, ოსმალეთისათვის წარუმატებლად მიმდინარეობდა, რასაც ცხადია, არ მოელოდნენ ოსმალეთისა და საფრანგეთის მთავრობები. ოსმალეთის არმია დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდა. გენ. მიხელსონის არმიამ დაიკავა მოლდავეთისა და ვალახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი, სადაც საკმაოდ დიდი პოლიტიკური გავლენა ჰქონდა რუსეთს ომის წინა წლებში.

---

[1] Акты, т. 3, д. 807, стр. 433. Всеподданнейший рапорт Гудовича Александру I от 15 марта 1807 г.

[2] А. Петров, Указ. соч., стр. 288.

[3] Акты, т. 3, д. 921. стр. 525.

რუსეთის არმიის წარმატებას ხელს უწყობდა ბალკანეთის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო ოსმალეთის ძალმომრეობის წინააღმდეგ. რუსეთის, მოლდავეთისა და ვალახეთის ვეგობრობა, რომელსაც დიდი წარსული აქვს უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში, ადუღაბებდა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს. ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ ამბოხებული სერბიელები, მოლდაველებთან ერთად რუსეთის უშუალო მეთაურობით ქმნიდნენ ერთიან ფრონტს და ებმებოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. დუნაისპირა სამთავროებს სტრატეგიულად ხელსაყრელი ადგილმდებარეობა ეჭირათ და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის საიმედო მოკავშირენიც იყვნენ.

კავკასიის არმია, რომელსაც გენ. გუდოვიჩი სარდლობდა, გაკრილებით სუსტი იყო თავისი შეიარაღებით, ვიდრე ბალკანეთში მოქმედი არმია, იგი ჯარისკაცთა და მეთაურთა შემადგენლობითაც ძლიერ მცირერიცხოვანი იყო; მაგრამ კავკასიის ფრონტს მაინც დიდი წვლილის შეტანა შეეძლო რუსეთის გამარჯვების საქმეში. უპირველესად ყოვლისა, მას შეეძლო თავისკენ მოეზიდა ოსმალეთის არმიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რითაც ხელსაყრელი პირობები ექმნებოდა ბალკანეთში მოქმედ რუსეთის ძირითად არმიას შედგარი შეტევითი ოპერაციები ეწარმოებინა ოსმალეთის წინააღმდეგ. კავკასიის ფრონტი საყურადღებო იყო იმ მხრივაც, რომ აქ წყდებოდა რუსეთთან კავკასიის საბოლოოდ შეერთების თუ ჩამოცილების საკითხი; აქ წყდებოდა საკითხი იმის შესახებ. შეძლებდა თუ არა რუსეთი, შეენარჩუნებინა ის წარმატებანი ამიერკავკასიაში, რაც რუსეთთან აღმოსავლეთ საქართველოს შეერთებას მოჰყვა. სწორედ ამ ფრონტს უნდა გადაეჭრა თვითონ ქართველი ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ქართველთა შემდგომი ისტორიული ბედი ავად თუ კარგად ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებას თუ წარუმატებლობას უნდა გადაეწყვიტა და ამიტომაც გასაგებია, თუ რატომ პოულობდა რუსეთის არმიის ნაწილები კავკასიის ფრონტზე ქართველი ხალხის მხურვალე მხარდაჭერას. საქართველოში იქმნებოდა ირეგულარული ჯარის ნაწილები, რომლებმაც თავი ისახელეს მრავალ ბრძოლებში რუსეთის ჯარის მხარდამხარ ოსმალო მოძალადეთა წინააღმდეგ. არასწორი იქნებოდა კავკასიის ორი ფრონტი რუსეთის არმიის მცირე ნაწილებით წარმოგ-

ვედგინა და ანგარიში არ გაგვეწია იმ პატრიოტული მოძრაობისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართველ ხალხში ამ ომის მთელ მანძილზე.

ოსმალეთის მთავარ ციტადელებს საქართველოში ახალციხე, ახალქალაქი, ფოთი, სოხუმი, რედუტ-კალე და ანაკლია წარმოადგენდა.

ოსმალეთისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი ამიერკავკასიაში მაინც ახალციხე იყო. ახალციხის საფაშო იყო სამხედრო-სტრატეგიული ბაზა, საიდანაც ოსმალეთი ცდილობდა ხელსაყრელ მომენტში შეჭრილიყო მთელ ამიერკავკასიაში. გასაგებია, ახალციხის ფაშა სულთნისათვის მეტად საიმედო პირი უნდა ყოფილიყო. ყარსის ფაშა, ახალქალაქის, ჩილდირისა და ბათუმის ბეგები — ახალციხის მმართველის, როგორც სამჯილიანი ფაშის, ხელქვეითები იყვნენ. უფრო მეტიც: ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი საქართველოს სხვა კუთხეების (იმერეთის, სამეგრელოს, გურიის) ერთგულებისათვის „თვალ-ყურის დევნება სულთნის მიერ დავალებული ჰქონდა ახალციხის ფაშას“[1]; იმისათვის, რომ ახალციხის ფაშას ჰყოლოდა მრისხანე ძალა ვასალურ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს კუთხეების დასამორჩილებლად. თურქეთის სულთანი ადრევე უყრიდა თავს ახალციხეში საკმაოდ დიდ ძალებს. ახალციხის ფაშების სამხედრო ძალაში მნიშვნელოვანი ადგილი ლეკ-აბრაგებს ეჭირათ. სრულიად სამართლიანად შენიშნავს ისტორიკოსი გ. ტივაძე, როცა მიუთითებს იმის შესახებ, რომ „ლეკების დიდი რაოდენობა გადმოდიოდა სამცხე-საათაბაგოს საზღვრებს აქეთ და ახალციხის დაქირავებული ჯარის ნაწილებში ირიცხებოდა... ლეკების ამ ბანდებს ახალციხის ფაშები აქეზებდნენ საქართველოზე თავდასხმებისათვის. ლეკების ეს შემოსევები ახალციხის საზღვრებიდან, ნაკლები სიმწვავით არ იგრძნობოდა ქართლის მოსახლეობისა და სხვა ქართველთა მიერ. ვიდრე ლეკების ანალოგიურ თავდასხმებს შეიგრძნობდნენ კახელები მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში“[2].

ბუნებრივია, საომარი ოპერაციები ოსმალეთის წინააღმდეგ სწორედ ზემოაღნიშნული სამაგრეების მიმართულებით უნდა წარმართულიყო.

---

[1] გ. ტივაძე, ოსმალეთის დერეშობა და გლეხთა აჯანყებანი XVI ს. უკუნეში, თბ. 1946, გვ. 213.

[2] იქვე.

იმის გამო, რომ ირანთან დაზავება ვერ მოხერხდა, ირანის მხრიდან მოულოდნელი თავდასხმა რომ თავიდან აეცდინა, გუდოვიჩი იძულებული გახდა გამოეყო მოთვალთვალე რაზმები გენერალ-მაიორ ნებოლსინის მეთაურობით, რის შემდეგ გადაწყვიტა დაეწყო შეტევა ოსმალთა წინააღმდეგ.

იუსუფ ზია-ფაშა ცდილობდა ირან-ოსმალეთის ფრონტების გაერთიანებას, ერთდროული დარტყმით საქართველოს აღებას და მის დანაწილებას ოსმალეთსა და ირანს შორის[1].

რუსეთთან შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროების შეერთებისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, როგორც ზემოთ აღინიშნა, სერიოზული ბზარი ჩნდებოდა იმერეთის მეფე სოლომონ II-ის წყალობით, რომლის განწყობილების შესახებ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, 1806 წლის 23 ივლისს დიპლომატიური სტატსკი სოვეტნიკი ლიტვინოვი შემდეგს ატყობინებდა გრაფ გუდოვიჩს: «При малейшем разрыве с турками царь имеретинский воспользуется случаем и не оставит передаться неприятелю (Турции. Н. К.), тогда всякое сообщение прекратится»[2]. ოსმალეთის მმართველ წრეებს განზრახული ჰქონდათ, მოხერხებულად გამოეყენებინათ იმერეთის მეფე რუსეთის წინააღმდეგ მომავალ ომში.

ოსმალეთის სულთანი ჯერ კიდევ რუსეთთან ომის დაწყებამდე დასავლეთ საქართველოში შეჭრისათვის საბაბს ეძებდა და ეს საბაბიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მალე გამოინახა.

როგორც ცნობილია, ოსმალთა სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო XIX საუკუნის დასაწყისში შინაგან რღვევასა და ხრწნას განიცდიდა. სულთნის ხელისუფლებას აღარ ემორჩილებოდნენ არა მარტო მისდამი ვასალურ მდგომარეობაში მყოფ პროვინციებში. რამედ დაპყრობილ და ერთი შეხედვით, თითქოსდა საბოლოოდ დამორჩილებულ ადგილებშიაც კი; ტრაპიზონის თოიარ-ფაშა განუდგა ოსმალეთის სულთანს; იგი ცდილობდა, აემხედრებინა ანატოლიის სხვა ფაშებიც სულთნის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. თოიარ-ფაშამ მიმოწერა გამართა რუსეთის ხელისუფლებასთან რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის შესახებ და პირობას იძლეოდა, რუსეთის ქვეშევრდომობაში შეიყვანდა ანაპიდან მოყოლებული შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებს და მთელ ანატო-

[1] Акты, т. 3. д. 800, стр. 428, Воззвание Аббаса-Мирзы к Акушинскому кадию. от 1806 г.

[2] Акты. т. 3, д. 1103, стр. 381.

ლიას[1]. კონსტანტინოპოლში მალე გამქღავნდა თოიარ-ფაშას განზრახვა და სულთანმა მიიღო გადაწყვეტილება მისი სიკვდილით დასჯის შესახებ.

თოიარ-ფაშას საკმაო პოლიტიკური მომხრეები ჰყავდა აფხაზეთში იმ დროისათვის, როცა სულთანმა ბრძანება გასცა მეამბოხე თოიარ-ფაშასათვის თავი მოეკვეთათ. ეს უკანასკნელი აფხაზეთს შეეხიზნა. სულთანმა მოითხოვა აფხაზეთის მთავარს თოიარ-ფაშა მისთვის გაეგზავნა, ქელეშ-ბეგი კი აგვიანებდა ბრძანების სისრულეში მოყვანას.

მან თოიარ-ფაშა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთან გაგზავნა ყირიმში. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს დასკვნა, რომ ქელეშ-ბეგი რუსეთის ერთგული იყო.

ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ქელეშ-ბეგს არსებითად არავითარი დადებითი წვლილი არ შეუტანია[2]. ქელეშ-ბეგ შერვაშიძე ერთ-ერთი მთავართაგანი იყო, რომელიც ანტიხალხური მოქმედებით დენაციონალიზაციის გზაზე აყენებდა თავის თანამემამულეებს, ფართოდ ნერგავდა ტყვეებით ვაჭრობას და ამკვიდრებდა აფხაზეთში ოსმალეთის ბატონობას.

1803—1804 წლებში შეიმჩნევა ქელეშ-ბეგის ერთგვარი მერყეობა საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის საკითხებში. მიუხედავად იმისა, რომ იგი რჩება ოსმალეთის სულთნის ერთგულ მსახურად. ერთსა და იმავე დროს სინჯავს ნიადაგს რუსეთთან კავშირის დამყარებისათვის. საგარეო პოლიტიკაში მისი ერთგვარი მერყეობა გაჰფენილი იყო იმ ცვლილებებით, რომელთაც ადგილი ჰქონდა მთელ ამიერკავკასიაში, კერძოდ კი სამეგრელოსა და იმერეთში, მათი რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის გამო. რუსეთის გავლენის სფერო დღითი-დღე იზრდებოდა დასავლეთ საქართველოში. 1805 წელს

---

[1] Акты, т. 2, стр. 885. Письмо ген. Цицианова товарищу министра Чарторыжскому от 29 октября 1805 г.

[2] ქელეშ-ბეგ შერვაშიძის პიროვნების შეფასებაში, როგორც რევოლუციამდელ, ისე საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, არასწორი კონცეპცია არსებობდა. ისტორიკოსები ახდენდნენ ქელეშ-ბეგის პიროვნების იდეალიზაციას და ხატავდნენ მას ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ შეუპოვრად და თანმიმდევრულ მებრძოლად. აფხაზეთის აღნიშნული მთავრის საქმიანობას ნათელი მოჰფინა პროფ. ი. ანთელავამ (იხ. И. Антелава. „Очерки по истории Абхазии XVII—XVIII веков", Сухуми, 1951, გვ. 83—99). მკვლევარი მდიდარი ფაქტიური მასალის შესწავლის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქელეშ-ბეგი იყო თავისი ხალხის მოღალატე და ოსმალეთის სულთნის ერთგული მსახური.

რესეთის მფარველობა მიიღო სამურზაყანომ, რომელიც აფხაზეთის ნაწილს შეადგენდა, მაგრამ არ სცნობდა ქელეშ-ბეგის ხელისუფლებას.

ასეთ პოლიტიკურ ატმოსფეროში მყოფ ქელეშ-ბეგს აეჭვებდა. შეეძლო თუ არა მომავალში ოსმალეთთან კავშირს მიეცა მისთვის ახალი წარმატების გარანტია.

ქელეშ-ბეგი დღითი-დღე რწმუნდებოდა, რომ უკვე აუცილებლობა მოითხოვდა რუსეთის სარდლობასთან მოლაპარაკება დაეწყო, რათა მას თავის ქვეშევრდომობაში მიეღო აფხაზეთი. გენ. ციციანოვამდე მიაღწია ხმამ იმის შესახებ, რომ ქელეშ-ბეგი თხოულობდა რუსეთის მფარველობის ქვეშ აფხაზეთის მიღებას[1].

1804 წელს იმერეთსა და სამეგრელოში გამოგზავნილ იქნა რუსი დიპლომატი ლიტვინოვი. მას დავალებული ჰქონდა, სრულიად საიდუმლოდ ეწარმოებინა მოლაპარაკება ქელეშ-ბეგთან რუსეთის მფარველობის ქვეშ აფხაზეთის მიღების თაობაზე. გენ. ციციანოვს აეჭვებდა აფხაზეთის მთავრის განცხადების გულახდილობა რუსეთის მფარველობის ქვეშ აფხაზეთის მიღების შესახებ, რაც მართლაც სწორი აღმოჩნდა. ლიტვინოვმა საკმაოდ შეისწავლა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა ორიენტაციის საკითხი, შეკრიბა საჭირო მასალები ქელეშ-ბეგის შესახებ და ციციანოვს მოახსენა, რომ მისდამი დანდობა ყოვლად შეუძლებელიაო[2].

ის, რომ თოიარ-ფაშა ჯერ შეიხიზნა და შემდეგ ყირიმში გაგზავნა, აფხაზეთის მთავრის საგარეო პოლიტიკაში უკანასკნელ წლებში მომხდარი მერყეობის შედეგი იყო. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ოსმალეთთან ომში ქელეშ-ბეგს ოდნავადაც კი არ უთამაშნია დადებითი როლი რუსეთის სასარგებლოდ.

სულთანმა განკარგულება გასცა, ვითომდა იმ მიზნით, რომ სახიმუშოდ დაესაჯათ აფხაზეთის მთავარი, აფხაზეთში გაეგზავნათ ზღვითა და ხმელეთით დიდძალი არმია. ნამდვილად კი საქმის არსი შემდეგში მდგომარეობდა: როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთის ჯარების მიერ 1805 წლის გაზაფხულზე დაკავებულ იქნა ნავსადგური ახალციხე, რამაც დიდად აღაშფოთა ოსმალეთის მთავრობა. სწორედ ამიტომ ოსმალეთის სულთანმა უბრძანა ჩილდირის ფაშას (ახალციხის ფაშა ოპოზიციაში ედგა), შეჰრისხვოდა იმერეთში, გადაელახ

---

[1] Акты, т. 2, стр. 536.

[2] იქვე.

სამეგრელო და ურჩი ქელეშ-ბეგის დასჯის მოტივით დაუფლებოდა საქართველოს მთელ შავიზღვისპირეთს. ოსმალეთის საზღვაო ფლოტს დაევალა, მხარი დაეჭირა ხმელეთზე მოქმედი ჯარისათვის და შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო რუსეთისათვის მიუვალ ციხე-სიმაგრედ გადაექცია. ზემოაღნიშნულის შესახებ იტალინსკი 1806 წლის 14 ივნისს დასავლეთ საქართველოში მყოფ რუს დიპლომატ ლიტვინოვს აუწყებდა: «Она, — ლაპარაკია ოსმალეთზე, — — почитает обидою себе занятие Кем-хала (Анаклии, Н. К.) и требовала нотою, дабы находящиеся там учреждения наши отменены были. Судя по таким худым расположениям ея к России, могу не без основания почитать повеление, данное Чилдирскому паше, *означением умысла ея предпринять силою удовлетворить современем желанию своему касательно приведения оного берега по прежнему в полную зависимость свою и сделания его впредь неприступным для нас*»[1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.)

რა საბაბითაც არ უნდა ყოფილიყო ოსმალეთის ჯარების შემოჭრა იმერეთსა და სამეგრელოში, რუსეთის მთავრობის მიერ მიღებული იქნებოდა, როგორც „სამშვიდობო ტრაქტატის“ დარღვევა, რადგან ეს კუთხეები უკვე რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ[2]. ამის შიშით ოსმალეთმა ხმელეთიდან ვერ მოახერხა ჯარების გამოგზავნა.

1806 წლის 25 ივლისს ოსმალეთის საზღვაო ფლოტის ნაწილი («состоящая из 3-х военных и 8 гребных судов») ბუირუქ ბაირახდარის სარდლობით სოხუმს მოადგა. აფხაზები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე იტანჯებოდნენ ოსმალო დამპყრობთა ბატონობის უღელქვეშ, აღდგნენ მოსულ მოძალადეთა წინააღმდეგ. აფხაზებმა შეადგინეს 25 ათასიანი ლაშქარი და მტერი აიძულეს უბრძოლველად უკანვე გაბრუნებულიყო[3].

---

[1] Акты, т. 3, д. 905, стр. 517, там же. д. 906, стр. 517—518, д. 908, стр. 518, შდრ. АВПР. Ф. Гл. архив, 1—13, 1809—1811 гг. д. 8, л. 24 об и 25.

[2] Акты, т. 3. д. 912. стр. 521. письмо барона Будберга ген. Гудовичу, от 3 сентября 1806 г.

[3] Акты, т. 3, д. 909, стр. 519, письмо гр. Гудовича к барону Будбергу от 21 августа 1806 г. Шдр. АВПР, Ф. Гл. архив, 1—13, 1809—1811 гг. 8. л. 25—27.

აფხაზეთში დამარცხების შემდეგ ოსმალეთის სარდლობამ გადაწყვიტა, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ყულევი (რედუტ-კალე) არ დაეთმო რუსეთისათვის. ამ მიზნით 1807 წლის 8 თებერვალს ოსმალებმა თავდასხმა მოაწყვეს ყულევზე, სადაც ბელევის პოლკის სამი ასეული იდგა მაიორ ლიკოშინის მეთაურობით. თავდასხმა მოულოდნელი იყო. ოსმალებმა ალყა შემოარტყეს და ცეცხლი დაუშინეს იმ ყაზარმებს, რომლებშიაც რუსები იყვნენ დაბანაკებულნი. რუსმა ჯარისკაცებმა მალე დააღწიეს თავი ყაზარმებს და იერიში მიიტანეს ოსმალებზე.

ბრძოლა ღამის 3 საათზე დაიწყო და დილის 8 საათამდე გაგრძელდა. ოსმალებმა ვერ გაუძლეს რუს ჯარისკაცთა. ცეცხლს და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. ამრიგად, ოსმალთა იერიში მოგერიებულ იქნა. მსხვერპლი ორივე მხრიდან საკმაოდ დიდი იყო. ოსმალებმა მოასწრეს გადაეწვათ სამხედრო საწყობი, ორი ყაზარმა და ლაზარეთი, სადაც ავადმყოფი ჯარისკაცები დაიღუპნენ. ლაზარეთის მკურნალი ექიმი ტყვედ ჩავარდა[1]. როგორც კი გაიგო ყულევზე ოსმალების თავდასხმის ამბავი, გუდოვიჩმა გენერალ რიკჰოფს გაუგზავნა მაშველი ბატალიონი, ხოლო რუსეთის ჯარის ნაწილები მთლიანად დაუახლოვა საზღვარს, რათა მტრისათვის საშუალება არ მიეცა მოულოდნელი თავდასხმისათვის.

რუსეთს გადაწყვეტილი ჰქონდა ხელთ ეგდო შავი ზღვის სანაპირო სიმაგრეები — ანაპა, სოხუმი, ფოთი და სხვ. გუდოვიჩს ნაბრძანები ჰქონდა, არ შემოზღუდულიყო პასიური თავდაცვით. ეწარმოებინა შეტევა ოსმალების წინააღმდეგ და დაეპყრო ის ციხე-სიმაგრეები, რომლებიც მდებარეობდნენ სამეგრელოდან დაწყებული — ანაპამდე. ჯერ კიდევ 1806 წლის 25 სექტემბერს ბარონი ბუდბერგი გრაფ გუდოვიჩს პეტერბურგიდან ატყობინებდა შემდეგს: «Из положения границ наших с Портою, около берегов Черного моря, усматривается то неудобство, что от полуострова Тамани русское владение прерывается крепостями Анапою, Сухум-кале, Исгауром, Анаклиею, потом следует берег Мингрельский, принадлежащий России до самого устья Риона, по ту сторону реки опять начинаются турецкия поморския владения: Поти, Батум, Гонио, все издревле принадлежащия к царству грузинскому Следовательно. нельзя не желать возможности присоединить все

[1] Акты. т. 3. д. 931: 912. стр. 538

сии места под державу Российскую, дабы тем вяще обеспечить Грузию и усмирить закубанские народы, находящиеся в Анапе и других турецких городах».[1]

ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლი არმია, რომელსაც გუდოვიჩი სარდლობდა, სამ ნაწილად იყოფოდა. მთავარ ძალებს ფრონტის ცენტრალურ ნაწილში უშუალოდ თვითონ სარდლობდა; მარჯვენა ფრთას წარმოადგენდა ის ნაწილები, რომლებიც იმერეთსა და სამეგრელოში იმყოფებოდნენ და რომლებსაც გენერალ-მაიორი რიკჰოფი მეთაურობდა; ხოლო მარცხენა ფრთას სარდლობდა გენერალ-მაიორი ნესვეტაევი. თითოეულ მათგანს თავისი საბრძოლო ამოცანა ჰქონდა: ფრონტის ცენტრალურ ნაწილში მოქმედ ძალებს უნდა დაეკავებინა ახალქალაქი და ახალციხე; მარჯვენა ფრთაზე მოქმედ ჯარს ფოთი უნდა გაენთავისუფლებინა, ხოლო მარცხენა ფრთა უნდა დაუფლებოდა ყარსს. გადაწყდა, რომ შეტევაზე პირველი მარცხენა ფრთა გადასულიყო ნესვეტაევის სარდლობით.

სამცხე-საათაბაგოში მიმავალ გზებს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ოსმალეთისათვის, ისე რუსეთისათვის. ამ გზების სამხედრო მნიშვნელობის შესახებ ფ. ენგელსი აღნიშნავდა: «Существуют три дороги: одна идет вдоль верхней Куры через Ахалцых, другая вдоль верхнего Аракса через Эривань, третья между двумя первыми через горы на Карс. Все эти дороги защищены с обеих сторон укрепленными городами и постами, и трудно решить, какая наиболее благоприятна для турок и какая для русских. Достаточно поэтому указать, что по Ахалцыхской дороге турецкая армия могла бы вступить прямо в мятежные области Кавказа»...[2]

რუსეთის სარდლობა ოსმალეთთან ომის დაწყებამდე კარგად გრძნობდა სამცხე-საათაბაგოში მიმავალი გზების უდიდეს მნიშვნელობას სამხედრო ოპერაციების გაშლისათვის. ამიტომ „განზრახული იყო პირველყოვლისა, — როგორც შენიშნავს ისტორიკოსი ჯ. ტივაძე, — ახალქალაქის ციხე-სიმაგრის განადგურება, შემდეგ ხერთვისის და ასპინძის, როგორც ახალციხის მისადგომების დაკავება და ბოლოს იერიშების მიტანა თვით ახალციხეზე.

მეორე მიმართულება, რომელიც ითვალისწინებდა ახალციხის შემოვლას და ამ გზით მის მოწყვეტას ოსმალეთისაგან, ეს იყო

[1] Акты, т. 3, д. 918, стр. 523.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. IX, стр. 554. М. 1933 г.

გრევნის და შემდეგ კი ყარსის მხარეების დაკავება. აღნიშნული პუნქტების დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა კიდევ იმით იზრდებოდა, რომ ამ ადგილების დაკავებით რუსეთის ჯარები ჰკვეთდნენ ორად ოსმალეთ-ირანის საზღვრებს და ამით სპობდნენ შესაძლებლობას ამ ორი ისლამის სამყაროს გაერთიანებისას რუსეთის წინააღმდეგ. „ამიერკავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში“[1].

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ რუსეთის სარდლობამ, სანამ დაიწყებოდა გადამწყვეტი ბრძოლა, სერიოზული მუშაობა ჩაატარა ახალქალაქის, ყარსის, ერევნის, მაგიზბერდის და სხვა პროვინციების მმართველთა მოსყიდვა-გადმობირებისათვის. თვითონ ტრაპიზონის თოიარ-ფაშას მოქმედება უდავოდ რუსეთის მიერ მოქნილ ღონისძიებათა გატარების შედეგი იყო. დიდძალი თანხები იხარჯებოდა როგორც სხვა ფაშების, ისე ყარსის ფაშას მაჰმუდიას და მისი ძმის ყარაბეგის გადმობირებისათვის. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, 1806 წლის 3 დეკემბერს, გრაფი გუდოვიჩი სწერს ბარონ ბუდბერგს ამის შესახებ შემდეგს: «Карскому паше я счел надобным, видя его доброе расположение, послать в подарок из собольиных мехов шубу и один 600 р., ...подарок сей и письмо мое доставлены к нему секретным образом, на что получил я от него ответ и благодарность»[2].

ყარსის ფაშა დიდძალ საჩუქრებს ღებულობდა და პირველ ხანებში რუსეთისათვის საჭირო ზოგიერთ ცნობებსაც იძლეოდა. იგი, რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლასთან ერთად, მოითხოვდა ჯარებს რუსეთის სარდლობისაგან იუსუფ-ფაშას წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ უკანასკნელ წინადადებაზე რუსეთი ჯერჯერობით თავს იკავებდა. იმავე წერილში გუდოვიჩი წერდა: «Покуда Россия не будет иметь разрыва с Портою, я помощь войском в Карс дать ему не могу, а что если он истинное усердие и расположение имеет, может надеятся на покровительство России»[3]. ცხადია, ყარსის ფაშასთან რუსეთის სარდლობის ასეთი დამოკიდებულება ფრიად საიდუმლოდ უნდა ყოფილიყო შენახული, ხოლო ოსმალეთთან უშუალოდ საომარი მდგომარეობის გამოცხადებამდე რუსეთი დახმარებაზე უარს აცხადებდა, რადგანაც ამას უდავოდ ოსმალეთთან ომი მოყვებოდა.

---

[1] გ. ტ ი ც ა ძ ე, ოსმალეთის დერვიშობა და გლეხთა აჯანყებანი XVI საუკუნეში, გვ. 214—215.

[2] Акты, т. 3, д. 170, стр. 95.

[3] იქვე.

ყარსის ფაშა მაჰმუდი აუწყებდა გუდოვიჩს აგრეთვე იმის შესახებ, რომ ოსმალეთსა და რუსეთს შორის ომის დაწყების შემთხვევაში არსებობდა საფრთხე ირან-ოსმალეთის ფრონტების გაერთიანებისა საფრანგეთის მეთაურობით: «Он, — წერდა გუდოვიჩი ყარსის ფაშას შესახებ, — **сомневается, чтобы Юсуф-паша при случае не соединился с персиянами против России, к чему они подговорены происками французских эмиссаров, нынешнею весною к Баба хану через Баязет пропущенных**»[1].

ზემოთ მოტანილი ფაქტებიდან ერთი შეხედვით შეიძლება ისეთი დასკვნის გაკეთება, თითქოს ყარსის ფაშა და მისი ძმა ერთგულნი იყვნენ რუსეთისა და ხელს უწყობდნენ მას დამკვიდრებულიყო სამცხე-საათაბაგოსა და მთელ ანატოლიაში. მაგრამ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ სულ სხვა შედეგი მოიტანა.

1807 წ. 12 მარტს ნესვეტაევის რაზმი დაიძრა ბამბაკიდან, 16 მარტს მან გადალახა მდ. არფაჩაი გუმრის ციხესთან და გადავიდა ოსმალეთის ტერიტორიაზე. იმავე დღეს ნესვეტაევის რაზმები მიადგნენ სოფელ შურაღელს, სადაც დაბანაკებული იყო ოსმალეთის ჯარის ნაწილი (ათასამდე კაცი), რომელსაც სარდლობდა ყარსის ფაშა, მაჰმუდის ძმა — ყარაბეგი.

ყარსის ფაშამ მაჰმუდმა და მისმა ძმამ ყარაბეგმა რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებისთანავე შეცვალეს თავიანთი პოზიცია და რუსეთის ჯარების შეტევაზე გადასვლისთანავე გამოამჟღავნეს თავიანთი მტრული დამოკიდებულება რუსეთისადმი. რუსეთის სარდლობას ჯერ კიდევ არ დაჰკარგოდა კავკასიის ფრონტზე ყარსის ფაშასა და მისი ძმის გამოყენების იმედი ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გენერალი ნესვეტაევი ფიქრობდა, რომ ყარაბეგი პირობის თანახმად უბრძოლველად ჩააბარებდა სოფელსა და მის გარშემო მდებარე სიმაგრეებს, და მის მხარეზე გადმოვიდოდა; მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა.

ყარაბეგმა ცეცხლი გაუხსნა რუსებს. მიუხედავად მოულოდნელი ცეცხლისა, რუსების რაზმი არ დაბნეულა. ნესვეტაევი გონივრულად მოქმედებდა. ყარაბეგთან ბრძოლაში მან სრულიად უმნიშვნელო მსხვერპლით (დაჭრილთა და მოკლულთა სახით დაჰკარგა

[1] **Акты, т. 3, д. 170, стр. 95.**

40 კაცი) შეძლო დიდი ზიანი მოეყენებინა მოწინააღმდეგისათვის. ყარაბეგმა დაჰკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით 700 ჯარისკაცი. ყარსის ფაშამ მაჰმუდმა განიზრახა, გენერალ ნესვეტაევისათვის საშაგიერო გადაეხადა. მან საიდუმლოდ კაცი გამოგზავნა ნესვეტაევთან და ყარსის უბრძოლველად ჩაბარება აღუთქვა. ოსმალებმა მეორედ მოატყუეს რუსეთის სარდლობა. რუსებმა ხელჩართული ბრძოლით დაიკავეს ყარსის ციხის მისადგომებზე პატარა გორაკი, სადაც ოსმალები იყვნენ გამაგრებული. არავითარი ნიშანი არ იყო იმისა, რომ ოსმალები უბრძოლველად ჩააბარებდნენ ყარსის ციხეს: პირიქით, იქიდან ქვემეხები გამანადგურებელ ცეცხლს უშენდნენ რუსებს, ნესვეტაევის რაზმი დიდი დანაკარგით მიიწევდა წინ.

გუდოვიჩი მიხვდა, ყარსის ფაშა ვერაგულად რომ მოქმედებდა. როგორც სამართლიანად შენიშნავს საბჭოთა ისტორიკოსი ა. მილერი, ხშირი იყო შემთხვევა, როცა ფაშები ღალატობდნენ ოსმალეთის სულთანს, ხოლო უფრო მეტად კი იმათ, ვისაც მიესყიდებოდნენ[1]. გუდოვიჩმა გასცა განკარგულება შეტევაზე გადასული ჯარის უკან დახევის შესახებ. 26 მარტს ყარსის ფაშასაგან მოტყუებულმა ნესვეტაევმა უკან დაიხია.

მაჰმუდისა და მისი ძმის ყარაბეგის მოსყიდვის გზით ყარსის აღების გეგმა ჩაიფუშა. გუდოვიჩი დარწმუნდა იმაში, რომ ისინი აშკარად ატყუებდნენ მას[2].

ამგვარად, ფრონტის მარცხენა ფრთაზე პირველი შეტევა რუსეთის წარუმატებლობით დამთავრდა.

გრაფმა გუდოვიჩმა გადაწყვიტა იერიში მიეტანა ახალქალაქზე. 1807 წლის 6 მაისს ქართველთა და რუსთა ოთხათასიანი რაზმით გუდოვიჩი ახალქალაქს მიადგა. ციხეში 1500-მდე მეციხოვნე ოსმალო იდგა. მიუხედავად რუსთა და ქართველთა პირველი წარმატებისა, ციხის აღება შეუძლებელი გახდა. გუდოვიჩმა მტერთან ბრძოლაში საკმაო რაოდენობით დაჰკარგა ცოცხალი ძალა, და ბოლოს იძულებული გახდა, უკანვე დაეხია. სწორედ ამ წარუმატებლობაზე მიუთითებს ისტორიკოსი დავით ბატონიშვილი: „ვინაჲთგან შორის რუსთა და თურქთა იყო ბრძოლაჲ, ამად გრაფ გუდოვიჩმა მოიკრიფა სრულიად რუსთა და ქართველთა მხედრობაჲ. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.) მივიდა და მოადგა ჯავახეთს ციხესა ახალ-

[1] А. Ф. Миллер, Указ. соч., стр. 150.

[2] Акты, т. 3. д. 807, стр. 434.

ქალაქისაკენ. მიუდგეს რუსთა კიბენი და ლამოდნენ გარდასვლასა ციხესა შინა. განმხნდნენ თურქნი, აოტნეს რუსნი მეციხოვნეთა და მოსწყვიდნეს ვიდრე ხუთასამდე, და ოდეს ვერ უძლო დაპყრობაჲ ციხისა გუდოვიჩმან, უკუმოქცეული მოვიდა ალგეთად»[1]

ახალქალაქთან და ყარსთან რუსთა და ქართველთა წარუმატებლობამ გააგულიანა ოსმალეთის სარდლობა. სერასკირი იუსუფ ზიაფაშა ნესვეტაევისადმი წერილში მიუთითებდა რა რუსეთის ჯარების წარუმატებლობაზე, იმუქრებოდა, რომ იგი თავს უყრიდა დიდძალ არმიას და თუ ტყვედ არ დანებდებოდა. სულ ერთიანად გაანადგურებდა რუსეთის ჯარს. იგი სწერდა: «Ныне же наряжается против вас достаточный отряд войска, храброго как соколы... и вслед за ним также отправлено многочисленное войско... Карского вали, а через несколько дней я и сам выступлю с многочисленною армиею, волнующеюся, как море, и отличающеюся мужеством. А потому я вас пробуждаю от сна и объявляю вам... если вы на поприще жизни желаете еще несколько времени собирать зернышки спокойствия, и спасти от пролития крови бедных и несчастных ваших солдат.... то поспешите сдать ваши пушки и снаряды упомянутому вали, сами же со всем войском прибегните под его покровительство»[2].

წერილის დასასრულს ის მედიდურად იუწყებოდა, რომ ნაპოლეონმა პოლონეთში გაანადგურა რუსეთის არმია და ტყვედ ჩაიგდო 80 ათასი ჯარისკაცი. ხოლო დღეს თუ ხვალ იგი პეტერბურგს აიღებსო.

ფრონტის მარჯვენა ფრთაზე ფოთის ციხე-სიმაგრისათვის ბრძოლას სერიოზული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ფოთის, როგორც შავი ზღვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორპოსტის, რუსეთის ხელში გადასვლა არსებითად შეუწყობდა ხელს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე რუსეთის საბოლოოდ დამკვიდრების საქმეს. რომელსაც კარგად გრძნობდა როგორც რუსეთის, ისე ოსმალეთის სარდლობა. ოსმალეთი საგანგებოდ აძლიერებდა ფოთის მეციხოვნეთა

---

[1] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია. ბაგრატ ბატონიშვილი ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 32. გამოსცა თ. ლომაურმა. იხ. Акты, т. 3, д. 942, стр. 542, Предписание гр. Гудовича ген. Рикгофу от 10 мая 1807 г., Акты, т. 3, д. 944, стр. 542. Рапорт ген. М. Портнягина гр. Гудовичу от 11 мая 1807 г.

[2] А. Петров, Указ. соч., стр. 311—312, Ср. Акты. т. 3, д. 922, стр. 530—531.

გარნიზონს, ამარაგებდა მას სურსათითა და საომარი მასალით. გენ. რიკჰოფი 1807 წლის 28 თებერვალს ზემოაღნიშნულის შესახებ გუდოვიჩს სწერდა:«Неприятели в кр. Поти усиливаются не сухим путем, а водою на судах, почему полагать можно, что не только составят с собою число войск для них нужное и заготовят провизию, но доставят и орудия»[1].

რუსეთის მთავრობა ფოთზე საიერიშოდ ემზადებოდა. იგი სამეგრელოს ტერიტორიაზე ახდენდა ჯარების დისლოკაციას და განზრახული იყო, უპირველესად ყოვლისა, ფოთის ციხე-სიმაგრის ბლოკირება. შეიქმნა მოხალისე მეგრელთა ლაშქარი, რომელიც რუსეთის ჯარის ნაწილების მხარდამხარ იბრძოდა ფოთისათვის.

საინტერესოა, ფოთისათვის ლაშქრობის უშუალო მონაწილის, სამეგრელოს სამთავროს მმართველობაში ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურის, სამეგრელოში ოსმალეთის წინააღმდეგ შეკრებილ სამთავრო ლაშქრის სარდლისა და ამავე დროს საკმაოდ ცნობილი ისტორიკოსის ნიკო დადიანის ცნობა; იგი მიუთითებს იმის შესახებ, რომ რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილებსა და სამეგრელოს მთავრის ლაშქარს 1807 წლის გაზაფხულზე მიუღიათ ბრძანება ოსმალეთის დიდი ციხე-სიმაგრის ფოთის აღების შესახებ: „...ბრძანებითა საქართველოს უპირატეს მთავრის გრაფი ღუდოვიჩისათა აღიღა შკრა ღენერალმარიკხოფ (რიკჰოფმა, ნ. ქ.) მოსადგომად ფოთის ციხისა და გამოვიდა მხედრობითა ქუთაისიდამ და აქიდამ სპანი დადიანისანი, დამიველით და დავებარგეთ მახლობლად ფოთის ციხისა. დაიყო მუნ მიტროპოლიტ-ჰყონდიდისა ბესარიონ, მიტროპოლიტი ცაიშისა გრიგოლი და სხვანი უოველნი სამენგრელოს თავადაზნაურნი...“[2]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.)

მოტანილი დოკუმენტიდან ჩანს, თუ რაოდენ სერიოზულ ხასიათს ატარებდა ფოთისათვის ქართველთა ლაშქრობა. მოლაშქრეთა შორის დასახელებულია სამეგრელოს ორი დიდი მღვდელმთავარი: სამეგრელოსა და იმერეთის ნაწილის „მწყემსთ-მწყემსი“ ჰყონდიდელი ბესარიონ დადიანი, და აფხაზეთის და სამეგრელოს ნაწილის „მწყემსთ-მთავარი“ ცაიშელი მიტროპოლიტი გრიგოლი. დასავლებ

[1] Акты, т. 3, д. 941, стр. 542.

[2] ნ. დადიანი, „ქართველთ ცხოვრება“, გვ. 198, თბ. 1962 წ., ტექსტი გამოსცა შ. ბურჯანაძემ.

საქართველოს საეკლესიო ორგანიზაციის აღნიშნულ თვალსაჩინო წარმომადგენელთა მოხსენიება ნ. დადიანის მიერ, მიგვითითებს იმის შესახებაც, რომ ერთიანი ინტერესით გამოდიოდნენ და რაზმავდნენ ქართველ ხალხს რუსეთის ჯარების გარშემო საქართველოს საერო და სასულიერო ხელისუფლების პროგრესული წარმომადგენლები. ისინი იბრძოდნენ ეხსნათ ქართველობა გადაშენებისა და ფიზიკური განადგურებისაგან, იბრძოდნენ ოსმალეთის ძალმომრეობისაგან საბოლოო განთავისუფლებისათვის.

გარდა ამისა, საზღვრისპირა სიმაგრეებში რუსეთის სარდლობა, როგორც საიმედო ძალას, მეგრელთა რაზმებს აყენებდა, რაც მას საშუალებას აძლევდა რეგულარული ჯარის ნაწილები ფოთის ბლოკირების საქმეში ჩაება. მეტად საგულისხმოა რიკჰოფის მიერ გრაფ გუდოვიჩისათვის 1807 წლის 14 თებერვლის თარიღით გაგზავნილი პატაკი, სადაც ვკითხულობთ: «Правительница Мингрелии сообщила также, что она сделала нужныя распоряжения к сбору войск Мингрельских и уже командированы кн. Георгий Пхеидзе с отрядом во 100 чел. состоящим в Чаладиди на переправу для содержания караула, равно и в Редут-Кале кн. Давид Чичуа со 100 же чел. а как нужны войска и более, находящийся пост в кр. Рухи, который занимаем был ротою кап. Горлевского. я счел нужным, сняв оной, роту отправить в Редут, а крепость сдана Мингрельским войскам»[1]. ციხე-სიმაგრეებსა და მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებზე მეგრელთა რაზმები იყვნენ გამოყენებული.

რუსეთის ჯარები და მეგრელთა ლაშქარი გენერალ რიკჰოფის სარდლობით 1807 წლის 8 მაისს ფოთს შემოადგნენ და მოსთხოვეს ოსმალთა მეციხოვნე გარნიზონს ციხე-სიმაგრის ჩაბარება, რაზედაც ოსმალებმა უარი თქვეს. რიკჰოფმა გასცა ბრძანება, რუსთა და ქართველ მებრძოლთა გაერთიანებული ძალებით აეღოთ ციხე-სიმაგრე. რუსებისა და ქართველების მოწინავე რაზმებმა, რომლებსაც პოლკოვნიკი ტარასოვი და ნ. დადიანი სარდლობდნენ, მედგარი ბრძოლის შედეგად შეძლეს ქალაქის მისადგომებზე ოსმალების დამარცხება და იერიშით ქალაქში შეჭრა. უკუქცეულმა ოსმალებმა თავი შეაფარეს ციხე-სიმაგრეს და მოშალეს ციხეში შესასვლელი ყველა ხიდი, რომლებიც გადებული იყო ციხის ირგვლივ შემოვლებულ რუსხმულზე.

[1] Акты, т. 3, д. 933, стр. 536.

რუს და ქართველ მეომართა ამ საბრძოლო თანამეგობრობისა და წარმატების შესახებ ნ. დადიანი მოგვითხრობს: „...რა დაღამდა, მიბრძანა ღენერალმა რიკჰოფმა მე და ტარასოვს პოლკოვნიკს, რათა ხვალ დილით მივიდეთ და აღვიღოთ საფარი შემოვლებული ქალაქისა და ქალაქიცა, დავემზადეთ და რაგათენდა, წავედით რამოდენითამე მხედრებითა და ეგრეთვე რამოდენითამე ჩვენებურის კაცითა, და რა მოვედით თავსა ქალაქისასა, იყო დიდის სიმაგრით ნაშენი სანგალი (სანგარი, ნ. ქ.), დამუნ იდგენ რამოდენიმე მხედრობა ოსმალთა და შევქმენით ბრძოლა და რამოდენისამე ბრძოლისა შემდგომად ვსცანით, რომელ ესე ვითარის ბრძოლით ვერ გავდენით ჩვენ. მაშინ პოლკოვნიკმა და მეცა მივუტანეთ ერთხმათ შტურმა (ესე იგი იერიში), და გარდვიდენ მხედრობა სანგალსა ზედა, აღვიღეთ სიმაგრე და შევველთ ქალაქსა შინა და აღვიღეთ ქალაქი და მოვადექით ციხის მახლობლად“[1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.)

მალე მოწინავე რაზმებს შეუერთდა რუს და ქართველ მეომართა დიდი ნაწილი. მათ ბლოკადაში მოაქციეს ფოთის ციხე-სიმაგრე, რის შესახებ ნ. დადიანი გვაუწყებს: „...ვაცნობეთ ღენერალსა რიკჰოფს, და მოვიდა სრულის მხედრობითა და არტილერიითა და მასთანა ზემოხსენებულნი სამღვდელონი და სხვანიცა. და შემოვჰკარით ირგულიგ ციხე და მოვედით აღებასა მისა მცირესა ხანსა“[2].

ოსმალეთის სარდლობამ განიზრახა, ბათუმიდან გამოეგზავნა ფოთის გარნიზონის მოსაშველებლად დიდძალი ჯარი დუჩი ოღლისა და ოსმან ოღლის მეთაურობით.

ასეთ კრიტიკულ მომენტში სოლომონ II დაკავშირებული ყოფილა ოსმალეთის სარდლობასთან. გენერალი რიკჰოფი 1807 წლის 18 მაისის თარიღით აუწყებს გრაფ გუდოვიჩს იმის შესახებ, რომ მას საიმედო პირმა გურიიდან აცნობა: «...Царь Соломон имеет сношение с Батумом и что извещает тамошнее начальство о числе войск Российских»[3].

---

[1] ნ. დადიანი, „ქართველთ ცხოვრება“, გვ. 198

[2] იქვე.

[3] Акты, т.3, д. 178, стр. 98.

არც აფხაზეთის მთავრის ქელეშ-ბეგ შარვაშიძის მოქმედება იყო ჭართველი და რუსი მებრძოლებისათვის ხელსაყრელი. მან ჯერ კიდევ ადრე გაუგზავნა რუსეთის მთავრობას 1806 წლის ივნისში შედგენილი თხოვნა თავის მფარველობის ქვეშ აფხაზეთის მიღების შესახებ, მაგრამ ოსმალებთან საომარი მოქმედების პირველმა წელმა ნათლად დაადასტურა მისი ორპირობა.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ტალეირანისათვის ქელეშ-ბეგი ცნობილი ყოფილა, როგორც რუსეთის წინააღმდეგ ენერგიული მებრძოლი, თურქული ორიენტაციისა და საკმაო სამხედრო პოტენციის მქონე პიროვნება. 1807 წლის 20 ივნისის თარიღით სებასტიანისათვის მიცემულ ინსტრუქციაში ტალეირანი წერდა: «...Добейтесь от Порты, чтобы она дала приказ Эрзерумскому паше двинуться на эту провинцию со всеми своими войсками. *Поддерживайте доброе расположение абхазского князя* (ლაპარაკია ქელეშ-ბეგზე, ნ. ქ.) и побудите его принять участие в большой *диверсии против общего врага. Пусть этот князь, эрзерумский паша, персы и Порта атакуют одновременно Грузию, Крым и Бессарабию».*[1] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.)

ადვილი მისახვედრია, თუ ვის მხარეზე იყო ქელეშ-ბეგის სიმპათია რუსეთ-ოსმალეთის ომში. ამიტომ რუსეთის მთავრობა სამართლიანად უცხადებდა მას უნდობლობას. 1807 წლის 14 ივლისის თარიღით ქელეშ-ბეგისადმი გაგზავნილ წერილში გუდოვიჩი უმადურობას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ ქელეშ-ბეგი დახმარებას არ უწევდა რუსეთის არმიასა და ქართველთა ლაშქარს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. პირიქით, იგი იმის ეშვს ჰბადებდა, რომ ეხმარება მოწინააღმდეგეს; დასასრულს გუდოვიჩი წერდა: «... Если вы непременно преданы и желаете служить Всероссийскому Великому государю императору, то покажите тому на самом деле опыт вспоможением нашим войскам, в Мингрелии находящимся, и не принимайте в свои владения турок».[2]

ფოთისათვის ბრძოლაში რუს და ქართველ მებრძოლთა შერ ჰოპოვებული პირველი წარმატებანი ეპიზოდური ხასიათის მატარე-

---

[1] ციტირებულია წიგნიდან: А. Р. Иоаннисян „Присоединение Закавказья к России и международные отношения в начале XIX столетия", Ереван, 1958, стр. 145.

[2] Акты, т. 3, стр. 198.

ბელნი არ ყოფილან. მართალია, რუსეთის ჯარებმა მალე უკან დაიხიეს და დროებით ხელი აიღეს ფოთისათვის ბრძოლაზე, მაგრამ ბრძოლის პროცესში მოპოვებულმა პირველმა წარმატებებმა უდავოდ აღაფრთოვანეს რუსი და ქართველი მეომრები. მათ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის საკმაოდ კარგი ტრადიცია ჰქონდათ და ახლაც შეეძლოთ საერთო ძალღონით ეწარმოებინათ ბრძოლა ოსმალეთის წინააღმდეგ. ომის შემდგომმა მსვლელობამ დაადასტურა ამ მოსაზრების სრული ჭეშმარიტება.

ფოთის გარშემო მდებარე ჭაობიანი ადგილები და ზღვისპირა კლიმატი ცუდად მოქმედებდა რუს ჯარისკაცებზე. ხშირი იყო მალარიით დაავადების შემთხვევები. გენ. რიქჰოფმა მალე, ახალქალაქთან წარუმატებლობის შემდეგ, მიიღო გრაფ გუდოვიჩის ბრძანება ფოთის ალყის მოხსნის შესახებ. 19 მაისს რიქჰოფმა მოხსნა ალყა და ჯარი რედუტ-კალეში გადაიყვანა[1].

ამრიგად, პირველი შეტევა ძირითადად რუსეთის წარუმატებლობით დამთავრდა, რამაც დიდად აღაფრთოვანა ოსმალეთის სარდლობა. იუსუფ ზია-ფაშამ განმეორებით გამართა მოლაპარაკება ირანის შაჰ ბაბა-ხანთან; თანაც კავკასიის მუსლიმანებს მოუწოდა, დაეწყოთ ერთიანი სამხედრო მოქმედება „გიაურების“ წინააღმდეგ და განედევნათ საქართველოდან რუსეთის ჯარი.

იცოდა რა რუსეთის მოქმედი არმიის სიმცირე კავკასიის ფრონტზე, იუსუფ ზია-ფაშა 20 ათასიანი არმიით დაიძრა ყარსისაკენ, ვაძლიერა თავისი ძალები ადგილობრივი გარნიზონით და გადაწყვიტა იერიში მიეტანა გუმრის ციხე-სიმაგრეზე, სადაც თავმოყრილი იყო სურსათის დიდი მარაგი, რომელიც ნესვეტაევს ყარსის საფაშოდან გამოეზიდნა. ნესვეტაევის რაზმმა, როგორც კი გაიგო შეტევაზე იუსუფ ზია-ფაშას გადმოსვლის ამბავი, დატოვა ყარსის საფაშო, უკან დაიხია და გუმრის ციხეს შეაფარა თავი. იუსუფ ზია-ფაშა დაიმედებული შემდგომ წარმატებებში, გუმრის საწყობებისა და ციხის აღების საქმეს საბოლოოდ თვლიდა გადაწყვეტილად; იგი ოცნებობდა გენერალ გუდოვიჩის ჯარების სრულ განადგურებაზე, საქართველოში შემოჭრაზე და თბილისის დაპყრობაზედაც კი.

ყარსის ფაშას განზრახვის სისრულეში მოყვანა ფაქტიურად საქართველოს დაპყრობას ნიშნავდა, რაც დიდ საფრთხეს უქმნიდა

[1] Акты, т. 3, д. 179. стр. 98—99. შდრ. ნ. დადიანი, „ქართველთ ცხოვრება“, გვ. 198.

რუსეთს მთელ ამიერკავკასიაში. 1807 წლის 21 მაისს ოსმალებმა 7000-იანი არმიით იერიში მიიტანეს გუმრის ციხეზე. ნესვეტაევს კი სულ 1200 ჯარისკაცი ჰყავდა. პირველი იერიშისას ოსმალებმა ხუთასამდე ჯარისკაცი დაკარგეს, ციხე კი ვერ აიღეს[1]. იუსუფ ზია-ფაშამ განიზრახა, გაემეორებინა თავდასხმა. მდგომარეობა რუსეთისთვის მეტად კრიტიკული ხდებოდა, ამიტომ ნესვეტაევმა სასწრაფოდ აცნობა გრაფ გუდოვიჩს შექმნილი მდგომარეობისა და საომარი მასალის ნაკლებობის შესახებ. 25 მაისს გრაფი გუდოვიჩი წალკიდან მისაშველებლად დაიძრა თავისი ჯარით, სასწრაფოდ გაუგზავნა ნესვეტაევს საომარი მასალა და თანაც შეუთვალა: «...Я приближаюсь к Вам форсированным маршем... Я видел уже опыты Вашей храбрости и благоразумных распоряжений, остаюсь уверенным, что вы, конечно, удержитесь против неприятеля в столь короткое время до моего соединения с вами. Я желал бы, чтобы сераскир до прибытия моего не ушел, и дабы я мог дать ему главное сражение»[2].

გუმრის ციხეს 2 ივნისს 10.000-იანი არმიით მეორედ შემოუტია იუსუფ ზია-ფაშამ, მაგრამ ეს იერიში მარცხით დამთავრდა და მან 400-მდე ჯარისკაცი დაკარგა[3]. 14 ივნისს გუდოვიჩი 6.000-იანი მაშველი ჯარით მოადგა აღნიშნულ ციხეს. 18 ივნისს კი არფაჩაის ნაპირზე გაიმართა დიდი ბრძოლა, რომელიც რუსული სამხედრო ხელოვნების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. 6.000-იანმა რუსეთის არმიამ გაანადგურა 24.000-იანი ოსმალეთის არმია და ხელთ იგდო დიდძალი სამხედრო დავლა[4]. გადარჩენილი მცირერიცხოვანი რაზმით იუსუფ-ფაშამ ყარსის ციხეს შეაფარა თავი.

არფაჩაისთან ბრწყინვალე წარმატებისათვის გენერალ გუდოვიჩს ფელდმარშლობა ებოძა. აღნიშნულმა გამარჯვებამ კავკასიის მთელ ფრონტზე გარდატეხა მოახდინა. მან განწყობილება შეუცვალა არა მარტო იუსუფ ზია-ფაშას, არამედ თვით ირანის მმართველ

---

[1] Акты, т. 3, д. 946, стр. 545. Предписание гр. Гудовича ген. Небольсину от 2 июня 1807 г.

[2] Акты, т. 3, д. 947, стр. 545.

[3] Акты, т. 3, л. 946, стр. 545, Предписание гр. Гудовича ген.Небольсину от 2 июня 1807 г.

[4] Акты, т. 3, д. 182, стр. 100. рапорт гр. Гудовича Александру I от 20 июня 1807 г. შდრ. Акты, т. 3. д. 957, стр. 548, შდრ. დ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია..., გვ. 32.

წრეებსაც. ირანის შაჰი არფაჩაის ბრძოლას შორიდან ადევნებდა თვალ-ყურს და გარკვეულ მომენტში რუსი და ქართველი ჯარისკაცების წინააღმდეგ ბრძოლაში 12-ათასიანი არმიით აპირებდა ჩაბმას[1].

ოსმალეთის სარდლობამ არფაჩაისთან დამარცხება მწვავედ განიცადა. იგი სამეჯრელოში თავისი ადრინდელი მდგომარეობის აღდგენას შეეცადა. ამ მიზნით 1807 წლის ივლისის პირველ რიცხვებში ოსმალთა დიდი რაზმი საზღვაო ნავებით მოადგა მდინარე ნაბადას და მის მარჯვენა სანაპიროზე გადმოსხა 700 კაცისაგან შედგარი დესანტი. მაგრამ ოსმალებს მოლოდინი არ გაუმართლდათ. 6—7ივლისს რუსეთის ჯარის ნაწილებმა და მეგრელთა რაზმებმა სასტიკი დამარცხება აგემეს მათ. ოსმალები გაიქცნენ, ბრძოლის ველზე დატოვეს დიდძალი საომარი მასალა და მებრძოლთა საკმაო რაოდენობა მოკლულთა და დაჭრილთა სახით[2].

ირანთან დროებითი ზავის დადების საქმე თითქოს რეალური ხდებოდა. ტილზიტის ზავით განაწყენებულმა შაჰმა თავისი იმედები საქართველოს დაბრუნების შესახებ, რომელიც ნაპოლეონს დაუკავშირა, გაცრუებულად ჩათვალა და ცდილობდა ზურგი ექცია საფრანგეთისათვის.

არფაჩაისთან მოპოვებულმა გამარჯვებამ უდავოდ ჩაშალა იმ ხანებში ირან-ოსმალეთის სამხედრო კოალიციის გაფორმება და სერიოზული ბზარი გაუჩინა ამ კავშირის შემდგომი გაფორმების საქმესაც.

გუდოვიჩის წარმატებას ანაპის ციხე-სიმაგრის მოშლამაც შეუწყო ხელი. 1807 წლის 9 მაისს შავი ზღვის ფლოტის ესკადრა კონტრ-ადმირალ ს. ა. პუსტოშკინის მეთაურობით ანაპას მოადგა. მან ადმირალის ხომალდზე წითელი ალამი აღმართა, რომელიც შორიდან მოსჩანდა როგორც ოსმალეთის ალამი. ამით მოატყუა ისედაც არასაკმაოდ ფხიზელი ოსმალთა გარნიზონი. პუსტოშკინმა მოითხოვა ანაპის ციხე-სიმაგრე მისთვის უბრძოლველად გადაეცათ[3]. მაგრამ ანაპის გარნიზონმა უყმბარები დაუშინა ხმელეთიდან ესკადრის ეკიპაჟს. 10 მაისს პუსტოშკინმა ხელმეორედ მოსთხოვა ანაპის კომენდანტს, ციხე-სიმაგრე უბრძოლველად ჩაებარებია. მაგრამ ოს-

---

[1] **А. Михайловский—Даниловский**, Указ. соч, т. 3, გვ. 60.
[2] **Акты**, т. 3, д. 1958, стр. 549.
[3] **А. Петров**, Указ. соч. გვ. 337—338.

მალებმა კვლავ ცეცხლის დაშენით უპასუხეს. რუსთა ესკადრის ძლიერმა საარტილერიო ცეცხლმა 11 მაისს გასტეხა ანაპის 4000-იანი გარნიზონი: ოსმალები გაიფანტნენ. დიდძალი სამხედრო ნადავლი (86 ქვემეხი და სხვა საომარი მასალა) ჩაიგდო ხელში პუსტოშკინის ესკადრამ და უკანვე გაბრუნდა. ოსმალებისათვის მოიშალა ეს მეტად მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე შავი ზღვის სანაპიროზე. ანაპის მოშლით სუსტდებოდა ოსმალეთის პოზიციები ჩრდილოეთ კავკასიაში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა რუსეთის პოზიციების განმტკიცებას კავკასიაში[1]. ოსმალეთი დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდა, როგორც დუნაის, ისე ალპოსავლეთის (კავკასიის) ფრონტზე. სამხედრო წარუმატებლობა იწვევდა ოსმალეთის არმიის გახრწნას, რაც განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, როგორც კი სტამბოლიდან მიღებულ იქნა ცნობა სასახლის გადატრიალების შესახებ[2].

ტილზიტის ზავი და რუსეთ-ოსმალეთის დაახლოებით დაზავება კავკასიის ფრონტზე

სულთან სელიმ III-ის ხელისუფლების დამხობამ ნაპოლეონს საბაბი მისცა, მკვეთრად შეეცვალა დამოკიდებულება ოსმალეთის მიმართ; ნაპოლეონს რუსეთთან კავშირი იმჟამად უფრო სჭირდებოდა და ოსმალეთთან დამოკიდებულებაში ისეთივე როლს თამაშობდა, რა როლიც თავის დროზე ირანის მიმართ გაითამაშა. როგორც კი გაიგო, რომ სულთან სელიმ III დამხობილია, ნაპოლეონმა შესძახა: «**С этими варварами нельзя иметь дела. Провидение избавляет меня от них. Устроим наши дела за их счет**».[3] ნაპოლეონი ახლა უკვე ცდილობდა დაკავშირებოდა რუსეთს და დაეპირისპირებინა იგი ინგლისისათვის.

ტილზიტთან ნაპოლეონისა და ალექსანდრე I-ის შეხვედრას მოჰყვა რუსეთსა და საფრანგეთს შორის საზავო ხელშეკრულების გაფორმება (1807 წ. 7 ივლისი). საფრანგეთი ცნობდა რუსეთის შეღავლობას ინგლისთან დაზავების საქმეში, ხოლო რუსეთი საფრანგეთის შუამავლობას ოსმალეთთან დაზავებისათვის. ამ ხელშეკრულებით დადგენილ იქნა, რომ რუსეთის არმია დასტოვებდა მოლდავეთსა და ვალახეთს, ხოლო ოსმალეთს საბოლოო ზავის დადებამდე

[1] ანაპის სტრატეგიული მნიშვნელობისა და ანაპისათვის ბრძოლების შესახებ ლაპარაკი დაწვრილებით ქვემოთ გვექნება.

[2] А. Ф. Миллер, Указ. соч., გვ. 151—152.

[3] Лависс и Рамбо, История XIX века, т. 2, стр. 167, М., 1938.

უფლება არ ჰქონდა ხელი ეხლო აღნიშნული სამთავროებისათვის. გარდა ზემოაღნიშნულისა, ტილზიტის ხელშეკრულების ერთ-ერთ საიდუმლო მუხლში ნათქვამი იყო: თუ კი ოსმალეთი უარს განაცხადებს საფრანგეთის შუამავლობაზე რუსეთთან დაზავების საკითხში, ან თუ მიიღებს აღნიშნულ შუამავლობას, მაგრამ არ დასდებს სამი თვის განმავლობაში ზავს, საფრანგეთი რუსეთთან ერთად იმოქმედებს ოსმალეთის წინააღმდეგ და მოკავშირე სახელმწიფოები მიიღებენ ყოველგვარ ზომებს, რათა განთავისუფლებულ იქნას ოსმალეთის ბატონობის სამარცხვინო უღლისაგან ოსმალეთის იმპერიის ევროპული პროვინციები[1].

ტილზიტის საზავო ხელშეკრულების უახლოესი შედეგები მდგომარეობდა იმაში, რომ ნაპოლეონის სასარგებლოდ იმპერატორი ალექსანდრე I ხელს იღებდა ინგლისის მოკავშირეობაზე; თავის მხრივ ნაპოლეონი რწმენას გამოსთქვამდა, რომ ალექსანდრე I-თან კავშირს შესწირავდა საფრანგეთის ოსმალეთთან მეგობრობას. გარდა ამისა, ტილზიტში წამოიჭრა საკითხი ევროპული ოსმალეთის დანაწილების შესახებ საფრანგეთსა და რუსეთს შორის. ნაპოლეონმა ოსმალეთის დანაწილების თაობაზე ალექსანდრე I-ს განუცხადა: **«Само провидение освобождает меня от обязательств в отношении к Порте. Мой союзник, мой друг, Султан Селим низвержен с престола в оковы. Я думал, что можно делать что-либо из турок, возбудив в них энергию, и научив их пользоваться врожденным им мужеством. Но это оказалось мечтой. Надо кончить с государством, которое не может далее существовать, приняв меры, чтобы Англия не воспользовалась этою добычей для усиления своего могущества»**[2].

რუსეთსა და საფრანგეთს აკავშირებდა ოსმალეთის დანაწილების სურვილი. მაგრამ თვით მოკავშირეთა შორის იწვევდა ეს საკითხი უნდობლობას ერთმანეთის მიმართ.

ხმამ ტილზიტში დაზავების შესახებ სტამბოლში უფრო ადრე ჩააღწია, ვიდრე ოფიციალურმა დეპეშამ. ოსმალებმა დაიწყეს ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ნაპოლეონი შეურიგდა რუსებს და ისინი ბედის ანაბარა დასტოვა; სებასტიანმა კი არაფერი იცოდა დაზავების

---

[1] К. Богданович, История царствования императора Александра I, т. 2, стр. 300—304.

[2] Богданович, Указ. соч., т. 2, стр. 307.

შესახებ და აღშფოთებული ითხოვდა ტალეირანისაგან (1807 წ. 18 ივლისს), ჩაეყენებინა იგი საქმის კურსში ტილზიტში მომხდარი ამბების შესახებ. თავის წერილს იგი შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა: «Похоже на то, что я обманул это правительство и намерен обманывать его и дальше»[1]. ოსმალეთში მალე მიღებულ იქნა ოფიციალური ცნობა ტილზიტში დაზავების შესახებ, რაც ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქვეყანას. სტამბოლის ქუჩებში სახალხოდ ლანძღავდნენ ფრანგებს ტილზიტში დაზავებისათვის. მუსტაფა პაირახტარი დუნაის ფრონტიდან იუწყებოდა, რომ «Император французов только что заключил свой мир и вернулся в Париж. В подписанном договоре ничего не говорится о Турции. Он выдает нас на милость русских... Видите, как были вы неблагоразумны, возложив все Ваше доверие на Францию и взяв обязательство договариваться с Россией и Англией не иначе, как с ее согласия»[2].

სებასტიანი შეუდგა იმის მტკიცებას, რომ თითქოსდა ტილზიტი იყო ოსმალეთის მთლიანობისა და დამოუკიდებლობის გარანტია.

ინგლისს უიმედობაში აგდებდა რუსეთის გარეშე ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლა. იგი უკვე მიხვდა დანაშაულს, თავის დროზე არაკეთილსინდისიერად რომ ასრულებდა სამოკავშირეო ვალდებულებას. ინგლისმა ტილზიტი განიცადა, როგორც ძლიერი დარტყმა, მაგრამ იგივე ტილზიტი უხსნიდა მას ახალ შორეულ პერსპექტივებს საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ჯერ ერთი, ინგლისელებს შეეძლოთ დანუგეშებულიყვნენ იმით, რომ იგივე აღმოსავლეთის საკითხი, რომელიც გახდა საფრანგეთ-რუსეთის „დამეგობრების“ ერთი მოტივი, შექმნიდა გარდაუვალ წინააღმდეგობას ახალ მოკავშირეთა შორის. გარდა ამისა, ინგლისის მთავრობას საშუალება ეძლეოდა ესარგებლნა საფრანგეთ-ოსმალეთს შორის უკვე გაცივების პროცესში მყოფი მეგობრობით და თუ, ჯამდე ოსმალეთი საფრანგეთის ხელში იყო იარაღი ინგლისისა და რუსეთის წინააღმდეგ, ახლა იგი გაეხადა თავის იარაღად რუსეთისა და

[1] А. Ф. Миллер. Указ. соч., стр. 182.
[2] იქვე, გვ. 183.

საფრანგეთის წინააღმდეგ. ინგლისის მთავრობა ამგვარად ცდილობდა საფრანგეთ-ოსმალეთის კავშირი შეეცვალა ინგლის-ოსმალეთის კავშირით.

რუსეთის მოკავშირე ინგლისი ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლას თავის საკუთარ ეგოისტურ მიზნებს უქვემდებარებდა. რომ გასაგები გახდეს ინგლისის მოღალატური როლი რუსეთთან მისი მოკავშირეობის ერთ ეტაპზე, ჩვენ შევჩერდებით ხმელთაშუა ზღვის აუზში ინგლისისა და რუსეთის საზღვაო ფლოტების მოქმედებაზე. ცნობილია, რომ 1804 წლიდან ადმირალი სენიავინი იმყოფებოდა იონიის რესპუბლიკაში, იგი იყო რუსეთის ფლოტისა და ჯარის სარდალი ხმელთაშუა ზღვის აუზში. ოსმალეთთან ომის დაწყებისთანავე, მას ებრძანა ფლოტის მცირე ნაწილი დაეტოვებინა იონიის რესპუბლიკაში, ხოლო ძირითადი ძალებით მოეწყო ოსმალეთის სანაპიროებისა და დარდანელის ბლოკირება, ხელი შეეშალა ოსმალეთისათვის ურთიერთობა ჰქონოდა ეგვიპტესთან, აზიის სანაპიროებთან, ფრანგებთან. დაეპყრო არქიპელაგის კუნძულები, სადაც იმყოფებოდა ოსმალეთის ვერფები და გემთმშენებლობისათვის საჭირო ხე-ტყის მარაგი. მძიმე პირობები შეექმნა ოსმალეთისათვის. და ეჰქმედნა მის წინააღმდეგ ინგლისის ფლოტთან ერთად. საზღვაო ბრძოლა ოსმალეთის წინააღმდეგ, რომელიც ხმელთაშუა ზღვის აუზში 1807 წ. გაზაფხულზე გაიშალა, მთელი თავისი სიმძიმით დააწვა არა ინგლისს, არამედ რუსეთის საზღვაო ფლოტს. 1806 წლის შემოდგომასა და ზამთარში ფრანგები რუსეთის ძლიერი დარტყმების შედეგად მეტისმეტად შესუსტებულნი იყვნენ. რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომის დაწყება მძიმე მდგომარეობაში აგდებდა ხმელთაშუა ზღვის აუზში მყოფ რუსეთის ფლოტს, რადგანაც მასთან შავი ზღვით დაკავშირება შეუძლებელი ხდებოდა. თავის ვრცელ მოხსენებით ბარათში, რომელიც ალექსანდრე I-სათვის საზღვაო მინისტრ ჩიჩაგოვს 1806 წლის 18 დეკემბერს, ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე წარუდგენია, მხილებულ იყო ინგლისის მიზნები და მისი მოღალატური საქმიანობა რუსეთის მიმართ. ჩიჩაგოვი შიშობდა, რომ ინგლისელების მიზანი იყო არა იმდენად ხმელთაშუა ზღვის აუზში მტრის წინააღმდეგ ბრძოლა, რამდენადაც ეგვიპტის დაპყრობა. იგი წერდა: «Нет ни малейшего сумнения, чтобы Сент-Жемский кабинет коего намерения обыкновенно на

одну собственную пользу устремляются, не употребил всех средств к занятию Египта, можно сказать, из-под ног наших»[1].

ინგლისელები, ჩიჩაგოვის აზრით, მთელი ძალით შეეცდებოდნენ მტკიცედ დამკვიდრებულიყვნენ კუნძულ მალტაზე, რომელიც მათ სჭირდებოდათ არა მარტო როგორც ბაზა ეგვიპტის დაპყრობისათვის, არამედ აგრეთვე თავისი ბატონობის დამყარებისათვის ხმელთაშუა ზღვაზე, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და შავი ზღვის აუზში. ჩიჩაგოვი წერდა: «Не ясно ли представляется, что утвердясь в Мальте, постараются они (ლაპარაკია ინგლისელებზე, ნ. ქ.) утвердить себя на Средиземном море и потом сочтут себя в праве распространить влияние свое и на все окрестные владения? Первая цель их будет взять под защиту свою Египет, а тем усугубить влияние свое на турок; потом на греков и на весь тот край. Отсюда пойдут они далее обеспечивать себя в завладении восточной торговли... *Они намеревались даже утвердиться под именем колоний, на черноморских берегах наших... Они знают, что край сей со всеобщею торговлею представляет несчетные способы к содержанию обширного флота; конечно имеют англичане сие в виду и хотят у нас из рук вырвать сии выгоды. Сие предполагать должно по правилам обыкновенной английской политики, которая, не щадя никого кроме себя, ослепляет других деньгами, сберегает драгоценнейшее свое сокровище-людей, проливает кровь союзников, шествует всегда скорыми шагами к источникам обогащения и пополняет оными временные свои издержки*»[2] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.).

ამგვარად ახასიათებდა ჩიჩაგოვი ინგლისის პოლიტიკას თავისი მოკავშირის რუსეთის მიმართ ჯერ კიდევ 1805 წ. 22 სექტემბერს.

ადმირალი დუკვორტი 1807 წლის 7 თებერვალს სენიავინთან შეუთანხმებლად დარდანელში შეიჭრა, გაიარა მარმარილოს ზღვა, ოსმალეთის შემხვედრი გემები გაანადგურა და 9 თებერვალს მიადგა კონსტანტინოპოლს. კონსტანტინოპოლი სრულიად მოკლებული იყო დაცვას. სულთანმა კატასტროფა გარდუვალად ჩათვალა და სებასტიანს, ნიშნად პროტესტისა საფრანგეთის მიმართ, განუცხადა სასწრაფოდ დაეტოვებინა კონსტანტინოპოლი. დუკვორტმა, რომელიც

[1] АВПР, ф. Канцелярия, 1806 г. д. 7891, л. 212.

[2] იქვე, ფ. 213—214.

მოკლებული იყო ყოველგვარ დიპლომატიურ ნიჭს, მოლაპარაკება გაუმართა სულთანს ომი დაეწყო საფრანგეთის წინააღმდეგ. სულთანს შეეშინდა, ადმირალ სენიავინის ფლოტიც არ შეერთებოდა მას და ამიტომ ინგლის-ოსმალეთის ომის შეწყვეტა და საფრანგეთთან ომის დაწყება აღუთქვა. სებასტიანი გაქნილი დიპლომატი იყო; მან შეძლო სულთნის განწყობილების შეცვლა, ხელში აიღო კონსტანტინოპოლის დაცვის საქმე და გასცა განკარგულება, ინგლისელები ჩაეკეტათ მარმარილოს ზღვაში, ხოლო რუსეთის ფლოტი დარდანელის სრუტეში არ შემოეშვათ. სებასტიანი ენერგიულ ზომებს ღებულობდა კონსტანტინოპოლის დაცვისათვის. მისი მითითებით კონსტანტინოპოლის დასაცავად აღიმართა ახალი სიმაგრეები. მარშალ მარმონის მიერ დალმაციიდან გამოგზავნილმა გენერლებმა — გაქსო და ფუამ, ფრანგ ინჟინრებთან ერთად, დარდანელის ნაპირებზე გამართული ბატარეები საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანეს. სებასტიანმა, თავდაცვის ორგანიზაციასთან ერთად, ინგლისის ფლოტის განადგურების გეგმა შეადგინა; განზრახული ჰქონდა მარმარილოს ზღვაში ჩაეკეტათ ინგლისის ფლოტი, არ მიეცათ მისთვის საშუალება არც ხმელთაშუა ზღვაში და არც შავ ზღვაში გასვლისა. ადმირალი დუკვორტი გვიან მიუხვდა სებასტიანს და იგი სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. დუკვორტმა ბრძოლის დაწყება დააგვიანა და საშუალება მისცა სებასტიანს ზღვის სანაპიროებზე განელაგებია 200 ქვემეხი, ხოლო სამხედრო გემები ბოსფორთან მიეახლოვებინა. ინგლისის ფლოტმა დიდი დანაკარგით ძლივს დააღწია თავი განადგურებას და უკანვე გამობრუნდა.

ადმირალი დუკვორტი სენიავინთან შეუთანხმებლად მოქმედებდა; მას სურდა გამარჯვების შედეგები თვითონვე მოემკა. კონსტანტინოპოლში იმ მიზნით გაილაშქრა, რომ მას მარტო დაუფლებოდა, რის შემდეგ საფრთხე შეექმნა არა მარტო ოსმალეთის იმპერიისათვის, არამედ აგრეთვე თვის მოკავშირე რუსეთსაც კი დამუქრებოდა.

1807 წ. 23 თებერვალს დარდანელთან განადგურებას გადარჩენილი, მაგრამ საკმაოდ დაზარალებული ინგლისის ფლოტი პირისპირ შეხვდა კუნძ. ტენედოსთან რუსეთის ფლოტს სენიავინის მეთაურობით. უკანასკნელმა წინადადება მისცა მოკავშირე სახელმწიფოს ფლოტის მეთაურს, ერთად ემოქმედნათ ოსმალეთის წინააღმდეგ; უკიდურეს შემთხვევაში, რუსეთის ფლოტისათვის კონსტანტინოპო-

ლზე საიერიშოდ გადაეცა 2 გემი და 2 ბომბდამშენი ხომალდი. დუკვორტმა უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ მას ლონდონიდან ბრძანება ჰქონდა მიღებული თავისი ფლოტით ეგვიპტის დაპყრობის საქმეში მიეღო მონაწილეობა[1].

როცა ალექსანდრე I-მა საფრანგეთთან რუსეთისათვის მეტისმეტად მძიმე საზავო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, ინგლისმა დაადანაშაულა რუსეთი იმაში, რომ მან უღალატა სამოკავშირეო ხელშეკრულებას და სეპარატული ზავი დადო საფრანგეთთან[2]; მაგრამ არაფერს ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ თვითონ ინგლისი სამოკავშირეო ხელშეკრულების პირობებში ღალატობდა რუსეთს.

რუსეთის მთავრობა თავს იმართლებდა ინგლისის მიერ წაყენებული ბრალდებისაგან და სამოკავშირეო ხელშეკრულების დარღვევაში თვითონ ინგლისს დანაშაულებდა. რუსეთის მთავრობა მოაგონებდა ინგლისს სენიავინის გარეშე ჩატარებულ ოპერაციას დარდანელში დუკვორტის მიერ და მის მავნე შედეგებს ოსმალეთის წინააღმდეგ ომში. მოაგონებდა დუკვორტის ეგვიპტეში გალაშქრებას, რომელიც წმინდა ეგოისტური მიზნებიდან გამოდიოდა და რომელიც ასუსტებდა სენიავინის ოპერაციების შედეგებს ოსმალეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლებში. რუსეთის მთავრობის ოფიციალურ განცხადებაში ვკითხულობთ: «Если бы Английская эскадра, прошедшая через Дарданеллы, соединилась с Российскою, если бы она употребляла те 10.000 войска, кои были посланы в Египет, и соединила их с 12.000 русских войск, бывших в Корфу, нападение на Константинополь составило бы тогда важную диверсию для России. Но Англия поступила совершенно тому противно: отступив от Константинополя с неизгладимым стыдом, она предприняла сделать нападение на Египет. Нападение сие нимало не ослабляло армии великого визиря и не имело никакой связи с войною России против Порты»[3].

იქვე მხილებულია ინგლისის მთავრობისათვის ჩვეული წმინდა აგრესიული მისწრაფებანი ძარცვა-გლეჯისა და სხვათა ტერიტორიების დაპყრობისაკენ მიმართული, რასაც საუკუნეების მანძილზე აწარმოებდა და ამჟამადაც აწარმოებს ინგლისის ბურჟუაზია. „Им

[1] ЦГВИД, ф. ВУА, д. 2875, ч. 1, л. 132.
[2] АВПР, ф. канцелярия, 1807 г. д. 6810, л. 615 и об
[3] იქვე, ფ. 668.

(ლაპარაკია ინგლისის მთავრობის მინისტრებზე), *нужны предприятия, где можно было произвести грабеж; они исчисляют последствия войны по прибыли и процентам, они думают только,* где можно приобрести деньги»[1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.).

იქვე მხილებულია ინგლისის, როგორც რუსეთის მოკავშირის, მოღალატური საქმიანობა საფრანგეთთან ომის პერიოდში. «*В то время*, — ნათქვამია ზემოთ მოტანილ საბუთში, — *как Россия боролась с Францией, Лондонский кабинет употреблял воинския силы Англии для единственной ея пользы*»[2] რუსეთის სამხედრო წრეები ინგლისზე სრულიად გულგატეხილნი იყვნენ, რადგანაც ომის სიმძიმე რუსეთის ზურგზე გადადიოდა და ინგლისი კი თავის მოკავშირე რუსეთს ანგარიშს არ უწევდა, იგი ყოველთვის მზად იყო მოგების მიზნით თავისი მოკავშირე გაეწირა; «В течение четырех военных союзов мы врели.— ნათქვამია ზემოაღნიშნულ განცხადებაში, — как Англия посмеивалась на зрелище бедствий, объемлющем твердую землю, питала свою торговлю кровью человеческою, и ни во что ставила жестокия поражения, для нее безопасныя»[3].

ზემოთ მოტანილი საბუთებიდან უთუოდ მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: რუსეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფი საფრანგეთი თავის სამხედრო ძალასა და დიპლომატიას რუსეთის წინააღმდეგ წარმართავდა, ხოლო რუსეთის მოკავშირე ინგლისის მთავრობა კი, მხარს უჭერდა და გამოხატავდა რა ინგლისის სავაჭრო და სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს, ღალატობდა თავის მოკავშირე რუსეთს და ცდილობდა რუსი ჯარისკაცების სისხლის ფასად მოპოვებული გამარჯვება მიესაკუთრებინა.

ოსმალეთსა და რუსეთს შორის დროებითი ზავის დადების საკითხი დღის წესრიგში იდგა.

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი რუსეთის მოკავშირეობას აღიარებდა, ნაპოლეონის მთავრობას გამიზნული ჰქონდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის შუამავლობით ვერაგულად ესარგებლნა და საქმე ისე წარემართა, რომ ტილზიტით განაწყენებული ოსმალეთი

[1] АВПР, ф. канцелярия, 1807 г. д. 6810, л. 673.
[2] იქვე, ფ. 668.
[3] იქვე, ფ. 676.

მოემადლიერებინა, მისთვის საშუალება მიეცა საკმაოდ გაძლიერებულიყო მომავალში რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად; მოკავშირე რუსეთი კი, რამდენადაც შეიძლებოდა, დაზარალებულიყო საზავო ხელშეკრულების პირობებით, რაც, ცხადია, გამოიწვევდა რუსეთის პრესტიჟის დაცემას ევროპასა და აზიაში.

საზავო მოლაპარაკება დაიწყო 1807 წლის აგვისტოს ვალახიის ქალაქ სლაბოდეაში. რუსეთის მხრიდან მოლაპარაკებაში მონაწილეობას ღებულობდა დიპლომატი ს. ლაშქარევი, ოსმალეთის მხრიდან კი — დიპლომატი გალიბ-ეფენდი. ტილზიტის ხელშეკრულების საფუძველზე საფრანგეთის მხრივ საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობდა გენერალი გილიემინო. მართალია, გილიემინოს თითქოსდა შუამავლის როლი უნდა შეესრულებინა, მაგრამ ის უფრო მეტ დაინტერესებას იჩენდა იმაში, რომ რუსეთისათვის ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში მომხდარიყო ოსმალეთთან დაზავება. ამიტომ შემთხვევითი არ იყო ს. ლაშქარევის წერილი მიხელსონისადმი, სადაც ნათქვამია: **«Дело уладилось бы скорее и лучше, если бы между мною и турецкими уполномоченными не было еще лица, всячески старавшегося возбуждать и создавать недоразумения и препятствия»**[1].

მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთს ფრონტებზე ცუდად ჰქონდა საქმე და ის უფრო მეტად იყო დაინტერესებული რუსეთთან დაზავების საკითხით, სლაბოდეაში ხელმოწერილი პირობები გაცილებით ხელსაყრელი იყო ოსმალეთისათვის, ვიდრე რუსეთისათვის.

24 აგვისტოს სლაბოდეაში ხელმოწერილი დროებითი ზავის პირობები შემდეგს ითვალისწინებდა: 1. საომარი მოქმედება წყდებოდა რუსეთსა და ოსპალეთს შორის; 2. საბოლოო ზავის პირობების შესამუშავებლად უნდა შეკრებილიყვნენ ორივე მხარის წარმომადგენლები და მიუხედავად იმისა, იქნებოდა მიღწეული შეთანხმება თუ არა, საომარი მოქმედება მაინც უნდა შეწყვეტილიყო 1808 წლის 22 მარტამდე (3 აპრილამდე); 3. დროებითი ზავის პირობებზე ხელმოწერიდან არაუგვიანეს 35 დღისა, ოსმალეთისა და რუსეთის ჯარებს უნდა დაეტოვებინათ მოლდავეთი და ვალახეთი; მაგრამ ოსმალეთს უფლება ენიჭებოდა მოლდავეთისა და ვალახეთის მთავარ ციხე-სიმაგრეებში — იზმაილში, ბრაილოვში და ჟურჟაში ჰყოლოდა თავისი გარნიზონი; 4. რუსეთი ვალდებული იყო

[1] Д. Бухаров, Россия и Турция, СПБ, 1878, стр. 52—53.

გამოეწვია თავისი ფლოტი ტენედოსის კუნძულიდან და უარი ეთქვა თავის ყველა დაპყრობებზე არქიპელაგში; 5. ორივე მხარეს ერთმანეთისათვის უნდა დაებრუნებინა ომის მსვლელობაში წართმეული ხომალდები და მოეხდინათ სამხედრო ტყვეთა გაცვლა-გამოცვლა[1].

მოტანილი მუხლებიდან ჩანს, რომ სლაბოდეას მოლაპარაკებაში რუსეთმა დიდი დიპლომატიური მარცხი განიცადა. უველაზე უფრო მნიშვნელოვანი და მთავარი დათმობა რუსეთის მხრივ მოლდავეთიდან და ვალახეთიდან არმიის ევაკუაცია იყო. გილიემინო მოლაპარაკებისას კატეგორიულად მოითხოვდა აღნიშნული სამთავროებიდან რუსეთის ჯარების გაყვანას, რასაც ასაბუთებდა იმით, რომ მიუთითებდა ტილზიტის ზავის პირობებზე[2].

უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი სხვა საკითხების გადაწყვეტაშიაც მზად იყო უფრო მეტად დახმარებოდა ოსმალეთს, ვიდრე რუსეთს.

როგორც ცნობილია, რუსეთ-ოსმალეთის (1735—1739, 1768—1774, 1787—1791 წლების) ომებმა არსებითად გააუმჯობესა მოლდავეთისა და ვალახეთის მდგომარეობა, დაასუსტა ოსმალეთის გავლენა აღნიშნულ სამთავროებში.

ოსმალეთი ვალდებული იყო აღედგინა მოლდავეთისა და ვალახეთის ავტონომია, რითაც ეს სამთავროები ფაქტიურად რუსეთის მფარველობის ქვეშ გადადიოდნენ. რუსეთის გავლენა იმდენად გაიზარდა მოლდავეთსა და ვალახეთში, რომ მათი მთავრების დანიშვნა რუსეთის მთავრობის თანხმობით ხდებოდა. მაგრამ ეს უფლება უკანასკნელმა საფრანგეთის მიერ თურქეთის წაქეზების შედეგად ჯერ კიდევ რუსეთ-ოსმალეთის ომის (1806—1812 წწ.) დაწყებამდე დაჰკარგა, რაც ფაქტიურად აღნიშნული ომის საბაბი გახდა.

რუსეთ-ოსმალეთის საომარი ოპერაციის შეწყვეტას (1807 წ.), თუნდაც დროებით, მაშინდელ ვითარებაში უაღრესად საგანგებო მნიშვნელობა ჰქონდა. ოსმალეთთან ომის დაწყებით მკვეთრად გაიზარდა რუსეთის გავლენა ახლო აღმოსავლეთში. დუნაის სამთავროებში შესვლასთანავე რუსეთის სარდლობამ მჭიდრო კავშირი დაამყარა სერბიელებთან, რომლებიც ჯერ კიდევ 1804 წელს აჯანყდნენ

---

[1] С. Жигарев, Указ. соч. т. I, гл. 268, Ср. Д. Бухаров, Указ. соч. стр. 53.

[2] А. Петров, Указ. соч. т. 1, стр. 282.

ყარა გიორგის მეთაურობით და განაგრძობდნენ ბრძოლას ოსმალეთის წინააღმდეგ.

რუსეთი აჯანყებულ სერბიელებს სამხედრო დახმარებას უწევდა, რამაც განსაკუთრებით ეფექტური ხასიათი რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე მიიღო. ომის პირველ დღეებში იქნა დადებული რუსეთსა და სერბიას შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე დუნაიზე მყოფ რუსეთის ჯარებს დახმარება უნდა გაეწია სერბიელებისათვის ოსმალო დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

სლაბოდეას საზავო ხელშეკრულებით რუსეთი ჩაერგავდა მოლდავეთისა და ვალახეთის პლაცდარმს, უნებლიედ მას ხელი უნდა აეღო სერბიის მოკავშირეობაზე და იმ წარმატებებზე, რომელიც საზღვაო ბრძოლებში მოიპოვა.

მოლდავეთისა და ვალახეთის ზემოაღნიშნულ ციხე-სიმაგრეებში (იზმაილში, ბრაილოვსა და ჟურჟაში) ოსმალეთის გარნიზონთა დარჩენა, არსებითად აუმჯობესებდა ოსმალეთის მდგომარეობას დუნაისპირა სამთავროებში და ძირს უთხრიდა იქ რუსეთის გავლენას. სლაბოდეას ხელშეკრულების სისრულეში მოყვანა დიდ ჩრდილს მიაყენებდა რუსეთის ყველა იმ წარმატებას, რაც მოპოვებული იყო სახმელეთო და საზღვაო ბრძოლების შედეგად.

გარკვეული მოსაზრებიდან გამომდინარეობდა გენერალი გილიემინო, როცა ოსმალეთს უჭერდა მხარს. გილიემინო საქმეს ასე განიხილავდა: რაც უფრო არახელსაყრელი აღმოჩნდება რუსეთისათვის დროებითი ზავის პირობები, მით უფრო დაინტერესდება იგი ნაპოლეონის მხრივ მხარდაჭერაში და, მაშასადამე, მით უფრო იქნება იგი მასზე დამოკიდებული.

ლაშქარევი ყველა იმ დათმობას, რომელიც სლაბოდეაში ოსმალეთის მიმართ მოხდა, გილიემინოს აბრალებდა; დაზავების დღეს იგი გენ. მიხელსონისადმი გაგზავნილ წერილში იტყობინებოდა: *«Слава богу, что и так удалось кончить. Если-бы одному быть с турком, то конечно, лучше бы было; нянку же имѣть трудно»*[1] (ხაზი ჩვენია ნ. ქ.).

[1] А. Петров, Указ. соч, т. I, стр. 277.

გარდა იმისა, რომ გენერალი გელიემინო „ძიძაობდა" ოსმალებს, მოლაპარაკების მსვლელობაში თვითონ ლაშქარევიც უტაქტოდ იქცეოდა. იგი იმდენად წინდაუხედავი და თავშეუკავებელი აღმოჩნდა მოლაპარაკების დროს, რომ თავის შვილს დაზავების პირობებზე ხმამაღლა ელაპარაკებოდა იმით დაიმედებული, რომ იქ დამსწრე ოსმალებსა და ფრანგებს შორის არავინ იყო რუსული ენის მცოდნე. ბოლოს კი გამოირკვა, რომ გილიემინოს მიერ მოლაპარაკებაზე მდივნად მიწვეული ლედუ, ბუქარესტში საფრანგეთის ყოფილი კონსული, მოსკოვში იყო დაბადებული, კარგად ფლობდა რუსულ ენას და ოსმალებისა და ფრანგებისათვის კარგი ინფორმატორიც იყო[1].

სლაბოდეაში დადებული ხელშეკრულებით დიდად კმაყოფილი დარჩა ოსმალეთი. ხელშეკრულების ხელსაყრელმა პირობებმა, განსაკუთრებით ზემოაღნიშნული სამთავროებიდან რუსეთის არმიის ევაკუაციის მუხლმა და გამოზაფხულებამდე საომარი მოქმედების გარანტირებულმა შეწყვეტამ — ბევრ რამეში შეარიგა ტილზიტის ზავით განაწყენებული ოსმალეთი საფრანგეთთან.

სლაბოდეაში დადებული საზავო ხელშეკრულების მძიმე პირობებმა აღაშფოთა პეტერბურგის მთავრობა. ფელდმარშალ გუდოვიჩმა ჯერ არაფერი იცოდა დადებული ზავის შესახებ. 1807 წლის შემოდგომაზე გუდოვიჩს იუსუფ-ზია-ფაშამ წერილობით აცნობა დაზავების პირობები. იმავე წერილში იგი გუდოვიჩს მოთხოვნას უყენებდა დაებრუნებინა მისთვის საბუხედრო ნადავლი, რომელიც რუსებმა ხელთ იგდეს ოსმალეთთან ბრძოლაში, თავისი ჯარებიდან უკან, თბილისისაკენ დაეხია და ამგვარად ხელი აეღო დასავლეთ საქართველოზე.

გუდოვიჩს პეტერბურგიდან სასწრაფო განკარგულება მოუვიდა, ოსმალების მიმართ არავითარ დათმობაზე არ წასულიყო. გუდოვიჩმა იუსუფ-ზია-ფაშას მის ყველა მოთხოვნაზე უარი შეუთვალა და განუცხადა, რომ ის არ ემორჩილება გენერალ მიხელსონის მიერ სლაბოდეაში გაცემულ განკარგულებას, რადგანაც თვითონ ფელდმარშალია და თანაც მიხელსონისაგან დამოუკიდებელი ფრონტის მთავარსარდალი; ამიტომაც სურს მას, სრულიად დამოუკიდებლად წამოუყენოს დროებითი ზავის პირობები ფაშას საბოლოო

[1] А. Петров, Указ. соч. т. 1, стр. 277.

ზავის დადებამდე. გუდოვიჩი სწერდა, რომ იარაღის ძალით არ დაუკავებია სამხედრო ციხე-სიმაგრეები და ამიტომ არც არაფერი აქვს დასაბრუნებელი ოსმალეთისათვის; ხოლო ქვემეხებისა და სხვა საომარი იარაღების დაბრუნებაზე, რომელიც ნადაელის სახით ჩაიგდეს ხელში გუდოვიჩის ჯარებმა, იგი უარს აცხადებდა[1].

გუდოვიჩი არ იყო ტყვეების გაცვლა-გამოცვლის წინააღმდეგი, მიუხედავად იმისა, რომ ოსმალო ტყვეები გაცილებით მეტი იყვნენ, ვიდრე რუსები. იგი კატეგორიული წინააღმდეგი იყო რუსეთის ჯარის ნაწილების მიერ დაკავებული პოზიციების დატოვებისა და უკანდახევისა. გუდოვიჩი 1807 წლის 24 აგვისტოს იუსუფ-ფაშას სწერდა: «... **Требование ваше, чтобы я тотчас с войсками отступил к Тифлису, неспроведливо, ибо каждый в своих границах властен располагать войска для выгоды, где он захочет**»[2].

1807 წლის 2 სექტემბერს, ოსმალეთთან ბოლაპარაკების შემდეგ, სოფელ უზუმკალიში დროებითი ზავი დაიდო. რუსეთის სარდლობის მხრიდან მოლაპარაკებას აწარმოებდა გენერალ-მაიორი ტიტოვი, ხოლო ოსმალების მხრიდან ალი-ფაშა[3].

ამგვარად, ფელდმარშალ გუდოვიჩმა ოსმალეთთან დამოუკიდებელ საზავო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ეს ხელშეკრულება, სლაბოდეას ხელშეკრულებასთან შედარებით, ნაკლებად ხელსაყრელი იყო ოსმალეთისათვის. დროებითი ზავი დადებულ იქნა იმ პირობით, რომ ყოველ მათგანს უნდა გაეფრთხილებინა მეორე მხარე საომარი ოპერაციის განახლების შესახებ სამი კვირით ადრე.

ამ საზავო ხელშეკრულებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ იმერეთსა და სამეგრელოში რჩებოდა რუსეთის ჯარის ნაწილები გენერალ რიკჰოფის სარდლობით, მტკიცდებოდა რუსეთის პოზიციები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე და მზადდებოდა ნიადაგი მომავალში ოსმალეთისათვის ხელიდან გამოეტაცნათ საქართველოს შავიზღვისპირა პროვინციები. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთსა და ოსმალეთს შორის დროებითი ზავი დაიდო, ოსმალეთი მაინც აგრძელებდა მტრულ მოქმედებას რუსეთისა და საქართველოს მიმართ.

---

[1] **А. Петров**, Указ соч., т. 1, стр. 322.

[2] **Акты**, т. 3, д. 963, стр. 551.

[3] **П. Дубровин**, История войны и владычества русских на Кавказе, т. V. СПБ, 1887, стр. 188.

ახალციხის ფაშა არა მარტო თავს ესხმოდა საქართველოს საზღვრებს, არამედ ცდილობდა კიდეც ანტირუსული განწყობილება შეექმნა ქართველ ხალხში. თავის ჯაშუშებს უგზავნიდა იმერეთის მეფე სოლომონ II-ს და ავრცელებდა ხმას იმის შესახებ, თითქოს რუსეთმა გადასცა ოსმალეთს ყირიმი და მთელი საქართველო. 1807 წლის 4 დეკემბრის თარიღით გუდოვიჩი ახალციხის ფაშას მოქმედების შესახებ ერზრუმის იუსუფ-ფაშას უგზავნის წერილს და მოითხოვს მისგან საზავო ხელშეკრულების დაცვას; გუდოვიჩი წერს: «Ахалцыхский Селим паша... прислал к имеретинскому царю Соломону своих шпионов для разсеяния между народом нелепых слухов, якобы Всероссийская империя уступила блистательной Порте Оттоманской весь Крым, Грузию, Имеретию, Мингрелию и все области, у Персиян ею завоеванныя»[1].

საფრანგეთი ტილზიტის ზავის დადების შემდეგაც არ სწყვეტდა ოსმალეთსა და ირანში რუსეთის მიმართ მტრულ მოქმედებას. ნაპოლეონი აღნიშნულ ქვეყნებში აგზავნიდა დიდძალ სამხედრო მისიებს და ახდენდა მათი არმიების რეორგანიზაციას რუსეთის წინააღმდეგ წარმატებით საბრძოლველად. ირანში მიმავალი გარდანის მისია უხვად ასაჩუქრებდა ოსმალეთის სამხედრო ხელისუფალთ და იღწვოდა საფრანგეთის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მათი შენარჩუნებისათვის. რუსეთთან ომში ჩაბმულ ირანის არმიას კი მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა. 1807 წლის 4 დეკემბერს გუდოვიჩი რუმიანცევს, ირანში მიმავალი გარდანის მისიის ერზრუმში ყოფნისა და ოსმალეთის არმიის სარდლობასთან დამოკიდებულების შესახებ, აუწყებდა: «...В проезде через Эрзрум Французского посланника ген. Гардана, с большою свитою проехавшего к Баба-хану, Эрзрумский сераскир Юсуп паша сделал ему великолепную встречу и принял с большими почестями. Французский генерал Гардан поднес ему в подарок богато отделанный сундучек с червонцами и дорогими вещами, а Юсуф паша одарил его турецкими жеребцами, с дорогими золотыми уборами»[2].

გუდოვიჩი აღშფოთებული იყო საფრანგეთის ასეთი მტრული მოქმედების გამო და რუმიანცევს სამდურავის ტონით სწერდა:

---

[1] Акты, т. 3, д. 965, стр. 553.

[2] АВПР, 1801—1814, Гл. архив, 1—13, д. 5. л. 84 и об. Ср. Акты, т. 3, д. 966, стр. 553.

«Судя по свите французского ген. Гардана, состоящей большею частию из инженериых офицеров, я не знаю, к чему сие отнести, полагая, что при теперешных обстоятельствах, когда... издана уже декларация о разрыве с Англиею и причинах оного, французы не могут действовать против нас. Но если посылка в свите Французского посольства инженерных офицеров имеет целью научение персиян военному искусству, тогда как Россия не заключила ни мира, ни перемирия с Персиею, то сие кажется несвойственно союзу, заключенному с Франциею»[1].

ამრიგად, ნაპოლეონის მთავრობა ხელს უწყობდა რუსეთ-ირანის ომის გაგრძელების საქმეს და ცდილობდა, ჩაეშალა მათ შორის ყოველგვარი ცდა თუნდაც დროებითი ზავის დადების შესახებ. საფრანგეთი, როგორც ჩანს, ღალატობდა რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულებას და აბამდა ინტრიგის ხლართებს ოსმალეთსა და ირანში ინგლისისა და თავისი ახალი მოკავშირის რუსეთის წინააღმდეგ. საფრანგეთის დიპლომატიის ყოველი ნაბიჯი, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, ამიერკავკასიაში ოსმალეთისა და ირანის დამკვიდრების საქმეს ემსახურებოდა.

საერთაშორისო ურთიერთობაში კავკასიას მეტისმეტად სერიოზული მნიშვნელობა ენიჭებოდა. კაკკასიისა და დუნაის შესართავის დაკავებით, რუსეთი მბრძანებელი პოზიციების მფლობელი გახდებოდა. მას საშუალება მიეცემოდა, მთლიანად გაბატონებულიყო შავ ზღვაზე, საფრთხე შეექმნა ოსმალეთის იმპერიისათვის, ხელთ ეგდო სავაჭრო გზა ევროპასა და აზიას შორის, თავის კონტროლქვეშ დაეყენებინა ევროპისა და აზიის მთავარი სახელმწიფოების ვაჭრობა. ამ შემთხვევაში რუსეთი არა მარტო შავი ზღვის, არამედ კასპიის ზღვის მბრძანებელიც გახდებოდა. კ. მარქსი სამართლიანად აღნიშნავდა: «Держава, господствующая над устьями Дуная, господствует и над самим Дунаем — этим путем в Азию, — а вместе с тем в значительной части и над торговлей Швейцарии, Германии, Венгрии, Турции и главным образом Молдавии и Валахии. Если эта держава владеет к таму же еще и Кавказом, тогда ей и только ей принадлежит все черное море, как mare clausum (внутреннее море), и ей нехватает только Дарданелл и

[1] АВПР, 1801—1814, Гл. архив, I—13, д. 5, л. 84 и об. Ср. Акты, т. 3, д. 966, стр. 554.

Константинополя, чтобы закрыть всему миру доступ к этому морю. Обладание Кавказскими горами обеспечивает ей в то же время господство над Трапезундом, а благодаря ее господству на Каспийском море — и над северным побережьем Персии»[1].

ამიტომაც, ბუნებრივია, რუსეთი კავკასიას არავის დაუთმობდა და მზად იყო საბოლოო გამარჯვებამდე ეწარმოებინა ომი ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ. ოსმალეთი, მართალია, ჯერ შეურიგდა იმერეთისა და სამეგრელოს შესვლას რუსეთის „მფარველობის“ ქვეშ (1803—1804 წწ.), მაგრამ ის უბრძოლველად არ სთმობდა მიწის არც ერთ მტკაველს, არც ერთ სიმაგრეს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებზე. ომის დაწყების პირველი დღიდანვე ცდილობდა იგი, კვლავ დაუფლებოდა მთელ დასავლეთ საქართველოს, მაგრამ ყოველივე ამას წარმატება არ მოჰყოლია. რუსეთის პოზიციებს საქართველოში განამტკიცებდა ქართველი ხალხის დაუცხრომელი ენერგია და სურვილი ბოლომდე ებრძოლა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. ოსმალეთმა ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწია ომის შემდგომ მსვლელობაშიც. სამეგრელოსა და იმერეთში რუსეთის ჯარების შესვლა ოსმალეთის საბოლოო დამარცხების მომასწავებელი იყო.

რუსეთ-ოსმალეთის ომის პირველი შედეგები კავკასიაში განამტკიცებდა რუსეთის პოზიციებს და საშუალებას არ აძლევდა ოსმალეთს საქართველოში დამკვიდრებისათვის.

---

[1] К. Маркс и ф. Энгельс. Соч., т. IX, М. 1933 г. стр. 533.

თავი მეოთხე

დიპლომატიური ბრძოლა სლაბოდეას დროებითი ზავის დადების შემდეგ სამშარი მოქმედების განახლებამდე

რუსეთის სამხედრო და დიპლომატიური წრეები ცდილობდნენ ცხოვრებაში არ გაეტარებინათ სლაბოდეას ხელშეკრულება. ალექსანდრე I-მა არ დაამტკიცა ხელშეკრულების პირობები და წამოაყენა მისი გაუქმების პრეტენზია, რაც შემდეგს ემყარებოდა: სწორედ მაშინ, როცა მოლაპარაკება წარმოებდა რუსეთისა და ოსმალეთის წარმომადგენლებს შორის, გარდაიცვალა დუნაის ფრონტის მთავარსარდალი გენერალი მიხელსონი. ფაქტიურად, გენერალ მიხელსონს სლაბოდეას ხელშეკრულებისათვის ხელი არ მოუწერია. მიხელსონის გარდაცვალების შემდეგ მთავარსარდლის მოვალეობა დროებით დაეკისრა გენ. მეიენდორფს, და მანვე მოაწერა ხელი აღნიშნულ ხელშეკრულებას.

1807 წლის სექტემბერს დუნაის ფრონტის სარდლად დაინიშნა გენერალ-ფელდმარშალი, უკვე მოხუცი (75 წელს მიღწეული) ა. პროზოროვსკი, რომელმაც, როგორც კი მიიღო მთავარსარდლობა, ოსმალეთის დიდ ვეზირს აუწყა, რომ იმპერატორ ალექსანდრე I-მა არ დაამტკიცა სლაბოდეაში დადებული ხელშეკრულება, რადგან გენერალ მეიენდორფს არ ჰქონდა დროებითი ზავის დადების რწმუნება; იმპერატორი შეიძლებოდა დათანხმებოდა სლაბოდეას ხელშეკრულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა მისი ზოგიერთი მუხლის ანულირება. კერძოდ, ეს უნდა შეხებოდა რუსეთის მიერ დატყვევებული სამხედრო გემების ოსპალეთისათვის დაბრუნების საკითხსა და ომის განახლების ვადას (საომარი მოქმედების განახლება შესაძლებლად უნდა აღიარებულიყო იმ შემთხვევაში, თუ კი ერთ-ერთი მხარე მას საჭიროდ ჩათვლიდა და გააფრთხილებდა მოწინააღმდეგეს 35 დღით ადრე).

დიდი ვეზირის პასუხში ნათქვამი იყო, რომ მას საკითხის აღნიშნული მხარე სრულიადაც არ აინტერესებს; თუ კი მეიენდორფს

საამისო რწმუნება არ ჰქონდა, არც უნდა მოეხდინა ხელშეკრულების გაფორმებაო.

დიდი ვეზირი თავის მხრივ კისრულობდა ხელშეკრულების მუხლების გარანტირებულ დაცვას და ამასვე მოითხოვდა იგი რუსეთის ხელისუფლებისაგან[1].

1807 წლის 12 ნოემბერს პროზოროვსკიმ დიდ ვეზირს განმეორებით აუწყა, რომ რუსეთი არ ცნობდა სლაბოდეას ხელშეკრულებას[2]. ამგვარივე შინაარსის წერილი გაუგზავნა პროზოროვსკიმ გენ. სებასტიანს და თანაც გამოთქვა რწმენა იმის შესახებ, რომ იგი რუსეთის, როგორც საფრანგეთის მოკავშირის, ინტერესების სასარგებლოდ იმოქმედებდა. ოსმალეთსა და რუსეთს შორის დაზავების საკითხზე მოლაპარაკება გადატანილ იქნა პარიზში. ოსმალეთის მხრიდან მოლაპარაკებას აწარმოებდა გალიბ ეფენდი, რომელმაც ხელი მოაწერა სლაბოდეას დროებით ზავს, ხოლო რუსეთის მხრიდან — რუსეთის ელჩი საფრანგეთში გრაფი ტოლსტოი. მოლაპარაკებაში შუამავლის როლს საფრანგეთის მხრივ შამპანი ასრულებდა. პარიზის მოლაპარაკება, საფრანგეთის მთავრობისა და უშუალოდ ნაპოლეონის გაქნილ დიპლომატთა წყალობით, დიდხანს უშედეგოდ გრძელდებოდა.

დუნაის ფრონტის სარდლობამ და ალექსანდრე I-მა საჭიროდ ჩათვალეს მდ. დუნაიზე რუსეთის არმიას აუცილებელ შემთხვევისათვის ხელსაყრელი პოზიცია დაეჭირა. ხელშეკრულების დაუმტკიცებლობამ შესაძლებლობა მისცა რუსეთის სარდლობას, ჯარები დუნაისპირა სამთავროებში დაეტოვებინა და თანაც არ დაერღვია ფაქტიურად დამყარებული დაზავება.

ნაპოლეონი განაწყენებული იყო იმით, რომ რუსეთის მთავრობამ გამონახა სასურველი გამოსავალი დუნაისპირა სამთავროების შესანარჩუნებლად[3].

რუსეთის მმართველმა წრეებმა კარგად იცოდნენ, რომ დუნაისპირა სამთავროებში არმიის მიერ ხელსაყრელი პოზიციის დაჭერა მთლიანად შეესაბამებოდა მაშინ შექმნილ საერთაშორისო ვითარებას. აშკარა გახდა, რომ ოსმალეთის ბედი თვითონ ოსმალეთზე არ იყო დამოკიდებული, რომ რუსეთისა და ნაპოლეონის

---

[1] А. Петров, Война России с Турцией 1806—1812, т. 2. стр. 6—12.
[2] იქვე გვ. 12.
[3] А. Вандаль, Наполеон и Александр. т. I, 1910, стр. 172.

გარეშე არც ერთი საერთაშორისო საკითხის გადაწყვეტა არ იქნებოდა მყარი.

ნაპოლეონს ალექსანდრე I-თან მეგობრობა თვითონაც არ სწამდა. იგი ხშირად, ტილზიტის ზავის დადების შემდგომ დღეებში, თავის თავს უსვამდა კითხვას: როგორ დამოკიდებულებაში დარჩა მის მიმართ ალექსანდრე I, ხომ არ მოექცა იგი საფრანგეთის მიმართ მტრული ორიენტაციის მატარებელთა გავლენის ქვეშ?[1]

პეტერბურგს სწორედ დიპლომატიური დაზვერვის მიზნით გაიგზავნა ფლიგელ-ადიუტანტი, გენერალი სავარი, რომელიც ტილზიტში ალექსანდრე I-ისა და ნაპოლეონის შეხვედრაში მონაწილეობდა; მას არაერთხელ ჰქონია პირადი ვიზიტი რუსეთის იმპერატორთან.

როგორც ირკვევა, სავარის სრულებითაც არ ევალებოდა დიპლომატიური საქმეების ოფიციალურად წარმოება; მას უნდა მოეხვეჭა პეტერბურგის არისტოკრატიულ წრეებში დიდი ნდობა და პატივისცემა საფრანგეთის მთავრობისადმი. ნაპოლეონი ტილზიტის საზავო ხელშეკრულების გაფორმებას უდავოდ დიდ გამარჯვებად თვლიდა; ამიტომ ცდილობდა იგი ალექსანდრე I-ს არ გაცივებოდა გრძნობები საფრანგეთის მიმართ. დაპირებები, რომელიც მან ალექსანდრე I-ს მისცა, იმ დიდ ვალდებულებებთან ერთად, რაც მასვე დააკისრა, ძნელი შესასრულებელი ხდებოდა და ამას თვითონ ნაპოლეონიც კარგად გრძნობდა. ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ტილზიტის შეხვედრის შემდეგ ნაპოლეონმა უბრძანა გენერალ სავარის, — გამგზავრებულიყო პეტერბურგს და იქ დარჩენილიყო საფრანგეთის ოფიციალური ელჩის ჩასვლამდე. ნაპოლეონმა მას მისცა სათანადო ინსტრუქტაჟი პეტერბურგში დიპლომატიური საქმიანობის შესახებ. სავარისთან საინსტრუქტაჟო საუბარში ნაპოლეონმა განაცხადა: «Я, до избрания посла, намерен послать в Петербург Вас. Я дам вам письмо к императору Александру, которое заменит вам верительную грамоту... *В ваших разговорах избегайте всего, что могло бы оскорбить. Так, например, никогда не говорите о войне, не порицайте никакого обычая*»[2]. (ხაზი ჩვენია, ნ. ჯ.).

---

[1] Вандаль, Наполеон и Александр, т. I, 1910, стр. 112.

[2] Ф. Мартенс. Собрание трактатов и конвенций заключенных Россиею с иностранными державами, т, XIV, стр. 2—3.

ნაპოლეონი დარიგებას აძლევს სავარის, რომ რუსეთის მთავრობას წარმოუდგინოს საფრანგეთის იმპერატორი, როგორც მსოფლიო მშვიდობისათვის მებრძოლი პიროვნება. მასვე დაავალა. პეტერბურგს გამგზავრების წინ ენახა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტალეირანი და მისგან სათანადო რჩევა მიეღო, რაც სავარის მიერ შესრულებულ იქნა. როგორც პოლიციის მომავალი მინისტრი, სავარი ყურადღებას აქცევდა რუსეთის მმართველი წრეების პოლიტიკურ დამოკიდებულებას საფრანგეთის მიმართ; სავარის პოლიტიკური და დიპლომატიური საქმიანობის ძირითადი არსი ნათლად ირკვევა ტალეირანის მიერ მისდამი მიცემული შემდეგი დავალებიდან: «Старайтесь, мало расспрашивая, многое узнать»[1]. იგი ზუსტად ასე მოქმედებდა: არავის არაფერს ეკითხებოდა, მაგრამ ბევრის გაგებას კი ცდილობდა.

ალექსანდრე I-მა სავარი პეტერბურგში ჩამოსვლის მეორე დღესვე (1807 წ. 24 ივლისს) მიიღო. იმპერატორი ცდილობდა ნათლად მოეკითხა, გაეგო თუ რა პოზიციებზე დარჩა ნაპოლეონი ოსმალეთის მიმართ, თანაბამა იყო თუ არა იგი ტილზიტში დათქმულ პირობისა ოსმალეთის იმპერიის დანაწილების შესახებ. ალექსანდრე I-მა მას განუცხადა: «Император (ლაპარაკია ნაპოლეონზე, ნ. ქ.), который судит о делах лучше, чем кто-либо, также сознает, что турецкая империя не может долго существоаать среди европейских государств. Мы много об этом говорили, и признаюсь, что, если Турция в один прекрасный день рухнет, положение России позволяет ей надеятся унаследовать известную часть ея останков. Император так добр, что понимает меня»[2].

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რუმიანცევმა სავარისთან საუბარში განაცხადა, რომ მოლდავეთისა და ვალახეთის დაკავება რუსეთის მიერ წარმოადგენს რუსეთ-საფრანგეთს შორის კავშირის გაფორმების ერთერთ სასიამოვნო შედეგს, რომელიც შეუძლია რუსეთის მთავრობამ უჩვენოს თავის ხალხს. საფრანგეთის მთავრობა კი აჩიანურებს ოსმალეთის საქმის მოგვარებას, მაშინ, როდესაც რუსეთმა უკვე ომი გამოუცხადა ინგლისს. რუმიანცევმა გააფრთხილა სავარი: «Послушайте, генерал, лучше, чтобы вы дали

[1] А. Вандаль, Наполеон и Александр, т. I, стр. 113.
[2] იქვე, გვ. 118, იხ. Сб. ИРИО, т. 83, გვ. 7.

нам это (ლაპარაკია მოლდავეთსა და ვალახეთზე, ნ. ჭ.) сегодня, чем тогда, когда это не будет иметь для нас двойной цены»[1].

ალექსანდრე I-ს უნდოდა, აღმოსავლეთში ახალი ტერიტორიების დაპყრობით დაეკმაყოფილებინა რუსეთის მემამულეები და გენერალიტეტი, რომელნიც აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ტილზიტის ზავის საბედისწერო შედეგების გამო; უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ინგლისის წინააღმდეგ კონტინენტალურ ბლოკადაში რუსეთის ჩაბმის გამო, რამაც კატასტროფული ზიანი მიაყენა რუსეთის საგარეო ვაჭრობისა და საერთოდ ქვეყნის ეკონომიური განვითარების საქმეს. ამასთან ერთად, ალექსანდრე I ვარაუდობდა, რომ შემოერთებული ადგილები, რომლებიც ფაქტიურად ნაპოლეონთან დამეგობრების შემდეგ იქნებოდა მიღებული, გაამართლებდა მმართველი წრეების თვალში რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მომხდარ იმ გარდატეხას, რაც ტილზიტის ხელშეკრულებას მოჰყვა.

სავარიმ ალღო აუღო შექმნილ მდგომარეობას; იგი ღრმად დარწმუნდა იმაში, რომ პეტერბურგის არისტოკრატიული წრეები არ იყვნენ კეთილად განწყობილი საფრანგეთ-რუსეთის კავშირის მიმართ, რომელმაც რუსეთს ინგლისთან ომი მოუტანა.

სავარი ნაპოლეონისადმი გაგზავნილ წერილში პეტერბურგში შექმნილი ვითარების შესახებ წერდა:«Я должен сказать Вашему величеству, что если русские будут вынуждены отказаться от этих двух провинций, это событие произведет здесь перемену, отнюдь не благоприятную для нас, и умы, начинающие склоняться к нам, не преминут снова нас покинуть»[2].

პეტერბურგში ჩასვლის პირველი დღიდანვე სავარის ჩამოუყალიბდა რწმენა, რომ იმპერატორი ალექსანდრე I მთელი თავისი არსით საფრანგეთთან კავშირის ერთგული იყო; მაგრამ მას სრულიად საწინააღმდეგო შეხედულება შეექმნა იმპერატორის დედაზე, დედოფალ მარია თეოდორეს ასულზე. დედოფალმა სავარი მიიღო თავრიდის სასახლეში, მაგრამ, როგორც თვითონ სავარი აღნიშნავს, მიღება მეტისმეტად ცივი ყოფილა, რის შესახებ იგი წერს: «Прием был холодный и продолжался без малого одну минуту». სავარი 1807 წლის 23 აგვისტოს წერილში აგრეთვე იტყობინებო-

[1] А. Ф. Миллер, Мустафа паша Байрактар. стр. 215, შდრ.Сб. ИРИО, т. 83, стр. 231—233.

[2] Сб. ИРИО, т. 83, გვ. 239, შდრ. А. Ф. Миллер, Указ. соч., გვ. 216.

და, რომ დედოფალი მეტისმეტად ამაყი და უჭკუო არისო. საეარი გრძნობდა იმას, რომ სასახლის დიდებულები, მათ შორის — ორლოვები, კოჩუბეები, ლოპუხინები და სტროგანოვები — უფრო მეტი გავლენით სარგებლობდნენ, ვიდრე მინისტრები; იგი ხედავდა, რომ პეტერბურგის მაღალი წრის საზოგადოების წარმომადგენლები აშკარად გამოსთქვამდნენ საფრანგეთთან კავშირის მიმართ უპატივცემლობას და თავს იყრიდნენ იმპერატორის დედის გარშემო. საერთოდ პეტერბურგის საზოგადოებრივი აზრი ნაპოლეონთან რუსეთის დაკავშირების წინააღმდეგი იყო[1].

საეარისთან საუბრის დროს ალექსანდრე I არაერთხელ დაუბრუნდა „აღმოსავლეთის საკითხს“ იმ აზრით, რომ მომხდარიყო ოსმალეთის ევროპული ნაწილის დანაწილება. მაგრამ საეარი ცდილობდა, ყოველთვის გვერდი აევლო გარკვეული პასუხის გაცემაზე; მას ხომ არ გააჩნდა ნაპოლეონისაგან რაიმე ზუსტი ინსტრუქცია აღნიშნულ საკითხზე, მით უმეტეს, რომ თვითონ ნაპოლეონს ოდნავადაც არ სურდა არც ოტომანთა იმპერიის დაცემა და არც რუსეთის საზღვრების გაფართოება ოსმალეთის ხარჯზე.

საეარი სისტემატურად ღებულობდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან წერილებს, რომლებიც, შესაძლებელია, თვითონ ნაპოლეონის მიერ იყო ნაკარნახევი. ამ წერილებიდან აშკარად გამოსჭვივოდა ბრძანების კილო, რომელიც საერთოდ დამახასიათებელი იყო ნაპოლეონისათვის.

ნაპოლეონი მოითხოვს, რომ რუსეთის მთავრობამ ომი გამოუცხადოს ინგლისს, გააძევოს შვეციის მისია პეტერბურგიდან, გაიყვანოს თავისი ჯარები დუნაისპირა სამთავროებიდან — მოლდავეთიდან და ვალახეთიდან (მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე I-მა არ დაამტკიცა ოსმალეთთან დროებითი ზავის პირობები) და, ბოლოს, გააძევოს რუსეთიდან ინგლისის ელჩი ლორდი გოუერი და ინგლისის ყველა ქვეშევრდომი.

ასეთივე შინაარსისა იყო თითქმის ყველა წერილი, რომელიც პირადად ნაპოლეონის მიერ ეგზავნებოდა გენერალ საეარის[2].

---

[1] Ф. Мартенс, Собрание трактатов и конвенций, заключенных Россиею с иностранными державами, т. XIV, стр. 6.

[2] იქვე, გვ. 11—12.

1807 წლის შემოდგომაზე პეტერბურგში საფრანგეთის ელჩის პოსტზე დაინიშნა მარკიზ ლაფორე, რომელიც მალე უკანვე იქნა გაწვეული და აღნიშნულ პოსტზე გამოიგზავნა საკმაოდ ძლიერი და ცნობილი დიპლომატი კალენკური; მას საგანგებოდ ჰქონდა იმპერატორისაგან დავალებული, გარდა თავისი თანამდებობრივი მოვალეობისა, პოლიტიკური სიტუაციისათვის გაეკეთებინა ღრმა ანალიზი და შედეგები სისტემატურად მიეწოდებინა საფრანგეთის მთავრობისათვის; მას არ უნდა გამოჰპაროდა პეტერბურგის მთავრობის არც ერთი დიპლომატიური ნაბიჯი. კალენკურის დანიშვნის შემდეგ, 1807 წ. დეკემბრის ბოლოს, სავარიმ დატოვა პეტერბურგი. კალენკურმა მალე გაბგო რუსეთის მთავრობის დიდი ინტერესი დუნაისპირა სამთავროების მიმართ; იგი საჭიროდ მიიჩნევდა ამ საქმეში საფრანგეთის მთავრობის მხრიდან გარკვეულ კომპრომისზე წასვლას.

ნაპოლეონისადმი გაგზავნილ პირად წერილში კალენკური უკვე დაბეჯითებით მოითხოვდა დუნაისპირა სამთავროების რუსეთის ხელში გადასვლას, თანაც ნაპოლეონს უხატავდა იმ რთულსა და მძიმე მდგომარეობას, რომლის წინაშეც ალექსანდრე I აღმოჩნდა: იგი წერდა, რომ რუსეთის დიდებულები უკმაყოფილონი არიან მთავრობის საგარეო პოლიტიკით და ჯერჯერობით თავს იკავებენ იმ იმედით, რომ მიიღებენ მეფის დაპირებებს აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტის შედეგად. წერილის დასასრულს კალენკური აღნიშნავდა: «Если выгоды, о которых говорил царь, осуществятся, если границы России без кровопролития расширятся до Дуная или даже переидут за него, тогда враждебное отношение прекратится, и настанет окончательный мир. Наоборот, если ожидаемый результат заставит себя ждать, если Франция даст повод усумниться в ея искренности, за которую ручался Александр, тогда Александр тот час же увидит, что против его политики и даже лично против него с удвоенной силой возобновятся нападки, тем более нестерпимыя, что он будет сознавать их справедливость, он вынесет из этого опыта убеждение, что попал в западню, и, быть может, его власть и даже жизнь подвергнутся опасности»[1].

[1] А. Вандаль, Наполеон и Александр, т. I, 1910, стр. 217.

კალენკური პეტერბურგში შექმნილი მდგომარეობის ანალიზის შედეგად აკეთებდა დასკვნას, რომ აუცილებელია ალექსანდრე I-ის მოთხოვნათა დაკმაყოფილება; წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, რუსეთმა ხელი აიღოს საფრანგეთის მოკავშირეობაზე და რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობამ მიიღოს სრულიად ახალი მიმართულება, რომელიც სახიფათო იქნება თვით საფრანგეთისათვის.

ნაპოლეონს დიდად არ აწუხებდა თავისი მოკავშირის — ოსმალეთის ბედი; მან თავის დროზე (ტილზიტში) ოსმალეთის დანაწილების წინადადებაც კი წამოაყენა, მაგრამ ახლა მას არ სურდა და აგვიანებდა თავისი წინადადების სისრულეში მოყვანის საქმეს. ოსმალეთის იმპერიის საბოლოო დანაწილების საკითხის გაჭიანურებით ნაპოლეონი ოსმალეთის ინტერესებიდან როდი გამოდიოდა. ნაპოლეონს უდავოდ შორს მიმავალი მიზნები ჰქონდა.

ოსმალეთის იმპერიის დანაწილება საფრანგეთსა და რუსეთს შორის საბოლოოდ ასამარებდა დაზავების საქმეს საფრანგეთსა და ინგლისს შორის, ნაპოლეონს კი ინგლისთან კომპრომისის მიღწევის იმედი ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაკარგული და კატეგორიულ დავალებას აძლევდა კალენკურს, შეენარჩუნებინა ჯერჯერობით არსებული მდგომარეობა. ტალეირანი კალენკურს სწერდა: „Существующее положение отвечает намерениям императора; стало быть, не следует ускорять принятия определенных решений Петербургским кабинетом, тем более, если есть основание думать, что они не будут соответствовать намерениям императора. Особенно это применимо к разделу турецкой империи в Европе, т. е., тому самому делу, которое император желает отсрочить, так как при настоящих условиях, оно не может состояться с выгодой для него. Следовательно, *вы должны постараться выиграть время, действуя настолько умело, чтобы эти отсрочки никоим образом не вызвали неудовольствия русского двора; вы должны неустанно внушать ему, что главным предметом заботы и усилий* обеих императоров должна быть война с Англией и мир, к которому ее необходимо принудить»[1] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.).

ნაპოლეონისათვის, როგორც ამას შენიშნავს ისტორიკოსი ა. ფ. მილერი, ისე როგორც წინათ, აღმოსავლეთის საკითხი წარ-

[1] А. Вандаль, Наполеон и Александр, т. I, 1910, стр. 233.

მოადგენდა მხოლოდ საშუალებას, მისი თვალსაზრისით, უმთავრესის — „დასავლეთის საკითხის" გადასაწყვეტად[1]. იგი ინგლისთან ნიადაგის მოსინჯვამდე აჭიანურებდა „აღმოსავლეთის საკითხის" მოგვარებას. ნაპოლეონი განგებ ინარჩუნებდა გაურკვეველ პოზიციას, როგორც იტყვიან ხოლმე, თამაშობდა „წაჯექ-უკუჯექის" პოლიტიკას რუსეთის მიმართ. მან თითქოსდა მოიწონა ალექსანდრე I-ის უარი სლაბოდეას დროებითი ზავის პირობების რატიფიკაციის შესახებ და თანაც დიდად კმაყოფილი იყო იმით, რომ რუსეთ-ოსმალეთის მოლაპარაკება ზავის საბოლოო პირობების დადგენის შესახებ ადგილიდან არ იძვროდა.

საფრანგეთსა და რუსეთს შორის მეგობრობა მხოლოდ მოჩვენებითი და არაგულწრფელი ხასიათის მატარებელი იყო. ამას ორივე მხარე კარგად გრძნობდა. კალენკური მტკიცედ იყო დაჯერებული იმაში, რომ «ни Александр I. ни его министр не хотят отказаться от своих претензий на Дунайские княжества, но, в то же время, оба категорически отказываются согласиться на захват Силезии Францией»[2].

ნაპოლეონმა ალექსანდრე I-ს აგრძნობინა, რომ საფრანგეთის მხრიდან ყოველგვარი დათმობა რუსეთის სასარგებლოდ ოსმალეთის ანგარიშზე — უნდა ყოფილიყო კომპენსირებული საფრანგეთის სასარგებლოდ რუსეთის მოკავშირის პრუსიის ხარჯზე; თუ კი რუსეთი მოლდავეთისა და ვალახეთის ანექსიას მოითხოვდა, სამაგიეროდ საფრანგეთი პრუსიას წაართმევდა სილეზიას[3].

ცხადია, ეს არ სურდა რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე I-ს და აცხადებდა: «Если я должен владеть этими княжествами за счет Пруссии... которой я был союзником, то я лучше откажусь от них. За такую цену я не желаю иметь даже всю Оттоманскую империю»[4]. ნაპოლეონი კი მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე და არ უთმობდა რუსეთს დუნაისპირა სამთავროებს, თუ სამაგიეროდ თვითონაც არ იქნებოდა გარანტირებული სათანადო ტერიტორიალური კომპენსაციის მიღებით.

---

[1] А. Ф. Миллер, Мустафа паша Байрактар, стр. 218.

[2] Ф. Мартенс, Александр и Наполеон, Вестник Европы, т. 2, стр. 111.

[3] Сб. ИРИО, т. 89, стр. 736—738.

[4] Ф. Мартенс, Собрание трактатов и конвенций, заключённых Россиею с иностранными державами, т. XIV, стр. 23.

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობამ მეტისმეტად დაძაბული ხასიათი მიიღო, მაგრამ ნაპოლეონის პოლიტიკაში შემობრუნება ხდება მხოლოდ 1808 წლის თებერვალში. ნაპოლეონი დარწმუნდა იმაში, რომ რუსეთის მრთხოვნებზე უარის თქმა ბოლოს და ბოლოს სახიფათო გახდებოდა. პარიზში სავარის დაბრუნების შემდეგ ნაპოლეონს რამდენჯერმე ჰქონდა საუბარი მასთან; რომელმაც ეს უკანასკნელი მიიყვანა იმ რწმენამდე, რომ საჭიროა რუსეთთან მეგობრობის ძაფების შენარჩუნება და შემდგომი განმტკიცება. აღმოსავლეთის საკითხში ნაპოლეონის პოლიტიკის შეცვლას დიდი ბიძგი მისცა ინგლისის მეფის გამოსვლამ პარლამენტში 1808 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში, როცა მან განაცხადა: ინგლისი მზადაა აწარმოოს ბრძოლა საფრანგეთის წინააღმდეგ საბოლოო გამარჯვებამდე[1].

როგორც აღინიშნა, ნაპოლეონი ცდილობდა, რომ ინგლისთან გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო და მიეღწია ზავისათვის. თუნდაც ეს დროებითი ზავის მაგვარი რამ ყოფილიყო, მაგრამ ყოველივე ამის იმედები უკვე გაქრა. სწორედ ამის გამო ნაპოლეონი საჭიროდ აღარ თვლიდა ფორმალურ თავშეკავებას ოსმალეთის მიმართ მოკავშირეთა პრეტენზიების განხილვის საქმეში. ნაპოლეონს სურდა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობას სრულიად სხვა მიმართულება მიეღო და მზად იყო, რუსეთისათვის ახალი წინადადება შეეთავაზებინა. ამასთანავე ოსმალეთის პოზიციების მოსინჯვასაც შეუდგა. ნაპოლეონი განკარგულებას აძლევს სებასტიანის: დააზუსტოს — მოაწერს თუ არა ხელს ოტომანთა იმპერია საზავო ხელშეკრულებას, რომლითაც მოლდავეთი და ვალახეთი გადავა რუსეთის განკარგულებაში და დარჩება თუ არა ოსმალეთი საფრანგეთის მოკავშირედ იმ შემთხვევაში, თუ კი საზავო მოლაპარაკება სასიამოვნო შედეგებს არ მოუტანს ოსმალეთს[2].

ნაპოლეონს სურდა, ოსმალეთის დანაწილების საქმეში ავსტრიაც ჩაება და დაეთესა უკმაყოფილება ავსტრიასა და რუსეთს შორის. ნაპოლეონის მოქმედება გამიზნული იყო, უპირველესად ყოვლისა, რუსეთის წინააღმდეგ.

რუსეთისადმი ნაპოლეონის მტრული მოქმედება, ცხადია, დიპლომატიის ნიღაბქვეშ, არც ისე ადვილი მისახკედრი იყო. რით იყო

---

[1] А. Вандаль, Наполеон и Александр, т. I. 1910. стр. 241.

[2] იქვე, გვ. 232.

გამოწვეული ნაპოლეონის ასეთი პოლიტიკა რუსეთისა და ავსტრიის მიმართ?.

1808 წლის აპრილში ნაპოლეონმა დაამხო ბურბონების დინასტია ესპანეთში და დაიწყო სასტიკი ომი პირენეის ნახევარკუნძულზე, მაგრამ ესპანეთში გაგზავნილი საფრანგეთის 80.000-იანი არმია საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვების მისაღწევად. ნაპოლეონი იძულებული იყო გამოეყენებინა ჯარის ის ნაწილებიც, რომლებიც პრუსიაში იყო დაბანაკებული, მაგრამ პრუსია ხომ ნაპოლეონს, როგორც დამპყრობს, ზიზღით უყურებდა და ცდილობდა მისი რეჟიმისაგან განთავისუფლებას.

ესპანეთში წარმოებულმა ოპერაციამ შიშის ზარი დასცა ჰაბსბურგების დინასტიას ავსტრიაში; არსებობდა იმის რეალური საფრთხე, რომ ნაპოლეონი ავსტრიას ისევე მოექცეოდა, როგორც ესპანეთს, ამიტომ ყოველ შემთხვევისათვის. ავსტრიამ დაიწყო შეიარაღება და ჯარები მიუახლოვა საფრანგეთის საზღვარს, ეს კი ნაპოლეონს არასასურველ პირობებში აყენებდა. ინგლისი, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაზავებაზე უარს აცხადებდა. საფრანგეთს რუსეთის სახით ერთადერთი მოკავშირე გააჩნდა. მაგრამ ისინიც ხომ ერთმანეთის მიმართ გულწრფელნი არ ყოფილან. იმისათვის, რომ ავსტრია-რუსეთი ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა და ამასობაში ესპანეთი საბოლოოდ დაეპყრო, ნაპოლეონმა საჭიროდ ჩათვალა ისეთი დიპლომატიური ნაბიჯის გადადგმა, როგორიც იყო ფართო გეგმა „ოტომანთა იმპერიის დანაწილებისა“. ავსტრიისათვის ოტომანთა იმპერია წარმოადგენდა ანტირუსულ ციხე-ბურჯს, რისთვისაც იგი დაინტერესებული იყო ზემოაღნიშნული იმპერიის ბედით. ეს შესანიშნავად ესმოდა ნაპოლეონს. ისტორიკოსი ა. ვანდალი წერდა: «Но он (ლაპარაკია ნაპოლეონზე, ნ. ჭ.) знал, что ея (ავსტრიის. ნ. ჭ.) географическое положение вменяет ей в обязанность, скрепя сердце, принимать участие во всяком разделе Турции, раз она не в состоянии помешать ему... Она плачет, но берет...»[1].

ნაპოლეონმა ოსმალეთის დანაწილების შემთხვევაში რუსეთის პრეტენზიის შესახებ აცნობა მეტერნიხს. ავსტრიის მმართველ წრეებში მომწიფდა აზრი, რომ ოსმალეთის იმპერიის გადარჩენა შეუძლებელია, რომ საჭიროა მის დანაწილებაში აქტიური მონაწილეობის მიღება, რათა ავსტრიამ სხვასთან შედარებით დიდი წილი

---

[1] А. Вандаль, Наполеон и Александр., т. I, 1910, стр 237.

მიისაკუთროს. ნაპოლეონი ამასთან ერთად ცდილობდა რუსეთისათვის ცეცხლი შეენთო, დაეჯილდოებინა იგი დიდძალი დაპირებებით, რათა მისგან მხარდაჭერა ჰქონოდა ევროპაში, თუ შეძლებდა აზიაშიც, და დაეფრთხო ინგლისი ინდოეთში ლაშქრობის მოწყობით.

ნაპოლეონი ფორმალურად ცდილობდა, საბოლოოდ შეთანხმებოდა რუსეთს ოსმალეთის დანაწილების საქმეში; ეს ამოცანა კი უნდა შეესრულებინა მის ცნობილ წერილს ალექსანდრე I-სადმი 1808 წლის 2 თებერვლის თარიღით. ნაპოლეონი, ერთი შეხედვით, დიდ დათმობებზე მიდიოდა რუსეთის მიმართ. იგი ალექსანდრე I-ს აუწყებდა იმის შესახებ, რომ პირველ რიგში რუსეთისათვის აუცილებელია ჩრდილო-დასავლეთით საზღვრების გაფართოება. ნაპოლეონი რუსეთის იმპერატორს სწერდა: «...Вашему величеству необходимо удалить шведов от своей столицы; протяните с этой стороны свою границу, насколько вам угодно будет. Я всеми своими силами готов помогать вам в этом»[1].

როგორც აღინიშნა, რუსეთის მიმართ გაწეულ დათმობებს ნაპოლეონი უკომპენსაციოდ არ სტოვებდა; იგი მოითხოვდა თავისი მოკავშირისაგან გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე წინათ. კერძოდ. დახმარებას მოითხოვდა აზიაში ინგლისის წინააღმდეგ. ნაპოლეონის იმავე წერილში ვკითხულობთ:

«... Если бы армия из 50.000 человек—русских, французов, пожалуй даже немножко австрийцев, направилась через Константинополь в Азию и появилась на Ефрате, то она заставила бы трепетать Англию и повергла бы ее к ногам материка. Я готов в Далмации; ваше величество готовы на Дунае. Через месяц после того, как мы условились бы, эта армия могла бы быть на Босфоре. Удар этот отразился бы в Индии, и Англия была бы покарена»[2] ნაპოლეონი ურჩევს ალექსანდრე I-ს, აწონ-დაწონოს ეს წინადადება, მოხდეს აზრთა ცოცხალი გაცვლა-გამოცვლა საგარეო საქმეთა მინისტრ რუმიანცევსა და კალენკურს შორის, ან თვითონ ალექსანდრე I შეხვდეს ნაპოლეონს მოსალაპარაკებლად. ნაპოლეონი მზად იყო შეხვედროდა ალექსანდრე I-ს იქ, სადაც ის მოისურვებდა. ნაპოლეონი თავის ელჩს პეტერბურგში სწერდა:

---

[1] Вестник Европы, т. II, 1910 г. стр. 111.

[2] იქვე.

«Если император Александр сможет приехать в Париж, он доставит мне большое удовольствие, это будет прекраснейший день в моей жизни; если же он сможет проехать только полдороги, поставьте циркуль на карту и остановитесь на середине между Петербургом и Парижем»[1]. ნაპოლეონი მოითხოვდა, ხელშეკრულება დაედოთ მოკავშირეებს აღნიშნულის შესახებ 1808 წლის 15 მარტამდე, იმ ვარაუდით, რომ იმავე წლის 1 მაისისათვის მოკავშირეთა არმია ყოფილიყო აზიაში, ხოლო რუსეთის არმია კი სტოკჰოლმში.

ნაპოლეონი თავისი წერილის დასასრულს ხოტბას ასხამს ტილზიტში დადებულ ხელშეკრულებას და ალექსანდრე I-ს მოუწოდებს, ერთად გადაწყვიტონ მსოფლიოს ბედი.

ნაპოლეონის თანხმობას ოსმალეთის დანაწილების საკითხზე, უპირველესად ყოვლისა, უნდა მოჰყოლოდა ინგლისის დამარცხება ევროპასა და აზიაში და საფრანგეთის მიერ ინდოეთის დაპყრობა. ნაპოლეონი თავის წერილს პათეტიკური სიტყვებით ამთავრებს: «Наступило время важных перемен и великих событий»[2].

ნაპოლეონის მოტანილი წერილიდან ჩანს, თუ რაოდენ დიდი დიპლომატიური ნიჭის მქონე ადამიანი იყო იგი. აღნიშნულ წერილში ოსტატურად და მოხდენილად იყო ჩამოყალიბებული რუსეთისა და საფრანგეთის ერთიანი მოქმედების მეტისმეტად საეჭვო, ნამდვილად მოჩვენებითი გეგმა. შეუძლებელი იყო ალექსანდრე I-ს არაგულისხმიერი დამოკიდებულება გამოეჩინა ნაპოლეონის აღნიშნული წერილისადმი. ფინეთის შემოერთების, სტოკჰოლმამდე გავლენის სფეროს გაფართოებისა და ოსმალეთის დანაწილების წინადადებას არ შეიძლებოდა არ აეშაღლებინა ალექსანდრე I-ის თვალში მისი მოკავშირე ნაპოლეონი. მაგრამ ოდნავადაც არ იწვევს ეჭვს ის გარემოება, რომ ნაპოლეონს ამ წერილით სურდა თავებრუ დაეხვია ალექსანდრე I-თვის და დიდი პოლიტიკური გეგმების განხორციელების ზმანებით აღეგზნო იგი.

ნაპოლეონს, ცხადია, არც მაშინ სურდა ოსმალეთის იმპერიის დაცემა და რუსეთის გავლენის სფეროების გაფართოება ევროპის სამხრეთ რაიონებში, მაგრამ ეს იყო ფანტასტიკური გეგმა, დიპ-

---

[1] А. Ф. Миллер, Мустафа паша Байрактар, М—Л., 1947, стр. 226.
[2] А. Вандаль, Наполеон и Александр, т. I, 1910, стр. 112.

ლომატიური ღონისძიება, რომლითაც იგი ცდილობდა მოკავშირის პარალიზებას.

ომის დუნაის აუზთან სიახლოვე საშუალებას აძლევდა ავსტრიას, ჩარეულიყო ოსმალეთის საქმეებში. ზიანი მიეყენებინა რუსეთისათვის და ომის საფრთხის ქვეშ ჰყოლოდა იგი. იმისათვის, რომ უფრო გადაემტერებინა ავსტრია რუსეთისათვის, ნაპოლეონი ისეთ პოზიციას იჭერდა, თითქოსდა ოსმალეთის დანაწილებას მხოლოდ და მხოლოდ რუსეთი მოითხოვდა; საფრანგეთი კი თანხმდებოდა ამ წინადადებას, რადგან ეშინოდა არ ამხედრებულიყო მის წინააღმდეგ აღნიშნული სახელმწიფო, და რომ თითქოს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა მას შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოკავშირედ ეყოლებოდა ავსტრია.

პარიზში ავსტრიის ელჩმა ვინცენტმა ნაპოლეონს ოსმალეთის დანაწილების საკითხზე განუცხადა შემდეგი: «Мы не имеем никакого интереса ускорить разложение больного тела Турции»[1].

ნაპოლეონი დათანხმდა ელჩის ასეთ განცხადებას და თან დასძინა: «Вы порядочнее, чем русские, и я желал бы сблизиться с вами»[2].

ამის შემდეგ ტალეირანმა მეტერნიხს ასეთი შინაარსის შეკითხვა გაუგზავნა: თანახმა არის თუ არა ვენის სასახლე, ოსმალეთის დანაწილების შემთხვევაში, მიიღოს ბოსნია და ბულგარეთი? გაქნილმა მეტერნიხმა, რომელიც ტალეირანს დიდად არ ჩამორჩებოდა, არამც თუ თანხმობა განუცხადა, არამედ სხვა ტერიტორიების დამატებაც მოითხოვა. დამატებით იგი მოითხოვდა ხოტინის ოლქს, ვალახეთის ნაწილს, ოსმალეთის კროაციას, სერბიას და სხვ. რადგანაც რუსეთის არმია დუნაიზე იდგა, ვენის მთავრობა მოითხოვდა ავსტრიის ჯარებს დაეკავებინა ორსოვი და ბელგრადი და რუსეთისათვის, ოსმალეთის იმპერიის დანაწილების შემთხვევაში, მოლდავეთისა და ვალახეთის დაკავების საშუალება არ მიეცა. მდგომარეობა რუსეთსა და ავსტრიას შორის რთულდებოდა. მაგრამ მალე მიუხვდა ავსტრიის მთავრობა ნაპოლეონის პოლიტიკას: საფრანგეთი მისთვის ჩვეული დიპლომატიის გატარებით თავის სასარგებლო საქმეს აკეთებდა, ხოლო ავსტრიისათვის ოსმალეთის ნაწილის გადაცემა ფაქტიურად მოტყუება იყო.

---

[1] А. Петров, Война России с Турцией 1806—1812, т. II, стр. 50.

[2] იქვე.

ნაპოლეონი ცდილობდა, რუსეთსა და ავსტრიას შორის მტრული დამოკიდებულებით ესარგებლნა და საფრანგეთის საქმე დაეწინაურებინა.

ნაპოლეონი შეეცადა, რუსეთის ყურადღება ოსმალეთის დანაწილების საქმეზე ლაპარაკით დაეკავებინა, ხოლო ესპანეთში კი თავისი საქმეები ბოლომდე მიეყვანა.

რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენელი საფრანგეთში გრაფი ტოლსტოი-გონიერი კაცი იყო; ის კარგად იცნობდა ნაპოლეონის დიპლომატიური მანერის ღრმა შინაარსსა და შენიღბულ ხასიათს. ტოლსტოი 1808 წლის 18 თებერვალს რუმიანცევს სწერდა: «Все меня убеждает в существовании у Наполеона сильного желания, сложившегося уже в Тильзите, откладывать эти дела в долгий ящик. С этим умыслом он нам подсказал мысль о приобретении Молдавии и Валахии, и он ее поспешно подхватил, когда она была принята его императорским величеством»[1].

ნაპოლეონის მტრული ზრახვები რუსეთისადმი ტოლსტოის ეჭვს ოდნავადაც არ იწვევდა. ტოლსტოი რჩევას იძლეოდა, იმპერატორი ალექსანდრე I არ შეხვედროდა ნაპოლეონს და არ მიეღო მასთან მოლაპარაკებაში მონაწილეობა; წინააღმდეგ შემთხვევაში, მოლაპარაკების შედეგები, მისი აზრით, რუსეთისათვის საბედისწერო აღმოჩნდებოდა. მაგრამ ტოლსტოის სიტყვებმა, რატომღაც, ძალიან სუსტი შთაბეჭდილება დასტოვა პეტერბურგში.

ნაპოლეონის 2 თებერვლის წერილის საპასუხოდ ალექსანდრე I-მა საგარეო საქმეთა მინისტრ რუმიანცევს უბრძანა. შეესწავლა ის ძირითადი საკითხები, რომლებიც თებერვლის წერილში იყო წამოყენებული და დაეწყო მოლაპარაკება საფრანგეთის ელჩთან.

რუმიანცევმა მართლაც შეისწავლა ის საკითხები, რომლებიც ნაპოლეონმა რუსეთს შესთავაზა და თავისი შეხედულებანი ჩამოაყალიბა „საიდუმლო ჩანაწერებში“, რომელიც ცნობილია სახელწოდებით — „ზოგადი შეხედულებანი ოსმალეთზე“ («Общие взгляды на Турцию»). აღნიშნულ „ჩანაწერებში“ ნათქვამი იყო, რომ ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის აუცილებელია შევუდგეთ ოსმალეთის დანაწილებას. რუმიანცევის „ჩანაწერებში“ მეტად სერიოზული საკითხი იყო დასმული. თუ კი ოსმალეთის დანაწილების მის მიერ წარმოდგენილი გეგმა ნაპოლეონის

[1] Вестник Европы, т. II, стр. 113.

მხარდაჭერით განხორციელდებოდა XIX საუკუნის დასაწყისში, ევროპისა და რუსეთის მომავალი ბედი უთუოდ სულ სხვა მიმართულებით წარიმართებოდა. რუსეთი მოითხოვდა მოლდავეთის, ვალახეთის, ბესარაბიის, ბულგარეთის შემოერთებას, აგრეთვე, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებისა და კონსტანტინოპოლის მითვისებას. ამ პირობით იგი თანახმა იყო ინდოეთში ლაშქრობისა; საფრანგეთს ალბანეთი, ეპირი, თესალია, მორავია, ეგეოსის ზღვის კუნძულები, ასევე ეგვიპტე და სირია უნდა გადასცემოდა.

რუმიანცევის „ჩანაწერების" მიხედვით, რომელიც ფაქტიურად ოსმალეთის იმპერიის დანაწილების გეგმას წარმოადგენდა, ავსტრიასაც უნდა მიეღო მონაწილეობა დანაწილებაში და ინდოეთის ლაშქრობაშიც. მას უნდა გადასცემოდა ავტონომიური სამეფოს სახით სერბია, ხორვატია, ბოსნია და მაკედონია.

კალენკურმა კონსტანტინოპოლისა და სრუტეების რუსეთის განკარგულებაში გადაცემის საკითხზე თავისი საწინააღმდეგო შეხედულება წამოაყენა.

კალენკურის აზრით, თუ რუსეთი მიითვისებდა დუნაის პირა სამთავროებსა და ბულგარეთს, რომ აღარაფერი ვთქვათ კონსტანტინოპოლზე და სრუტეებზე, ეს საფრანგეთის იმ წილთან შედარებით, რომელიც მას უნდა მიეღო, იქნებოდა ლომის ულუფა. რუმიანცევი ცდილობდა, უარეყო ასეთი შეხედულება და ამტკიცებდა, რომ რუსეთს აქვს კანონიერი პრეტენზიის უფლება კონსტანტინოპოლის მიმართ, მასვე უნდა ეკუთვნოდეს ბოსფორისა და დარდანელის გასაღებიც. ამაზე კალენკურმა მას განუცხადა: «Ключ от Черного моря и ключ от Мраморного моря, это слишком много для одного выхода, граф; иметь и один из них было бы уже очень хорошо. Мне кажется, можно было бы предложить, чтобы у каждого был свой ключ»[1].

კალენკურისა და რუმიანცევის წინ გადაშლილი იყო მსოფლიოს რუკა და ორი დიდი იმპერიის წარმომადგენლები თავიანთი იმპერატორების დავალებით ახდენდნენ მოსალოდნელი ნადავლის აწონ-დაწონას, არჩევდნენ ვის რა ნაწილი უნდა შეხვედროდა ოსმალეთის იმპერიის დანაწილების შემთხვევაში. ხშირად ცალკეული მხარისათვის ძალიან უსიამოვნო საკითხები ისმოდა. რუმიანცევმა, რომელიც ასაბუთებდა ოსმალეთის დანაწილების შემთხვევაში რუსეთისათვის, სხვა ტერიტორიებთან ერთად, კონსტანტინოპოლის გა-

[1] А. Вандаль, Наполеон и Александр, т. I. 1910, стр. 291.

დაცემის „სამართლიანობას", კალენკურს განუცხადა: «Один без другого ничто. Наше географическое положение и обладание Черным морем, — даже более чем наши политические интересы, требуют, чтобы мы владели Константинополем. Вы далеко от Константинополя, да и кроме того, у вас будут настолько хорошия владения, что вы не будете иметь повода нам завидовать»[1].

დავა კალენკურსა და რუმიანცევს შორის თითქმის ორი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა (2 მარტიდან 16 მარტამდე). განსაკუთრებით დიდ დავას იწვევდა დარდანელის სრუტის საკითხი. და ბოლოს მათ მიერ შედგენილ იქნა ორი პროექტი ოსმალეთის იმპერიის დანაწილებისა. ისინი საბოლოოდ შეუთანხმდნენ ერთმანეთს უმეტეს საკითხებში, მაგრამ სადავოდ რჩებოდა დარდანელის სრუტე.

ალექსანდრე I მთლიანად ეთანხმებოდა ოსმალეთის დანაწილების პროექტს, რომლის ავტორი მისი მინისტრი იყო. კალენკურს იგი უმტკიცებდა, რომ რუსეთი ზედმიწევნით ზომიერებას იჩენს ოსმალეთის დანაწილების საქმეში, რომ რუსეთის დათმობანი ოსმალეთის დანაწილების დროს და საფრანგეთის მიერ მიღებული წილი ძალიან დიდი იქნებოდა. ალექსანდრემ კალენკურს განუცხადა: «Ведь Левантские порты, знаете ли, это самые богатые и населенные порты! Смирна — какое богатство! Одним словом, ваше положение во всех отношениях превосходное»[2].

ალექსანდრე I-ის მშვერმეტყველურმა სიტყვებმა ოდნავადაც ვერ იმოქმედა საფრანგეთის ელჩზე და იგი თავისი შეხედულებების ერთგული დარჩა. კალენკურმა განაცხადა, რომ თუ საფრანგეთი არ მიიღებდა დარდანელის სრუტეს, მაშინ მოკავშირეთა წილი ოსმალეთის იმპერიის დანაწილებისას არათანაბარი იქნებოდა.

როგორც ირკვევა, რუსეთისა და საფრანგეთის პოლიტიკურ ინტერესთა დაპირისპირებულობა ოსმალეთის დანაწილების საქმეს აძნელებდა; დღითი დღე ნათელი ხდებოდა, რომ მოკავშირეთა სა-

---

[1] А. Вандаль, Наполеон и Александр, т. I, გვ. 291. იხ. მათი საუბარი. გვ. 288—303. შდრ. Ф. Мартенс, собрание трактатов и конвенций, заключенных Россиею с иностранными державами, т XIV, стр. 9—21.

[2] Вестник Европы, т. II, стр. 140.

ბოლოო შეთანხმების მიღწევა აღნიშნულ საკითხზე გამორიცხული იყო, რომ ორივე მოკავშირე ერთმანეთს უნდობლობის თვალით უყურებდა. ოსმალეთის დანაწილების პროექტები, ნაპოლეონს პეტერბურგიდან რომ გაუგზავნეს, შესწავლისა და განხილვისათვის საკმაო დროს მოითხოვდა.

ალექსანდრე I-მა 1808 წლის 1(13) მარტს ნაპოლეონს 2 თებერვლის წერილზე პასუხი გაუგზავნა, სადაც სწერდა: «Я выяснил откровенно и без утайки генералу Каленкуру интересы моей империи, и ему поручено изложить вашему величеству мои мысли. Они были основательно обсуждены им и Румянцевым, и если ваше величество согласитесь с ними, то я предлагаю вам одну армию для похода в Индию, а другую для захвата портов Малой Азии»[1].

ნაპოლეონის და ალექსანდრე I-ის შეხვედრის საქმე ჯერჯერობით გაურკვეველი იყო. რუსეთისა და ოსმალეთის დაზავება პარიზში ნაპოლეონის მთავრობის შუამავლობით წარმოუდგენლად ჭიანურდებოდა.

დროებითი ზავის ვადა უკვე თითქმის მიიწურა, მაგრამ იმპერატორ ალექსანდრე I-მა ფელდმარშალ პროზოროვსკის უბრძანა: საომარი მოქმედება არ განეახლებინა პარიზში მოლაპარაკების დამთავრებამდე.

ოსმალეთი კეთილად არ იყო განწყობილი საფრანგეთის მიმართ, რადგანაც ეს უკანასკნელი თავს რუსეთის ერთგულ მოკავშირედ აღიარებდა.

1808 წლის დასაწყისში ოსმალეთის მმართველ წრეებში უკვე შეინიშნება მისწრაფება საფრანგეთის შუამავლობის გარეშე რუსეთთან საზავო მოლაპარაკების წარმოებისათვის. ოსმალეთის წარმომადგენელმა რეის-ეფენდმა წერილი გაუგზავნა გრაფ რუმიანცევს დაზავების შესახებ. უპასუხებდა რა რეის-ეფენდის მიერ გამოგზავნილ წერილს, რუმიანცევი მოითხოვდა, უპირველესად ყოვლისა, რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადგენილიყო ბუნებრივი საზღვარი, რომელიც მდინარე დუნაიზე გაივლიდა[2].

დუნაის ჯარების მთავარსარდალმა ფელდმარშალმა პროზოროვსკიმ 1808 წლის მარტში დაიწყო მუსტაფა ფაშა ბაირაკტართან მიმოწერა.

---

[1] Вестник Европы, т. II. стр. 113.

[2] А. Петров, Война России с Турцией 1806—1812, т. II, стр. 46.

ოსმალეთსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობა დღითი დღე დაძაბულ ხასიათს ღებულობდა; უკვე ოსმალეთის მმართველი წრეებიც მიუხვდნენ ნაპოლეონის პოლიტიკის ორმაგ ხასიათს.

იმისათვის, რომ საფრანგეთსა და ოსმალეთს შორის კიდევ უფრო გამწვავებულიყო ურთიერთობა, პროზოროვსკიმ კერძო წერილით აცნობა მუსტაფა ფაშას, რომ რუსეთისათვის უხერხულია თავისი მოკავშირის შეიარაღების გარეშე ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების დადება, მაგრამ რადგანაც პარიზის მოლაპარაკებიდან შეუძლებელია რაიმე კეთილს მოველოდეთ, უმჯობესია ოსმალეთმა აღძრას საკითხი, რათა რუსეთთან უშუალოდ აწარმოოს საზავო მოლაპარაკება[1].

ნაპოლეონი, იცოდა რა საფრანგეთის შეიარაღების გარეშე რუსეთთან ოსმალეთის მოლაპარაკების დაწყების ცდის შესახებ, შეეცადა მის ჩაშლას და ამ მიზნით ოსმალეთს აიმედებდა, რომ მას მოლდავეთსა და ვალახეთს შეუნარჩუნებდა.

ფაქტები აშკარად მეტყველებდნენ იმის შესახებ, რომ საფრანგეთის მთავრობა ცდილობდა, ოსმალეთი აემხედრებინა რუსეთის წინააღმდეგ და კვლავ განახლებულიყო საომარი მოქმედება მათ შორის. რუსეთის მთავრობამ ხელთ იგდო კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის გენერალ სებასტიანის ორი წერილი, რომლითაც იგი ოსმალეთის მთავრობას რუსეთის წინააღმდეგ საომრად აქეზებდა.

საფრანგეთის ამ უმსგავსო მოქმედებამ დიდად აღაშფოთა რუსეთის მმართველი წრეები და მათ შორის იმპერატორი ალექსანდრე I, რომელმაც მიმართა საფრანგეთის ელჩს კატეგორიული განცხადებით, განემარტა მისთვის, თუ რას ნიშნავდა სებასტიანის ასეთი მოქმედება: «Говорите без обиняков, — განუცხადა ალექსანდრე I-მა 1808 წლის აპრილში კალენკურს, — что за цель этих писем (Себастиани)? Разве император изменился? Хочет он меня подготовить к перемене? Генерал Себастиани как будто боится, что мы завладеем Турцией раньше, чем вы успеете переступить ея границы. Император возвещал о великих проектах: я принял меры для содействия ему по первому знаку, и если бы мои действия окончились ранее, нежели его, то разве он не знает, что я спе-

[1] А. Петров, Война России с Турцией 1806—1812, т. II, стр. 53.

шу лишь для того, чтобы всеми моими силами придти ему на помощь»[1].

ეს ფაქტი ხდება 1808 წლის აპრილის (ახ. სტ. მაისი) თვეში, ე. ი. ნაპოლეონის მიერ ალექსანდრესადმი (2 თებერვლის თარიღით) წერილის გამოგზავნის შემდეგ. ერთმანეთისადმი უხდობლობისა და მტრული მოქმედების ფაქტების დამალვა ძნელი ხდებოდა, და ისინი ცალკეული მხრიდან სხვადასხვა ფორმაში ვლინდებოდნენ. სწორედ ასეთ ვითარებაში ნაპოლეონი ალექსანდრე I-ს ერფურტში შესახვედრად იწვევდა და ცდილობდა რუსეთისა და საფრანგეთის იმპერატორთა „ურყევი და ერთგული" მეგობრობის დემონსტრირება მოეხდინა.

ოსმალეთის მოსახლეობაც კი მიუხვდა ნაპოლეონის ოინებს და ნიშნად საფრანგეთისადმი პროტესტისა 1808 წლის თებერვალში საფრანგეთის სამხედრო მისიის მეთაურს სებასტიანს ქუჩაში შიმავალმა ქალმა ქვა ესროლა, ხოლო ერთ-ერთმა იანიჩარმა პისტოლეტიც კი დაუმიზნა[2].

ოსმალეთში ნაპოლეონის პოლიტიკის შორსმიმავალი მიზნები დღითი დღე ნათელი ხდებოდა. გენ. პროზოროვსკისა და ოსმალეთის წარმომადგენლის ბოღოსის საუბრიდან გასაგები ხდება ოსმალეთის მმართველი წრეების დიდი უკმაყოფილება ნაპოლეონის მიმართ. ბოღოსი ნიღაბს ხდიდა ნაპოლეონის მთავრობის ვერაგულ მოქმედებას ოსმალეთში. ამ საუბრიდანაც ირკვევა, რომ რუსეთ-ოსმალეთის ომის პროვოცირების სულისჩამდგმელი უშუალოდ საფრანგეთის მთავრობა იყო. ბოღოსმა პროზოროვსკის განუცხადა: «*Мы ничего не имеем спорного с Россией. Порта была даже ея союзницей. Франция принудила нас объявить ей войну и вооружиться против Англии. Франция предписала Турции заключить с Россией перемирие. Она же затем предложила свое посредничество, для ведения мирных переговоров в Париже. Порта согласилась и вот, вместо мира, мы не знаем даже о том, что делается в Париже, и продолжается ли перемирие. Все это заставляет предполагать, что Франция старается только затянуть переговоры для*

[1] Ф. Мартенс, Собрание трактатов и конвенций, заключенных Россиею с иностранными державами, т. XIV, стр. 54, Донесение Каленкура Шампани от 24 апреля (6 мая) 1808.

[2] А. Петров, Война России с Турцией 1806—1812, т. 2, стр. 56

того, чтобы выждав удобную минуту, расширить свои владения и на счет Турции и на счет России».[1] (ხაზი ჩვენია, ნ. ჭ.).

სრულიად მართებული იყო ოსმალეთის წარმომადგენლის ასეთი მსჯელობა; საფრანგეთის პოზიცია ზუსტად ისეთი იყო, როგორადაც მას ბოლოსი ხატავდა. ბოლოსი აყენებდა პროზოროვსკის წინაშე საკითხს: ხომ არ შეიძლებოდა პარიზში მოლაპარაკების შეწყვეტა და ნაპოლეონის შუამავლობის გარეშე გამონახულიყო დაზავების საშუალება რუსეთსა და ოსმალეთს შორის ცალკე მოლაპარაკების გზით? ამაზე კი პროზოროვსკიმ უპასუხა: მანამ, სანამ საზავო მოლაპარაკება იწარმოებს პარიზში, რუსეთი ვერ აუვლის გვერდს საფრანგეთის შუამავლობას, მითუმეტეს, რომ საფრანგეთიც შუამავლობას მოლაპარაკებაში თავის დროზე მოითხოვდა თვითონ ოსმალეთი[2]. დასასრულ ბოლოსმა დასძინა: **«Турция может назначить 40 или 50-дневный срок для окончания парижских переговоров и заявить, что если к этому времени мир не будет заключен, то она устраняет посредничество Франции и будет трактовать только с Россией»**[3].

რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობაში გარკვეულ შემობრუნებას ჰქონდა ადგილი, მდგომარეობის გაუჯობესების მიმართულებით. მას შემდეგ, რაც კონსტანტინოპოლში მოხდა სასახლის გადატრიალება.

1808 წლის 28 ივლისს დუნაის ფრონტის ჯარების ხარდალმა მუსტაფა-ფაშა ბაირახტარმა მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება: ტახტიდან ჩამოაგდო სულთანი მუსტაფა IV, რომელიც რეაქციის დასაყრდენს წარმოადგენდა ოსმალეთში. ტახტზე ავიდა მაჰმუდ II. მუსტაფა ფაშამ დიდი ვეზირის პოსტი დაიკავა იმპერიაში და გაატარა ზოგიერთი ისეთი რეფორმა, რომელიც მიმართული იყო ოსმალეთის არმიის ევროპულ ყაიდაზე რეორგანიზაციისაკენ, რითაც აიმხედრა იანიჩარები და ქვეყნის რეაქციული წრეები.

1808 წლის ივლისში მოვხდარი სახელმწიფო გადატრიალება აშკარად ლაპარაკობდა ოსმალეთში სახელმწიფოებრივი სისტემის სისუსტისა და მმართველობის აპარატის მოშლის შესახებ.

სახელმწიფო გადატრიალების შედეგად წინა პლანზე წამოიწია

[1] А. Петров, Указ. соч., т. II, стр. 62.

[2] А. М. Михайловский—Даниловский, Полное собрание сочинений, Описание турецкой войны с 1806—1812 года. т. I, стр. 130.

[3] А. Петров, Указ. соч., т. II, стр. 63.

მუსტაფა-ფაშამ, რომელიც ცნობილი იყო თავისი ანტიპათიით საფრანგეთისადმი.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი ნ. რუმიანცევი ფელდმარშალ გუდოვიჩს 1808 წლის 4 აგვისტოს აუწყებდა შემდეგს: «...Мустафа Байрактар, властвующий ныне в Константинополе и назначенный верховным визирем от нового султана, давно огласил себя противником французской партии»[1].

ივლისის გადატრიალების შემდეგ აშკარად შეიძლებოდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ოსმალეთში საფრანგეთის გავლენა საბოლოოდ აღიკვეთებოდა, მუსტაფა-ფაშა ზავს შეკრავდა ინგლისთან და თანაც დაუახლოვდებოდა ავსტრიას საფრანგეთის წინააღმდეგ. იგი ოსმალეთისა და რუსეთის სამხედრო კავშირის შექმნაზეც კი ოცნებობდა ნაპოლეონის წინააღმდეგ.

მუსტაფა-ფაშამ ბევრი თავისი მოწინააღმდეგე და საფრანგეთის ორიენტაციის მატარებელი სიკვდილით დასაჯა. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იგი რუსეთთან დაზავების შემთხვევაში ტერიტორიალურ დათმობებზე წასვლას არ ფიქრობდა. ამიტომ რუსეთის მმართველი წრეები ოსმალეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების განახლებას დროულ საქმედ თვლიდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ნაპოლეონმა საერთოდ შეცვალა რა თავისი პოლიტიკა ოსმალეთისადმი, შესაძლებელია ოსმალეთის მიმართ რუსეთის დიდი გეგმის ნაწილი მაინც განხორციელდესო.

რუმიანცევი აუწყებდა პროზოროვსკის, გამოეწახა რაიმე საბაბი ოსმალეთთან საომარი მოქმედების დაწყებისათვის. იგი 1808 წლის 17 აგვისტოს პროზოროვსკის სწერდა, რომ მუსტაფა-ფაშამ დაამხო ოსმალეთის სულთანი და გახდა დიდი ვეზირი, მას სძულს საფრანგეთი და ამიტომაც შესაძლებელია შეწყვიტოს პარიზში მოლაპარაკება, უკან გამოიწვიოს ოსმალეთის წარმომადგენელი და თან დაამყაროს კავშირი ინგლისთანაც კი; ეს ფაქტი უნდა იქნას გამოყენებული რუსეთის მიერ ან ოსმალეთთან უშუალო საზავო მოლაპარაკების დაწყებისათვის, ანდა საომარი მოქმედების განახლებისათვის[2].

რუმიანცევი საჭიროდ თვლიდა, თუ საზავო ხელშეკრულების გაფორმება მიუღწეველი იქნებოდა, სლაბოდეაში დადებული დროებითი ზავი საბოლოოდ დაერღვია რუსეთს 1808 წლის აგვისტოს

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 401 лл. 1—3.

[2] А. Петров, Указ. соч., т. II, стр. 93.

დასასრულისათვის; რუსეთის მთავრობას ამგვარი ნაბიჯი რომ გაემართლებინა, პროზოროვსკის დავალება მიეცა პეტერბურგს გაეგზავნა დეპეშა, რომელშიაც დეტალურად იქნებოდა მოცემული მიზეზები დროებითი ზავის დარღვევის შესახებ, ხოლო ამ დეპეშის ასლი, რუსეთის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა, გაეგზავნა საფრანგეთის მთავრობისათვის[1].

ოსმალეთთან საომარი მოქმედების დაწყება რუსეთის დიპლომატიურ წრეებს განზრახული ჰქონდათ ასე დაესაბუთებინათ: ოსმალეთმა რუსეთს შესთავაზა საფრანგეთის მონაწილეობის გარეშე საზავო ხელშეკრულების გაფორმება, რასაც რუსეთის მთავრობა, თითქოსდა, როგორც საფრანგეთის ერთგული მოკავშირე, არ დაუშვებდა. ამით საფრანგეთის დიპლომატიური წრეების წინაშე რუსეთს უნდოდა თავისი ერთგულება ერთხელ კიდევ დაედასტურებინა.

რუმიანცევის მიერ გამოგზავნილი ინსტრუქცია ფელდმარშალ პროზოროვსკიმ მიიღო 1808 წლის სექტემბრის დასაწყისში. პროზოროვსკი მთლიანად მხარს უჭერდა ოსმალეთთან საომარი მოქმედების განახლების წინადადებას. იგი ღრმად იყო დაჯერებული იმაში, რომ საფრანგეთის შუამავლობას არავითარი დადებითი შედეგების მოტანა არ შეეძლო რუსეთისათვის.

მართალია, ოსმალეთი საომარი მოქმედების განახლებისათვის არსებითად არავითარ საბაბს არ იძლეოდა, მაგრამ პროზოროვსკიმ გადაწყვიტა, გამოეწვია იგი ამ გზაზე. მან მუსტაფა-ფაშას გაუგზავნა მკაცრი ტონით დაწერილი შეურაცხმყოფელი წერილი, რომელშიც უხეშად ამთრახებდა მას საფრანგეთის მონაწილეობის გარეშე ცალმხრივი მოლაპარაკების შემოთავაზების გამო და თანაც მოითხოვდა, ოსმალეთს ხელი არ ეხლო სერბიისათვის[2].

პროზოროვსკი ფიქრობდა, ამგვარ წერილს დიდი ვეზირიც უხეშად უპასუხებდა და საბაბი მიეცემოდა საომარი მოქმედების განახლებისათვის, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა.

მუსტაფა-ფაშა ბაირახტარი დაინტერესებული იყო, რადაც უნდა დაჯდომოდა, ზავი დაედო რუსეთთან; მას სურდა, რუსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნების გზით განემტკიცებინა თავისი ხელისუფლება და მოსალოდნელი ფინანსური კრახის მდგომარეობიდან გამოეყვანა ოსმალეთის ეკონომიკა. მუსტაფა-ფაშას

[1] А. Ф. Миллер, Указ, соч. стр. 279.
[2] А. Петров, Указ. соч., т. II, стр. 91.

რუსეთთან ზავი იმისთვისაც ესაჭიროებოდა, რომ საომარი მოქმედების განახლების შემთხვევაში იგი იძულებული გახდებოდა ფრონტზე წასულიყო, ხოლო მისი კონსტანტინოპოლში არყოფნისას კვლავ თავს წამოყოფდა რეაქცია, რაც წინასწარ აფრთხობდა მას. როგორც ჩანს, მუსტაფა-ფაშა მიუხვდა ფელდმარშალ პროზოროვსკის განზრახვას და მან სრულიად მშვიდობისმოყვარული კილოთი უპასუხა მის გამომწვევ წერილს.

ამგვარად, რუსეთსა და ოსმალეთს შორის საომარი მოქმედების განახლება არც ისე შორეული მომავლის საქმე იყო, მაგრამ ჯერჯერობით, თუ დიდი ხნით არა, დროებით მაინც გადადებულად ითვლებოდა.

* *
*

ალექსანდრე I და ნაპოლეონი ერფურტში შესახვედრად ემზადებოდნენ.

ალექსანდრე I გარეგნულად არ ამჟღავნებდა თავის უკმაყოფილებას, პირიქით, იგი თითქოსდა ნაპოლეონის მიმართ დიდ ნდობასაც კი გამოხატავდა. რუსეთის ელჩი ტოლსტოი პარიზიდან სისტემატურად იტყობინებოდა, რომ ნაპოლეონი რუსეთის ყველაზე უფრო სასტიკი და დაუძინებელი მტერიაო.

1808 წლის გაზაფხულზე ფლიგელ-ადიუტანტი თავადი ვოლკონსკი ალექსანდრე I-ის წერილით გაიგზავნა ნაპოლეონთან. თავადი ვოლკონსკი დიდი პატივითა და მოწიწებით იქნა მიღებული ნაპოლეონის მიერ. რუს დიპლომატთა საპატივცემლო სადილზე ნაპოლეონმა მას შემდეგი სიტყვებით მიმართა: «Скажите вашему государю, что я его друг... Если мы согласны, то мир нам принадлежит. Мир похож на яблоко, которое я держу в руке. Мы можем его разделить пополам и каждый из нас будет иметь половину. Нам абсолютно нужно согласие и дело будет сделано»[1].

ტოლსტოი მეტისმეტად აღაშფოთა ნაპოლეონის ბანალურმა სიტყვებმა; ამასთან ერთად ეშინოდა კიდეც, ნაპოლეონის მიერ გაკეთებული ეს განცხადება პეტერბურგში კეთილისმომტან სიტყვებად არ ჩაეთვალათ.

ვოლკონსკიმ, როგორც კი დაბრუნდა პეტერბურგში, თავისი შთაბეჭდილებისა და ნაპოლეონთან მისი საუბრის დეტალებზე მი-

[1] Ф. Мартенс, Собрание трактатов и конвенций, заключенных Россиею с иностранными державами, т. XIV, გვ. 55; შდრ. СИРИО, т. 89, გვ. 759.

ახსენა ალექსანდრე I-ს, რომელსაც განსაკუთრებით არ მოეწონა ვაშლთან მსოფლიოს ნაპოლეონისეული შედარება. მან განაცხადა: «Сначала он удовольствуется одною половиною яблока, а там придет охота взять и другую»[1].

მოკავშირეთა შორის დაპყრობითი პოლიტიკის დაპირისპირებულობა „მეგობრობის“ შენარჩუნებას დღითი დღე ფორმალურადაც შეუძლებელს ხდიდა.

ალექსანდრე I ერფურტში ხალისით როდი მიემგზავრებოდა. ერფურტს გამგზავრების წინ მან თავისი დედის — მარია თედორეს ასულის წერილი მიიღო. აღნიშნულ წერილში მარია თედორეს ასული აზნაურთა და საპახლის მსახურთა სახელით დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამდა, როგორც ტილზიტში დადებული ზავის მძიმე პირობების, ასევე შორეულ ერფურტში იმპერატორის გამგზავრების განზრახვის გამო. მარია თედორეს ასული სათანადო პოლიტიკურ ანალიზს უკეთებდა ტილზიტის ზავის მძიმე შედეგებს რუსეთისათვის; იგი წერდა: «По договору (ლაპარაკია ტილზიტის ზავზე, ნ. ქ.), ...Мы довели дело до разрыва с Англией и уничтожили нашу торговлю, потому, что он (ნაპოლეონი, ნ. ქ.) хотел этого»[2]. დედოფალს აწუხებდა ის გარემოებაც, რომ რუსეთის სამხედრო მოქმედება ოსმალეთის წინააღმდეგ ფაქტიურად პარალიზებული იყო საფრანგეთის უშუალო ზემოქმედების შედეგად. მარია თედორეს ასული სთხოვდა თავის შვილს, რომ არ გამგზავრებულიყო ერფურტში. იგი ხვეწნა-მუდარის ტონით სწერდა ალექსანდრე I-ს: «Ради бога, Александр, уклонитесь от этого свидания, уважение народа утрачивается легко, но не столь же легко завоёвывается обратно, Вы потеряете его через это свидание и вы потеряете вашу империю и вашу семью»[3].

საპასუხო წერილში ალექსანდრე I ასაბუთებდა საფრანგეთთან რუსეთის დაახლოების სასიცოცხლო მნიშვნელობას, მაგრამ

---

[1] ფ. Мартенс, Собрание трактатов и конвенций, заключенных Россиею с иностранными державами, т. XIV, გვ. 55, შდრ. СИРИО т. 89, გვ. 759.

[2] იქვე, გვ. 59.

[3] იქვე.

ყველას მეხსიერებაში ხომ ცოცხალი იყო სულ რაღაც ოთხი თვის უკან, 1808 წ. მაისში ნაპოლეონის მიერ ბაიონში ესპანეთის მეფის ოჯახის მეგობრული მიპატიჟება და მათი დაპატიმრება. ვის შეეძლო იმის მტკიცება, რომ ნაპოლეონი იგივე ავანტიურას არ მოუწყობდა ალექსანდრე I-ს, რომელიც მთლიანად მის ხელში იქნებოდა მოქცეული.

რუსეთის იმპერია ტილზიტის ზავის დადებით, როგორც აღინიშნა, ძალიან მძიმე პირობებში ჩავარდა. ნაპოლეონთან მეგობრობა, ინგლისთან კავშირის გაწყვეტა და კონტინენტალური ბლოკადის გამოცხადება, მეტისმეტად ბღალავდა რუსეთის აზნაურთა და ვაჭართა ინტერესებს. ფრიდლანდთან სამხედრო დამარცხება და ტილზიტი ითვლებოდა არა მარტო დიდ უბედურებად, არამედ აგრეთვე სამარცხვინო საქმედაც. როგორც აკად. ე. ვ. ტარლე შენიშნავს, — აუსტერლიცმა, ფრიდლანდმა და ტილზიტმა, ორმა წაგებულმა დიდმა ბრძოლამ და „სამარცხვინო“ ზავმა, ალექსანდრე I-ს ბევრ რამეში სიფრთხილე ასწავლა[1].

ერფურტში გამგზავრების წინ ალექსანდრე I თავის დას სწერდა: «Bonaparte думает, что я больше ничего как дурак. Смеется хорошо тот, кто смеется последним»[2]. ბუნებრივია, ალექსანდრე I-ს დიდი მოფიქრებულობა და ფრთხილი დიპლომატია სჭირდებოდა ნაპოლეონთან შეხვედრის დროს, რათა ამას ახალი დამამძიმებელი პირობები არ დაეკისრებინა რუსეთისათვის.

ალექსანდრე I ემყარებოდა რა ნაპოლეონის დაპირებებს, იმედოვნებდა, რომ საფრანგეთ-რუსეთის კავშირის დამყარებით ოსმალეთის ნაწილს მიიღებდა, რითაც ჩააყუჩებდა სასახლისა და აზნაურულ ოპოზიციას. მაგრამ ამის მსგავსი არაფერი მოხდა. პეტერბურგში იყო ფაქტები იმისა, რომ საფრანგეთი პირიქით აქეზებდა ოსმალეთს რუსეთის წინააღმდეგ ომის გაგრძელებისათვის. ალექსანდრე I-ს ჰქონდა მრავალი საბუთი, რომლებიც აშკარად მეტყველებდნენ იმის შესახებ, რომ ოსმალეთი არამც თუ თანახმა არ იყო გადაეცა რუსეთისათვის დუნაისპირა სამთავროები და დაედო მასთან საზავო ხელშეკრულება რუსეთის მიერ შეთავაზებულ პირობებში.

---

[1] Е. В. Тарле, Талейран, М. 1959, стр. 88—89.

[2] Вестник Европы, т. II, გვ. 134, შდრ. Ф. Мартенс, „Собрание трактатов и конвенций,заключенных Россиею с иностранными державами“, т. XIV стр. 306.

არამედ გამალებით ემზადებოდა ომისათვის, და რომ მას აქეზებდა კონსტანტინოპოლში მყოფი სებასტიანი[1].

ორივე მოკავშირე ერფურტში იმისათვის მიდიოდა, რომ ერთმანეთი მოეტყუებინათ; ორივემ ძალიან კარგად იცოდა ეს და არც ერთი მათგანი ერთმანეთს არაფერში არ ენდობოდა, მაგრამ ორთავეს სჭირდებოდა ერთმანეთი[2].

ნაპოლეონმა ერფურტში გამგზავრების წინ გამოიწვია საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადაყენებული ტალეირანი და იგი დიპლომატიურ მრჩევლად აიყვანა ამ მოლაპარაკებაში. მაგრამ ნაპოლეონს ამ ნაბიჯმა საბედისწერო შედეგები მოუტანა[3]. ტალეირანს მან გადასცა პეტერბურგთან მიმოწერის მასალები, რათა გასცნობოდა მათ. ერფურტში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ნაპოლეონმა ტალეირანი პირადად გამოიძახა და დიპლომატიური ურთიერთობის მასალების გაცნობის შემდეგ შეეკითხა: «Ну вот вы прочли всю переписку с Россией, как вы оцениваете ловкость моих приемов в переговорах с императором?»[4].

ნაპოლეონ ბონაპარტეს, როგორც ზემოთ ითქვა, გაუჭირდა ესპანეთის დაპყრობა. ევროპაში დამარცხებული სახელმწიფოები დიდი იმედით შეჰყურებდნენ პირენეის ნახევარკუნძულზე დანთებულ სახალხო ომის ხანძარს.

ავსტრია თავდაცვის მიზნით საფრანგეთის წინააღმდეგ იარაღდებოდა. აუსტერლიცის შემდეგ საკმაო დრომ განვლო და იგი ფეხზე წამოდგა.

ნაპოლეონი უკვე გრძნობდა რუსეთ-საფრანგეთის კავშირის დემონსტრირების საჭიროებას ევროპაში, რათა ამით შეეკავებინა ავსტრიის თავდასხმა მანამდე, სანამ იგი ჩაახშობდა ესპანეთში პარტიზანულ ომს. აქედან გამომდინარე, ნაპოლეონი აუცილებლად თვლიდა, იმპერატორ ალექსანდრე I-თვის ვალდებულება დაეკისრებინა, აქტიურად ემოქმედნა ავსტრიის წინააღმდეგ, თუ კი ეს უკანასკნელი საფრანგეთს თავს დაესხმოდა და დაიწყებდა სამხედრო მოქმედებას.

---

[1] Вестник Европы, т. II, გვ. 134, შდრ. Ф. Мартенс, „Собрание трактатов и конвенций, заключенных Россиею с иностранными державами", т. XIV, გვ. 124.

[2] Е. В. Тарле, Наполеон. М., 1957, стр. 225.

[3] История дипломатии, т. I. М., 1941, стр. 371.

[4] Талейран, Мемуары, М., 1959, стр. 190.

ამ მიზნით ნაპოლეონმა ტალეირანს დაავალა, შეედგინა რუსეთთან შეთანხმების წინასწარი ტექსტი, რომელიც საფრანგეთის იმპერატორს მოქმედებისა და წარმატების გარანტიას მისცემდა. მან ტალეირანს განუცხადა: «Теперь мы отправляемся в Эрфурт; я хочу получить там свободу действий в отношении Испании; я желаю быть уверенным, что Австрия, даже испытывая беспокойство, будет сдержана, и не хочу каким-нибудь определенным образом связать себя с Россией по вопросам Леванта. Подготовьте мне соглашение, которое удовлетворило бы императора Александра, было бы направлено главным образом против Англии и предоставило бы мне полную свободу в остальном; я вам помогу: мой престиж должен подействовать»[1].

ტალეირანმა ერფურტში გამგზავრებამდე შეიმუშავა 12 მუხლისაგან შემდგარი კონვენციის პროექტი, რომელიც ნაპოლეონმა ტალეირანთან ერთად განიხილა და მასში სათანადო ცვლილებანიც შეიტანა; ყურადღება გაამახვილა ავსტრიის წინააღმდეგ რუსეთისა და საფრანგეთის ერთიანი ბრძოლის სასიცოცხლო აუცილებლობაზე, ინგლისთან საფრანგეთისა და რუსეთის საზავო მოლაპარაკებია დაწყებაზე Uti possidetis პრინციპის საფუძველზე და სხვა საკითხებზე, რომლებიც ნაპოლეონის მთავრობას შეუნარჩუნებდა ევროპაში ჰეგემონის მდგომარეობას[2].

ტალეირანს დავალება მიეცა ნაპოლეონისაგან, ხშირად ენახა ალექსანდრე I ერფურტში და ტკბილად, სასიამოვნოდ ესაუბრა მასთან; დაერწმუნებია ალექსანდრე I, რომ რუსეთისა და საფრანგეთის იმპერატორები არიან მოწოდებულნი შეთანხმებულად გადაწყვიტონ მსოფლიოს ბედი. ტალეირანმა ნაპოლეონის სახელით ალექსანდრე I-ს განუცხადა: «Мы предназначены сообща восстановить порядок в Европе. Мы оба молоды и нас не следует торопить»[3].

ნაპოლეონი ფიქრობდა, გამოეყენებინა ტალეირანის მახვილი ჭკუა და გაქნილი დიპლომატიური ნიჭი დიპლომატიურ ბრძოლაში რუსეთის წინააღმდეგ.

1808 წლის 28 სექტემბერს ნაპოლეონი და ალექსანდრე ერფურტში შესვდნენ ერთმანეთს. იმპერატორებმა მხურვალედ გადა-

[1] Талейран. Мемуары, М., 1959, стр. 190–191.
[2] იქვე, გვ. 191—193.
[3] იქვე, გვ. 194.

კოცნეს ერთმანეთი. ორი, ერთმანეთის დაუძინებელი მტერი, ხალხის თვალში განუყრელი მეგობრის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

შეხვედრის ასეთი ხასიათისა და მისი პოლიტიკური და დიპლომატიური მნიშვნელობის შესახებ აკად. ე. ვ. ტარლე გონებამახვილურად შენიშნავდა შემდეგს: «Для Наполеона эти поцелуи утратили бы всю свою сладость, если бы о них не узнали австрийцы, а для Александра — если бы о них не узнали турки»[1].

ტალეირანმა ერფურტში ვერაგულად უღალატა ნაპოლეონს. მან საიდუმლო ურთიერთობა დაამყარა ალექსანდრე I-თან. იგი ამ უკანასკნელს ურჩევდა სასტიკი წინააღმდეგობა გაეწია ნაპოლეონის ჰეგემონიისათვის ევროპაში. ტალეირანი, გაიძვერა და ცბიერი დიპლომატი, ორივე იმპერატორის მრჩევლად გამოდიოდა მოლაპარაკების მთელ მსვლელობაში. იგი ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლის გზებსა და საშუალებებს ასწავლიდა ალექსანდრე I-ს; ტალეირანმა მის მიერ წინასწარ შედგენილი კონვენციის მუხლები გაუმეღავნა რუსეთის იმპერატორს და მოუწოდა მას, რიგ საკითხებში არ დათანხმებოდა ნაპოლეონს. შემდგომში ტალეირანი თავის ასეთ საქციელს საფრანგეთისადმი ზრუნვით ამართლებდა, თავის გაიძვერობაზე კი კრინტსაც არ ძრავდა. უდავოა, ტალეირანს ოღნავადაც არ აფიქრებდა ნაპოლეონის ავანტიურისტული ზრახვები, რომელსაც საფრანგეთი კატასტროფამდე მიჰყავდა. ტალეირანი ოქროში არა მარტო თავის მახინჯ სხეულს, არამედ ვერაგ სულსაც კი ჰყიდდა და ამიტომ არავითარ განცვიფრებას არ იწვევს მისი სიტყვები, რომლითაც მან ერფურტში ალექსანდრე I-ს მიმართა: «Государь, зачем приехали вы сюда? Вам надлежит спасти Европу, а вы достигнете этого, только ни в чем не уступая Наполеону. Французский народ цивилизован, его государь не цивилизован, Русский государь цивилизован, а его народ нет. Следовательно, русскому государю надлежит быть союзником Французского народа»[2].

ტალეირანი არავის მიმართ არ რჩებოდა ბოლომდე ერთგული მან თავის დროზე დირექტორია ნაპოლეონს მიჰყიდა, ნაპოლეონი ერფურტში ალექსანდრე I-ზე გაყიდა, ეს უკანასკნელი კი ინგლისელებზე, და ყველასგან დიდძალ თანხას იღებდა; ფული იყო მის-

---

[1] Е. В. Тарле, Наполеон, Указ, изд., стр. 225.

[2] А. Вандаль, Указ. Соч., т. I, стр. 426.

თვის სიმბოლო სიყვარულისა და ერთგულებისა. ნაპოლეონი ბარიზიდან ერფურტს გაემგზავრა ოსმალეთის იმპერიის მოჩვენებითი დანაწილების გრანდიოზული გეგმით.

საინტერესოა ალექსანდრე I-ის პოლიტიკურ შეხედულებათა შეცვლა ოსმალეთის დანაწილების საკითხზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი კალენკურთან შეხვედრისას კატეგორიულად მოითხოვდა ოსმალეთის იმპერიის დანაწილებას და თანახმა იყო ნაპოლეონთან შეხვედრაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ამ საკითხზე რუსეთის წინადადებები იქნებოდა მიღებული. მაგრამ თანდათანობით, იმპერატორი ალექსანდრე I ივიწყებდა თავის წინადადებებს და ბოლოს თანახმა გახდა ერფურტში გამგზავრებულიყო ყოველგვარი წინაპირობის გარეშე. კალენკური დიდად კმაყოფილი იყო რუსეთის იმპერატორის ამგვარი დათმობის გამო, მაგრამ მას მხედველობიდან გამორჩა და ანგარიშს არ უწევდა იმას, თუ რით იყო გამოწვეული ასეთი გასაკვირი დათმობა.

საინტერესოა, რამ გამოიწვია ალექსანდრე I-ის პოლიტიკურ შეხედულებათა ასეთი შეცვლა, ხომ არ ნიშნავდა ეს ნაპოლეონის ან ოსმალეთის მიმართ დათმობაზე წასვლას?

რუსეთის დიპლომატიური წრეები ანგარიშს უწევდნენ ნაპოლეონის დაპყრობითი პოლიტიკის შედეგებს ევროპაში; უკვე გასაგები გახდა, რომ თუ კი ოსმალეთის დანაწილების გეგმის განხორციელებას შეუდგებოდა რუსეთი, ეს შებოჭავდა მას რამდენიმე წლით და საშუალებას არ მისცემდა, საჭირო შემთხვევაში საკადრისი პასუხი გაეცა ნაპოლეონის დაპყრობითი მისწრაფებებისათვის.

ესპანეთის დაპყრობის ისტორიამ თვალი აუხილა რუსეთის იმპერატორს და საბოლოოდ დაარწმუნა იმაში, რომ უახლოეს მომავალში გარდუვალი იყო რუსეთისა და საფრანგეთის დაჯახება. თუ კი რუსეთი შემოიზღუდებოდა დუნაისპირა სამთავროების შემოერთებით, რომლებიც რუსეთის ჯარების მიერ იყო დაკავებული, მას საშუალება მიეცემოდა, თვალყური ედევნებინა საფრანგეთის პოლიტიკის მსვლელობისათვის დასავლეთ ევროპაში, საშუალება ეძლეოდა აგრეთვე რამდენადმე მხარი დაეჭირა პრუსიისა და ავსტრიისათვის და აეცდინა ისინი ახალი განადგურებისაგან, მათგან კი მიეღო მხარდაჭერა მოლდავეთისა და ვალახეთის შემოერთებისათვის.

აი, რატომ იყო ალექსანდრე ერფურტის შეხვედრის წინადღეებში ოსმალეთის იმპერიის დანაწილების წინააღმდეგი.

ნაპოლეონი დარწმუნებული მიდიოდა ერფურტში, რომ დაგვირგვინდებოდა ტილზიტში დაწყებული საქმე და საფრანგეთის პოლიტიკას მთლიანად დაექვემდებარებოდა რუსეთის საგარეო პოლიტიკა; ალექსანდრე I კი მტკიცედ იყო დაჯერებული იმაში, რომ ერფურტში იგი შეძლებდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და ამხელდა საფრანგეთის იმპერატორის ყველა აგრესიულ გეგმას. როგორც ცნობილია, ტილზიტის ხელშეკრულება ფაქტიურად რუსეთსა და საფრანგეთს შორის მომავალი დიდი ომის წინ დროებით დაზავებას წარმოადგენდა.

ტილზიტის ზავს უდავოდ სწორად და მოხდენილად ახასიათებდა სპერანსკი; იგი წერდა: «Вероятность новой войны между Россией и Францией возникла почти вместе с Тильзитским миром. Самый мир заключал в себе почти все элементы войны. Ни России с точностию его сохранить, ни Франции верить его сохранению, не возможно».[1]

ევროპის დიპლომატთა უმრავლესობა არასოდეს არ აფასებდა რუსეთ-საფრანგეთის „მეგობრობას", როგორც მტკიცეს, ხოლო ტილზიტის ზავს, როგორც მყარს. ნაპოლეონთან დაახლოებული პირები, და მათ შორის სავარაც, ამტკიცებდნენ, რომ ტილზიტის ზავი უშუალოდ ნაპოლეონის მიერ იყო ნაკარნახევი.

სულ მალე საერთაშორისო ურთიერთობა შეიცვალა. ესპანეთში ლაშქრობამ არავითარი დიდება არ მოუტანა ნაპოლეონს; პირიქით, მისი იმპერიის კრახი დაჩქარა. 1808 წელს ესპანეთი ფორმალურად დაპყრობილი იყო. ესპანეთის ტახტზე ნაპოლეონის ძმა იოსებ ბონაპარტე იქნა აყვანილი, მაგრამ ეს ხომ ესპანეთის საბოლოო დამორჩილებას არ ნიშნავდა! ესპანეთში დაიწყო პარტიზანული ომი, რომელმაც ჯადოქრული ძალით შეიწირა საფრანგეთის სამხედრო ძლიერება. ამიტომ ნაპოლეონი იძულებული გახდა დიდძალი სამხედრო შესაძლებლობა გადაესროლა ცენტრალური ევროპიდან ესპანეთში. სწორედ ამ პერიოდში ნაპოლეონი ამჩნევდა, რომ მალე თავს წამოჰყოფდნენ ერთ დროს მის მიერ წამოჩოქებული პრუსია

[1] Русская старина, т. 101, СПБ, 1900, стр. 57. Записка М. М. Сперанского о вероятностях войны с Францией после Тильзитского мира.

და ავსტრია, და საქმეს შეიძლებოდა სულ სხვა მიმართულება მისცემოდა. ამიტომ მოითხოვდა იგი ჯერ კიდევ 1808 წლის 2 თებერვლის თარიღით ალექსანდრე I-სადმი გაგზავნილ წერილში მომავალ შეხვედრას თავის მოკავშირესთან. ფაქტიურად ერფურტში შეხვედრა ევროპის ორი უძლიერესი იმპერატორის მეორე შეხვედრა იყო. ტილზიტის საზავო ხელშეკრულებით ნაპოლეონს უნდა მოეხდინა პრუსიის ტერიტორიიდან თავისი სამხედრო ძალების ევაკუაცია, ხოლო რუსეთს მოლდავეთისა და ვალახეთის ტერიტორიიდან თავისი ჯარი უნდა გამოეყვანა; მაგრამ ვერც ერთი ვერ ბედავდა მოეთხოვა ხელშეკრულების ამ მუხლის სისრულეში მოყვანა. ნაპოლეონი ბევრ რამეში თვითონაც მიდიოდა დათმობაზე.

1808 წლის 30 სექტემბერს (12 ოქტომბერს) ერფურტში რუსეთსა და საფრანგეთს შორის კონვენცია ხელმოწერილ იქნა. ძირითადად ერფურტის კონვენცია რუსეთსა და საფრანგეთს უნარჩუნებდა იმ პოზიციებს, რომლებიც მათ ევროპაში ჰქონდათ დაკავებული; არსებითი ცვლილება ამ კონვენციით ევროპის პოლიტიკურ რუკაში არ მომხდარა. ერფურტის კონვენციამ გაანახლა და განამტკიცა (ცხადია, ფორმალურად) ის კავშირი, რომელიც ტილზიტის ზავით იყო გათვალისწინებული (იხ. მუხლი I).

საფრანგეთსა და რუსეთს უნდა დაეწყო საზავო მოლაპარაკება ინგლისთან (მუხ. II). საფრანგეთ-რუსეთის მიერ ინგლისთან დადებულ საზავო ხელშეკრულებას საფუძვლად uti possidetis (ე. ი. ხელშეკრულების დამდებ ორთავე მხარეს უნდა ეცნო ფაქტიურად დაკავებულ ტერიტორიებზე დამპყრობი სახელმწიფოს უფლება) პრინციპი უნდა დასდებოდა.

რუსეთს კონვენციის ძალით უნდა მიეღო ფინეთი, მოლდავეთი და ვალახეთი, რომლებიც სინამდვილეში მას უკვე ჰქონდა დაკავებული, ხოლო საფრანგეთს — ესპანეთი, რომელიც ფაქტიურად მას არ ჰქონდა დაპყრობილი. ინგლისს კი საზავო მოლაპარაკებისას უნდა ეცნო რუსეთისა და საფრანგეთის ზემოაღნიშნული დაპყრობანი (მუხ. V—VI).

ნაპოლეონი რუსეთის ახალ საზღვარს მდ. დუნაიმდე ცნობდა. ხელშეკრულების VIII მუხლში პირდაპირ იყო ჩაწერილი: «...Его величество император Всероссийский довел уже с этой стороны границы своей империи до Дуная и присоединил к ней Валахию и Молдавию, признавая лишь под этим условием неприкосновенность Оттоманской империи, то его величество им-

ператор Наполеон признает указанное присоединение и перенесение границ Российской империи до Дуная»[1]. რუსეთის იმპერატორი კისრულობდა სრულიად საიდუმლოდ შეენახა კონვენციის ეს მუხლი და, რაც მთავარია, საფრანგეთი ხელს იღებდა რუსეთ-ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკებაში შუამავლობაზე (მუხ. IX). თუ კი ოსმალეთი უარს განაცხადებდა მოლდავეთისა და ვალახეთის რუსეთისათვის გადაცემაზე და რუსეთი განაახლებდა ომს, საფრანგეთს უნდა შეენარჩუნებინა ნეიტრალური პოზიცია. იმ შემთხვევაში, თუ ავსტრია მხარს დაუჭერდა ოსმალეთს რუსეთის წინააღმდეგ ომში, ანდა ავსტრია გამოუცხადებდა ომს საფრანგეთს, მოკავშირეები ვალდებულებას კისრულობდნენ, ერთმანეთს დახმარებოდნენ (მუხ. X). ხელშეკრულების ეს მუხლი მეტად მნიშვნელოვანი იყო საფრანგეთისათვის არამხოლოდ რუსეთის მიერ სამხედრო დახმარების გაწევის რეალური აზრით, არამედ იმითაც, რომ ავსტრია შეეკავებინა საფრანგეთზე თავდასხმისაგან. თუ კი ინგლისთან საზავო მოლაპარაკება დადებითი შედეგებით არ მომთავრდებოდა, მაშინ იმპერატორები ერთმანეთს კვლავ უნდა შეხვედროდნენ და დაესახათ ერთიანი სამხედრო მოქმედების გეგმა ინგლისის წინააღმდეგ (მუხ. XII).

დადებული კონვენცია სრულიად საიდუმლოდ ცხადდებოდა არანაკლებ ათი წლის ვადით (მუხ. XIV)[2].

ოსმალეთის იმპერიის დანაწილების გეგმას, როგორც ზემოთ ითქვა, გარკვეული ადგილი ეჭირა ერფურტის მოლაპარაკებამდე რუსეთისა და საფრანგეთის დიპლომატიის საქმიანობაში. და ეს საკითხი ბოლომდელი იყო დიდი პაექრობის საგანიც გამხდარიყო. ნაპოლეონს ერფურტში გამგზავრების წინ ბეჭობა ჰქონდა გენერალ სებასტიანთან აღნიშნულ საკითხზე. მან დავალება მისცა საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მაღალი ჩინის მქონე პირს ოტერიეს, შეედგინა ოსმალეთის დანაწილების პროექტი[3].

---

[1] Талейран, Мемуары, გვ. 216, შდრ. Ф. Мартенс, Собрание трактатов и конвенций, заключённых Россиею с иностранными державами-т. XIV, გვ. 70—71.

[2] Талейран, Мемуары, გვ. 217, შდრ. Ф. Мартенс, Собрание трактатов и конвенций. გვ. 69—72.

[3] А. Вандаль, Указ. соч., стр. 406—409.

ალექსანდრე I ერფურტში მიდიოდა არა ოსმალეთის იმპერიის დანაწილების განზრახვით, რაც ფანტასტიკურად მოსჩანდა, არამედ რეალური მიზნით, დაეთანხმებინა ნაპოლეონი დუნაისპირა სამთავროების — მოლდავეთისა და ვალახეთის რუსეთთან შემოერთებაზე და თანაც ხელი აეღო რუსეთ-ოსმალეთის მოლაპარაკებაში შუამავლობაზე.

ერფურტს შეხვედრა გარეგნულად გულთბილი შეხვედრის შთაბეჭდილებას სტოვებდა,მაგრამ წმინდა მეგობრულ ურთიერთობაში იგი არ ჩატარებულა; მოკავშირეთა შორის იყო მრავალი უთანხმოება, რომელიც ხშირად იმპერატორთა ურთიერთ მიმართვისას უხეშ ფორმებშიც კი ვლინდებოდა[1].

ორივე იმპერატორი ერფურტიდან ერთმანეთის მიმართ საპირისპირო შთაბეჭდილებებით ბრუნდებოდა. ალექსანდრე I უდავოდ გამარჯვებულად გრძნობდა თავს, ნაპოლეონი კი აშკარად გამოსთქვამდა უკმაყოფილებას ერფურტის მოლაპარაკების შედეგების გამო; ერფურტში ხომ არ მომხდარა ტილზიტში დაწყებული საქმის არც განვითარება, არც დასრულება. ნაპოლეონმა სცნო რუსეთის ყველა დაპყრობანი, ხოლო ალექსანდრე I-მა უკუაგდო ხელშეკრულების თითქმის ყველა არასასურველი მუხლი. კერძოდ, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ალექსანდრე I-მა, რომელსაც საიდუმლო ურთიერთობა ჰქონდა ტალეირანთან და მისგან რჩევასაც კი იღებდა, ხელი არ მოუწერა ნაპოლეონს იმ მუხლებზე, რომლებიც გარანტიას მისცემდა საფრანგეთს ავსტრიაზე თავდასხმის შემთხვევაში რუსეთს მონაწილეობა მიეღო საფრანგეთის მხარეზე.

რუსეთი, როგორც ზემოთ აღინიშნა, საფრანგეთის მიმართ დახმარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში კისრულობდა, თუ ავსტრია დაესხმოდა თავს საფრანგეთს.

ერფურტის შეხვედრის შემდეგ დაისვა საკითხი რუსეთსა და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ. ეს მოლაპარაკება საფრანგეთის მონაწილეობის გარეშე უნდა დაეწყოთ; ამით აღფრთოვანებული გრაფი ა. სალტიკოვი ფელდმარშალ გუდოვიჩს აუწყებდა: «Между постановлениями, заключенными в Ерфурте, положено производить турецкие дела без посредства Французской медиации»[2]. იგი მიუთითებს ავგრეთვე იმის შესახებ.

[1] А. Вандаль, Указ. соч., т. I, გვ. 439—440, შდრ. Ф. Мартенс, Собрание трактатов и конвенций... т. XIV, გვ. 66.

[2] ЦГВИА, ф. ВУД, д. 400. л. 4; оь. фф. 4—6—18, 19, 20.

რომ დუნაის ფრონტის მთავარსარდლის ა. ა. პროზოროვსკის მიერ კონსტანტინოპოლში მუსტაფა-ფაშასთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილ იქნა კაპიტანი კრასნოკუტსკი, რომელსაც დავალება მიეცა გადაეცა დიდი ვეზირისათვის ოფიციალური წერილი, რითაც რუსეთი წინადადებას სთავაზობდა ოსმალეთს დაეწყო საზავო მოლაპარაკება უშუალოდ და ამ მიზნით გამოეგზავნა თავისი წარმომადგენელი იასში ხელშეკრულების გასაფორმებლად[1].

კრასნოკუტსკი კონსტანტინოპოლში ჩავიდა 1808 წლის 27 ოქტომბერს და პროზოროვსკის წერილი მუსტაფა-ფაშას გადასცა. მუსტაფა-ფაშამ იგი დიდი პატივით მიიღო, თანაც სიხარული გამოსთქვა იმის გამო, რომ რუსეთმა მას უშუალოდ შესთავაზა ზავი. მუსტაფა-ფაშამ კრასნოკუტსკის განუცხადა: «Турки давно желают мира с Россиянами, но французы происками своими: оному препятствуют, лукавствуя, будто бы они пекутся о пользе Турции»[2].

მუსტაფა-ფაშა საფრანგეთის მიმართ არა მარტო სიტყვით გამოთქვამდა უკმაყოფილებას, არამედ მისდამი ნამდვილად მტრულად იყო განწყობილი. როგორც ვთქვით, საფრანგეთის ორიენტაციის დიდებულებს მან სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა; იგი ცდილობდა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, ოსმალეთისათვის ხელსაყრელ პირობებში ნორმალური ურთიერთობა აღედგინა რუსეთთან და ინგლისთან. მუსტაფა-ფაშამ რუს კაპიტანს განუცხადა: «...Я недавно отрубил головы двенадцати вельможам, преданным Франции. Первая моя цель заключить мир с Россиею и Англиею, а с Франциею я искренным приятелем никогда не буду. Она много раз нас обманывала».[3]

სწორედ მაშინ, როცა მოლაპარაკება წარმოებდა მუსტაფა-ფაშასა და კრასნოკუტსკს შორის, კონსტანტინოპოლში მუსტაფა-ფაშას წინააღმდეგ მოეწყო შეთქმულება. იგი 1808 წლის 2 ნოემბერს აჯანყებულებმა მოკლეს. საფიქრებელია, დიდი ვეზირის წინააღმდეგ შეთქმულების სულისჩამდგმელნი ფრანგები იყვნენ. რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მუსტაფა-ფაშას პოლიტიკა უშუალოდ ნაპოლეონის პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამი-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 400, л. 4; იხ. ფფ. 4—6.

[2] Дневния записки поездки в Константинополе, А. Г. Краснокутского в 1808 году, стр. 18.

[3] იქვე.

ტომ უსაფუძვლო არ უნდა იყოს ისტორიკოს ა. პეტროვის აზრი, როცა იგი შენიშნავს: «...Есть основания думать, как многие и утверждают, что бунт янычарь был вызван интригами Французского правительства, чтобы избавиться от злейшего врага Франции»[1].

ოსმალეთში დიდი ვეზირის პოსტზე დანიშნულ იქნა ჰაჯი-მიმიშ-ეფენდი, რომელთანაც კაპიტან კრასნოკუტსკს აგრეთვე ჰქონდა საუბარი დაზავების შესახებ. ჰაჯი-ეფენდი რუსეთთან დაზავების საწინააღმდეგო შეხედულებებს ოდნავადაც არ ამჟღავნებდა. მან როგორც კი გაიგო, რომ დუნაის ფრონტის სარდალი პროზოროვსკი ღრმა მოხუცი იყო, კრასნოკუტსკის განუცხადა: «Слава богу, мы два старика постараемся возобновить между нашими империями прежнее старое дружество»[2].

პროზოროვსკიმ 1808 წ. 23 ნოემბერს ჰაჯი-ეფენდის გაუგზავნა წერილი, რომლითაც იგი სურვილს გამოთქვამდა ბუქარესტში დაწყებულიყო რუსეთსა და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკება.

დიდმა-ვეზირმა საპასუხო წერილი გამოუგზავნა პროზოროვსკის და გამოხატა თავისი აღფრთოვანება დაზავების წინადადების წამოყენების გამო. იგი სიამოვნებით დათანხმდა, თავისი დიპლომატიური წარმომადგენლები გაეგზავნა ბუქარესტში ზავის პირობების შესამუშავებლად და ხელმოსაწერად[3]. მაგრამ ძნელი სათქმელი იყო, მოჰყვებოდა დადებითი შედეგები თუ არა ამ მოლაპარაკებას. იანიჩარებს სასტიკად ეზიზღებოდათ ყველაფერი, რაც მუსტაფა-ფაშას მიერ იყო დაწყებული, ისინი რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის წინააღმდეგი იყვნენ და სურვილს გამოთქვამდნენ, საომარი მოქმედება რუსეთთან სასწრაფოდ განახლებულიყო.

მიუხედავად იმისა, რომ ერფურტის კონვენციით საფრანგეთი ხელს იღებდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის შუამავლობაზე, საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში ლატურ-მობურგი რუსეთის მიმართ აშკარად მტრულად მოქმედებდა. იგი აქეზებდა ოსმალეთის მმართველ წრეებსა და იანიჩარებს რუსეთის წინააღმდეგ.

---

[1] А. Петров, Указ, соч., т. II, стр. 112.

[2] Дневния записки поездки в Константинополе А. Г. Краснокутского, в 1808 году, стр. 80.

[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 400, *лл.* 20, 28. 29, 30.

ოსმალეთს, დაპირების მიუხედავად, თავისი დიპლომატიური წარმომადგენლები ბუქარესტში ჯერ კიდევ არ გამოეგზავნა; იგი[1] აყოვნებდა ამას, რაც ბუნებრივია, ამტკიცებდა იმ აზრს, რომ ოსმალეთს არ უნდოდა დაზავება რუსეთთან.

გენერალ-ფელდმარშალმა პროზოროვსკიმ ოსმალეთის ნამდვილი განზრახვის გასაგებად კონსტანტინოპოლს გაგზავნა ოსმალეთის მოხელე მანუქ-ბეისთან (მუსტაფა ფაშას მეგობართან) კოლეგიის მრჩეველი ბეზაკი. მანუქ-ბეი რუსეთთან დაზავების მომხრე იყო. ისე როგორც მისი დაღუპული მეგობარი მუსტაფა-ფაშა.

ბეზაკმა დანამდვილებით გაიგო მანუქ-ბეისაგან, რომ იანიჩარები რუსეთთან დაზავების სასტიკი მოწინააღმდეგენი იყვნენ. მანუქ-ბეის აზრით, იანიჩარებს რუსეთის წინააღმდეგ ფრანგები აქეზებდნენ. მან საუბარში განაცხადა: «Я имею явныя подозрения в том, что французская миссия подстрекает янычар, уверяя их, что коль скоро Порта заключит мир с Россией, то она примется, со всею силою, ускромлять их, яко возмутителей, и тогда они пропали»[1].

ამრიგად, საფრანგეთი არღვევდა ერფურტის კონვენციას და ხელს უშლიდა ოსმალეთთან დაზავების საქმეს, ოსმალეთის მმართველ წრეებს სისტემატურად უბიძგებდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის განახლებისაკენ და ამით ცდილობდა, გაერთულებინა თავისი მოკავშირის მდგომარეობა.

ოსმალეთის მიერ საზავო მოლაპარაკების გაჭიანურება აშკარად იმის მაჩვენებელი იყო, რომ მას სურდა, დროის მოგებით მოეხდინა არმიის რეორგანიზაცია 1809 წლის გაზაფხულზე რუსეთთან ომის განახლებისათვის[2].

ალექსანდრე I-მა განკარგულება გასცა — დაედგინათ ოსმალეთის მთავრობას ნამდვილად სურდა თუ არა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმება. მალე დადასტურდა ოსმალეთის ნამდვილი ზრახვები; იგი საზავო მოლაპარაკებას აჭიანურებდა და დროის მოგების გზას ადგა[3].

---

[1] А. Петров, Указ. соч. т. II, стр. 115—116.

[2] А. Петров. Указ. соч., т. II, Приложение документов, стр. 544—546. Письмо имп. Александра I, к А. Д. Прозоровскому от 19 декабря 1808 г.

[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 400, л. 5.

პროზოროვსკიმ მიიღო წერილი ალექსანდრე I-საგან, რომელიც იძლეოდა ოსმალეთის მიმართ შემდგომი მოქმედების პროგრამას: იმპერატორი მოითხოვდა, პროზოროვსკის გაეგზავნა თავისი სანდო წარმომადგენელი დიდ ვეზირთან და მისთვის შეეთვალა, რომ წარმომადგენელთა გამოგზავნის საქმეში დაყოვნება რუსეთის ძიერ მიჩნეული იქნებოდა, როგორც დროებითი ზავის დარღვევა; ოსმალეთის მთავრობა უნდა დათანხმებოდა რუსეთის მიერ წაყენებულ ულტიმატუმს, რომელიც პრელიმინარული ხელშეკრულების 3 მუხლისაგან შედგებოდა. რუსეთს სურდა: 1) მოლდავეთისა და ვალახეთის საკითხი თავის სასარგებლოდ გადაეჭრა, 2) სერბიაში ოსმალეთის გავლენა დაესუსტებინა, 3) ამიერკავკასიაში ოსმალეთს ხელი აეღო თავის პრეტენზიებზე დასავლეთ საქართველოს — იმერეთისა და სამეგრელოს მიმართ და აღნიშნულ ტერიტორიებზე ეცნო რუსეთის ბატონობა.

საეჭვო იყო, ოსმალეთს ხელშეკრულების ზემოაღნიშნული მუხლები მიეღო 1808 წლის დასასრულისათვის. მას მხოლოდ გაზაფხულამდე აინტერესებდა ზავის შენარჩუნება. ოსმალეთთან ურთიერთობას სხვა გარემოებაც ართულებდა. ინგლისის დიპლომატია იბრძოდა იმისათვის, რომ რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაზავების საქმე ჩაეფუშა. ინგლისელები ცდილობდნენ უპირატესი მდგომარეობა მოეპოვებინათ ოსმალეთში (ნაპოლეონის პრესტიჟი კი ამ დროისათვის უკვე საკმაოდ შელახული იყო). რუსეთის მმართველი წრეები მთელი გულისყურით უთვალთვალებდნენ ოსმალეთთან ინგლისის დაახლოებას, რასაც უთუოდ არასასურველი შედეგები უნდა მოჰყოლოდა რუსეთისათვის.

ალექსანდრე I-ის მიერ 1809 წ. 5 თებერვლის თარიღით პროზოროვსკისადმი გაგზავნილ წერილში ამის შესახებ ვკითხულობთ: «Готовясь с нами говорить о мире, она—ლაპარაკია ოსმალეთზე—между тем допустила к себе Английского полномочного и, следовательно, отвергла на деле то, что на словах предлагала, ...прием английского полномочного в Константинополе считаю я совершенным разрывом перемирия»[1].

რუსეთის მთავრობა აღშფოთებული იყო ოსმალეთში ინგლისის წარმომადგენლის მიღებითა და მასთან მოლაპარაკების დაწყებით.

[1] А. Петров. Указ. соч. т. II, Приложение документов, стр. 560—561.

ალექსანდრე I-მა პროზოროვსკის უბრძანა: სასწრაფოდ წინადადება მიეცა ოსმალეთის სულთნისათვის გაეძევებინა ინგლისის ელჩი თავისი ქვეყნის საზღვრებიდან. მოსაფიქრებლად კი ოსმალეთის მთავრობისათვის ორი დღის ვადა მიეცა; უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, მას ნაბრძანები ჰქონდა, განეახლებინა საომარი მოქმედება[1].

პროზოროვსკიმ 1809 წლის 26 თებერვალს კონსტანტინოპოლში პოლკოვნიკი ხიტროვი გაგზავნა სპეციალური წერილით; მთავარსარდალი იმპერატორის სახელით კატეგორიულად მოითხოვდა, არა უგვიანეს 48 საათისა პასუხი მიეღო სულთნისაგან ინგლისის ელჩის კონსტანტინოპოლიდან გაძევების შესახებ.

ოსმალეთის დიპლომატიური წარმომადგენლები კი გალიბეფენდის მეთაურობით 1809 წლის 24 თებერვალს ქ. იასში გამოცხადდნენ საზავო მოლაპარაკების დაწყებისათვის. პროზოროვსკი ოსმალეთიდან პასუხის მოლოდინში იყო და ფაქტიურად მოლაპარაკებას. ცხადია, გადამწყვეტი ხასიათი არც ექნებოდა. ოსმალეთის წარმომადგენლებს პროზოროვსკიმ გადასცა წინასწარ შემუშავებული ხელშეკრულების პროექტი, რომლის თანახმად:

1. მოლდავეთი, ვალახეთი და ბესარაბია სამუდამოდ უნდა გადასულიყო რუსეთის ხელში, ხოლო მდინარე დუნაი უნდა გამხდარიყო რუსეთისა და ოსმალეთის საზღვარი;

2. ოსმალეთს უნდა ეცნო ამიერკავკასიაში აღმოსავლეთ საქართველოს, იმერეთის, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის რუსეთთან შეერთება, ხელი აეღო ყოველგვარ პრეტენზიებზე აღნიშნული პროვინციების მიმართ;

3. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ მომავალში ყოველგვარი სახის უთანხმოება, ოსმალეთს რუსეთისათვის უნდა გადაეცა მდ. რიონის შავი ზღვის შესართავთან მდებარე ქ. ფოთი, სხვა საზღვარი კი ოსმალეთთან აზიის ტერიტორიაზე ძველებურად დარჩებოდა;

4. ოსმალეთს უნდა ეცნო რუსეთის მფარველობა სერბიის მიმართ და სხვ.[2].

---

[1] А. Петров, Указ. соч., т. II. Приложение документов, стр. 560—561.

[2] იქვე, გვ. 176—179.

იყო აგრეთვე რიგი მუხლებისა, რომელთაც სასტიკად უნდა შეეზღუდათ ოსმალეთის იმპერია.

ოსმალეთის წარმომადგენლებს, რომლებიც მოლაპარაკების გაჭიანურებით ისედაც იყვნენ დაინტერესებული, არ სურდათ დათანხმებოდნენ რუსეთის სარდლობის მიერ შემუშავებულ მუხლებს.

ინგლისის წარმომადგენელი ადერი (Adair) ოსმალებს ჰპირდებოდა, რომ მოლდავეთსა და ვალახეთს მათვე შეუნარჩუნებდა. ოსმალები დიდად იყვნენ დაიმედებული ინგლისის დახმარებაში და ამიტომ მათი დიპლომატები თავიანთ თავზე არ იღებდნენ პასუხისმგებლობას ხელი მოეწერათ ზემოაღნიშნული პროექტისათვის.

თავის მხრივ, ნაპოლეონის მთავრობა ცდილობდა, ოსმალეთში თავისი ადრინდელი პოზიცია შეენარჩუნებინა და ამისათვის იგი აბამდა ინტრიგის ხლართებს, როგორც ინგლისის, ისე რუსეთის წინააღმდეგ. საფრანგეთის პოლიტიკა მთლიანად იყო მიმართული ერფურტში მიღებული კონვენციის გატარების საპირისპიროდ. ამის გამო პროზოროვსკი 1809 წლის 13 მარტს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს რუმიანცევს სწერდა: «Французская в Константинополе миссия и все ея чиновники, без изъятия, открыто стараются истребить навсегда всякое уважение, влияние и перевес России у Порты... Французский консулат не перестает нести переписку с противниками нашими»[1].

ოსმალეთში გაგზავნილ ხიტროვს გზაზე ავარია მოუხდა. კონსტანტინოპოლში მის მაგიერ 1809 წლის 8 მარტს პასკევიჩი ჩავიდა; მან ულტიმატუმი მთავრობის კაბინეტს გადასცა; პროზოროვსკის წერილმა ოსმალეთის მინისტრთა შორის დიდი აღშფოთება გამოიწვია. ოსმალეთის მესვეურებს ულამართლოდ მიაჩნდათ რუსეთის მიერ წაყენებული ულტიმატუმი[2].

ოსმალეთსა და ინგლისს შორის დაზავებასა და სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებას აჩქარებდა ავსტრიის დიპლომატიაც. ამასთან ერთად, აღსანიშნავია ისიც, რომ ავსტრიელი დიპლომატები ცდილობდნენ ოსმალეთი წაექეზებინათ რუსეთთან ომის განახლებისაკენ. ავსტრიის წარმომადგენელმა ოსმალეთის მთავრობას

[1] А. Петров, Война России с Турцией 1806—1812 гг., т. II, стр. 176—179: Приложение документов.

[2] იქვე, გვ. 187.

შემდეგი განუცხადა: «Если бы вы меня послушали назад тому шесть месяцев, и поставили 200.000 войска на границу, то Россия никогда бы не осмелилась поступать с вами так, как теперь»[1].

საფრანგეთის დიპლომატია ანგარიშს უწევდა იმ გარემოებას, რომ ინგლისსა და ოსმალეთის დაზავებაში სათანადო როლი ავსტრიამ ითამაშა და ფიქრობდა მკაცრად გასწორებოდა ავსტრიას. 1809 წლის 14 თებერვალს შამპანი ავსტრიის მოქმედების შესახებ წერდა: „ოსმალეთმა ხელშეკრულება დადო ინგლისთან, ავსტრიის წარმომადგენლის ინტრიგებმა დიდად შეუწყო ხელი ამ საქმეს"[2].

საფრანგეთის დიპლომატიური წრეები დიდ უკმაყოფილებას და სინანულს გამოთქვამდნენ ოსმალეთისა და ინგლისის დაზავებისა და დაახლოების გამო. ამ არასასიამოვნო საქმის დაგვირგვინებაში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შამპანი ძირითადად რუსეთს ადანაშაულებდა. იგი წერდა: „ოსმალეთმა ზავი დადო ინგლისთან მხოლოდ იმისთვის, რომ მას ეგონა, საფრანგეთმა ის მიატოვა საფრანგეთსა და რუსეთს შორის არსებული უთანხმოების გამო. მაგრამ ოსმალეთი ამ გადაწყვეტილების მიღებას ვერ გაბედავდა, მას რომ ჰქონოდა იმის რწმენა, რომ რუსეთი მჭიდრო კავშირს დაამყარებდა საფრანგეთთან ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლაში"[3].

როგორც ირკვევა, რუსეთსა და საფრანგეთს შორის არსებულ შინაგან უთანხმოებას მაშინდელი ევროპისა და აზიის სახელმწიფოთა დიპლომატები კარგად ამჩნევდნენ, რასაც თვითონ შამპანიც კი ვერ მალავდა.

ოსმალეთმა ინგლისთან ზავი და მასთანვე მოკავშირეობა არჩია არახელსაყრელ პირობებში რუსეთთან დაზავებას.

ოსმალეთმა რუსეთის მიერ გაგზავნილი ულტიმატუმის შესრულებაზე უარი განაცხადა. პასკევიჩი კონსტანტინოპოლიდან იუწყებოდა, რომ სულთანმა არა მარტო უარი განაცხადა რუსეთის მიერ წაყენებული ულტიმატუმის პირობებზე, არამედ ფაქტიურად საომარი მდგომარეობა გამოაცხადა, დაგზავნა ფირმანი ყველა პროვინციაში რუსეთთან ომის განახლების შესახებ.

---

[1] **А. Петров**, Указ. соч., т. II, Приложение документов, стр. 192.

[2] Дипломатические сношения России и Франции по донесениям послов императоров Александра и Наполеона 1808—1812 гг., Петроград 1914. Издатель Великий князь Николай Михайлович, т. VII, стр. 99.

[3] იქვე, გვ. 100.

ამრიგად, 1809 წლის გაზაფხულზე ოსმალეთთან ომის განახლება გადაუდებელი საქმე გახდა. 1809 წლის 22 მარტს კი რუსეთის ჯარმა ბრძანება მიიღო, ოსმალეთის წინააღმდეგ იერიშზე გადასულიყო. ოსმალეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს, რომლებიც იასში იმყოფებოდნენ, წინადადება მიეცათ, დაეტოვებინათ ქალაქი და დაბრუნებულიყვნენ ოსმალეთში[1]. კვლავ განახლდა რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელიც სამი წლის განმავლობაში წარმოებდა. ყველა ის საკითხი, რომლის გადაწყვეტაც დიპლომატიური გზით არ მოხერხდა, იარაღის ძალას უნდა გადაეჭრა. საფრანგეთი კი ტრადიციას არ ღალატობდა, კვლავ განაგრძობდა მტრულ მოქმედებას თავისი მოკავშირის — რუსეთის წინააღმდეგ.

[1] А. М. Михайловский—Данилевский—Полное собрание Сочинений т. I, Описание турецкой войны с 1806—1812 года, стр. 144—151.

თავი მეხუთე

საომარი მოქმედების განახლება რუსეთსა და ოსმალეთს შორის ღრუბითი ზავის შემდეგ

ინგლისისა და ავსტრიის დიპლომატიურმა შანტაჟმა ოსმალეთში მათთვის სასურველი შედეგები მოიტანა. ოსმალეთი დააფრთხო ინგლისის წარმომადგენლის ადერის მუქარამ, რომ საზავო მოლაპარაკებაზე უარისთქმის შემთხვევაში ინგლისი დაეუფლებოდა მარმარილოს ზღვას, გადასწვავდა კონსტანტინოპოლს და განაახლებდა ოსმალეთისათვის დამღუპველ ომს. ავსტრიის მთავრობამ საიდუმლო კავშირი დაამყარა ინგლისთან და ემზადებოდა ნაპოლეონთან ომისათვის.

ლორდი ადერი და ავსტრიის წარმომადგენელი ინტერნუნცი არწმუნებდნენ დივანს, რომ ნაპოლეონი, რომელიც ესპანეთში იბრძოდა, უკვე აღარ წარმოადგენდა საშიშ ძალას; იგი იქ დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდა, ხოლო რუსეთი, რომელიც ფინეთთან ომს აწარმოებდა, ვერ შეძლებდა ოსმალეთის წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი არმიის გამოყვანას. ინგლისისა და ავსტრიის წარმომადგენლები ურჩევდნენ ოსმალეთის დივანს, რომ „უმჯობესია გაჟვდეს ორი მოკავშირე — ავსტრია და ინგლისი, — ვიდრე არც ერთი"[1].

ინგლისის მხრიდან ომის განახლების მუქარა აფრთხობდა ოსმალეთს არა მარტო იმიტომ, რომ ინგლისთან ომი კიდევ უფრო მოშლიდა ქვეყნის ეკონომიკას, არამედ იმიტომაც, რომ მოსალოდნელი იყო, ინგლისელების მიერ დარდანელისა და კონსტანტინოპოლის დაბომბვის შემთხვევაში, თვით დედაქალაქში მომხდარიყო აჯანყება, რასაც, შესაძლებელია, საბედისწერო შედეგები მოეტანა. სხვათა შორის, ამითაც იყო განპირობებული ინგლისთან დაზავება და

---

[1] А. М. Михайловский—Данилевский, Полное собрание сочинений, т. III, Описание Турецкой войны с 1806—1812 года, стр. 100.

რუსეთის წარმომადგენლის — პასკევიჩის ციცი უარით გამოსტუმრება კონსტანტინოპოლიდან.

მკითხველისათვის რომ გასაგები გახდეს ომის თანმიმდევრული ვანვითარება, ჩვენ მოკლედ შევეხებით, თუ რა მდგომარეობა შეიქმნა ომის განახლების პირველი დღეებიდანვე დუნაის ფრონტზე და როგორ წარიმართა ის.

ომის განახლების მომენტისათვის რუსეთსა და ოსმალეთს დუნაის ფრონტზე თითქმის თანაბარი სამხედრო ძალა გააჩნდათ. რუსეთის არმია 80 ათას ჯარისკაცზე ცოტა მეტს ითვლიდა,მაგრამ საომარი მასალითა და სურსათით ცუდად იყო მომარაგებული.

ოსმალეთის არმიაც დაახლოებით ამდენივე ჯარისკაცს ითვლიდა; ის ორ ნაწილად იყოფოდა: მოქმედ და ციხე-სიმაგრეებში მყოფ საგარნიზონო სამსახურის არმიად; მოქმედი არმია 40 ათასი ჯარისკაცისაგან შედგებოდა და განლაგებული იყო ადრიანოპოლიდან — დუნაიმდე. ოსმალეთის მიერ დაკავებულ ციხე-სიმაგრეებში (ბრაილოვი, იზმაილი, ჟურჟა და სხვ.) დაახლოებით 42 ათასი ჯარისკაცი იდგა[1].

დუნაის ფრონტზე საომარი მოქმედების განახლების ერთდროულად დაიწყო ომი საფრანგეთსა და ავსტრიას შორის; ამ ომმა თავისი დიდი მნიშვნელობის გამო მთელი ევროპის ყურადღება მიიპყრო. ინგლისის მხარდაჭერით დაიმედებულმა ავსტრიამ 1809 წლის აპრილში ომი გამოუცხადა საფრანგეთს. ვენის ახლო ვაგრამთან 6—7 ივლისს მომხდარ ბრძოლებში ავსტრიის არმია სასტიკად დამარცხდა და ფრანცი I იძულებული გახდა დაეწყო მოლაპარაკება დაზავების შესახებ. ეს ომი ძალიან მოკლე ხნის განმავლობაში წარმოებდა, მაგრამ იგი მეტისმეტად ძვირი დაუჯდა არა მარტო ავსტრიას, არამედ საფრანგეთსაც[2]. რუსეთმა, ერფურტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების თანახმად, საფრანგეთის დასახმარებლად ოთხი დივიზიისაგან შემდგარი კორპუსი გაგზავნა გალიციაში თავად გოლიცინის მეთაურობით, მაგრამ რუსეთის მონაწილეობა ომში ფიქტიურ ხასიათს ატარებდა[3].

ფაქტიურად რუსეთის არმიის უმოქმედობამ ავსტრიის წინააღმდეგ ნაპოლეონის რისხვა გამოიწვია. ნაპოლეონმა 1809 წლის 14

---

[1] А. М. Михайловский—Даниловский. Полное собрание сочинений. т. III. Описание Турецкой войны с 1806—1812 года, стр. 103.

[2] В. П. Федоров. Австро-Французская война, сб. „Отечественная война и русское общество", т. II, стр. 62—71. М, 1911.

[3] История дипломатии, т, 1, 1959, стр. 478.

ოქტომბერს შენბრუნის სასახლეში დადებული საზავო ხელშეკრულებით, რუსეთის დასჯის მიზნით, უკანასკნელს მხოლოდ ტარნოპოლის მხარე არგუნა, მაშინ როდესაც მთელი გალიცია ვარშავის საჰერცოგოს შეუერთა. ამით საფრანგეთმა მეტად მძლავრი მუშტი შეკრა რუსეთის წინააღმდეგ.

ავსტრია-საფრანგეთს შორის საომარი მოქმედების განახლების შემთხვევაში საშუალება მიეცემოდა რუსეთს, შედარებით თავისუფლად ემოქმედნა დუნაიზე. ოსმალეთზე მარჯვე დარტყმებით იქი ცდილობდა იძულებული გაეხადა სულთანი, ზავი დაედო და თვითონ კი დამკვიდრებულიყო ბესარაბიაში, მოლდავეთსა და ვალახეთში[1].

24 მარტს დაიწყეს შეტევა რუსეთის ჯარებმა ციხე-სიმაგრე ჟურჟას დასაკავებლად, რუშუკის ფაშა ახმედ-ეფენდი, რომელზეც სულთანი დიდად იყო განაწყენებული და სიკვდილითაც კი ემუქრებოდა, რუსებს დახმარებას ჰპირდებოდა; მაგრამ მისი ურთიერთობა რუსეთის სარდლობასთან მალე გამომჟღავნდა. რის გამო 1809 წლის 27 მარტს იგი და მასთან ერთად სლაბოდეას ფაშა თავიანთი ამალით (50-მდე კაცით) იძულებული გახდნენ, გამოქცეულიყვნენ და თავი შეეფარებინათ ბუქარესტისათვის. სადაც რუსეთის ჯარები იდგნენ[2]. ჟურჟას ციხე-სიმაგრის გარნიზონს დიდ დახმარებას უწევდნენ რუშუკის მეციხოვნე ოსმალები. ოსმალების წარმატებას ხელს ისიც უწყობდა, რომ მათ გაიგეს ზოგიერთი საიდუმლოება რუსეთის არმიისა. ოსმალებმა დიდი დანაკლისი განიცადეს, მაგრამ რუსებმა ციხის აღება მაინც ვერ შეძლეს. სლაბოდეასთვის ბრძოლაში კი რუსებმა წარმატება მოიპოვეს, შეიჭრნენ ციხე-სიმაგრეში, დაამარცხეს მეციხოვნე გარნიზონი და ხელთ იგდეს 27 ქვემეხი, 32 დროშა და მრავალი საომარი მასალა[3]. ბოლოს რუსეთის ჯარის ის ნაწილი, რომელსაც მილორადოვიჩი სარდლობდა, იძულებული გახდა უკან დაეხია ბუქარესტისაკენ.

რუსეთის არმიის მთავარი კორპუსი, რომელსაც ბრაილოვის აღების ბრძანება ჰქონდა მიღებული, 1809 წლის 3 აპრილს ფოქშანიდან დაიძრა და 8 აპრილს ბრაილოვს მიადგა. 9 აპრილს ოსმალთა

---

[1] А. М. Михайловский-Даниловский, Полное собрание сочинений т. III, Описание Турецкой войны с 1806—1812 года, стр. 101.

[2] А. Ф. Миллер, Мустафа паша Байрактар. стр. 343.

[3] А. М. Михайловский-Даниловский, Полное собрание сочинений, т. III, Описание турецкой войны с 1806—1812 года, стр. 107,

მეწინავე საგუშაგოები განადგურებულ იქნა, ალყა შემოარტყეს აღნიშნულ ციხე-სიმაგრეს და შეუდგნენ პოზიციების გამაგრებას. 19 აპრილს დაიწყო შეტევა, მაგრამ ოსმალებმა სასტიკად დაამარცხეს რუსთა მოიერიშე ნაწილები;

გენერალ პროზოროვსკის მოუქნელობის გამო დუნაის არმია სრულებით მოუმზადებელი აღმოჩნდა სურსათ-სანოვაგითა და ამუნიციით ხანგრძლივი საომარი მოქმედებისათვის. პროზოროვსკის დიდი სამხედრო ნიჭი ვერ გამოავლინა დუნაის ფრონტზე.

1809 წელს ომის დაწყებისთანავე რუსეთის არმიამ სერიოზული მარცხი განიცადა ჟურჟასთან და ბრაილოვთან და დაჰკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით 6 ათასი ჯარისკაცი[1].

არსებობდა იმის საფრთხე, რომ ოსმალეთისა და ინგლისის სამხედრო ძალები გაერთიანდებოდნენ რუსეთის წინააღმდეგ. შემთხვევითი კი არ იყო ალექსანდრე I-ის მიერ პროზოროვსკისადმი გამოგზავნილ წერილში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ოსმალებს ინგლისელებისათვის მიეცათ დარდანელის სრუტეში გასვლის უფლება და რომ არსებობდა შავ ზღვაზე ინგლისის საზღვაო ფლოტის გამოჩენის საფრთხე[2].

ალექსანდრე I-ის ვარაუდით რუსეთის არმია გადალახავდა რა მდინარე დუნაის, ენერგიული მოქმედებით უნდა დამკვიდრებულიყო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ბალკანეთში რუსეთის არმიის შესვლას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა. 1809 წლის 21 აგვისტოს პროზოროვსკი, საკმაოდ წარუმატებელი ოპერაციებით დადარდიანებული, გარდაიცვალა და იმავე დღეს, იმპერატორის ბრძანებით, მთავარსარდლის პოსტი დაიჭირა სახელმოხვეჭილმა გენერალმა პ. ბაგრატიონმა[3], რომელსაც არმია დიდი სიხარულით შეხვდა.

ალექსანდრე I დარწმუნდა, რომ ოსმალეთისა და მის ზურგს უკან მდგომი ინგლისის წინააღმდეგ ამ რაიონებში წარმატებით ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებს დიდი ხვედრითი წონა ექნებოდა საბოლოო გამარჯვებისათვის. ბაგრატიონმა მეფის ბრძანებით

---

[1] А. М. Михайловский-Данилевский, Полное собрание сочинений т., III, стр. 113.

[2] А. М. Михайловский-Данилевский, Указ. соч., т. III, стр. 115.

[3] Багратион в Дунайских княжествах (Сб. документов), Кишинев 1949 г. стр. 18—19.

გადალახა მდ. დუნაი; მას განზრახული ჰქონდა, აეღო მდ. დუნაის მარჯვენა ნაპირზე მდებარე დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე მაქჩინისა და გირსოვის ციხე-სიმაგრეები. მართლაც, 26 აგვისტოს რუსეთის ჯარები დაეუფლნენ მაქჩინის ციხე-სიმაგრეს, დაატყვევეს 338 ჯარისკაცი და ხელთ იგდეს 13 ქვემეხი. ერთდროულად აღებულ იქნა გირსოვის ციხე-სიმაგრეც; აქ რუსებმა ხელთ იგდეს 30 ქვემეხი და ტყვედ წამოიყვანეს 1000 ჯარისკაცი. 30 აგვისტოს რუსეთის ჯარების მიერ დაკავებულ იქნა სიმაგრე კიუსტენჯე. ამით ლაშქრობის უახლოესი მიზანი მიღწეულ იქნა. რუსეთის არმია გაანაგრძობდა შეტევას და სერიოზულ ზიანს აყენებდა ოსმალეთის შეიარაღებულ ძალებს. რასევატის მისადგომებთან ბაგრატიონმა მთლიანად გაანადგურა 15000-იანი ოსმალთა კორპუსი, რომელსაც ხოზრევ-მეჰმედ-ფაშა სარდლობდა[1]. მოპოვებული წარმატებისათვის ბაგრატიონს ალექსანდრე I-მა უბოძა ანდრია პირველწოდებულის უმაღლესი ხარისხის ორდენი და ფულადი ჯილდო 50 ათასი მანეთის ოდენობით.

რუსეთის არმიას ბრძოლა უხდებოდა ინგლისისა და საფრანგეთის მიერ გაძლიერებული ოსმალეთის არმიის წინააღმდეგ. ჩვენ მიერ გამოვლინებული საარქივო მასალები ერთხმად ადასტურებენ, რომ ინგლისის დიპლომატიამ, ისევე როგორც საფრანგეთისა, უაღრესად დიდი როლი ითამაშა რუსეთ-ოსმალეთის ომის განახლების საქმეში. ინგლისელი დიპლომატები და სამხედრო სპეციალისტები სულთანს დიდ დაპირებას აძლევდნენ სამხედრო და ეკონომიური დახმარების შესახებ, მართლაცდა ეს დაპირებანი არ ყოფილა ლიტონი სიტყვები. ინგლისელები ოსმალეთისადმი ინტენსიური დახმარების გაწევის საქმეში ფრანგებს ეჯიბრებოდნენ. ოსმალეთის სულთანს ზურგს უმაგრებდა ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ინგლისისა და საფრანგეთის ექსპანსიონისტური წრეები. რომელთა ფინანსები, სამხედრო მისიები და საომარი ტექნიკა აძლიერებდა ოსმალეთის სამხედრო-ეკონომიურ პოტენციალს რუსეთის წინააღმდეგ ომში. ინგლისი და საფრანგეთი კვლავ აბამდნენ ინტრიგის ხლართებს ერთმანეთისა და რუსეთის წინააღმდეგ.

ოსმალეთში თითქმის ყველა იყო დარწმუნებული იმაში, რომ სლაბოდეას დროებითი საზავო ხელშეკრულების შემდეგ ომის განახლება საფრანგეთისა და ინგლისის დიპლომატიის შანტაჟის უშუ-

[1] Багратион в Дунайских княжествах (сб. документов). Кишинев 1949 г. стр 32—38.

ალო შედეგი იყო, რომ ინგლისის ოქროთი მოხიბლული ოსმალეთის მმართველი წრეები კვლავ დაადგნენ რუსეთთან ომის განახლების გზას. ომის დაწყების საქმეში ინგლისის ვერაგული საქმიანობისა და ოსმალეთისადმი უხვი ფინანსური დახმარების შესახებ საინტერესო ცნობა მიუწოდებიათ პ. ი. ბაგრატიონისათვის კიუსტენჯეს ციხის აღების დროს დატყვევებულ ოსმალო ჯარისკაცებს. 1809 წლის 6 სექტემბერს რასევატიდან პ. ი. ბაგრატიონი ალექსანდრე I-ს სწერდა, რომ ოსმალეთის ტყვე ჯარისკაცებმა განაცხადეს: *«1. Причиною сей войны суть одни интриги англичан, которые всюду сыплют золотом своим для возбуждения войны там, где только можно на твердой земле, и для достижения тем самым единственно собственных своих выгод, жертвуя во всяком случае союзниками своими, как-то уже многократными примерами доказано.*

2. Обыватели Турецкой империи никакой вражды противу Россиян не имеют и иметь не могут, находившись и впредь сим в дружбе и добром согласии и даже в союзе с Россиею, и что потому война сия возжена одним министерством Порты, руководимым ухищрениями и золотом англичан»[1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ჭ.).

ცნობილია, რომ ოსმალეთის იმპერიაში იყვნენ ძლიერი ფაშები, რომლებიც აღარ ემორჩილებოდნენ სულთანს და არ სცნობდნენ მის უმაღლეს ხელისუფლებას; ინგლისელები შეეცადნენ მოესყიდათ ასეთი ფაშები და ისინი რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაებათ, რასაც ინგლისელები ხშირად კიდევაც ახერხებდნენ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ პეტრე ბაგრატიონი 1810 წლის დამდეგს ერთ-ერთ სამხედრო საბჭოზე ნიღაბს ხდიდა ინგლისელთა ამ ვაჭრულ საქმიანობას ძალთა კონცენტრაციისათვის რუსეთის წინააღმდეგ. მისი აზრით, მოსალოდნელი იყო 1810 წლის კამპანიაში ოსმალეთს გამოეყვანა დიდძალი ჯარი, რადგანაც სულთნისაგან განმდგარი ფაშები ინგლისელებმა მოისყიდეს და ისინი თავიანთი ჯარებით სულთნის სამსახურში ჩააყენეს; *«Славный и известный Али паша Янинский,* — აღნიშნავდა ბაგრატიონი, — *хотя повинуется Порте только тогда, когда хочет, но найдя достаточную пищу алчности и корыстолюбию своему в денежных пособиях Англии, собирает также все свои силы для действия противу нас»*[2]. (ხაზი ჩვენია ნ. ჭ.). პ. ი. ბაგრატიონი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2927, л. 49—50.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2941, л. 95 об.

ოსმალეთი ყველაზე დიდ დახმარებას ინგლისისაგან ღებულობდა და ამავე დროს მისგან იყო საგანგებოდ ამხედრებული რუსეთის წინააღმდეგ. იმავე სამხედრო საბჭოზე ბაგრატიონი აღნიშნავდა: «Порта наиболее подстрекается Англией, которая сыплет золотом своим для достижения своего намерения и субсидиями ея ведется война».[1] ოსმალეთი თითქოს თავისებურ ფოკუსს წარმოადგენდა, სადაც თავს იყრიდა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოების სამხედრო საშუალებანი და ფინანსები.

რუსეთ-ოსმალეთის ომის წლებში საფრანგეთმა ფართოდ გაშალა ჯაშუშური საქმიანობა რუსეთის წინააღმდეგ. საფრანგეთის ჯაშუშთა ქსელის მთავარ ცენტრს ბუქარესტში საფრანგეთის საკონსულო წარმოადგენდა, რომელსაც ვიცე-კონსული ლედუ წარმართავდა. მოსყიდვის საშუალებით ჯაშუშებად იყენებდნენ აგრეთვე სერბიელებს, მოლდაველებს, ვალახებსა და სხვ. ისინი თითქოს-და ვაჭრები, თავიანთი საქონლით დატვირთული ტრანსპორტით მოძრაობდნენ მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და თანაც რუსეთის სამხედრო ძალების შესწავლას საგანგებო ყურადღებას აქცევდნენ. ცნობებს ჯარის სახეობის, მისი რიცხობრივი შემადგენლობის, საარტილერიო ძალების რაოდენობის, განლაგების და სხვათა შესახებ, ჯაშუშები აწვდიდნენ როგორც საფრანგეთს, ასევე ოსმალეთის სარდლობას.

პ. ი. ბაგრატიონი 1809 წ. 14 ოქტომბრის თარიღით სამხედრო მინისტრს აუწყებდა, რომ ჯერ კიდევ ადრე, პროზოროვსკის მიერ დაკავებულ იქნა ორი ჯაშუში — ხრისტო იოანე და ველიზარი სტოიანოვიჩი, რომლებიც რუსეთის სამხედრო საიდუმლოებას აწვდიდნენ ოსმალებს; პ. ი. ბაგრატიონი წერდა: «*Существо дела совершенно ясно, что купец Христо Иоан и Велизари Стоянович действительно извещали товарищей и корреспондентов своих в Рушуке о приуготовлениях, делаемых Российскими войсками, и о намерении их приступить вскоре военным действиям.*»[2] (ხაზი ჩვენია, ნ. ჯ.). ზემოაღნიშნულ ჯაშუშთა შეპყრობის გამო საფრანგეთის კონსული ლედუ აღშფოთებული იყო, რადგანაც ამით მას ხელი ეშლებოდა თავისი მთავრობის დავალებათა დროულად შესრულების საქმეში. ხრისტო იოანე და ველიზარი სტოიანოვიჩი ერთეულები იყვნენ იმ მრავალთა შორის, რომლებიც ემსახურებოდნენ საფრანგეთის მთავრობის დავალებით ოსმალეთის სარდლობას; პ. ი. ბაგ-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2941, л. 95 об.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2227, лл 229—230.

რატიონი წერდა: *«Имеются большия подозрения, что в Букаресте есть множество таких людей, которые состоят в связях и сношениях с турками»*[1].(ხაზი ჩვენია, ნ. ქ.).

საფრანგეთის ვიცე-კონსულმა ლედუმ კატეგორიულად მოითხოვა ჯაშუშების განთავისუფლება იმ მოტივით, რომ ისინი თითქოსდა საფრანგეთის ქვეშევრდომი ვაჭრები იყვნენ და რუსეთის წინააღმდეგ მტრულ საქმიანობასთან საერთო არაფერი ჰქონდათ რა. პ. ი. ბაგრატიონი წერდა: ლედუ «настоятельно и некоторым образом с угрозами даже, требует выдачи ему двух преступников, *именуя их французскими подданными*»[2]. დაკითხვისას ჯაშუშებმა უჩვენეს, რომ ხრისტო იოანე ეროვნებით იყო სერბი, ქალაქ სისტოვოდან, სადაც მას ჰყავდა ნათესავები, ხოლო ველიზარი სტოიანოვიჩი ქ. რუშუკიდან იყო. მათ სახელი და გვარი გამოცვლილი ჰქონდათ. შეპყრობისას ჯაშუშებს არავითარი საბუთი არ აღმოაჩნდათ; ხრისტო იოანემ უჩვენა, რომ მან იცოდა მხოლოდ სერბიული და მოლდავური ენები, და არ იცოდა ფრანგული ენა და არც საფრანგეთის ქვეშევრდომი ყოფილა. მაგრამ, წერდა პ. ბაგრატიონი, *«Г. Леду снабдил их только теперь французскими патентами, задным числом подписанными... Г. Леду идет в смелых суждениях своих так далеко, что говорит даже, что произведение суда над теми людьми без его согласия было бы оскарбительным народа»*.[3] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.)[3]. ჯაშუშებმა აღიარეს, რომ ყოველ ცნობაში, რომელსაც ისინი აწვდიდნენ საფრანგეთის ან ოსმალეთის მთავრობას, ათ თუმანს იღებდნენ[4]. ლედუ თავგამოდებით იცავდა თავისი მთავრობის ჯაშუშებს, ხშირად კი სასაცილო მდგომარეობაშიაც ვარდებოდა — ეროვნებით ფრანგად აღიარებდა იმათ, ვინაც ერთი სიტყვაც კი არ იცოდა ფრანგული.

პ. ბაგრატიონი სამხედრო მინისტრს არაკჩეევს 1809 წ. 25 სექტემბერს სწერდა, რომ გარდა საფრანგეთის მიერ დაქირავებული ჯაშუშებისა, მას ხელს უშლიდნენ საომარი ოპერაციების ჩატარებაში რუსეთის არმიაში მყოფი უცხოელი ოფიცრებიც, მათ შორის ფრანგი ოფიცრები, რომლებიც რუსეთის არმიის საიდუმლოებას აწვდიდნენ როგორც საფრანგეთის, ისე ოსმალეთის მთავრობებს.

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2227, л. 230 об.

[2] იქვე.

[3] იქვე, ფ. 232.

[4] იქვე, ფფ. 278—279.

ბაგრატიონი მიუთითებდა ფრანგი ოფიცრის სიყლდავას ვიცე კონსულთან — ლედუსთან საიდუმლო კავშირის შესახებ. იგი აღნიშნავდა იმასაც, რომ უცხოელი ოფიცრები რუსი ჯარისკაცების მიმართ უხეშები იყვნენ, არ იცნობდნენ მათ. ბაგრატიონი დასასრულ სამხედრო მინისტრს სწერდა: «Мне нужны русские, а не иноземцы, они никогда одному не привыкли служить»[1].

11 სექტემბერს გენ. ბაგრატიონი დაიძრა სილისტრიის მიმართულებით. ბულგარეთის მოსახლეობა მხარს უჭერდა რუსეთის არმიის საომარ მოქმედებას და მას ოსმალო მოძალადეთაგან განმათავისუფლებელ არმიად თვლიდა.

განსაკუთრებით ბრწყინვალე შედეგებით დამთავრდა იზმაილის ოპერაცია 1809 წლის აგვისტო-სექტემბრის თვეებში. რუსეთის არმიის გმირული მოქმედების შედეგად 4 500 კაცისაგან შემდგარი ოსმალთა გარნიზონი იძულებული გახდა კაპიტულაციაზე წასულიყო. იზმაილის ციხე-სიმაგრეში 14 სექტემბერს რუსებმა ხელთ იგდეს 21 დროშა, 221 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 9 გემი, რომელიც აღშურვილი იყო 36 ქვემეხით, დიდძალი რაოდენობის ჭურვებითა და 5551 ფუთი ასაფეთქებელი მასალით[2]. მაგრამ გაძნელდა სილისტრიის ციხე-სიმაგრის აღება, სადაც თერთმეტათასიანი ოსმალთა გარნიზონი იდგა.

12 სექტემბერს დაიწყო სილისტრიის დაბომბვა. სწორედ იმ დროს დიდი ვეზირი იუსუფი ორმოცდაათიათასიანი არმიით რუშუკთან იდგა. მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა, ოსმალეთის არმია არ ცდილობდა ხელთ ეგდო ინიციატივა ბრძოლაში. ნაპოლეონი და მისი სამხედრო აგენტები ახლაც გარკვეულ როლს თამაშობდნენ ოსმალეთის პოლიტიკაში. ომის განახლებისთანავე ნაპოლეონი სულთანს ურჩევდა. «Не вступать в общия сражения, но утомлять русских осадами и частыми нападениями, тянуть войну и избегать больших полевых битв...»[3]. ნაპოლეონს ეს სჭირდებოდა იმისათვის, რომ რუსეთის არმიას საშუალება არ ჰქონოდა მალე დაემთავრებინა ომი ოსმალეთთან, და ამასობაში ანგარიში გაესწორებია ავსტრიისა და ესპანეთისათვის; ამის შემდეგ იგი უნდა ჩარეულიყო ოსმალეთის საშინაო საქმეებში რუსეთის წინააღმდეგ, გასაქანი არ მიეცა რუსეთისათვის და სათანადოდ მომზადებულიყო მასთან მომავალი შეჯახებისათვის.

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2227, лл. 144. 140—145, 146—159.

[2] Лависс и Рамбо, История XIX в. ч. 2, стр. 170, შდრ. А. Михайловский-Даниловский, Указ. соч., стр. 139., შდრ. Багратион в дунайских княжествах (Сб. документов), стр. 42.

[3] იქვე, გვ. 170.

1809 წლის გვიან შემოდგომაზე ცუდი ამინდები იდგა. რუსეთის არმიას სურსათი აკლდებოდა, მოძრაობა კი ძნელდებოდა; ამიტომ გენ. ბაგრატიონი ვარაუდობდა სილისტრიის აღების შემდეგ უკან დაეხია და დუნაის მარცხენა ნაპირზე დაებანაკებინა არმია. ეს მით უფრო იყო აუცილებელი, რომ მისი სარდლობის ქვეშ მყოფ არმიაში 20 ათასამდე ჯარისკაცი ავადმყოფობდა. გენ. პ. ბაგრატიონს გადაწყვეტილი ჰქონდა, ადრე გაზაფხულზე შეტევაზე გადასულიყო და ისე შეევიწროებინა დიდი ვეზირი, რომ ზავი მოეთხოვა რუსეთთან.

ალექსანდრე I ასეთი მოსაზრების კატეგორიული წინააღმდეგი იყო. იგი ცდილობდა, საჩქაროდ დამთავრებულიყო ომი ოსმალეთთან და მომხდარიყო დაზავება, რადგანაც მისი აზრით ავსტრიასა და საფრანგეთს შორის შენბრუნში დადებული ხელშეკრულება საშუალებას მისცემდა აღნიშნულ სახელმწიფოებს კვლავ ჩარეულიყვნენ ოსმალეთის საქმეებში.

რუსეთის არმიას შემოაკლდა საომარი მასალა, ჯარში კი ავადმყოფობა გავრცელდა. დიდმა ვეზირმა განიზრახა დაეხსნა სილისტრია რუსეთის არმიის ალყისაგან, მან 7 ოქტომბერს თავისი არმიის ნახევარი დაძრა რუშუკიდან სოფელ ტატარიცესაკენ, სადაც კაზაკთა სამხედრო ნაწილი იდგა. პ. ბაგრატიონს სურდა მტერი დაემარცხებინა, მაგრამ ძალთა უთანასწორობა მას ხელს უშლიდა ოპერაციის წარმატებით დამთავრებაში. ოსმალეთს ტატარიცესთან 20 000-იანი არმია ჰყავდა, მაშინ როდესაც ბაგრატიონის კორპუსი 4500-მდე ძლივს აღწევდა. ამიტომ ტატარიცესთან ბრძოლაში რუსებმა წარმატება ვერ მოიპოვეს. ბაგრატიონის ბრძანებით არმიამ უკან დაიხია.

ფურაჟისა და სურსათის ნაკლებობამ და საომარი მასალის სიმცირემაც აიძულა პ. ბაგრატიონი სილისტრიის ციხე-სიმაგრისათვის მოეხსნა ალყა; რომ გონივრულად არ შეეფასებია მას შექმნილი მდგომარეობა და უკან არ დაეხია, მოსალოდნელი იყო მთელი არმიის განადგურება.

ბაგრატიონს უნდოდა ალყის მოხსნის შემდეგ ოსმალეთის სარდლობის პასიურობით ესარგებლნა და დაუფლებოდა ბრაილოვის ციხე-სიმაგრეს. ეს ასეც მოხდა, საზღვაო ფლოტისა და არმიის ერთიანი მოქმედებით 21 ნოემბერს აღებულ იქნა ბრაილოვი. რუსებმა ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი, მათ შორის 205 ქვემეხი, 1300 კასრი დენთი, 1700 ყუთი ვაზნა, 40000 ბომბი და სხვ. მთავარსარდალ-

მა ციხის გასაღები ალექსანდრე I-ს გაუგზავნა. ბრაილოვის აღება იყო უკანასკნელი საბრძოლო ოპერაცია, რომელიც ბრწყინვალედ იქნა ჩატარებული პ. ბაგრატიონის მიერ რუსეთ-ოსმალეთის ომის ფრონტზე.

დუნაის მარცხენა ნაპირზე არმიის გადმოყვანის განზრახვამ ალექსანდრე I-ის უკმაყოფილება გამოიწვია. უცხოეთის გაზეთები ახმაურდნენ იმის შესახებ, რომ თითქოს სილისტრიიდან უკანდახევა გამოწვეული იყო ბაგრატიონის დამარცხებით. რომ ტატარიცესთან ბრძოლაში რუსეთმა ომი წააგო ოსმალეთთან და ა. შ. სინამდვილეში კი იქ მოპირდაპირე მხარეთა მსხვერპლი საერთოდ უმნიშვნელო იყო. რუსეთმა აღნიშნულ ბრძოლაში მოკლულთა და დაჭრილთა სახით მხოლოდ 300 კაცი დაკარგა[1], ოსმალეთის მხრივაც დაახლოებით ამდენივე მსხვერპლი იყო; ლაპარაკი რუსეთის არმიის განადგურებაზე არ იყო სწორი: ბაგრატიონმა ტაქტიკური მოსაზრებით დაიხია უკან.

ბაგრატიონი, როგორც შორსმჭვრეტელი მხედართმთავარი, ომში ეპიზოდური გამარჯვებებით არ ყოფილა დაინტერესებული. მას აინტერესებდა ისეთი გამარჯვება, რომელიც ჯანაპირობებდა მტრის საბოლოო დამარცხებას. რუსეთის არმიას, როგორც პ. ბაგრატიონის წერილებიდან ირკვევა, საშუალება არ ჰქონდა ტატარიცეს აღების შემთხვევაშიაც კი, ეს სოფელი საბოლოოდ შეენარჩუნებინა. პ. ი. ბაგრატიონი 1809 წ. 22 ნოემბერს სამხედრო მინისტრს არაკჩეევს აუწყებდა, რომ დუნაის ფრონტზე არ იყო სურსათი ჯარისათვის, და ფურაჟი იმ ცხენებისთვისაც კი, რომლებიც არტილერიას ეზიდებოდნენ[2]. არმიაში გაჩნდა ავადმყოფობა, რომელიც კატასტროფულად ვრცელდებოდა. პ. ბაგრატიონი არაკჩეევს იმავე წერილში სწერდა: *«Число больных в армии уже доселе простирается до 20 т. и более и все оне вышеописанныя причины естественно станут умножать число оных до безконечности»*[3]. ბაგრატიონი, როგორც სუვოროვის სამხედრო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, გონების თვალით უყურებდა რუსეთის არმიაში შექმნილ მდგომარეობას და ტაქტიკური მოსაზრებით აუცილებლად მიიჩნევდა 1809 წ. შემოდგომაზე რუსეთის არმიის უკანდახევას და

[1] А. М. Михайловский-Данилевский. Указ. соч. т. 3. стр. 155.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2927, л. 335 и об.
[3] იქვე, ф. 339.

დუნაის მარცხენა ნაპირზე მის დაბანაკებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მტრისათვის ადვილი იქნებოდა დამშეული და დაავადებული ჯარისკაცების განადგურება, რაც ბაგრატიონის თვალსაზრისით, გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა რუსეთის არმიას. სამხედრო საქმის ღრმა ცოდნიდან გამომდინარეობდა ბაგრატიონის ზემოაღნიშნული წერილი არაჩეევისადმი, სადაც ნათქვამია: «И не очевидно ли то, *что вся вверенная мне армия сделается жертвою либо болезней, либо меча неприятельского*»[1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.)

ბაგრატიონი, ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, მზად იყო თავისი მეორე სამშობლოს — რუსეთის საქმისათვის საკუთარი თავიც კი გაეწირა, მაგრამ ამას დიდება უნდა მოეტანა რუსეთისათვის და თანაც, სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის თვალსაზრისით, გამართლებული უნდა ყოფილიყო ეს დიდი მსხვერპლი. ბაგრატიონი წერდა: *«Я собою охотно жертвую, есть ли тем самым смогу спасти армию»*[2]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.). პ. ი. ბაგრატიონის საბრძოლო გზა სწორედ ამ ნიშნით წარიმართა.

ბაგრატიონი წინააღმდეგი იყო ალექსანდრე I-ის ბრძანებისა, რომელიც მან 1809 წ. 25 ოქტომბერს მიიღო და რომელიც ითვალისწინებდა იმავე წლის შემოდგომაზე მდ. დუნაის მარჯვენა ნაპირზე გადამწყვეტი ბრძოლების წარმოებას, ალექსანდრე I მიზნად ისახავდა ოსმალეთთან დაზავების მიღწევას, მაგრამ ის არ ითვალისწინებდა რუსეთის არმიის მძიმე მდგომარეობას, რომელსაც ბრძოლისუნარიანობა ნახევრად ჰქონდა დაკარგული[3].

ბაგრატიონი 1809 წ. 14 ოქტომბერს ალექსანდრე I-ს სწერდა: *«Овладеть оною* (ლაპარაკია სოფ. ტატარიცეზე, ნ. ქ.) *нельзя иначе, как штурмом, который, не представляя на будущее время особенных выгод, причинил бы большую потерю в людей в такое время, когда я на оную решиться не могу, особливо по крайней ограниченности сил моих»*[4]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.). პ. ბაგრატიონი, იმის გამო რომ ტატარიცეს აღებით რუსეთის ჯარი რაიმე მნიშვნელოვან უპირატესობას ვერ მოიპოვებდა და დიდ მსხვერპლსაც გაიღებდა, იერიშზე გადასვლის წინააღმდეგი იყო. ირკვევა, რომ პ. ბაგრატიონმა ბრწყინვალედ იცოდა შეტევისა და უკანდახე-

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д, 2927, л. 335 и об.

[2] იქვე, ფ. 341.

[3] იქვე, ფ. 296.

[4] იქვე, ფ. 206.

ვის ტაქტიკა. არ უნდა იყოს სწორი ტრადიციულად დამკვიდრებული შეხედულება ბაგრატიონის შესახებ, რომლის თანახმად იგი მხოლოდ შეტევითი ბრძოლებისათვის იყო დაბადებული. პ. ბაგრატიონის სამხედრო სტრატეგია არ გამორიცხავდა საჭირო მომენტში უკანდახევას. არაკჩეევისადმი გაგზავნილ წერილში ბაგრატიონი უკმაყოფილებას გამოსთქვამდა ალექსანდრე I-ის მისამართით იმის გამო, რომ მან ვერ გაიგო მისი სტრატეგიული და ტაქტიკური ჩანაფიქრი, იგი წერდა: *«Вся прежняя служба моя может, я надеюсь. служить доказательством, что я не трус, но безразсудную отвагу признаю я также большим в полководце пороком»*[1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.). ამ სიტყვების ავტორი უთუოდ მეტად ნიჭიერი და სამხედრო ხელოვნების დიდი მცოდნე ადამიანი უნდა ყოფილიყო.

ბაგრატიონი, იმის გამო რომ მისი არ ესმოდა იმპერატორს. ითხოვდა განთავისუფლებას დუნაის ფრონტის მთავარსარდლის დიდი მოვალეობისაგან.

ეს ის დრო იყო, როცა მთელი ევროპა ნაპოლეონის წარმატებების შესახებ გაჰყვიროდა. ამიტომ იყო დიდად განაწყენებული იმპერატორი ალექსანდრე I პ. ბაგრატიონის მიმართ, მაგრამ ბაგრატიონმა იმპერატორს დაუსაბუთა დუნაის მარცხენა ნაპირზე არმიის გადმოყვანის სასიცოცხლო აუცილებლობა, და, მართლაც, 1809 წლის 24 დეკემბერს ალექსანდრე I-მა გასცა ბრძანება უკანდახევის შესახებ. საომარი მოქმედება უნდა განაბლებულიყო 1810 წლის გაზაფხულზე.

ბაგრატიონის თხოვნა განთავისუფლების შესახებ იმპერატორმა დააკმაყოფილა და 1810 წლის თებერვალში დუნაის ფრონტის მთავარსარდლად დანიშნა ფინეთსა და შვეციაში წარმოებულ ბრძოლებში სახელმოხვეჭილი გრაფი კამენსკი.

ფაქტიურად სულ რაღაც მოკლე დროის მანძილზე გონივრული საომარი ოპერაციების ჩატარებით პ. ი. ბაგრატიონმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა დუნაის ფრონტზე და მისი ავტორიტეტი, როგორც მხედართმთავრისა, კიდევ უფრო გაიზარდა.

ასეთი იყო მდგომარეობა დუნაის ფრონტზე 1810 წლის დამდეგისათვის.

---

[1] ЦГВИА, ф ВУА. д 2927, л. 335.

საომარი მოქმედების განახლება კავკასიის ფრონტზე

დროებითი ზავის პერიოდში ოსმალეთს კავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ მტრული მოქმედება არ შეუწყვეტია. თუ ირანის შაჰი თავის ჯაშუშებს აგზავნიდა და აწარმოებდა ხანებისა და ფეოდალების მოსყიდვას, რაზედაც ჩვენ ცალკე გვექნება ლაპარაკი, ოსმალეთის სულთანიც იმავე პოლიტიკას აწარმოებდა. მას განსაკუთრებით სჭირდებოდა ასეთი საქმიანობის დიდი მასშტაბით გაშლა იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთსა და შაიზლვისპირა სხვა პროვინციებში.

გარდა იმისა, რომ რუსეთის არმიას ფრონტზე საკმაო დანაკარგი ჰქონდა, მას დიდ ზიანს აყენებდნენ აგრეთვე მოთარეშე ლეკებიც. რუსეთიდან ახალი შევსების მიღება და კავკასიაში მოქმედი არმიის რიცხობრივი გაზრდა არც თუ ისე იოლი საქმე იყო. ევროპაში მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა. საფრანგეთსა და რუსეთს შორის წინააღმდეგობა უაღრესად დაძაბულ ხასიათს ღებულობდა. ომი რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც ნაპოლეონის მიერ უწინ ფარულად მზადდებოდა, ახლოვდებოდა. მომავალ შეჯახებას საფუძვლად ედო საფრანგეთის ბურჟუაზიისა და მის მიერ იმპერატორის ტახტზე დასმული ნაპოლეონის მსოფლიო ბატონობის პრეტენზია. რუსეთზე გამარჯვების საქმეს ნაპოლეონი აშკარად უკავშირებდა მსოფლიო იმპერიის შექმნას. იგი აცხადებდა: «Через пять лет я буду господином мира, — остается одна Россия, но я раздавлю ее»[1]. ამიტომ გასაგები ხდება, თუ რატომ ვერ აგზავნიდა მრავალრიცხოვან არმიას კავკასიაში რუსეთის სარდლობა. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მოქმედ არმიას, ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის პირველხარისხოვან ფრონტზე, შევსება სჭირდებოდა. კავკასიის ხაზზე რუსეთის არმიის სულ 42021 ჯარისკაცი იყო, აქედან საქართველოში — 18.490. მოხალისეებისაგან ჩამოყალიბებულ ქვეითი რაზმების გარდა, საქართველოში მყოფ 5 107 ცხენოსან მებრძოლთაგან 3.672 მოხალისე იყო[2]. ბუნებრივია, ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში საკმაოდ დიდი იმედი დამყარებული იყო ადგი-

---

[1] С. Б. Окунь, Очерки истории СССР, конец XVIII-первая четверть XIX в., стр. 193.

[2] А. Н. Петров, Война России с Турцией 1806—1812 гг., т. 2, стр. 522, СПБ. 1887 г.

ლობრივ მოსახლეობაზე. ტრანსპორტით, სურსათითა და არმიისათვის საჭირო სხვა მასალით მომარაგების საქმეში ქართველები დიდ როლს თამაშობდნენ.

ოსმალეთის ხელში შავი ზღვის მნიშვნელოვანი ნავსადგურების — ფოთის, სოხუმის, ანაპის, სუჯუკ-კალეს (შემდეგში ნოვოროსიისკი) და სხვათა არსებობა, გასაგებია, საკმაო სამხედრო ძალას მატებდა ოსმალეთის იმპერიას, განამტკიცებდა მის სტრატეგიულ პოზიციებს მთელ კავკასიაში და საშუალებას აძლევდა, დაკავშირებოდა მოსყიდვა-გადმობირების გზით კავკასიის მუსლიმანური მოსახლეობის რეაქციულ ფენებს მათი რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის მიზნით. ხელთეპყრა რა საზღვაო ფორპოსტები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე, ოსმალეთი ამარაგებდა საომარი მასალითა და იარაღით ჩეჩნეთის, ჩერქეზეთის, ინგუშეთის, აფხაზეთისა და სხვა კუთხეების მოლალატე ფეოდალებს რუსეთისა და საქართველოს წინააღმდეგ[1].

ოსმალეთის ბატონობა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე საშუალებას არ აძლევდა რუსეთის სარდლობას საჭირო შემთხვევაში ყირიმიდან კავკასიაში გადმოესროლა ჯარის ნაწილები, სურსათი და საომარი მასალა.

როგორც ზემოთ ითქვა, ოსმალეთის იმპერიამ საქართველოში გააჩაღა ტყვეებით ვაჭრობა, რაც XIX საუკუნის პირველი ათი წლის მანძილზეც ინტენსიურად, წარმოებდა. ეს იყო უმახინჯესი სოციალური სენი, რომლის წინააღმდეგ საქართველოს პროგრესული მოღვაწეები სასტიკად იბრძოდნენ.

ტყვეებით ვაჭრობა ძირითად ბაზარს ნაკლასთან ერთად, ფოთი და სოხუმი წარმოადგენდა. რუსეთის სარდლობამ ფოთის ციხე-სიმაგრის აღება განიზრახა. ზემოთ აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ 1807 წელს ფოთი გარემოცულ იქნა რუსეთის ჯარის ნაწილებისა და ქართველ მოხალისეთა მილიციის მიერ, მაგრამ ეს ალყა მალე მოიხსნა. როგორც გენ. გუდოვიჩი შავი ზღვის ფლოტის მთავარსარდლის მარკიზ დე ტრავერსესადმი 1807 წლის 17 ივლისს გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, — ფოთისათვის ბრძოლა საკმაო რაოდენობით შეიწირავდა რუსთა და ქართველთა ძალებს და, რაც მთავარია, გამარჯვების შემთხვევაშიც კი რუსეთის მცირერიცხოვან გარნიზონს გაუჭირდებოდა მისი შენარჩუნება; საფიქრებელი იყო, რომ მტერი მის

[1] П. И. Ковалевский, Завоевание Кавказа Россией, стр. 142.

სრულ განადგურებას შეძლებდა[1]. ამიტომ 1807 წელს ფოთის წინააღმდეგ შეტევაზე ხელის აღება სრულიად ბუნებრივი ჩანდა,

1808 წელს გარდაიცვალა გენ. რიკჰოფი და მის ადგილზე დაინიშნა ქართველი გენერალი დ. ორბელიანი. 1809 წ. განახლდა ფოთისათვის ბრძოლა, რომელსაც იგი სარდლობდა.

ფოთისათვის ბრძოლა და მისი შედეგები

გენერალი გუდოვიჩი, მისივე თხოვნით, კავკასიიდან გაიწვიეს და მის ადგილზე გენ. ტორმასოვი დაინიშნა. ფოთისათვის ბრძოლის დაწყებამდე სამხედრო მინისტრ არაკჩეევისაგან ტორმასოვმა მიიღო ბრძანება, რომ ოსმალეთის ხაზზე განლაგებული არმია სრულ საბრძოლო მდგომარეობაში მოეყვანა, ზაფხულის განმავლობაში არ ჩაეტარებინა არც ერთი სამხედრო ოპერაცია და არმია თავდაცვით მდგომარეობაში ჰყოლოდა[2]. საფიქრებელია, რუსეთის სარდლობა ანგარიშს უწევდა მძიმე კლიმატურ პირობებს, რომელიც ზაფხულობით განსაკუთრებით ცუდად მოქმედებდა ადამიანის ორგანიზმზე, კერძოდ დასავლეთ საქართველოს კლიმატს ვერ ეგუებოდნენ რუსი ჯარისკაცები. საშემოდგომოდ შეტევის გადადებას ჯარის ნაწილების სიმცირეც განაპირობებდა. როგორც ირკვევა, რუსეთის სარდლობის მიერ შეტევის დაყოვნება უდავოდ იმითაც იყო გამოწვეული, რომ ოსმალების წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის ორგანიზებული გამოსვლა გარკვეულ დროს საჭიროებდა. ქართველი მოხალისეები საჭიროებდნენ საკუთარი სურსათითა და საომარი მასალით მომარაგებას, რაც აგრეთვე საკმაო დროს მოითხოვდა.

პირველი რიგის ამოცანად რუსეთის სარდლობა ფოთის აღებას თვლიდა; ამით ოსმალეთის გავლენა დასავლეთ საქართველოში საკმაოდ შესუსტდებოდა და ბოლო მოეღებოდა იმერეთსა და სამეგრელოში შავი ზღვით ოსმალეთის შემოსევის საფრთხეს. რუსეთის პოზიცია სამეგრელოში უფრო მყარი და საიმედო გახდებოდა. ეს კი გზას გაუხსნიდა მისი გავლენის სფეროს შემდგომ გაფართოებას და, რაც მთავარია, ტყვეებით ვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრი მოიშლებოდა. ამის გამო ერთი წუთითაც კი არ შეიძლება ფიქრი იმის შესახებ, რომ ქართველები ამ საქმეში დაუინტერესებლობას ვა-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4246, л. 3.

[2] იქვე, д. 406, л. 13.

მოიჩენდნენ. რაც შეეხება რუსეთს, ფოთის განთავისუფლებით მას საზღვაო გზა გაეხსნებოდა დასავლეთ საქართველოში. ამიტომ იყო, რომ ტორმასოვი ალექსანდრე I-ს სწერდა: «Для устройства Имеретии и Мингрелии необходимо нужно иметь крепость Поти, лежащую на берегу Черного моря при устье реки Риона, дабы оградить Имеретию и Мингрелию от турецких покушений, прервать сообщение с турками хищнических горских народов, прекратить через то богопротивную продажу пленных христиан и иметь порт судам из Тавриды приходящим»[1].

1809 წლის დამდეგიდან რუსეთის მთავრობის მთელი ყურადღება გამახვილებული იყო შავი ზღვის აუზში მის ხელთ არსებული ფორპოსტების გამაგრებისა და ოსმალეთის სიმაგრეთა დაპყრობისაკენ. რუსეთის სარდლობას მიღებული ჰქონდა ცნობა იმის შესახებ, რომ დარდანელის სრუტეში მყოფი ინგლისელთა 8 და ოსმალთა 15 ხომალდი, თანმხლები მრავალი მსუბუქი გემით, შავი ზღვის აუზში შემოსვლას აპირებდა; მათ უნდა მოეხდინათ რუსეთის ნავსადგურების დაბომბვა და იქ 20000-იანი დესანტის გადმოსხმა[2]. ასეთ მომენტში ფოთის აღებას უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა; ოსმალეთისათვის ეს იქნებოდა მძლავრი დარტყმა. სამხედრო მინისტრს არაჩეევს ტორმასოვი აუწყებდა: «Между тем, считаю долгом вашему сиятельству донести, что по неоднократно повторенным известиям в Мингрелии чрез шпионов, там рассылаемых, слышно о появлении якобы, на Черном море Английского флота, я поспешил сделать все нужные распоряжения к обеспечению берегов мингрельских и устроенного там укрепления Куле, занимаемого несколькими ротами Белевского мушкетерского полка»[3]. ცნობა ინგლისის ფლოტის შავი ზღვის აუზში გამოჩენის შესახებ არ იყო სწორი, მაგრამ ამის რეალური საფრთხე არსებობდა.

ფოთის აღება გენერალ დ. ორბელიანს ებრძანა. მას, თუ შესაძლებლობა მიეცემოდა უნდა მოესყიდა ფოთის კომენდანტი. ჭუჩუკბეი შერვაშიძე, რომელიც მაჰმადის რჯულზე იყო გადასული[4]. რო-

---

[1] ЦГВИА. ф. ВУА, д. 406, л. 13.

[2] А. М. Михайловский-Даниловский, Указ. соч. т. III. стр. 178.

[3] ЦГВИА. ф. ВУА, д. 406 лл. 9—12.

[4] იქვე.

ვორც ირკვევა, ქუჩუკ-ბეიზე საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონია აფხაზეთის მთავარს ქელეშ-ბეგ შერვაშიძეს[1].

ფოთის კომენდანტის მოსყიდვას ჯერ კიდევ ადრე გენერალი ციციანოვი ვარაუდობდა; მას გათვალისწინებული ჰქონდა ფოთის ასაღებად გენ. ტუჩკოვი გაეგზავნა და ფოთის ფაშას მოსყიდვის მიზნით მიერთმია მისთვის ხუთი ათასი მანეთი და ოქროს ხმალი[2]. ახლა კი ქუჩუკ-ბეის მოსასყიდად გადადებული იყო 6 ათასი მანეთი. მასვე შეპირდნენ რუსეთის მფარველობაში მიღებას, მაგრამ იგი ოსმალეთის ერთგულებაზე ხელს არ იღებდა[3]; უბრძოლველად ფოთის აღება შეუძლებელი გახდა.

ორბელიანი შეტევისათვის ემზადებოდა. იგი შეუდგა ოსმალეციხოვნეთა რაოდენობის დაზუსტებას. გენ. ტორმასოვის ცნობით, იქ 400-მდე მეციხოვნე იყო. ეს ცნობა სარწმუნო არ უნდა იყოს[4], რადგან სხვა წყაროს მიხედვით, ფოთში 1808 წელს ოსმალთა 1000 კაცისაგან შემდგარი გარნიზონი იდგა[5].

ფოთის ციხის ასაღებად რედუტ-კალედან (ყულევიდან) 1809 წლის 12 აგვისტოს დაიძრა ჯარი ორბელიანის მეთაურობით. სამეგრელოსა და გურიის სახალხო მილიციას მხარში ედგა და ამხნევებდა ბელევის მუშკეტერთა და ეგერთა პოლკების ასეულები, რომლებსაც 5 ქვემეხი ჰქონდათ[6].საარქივო მასალებში მითითებულია, რომ მოლაშქრეთა შორის იყვნენ აგრეთვე აფხაზებიც. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ლაშქრობაში აფხაზეთის მონაწილეობა, რომელიც მაშინ რუსეთის მფარველობის ქვეშ არ იმყოფებოდა. იქ ოსმალეთის სულთნის ჯაშუშები თარეშობდნენ, ცდილობდნენ ხალხის მასები სწორი გზიდან აეცდინათ და აფხაზეთი სამუდამოდ თავიანთი ბატონობის ქვეშ მოექციათ.

ირკვევა, რომ ფოთის განთავისუფლებაში მონაწილეობდა სამურზაყანოს მოსახლეობა, რომელიც ცაიშის ეპისკოპოსის სამწყოსოში შედიოდა.

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას, რუსეთის ჯარის ნაწილებს რომ ამოუდგნენ მხარში, ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მშობლიური მიწა-წყლის განთავისუფლების დიდი და დაუცხრომელი სურვილი აერთიანებდა, ხოლო ეს გაერთიანება, რასაკვირველია,

[1] Акты, т. IV., стр. 411.
[2] Записка Сергея Алексеевича Тучкова, 1766—1808, стр. 220.
[3] Акты, т. IV, стр. 412—413.
[4] ЦГВИА, ф. ВУА, д. 406, л. 30.
[5] Акты, т. 3, стр. 205.
[6] ЦГВИА, ф, ВУА, д. 406 л. 31.

რუსეთის ჯარების გარშემო ხდებოდა. რუსეთის ჯარის ნაწილები წარმოადგენდა ქართველთა გამაერთიანებელ ძირითად ბირთვს უკანასკნელ მოძალადეთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

13 აგვისტოს გენ. ორბელიანი მდ. რიონის მარჯვენა ნაპირს მიადგა. ბელევის პოლკის სამი ასეული, აგრეთვე მეგრელთა და აფხაზთა რაზმები, მდინარის მარცხენა ნაპირზე გავიდნენ მაიორ შელკაჩევის მეთაურობით. მას დავალებული ჰქონდა ფოთიდან 4 კმ. დაშორებით დაეკავებინა პოზიცია. დანარჩენი ჯარითა და ქვემეხებით ორბელიანი (ნავების მეშვეობით) მდინარის მარცხენა ნაპირზე გადავიდა აგრეთვე, სადაც მას შეუერთდნენ გურულთა რაზმები, რომლებსაც თავადები დავით და ვახტანგ გურიელები მეთაურობდნენ.

14 აგვისტოს გაიხსნა არტილერიის ძლიერი ცეცხლი, რომელიც გზას უხსნიდა ფოთისათვის მებრძოლებს; ოსმალებმა ფორშტატი დატოვეს და ციხის ახლო მდებარე ნაგებობებს შეაფარეს თავი. ფორშტატის დასაკავებლად დ. ორბელიანმა გაგზავნა ეგერთა მე-9 პოლკისა და ბელევის მუშკეტერთა პოლკის ორი ასეული მაიორ რეუტის მეთაურობით; მათთან ერთად ფორშტატს უტევდა მეგრელთა და აფხაზთა დიდი რაზმები თავად ნიკო დადიანისა და მანუჩარ შერვაშიძის მეთაურობით[1].

ქართველ-აფხაზთა და რუსთა ერთიანი და გმირული მოქმედებით ფორშტატი აღებულ იქნა. ოსმალებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით დიდი დანაკლისი განიცადეს.

ოსმალები კონტრშეტევაზე გადმოდიოდნენ და მოწინააღმდეგეს ხელს უშლიდნენ საარტილერიო ცეცხლის ზოლი წინ გადაეტანა, მაგრამ 23 აგვისტოს არტილერიისათვის საჭირო პოზიცია უკვე დაკავებულ იქნა და საბრძოლო მოქმედების შედეგიც კარგი იყო[2].

ოსმალების საქმე უიმედო იყო. ფოთის მეციხოვნე გარნიზონს უდავოდ მარცხი მოელოდა. ასეთ კრიტიკულ მომენტში იმერეთის მეფე სოლომონ II, რომელიც აშკარად ვერ ბედავდა რუსებისა და ქართველ თანამემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას, ფარულად დაუკავშირდა ტრაპიზონის სერასკირს შერიფ-ფაშას და აცნობა ფოთის მეციხოვნეთა უიმედო მდგომარეობის შესა-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 406, л. 4.

[2] იქვე

ხებ; იგი შერიფ-ფაშას მოუწოდებდა, მოსულიყო მათ დასახსნელად, თვითონ თავის მხრივ კი გურიელთან ერთად დახმარებას ჰპირდებოდა. რუსეთის სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოში დღითი დღე რწმუნდებოდნენ სოლომონ II-ის ანტირუსულ საქმიანობაში, რომელსაც დიდი ზიანი მოჰქონდა საერთო საქმისათვის. ტორმასოვმა ამასთან დაკავშირებით ალექსანდრე I-ს აუწყა: «Царь Соломон... убедил трапезонского сераскира Шериф-пашу притти с войском на помощь крепости, обещаясь во всем ему помогать и в залог дал ему своих аманатов»[1].

სოლომონ II რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მშობლიურ მიწაზე მოუხმობდა ოსმალო დამპყრობლებს და თავისი საქმიანობის ობიექტური შედეგებით ოსმალო მოძალადეთა საქართველოში დამკვიდრების მეტად მძიმე საქმის მსახურის მდგომარეობაში ვარდებოდა.

ფოთის ციხე-სიმაგრისათვის ბრძოლაში დიდძალი საომარი მასალა დაიხარჯა და საჭირო გახდა თბილისიდან მისი დამატებით გაგზავნა. მეომრები დღე-დღეზე მოელოდნენ საომარ მასალას, რომლის ნაკლებობაც მეტისმეტად იგრძნობოდა. ასეთ მომენტშიც სოლომონ II ობიექტურად ოსმალეთისათვის საჭირო და სასარგებლო საქმეს აკეთებდა. იგი ხელს უშლიდა რუს და ქართველ მეომრებს თავის დროზე მიეღოთ თბილისიდან გამოგზავნილი საომარი მასალა. სოლომონ II-ის რაზმებმა თბილისიდან მომავალ ტრანსპორტსა და პროპორშიკ სევარსამიძის რაზმს, რომელიც 60-მდე კაცს ითვლიდა, გზა გადაუჭრეს და 6 დღე-ღამის განმავლობაში ალყაში მოაქციეს[2]. ამით საომარი მასალა დანიშნულების ადგილს თავის დროზე ვერ აღწევდა და სერიოზული საფრთხე ექმნებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ ჯარს.

საჭირო შეიქნა ეგერთა პოლკის მეთაურის პოლკოვნიკ ლისანევიჩის გაგზავნა ერთი ბატალიონით იმისათვის, რომ გზა გაეხსნა თბილისიდან მომავალი ტრანსპორტისათვის. აღნიშნულმა ბატალიონმა გატეხა იმერთა მეფის მომხრეთა წინააღმდეგობა. ისინი გაიქცნენ, მიმავალ ტრანსპორტს კი გზა გაეხსნა და საომარი მასალა, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიიღო ორბელიანის არმიამ. სოლომონ II-ემ გადაიბირა სამეგრელოს, გურიისა და მეტწილად

---

[1] ЦГВИА, Ф. ВУА, д. 406, лл. 1—5.

[2] იქვე, ფფ. 30—40.

იმერეთის წარჩინებულთა გარკვეული ნაწილი და დაუპირისპირა იმათ, ვინც ოსმალეთის წინააღმდეგ იბრძოდა[1]. სოლომონ II-ის უშუალო მეთაურობით ყალიბდებოდა ქვეყნის შიგნით ისეთი ძალა, რომელიც ფაქტიურად ხელს უშლიდა ოსმალო მოძალადეთაგან ქვეყნის განთავისუფლების საქმეს. სოლომონმა შეძლო სამეგრელოს მთავრის მიმართ მეგრელ დიდებულთა ერთი ნაწილის დაპირისპირება.

სამეგრელოში მოქმედ დიდებულთა ამ ჯგუფის ალაგმვა არც ისე იოლ საქმედ ჩანდა. იგი სამეგრელოს მთავრის ძალებს უთუოდ აღემატებოდა, რადგან მისი ფესვები დასავლეთ საქართველოს წარჩინებულ ფეოდალთა საკმაო ნაწილში იყო გამჯდარი. მაგრამ ხალხის მასების ანტიოსმალური განწყობილება ასუსტებდა ამ ფეოდალთა ანტირუსულ საქმიანობას.

ოსმალეთის სარდლობამ სოლომონ II-ის თხოვნა საბაბად გამოიყენა და ფოთში გამოგზავნა 9000-იანი კორპუსი ტრაპიზონის სერასკირის, სამჯილიანი შერიფ-ფაშას მეთაურობით. ოსმალური კორპუსის ნაწილი ფოთს გემებით მოადგა, ხოლო ნაწილი კი გურიის ტერიტორიით შემოვიდა და დაბანაკდა ალყაშემორტყმულ ფოთიდან 20 კმ. დაშორებით. შერიფ-ფაშა დაიმედებული იყო, რომ სოლომონ II-ისა და გურიის მთავრის მამია გურიელის მხარდაჭერით ფოთს დაიხსნიდა[2]. გურიის მთავარი რუსეთის უკმაყოფილო იყო იმიტომ, რომ მასთან ცალკე დიპლომატიური მოლაპარაკება რუსეთის მბრიდან არაეის უწარმოებია გურიის რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის თაობაზე. ამიტომ გურიელი შერიფ-ფაშას მხარეზე გამოსვლას აპირებდა. ოსმალთა კორპუსი დაბანაკდა შავი ზღვის ნაპირზე, რომლის მარჯვენა ფრთა მდინარე მალთაყვასთან განლაგდა, ხოლო მარცხენა კი — მდ. გრეგოლეთთან.

გენ. ორბელიანი შიშობდა, რომ გურიის მთავარი და იმერეთის მეფე მხარს დაუჭერდნენ შერიფ-ფაშას; რომ მათ ხალხი თავიანთი ინტერესებისათვის არ გამოეყენებინათ და არ აეცდინათ იმ სწორი გზიდან, რომელსაც თანამემამულენი ადგნენ, 1809 წ. 2 ნოემბერს გენ. ორბელიანი არქიმანდრიტ იოსების მეშვეობით დაუკავშირდა გურიის მიტროპოლიტ ჯუმათელს; იგი მოითხოვდა ხალხი გამოსულიყო ფოთისათვის მებრძოლ რუს და ქართველ

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 406 л. 35.

[2] იქვე. ფ. 21.

მეომართა მხარეზე[1]. ოსმალო დამპყრობლებისადმი უზომო სიძულვილმა და შურისგების შეუპოვარმა სურვილმა საქმეს სულ სხვანაირი მიმართულება მისცა[2].

ისე როგორც 1807 წლის სამხედრო ოპერაციის პერიოდში, ამჯერადაც უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში და მორალურად ამზადებდნენ ხალხს, შური ეძიათ მოძალადე მტერზე.

ორბელიანმა საეკლესიო პირი გაგზავნა გურიაში ხალხის ძისამხრობად, რამაც ნაყოფი გამოიღო. მოსახლეობა აღდგა ოსმალო მოძალადეთა წინააღმდეგ, ხოლო გურიის მთავრის მტრული მოქმედება არა თუ პარალიზებული აღმოჩნდა, არამედ თვითონ მთავარი იძულებული გახდა, ხალხის აზვირთების გამო, ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩასდგომოდა. სწორედ ამაზე მიუთითებს არქიმანდრიტ იოსების ის სიტყვები, რომელიც მან გენ. ორბელიანს მოახსენა: «...Внушения митрополита Джумателя возымели над гуриельцами желаемое действие..., войска их приближаются и готовы сделать удар на турок и сам владетель Гурии князь Мамий Гуриель, видя обращение народа к своим обязанностям, последовал тому же стремлению и идет с войсками для содействования ему..., желая там загладить свой проступок, предлагая при том, чтобы как только начнется атака с нашей стороны неприятельского лагеря, то гуриельцы ударят от стороны реки Григолети, дабы поставить неприятеля между двух огней»[3].

გენერალ ორბელიანს ჯერ კიდევ აეჭვებდა გურიის მთავრის ერთგულება, რადგანაც მან თავის დროზე სამსახური გაუწია ოსმალეთის შერიფ-ფაშას — გურიის ტერიტორიაზე ჯარის გადმოსხმის საშუალება მისცა. გენერალმა, ისე რომ ფოთის ალყა არ მოუხსნია, დაძრა არმიის ნაწილები და მათთან მოქმედი მეგრელთა და აფხაზთა მრავალრიცხოვანი რაზმები მალთაყვისაკენ, სადაც ოსმალები იყვნენ დაბანაკებული[4]. სწორედ მდინარის გადალახვის მომენტში მიიღო ცნობა გენ. ორბელიანმა რუსეთის ერთგულ თავად ვახტანგ

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 406, л. 22.

[2] Н. Дубровин, История войн и владычества русских на Кавказе, т. V, стр. 269.

[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 406 л. 20.

[4] იქვე.

გურიელისაგან, რომ გურიის მთავარი ოსმალების წინააღმდეგ ომში ჩაება[1]. მდინარე მალთაყვასთან გურიის მთავრის ლაშქრის გამოსვლამ ოსმალეთის წინააღმდეგ დიდი როლი შეასრულა ფოთის აღებაში. მდინარე მალთაყვას გადალახვა საარტილერიო ცეცხლის ქვეშ წარმოებდა. რუსთა ჯარისა და აფხაზ-მეგრელთა რაზმების გადასხმა უშუალოდ ნიკო დადიანის, მანუჩარ შერვაშიძისა და დავით გურიელის მეთაურობით წარმოებდა. მდინარე სწრაფად გადალახეს; ცხენოსნები ფრონს გავიდნენ, ხოლო ქვეითი და არტილერია ნავებით გადასხეს.

პირველმა დარტყმამ სასტიკი მარცხი აგემა ოსმალებს; რუსეთის რეგულარული არმიის საბრძოლო მოქმედებით გამხნევებული ქართველები დიდ გმირობასა და მამაცობას იჩენდნენ ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ტორმასოვი ამის შესახებ ალექსანდრე I-ს აუწყებდა: «Первым ударом в штыки неприятель был вытеснен из флангов своего укрепления, при чем, взята пушка, две знамя и 18 человек пленных с положением на месте убитыми немалого числа, турки оставили прочие и искали спасения в бегстве, замешательство между ними было чрезмерное. Мингрельцы с абхазцами и частию *Гуриельцев под командою князя Давида Гуриела, оказавшего много раз отличную неустрашимость, везде окружали неприятеля, десять верст он преследуем был в штыки и в сабли до реки Григолета, где наносили ему гибель гурильские войска*»[2]. (ხაზი ჩვენია, ნ. ჭ.)

გურიის სამთავროს ლაშქარმა უდავოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთო სახალხო საქმეში და საპატიო ადგილი დაიკავა ფოთისათვის მებრძოლთა შორის.

ფოთისათვის ბრძოლა არა უბრალო ტაქტიკურ ხასიათს ატარებდა, არამედ მას სტრატეგიული მნიშვნელობაც ენიჭებოდა; ამიტომ გამოიგზავნა იმერეთიდან ტორმასოვის ბრძანებით კავკასიის გრენადერთა პოლკის ორი ბატალიონი პოლკოვნიკ სიმონოვიჩის მეთაურობით, თუმცა მათ ფოთში ჩააღწიეს მაშინ, როცა ფოთი უკვე აღებული იყო. სოლომონ II-ემ როგორც კი გაიგო აღნიშნული ნაწილების ფოთში გამოგზავნა, უფრო ინტენსიურად განაგრძო მოქმედება. იგი საგანგებოდ აბრკოლებდა არმიის მოძრაობას ფოთისა-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 406, л. 19—20.

[2] იქვე.

კენ. მოახსენებდა რა იმპერატორს ფოთის ბრძოლის შედეგებს, ტორმასოვი სოლომონ II-ზე წერდა: «Царь Имеретинский, узнав о приближении сего отряда к имеретинской границе, старался и при сем случае сколько можно препятствовать нашим предприятиям, приказав во многих местах перерыть и завалить лесом лежащую на 60 верст чрез болото дорогу и без того чрезмерно трудную».[1]

რუსეთის ჯარის დამხმარე ნაწილების გამოჩენამ და მტრის წინააღმდეგ ბრძოლის დაუცხრომელმა სურვილმა ხალხთა მასებში, ამჯერად სოლომონ II-ს უკან დაახევინა, ხოლო მამია გურიელი ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება. რუსი და ქართველი მებრძოლების ერთობლივი მოქმედება წარმოადგენდა იმ ძალას, რომელიც ოსმალეთის აგენტურის საქმიანობის ყოველგვარ გამოვლინებას ამარცხებდა საქართველოში. ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებულმა წარმატებამ სოლომონ II-ის პოზიციებიც დაასუსტა. ამაზე ნათლად მეტყველებს მალთაყვასთან ოსმალების დამარცხების შესახებ ცნობა, რომელიც ტორმასოვს 1809 წ. 14 დეკემბერს ალექსანდრე I-სათვის გაუგზავნია, სადაც ვკითხულობთ: «Имеретинский царь Соломон и князь Мамий Гуриель приведены в такую робость, что последний, хотя был на стороне турок, но *устрашась силы оружия и видя в народе своем приверженность к России, обратился на сторону генерал-майора князя Орбелианова, а сие самое обращение его с гуриельскими войсками послужило к поражению трапезонтского сераскира Шериф-паша*»[2]. (ხაზგასმა ჩვენია, ნ. ქ.).

ქვემოთ დავინახავთ, რომ იმერეთის მეფის უკანდახევა დროებითი იყო. ამჯერად იგი გრძნობდა, რომ ოსმალებზე მოპოვებული წარმატებანი განპირობებული იყო რუს ჯარისკაცთა და ქართველ მოხალისეთა მილიციის ერთიანი საბრძოლო თანამოქმედებით. ქვეყნის შიგნით სოლომონი უკვე ვერ ხედავდა ისეთ ძალას, რომელიც მას გამარჯვების გარანტიას მისცემდა.

შერიფ-ფაშა დარწმუნდა, რომ კორპუსი, რომელიც მან ფოთის მეციხოვნე გარნიზონის დასახმარებლად გადმოსხა, მოწინააღმდეგის ენერგიული მოქმედებით განსაცდელში ჩავარდა. გაქცევის გარდა სხვა გზა არ იყო; პანიკით მოცული შერიფ-ფაშას კორპუსიდან გადარჩენილი ნაწილი ნავებსა და ხომალდებს მიაწყდა, მაგრამ

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 406, лл. 19—20.

[2] იქვე ფ. 40.

ჩასხდომის დროს ბევრი მათგანი ზღვაში დაიხრჩო, ხოლო ის, ვინც ბათუმის მიმართულებით გაქცევას ან სიმაგრეებში თავის შეფარებას შეეცადა, ხიშტებით იქნა განადგურებული[1].

ოსმალეთმა მალთაყვასთან ბრძოლაში დიდი მარცხი განიცადა. არასრული ცნობებით, მან მარტო მოკლულთა სახით, რომ არაფერი ვთქვათ იმათზე, ვინც ზღვაში დაიხრჩო, 1500-ზე მეტი ჯარისკაცი დაჰკარგა. მრავალრიცხოვან ტყეთა შორის, რომლებიც რუსებს ჩაბარდნენ, ბევრი იყო დაჭრილი.

რუსეთის არმიისა და მოლაშქრე ქართველების დანაკარგი შედარებით უმნიშვნელო იყო, მოკლულთა სახით სულ 70 კაცი; მათ შორის — ყაბარდოს მუშკეტერთა პოლკის 8 ჯარისკაცი, 33 ქართველი და 4 აფხაზი; დაჭრილთა რაოდენობა 234 კაცს აღწევდა.

ფოთის ოსმალურმა გარნიზონმა შერიფ-ფაშასაგან დახმარება ვერ მიიღო; ისინი მოწმენი გახდნენ იმ დიდი მარცხისა, რომელიც შერიფ-ფაშას კორპუსმა იგემა.

გენერალ ორბელიანმა წინადადება მისცა ფოთის კომენდანტ ქუჩუქ-ბეის კაპიტულაციაზე წასულიყო და ციხე-სიმაგრე მისთვის ჩაებარებინა, მაგრამ უკანასკნელმა უარი განაცხადა. პოლკოვნიკ სიმონოვიჩის რაზმების მოახლოებამ დააფრთხო ფოთის გარნიზონი და კომენდანტმა 1809 წლის 12 ნოემბერს პარლამენტიორი გამოუგზავნა გენ. ორბელიანს და სთხოვა მოსალაპარაკებლად შესაფერისი პიროვნება გაეგზავნა. ასეთად სარდლობამ აფხაზთა დიდებული მანუჩარ შერვაშიძე ჩასთვალა. ოსმალების მიერ წამოყენებული პირობის თანახმად შეიარაღებული გარნიზონი ციხე-სიმაგრის ერთი კარიბჭით უნდა გასულიყო, ხოლო ერთდროულად ციხეში, მეორე კარიბჭით ორბელიანის ჯარი უნდა შესულიყო. ეს პირობა დამტკიცებულ იქნა გენ. ორბელიანის მიერ. ციხის კომენდანტმა გასაღები გენ. ორბელიანს გადასცა და 1809 წლის 15 ნოემბერს ოსმალური გარნიზონი, რომელიც გადარჩენილი 272 კაცისაგან შედგებოდა, ქუჩუქ-ბეის მეთაურობით ნავებით ტრაპეზონს გაემგზავრა. ამრიგად, რუსეთის ჯარმა ფოთის ციხე-სიმაგრე დაიკავა. სხვა მნიშვნელოვან სამხედრო ნადავლთან ერთად რუსებმა ხელთ იგდეს 34 ქვემეხი, ფოთის ციხისათვის ბრძოლაში რუსებმა და ქართველებმა მოკლულთა სახით 74 კაცი დაჰკარგეს, მათ შორის 40 რუსი ჯარისკაცი და ოფიცერი, 21 ქართველი და 13 აფხაზი. დაჭრილი

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 406, л. 20.

იყო სულ 132 კაცი; მათ შორის რუსი ჯარისკაცი და ოფიცერი — 62, ქართველი — 43, აფხაზი — 27[1].

როგორც ითქვა, ფოთის განთავისუფლების საქმეში თავისი წვლილი შეჰქონდა საქართველოს საეკლესიო ხელისუფლების წარმომადგენლებს. ისინი ბრძოლის ველზეც კი გადიოდნენ და ამხნევებდნენ თანამემამულეებს, მოუწოდებდნენ საკუთარი მიწა-წყლის განთავისუფლებისაკენ. უცხოელთა ბატონობისაგან. იმავე დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ «...митрополиты мингрельские Чконитель (ჭყონდიდელი, ნ. ქ.) и Цаишель (ცაიშელი ნ. ქ.) имеющие влияние на народ, неослабно напоминали обязанности его к благодетельному порыву вашего императорского величества, и, присутствия даже при перестрелках, ободряли войски»[2].

ტორმასოვის მოწმობით, ფოთისათვის ბრძოლაში თავი გამოუჩენიათ მრავალ ქართველსა და აფხაზს. მათ შორის, — სამეგრელოს მთავარს გენერალ-მაიორ ლევან დადიანს, პოლკოვნიკ ნიკო დადიანს, ვახტანგ გურიელს, მანუჩარ შერვაშიძეს და სხვებს[3].

ფოთისათვის ბრძოლაში თავდადებული მეომრებისათვის მთავრობას სახელმწიფო ჯილდოები და საჩუქრები გადაუცია: გურიის მთავარს მამია გურიელს პოლკოვნიკობა და წმ. ანას II ხარისხის ორდენი ებოძა, გურიის დიდებულებს დავით და ვახტანგ გურიელებს და აფხაზეთის თავად მანუჩარ შერვაშიძეს — პოდპოლკოვნიკობა, თავად ამირეჯიბს — მაიორის ჩინი. ვერცხლის ხმალი გადაეცათ გურიის თავადებს ვახტანგ ერისთავს, სიმონ გუგუშვილს, მაიორ მაჩაბელს; ბრძოლის ბევრი სხვა მონაწილე დაჯილდოვებულ იქნა სხვადასხვა ჯილდოებით[4].

სამეგრელოს დედოფალ ნინოსთვის, იმ დამსახურებისა და ღვაწლისათვის, რომელიც მას ფოთისათვის ბრძოლის საქმეში გამოუჩენია, მთავრობას დაუნიშნია წლიური პენსია სამი ათასი მანეთის რაოდენობით[5].

პოლკოვნიკ ნიკო დადიანს საჩუქრად გადაეცა ოქროს ხმალი წარწერით: „მამაცობისა და ერთგულებისათვის", ხოლო ლევან დადიანს — ბრილიანტით მოჭედილი ოქროს სათუთუნე.

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 406 лл. 39—40.

[2] იქვე. ფ. 41.

[3] იქვე. ფ. 23, 40—51.

[4] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 257, лл. 65, 90 и об.

[5] იქვე. ფ. 71.

გურია-სამეგრელოს საეკლესიო ხელისუფლების მესვეურებს— მიტროპოლიტ ჰყონდიდელ-დადიანს, არქიეპისკოპოსს ცაიშელს და გურიის არქიერეი ჯუმათელს ებოძათ ბრილიანტებით მორთული პანაგეა ოქროს ჯაჭვით[1].

ფოთისათვის ბრძოლა ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა. მოპოვებული საბრძოლო წარმატება მომავალში უფრო დიდი გამარჯვების საწინდარი იყო. ამიერიდან ქართული მიწა-წყლის ოსმალო მოძალადეთაგან განთავისუფლების პროცესი წარმატებით უნდა წასულიყო; სამწუხაროდ, ამჯერად ფოთის განთავისუფლება დროებითი მოვლენა იყო.

ბრძოლა აფხაზეთისათვის

აფხაზეთსა და სოხუმს, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილებს, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა შავი ზღვის აუზში რუსეთის საბოლოო გაბატონებისათვის. სოხუმში, რუსეთის დამკვიდრებით, არსებითად დასუსტდებოდა ოსმალეთის კავშირი მთის ხალხებთან და შეიზღუდებოდა მათი მტრული მოქმედება რუსეთის მიმართ. რუსეთის მმართველი წრეები აფხაზეთის შემოერთებას ისეე უდგებოდნენ, როგორც კავკასიის სხვა ტერიტორიების შემოერთების საკითხს. პოლიტიკური და ეკონომიური თვალსაზრისით ამ აქტს დიდი სარგებლობა მოჰქონდა და, უპირველესად ყოვლისა, ეს განაპირობებდა რუსეთის ლტოლვას აფხაზეთისაკენ. აფხაზეთის შეერთებით ბოლო უნდა მოღებოდა ამ მხრიდან ოსმალების თავდასხმის საფრთხეს, ყირიმიდან მომავალი გემები კი მშვიდობიანად გასცურავდნენ ზღვას. გარდა ამისა, გემთმშენებლობისათვის საჭირო მასალა დიდი რაოდენობით გადადიოდა რუსეთის ხელში.

გუდოვიჩის მიერ გრაფ სალტიკოვისადმი 1809 წლის 3 მარტის თარიღით გაგზავნილ წერილში აფხაზეთის დიდი ეკონომიური და სამხედრო მნიშვნელობის შესახებ ნათქვამი იყო:

«Главнейшие выгоды, представляющиеся от приобретения Абхазии по всероссийскую державу, состоят в том, что тогда лучшие приморские места Черного моря, богатые карабельным лесом, приобретутся под власть России, наконец, мы будем иметь в своей власти 2 крепости, Анакру (ლაპარაკია ანაკლიაზე, ნ. ჯ.) и Сухум-кале, следовательно, тогда с сей стороны Мингрелия будет совершенно обеспечена»[2].

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 257, л. 90.
[2] Акты, т. 3. стр. 209.

რუსეთის დამკვიდრებას აფხაზეთში ხელს უწყობდა ის, რომ აფხაზები საუკუნეთა მანძილზე, ისე როგორც მოძმე ქართველები, აწარმოებდნენ ბრძოლას ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. ისინი ზიზღით უყურებდნენ დამპყრობელთა ადათ-წესებს, სარწმუნოებასა და ენას. ოსმალო დამპყრობლებს ეგონათ, რომ აფხაზეთის ზოგიერთ რაიონებში მტკიცედ ჰქონდათ ფეხი მოკიდებული, მაგრამ ხალხის მასები შურისძიების გრძნობით იყო აღვსილი მათ წინააღმდეგ.

სრულიად მართებულად შენიშნავს პროფ. მ. დუმბაძე, რომ აფხაზეთში XIX საუკუნის დასაწყისში „ძველ ქართულ კულტურულ-სარწმუნოებრივ ტრადიციებს საგრძნობი ძალა ჰქონდა შერჩენილი"[1].

აფხაზეთში ისლამს, როგორც ოსმალეთის პოლიტიკური გავლენის გამომხატველ სარწმუნოებას, დიდი ძალა არასოდეს არ ჰქონია[2]. აქ, ისე როგორც საქართველოს სხვა პროვინციებში, ისლამისა

---

1 მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 210, თბ., 1957.

2 როგორც განსვენებული აკად. ს. ჯანაშია შენიშნავდა, მეცხრე საუკუნის მეორე ნახევრიდან აფხაზეთში სახელმწიფოს მწიგნობრობისა და ეკლესიის ენა იყო ქართული ენა. მას თავისი როლი არ დაუკარგავს მაშინაც კი, როდესაც საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ წარმოიშვა აფხაზეთის სამთავრო; იგი ეკლესიურად იმერეთ-გურია-სამეგრელოსთან ერთად ერთ მთლიანობას შეადგენდა, — ერთი საეკლესიო ქართულით (აკად. ს. ჯანაშია, გიორგი შარვაშიძე, გვ. 2, სოხუმი, 1941 წ.). ირკვევა, რომ ქართული ენა საკმაოდ გავრცელებული ყოფილა აფხაზეთში. 1714 წელს სულხან-საბა ორბელიანს კუნძ. მალთაზე საქართველოდან დიდი ხნის წინათ გატაცებულ სხვა ტყვე იმერელ-მეგრელ და გურულებს შორის აფხაზიც უნახია, რომელიც კარგად ლაპარაკობდა ქართულ ენაზე. (სულხან-საბა ორბელიანი, „მოგზაურობა ევროპაში". გვ. 129, თბილისი, 1940 წ.). ვახუშტი გაღმოგვცემს, რომ აფხაზებს საკუთარი ენა ჰქონდათ, მაგრამ ქართული ენა მათთვის კულტურის ენას წარმოადგენდაო. ვახუშტის თქმით, მათ „ენა საკუთარი თვისი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული" (ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა". გვ. 172, თბ., 1941 წ.).

როგორც აკად. ს. ჯანაშია მიუთითებდა, კულტურა ფეოდალური საზოგადოების პირობებში უპირატესად უმაღლესი წრეებისათვის იყო მისაწვდომი (ს. ჯანაშია, გიორგი შარვაშიძე, გვ. 26, სოხუმი, 1941). მაგრამ ქართული ენა განაგრძობდა არსებობას აფხაზეთში. ეს კი იმას როდი ნიშნავს, რომ აფხაზეთში არ ყოფილან თურქულ ენაზე მოლაპარაკენი; ფეოდალების ნაწილი თურქულ ენაზე მეტყველებდნენ, მაგრამ თურქულ ენას აფხაზეთში არასოდეს არ ჰქონია გაბატონებული მდგომარეობა.

და ქრისტიანობის დაპირისპირებასა და ჰიდილში იხატებოდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დაუცხრომელი სულისკვეთება, და ეს არც იყო შემთხვევითი მოვლენა, რადგანაც ცნობილია, რომ მაშინ მთელ იდეოლოგიას რელიგია წარმართავდა. ისლამს ღრმა ფესვი გადგმული ჰქონდა მხოლოდ ფეოდალთა რეაქციულ ნაწილში, გლეხები კი ქრისტიანობას აღიარებდნენ და საქართველოს მოსახლეობასთან კავშირს ინარჩუნებდნენ. როგორც პროფ. ი. ანთელავა შენიშნავს, მიუხედავად ოსმალეთის მმართველი წრეების ქრისტიანობის წინააღმდეგ ბარბაროსული მეთოდებით ბრძოლისა აფხაზეთში და ისლამის დანერგვის საქმეში დიდი მონდომებისა, მათ მაინც ვერ შეძლეს ამ კუთხის მოწყვეტა საქართველოსაგან და იქ ქართული კულტურის ტრადიციების მოსპობა[1]. ვახუშტი, როცა აფხაზთა რელიგიურ სარწმუნოებაზე მიუთითებდა. აღნიშნავდა, რომ აფხაზები „სარწმუნოებით არიან ქრისტიანებიო"[2].

სამეგრელოს დედოფალი ნინო მთავარსარდალ გუდოვიჩს სწერდა, რომ აფხაზეთში „გლეხნი... უმეტესნი ქრისტიანობენ და სწამთ ჯვარი და ხატი ჩვენიო"[3]. ქრისტიანული სარწმუნოება გაბატონებული იყო უშუალოდ სამეგრელოს მომიჯნავე რაიონებში, ხოლო ისლამი — აფხაზეთის მთიანეთიდან მოდიოდა.

აფხაზეთში მუსლიმანური სარწმუნოების დამკვიდრებას ხელს უწყობდა აფხაზეთის მთავარი ქელეშ-ბეგ შერვაშიძე. ის სულთნის სამსახურში იმყოფებოდა, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს კი ხშირად ატყუებდა რუსეთის მფარველობის ქვეშ გადასვლის წინადადების შეთავაზებით.

ქელეშ-ბეგმა ჯერ კიდევ 1806 წ. ხერსონესისა და ეკატერინოსლავსკის სამხედრო გუბერნატორ დიუკ დე-რიშელიეს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის სათხოვარი მუხლები გაუგზავნა.

ქელეშ-ბეგის, როგორც მთავრისა და პოლიტიკური მოღვაწის დასახასიათებლად, საინტერესოა აღნიშნულ სათხოვართაგან ერთერთი მუხლი. მთავარი რუსეთის მფარველობის ქვეშ შედიოდა და თანაც ითხოვდა, მისთვის ტყვეებით ვაჭრობის უფლება დაეტოვებინათ. ის, რაც ქვეყნის სოციალურ უბედურებას წარმოადგენდა, მას აუცილებელ და სასიცოცხლო საქმედ მიაჩნდა. აი ეს მუხლიც: „В России запрещено покупать ясыров (ტყვეები, ნ. ჭ.),

[1] И. Г. Антелава, Очерки по истории Абхазии XVII—XVIII веков, 2-ое изд., стр. 60—68.

[2] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 172.

[3] Акты, т. 2, стр. 528

то, чтобы не было им (აფხაზეთის მთავარსა და ფეოდალებს. ნ.ქ.) запрещено потому, что без обращения сего не могут жить".[1]

ქელეშ-ბეგის ასეთი პოლიტიკა, ცხადია, ზიზღსა და სიძულვილს იწვევდა მის თანამემამულეებში.

ქელეშ-ბეგ შერვაშიძე თავის ჯარს ოსმალეთის ჯარს უწოდებდა. იგი ოსმალთა დახმარებით გახდა აფხაზეთის მთავარი, ჰქონდა სამთავროს ოსმალური ბეჭედი და მთელი თავისი „მოღვაწეობის" პერიოდში ოსმალეთის მხარდაჭერით სარგებლობდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაძი უკანასკნელ 3—4 წელს, როცა იგი პოლიტიკური მერყეობის გზას დაადგა[2]. ქელეშ-ბეგი, როგორც წესი, უოველწლიურად ოსმალეთის მთავრობისაგან ხელფასს ღებულობდა[3]. მან დიდხანს დაჰყო ოსმალეთში და აფხაზეთში მაჰმადიანობის დამკვიდრების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

გუდოვიჩის მიერ გრაფ სალტიკოვისადმი გაგზავნილ წერილში პირდაპირაა მითითებული, რომ ქელეშ-ბეგი მაჰმადიანი იყო და თავის შვილებსაც ამ სარწმუნოების ტრადიციებზე ზრდიდა[4].

რუსეთის მიმართ ერთგვარი ლოიალობა და თაიარ-ფაშას შეფარება ქელეშ-ბეგს ოსმალეთის მთავრობამ ღალატად ჩაუთვალა და ოსმალეთის მიერ მოსყიდული აგენტის, მისივე შვილის ასლან-ბეგისა და სხვა შეთქმულ ფეოდალთა მიერ 1808 წლის 2 მაისს ღამით იგი მოკლულ იქნა. ამ შეთქმულებას სათავეში ედგა ძიაბაშიათა და სხვა წარჩინებულ ფეოდალთა გვარეულობა. ასლან-ბეგს განზრახული ჰქონდა მოეკლა აგრეთვე თავისი ძმა საფარ-ბეგი (შემდეგში გიორგი შერვაშიძედ ცნობილი). ასლან-ბეგი გამაგრდა სოხუმის ციხე-სიმაგრეში და მას ორი წლის განმავლობაში ინარჩუნებდა.

საფარ-ბეგმა, რომელიც აფხაზეთის ტახტის მემკვიდრეობაზე პრეტენზიას აცხადებდა, ვერაფერი დააკლო ასლან-ბეგს გარდა იმისა, რომ თავის მომხრეებთან ერთად სოხუმის გარშემო მდებარე სოფლები მოარბია[5]. საფარ-ბეგმა ამჯერად ფართო მხარდაჭერა ვერ ჰპოვა აფხაზეთში და სამეგრელოს შეაფარა თავი. საფარ-ბეგი (გიორგი შერვაშიძე), სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის სიძე.

---

[1] Акты, т. 3, стр. 191—192. Пояснение таврического помещика Махмед-Тоярбея ген.—л. Эмануилу Осиповичу Дюку де Ришелье.

[2] И. Г. Антелава, Очерки... Указ. изд., стр. 86.

[3] Акты, т. 3,стр, 209.

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 201—202.

სარგებლობდა სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანისა და დედოფლის მხარდაჭერით. რუსეთის მფარველობის მიღებით საფარ-ბეგი ცდილობდა დაემარცხებინა ასლან-ბეგი და დამკვიდრებულიყო აფხაზეთის მთავრის ტახტზე. სამეგრელოს დედოფალი ნინო რუსეთის მმართველ წრეებს დაუკავშირდა და ცდილობდა ხელი შეეწყო აფხაზეთის მთავრის ტახტზე საფარ-ბეგის დამკვიდრებისათვის. ნინო დადიანი ალექსანდრე I-ს სწერდა, რომ «ныне время удобное принять Сафар-бека под Ваш покров, ибо он есть член (нашего дома) и сосед наш»[1].

სამეგრელოს დედოფალი მოუწოდებდა რუსეთის სამხედრო და დიპლომატიურ წრეებს, რომ დაჩქარებულიყო რუსეთის მფარველობის ქვეშ აფხაზეთის მიღება. იგი ყოველივე ამას აკეთებდა იმიტომ, რომ ამიერიდან აფხაზეთში მოხსნილიყო ოსმალეთის ან ოსმალური ორიენტაციის მატარებელი მთავრის დამკვიდრების საფრთხე. რომელსაც დიდი უბედურება მოჰქონდა არა მარტო აფხაზეთისათვის, არამედ სამეგრელოსათვისაც.

სამეგრელოს დედოფალი ნინო გუდოვიჩისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში თითქმის იმავე პოლიტიკურ აზრს გამოთქვამს, როგორიც იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში იყო გატარებული. იგი წერდა: «Прошу... дабы самодержавнейший государь уважил и принял в свое рабство сего, зятя моего Сафар-бека, который секретно называется по крещению Георгий, и пожаловал бы ему знак и грамоту, введя также войска в Абхазию».[2]

რუსეთის მმართველი წრეები თავს იკავებდნენ აფხაზეთის მთავრის მემკვიდრის, გაქრისტიანებულ გიორგი შერვაშიძისადმი (საფარ-ბეგი) დახმარების გაწევისაგან, რადგანაც რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებული დროებითი ზავი იმჯერად ძალაში იყო და გრძელდებოდა საზავო მოლაპარაკება. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ რუსეთი ხელს იღებდა აფხაზეთში დამკვიდრებისათვის ბრძოლაზე. პირიქით, რუსეთის მმართველი წრეები მზად იყვნენ პირველი შესაძლებლობისთანავე ესარგებლნათ აფხაზეთის სამთავრო კარზე შექმნილი განხეთქილებით და მოესპოთ ოსმალოფილი ფეოდალები ასლან-ბეგის მეთაურობით.

ყოველივე ამას ოსმალეთი ანგარიშს უწევდა; იგი სოხუმის ციხეში მყოფ ასლან-ბეგს უგზავნიდა დიდძალ საომარ მასალას, ოქ-

[1] Акты, т. 3, стр. 201.
[2] იქვე, გვ. 203.

როს, ძვირფას ნივთებსა და სხვა სახის საჩუქრებს რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ოსმალეთის მმართველი წრეები არწმუნებდნენ მას, რომ *«всякая нужная помощь со стороны Порты будет ему оказана, относящаяся до войск и денег»* [1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.).

სოხუმი ოსმალების მიერ გამაგრებულ იქნა. ლეიტენანტ სკირნევსკის ცნობით, თუ 1807 წელს სოხუმის ციხე-სიმაგრეში სულ 16 ქვემეხი იყო[2], 1808 წლის დასასრულისათვის იგი მიუვალი ციხე-სიმაგრის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ციხეში ჩაყენებულ იქნა მრავალრიცხოვანი ოსმალური გარნიზონი, რომელიც აღჭურვილი იყო 100-მდე ქვემეხით, ხოლო ზღვაში იდგა იმ დროისათვის კარგად შეიარაღებული რამდენიმე გემი.

1808 წლის აგვისტოს გენ. რიკჰოფმა გუდოვიჩის ბრძანებით სოხუმის ციხის მიმართულებით დაძრა ჯარის ნაწილი მეგრელ მოხალისეებთან ერთად. როგორც ჩანს, ეს უფრო დაზვერვითი ხასიათის მატარებელი ოპერაცია იყო, საზღვაო ფლოტის მხარდაჭერა მას არ ჰქონია. ასლან-ბეგის დასახმარებლად სოხუმს მოადგა მისი ბიძაშვილი, ფოთის კომენდანტი ქუჩუქ-ბეი, ხოლო მთებიდან მისაშველებლად ჩამოვიდნენ 300-მდე ოსმალური ორიენტაციის მქონე აფხაზი. სოხუმის აღება ამჯერად ვერ მოხერხდა.

გიორგი შერვაშიძემ 1809 წელს ხელი მოაწერა „სათხოვარ პუნქტებს“, რომლითაც იგი რუბეთის მფარველობის ქვეშ შესვლის პირობას იძლეოდა და მთელ აფხაზეთზე რუსეთის ხელისუფლებას აღიარებდა[3].

მაგრამ ფაქტიურად აფხაზეთის ბატონ-პატრონი ასლან-ბეგი იყო; ხოლო გიორგი შერვაშიძე იქ ნომინალურადაც კი არ სარგებლობდა მთავრის უფლებებით. იგი, როგორც აფხაზეთიდან განდევნილი, რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის „სათხოვარი პუნქტებით“ დასახმარებლად იწვევდა თავის მომავალ „მფარველს“ მთავრის ტახტზე ოსმალეთის მიერ დასმული ასლან-ბეგის წინააღმდეგ; ამიტომ იყო, რომ იგი ითხოვდა «о даче ему войска для взятия крепости Сухума, так как он остается почти совершенно обессиленным и даже изгнанным»[4].

---

[1] Акты. т. 4, стр. 389—390.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 18490, лл. 1—4.
[3] Акты, т. 3, стр. 29,
[4] Акты, т. 4, стр. 569.

რუსეთის სარდლობის მოქმედებამ აფხაზეთისათვის ბრძოლაში უფრო აქტიური ხასიათი მას შემდეგ მიიღო, რაც 1809 წლის 12 მარტს ოსმალეთის სულთანმა გამოაქვეყნა ფირმანი დროებითი ზავის დარღვევის შესახებ.

ალექსანდრე I-მა 1809 წ. ივნისში დაამტკიცა გიორგი შერვაშიძის „სათხოვარი პუნქტები". იგი, მართლაც, მიღებულ იქნა რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ და აღიარებულ იქნა აფხაზეთის მთავრად. მას დაენიშნა პენსია 2500 მანეთი ვერცხლით, ხოლო დედას კი — 1.500 მანეთი, თანაც გიორგი შერვაშიძე დააჯილდოვა წმ. ანნას I ხარისხის ორდენით. ამგვარად, აფხაზეთი რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფ პროვინციად იქნა აღიარებული[1]. მაგრამ ეს იყო ფორმალური აღიარება, რადგანაც მთავრის ტახტზე არა გიორგი, არამედ ასლან-ბეგი იჯდა. ახლა უკვე ყოველმხრივ გამართლებული ჩანდა რუსეთის აქტიური მოქმედება სოხუმის ციხისათვის, რადგანაც რუსეთი აფხაზეთის მთავრის ტახტზე ცნობდა გაქრისტიანებულ გიორგი შერვაშიძეს, რომელიც რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდა.

იმისათვის, რომ აფხაზეთის მოსახლეობაში მოემზადებინა ნიადაგი რუსეთის ხელისუფლების დამკვიდრებისათვის, მთავრობა კარგად იყენებდა ქრისტიანულ რელიგიას იმ აფხაზთა შორის, რომლებშიც ჯერ კიდევ არ გამქრალიყო ქრისტიანული რელიგიისადმი პატივისცემა. აფხაზეთში იგზავნებოდა ქრისტიანი მისიონერები, რომლებიც ეწოდნენ ქრისტიანობის სასარგებლო პროპაგანდას. ამით ხდებოდა რუსეთის ხელისუფლების დამკვიდრებისათვის ნიადაგის იდეოლოგიური მომზადება. 1809—1810 წწ. აფხაზეთში ინტენსიურად საქმიანობდა მღვდელი იოსელიანი. მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლებთან და აწვდიდა ცნობებს აფხაზეთში ქრისტიანული პროპაგანდის მიმდინარეობისა და ხალხის მასების განწყობის შესახებ[2]. მას ეხმარებოდა მისი მეუღლე, რომელიც კარგად ფლობდა როგორც ქართულს, ასევე აფხაზურ ენას.

რუსეთის ჯარის სახმელეთო ნაწილებსა და მეგრელ-მოხალისეთა რაზმებს საშუალება არ ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ სო-

---

[1] Материалы и записки по вопросу о владетельных и имущественных правах потомков свет. князя Михаила Шервашидзе, последнего владетеля Абхазии, Верден, 1913, стр. 5—7.

[2] Акты, т. 4, стр. 415—416

ხუმისათვის ბრძოლაში, რადგანაც სწორედ 1810 წ. დაიწყო იმერეთში აჯანყება, რაზედაც ჩვენ ცალკე გვექნება ლაპარაკი.

1810 წ. ივლისის პირველ რიცხვებში სოხუმის რეიდზე გამოიგზავნა სევასტოპოლიდან ერთი სამხედრო გემი 66 ქვემეხით, ორი ფრეგატი და მრავალი სამხედრო ნავი; ესკადრას კაპიტან-ლეიტენანტი დოდტი მეთაურობდა. 8 ივლისს დილით ისინი მოადგნენ სოხუმის ნავსადგურს და წინადადება შესთავაზეს ოსმალთა მეციხოვნე გარნიზონს, დანებებოდა; მაგრამ პასუხად უარი მიიღეს. 8 ივლისს, 3 საათზე რუსეთის საზღვაო ესკადრამ დაიწყო საომარი მოქმედება, რომელიც გაგრძელდა 10 ივლისამდე. 10 ივლისს, დილის 10 საათზე რუსებმა ხმელეთზე გადასხეს სამი ასეული ორი საველე ქვემეხით[1]. მოწინააღმდეგის ქვეითი და ცხენოსანი რაზმები დაეშვნენ მთებიდან და სურდათ იერიში მიეტანათ დესანტის წინააღმდეგ, მაგრამ ზღვიდან ესკადრის ქვემეხთა ძლიერმა ცეცხლმა მათი ვარაუდი ჩაშალა. დამატებით მოახერხეს რუსებმა კიდევ ერთი ასეულის გადმოსხმა, დესანტი პირდაპირ შეიჭრა ციხე-სიმაგრეში და იგი დაიკავა. ოსმალებმა დაჰკარგეს მოკლულთა სახით 300 კაცი, რუსებმა ტყვედ იგდეს 80 ჯარისკაცი, — მათ შორის ორი დიდებული; ნადავლის სახით რუსებმა ხელთ იგდეს დიდი ყალიბის 62 და მცირე ყალიბის მრავალი ქვემეხი, სხვა საბრძოლო იარაღი და 1080 ფუთი დენთი.

სოხუმის აღებისას ასლან-ბეგი იქ არ ყოფილა. ეს ფაქტი მისთვის სრულიად მოულოდნელი იყო. სწორედ მაშინ იმერეთში ბობოჭრობდა აჯანყება. რომლის გამოყენებასაც ცდილობდა ოსმალეთი. ასლან-ბეგი დაკავშირებული იყო იმერეთის მეფესთან და მისთვის დახმარების მიზნით მან განიზრახა 4000-იანი არმიით თავს დასხმოდა სამეგრელოს, რომ სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანს საშუალება არ ჰქონოდა შემწეობა მიეცა იმერეთის აჯანყების წინააღმდეგ მოქმედ რუსეთის არმიისათვის, მაგრამ საქმე სრულიად მოულოდნელად შებრუნდა: სოხუმის აღების ცნობამ მას თავბრუ დაახვია. ამის შესახებ ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: «Неожидаемая атака Сухума, где он (ლაპარაკია ასლან ბეგზე. ნ. ქ.). всегда имел убежище под защитою Оттоманской порты, заставила его стремительно от границ мингрельских спешить к сей крепости, которую он нашел уже в руках победоносных войск его Императорского Величества и принужден был искать спасе-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6186, лл. 239—242.

ния в горах Кавказских, видя совсем разрушившеюся свою надежду через потерянные крепости и пристани Сухума».[1] ასლან ბეგი იძულებული გახდა გაქცეულიყო და მთებს შეხიზნოდა.

როგორც ირკვევა, სოხუმის მცხოვრებლები სიხარულით შეხვდნენ რუსეთის არმიის შემოსვლას, ისინი მშვიდობიან ცხოვრებას იყვნენ მოწყურებულნი და რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. კაპიტან-ლეიტენანტი დოდტი ამის შესახებ შემდეგს იტყობინება: «Живущие в окрестности Сухума жители приходили во множестве и просили покровительства, желая при том быть вечно в подданстве России».[2]

მალე სოხუმს გაემგზავრა გიორგი შერვაშიძეც და დაიკავა მთავრის ტახტი.

სოხუმისა და აფხაზეთის რუსეთის ხელში გადასვლას უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აფხაზეთიდან ოსმალეთის ჯარების სამეგრელოზე თავდასხმის საფრთხე ამიერიდან იხსნებოდა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, იმერეთის აჯანყების დროს ახალციხიდან შემოსული ოსმალებისა და ლეკების რაზმები დღეში დღე იქსაქსებოდა და იფიტებოდა იმერეთში. ამიტომ გონივრული იყო ტორმასოვის მოსაზრება სოხუმის დაკავების მნიშვნელობის შესახებ, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრ რუმიანცევისადმი გაგზავნილ წერილში იყო გამოთქმული. აი რას სწერდა ტორმასოვი: «Особливо же и нынешнее счастливое происшествие в покорении Сухума много подействует на бунтовщиков (ლაპარაკია იმერეთის აჯანყებაზე, ნ. ქ), которыя, без сомнения, известились уже о прибытии флота и десантных войск, что, я полагаю, заставило и самых турок, тоже и лезгинские войски, отстать от царя и возвратиться из Имеретии».[3]

სოხუმის ციხე-სიმაგრის აღების მნიშვნელობა უდავოდ დიდი იყო რუსეთისათვის და ამიტომ გადაუჭარბებელია ის შეფასება, რომელსაც აღნიშნულ აქტს აძლევდა ტორმასოვი. იგი წერდა, რომ სოხუმის აღებით რუსეთი აფხაზეთის ბატონ-პატრონი და მბრძანებელი გახდა, მისი თქმით «превосходная гавань делает нас теперь полным властелином того берега Черного моря»[4]

---

[1] ЦГВИА. ф. ВУА, д. 6184, л. 301, Рапорт Тормасова военному министру от 12/X 1810.

[2] იქვე. д. 6186, лл. 239—242.

[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 267.

[4] ЦГВИА, ф, ВУА, д. 6184, л. 266.

სოხუმის ციხე-სიმაგრის აღების შემდეგ გიორგი შერვაშიძემ ფაქტიურად რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფი აფხაზეთის მთავრის უფლებები მოიპოვა. 1810 წლის ოქტომბერში გიორგი შერვაშიძეს საზეიმო ცერემონიალის შესრულების შემდეგ სამთავრო ნიშნები გადაეცა[1].

რუსეთმა აფხაზეთში ქრისტიანი მთავარი დასვა და მას ერთგულების ფიცი მიაღებინა.

სოხუმის აღება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა აფხაზეთის საბოლოოდ შემომტკიცებას. ასლან-ბეგი აფხაზეთის მთიანეთში აკოწიწებდა რუსეთისა და გიორგი შერვაშიძის საწინააღმდეგო ძალებს. სამეგრელოს დედოფალმა, მიუხედავად იმისა, რომ იმერეთში სამეგრელოს დიდი ძალები იყო დაბანდებული აჯანყების წინააღმდეგ საბრძოლველად, შეძლო აფხაზეთში საკმაოდ მრავალრიცხოვანი რაზმების გაგზავნა ასლან-ბეგის წინააღმდეგ, რამაც საშუალება მისცა გიორგი შერვაშიძეს საბოლოოდ დაემარცხებინა იგი მისი. ოსმალური პარტიითურთ; ასლან-ბეგი ტრაპეზუნდს გაიქცა[2].

სოხუმის ციტადელის დაკარგვა ოსმალეთისათვის უდავოდ დიდი დანაკლისი იყო. ოსმალეთის სულთანმა არაფერი იცოდა რუსეთის ჯარების მიერ სოხუმის აღების შესახებ. მან ასლან-ბეგს გამოუგზავნა სპეციალური ხომალდი, რომელიც ქვემეხებით, ტყვიაწამლითა და გარნიზონისათვის საჭირო სურსათით იყო დატვირთული[3]. ხომალდის ეკიპაჟს, რომელიც 43 კაცისაგან შედგებოდა, ეგონა, რომ სოხუმი ოსმალების ხელში იყო, და სრულიად უშიშრად მიადგა ნაესადგურს 1810 წ. 7 აგვისტოს; მაგრამ როგორც კი შენიშნა სოხუმის ციხე-სიმაგრის თავზე რუსეთის დროშა, გაქცევა დააპირა. რუსეთის არტილერიის ცეცხლმა გზა გადაუღობა მათ; ხომალდის ეკიპაჟი იძულებული გახდა, დანებებულიყო. გენ. ტორმასოვის ცნობით გემის კაპიტანს აღმოაჩნდა ოსმალეთის სულთნის წერილი ასლან-ბეგის სახელზე გამოგზავნილი[4], რომლითაც სულთანი დახმარებას ჰპირდებოდა რუსეთის წინააღმდეგ. გარდა სულთნის წერილისა, კიდევ სხვა სამი ფირმანი იყო გემში, რომელსაც უგზავნიდნენ ასლან-ბეგს სულთნის კართან დაახლოებული პირები. ერთ-

[1] Акты, т. 4, стр. 425.

[2] ЦГВИА, Ф. ВУА, д. 6184, л. 266.

[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6186, лл. 89—90, Рапорт Тормасова к Барклаю-де-толли.

[4] იქვე.

ერთ ფირმანს აგზავნიდა ასლან-ბეგის წარმომადგენელი კონსტანტინოპოლში ვინმე ჰაჯი იაკუბი. ირკვევა, რომ ასლან-ბეგს ხშირი მიმოწერა ჰქონია ოსმალეთთან, ოსმალეთის მმართველი წრეებიც უურადღებით ეკიდნენ თურმე მას და დიდად იყვნენ დაინტერესებულნი აფხაზეთში ბატონობის შენარჩუნებით. ფირმანში ვკითხულობთ: «Три прошения ваши с приложением свидетельств я получил от разных чисел и доставил оные в канцелярию визиря. Прежде мне давали денег.. Ныне высочайший двор соизволил на отправление 2.000 кулей провианта, 30-ти лафетов и нужных для исправления вещей достаточного количества соли и нефти, которые вы скоро получите».[1] ჰაჯი იაკუბი ფირმანის დასასრულს სწერს ასლან-ბეგს, რომ თუ კიდევ სხვა რამე დასჭირდება, მოიწეროს წერილი და ვინმე ემინ-ეფენდი შატიროვთან ერთად ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მისი თხოვნა დააკმაყოფილოს.

რუსეთის ხელში სოხუმის გადასვლას ოსმალეთი არ ურიგდებოდა, იგი განაგრძობდა აგრესიულ პოლიტიკას სოხუმისა და მთელი აფხაზეთის დასაბრუნებლად. ასლან-ბეგმა თავი შეაფარა ოსმალეთს და ცდილობდა სხვა რეჭციულ ძალებთან ერთად ოსმალეთის მხარდაჭერით კვლავ დაეკავებინა აფხაზეთის მთავრის ტახტი. მაგრამ მან მიზანს ვერ მიაღწია; აფხაზი ხალხი რუსეთის ხელისუფლების დამკვიდრებას უფრო ამჯობინებდა. ვიდრე ოსმალეთის ბატონობას; ამიტომ იყო განწირული დასალუპავად ასლან-ბეგის ოსმალოფილური პოლიტიკა.

ბრძოლა ანაპისათვის

ოსმალებმა ანაპა XV საუკუნეში დაიპყრეს. ანაპიდან ისინი ამყარებდნენ სავაჭრო და პოლიტიკურ ურთიერთობას მთის ხალხებთან, მათში ეწეოდნენ მიურიდიზმის პროპაგანდას რუსეთის წინააღმდეგ. XVIII საუკუნის დასასრულს ანაპა ოსმალეთის ერთერთ უმნიშვნელოვანეს საზღვაო ფორპოსტს წარმოადგენდა.

მას შემდეგ, რაც რუსეთის ინტერესი გაიზარდა შავი ზღვის აუზში და დაიწყო ბრძოლა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროებიდან ოსმალეთის გაძევებისათვის, სულთანი შეეცადა,

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, лл. 89—90.

გაემაგრებინა ანაპა და იქ შეექმნა მძლავრი ციხე-სიმაგრე (რუსეთის წინააღმდეგ) მთის ხალხებში ეკონომიური, პოლიტიკური და რელიგიური ბატონობის შესანარჩუნებლად. ანაპის ციხე-სიმაგრე ოსმალებმა ფრანგი ინჟინრების ხელმძღვანელობით ააგეს.

უდავოა, რომ რუსეთის მიერ ყირიმის შემოერთება და მისი პოზიციების განმტკიცება შავი ზღვის აუზში, აგრეთვე გეორგიევსკის ტრაქტატით საქართველოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა, დიდ განგაშს იწვევდა ოსმალეთის მმართველ წრეებში. სწორედ ამით იყო გამოწვეული იმავე 1783 წელს ანაპის გამაგრება[1]. ოსმალეთმა, ცხადია, ფორმალურად ცნო მაშინ რუსეთის მიერ ყირიმის შემოერთება, მაგრამ მან არ ცნო რუსეთის მფარველობის ქვეშ საქართველოს შესვლა და დაიწყო აქტიური მოქმედება ჩრდილო და ამიერკავკასიაში; ის საქართველოს წინააღმდეგ აქეზებდა აზერბაიჯანელ ხანებსა და დაღესტნის, ყაბარდოს და ჩერქეზთა ფეოდალებს, მოუწოდებდა მათ რელიგიური ომისაკენ. კონსტანტინოპოლში დიდ იმედს ამყარებდნენ მუსლიმანური სარწმუნოების მქადაგებელ შეიხ-მანსურზე, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში სათავეში ედგა „ისლამის დაცვის“ ლოზუნგით გაშლილ მოძრაობას. მანსურის მოძრაობა ორგანიზებულ იქნა ოსმალეთის მიერ და სულთანი ყველა საშუალებით ეხმარებოდა მას[2].

შეიხ-მანსურის საქმიანობის შესახებ ა. ს. პუშკინი წერდა: **«Черкессы очень недавно приняли магометанскую веру. Они были увлечены деятельным фанатизмом апостолов корана, между коими отличался Мансур, человек необыкновенный, долго возмущавший Кавказ против русского владычества»[3].**

ირკვევა, რომ ჩერქეზეთით მრავალმხრივ იყო დაინტერესებული XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX ს. დასაწყისში „მსოფლიოს სახელოსნო“ ინგლისი.

ინგლისის ექსპორტი XIX საუკუნის 40-იან წლებში შავი ზღვის ნავსადგურებში 2 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენდა.

---

[1] Ф. П. Доброхотов, Черноморское побережье Кавказа, стр. 88—89, Петербург, 1916.

[2] Н. Дубровин, История войн и владычества русских на Кавказе, т. II, СПБ, 1886, стр. 24, 246—247. შდრ, Н. Смирнов, „Шеих-Мансур и его турецкие вдохновители“, „Вопросы Истории“, 1950, № 10, стр. 22—24.

[3] А. С. Пушкин, Полное собрание сочинении, т. 8, 1948 г. стр. 449.

ინგლისის ოფიციალური ორგანო ერთ-ერთ სტატიაში აღნიშნავდა, რომ ჩერქეზეთთან ვაჭრობაზე უარისთქმა ინგლისს დაუჯდებოდა წელიწადში 100 ათასი გირვანქა სტერლინგიო[1]. ჩერქეზეთში შემოსული საიმპორტო საქონლის დიდი ნაწილი ინგლისური წარმოებისა იყო.

ინგლისის მმართველი წრეები ცდილობდნენ ჩერქეზეთი და მთელი ჩრდილოეთ კავკასია მოექციათ არა მარტო ეკონომიური გავლენის ქვეშ, არამედ შემდგომში პოლიტიკური გავლენის გაფართოებისათვის საიმედო პლაცდარმად გაეხადათ ის, რითაც შეიზღუდებოდა რუსეთის როლი ახლო აღმოსავლეთში.

ინგლისელი ელჩი კონსტანტინოპოლში პონსონბი 1837 წელს ლორდ პალმერსტონს ჩერქეზეთის სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ სწერდა: «**Никто из людей не оценивает так высоко значимости Черкессии для сохранения политического равновесия в Европе, как я**».[2]

XVIII საუკუნის დასასრულს სულთანი ჩერქეზეთს, როგორც ნახევრად ვასალურ მდგომარეობაში მყოფ სამფლობელოს, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საგანგებო როლს აკუთვნებდა. კ. მარქსის შეფასებით, ჩერქეზეთი წარმოადგენდა ერთ-ერთ დიდი მნიშვნელობის მქონე ციხე-სიმაგრეს კავკასიაში[3].

ინგლისის მმართველი წრეების წარმომადგენელი, ცნობილი დიპლომატი დავიდ ურკარტი, ჩერქეზეთის სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ წერდა: «**Если Персия является заставой Индии, то еще в большей мере ею является Черкессия, которая защищает Афганистан и которая наравне с Персией защищает и Индию**».[4] აზიაში ინგლისის ბატონობის გაფართოებისა და გაძლიერების შორეული პერსპექტივიდან გამომდინარე, იგი მოითხოვდა ჩერქეზეთის გადაქცევას ინგლისის კოლონიად. ჩერქეზეთი, მისი აზრით, იყო «**бастион Индии**», «**охрана доступа в Азию**», «**необходимый для английских азиатских владений защитный барьер**»[5].

ახლო აღმოსავლეთში თავისი პოზიციების განმტკიცებით დაინტერესებული ინგლისი ოსმალეთს ჩრდილოეთ კავკასიაში და კერ-

---

[1] Красный архив, № 5, 1940, стр. 190.

[2] იქვე.

[3] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. XIII, ч. I, стр. 13.

[4] Красный архив, № 5. 1940 г., стр. 190,

[5] იქვე.

ძოდ ჩერქეზეთში რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ტრადიციულად ამიტომ უჭერდა მხარს.

როგორც საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, ჩერქეზი ფეოდალების მედგარი წინააღმდეგობა XVIII საუკუნის დასასრულიდან ვიდრე რუსეთთან შეერთებამდე, გამოწვეული იყო იმით, რომ ისინი ყველა საჭირო საომარ მასალასა და იარაღს ღებულობდნენ ოსმალეთიდან, უკანასკნელს კი ინგლისი ამარაგებდა. ხშირი იყო შემთხვევა, როცა თვითონ ინგლისის სამხედრო გემებს შემოჰქონდათ ჩერქეზეთში საომარი მასალა[1]. ერთ-ერთ საისტორიო ნაშრომში ამის შესახებ ვკითხულობთ: «Вооружение черкессов было превосходное, они в изобилии получали его через Турцию из Европы».[2]

ანაპის დიდი ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობის გამო თითქმის ასი წლის განმავლობაში (XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ვიდრე XIX საუკუნის შუა ხანებამდე) წარმოებდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ბრძოლა აღნიშნული ნავსადგურისათვის. ინგლისს ტრადიციულად მტრული პოზიცია ეჭირა რუსეთის მიმართ.

რუსეთ-ოსმალეთის მეორე ომში (1787—1791 წწ.) 1791 წლის 22 ივლისს სისხლისმღვრელი და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, რომელსაც გრაფი გუდოვიჩი მეთაურობდა, ანაპა დაპყრობილ იქნა, მაგრამ იასის საზავო ხელშეკრულებით ის კვლავ ოსმალეთს დაუბრუნდა[3].

1807 წ. 11 მაისს ანაპა პუსტოშკინის ესკადრის მიერ აღებულ იქნა, ხოლო ოსმალეთის ყველა სიმაგრე აქ დაინგრა. როგორც ისტორიკოსი ს. ესაძე აღნიშნავდა, ანაპის ციხე-სიმაგრე ნაცარტუტად იქცა[4]. სწორედ მაშინ ანაპის ოსმალური გარნიზონისა და მოსყიდულ ჩერქეზთაგან შედგენილი ბრბოს დიდი ნაწილი განადგურდა, ხოლო ვინც ცოცხალი გადარჩა, მათ შორის ანაპის ფაშა, გაიქცა და მთებს შეეხიზნა. პუსტოშკინის ესკადრის ეკიპაჟი ერთი კვირის განმავლობაში დარჩა იქ; რუსებმა ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი, რომლითაც დატვირთული ესკადრა უკან დაბრუნდა სევასტოპოლში[5]. რო-

---

[1] Красный архив, № 5, 1940, С. Бушуев, Англо-русский инцидент со шхуной „Виксен", стр. 189—216.

[2] Покоренный Кавказ, стр. 47, 464, СПБ. 1904. г.

[3] С. Эсадзе, Покорение Западного Кавказа и окончание Кавказской войны, Тифлис, 1914 г., стр. 4.

[4] იქვე, გვ. 5.

გორც ირკვევა, ამ დივერსიული საქმიანობით იზღუდებოდა მაშინ პუსტოშკინის წინაშე დასმული საბრძოლო ამოცანა[1].

ანაპიდან გაქცეული ფაშა, გადარჩენილი ოსმალური რაზმებითა და თავისი ერთგული ადგილობრივი მოსახლეობის მოსყიდული ზედაფენისაგან შეკოწიწებული რაზმებით, ანაპაში დაბრუნდა. 1809 წლის გაზაფხულზე კონსტანტინოპოლიდან სულთანმა გამოგზავნა სამი გემი, რომლებიც დატვირთული იყო ჩერქეზთა წარჩინებულთათვის გადასაცემი ძვირფასი საჩუქრებით. სულთანი თავის ფირმანით მოუწოდებდა ჩერქეზებსა და მთის სხვა ხალხებს, გამოსულიყვნენ რუსეთის წინააღმდეგ. ჩერქეზთა ფეოდალებმა და მთის სხვა ხალხების ოსმალური ორიენტაციის მატარებელმა დიდებულებმა, მართლაც, გააძლიერეს ყუბანში რუსეთის არმიის ნაწილებზე და ადგილობრივ მოსახლეობაზე თავდასხმები და ძარცვა-გლეჯა. ერთ-ერთ საისტორიო წყაროში აღნიშნულის შესახებ ვკითხულობთ: **«Черкессы, будучи побуждаемы турками в великом числе, в половине прошедшего месяца делали нападения на нашу сторону берегов Кубани, грабили, брали в плен, избивали беззащитных жителей, разбили один кордон наш и имеют намерения в больших толпах делать нападение».**[2]

თავდაცვის კარგი ორგანიზაციის, მოწყობის მიზნით გადაწყდა ყუბანის, ტამანის ნ. კ-ისა და ყირიმის დაცვის საქმე დაეკისრებინათ შავი ზღვის ფლოტის სარდლისათვის — ადმირალ მარკიზ-დე ტრავერსესათვის; მასვე დაუმორჩილდა ყირიმსა და ყუბანში მყოფი სახმელეთო ჯარის ნაწილები.

ადმირალ მარკიზ დე-ტრავერსემ, როგორც კი გაიგო, რომ ჩერქეზთა მრავალრიცხოვანი ბანდები ემზადებოდნენ ყუბანზე თავდასხმისათვის, გაამაგრა ტამანის ნახევარკუნძული, სამხედრო გემები საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა და კაპიტან-ლეიტენანტ სტულის მეთაურობით გაგზავნა ესკადრა ანაპისა და სუჯუკ-კალესაკენ იმ ვარაუდით, რომ ჩერქეზთა ბანდების ყურადღება სწორედ აქეთკენ გადაეტანა და ყუბანი აეცდინა ახალი თავდასხმისაგან. კაპიტან-ლეიტენანტ სტულის საზღვაო ესკადრამ ანაპის კონცხსა და სუ-

[1] С. Эсадзе, Покорение Западного Кавказа и окончание Кавказской войны, Тифлис, 1914 стр. 20.

[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6166, л. 41, Список с представления господину министру военно-морских сил от адмирала Маркиза Де-траверсе от 25 июня 1809 г.

ჯუკ-კალეს შუა ხელთ იგდო ოსმალეთის 2 ხომალდი, ხოლო სუჯუკ-კალეს ყურესთან განადგურებულ იქნა ერთი გემი; ოსმალთა და ჩერქეზთა მრავალრიცხოვანი რაზმების ყურადღება, მართლაც, ანაპაზე და სუჯუკ- კალეზე იქნა გადატანილი, არტილერიის ცეცხლით კი მოსპობილ იქნა მრავალი მათგანი. სარდლობა ინფორმირებული იყო, რომ მოწინააღმდეგემ ვერ მოასწრო ანაპის გამაგრება და არ გააჩნდა არტილერია, რომლითაც იგი შეძლებდა რუსეთის მიერ დესანტის გადასხმის შემთხვევაში, მის განადგურებას. შეიმჩნეოდა, რომ ანაპის მიდამოებში ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ ჩერქეზთა ბანდები, რომლებიც ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ დესანტის გადასხმისათვის. მარკიზ დე-ტრავერსეს გადაწყვეტილი ჰქონდა, ბოლო მოეღო ზემოაღნიშნული ბანდების თარეშისათვის და აეღო ანაპა. მოწინააღმდეგის დაბნევის მიზნით, სუჯუკ-კალეზე თითქოსდა იერიშის მისატანად გაიგზავნა სრულიად უმნიშვნელო საზღვაო ძალა, რომელსაც ევალებოდა მტრის ყურადღება სუჯუკ-კალესაკენ მიეპყრო. ანაპაზე ნამდვილი თავდასხმისათვის კი გაიგზავნა დიდძალი სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი საზღვაო ესკადრა, რომლის მეთაურად დაინიშნა კაპიტანი პერხუროვი[1].

ანაპის აღებისათვის გამოყენებულ იქნა აგრეთვე საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ძლიერი სახმელეთო ჯარის ნაწილები გენ. დ. ფანჩულიძის სარდლობით. 1809 წლის 15 ივნისს, დღის თორმეტ საათზე პერხუროვი ანაპას მიადგა. არტილერიის ცეცხლით მან გაფანტა ჩერქეზთა ბანდები და ოსმალთა გარნიზონი, გადმოსხა დესანტი და სულ მალე ანაპა დაკავებულ იქნა[2]. გენ. ფანჩულიძე თავისი ჯარით მოიწევდა ანაპისაკენ, იგერიებდა გზადაგზა მოწინააღმდეგის თავდასხმებს და იმავე დღეს ისიც ქალაქში შევიდა. ორი დღის განმავლობაში იგი სამშვიდობო მოლაპარაკებას აწარმოებდა ჩერქეზთა და ოსმალთა ბანდების მეთაურებთან, მაგრამ ყოველივე ეს უშედეგოდ დამთავრდა. მათ უარი განაცხადეს დაზავებაზე და მზად იყვნენ გაეგრძელებინათ მტრული მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ.

აღნიშნულის შესახებ გენ. ფანჩულიძე შემდეგს იტყობინებოდა: «Два дни употреблял... на мирные предложения Черкессам чрез Ослан-Гирея, но в ответ получил, что в 1807 году обитаю-

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6166, л. 42.

[2] იქვე.

щие в горах присягнули Муфтию хранить вечную и непримиримую вражду против Россиян»[1].

ანაპის ფაშა იმალებოდა ჩერქეზ თავადთან — აიდამირთან, რომლის სამფლობელო ანაპიდან 40 კმ დაშორებით მდებარეობდა. მტრის ბრბოთა თარეშს ბოლო არ უჩანდა. გენ. ფანჩულიძემ უბრძანა პოლკოვნიკ ზოლოტნიცკს, მათი სადგომები და თავშესაფარი ადგილები გაენადგურებინა. ეს ამოცანა მან ბრწყინვალედ შეასრულა. 12-ათასიანი ბრბო მის მიერ გაფანტულ იქნა; მოკლულთა სახით მოწინააღმდეგემ დაკარგა 1.500-მდე კაცი[2].

როგორც ირკვევა, ჩერქეზებისა და მთის სხვა ხალხების პროგრესული წარმომადგენლები ოსმალეთის აგენტთა რელიგიურ პროპაგანდას არ გაყვნენ; ისინი აშკარად ხედავდნენ, რომ ოსმალურ ორიენტაციას მეტისმეტად მძიმე პოლიტიკური შედეგები მოჰყვებოდა მათი ხალხებისათვის. ამიტომ იყო, რომ ისინი მხარში ამოუდგნენ რუსეთის არმიას ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ანაპისათვის ბრძოლაში ბევრმა მათგანმა ისახელა თავი. საინტერესოა გენერალ ფანჩულიძის 1809 წლის 20 ივნისის თარიღით მარკიზ დეტრავერსესადმი გაგზავნილი პატაკი, სადაც ვკითხულობთ: «При отряде мне вверенных заграницею против Черкессии с 16 июня находились в сражениях с нашей стороны Черкесские князя и дворяне, а именно: Бек Мурза Шамо Оглу, султан Селим Гирей, Султан Оли Немир, Ослан Гирей Шупако, июня 17-го при занятии города Анапа; 19-го при разбитии двенадцатитысячного корпуса под командою анапского паши: 22-го при городе Анапе на высотах при разбитии и прогнании в горы семитысячного корпуса... в разных местах под Анапой в сражении находились, вели себя храбро и в особенности Бек Мурза, который много способствует в переговорах и в разведывании обо всем»[3].

პატაკის დასასრულს გენ. ფანჩულიძე ითხოვდა, რომ ისინი წარედგინათ იმპერატორის წინაშე დასაჯილდოვებლად.

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ნავსადგურებისა და ტერიტორიების რუსეთის ხელში გადასვლით, საფუძველი ეცლებოდა იქ ოსმალების მრავალსაუკუნოვან ბატონობას.

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258, ч. I, л. 206.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6166, ч. II, лл. 41—48,
[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6166, ч. 2, л. 105.

რუსეთის არმიის წარმატებითს მოქმედებას ხელს უწყობდა ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც ფართო ხასიათი მიეცა რუსეთ-ოსმალეთის აღნიშნული ომის პერიოდში. რუსეთის არმიის მხარდამხარ იბრძოდნენ ოსმალეთის ბარბაროსული, ასიმილატორული პოლიტიკით საუკუნეთა მანძილზე განაწამები ხალხები. ოსმალეთი დღითი დღე სუსტდებოდა, მიუხედავად მისი დასავლეთელი „მეგობრების" გულმოდგინე დახმარებისა. ფ. ენგელსი ოსმალეთის იმპერიის დაუძლურებაში დაპყრობილ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის როლის შესახებ აღნიშნავდა:

„Лучшим признаком этой возрастающей слабости были волнения и бунты, начавшиеся среди покорённых христиан".[1]

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. XVI, ч. 2, გვ. 9.

თავი მეექვსე

ერევნის 1808 წლის ოპერაცია. ინგლისსა და საფრანგეთს შორის დიპლომატიური ბრძოლის შედეგები ირანში. 1807—1809 წწ. ირან-რუსეთის საზავო მოლაპარაკების ჩაფუშვა და ირან-ოსმალეთის სამხედრო კავშირის გაფორმება

საფრანგეთსა და ირანს შორის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დაიწყო ფრანგი სამხედრო სპეციალისტების მოზღვავება ირანში, რომლებმაც ინგლისელების ადგილი დაიკავეს. ფრანგ სპეციალისტთა შორის იყვნენ ინჟინრები, ოფიცრები, ექიმები, არტილერისტები და სხვ. ისინი გარდანის, ფავიეს, ვერდიეს და სხვათა ხელმძღვანელობით გამალებით მუშაობდნენ ირანის არმიის ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნისათვის[1]. .

განსაკუთრებით არტილერიის სპეციალისტები ნაპოლეონის მიერ სისტემატურად იგზავნებოდა ირანში იმ მიზნით, რომ ირანის არმია დაუფლებოდა საარტილერიო საქმეს, რომელსაც ნაპოლეონი ჯარის სხვა სახეობათა შორის ყველაზე დიდ უპირატესობას ანიჭებდა.

ნაპოლეონი ცდილობდა ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნილი ირანის არმია დაეპირისპირებინა რუსეთისათვის, უნდოდა ირანს კვლავ აღედგინა თავისი დაკარგული ძალაუფლება აზერბაიჯანსა და საქართველოში; საჭირო შემთხვევაში სხვა სახის დახმარებათა შორის საფრანგეთი მზად იყო მისთვის კრედიტიც მიეცა. ამ მხრივ საინტერესოა რუსეთის აგენტის მაჰმედ რეფი-ბეგის 1807 წლის 7 ივლისის წერილი ი. ა. ვეიდემეიერისადმი, სადაც ვკითხულობთ: «Уже три *года, как Бонапарте послал в Персию людей знающих, чтобы в Испагане, Ширазе и Тавризе учили войска по-европейски и завели бы артиллерию, что и зделано; французский послан-*

[1] Лависс и Рамбо, История XIX в, т. 2, стр. 440.

ник делал маневры вместе с сыновьями Баба-хана, через что приобрел великое уважение в Персии, где говорят, что Бонапарте, как письменно, так и чрез своего посланника, внушал Баба хану, что он напрасно теряет время, не посылая против России войск своих, которые бы выгнали их оттуда; и что ежели к тому у него (у Баба-хана, Н. К.) нет довольно денег, то оные будут к нему доставлены, как скоро ему, Бонапарте, о том знать дано будет».[1] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.)

ნაპოლეონ ბონაპარტე, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთსა და საფრანგეთს შორის საზავო ხელშეკრულება გაფორმებული იყო, წინანდებურად აგრძელებდა ანტირუსულ პოლიტიკას ირანში, შაჰის არმიას ტრადიციულად, მსგავსად ინგლისისა, წრთვნიდნენ ფრანგი სპეციალისტები; საფრანგეთი ახლაც ისევე ღალატობდა რუსეთს, როგორც ადრე მასთან სამოკავშირეო ხელშეკრულებით დაკავშირებული ინგლისი.

საფრანგეთი აძლიერებდა ირანის არმიას თითქოსდა მხოლოდ ინდოეთის წინააღმდეგ, სინამდვილეში, საფრანგეთის საბრძოლო იარაღი და სამხედრო სპეციალისტები ძირითადად რუსეთის წინააღმდეგ იყვნენ მიმართული. საფრანგეთის დიპლომატიამ საკმაო გავლენა მოახდინა როგორც ირანის, ისე ოსმალეთის ხელისუფლების მესვეურებზე, რითაც მათ შორის წინააღმდეგობა დროებით შეუსუსტდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სულთან სელიმის დროს ადგილი ჰქონდა იანიჩართა კორპუსების ნაცვლად რეგულარული არმიის, ნიზამი-ჯედიდის, შექმნის სერიოზულ ცდას; ეს არმია ევროპულ უაიდაზე იწვრთნებოდა, მაგრამ მალე ოსმალეთში რეაქციული ძალების გამარჯვების შედეგად, ნიზამი-ჯედიდი დაიშალა. საფრანგეთის სამხედრო სპეციალისტთა რჩევით ხდებოდა ნიზამი-ჯედიდის ეროფილი ოფიცრების გამოძებნა ოსმალეთში და მათი გაგზავნა ირანში შაჰის რეგულარული არმიისათვის, მისი სამხედრო პოტენციალის გადიდებისათვის. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა დუნაის ფრონტის სარდლის, პროზოროვსკის მიერ 1808 წ. 24 მაისს გუდოვიჩისათვის გამოგზავნილი წერილის შინაარსი. ირკვევა, რომ ადრე პროზოროვსკისათვის გრაფ გუდოვიჩს გაუგზავნია ირანში ფრანგების მტრული მოქმედების შესახებ ცნობა, რომლის საპასუხოდ თავის მხრივ პროზოროვსკი აღშფოთებას გამოსთქვამდა, რადგანაც

---

[1] АВПР, 1801—1814, гг. ф. Гл. архив, 1—13, д. 5, л. 53—63.

ტილზიტის ზავის გაფორმების შემდეგაც საფრანგეთი განაგრძობდა რუსეთის მიმართ მტრულ მოქმედებას, როგორც დუნაის ფრონტზე, ისე ირანში; იგი წერდა: «Весьма и для меня удивительно, что Ваше сиятельство изволило ко мне писать известие о нахождении в Тавризе французских офицеров, обучающих персиян регулярной службе и делающих чертежи артиллерии и прочаго. *К сему могу присовокупить, что по дошедшим до меня известиям, персидский посол Аскер-хан, отправляющийся в Париж, находясь ныне в турецких владениях в Европе, старается набирать офицеров прежняго Низами-Джедид, обучавшихся во время царствования султана Селима европейской экзерциции, и отправляет их в Тегеран*».[1] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.)

მოტანილიდან დასტურდება, ნიზამი-ჯედიდის ოფიცრებს ასკარბანი აგზავნიდა თეირანში. ამის საწინააღმდეგო, როგორც ჩანს, არაფერი ჰქონია ოსმალეთის მთავრობას. გამოდის, რომ ოსმალეთის მთავრობის ქვეშევრდომები მიდიან ირანის რეგულარულ არმიაში რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად! ეს ფაქტი იმაზედაც უნდა მიუთითებდეს, რომ საფრანგეთის ზემოქმედების შედეგად გზები ირან-ოსმალეთის დაახლოებისათვის უკვე გამოძებნილია; შემდეგში ისღა რჩებოდა საფრანგეთის დიპლომატიას, რომ მოეხდინა ირან-ოსმალეთის ჯარების გაერთიანება მთელ ფრონტზე ამიერკავკასიაში.

ტილზიტის ზავის შემდგომ პერიოდში საფრანგეთსა და ინგლისს შორის გაიშალა ფართო ხასიათის ბრძოლა ოსმალეთში დამკვიდრებისათვის.

ტილზიტის ზავის გაფორმების შემდეგ მძიმე გახდა გარდანის მისიის ყოფნა ირანში. იმისათვის, რომ ირანში საფრანგეთის მთავრობას სახელი არ გატეხოდა, რომ არ დაბადებულიყო აზრი რუსეთთან დაზავების შესახებ, საფრანგეთის მისია შაჰის არმიის მიმართ ინტენსიური სამხედრო დახმარების პოლიტიკაზე გადავიდა.

სწორედ საფრანგეთის დიპლომატიისათვის ეს მძიმე მომენტი სურდა რუსეთის სარდლობას ირანთან დაზავებისათვის გამოეყენებინა. რუსეთი ცდილობდა ირანთან საზავო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ირანსა და ოსმალეთს შორის არსებული სასაზღვრო წინააღმდეგობა გაემწვავებინა, და ასე დაეპირისპირებინა ირანი ოს-

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 173, л. 395 и об.

მალეთისათვის; ეს კი მიუხედავად საფრანგეთის დიპლომატიის შემარიგებლური პოლიტიკისა, არც თუ ისე საძნელო საქმედ ჩანდა. ირანის ძველი პროვინციები ბაღდადი და ბასორა ოსმალებს ეჭირათ, რომლის დაბრუნებისათვის ხანგრძლივად იბრძოდნენ ადრე ირანის შაჰები[1].

რუსეთის სარდლობა წინასწარ გრძნობდა, რომ საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან საფრანგეთის დიპლომატიური შანტაჟის გამო აუცილებლად ჩაიშლებოდა და ცდილობდა ოსმალეთთან დროებითი ზავის პირობებში ირანი ოსმალეთისათვის დაეპირისპირებინა თავისი ძველი პროვინციების დაბრუნების მოტივით; ეს კი გამოიწვევდა ოსმალეთის სამხედრო ძლიერების დასუსტებასა და დაეჩქარებდა მის დამარცხებას. 1808 წ. მაისში რუსი ოფიცერი ვრედე გუდოვიჩმა თავრიზში გაგზავნა, რომელსაც დაევალა საზავო მოლაპარაკების წარმოება ირანთან; მას უნდა წაექეზებინა ირანის მთავრობა, თავისი ტერიტორიული პრეტენზიები წაეყენებინა ოსმალეთისათვის, ხოლო რუსეთის მთავრობა თავის მხრივ, მის სისრულეში მოსაყვანად შეიარაღებული ძალებით დაეხმარებოდა ირანს[2].

ვრედეს სარდლობისაგან დავალებული ჰქონდა გადაეცა ირანის მმართველი წრეებისათვის, რომ რუსეთი მზად იყო დაედო ირანთან საზავო ხელშეკრულება იმ პირობით, თუკი ირანი ერევნისა და ნახჭევნის სახანოებს რუსეთს დაუთმობდა; ირანსა და რუსეთს შორის საზავო მოლაპარაკებამ მეორედაც უშედეგოდ ჩაიარა, რაშიდაც საკმაო როლი გარდანმა ითამაშა. საზავო მოლაპარაკების მეორედ ჩაფუშვის გამო რუსეთის სარდლობამ საომარი მოქმედების განახლება განიზრახა.

ირანის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყებამდე, რუსეთის დიპლომატიამ ერთხელ კიდევ სცადა ირანი და ოსმალეთი ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა, მაგრამ ახლა უკვე სხვა გზით. — ოსმალეთის საფაშოების გამოყენებით. რუსეთის დიპლომატიას ამჯერად განზრახული ჰქონდა ირანის წინააღმდეგ ირანის საზღვრებთან ახლომდებარე საფაშოები აემხედრებინა, რათა ირანის მდგომარეობა დაემძიმებია და ბაბა-ხანი დათანხმებოდა რუსეთთან საზავო ხელშეკრულების გაფორმებას. რუსეთის ეს მისწრაფება გრაფ რუმიანცევის 1808 წლის 4 აგვისტოს წერილში გუდოვიჩისადმი შემ-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258 (В), л. 276—279.
[2] ЦГИАГ. ф. 2, оп. 1, д. 173, л. 45 и об.

დეგნაირად აისახა: «**Главнейшая цель наша состоит в том, чтобы развлечь силы Баба хана на разные пункты и тем самым поставить его в необходимость поспешнее заключить с нами мир**».[1] თუ კი ეს ღონისძიება ირანთან დაზავებით არ მომთავრდებოდა, რუსეთისათვის მას, ყოველ შემთხვევაში, მაინც კარგი შედეგი მოჰქონდა იმ მხრივ, რომ ირან-ოსმალეთის სამხედრო კავშირის გაფორმების საქმეში, რომლისთვისაც ფრანგები იღწვოდნენ, ბზარს შეიტანდა.

1807 წ. იანიჩართა აჯანყების შედეგად ოსმალეთის სულთნის სელიმ III-ის ხელისუფლება დაემხო და ტახტზე აყვანილ იქნა მუსტაფა IV, რომლის ძალაუფლება ჯერ კიდევ სუსტი იყო. რუსეთის დიპლომატია ცდილობდა მანამ, სანამ ახალი სულთანი ტახტზე მომაგრდებოდა, მისთვის აემხედრებინა ბაღდადის, ყარსის, ახალციხის და სხვა ფაშები; აღეთქვა მათთვის დამოუკიდებლობა, და აგრეთვე ძველად ოსმალთა იმპერიაში შემავალი ზოგიერთი სასაზღვრო ტერიტორია, რომელიც მაშინ ირანს ეკუთვნოდა.

რუსეთსა და საფრანგეთს შორის გაშლილ დიპლომატიურ ბრძოლაში ინგლისიც ენერგიულად ჩაება. ჯერ კიდევ ადრე, 1807 წლის 20 დეკემბერს, გრაფი რუმიანცევი გუდოვიჩს სწერდა, რომ ინგლისელები, რომლებიც ირანში გამაგრებას ცდილობენ, ფრანგებზე არანაკლებ გაქნილები არიან და შეუძლიათ ირანთან დაზავების საქმის დამუხრუჭებაო; იგი მიუთითებდა: «*Английское правительство имело отправить Гарфорта Жонеса посланником в Персию, для чего был заготовлен нарочный Фрегат. Должно ожидать, что по прибытии его к персидскому двору мирные переговоры и вообще дела наши с Баба-ханом встретят еще более медленности и затруднений, а может быть предуспеют Англичане наклонить его к войнским предприятиям против Грузии*»[2]. (ხაზი ჩვენია, ნ. ჯ.).

ასავსებით მართებული იყო რუმიანცევის ვარაუდი იმის შესახებ, რომ ინგლისი, რომელიც რუსეთს ადრევე ღალატობდა, როცა მისი მოკავშირე იყო, ტილზიტის ზავის შემდეგ მისდამი დაპირისპირებული, ცხადია, ყოველმხრივ ხელს შეუშლიდა დაზავების საქმეს.

---

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 173 л. 761 об.

[2] იქვე.

რუსეთის დიპლომატია ამჩნევდა, რომ ინგლისელები ირანში სულ უფრო მეტი გავლენისანი ხდებოდნენ და ასუსტებდნენ საფრანგეთის პოზიციებს, მაშინ, როდესაც ოსმალეთში ჯერ კიდევ საფრანგეთის გავლენა დიდი იყო. ინგლისელებს ირანში ყავდათ თავიანთი მოსხრეები, რომლებიც საფრანგეთის ირანიდან გაძევებისა და იქ ინგლისის დამკვიდრებისათვის იღწვოდნენ[1].

სწორედ მაშინ, როდესაც რუსეთის დიპლომატია ცდილობდა დაკავშირებოდა ბაღდადის, ყარსის, ახალციხისა და სხვ. ფაშებს, როგორც ირანის, ასევე ოსმალეთის სულთნის წინააღმდეგ, ინგლისელები უკავშირდებიან ბაღდადის სულეიმან-ფაშას და ძირს უთხრიან ოსმალეთშიაც საფრანგეთის პოზიციებს[2]. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბაღდადის სულეიმან-ფაშა წარმოშობით ქართველი იყო. იგი მცირეწლოვანი ჩაიგდეს ტყვედ ოსმალებმა, მიაღებინეს მუსლიმანური სარწმუნოება და გაჰყიდეს ბაღდადის ფაშას გვარდიაში, რომელიც „კულემენების“, ანუ პატარაობიდან გაყიდული, გამაჰმადიანებული ქართველებისაგან შედგებოდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ბაღდადში კიულემენებს დიდი გავლენა ჰქონდათ. მათგან დაწინაურებულ სულეიმანს ადგილობრივი ფეოდალები მხარს უჭერდნენ, და სულთანი იძულებული გახდა იგი დაემტკიცებინა ჯერ ბასორის მმართველად, 1780 წლიდან კი ბაღდადის ფაშად. სულეიმანმა თავის ხელისუფლებას დაუმორჩილა სამხრეთი ერაყი, მთელი ქურთისტანი და ბაღდადის ფაშას ტიტული სამემკვიდრეოდ აქცია კიულემენების დინასტიისათვის; თავისი სამხედრო ძლიერების, სიმდიდრისა და დიდი გავლენის გამო, სულეიმან-ფაშამ მიიღო სულეიმან დიდის სახელი[3].

რუსეთის სარდლობა თავის მხრივ ცდილობდა დაკავშირებოდა ამ გამაჰმადიანებულ ქართველს — ბაღდადის ფაშას, აღეთქვა მისთვის მოსაზღვრე ოსმალეთის საფაშოები და ირანის ტერიტორიის დიდი ნაწილი, ხოლო ირანის მოსაზღვრე სხვა საფაშოებისათვის — დამოუკიდებლობა; რუსეთის სარდლობას სურდა ძლიერი სამხედრო ხელისუფლების შექმნე ფაშები დაეპირისპირებინა როგორც ირანის, ასევე ოსმალეთის წინააღმდეგ. ოსმალეთში სასახლის გადატრიალება თითქოსდა მოდად იქცა. მუსტაფა-ფაშა ბაირაკტარმა, რო-

---

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 173, л. 761 об.

[2] იქვე.

[3] А. Адамов, Ирак арабский, М. 1912, стр. 384—385; 387—388.

გორც ცნობილია, 1808 წლის 28 ივლისს მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება, ჩამოაგდო მუსტაფა IV და ტახტზე აიყვანა პრინცი მაჰმუდი, შემდგომ მაჰმუდ II-ედ ცნობილი. იმპერიაში დიდ არეულობას ჰქონდა ადგილი და ფაშების დამორჩილება მან ვერ შეძლო. რუმიანცევს რუსეთისათვის ხელსაყრელად მიაჩნდა ის პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც მაშინ ოსმალეთში შეიქმნა; ის ბაღდადის სელიმ-ფაშასა და სხვათა სულთნისადმი დაპირისპირებით ოსმალეთის დასუსტებას ვარაუდობდა. რუმიანცევი გუდოვიჩს სწერდა: *«Неизвестно, какия следствия произведет сия перемена* (ლაპარაკია კონსტანტინოპოლში მომხდარ სახახლის გადატრიალებაზე, ნ. ჭ.), *но между тем она благоприятствует видам нашим в предполагаемых сношениях с Багдатским Сулейман пашею, поелику нельзя ожидать, чтобы при теперешних неустройствах он помышлял о изъявлении своей покорности, пока власть нового султана не утвердится на прочном основании. При сем случае можно бы поставить в виду Сулейман паше, что Российский двор не только будет поддерживать независимость его от Порты, но и всякия покушения его к распространению власть в персидских владениях, из коих Гамадан, Хои, Тавриз, Ардебиль и почти весь Адербижан в прошедшем столетии принадлежали к турецким границам. В то же время не безполезно бы было внушить пограничным пашам Карскому и Ахалцыхскому, что не может быть для них удобнее случая приобрести независимое от Порты существование, и что они могут надеяться на покровительство и защиту Российских войск».*[1] (ხაზი ჩვენია, ნ. ჭ.).

რუსეთის ეს პოლიტიკა, როგორც ითქვა, მიმართული იყო როგორც ირანის, ისე ოსმალეთის სულთნის წინააღმდეგ; ერთსა და იმავე დროს იგი ძირს უთხრიდა იმ ფაშების პოლიტიკურ ძლიერებასაც, რომლებიც დაუპირისპირდებოდნენ სულთნის ხელისუფლებას, ან განიზრახავდნენ ირანის ტერიტორიების დაპყრობას და ამით შეეცდებოდნენ თავიანთი საფაშოების გაფართოებას.

ირკვევა, რომ ბაღდადის სულეიმან-ფაშა ყურს უგდებდა რუსეთის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას. 1808 წლის ბოლოს გრაფი ა. სალტიკოვი მოაგონებდა გუდოვიჩს, რომ ოსმალეთის

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 173, л. 762 об.

იმპერია პროგრესულად სუსტდებოდა და დადგა მომენტი, როცა აზიის ძლიერ ფაშებს მიეცათ საშუალება მოიპოვონ უფრო მეტი დამოუკიდებლობა.

ა. სალტიკოვს მიზანშეწონილად მიაჩნდა, გუდოვიჩს გამოეძებნა შესაფერისი პიროვნება და გაეგზავნა ბაღდადს სულეიმან ფაშასთან იმ მიზნით, რომ *«во-первых, возбуждать Сулейман пашу против Персии для развлечения сил Баба Хана на случай войнских действии с Российскими войсками, во-вторых, внушать и подкреплять в нем мысль о совершенном отложении от Порты, открывая ему в настоящем виде разслабленное состояние сей державы и сколь великая удобность предстоит угрожать ей нападением чрез Малую Азию».*[1] (ხაზი ჩვენია, ნ. ჭ.).

რუსეთის დიპლომატია სულთნის ურჩ ფაშებს ჰპირდებოდა ფინანსურ და სამხედრო მხარდაჭერას როგორც ირანის შაჰის, ისე სულთნის წინააღმდეგ ბრძოლაში. გუდოვიჩს, მართლაც, გაუგზავნია კაცი ბაღდადის ფაშასთან ზემოაღნიშნული ამოცანის შესასრულებლად. რუსეთის ასეთი პოლიტიკა, სხვა თუ არაფერი, ძირს უთხრიდა ირან-ოსმალეთის სამხედრო ძალების გაერთიანებას ამიერკავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ. სწორედ რუსეთის ასეთმა მოქმედებამ ჩაფუშა ირან-ოსმალეთის გაერთიანებული ძალების შემოჭრის არა ერთი ცდა საქართველოში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ირანთან მოლაპარაკება საზავო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ უშედეგო აღმოჩნდა, რის გამოც რუსეთის სარდლობას განკარგულება მიეცა დაეწყო ლაშქრობა ირანის ციხე-სიმაგრის ერევნის ასაღებად. გუდოვიჩი ვარაუდობდა, რომ მოულოდნელი დარტყმებით სულ მალე მოახერხებდა ერევნის ციხის აღებას[2].

გუდოვიჩის ვარაუდით ერევანზე ლაშქრობისათვის ხელი უნდა შეეწყო იმ გარემოებასაც, რომ ერევნის ხანის მიერ დაწყებული ახალი ციხის მშენებლობა მდ. ზანგას გასწვრივ, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი იყო და დაზვერვის მასალებით, ერევნის გარნიზონი მცირერიცხოვანი უნდა ყოფილიყო[3].

---

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 184, л. 85—86.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4265 л 4—6.
[3] იქვე.

1808 წლის სექტემბრის დასაწყისში გუდოვიჩი 6000-იანი არმიითა და 12 ქვემეხით ბამბაკის პროვინციის გავლით დაიძრა ერევნისაკენ[1]. გუდოვიჩის არმიაში მონაწილეობდნენ, სომხებს გარდა, — ქართველთა და აზერბაიჯანელთა ცხენოსანი რაზმები გენ. თამაზ ორბელიანის მეთაურობით. ეს იყო რიგით მეორე ლაშქრობა ერევნის სახანოში. ერევნის ციხის ასაღებად მიმავალმა გრაფმა გუდოვიჩმა განკარგულება გასცა, გენ. ნებოლსინი ყარაბაღის გზით წასულიყო ნახჭევნისაკენ და დაუფლებოდა მას იმ ვარაუდით, რომ ირანის სარდლობას საშუალება არ მისცემოდა გამოეგზავნა დამხმარე ძალები ერევნის დამცველებისათვის.

როგორც კი ცნობილი გახდა გუდოვიჩის განზრახვა ლაშქრობის შესახებ, ერევნის სარდალი ჰუსეინ ყული-ხანი თავისი ჯარით დაიძრა აპარანისაკენ, რათა მას გზაზე შებმოდა. 26 სექტემბერს რუსმა ჯარისკაცებმა თითქმის უბრძოლველად დაიკავეს აპარანი, ირანის არმია კი უკუიქცა[2]. 29 სექტემბერს ერევნის ჰუსეინ ყული-ხანი 4000-იანი, ხოლო ირანელთა ტყვეობიდან გამოქცეულთა ცნობით, ცხენოსანთა 5000-იანი რაზმით, წამოვიდა აშტარანთან რუსეთის ჯარის ავანგარდთან შესაბმელად. მოწინააღმდეგემ სტრატეგიულად ხელსაყრელი ადგილის დაკავება მოასწრო, მაგრამ რუსეთია მცირერიცხოვანმა რაზმმა, რომელშიაც 200-მდე ქართველი ცხენოსანიც მონაწილეობდა, სასტიკად დაამარცხა მტერი, უკუაგდო ის. ხელთ იგდო მტრის კანცელარია, რომლის მასალები ნათელს ფენს საფრანგეთის როლს ირანის არმიის რეორგანიზაციის საქმეში[3]. 30 სექტემბერს გუდოვიჩმა დაიკავა ეჩმიაწინის მონასტერი.

ჰუსეინ ყული-ხანმა ერევნის ციხეში დატოვა 2 ათასამდე მეციხოვნე გარნიზონი თავისი ძმის ჰასან-ხანის მეთაურობით, ხოლო თვითონ 5000-იანი არმიით გავიდა ბრძოლის ველზე გარნი-ჩაისთან. გუდოვიჩის ბრძანებით რუსეთის კორპუსის ნაწილი გენ.-მაიორ პორტნიაგინის მეთაურობით ეკვეთა ერევნის ჰუსეინ ყული-ხანს; 9 ოქტომბერს მთავარმა რაზმმა კი ერევნის ციხის ფორშტატი და ბაღი დაიკავა. ქართველთა და აზერბაიჯანელთა 700 მოლაშქრისაგან შემდგარმა რაზმმა, რომელსაც გენ. თამაზ ორბელიანი მეთაურობდა, მრავალი საგმირო საქმე ჩაიდინა ბრძოლაში.

---

[1] ЦТВИА, ф. ВУА, д. 4265, л. 4—6.

[2] იქვე, ფ. 8.

[3] იქვე, ფფ. 8—13.

გუდოვიჩმა ერევნის ციხეს ალყა შემოარტყა, მაგრამ მას კარგად ესმოდა, რომ ჰუსეინ ყული-ხანს შეეძლო თავისი ჯარიდან საკმაო ნაწილი ერევნის მოალყეთა ზურგში დასარტყმელად გამოეგზავნა, რომელიც მისი ძალების მოქმედებას შებოჭავდა; გუდოვიჩია ბრძანებით გარნი-ჩაისაკენ დამატებით გაიგზავნა რუსეთის არმიის ძლიერი რაზმი გენერალ თ. ორბელიანისა და პოლკოვნიკ პოდლუცკის მეთაურობით იმ მიზნით, რომ შესაძლებლობა არ მიეცათ მტრისთვის თავისი ძალები გადმოესროლა ერევნის მოალყეთა წინააღმდეგ. მათ დავალება ბრწყინვალედ შეასრულეს; მტერი დიდი დანაკარგით არაქსს გაღმა იქნა განდევნილი[1].

ჰუსეინ ყული-ხანს არაქსს გაღმა რუსებთან ერთად დაედევნა ქართველთა რაზმიც, რომელიც გმირულად იბრძოდა ირანელთა წინააღმდეგ და ანთავისუფლებდა ჰუსეინ ყული-ხანის მიერ აყრილ და დატყვევებულ მშვიდობიან მოსახლეობას, რომელსაც ირანში ერეკებოდნენ[2].

ორბელიანის რაზმმა გარდა იმისა, რომ მტერი არაქსს გაღმა განდევნა და მრავალი გაანთავისუფლა ირანელთა ტყვეობისაგან, აგრეთვე დიდძალი პირუტყვი წამოასხა, რომელიც მოხმარდა რუსეთის არმიას.

გუდოვიჩი ალექსანდრე I-სადმი გაგზავნილ წერილში ქებადიდებით იხსენიებს ერევნის ლაშქრობის მონაწილე ქართველებს და მათ შორის თ. ორბელიანს[3].

რუსეთის ჯარისაკენ მოიწევდნენ ერევნის სახანოში მცხოვრები სომხები, რომლებიც გაურბოდნენ ირანელთა ტყვეობას; გუდოვიჩი წერდა: «Жители Ериванских деревень, до вступления моего с войсками в сию область, с насилием и крайним для них разорением, выведенные Гусеин Кули Ханом, пожегшим многия их деревни и хлеб, укрывшиеся в крепкия места по ущельям, а многие и за Аракс, теперь выбегают ко мне..., кои являясь, покорнейше просят покровительства и защиты»[4].

ისე როგორც წინა ლაშქრობებში, ამჟამადაც რუსეთის არმია ათავისუფლებდა მუდმივ მონობისათვის განწირულ ხალხს და მათ მშვიდობიანი ცხოვრებისათვის თავშეხფარს აძლევდა. მანამ, სანამ

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4265, л. 14.
[2] იქვე, ფფ. 73—80.
[3] იქვე, ფ. 13.
[4] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4265, л. 15 и об.

გუდოვიჩის ჯარების მიერ ერევანი გარშემორტყმული იყო, ნებოლსინმა ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ნახჭევანში მიმავალი ნებოლსინის რაზმი აღნიშნული სიმაგრიდან 18 კმ. დაშორებით 28 ოქტომბერს შეხვდა აბას-მირზას მრავალრიცხოვან ჯარს (ის 3000 ქვეითი, 12 ათასი ცხენოსნის, 12 ქვემეხისა და 60 ზამბურაკისაგან შედგებოდა)[1]. მტერს ხელსაყრელი პოზიცია ეჭირა და იერიშზე პირველი ის გადმოვიდა. ბრძოლაში მტერმა მოკლულთა და ტყვეთა სახით დიდი დანაკლისი განიცადა, დაკარგა თავისი არტილერიის მნიშვნელოვანი ნაწილი. მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, ნებოლსინმა გეზი აიღო ნახჭევანისაკენ; ძლიერი დარტყმების შედეგად მიმოფანტულ ირანელებს, ის იყო, რომ ბანაკი გაეშალნათ ნახჭევანთან, მაგრამ როგორც კი შენიშნეს რუსეთის ჯარის მოახლოება, გაიქცნენ ხოის გზით არაქსს გაღმა.

ნახჭევანის ციხე თავისი არტილერიით უბრძოლველად დაიკავეს გენ. ნებოლსინის რაზმებმა 1 ნოემბერს. ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც ირანელებს გაეხიზნა, დაბრუნდა თავის საცხოვრებელ ადგილებში[2]. ნახჭევანის აღება რუსეთის არმიის ბრწყინვალე გამარჯვება იყო.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ერევნის ციხე რუსეთის ჯარებისაგან ალყაში იყო მოქცეული, მაგრამ მისი აღება ძნელი აღმოჩნდა. გუდოვიჩმა ერევნის კომენდანტს ჰასან-ხანს 1808 წ. 17 ოქტომბერს მიმართა წინადადებით, მისთვის ციხე-სიმაგრე უბრძოლველად ჩაებარებინა. თანაც შეუთვალა, რომ რუსეთის ჯარებთან ბრძოლაში მისი ძმა ჰუსეინ ყული-ხანი სასტიკად დამარცხდა და იძულებული გახდა დიდი ზარალით გაქცეულიყო მდ. არაქსს გაღმა. მიუხედავად ამისა, ციხის კომენდანტი უბრძოლველად არ ნებდებოდა[3].

საფრანგეთის სამხედრო სპეციალისტების მიერ ერევნის ციხე-სიმაგრე საგანგებოდ იყო გამაგრებული. გუდოვიჩი ამჩნევდა, რომ ფრანგები დიდ ზიანს აყენებდნენ ირანში რუსეთის ინტერესებს. სამართლიანად სწერდა გუდოვიჩი საგარეო საქმეთა მინისტრს რუმიანცევს 1808 წ. 30 ოქტომბერს: *«Французская в Персии миссия, несмотря на дружественный союз с нами, более теперь вредит*

[1] ЦГВИА, ф, ВУА, д. 4265, л. 43.
[2] იქვე, ფ. 45.
[3] იქვე, ფფ. 23—26.

делам моим с Персиею, нежели прежде то делали во время войны с Францией. Ибо они возгродили Баба-хана, пишут и уверяют персидское правительство, что могут все то зделать, что только захотят».[1] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.)

იმავე წერილში საგულისხმოა ის ადგილი, რომელიც ადასტურებს ფრანგი სპეციალისტების მიერ ერევნისა და ეჩმიაწინის ციხესიმაგრეების ევროპულ ყაიდაზე გამაგრების ფაქტს. ცნობილი სამხედრო სპეციალისტის, საფრანგეთის სამხედრო მისიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრის, ინჟინერ ვერდიეს და სხვათა საქმიანობის შესახებ გუდოვიჩი წერდა: *«При движении моем с войсками к Бамбакам и прежде, нежели я вступил в Ериванские границы, прислали одного инженерного офицера Вердье и других в Ериванскую крепость и в Ечмядзинской монастырь для осмотрения и укрепления оных. Сей Вердье и теперь, по известиям из лагеря персидского, находится при Баба-хановом сыне»*[2]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.).

გენერალი გარდანი შეეცადა ირანის მმართველი წრეების გული მოეგო, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნაპოლეონის მიმართ განაწყენებულნი იყვნენ. მან გადაწყვიტა, გუდოვიჩსა და მეციხოვნე გარნიზონს შორის მოლაპარაკებისათვის გამოეგზავნა საფრანგეთის საელჩოს მდივანი ლაჟარი, რომელსაც დაეკისრა ირანსა და რუსეთს შორის სადავო საკითხების მოწესრიგებაში უშუალო მონაწილეობის მიღება[3].

გუდოვიჩი, 1808 წ. 28 ოქტომბრის თარიღით ირანის პირველი მინისტრის მირზა ბეზიურგისადმი გაგზავნილ წერილში, თანახმაა საფრანგეთის წარმომადგენელმა ლაჟარმა მონაწილეობა მიიღოს რუსეთ-ირანის სამშვიდობო მოლაპარაკებაში იმ პირობით, თუ მისი საქმიანობა ტენდენციურად ირანის სასარგებლოდ არ იქნებოდა წარმართული[4].

ერევნის ალყის დროს გენ. გარდანის მიერ ლაჟარი გამოიგზავნა გუდოვიჩთან, ბაბა-ხანის, აბას-მირზას, მირზა ბეზიურგის, თვით გარდანისა და ბაბა-ხანის ვეზირის მირზა შეფის წერილებით. არსე-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4265, лл. 23—26.
[2] იქვე, ფ. 17.
[3] იქვე. ფ 18.
[4] იქვე ფ. 21.

ბითად ლაჟარის გამოგზავნას უარყოფითის გარდა რუსეთისათვის არავითარი დადებითი როლი არ უთამაშნია. გუდოვიჩი წერდა, რომ «сия присылка его имела основанием со стороны Персии то, чтобы уговорить меня оставить военныя действия и выитти с войсками из Ериванской области».[1] ლაჟარის დიპლომატიურ შანტაჟს გუდოვიჩი დიდ წინააღმდეგობას უწევდა. ბოლოს ლაჟარმა დიპლომატიური ტრიუკი გააკეთა; გარნიზონს საგანგებოდ მისწერა წერილი, მხდალი ირანელები რუსებს დანებებოდნენ. ეს წერილ გამაღიზიანებელი და მეციხოვნეთა დამამცირებელი ტონით იყო დაწერილი. იგი გარნიზონს რუსეთის საწინააღმდეგოდ განაწყობდა. ყოველი გონიერი ადამიანი წინასწარ იგრძნობდა, რომ გარნიზონი ამ წინადადებაზე უარს განაცხადებდა; ეს ასეც მოხდა. მეციხოვნეებმა მოიწერეს, რომ მთელი გარნიზონი შედგება ირანის შორეული პროვინციების მცხოვრებლებისაგან, რომლებმაც თავიანთი ოჯახები იქ დატოვეს; მათ ურჩევნიათ ბრძოლაში ერთიანად ამოწყდნენ, ვიდრე ტყვედ ჩავარდნენ, რადგანაც ტყვეობის შემთხვევაში მათი ოჯახები შაჰის მიერ განადგურებული იქნებოდა[2]. ამგვარად, საფრანგეთის შუამავლობა ფაქტიურად ხელს უშლიდა რუსეთს ირანთან სადავო საკითხების მოგვარებისა და დაზავების საქმეში.

17 ნოემბერს გუდოვიჩმა ბრძანება გასცა, ჯარს ერევნის ციხე აეღო. ბრძოლაში დანაკარგი ორივე მხრიდან დიდი იყო. მიუხედავად რუსი ჯარისკაცების გმირობისა, ციხის აღება შეუძლებელი გახდა; ირკვევა, რომ ის ფრანგი სამხედრო სპეციალისტების მიერ საგანგებოდ იყო გამაგრებული. გუდოვიჩი წერდა: «*Крепость Ериванская укреплена по всем европейским военным правилам, имея две стены и впереди их ровь и гласись. Во рву поставлены были пушки и действовали картечью, чего прежде персияне никогда не делали, также были фугасы и бомбы с подведенными штапинами. Почему и нельзя больше сомневаться о причине нарочной присылки в Ериван и Ечмиадзинский монастырь французского инжинерного капитана, который был в сих местах до приходу моего с войсками в Ериванскую область и о чем я еще прежде донес иностранных дел министру*».[3] (ხაზი ჩვენია 6. ქ.).

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4265, л. 46.
[2] იქვე, ფ. 47.
[3] იქვე, ფ. 49.

გუდოვიჩი, რომელმაც მნიშვნელოვანი ცოცხალი ძალა შესწირა ერევნისათვის ბრძოლას, იძულებული გახდა 30 ნოემბერს მოეხსნა ალყა და უკან გამობრუნებულიყო. გენ.-მაიორ ნებოლსინს ებრძანა დაეტოვებია ნახჭევანი და ისიც 1 დეკემბრისათვის უკანვე, ელიზავეტოპოლისკენ წამოვიდა. ამგვარად, ერევნის მეორე ოპერაციაც წარუმატებელი აღმოჩნდა. საფრანგეთის სპეციალისტები და სამხედრო ტექნიკა, მისიეე დიპლომატია მთლიანად იყო მიმართული რუსეთის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლიდა რუსეთის ჯარების წინსვლას ირანში. რუსეთის მთავრობამ ძირითადად იმის გამო, რომ ერევნის ოპერაცია მარცხით დამთავრდა, მთავარსარდლის პოსტიდან გადააყენა გუდოვიჩი და მის ადგილზე დაინიშნა გენ. ტორმასოვი.

მიუხედავად ფრანგი სპეციალისტების დიდი მეცადინეობისა და ირანის ჯარებისადმი გაწეული საკმაო დახმარებისა, ბაბა-ხანი მაინც განაწყენებული იყო საფრანგეთის მიმართ; რუსეთის წინააღმდეგ ომში ირანის მიმართ საფრანგეთის მიერ გაწეულ სამხედრო და დიპლომატიურ დახმარებას შაჰი არასაკმაოდ მიიჩნევდა, რადგან ჯერ კიდევ ადრე, ფინკენშტეინის ხელშეკრულებით, მას ნაპოლეონი საქართველოს გარდა რუსეთის მიერ დაპყრობილ სხვა ტერიტორიების დაბრუნებასაც ჰპირდებოდა. უფრო გვიან კი, ტილზიტის ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი ირანის შესახებ, რამაც გული გაუტეხა ირანის მმართველ წრეებს საფრანგეთის მიმართ.

ინგლისი დიდი გულისხმიერებით ადევნებდა თვალყურს საფრანგეთის პოლიტიკას ირანსა და ოსმალეთში, ცდილობდა მაქსიმალურად გამოეყენებინა ირანის უკმაყოფილება ტილზიტის ზავის დადების შემდეგ თავისი მიზნების განხორციელებისათვის. ინგლისი მზად იყო გაეღო დიდძალი ეკონომიური მსხვერპლი იმ მიზნით, რომ საკუთარი კონტროლის ქვეშ მოექცია ირანი. ლონდონიდან შაჰთან მოსალაპარაკებლად სასწრაფოდ გაიგზავნა სერ გორფორდ ჯონსი, ხოლო ბომბეიდან — ჯონ მალკოლმი. ინგლისელები დიდი დაპირებებით აჯილდოვებდნენ შაჰს, რითაც სერიოზული გავლენა მოიხვეჭეს მის კარზე.

ირანში ინგლისელებს სურდათ ძველი მდგომარეობის აღდგენა, რისთვისაც, სამხედრო სპეციალისტების გამოგზავნასთან ერთად, ისინი დიდძალ ფინანსურ დახმარებას ჰპირდებოდნენ შაჰს არმიის რეორგანიზაციისათვის და კასპიის ზღვის ფლოტის შესაქმნელად

რუსეთის წინააღმდეგ. გარდა ამისა, ისინი შაჰს ინდოეთის ნაწილსაც კი თავაზობდნენ, ოღონდ ფრანგები განედევნა ირანიდან.

გენ. ტორმასოვი 1809 წ. 29 მაისს საგარეო საქმეთა მინისტრს სწერდა, რომ *«аглинский посланник в Персии Гарфорт Джонес по прибытии своем к Баба-хану обещал большую сумму денег от своего двора, если он вышлет из Персии Французское посольство, также уступку части Индии и построение для Персии флота на Каспийском море».*[1] (ხაზი ჩვენია. ნ. ჯ.)

ირანში ჩამოსული ინგლისის ელჩის მეშვეობით ირანსა და ინგლისს შორის დადებულ იქნა წინასწარი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ირანი სწყვეტდა ყოველგვარ ურთიერთობას ინგლისის მიმართ მტრულად განწყობილ სახელმწიფოებთან. ინგლისის მთავრობა კისრულობდა მიეცა შაჰისათვის სუბსიდიები ყოველწლიურად 160 ათასი თუმნის (უფრო გვიან კი — 200 ათასი თუმნის) რაოდენობით ომის მთელ მანძილზე.

ირანში დაიწყო ინგლისის სამხედრო სპეციალისტების მოზღვავება, იგზავნებოდა დიდძალი ქვემეხები, შაშხანები და სხვა სახის საომარი იარაღი დიდძალ ფინანსურ საშუალებასთან ერთად. ტორმასოვი რუმიანცევს აუწყებდა. რომ *«в Персию прибыло Аглинское войско чрез Бандербушер три тысяча человек со сто медными пушками, двумя тысячами ружей и одним миллионом двумя стами тысячами денег, разного рода мастеров для литья пушек и построения судов как то в Астрабате, Мазандроне, Гиляне и Ленгаруте»*[2]. (ხაზი ჩვენია. ნ. ჯ.)

ირანში ინგლისელებმა მალე ახალი ელჩი გამოგზავნეს — ოუზლი, რომელმაც შაჰს 600 ათასი თუმანი და სხვადასხვა სახის დიდძალი საომარი იარაღი ჩამოუტანა. ირანში საფრანგეთის მოქმედება რუსეთ-საქართველოს წინააღმდეგ ინგლისელების მტრული მოქმედებით იცვლებოდა. მსგავსად ნაპოლეონისა, შაჰს ახლა ინგლისელები ჰპირდებოდნენ საქართველოდან რუსეთის ჯარების განდევნას. ფრანგი ისტორიკოსი რამბო შესანიშნავად ახასიათებდა ირანში ინგლისელების საქმიანობას, იგი წერდა: *«Англичане пользовались при дворе влиятельной поддержкой, щедро раздавали деньги приближенным шаха, самому шаху предлагали 10 мил-*

[1] АВПР, 1801—1804, ф. гл. архив, I—13, д. 5, л. 95.

[2] АВПР, 1801—1804, ф. гл. архив, I—13 д. 5. л. 100—101. შდრ. ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 169 об.

миллионов фунтов стерлингов, предлагали бесплатно пушки и ружья, тогда как Наполеон хотел все это продать шаху за деньги. Англичане брались добиться эвакуации Грузии русскими».[1] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.)

ინგლისელებმა, მართლაც, მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს ირანს არმიის რეორგანიზაციისა და მისი საომარი იარაღებით მომარაგების საქმეში. ტორმასოვი რუსეთის სამხედრო მინისტრს აუწყებდა ინგლისელების მიერ ირანის არმიის გარდაქმნის მიზნით გატარებულ ღონისძიებათა შესახებ: «Под влиянием Англии формируются регулярные войска, которые прежде экзерсированны были французскими *офицерами, а ныне английскими. Сии последние выливают также пушки, снабжают аглийскими ружьями, обучают артиллеристов и делают во многих местах укрепления».*[2] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.)

შეიძლება უამრავი საარქივო მასალების მოტანა, რომლებიც ერთხმად ადასტურებენ ინგლისის სამხედრო დახმარების კოლოსალურ რაოდენობას ირანისადმი. უფრო გვიან (1811 წ. 13 მაისს) გენ. ტორმასოვი მ. ი. გოლენიშჩევ-კუტუზოვს ზემოაღნიშნულის შესახებ სწერდა: *«Англия, ослепляющая персидское правительство своим золотом, щедрой рукой рассыпаемым, также всемерно силится поддержать Персию в расположении к войне с нами и содействует оной всеми способами к умножению регулярных войск в Персии. С прошлого года из Англии доставлено было до 20.000 европейских ружей, а ныне получены мною достоверные известия, что на место английского в Персии агента Гарфорда Джонеса (Джонса, Н. К.) прибыл новый министр, которого имени еще не знаю. В многочисленной его свите находятся большая часть инжинерных и артиллерийских офицеров, кои деятельно занимаются обучением персидских войск, также литьем пушек, исправлением крепостей и построением новых».*[3] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.)

ირანის მიმართ ასეთი ინტენსიური ხასიათის სამხედრო დახმარება ინგლისელების მხრიდან გრძელდებოდა არა მარტო მაშინ, როცა რუსეთსა და ინგლისს შორის ოფიციალურად მტრული ურ-

[1] Лависс и Рамбо, История XIX в. т. 2, стр. 441.
[2] Акты, т. IV, д. 1156, стр. 761.
[3] Акты т. IV, стр. 591, Ср. т. 5, стр. 680.

თიერთობა იყო, არამედ მას შემდეგაც, როცა ისინი კვლავ მოკავშირენი გახდნენ ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ინტერესს მოკლებული როდია საკითხი, თუ რა ბედი ეწვია საფრანგეთის სამხედრო მისიას, რომელიც ირანში იმყოფებოდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჰარფორდ ჯონსმა თავისი მოღვაწეობა ირანში იმით დაიწყო, რომ ბაბა-ხანს წინადადება მისცა განედევნა საფრანგეთის მისია გარდანის მეთაურობით.

საინტერესოა ირანში საფრანგეთის მისიის ყოფნის უკანასკნელი დღეები. ფრიად საყურადღებო ცნობას იძლევა რუსეთის მზვერავი მუჰამედ რეფი ბეგი ბაბა-ხანის მიერ ფრანგების შეიწროვების შესახებ ინგლისელების ირანში შემოსვლის შემდეგ. მუჰამედ რეფი ბეგი 1809 წ. 7 ივლისს ი. ა. ვეიდემეიერისადმი გაგზავნილ წერილში შემდეგს იტყობინება: «Аглинский посланник прибыл к Баба-хану с разными подарками и с просьбою о уступке Аглии города Бандарбушира, ныне называемого Бандарабасю, который будто вследствие того и отдан Англии, на таких условиях, чтобы англичане сухим путем не возили туда военных орудий и припасов и чтобы оный город был под охранением персидского генерала, какой от Баба-хана имеет быть определен с войском, и что английскому купечеству позволяется отправлять торговлю, в городах Испагане, Ширазе, Тегеране и других местах, где благоугодно, как было прежде; что по заключении такого договора привезено из Англии в Персию много товаров, о чем французский посланик узнал и представил Баба хану, что он поступает вопреки заключенного ими с Бонапартием договора, коими он объязан был признавать врага его за собственного своего врага и приятеля его за своего приятеля и что дать место агличанам в Персии есть знак разрыва с Франциею, коей они неприятели»[1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ჟ.)

საფრანგეთის სამხედრო მისიისათვის დღეები უკვე დათვლილი იყო; გარდანის დიპლომატიურ შანტაჟს სძლია ინგლისის დიდმა ფინანსურმა საშუალებებმა და სამხედრო ტექნიკის სიუხვემ. მუჰამედ რეფი ბეგის ცნობით, გენ. გარდანს ბაბა-ხანმა პასუხად ფინქენშტეინში დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულება უჩვენა, რითაც საფრანგეთი კისრულობდა დახმარებოდა ირანს რუსეთის მიერ

[1] АВПР, 1801—1814 гг. ф. Гл. архив, I—13 д. 5, л. 64—65.

დაპყრობილი ტერიტორიების დაბრუნებაში და არავითარი მეგობრობა არ ექნებოდა რუსეთთან. ბაბა-ხანმა გენ. გარდანთან საუბარში დასძინა: *«Уже три года, как Грузия, Ширван и другия места сего владения находятся в руках России, в течение коего времени он, веря словам Бонапартия, не двинулся с места»*[1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ჭ.).

ზემოთ მოტანილიდან ირკვევა, რომ ბაბა-ხანი განაწყენებული იყო საფრანგეთის მთავრობის მიმართ; ნაპოლეონის დახმარებით მან ვერ შეძლო საქართველოში და ამიერკავკასიის სხვა ტერიტორიებზე თავისი ბატონობის აღდგენა. ამ მხრივ დახმარებას ახლა ინგლისელები ჰპირდებოდნენ ირანს; ბაბა-ხანი უფრო გარანტირებულად თვლიდა ინგლისთან სამხედრო კავშირით ამ აგრესიული ამოცანის შესრულებას. საფრანგეთის სამხედრო მისიას წინადადება მიეცა, სასწრაფოდ დაეტოვებინა ირანის საზღვრები და თავისი „მოკავშირის“ რუსეთის ტერიტორიაზე გავლით გამგზავრებულიყო საფრანგეთში. 1809 წ. 14 აპრილს საფრანგეთის სამხედრო მისიამ თავრიზი დატოვა. 3 მაისს გენ. გარდანი მთელი თავისი ამალით თბილისში ჩამოვიდა. ტორმასოვს აღნიშნული მისია დიდი პატივით მიუღია. გარდანმა ტორმასოვს განუცხადა, რომ მან საბოლოოდ დატოვა ირანი; მისი მისიის იქ დარჩენილი ორი წევრი, გარდანის თქმით, ოსმალეთის გზით უნდა გაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. გარდანმა სურვილი გამოთქვა, რომ ის თბილისში რამდენიმე დღეს დაჰყოფდა, რათა სათანადოდ მომზადებულიყო გასამგზავრებლად[2]. თბილისიდან გარდანი მოსკოვისა და პრუსიის გავლით აპირებდა სამშობლოში დაბრუნებას. ჩანს, ინგლისელებმა ოდნავი საშუალებაც კი არ მისცეს ფრანგებს სამგზავროდ მომზადებულიყვნენ. გარდანის მისიის ირანში ყოფნის ყოველ წუთსაც კი ისინი თავიანთი საქმის საზიანოდ თვლიდნენ. ირანში ფრანგებს არავინ გამოუჩნდათ ისეთი, რომ საფრანგეთიდან გამოგზავნილ თამასუქებზე ფული გაეცა[3]. ფრანგები, რომლებიც თბილისში ჩამოვიდნენ, ტორმასოვის ცნობით, იძულებული გამხდარან უსახსრობის გამო საკუთარი ნივთები გაეყიდათ[4]. როგორც დასტურდება, ირანის მთავრო-

---

[1] АВПР, 1801—1814 гг. ф. Гл. архив, I—13, д. 5, л. 65.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 28.
[3] იქვე. ფ. 34—35.
[4] იქვე.

ბის თვალში ინგლისელების ჩამოსვლის შემდეგ, ფრანგებს დაეკარგათ ავტორიტეტი. ერთმანეთის მიმართ გამუდმებული მტრობა ინგლის-საფრანგეთს შორის გრძელდებოდა, მაგრამ ორთავენი ხან ცალ-ცალკე, ხან კი ერთად რუსეთთან „მოკავშირეობის" ნიღაბქვეშ ამოფარებულნი, მას განუწყვეტლივ მტრობდნენ.

თბილისში საფრანგეთის მისიასთან ერთად ჩამოსულა საელჩოს მდივანი ლაჟარი და ექიმი სალვატორიო. ირკვევა, რომ სალვატორიო თბილისის ლაზარეთში მკურნალობდა ერევნის 1808 წ. ბლოკადის დროს დაჭრილ რუს ოფიცრებსა და ჯარისკაცებს. მათ შორის მას განუკურნავს მძიმედ დაჭრილი პოლკოვნიკი სიმონოვიჩი და საველე აფთიაქისათვის წამლებიც გადაუცია[1].

საფრანგეთის მისიის ეს მოჩვენებითი ჰუმანურობა საფრანგეთის დიპლომატიის თაღლითობისა და გაიძვერობის საუკეთესო ფაქტად შეიძლება გამოდგეს. აღინიშნა, რომ ერევნის ციხიდან ფრანგი ოფიცრის ვერდიეს მიერ დადგმული საფრანგეთიდან ჩამოტანილი არტილერია უშენდა ცეცხლს რუსეთის არმიის ჯარისკაცებს და ოფიცრებს, რითაც მრავალი მძიმედ დაჭრა და ბევრიც სიცოცხლეს გამოესალმა; საფრანგეთი ღალატობდა იქ მაშინ თავის მოკავშირე რუსეთს, ხოლო თბილისში — ერევნისათვის ბრძოლაში დაჭრილ მეომრებს ფრანგი ექიმი, ნიშნად რუსეთსა და საფრანგეთა შორის მეგობრობისა, მკურნალობას უწევდა!

ტორმასოვს მოსკოვამდე სამგზავროდ გარდანისათვის რუსული პასპორტი გადაუცია და მატერიალური დახმარებაც გაუწევია, როგორც „მოკავშირე" ქვეყნის წარმომადგენლისათვის. გარდანს თბილისის ვაჭრებთან უცდია სამგზავრო ფულის მოგროვება. ამ გზით მას არაფერი გამოსვლია და შემდეგ ტორმასოვისათვის ოფიციალურად უთხოვია სამგზავროდ სესხი 2000 ჩერვონეცის რაოდენობით. ტორმასოვს მისი თხოვნა დაუკმაყოფილებია. ამის გამო საგარეო საქმეთა მინისტრ რუმიანცევს ტორმასოვი სწერდა:

«Я... не мог ему в том отказать, тем более, что видел настоящую ему в сем пособии надобность, и потому из Бакинских доходов отпустил ему под расписку 2 тыс. червонцев с объязательством, что он по прибытии своем в Москву, заняв у тамошних банкиров, внесет оныя *Московскому гражданскому губернатору*».[2]

---

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 184, л. 273.

[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 34—35.

ირკვევა, საფრანგეთის მისიის დიდი ნაწილი კიევით წასულა საფრანგეთში, ხოლო გარდანი, ლაჟარი და სალვატორიო მოსკოვს გაემგზავრნენ.

საფრანგეთის მისიის ერთ-ერთი წევრი, ცნობილი დიპლომატი და სამხედრო სპეციალისტი ჟუანენი იყო, იგი თბილისში გარდანს არ ჩამოჰყოლია; 1810 წლის 11 იანვრის თარიღით ტორმასოვი რუმიანცევს აცნობებდა, რომ ჟუანენი ტრაპიზონიდან ირანში დაბრუნდა. ერევნიდან ჟუანენს თავისი ჯაშუშის სულეიმან აღას ხელით საიდუმლოდ პაკეტი გამოუგზავნია ტორმასოვისათვის, რათა ამ უკანასკნელს აღნიშნული პაკეტი საფრანგეთის პეტერბურგელი ელჩისათვის — დიუკ-დე-ვისანსესათვის გაეგზავნა. წერილის შინაარსი თვითონ ტორმასოვისათვის უცნობი დარჩენილა. გამოგზავნილმა ჯაშუშმა ჟუანენის ნებართვით მოახსენა ტორმასოვს, რომ „он (ჟუანენი, ნ. ქ.) по приезде своем в Трапизонт получил от своего двора депешу с повелением возвратиться в Персию и дожидатся там прибытия нового посольства в Персию от французского двора».[1] როგორც ირკვევა, საფრანგეთის მთავრობას არ სურდა ადვილად დაეთმო ირანში თავისი პოზიციები. ტრაპიზონიდან ჟუანენი თავრიზში ჩასულა და უთხოვია აბას-მირზასათვის წარედგინა იგი ბაბა-ხანისათვის, მაგრამ მას კატეგორიული უარი განუცხადებია. ჟუანენს შეპყრობას უპირებდნენ, მაგრამ იგი გამოპარულა და სწორედ ერევნისათვის შეუფარებია თავი. ჟუანენის მიმართ ასეთი მკაცრი დამოკიდებულების მიზეზი, როგორც დასტურდება, ინგლისელები იყვნენ. რუსეთის არმიის პოდპოლკოვნიკ ბარონ ვრედეს ცნობით, ჟუანენი იძულებული გამხდარა სულ მალე დაეტოვებინა ირანის საზღვრები. მან ტორმასოვს თებერვლის პირველ რიცხვებში აცნობა, რომ «Жуанин выслан из Персии с такою поспешностию единственно по настоянiям аглицкого министра Гарфорта Джонеса, который, как говорят в Персии, за сей его выезд заплатил до 35.000 туманов»[2].

ამგვარად, ირანში ინგლისელები გაბატონდნენ. ზემოთ აღინიშნა, რომ ნაპოლეონის განკარგულებით ფრანგი ემისრები ცდილობდნენ ირანსა და ოსმალეთს შორის სამხედრო კავშირის გაფორმებას, მაგრამ ეს მათ ვერ შეძლეს; ინგლისელებმა ისინი გააძევეს ირა-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184 л. 154.

[2] АВПР, 1801—1814 гг. ф. гл. архив, 1—13, д. 5, л. 113. შდრ. ЦГВИА ф. ВУА, д. 6184, л. 154—155.

ნიდან და თვითონ დამკვიდრდნენ იქ. ოსმალეთშიაც სერიოზულ შეტაკებებს ჰქონდა ადგილი ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო-დიპლომატიურ მისიებს შორის. მაგრამ ინგლისელებმა ვერ შეძლეს იქიდან ფრანგების განდევნა. ორივე სახელმწიფოს მისიების მთელი სამხედრო და დიპლომატიური საქმიანობა, გარდა იმისა, რომ ცალ-ცალკე ერთმანეთს უპირისპირდებოდა, ერთდროულად მთელი სიძლიერით იყო მიმართული რუსეთის წინააღმდეგ, და ეს მდგომარეობა ოსმალეთში გრძელდებოდა რუსეთ-ოსმალეთის ომის მთელ პერიოდში.

ინგლისელებმა უფრო ინტენსიური მოქმედება დაიწყეს ირან-ოსმალეთის სამხედრო კავშირის გაფორმებისათვის. მათ შეძლეს ირანის შაჰისა და ოსმალეთის სულთნის შერიგება და მათი დაახლოება; მზადდებოდა ნიადაგი ირან-ოსმალეთის სამხედრო კავშირის გასაფორმებლად. ფრიად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 1809 წ. მარტის ბოლო რიცხვებში ბაბა-ხანს ოსმალეთის სულთნისათვის გაუგზავნია წერილი იმის შესახებ, რომ გაერთიანებული ძალებით ეწარმოებინათ ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ, გაედევნათ რუსეთის ჯარები ამიერკავკასიიდან და შური ეძიათ ქართველებზე, პირველყოვლისა კახელებზე, რომლებიც პირველნი დაუკავშირდნენ რუსეთს და მიიღეს მისი ქვეშევრდომობა. ირკვევა, რომ ოსმალეთის სულთანს მიუღია შაჰის ეს წინადადება და განკარგულება გაუცია მრავალრიცხოვანი ჯარის შესაგროვებლად რუსეთის წინააღმდეგ ერთიანი მოქმედებისათვის აზიაში. სწორედ ამის შესახებ საგულისხმო ცნობას იძლევა რუმიანცევი ტორმასოვისადმი 1809 წ. აგვისტოს გამოგზავნილ წერილში, სადაც ვკითხულობთ: «*Баба-хан... намерен воспользоватся помощию англичан и обратить* все силы свои против России: что, наконец, Баба-хан *приглашает Султана, по взаимной пользе Персии и Турции, действовать совокупно, дабы отомстить и русским и кахетинцам*... Порта приняла предложения Баба-хана и что чаятельно послала *уже повеление в Азию, дабы вооружить курдов и других тамошних народов к совокупному действию с персиянами, что неудачное предприятие Российских войск на Ериван возвысило гордость и надежду Персии*»[1] (ხაზი ჩვენია, ნ. ჯ.). მოტანილიდან აშკარად ჩანს, რომ არსებობდა სერიოზული საფრთხე ირან-ოსმა-

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп 1, д. 184, л. 288 об и 289.

ლეთის სამხედრო კავშირის გაფორმებისა რუსეთის წინააღმდეგ. ამიტომ რუსეთის სარდლობა ცდილობდა, როგორც კი შესაძლებელი იქნებოდა. საჭირო ღონისძიება გაეტარებინა იმისათვის, რომ ზავი დაედო ირანთან. გარდა ამისა, იგი ცდილობდა ირანსა და ოსმალეთს შორის უთანხმოება ჩამოეგდო, გაეთიშა ისინი, კვლავ აღენთო ირანის ვვართველი წრეები ოსმალეთის მიერ ერთ დროს მითვისებული ირანის ტერიტორიების დაბრუნების სურვილით და რუსეთთან დაზავებისაკენ ებიძგნა. ტორმასოვს 1809 წ. 27 ივნისს ოფიციალური წერილი გაუგზავნია აბას-მირზასათვის. რითაც იგი ირანის მთავარსარდალს კვლავ მოაგონებდა, რომ ოსმალეთმა ირანს წაართვა მისი კანონიერი ტერიტორია, ოდითგანვე ირანს რომ ეკუთვნოდა. თუ ირანი დადებდა საზავო ხელშეკრულებას რუსეთთან და თანაც სამხედრო კავშირს გააფორმებდა მასთან, რუსეთის დახმარებით საშუალება მიეცემოდა მას ოსმალეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიები უკანვე დაებრუნებინა. ტორმასოვი მოაგონებდა ირანის მთავარსარდალს აგრეთვე, რომ განვლილმა ექვსმა წელმა არავითარი სიკეთე არ მოუტანა ირანსა და მის არმიას, გარდა იმისა, რომ გაანადგურა ირანის ეკონომიკა და ცოცხალი ძალა კი განადგურდა. ტორმასოვი მიაქცევდა ირანის მთავრობის ყურადღებას რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმების დიდ სარგებლიანობაზე, რომ ირანი დაამყარებდა სავაჭრო ურთიერთობას ეკონომიურად ძლიერ რუსეთთან და დიდად მოიგებდა კიდეც[1].

წერილის დასასრულს ტორმასოვი მიუთითებდა, რომ იგი მზად იყო ირანთან საზავო ხელშეკრულების გასაფორმებლად მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუ სასაზღვრო ხაზი მდინარეების — მტკვრის, არფაჩაის და არაქსის გასწვრივ გაივლიდა. ტერიტორიალური დანაკარგი, რომელიც ასეთი ხელშეკრულების გაფორმებით იქნებოდა გამოწვეული, კომპენსირებული უნდა ყოფილიყო მისთვის იმ ტერიტორიების დაბრუნებით. რომელიც ადრე ოსმალეთს ჰქონდა მიტაცებული. ტორმასოვი რჩევას აძლევდა აბას-მირზას, ჩამოსცილებოდა ირანი ინგლისს, რადგანაც მასთან კავშირი საბოლოოდ დამღუპველი იქნებოდა თვითონ ირანისათვის. საინტერესოა ტორმასოვის წერილიდან ის ადგილი, სადაც ინგლისთან ირანის კავშირის შესაძლო დამღუპველ შედეგებზეა ლაპარაკი. წერილში ვკით-

[1] ЦГВИА. ф. ВУА. д. 6184, л. 59 и об.

ხულობთ: «*Искомый Англиею союз с Персиею, о коем, как известно мне, прибыло в Бардербушир* (ასეა, ნ. ქ.) *посольство с дружественными предложениями, отнюдь не может для Персии полезен, а тем еще меньше Персия может полагаться на обещания англичан, будучи уже, конечно, известно, сколь в прошлом году гибельныя следствия постигли две сильные державы, обольщенные обещаниями Англии, а именно Швецию, потерявшую лучшую часть своих владений, приобретенных силою оружия моего великого и всемилостливейшего государя императора, и Испанию, невозвратно погибшую. Ныне же воспоследствовал еще ближайший пример с Австриею, повергшею себя в бедственное положение тем, что по внушениям Англии и по происками ея начав новую войну против Франции, в продолжение четырех недель понесла уже неоднократно жестокия поражения и, наконец, быв принуждена самую столицу своей империи Вену предать на произвол победителю, тщетно ожидает и ожидать будет своего спасения от союза с Англиею*»[1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.)

ტორმასოვის წერილი შთააგონებდა ირანის მმართველ წრეებს იმის შესახებ, რომ ინგლისთან კავშირი საბედისწერო გამოდგა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი შვეციისათვის, რომელმაც რუსეთთან ომში (ფრიდრიხჰამის ზავით) დაკარგა საკმაოდ მნიშვნელოვანი ტერიტორია. ასევე, ავსტრია და ესპანეთი ინგლისთან კავშირმა ვერ იხსნა და საფრანგეთთან ომმა საბედისწერო შედეგები მოუტანა მათ. ტორმასოვი ცდილობდა, ირანის მმართველი წრეები ჩამოსცილებოდნენ ინგლისს და მისგან სრულიად დამოუკიდებლად დაედოთ რუსეთთან საზავო ხელშეკრულება. იგი არწმუნებდა მათ, რომ რუსეთთან ომი შეიძლებოდა ისეთივე შედეგებით დამთავრებულიყო, როგორითაც რუსეთ-შვეციის, საფრანგეთ-ესპანეთისა და საფრანგეთ-ავსტრიის ომები დამთავრდა. ტორმასოვს საკმაოდ ძლიერი არგუმენტი გააჩნდა: ცნობილია, რომ დამარცხებული ქვეყნები შველას ითხოვდნენ მოკავშირე ინგლისისაგან, მაგრამ ინგლისის ბურჟუაზიამ, რომელმაც საკმაოდ ხელი მოითბო ევროპის სახელმწიფოთა ომებში, საბოლოოდ უყურადღებოდ დატოვა ისინი.

იმ მიზნით, რომ რუსეთ-ოსმალეთის ომში მოპოვებული წარმატებებით ზემოქმედება მოეხდინა ირანზე, ტორმასოვი აბას-მირ-

[1] ЦГВИА, ф ВУА, д. 6184, л. 61—62.

ზას აცნობებდა, რომ დუნაის ფრონტზე რუსეთის არმიამ ბრაილოვი დაიკავა და ტყვედ ჩაიგდო ოსმალეთის ჯარების სარდალი[1]. გენ. ტორმასოვი ატყუებდა აბას-მირზას. ბრაილოვთან ბრძოლაში დუნაის ფრონტის სარდალი ფელდმარშალი პროზოროვსკი სასტიკად დამარცხდა 1809 წ. გაზაფხულზე; მან მოკლულთა და დაჭრილთა სახით ამ ბრძოლაში 5 ათასამდე ჯარისკაცი დაკარგა[2]. ბრაილოვის ციხე-სიმაგრე აღებულ იქნა 1809 წ. 21 ნოემბერს პ. ი. ბაგრატიონის მიერ. პ. ბაგრატიონმა 10.000-იანი გარნიზონი 205 ქვემეხით, დიდძალი საომარი საშუალებებით, 87 დროშითა და თავისი სარდლებით (აბდურახმან-ფაშა და ნაზირ-ახმედ-აღა) ტყვედ ჩაიგდო[3].

ტორმასოვს აბას-მირზასთან გაგზავნილი წერილით სურდა ირანის სარდლისათვის ოსმალეთის მძიმე ხვედრი ეჩვენებინა რუსეთთან ომში და ამით დაეჩქარებინა საზავო ხელშეკრულების გაფორმება ირანთან. 1809 წ. ივლისში საზავო მოლაპარაკებისათვის თავრიზში ტორმასოვის მიერ კვლავ გაიგზავნა ბარონი ვრედე. ირანის შაჰი შეეცადა გაეჭიანურებინა მოლაპარაკება და დაეგვიანებია გადამწყვეტი პასუხის გაცემა; ირანელი დიპლომატები თავს ისე აჩვენებდნენ, თითქოს დიდი სურვილი ჰქონდათ დაზავებისა; სინამდვილეში კი ინგლისელთა უშუალო ზემოქმედებით ირანის არმია შეტევისათვის ემზადებოდა.

შეტევის დაწყების წინ ირანელები ცდილობდნენ აეჯანყებინათ რუსეთის წინააღმდეგ დაღესტანი, ოსეთი, ყუბისა და თალიშის სახანოები, საქართველოს მოსაზღვრე ოსმალეთის საფაშოები და იმერეთის მეფე სოლომონ II. ტორმასოვი გრაფ რუმიანცევისადმი გაგზავნილ წერილში ამის შესახებ წერდა: «*Баба ханом разосланы ферманы в Дагестан, к осетинцам и к изгнанному из Кубы бывшему хану, а ныне скрывающемуся в горах Ших-Али, также приезжал к Мир Мустафе Хану Талышинскому сам Мирза Безюрк для уговоривания его отклониться от покровительства России... Посланы нарочные к соседним с Грузиею турецким пашалыкам и к имеретинскому царю Соломону с приглашением их возстать против войск Российских и содействовать их военным действиям, обещая за то большия награды*[4]. (ხაზი ჩვენია, ნ. ჯ.).

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, *л.* 61—63.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2875, ч. I. *л* 221 об.
[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2927 *л.* 316—318.
[4] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, *л.* 80 об. и 81.

მოტანილი დოკუმენტი მრავალმხრივ საყურადღებოა; აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ირანსა და ოსმალეთს შორის დავა დროებით მიწყნარებული ჩანს, ალბათ ინგლისის დიპლომატიის ზემოქმედების შედეგად, ხოლო ირანის შაჰი კი მოუწოდებს საქართველოს მოსაზღვრე საფაშოებს ირანის არმიასთან ერთად გამოვიდნენ საქართველოში რუსეთის ჯარების დასამარცხებლად. ირან-ოსმალეთის არმიების გაერთიანების იდეა, როგორც ირკვევა, საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი ჩანდა. ამიერკავკასიის სხვა ხანებთან ერთად, იმერეთის მეფე სოლომონ II-ეს, როგორც ოსმალეთი, ისე ირანი, თავის პოტენციურ მოკავშირედ თვლიდა.

აბას-მირზას, მრავალრიცხოვან არმიასთან ერთად, დიდი იმედი ჰქონდა თავისი მოკავშირეებისა — ლეკ-აბრაგების, დაღესტნის, აზერბაიჯანის ზოგიერთი ხანისა და საქართველოს მოსაზღვრე ფაშებისა, რომელთა მოსყიდვას ირანელები, როგორც ტორმასოვი წერდა, ინგლისის ოქროს საშუალებით ცდილობდნენ[1].

სოლომონ II-ს იმერეთის დიდკაცებთან ერთად არა ერთხელ ჰქონია შეხვედრა, როგორც ირანის შაჰის, ისე ოსმალეთის სულთნის წარმომადგენლებთან. შეხვედრის მონაწილეების ძირითადი მიზანი იყო რუსეთის ჯარების საბოლოო განადგურება საქართველოში. ჩვენს ხელთ არსებული საბუთი, სოლომონ II-ისა და ოსმალეთის სულთნის ურთიერთობის გარდა, ნათელს ფენს ზურაბ წერეთლის პოლიტიკის ორმაგ ხასიათს; საბუთი ადასტურებს, რომ სოლომონ II ბოლო დრომდე ენდობოდა იმერეთის სამეფო კარის სახლთუხუცესს ზურაბ წერეთელს და მას არც არაფერს უმალავდა; ზურაბ წერეთელი კი ყოველ ხაბიჯზე ღალატობდა მას. ირკვევა, რომ სოლომონ II-ის საიდუმლო მოლაპარაკებებში ირანთან და ოსმალეთთან უშუალო მონაწილეობა მიუღია ზურაბ წერეთელს. იგი ვერაგულად ღალატობდა სოლომონ II-ეს რუსეთთან ურთიერთობაში, ხოლო პირადი ინტერესებისათვის რუსეთის მთავრობასაც ღალატობდა. 1808 წ. 26 აგვისტოს თარიღით გენ. რიკჰოფი გუდოვიჩს აცნობებდა სოლომონ II-ისა და ოსმალეთის სულთნის წარმომადგენლის შეხვედრის შესახებ: «Имеретинский царь Соломон пред сим имел личное свидание и переговоры в Варцихе... с турецким посланником Абастумским беком Халим агою, в которое время также был при царе в Варцихе и Самт-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184. л. 89.

куцес (Сахлтухуцеси, Н. К.), Зураб Церетели со протчими князями, которые переговоры, как по слухам двояковым известно, состояли из того, что одни утверждают, якобы царь просит от стороны турок помощи в войсках совершить его намерение к нападению на войски наши в Кутаиси и Редут-куле расположенные, и к формальному их истреблению, а сам напоследок имеет желание, якобы, отдаться со владением своим под державу турецкого султана.

Другие доказывают, что якобы тот посланник был от Ахалцихского Селим паши к нему с тем, что если только он желает быть под правительством Турции, а не России, то, чтобы позволил прибыть сюда их войскам для истребления наших, но только с тем предположением, чтобы дал им в аманаты 12 первейших его князей, из коих, однакож, некоторые на сие не согласились... объявил ему (Соломону II—Н. К.) тот посланник, что если только он будет согласен с ихними мнениями, то от султана изготовлена уже ему, по их обычаю, сабля, шуба и ферман и будет принят под всегдашнее покровительство Турции».[1]

ცნობაში მოტანილი ორივე ვარიანტი, რომელი მათგანიც არ უნდა ყოფილიყო მართალი, სოლომონ II-ისა და სულთნის წარმომადგენლის მოლაპარაკების შესახებ, ადასტურებს იმას, რომ იმერეთის მეფე საბოლოოდ განუდგა რუსეთის ხელისუფლებას და ოსმალეთთან სინჯავს ნიადაგს მასთან დაახლოებისა და მისგან დამხმარე ძალების მიღებისათვის. ხალიმ-ალასთან მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიუღიათ თავადებს — გიორგი წერეთელს, როსტომ ნიჟარაძეს, კაცია წულუკიძეს, სიმონ წერეთელსა და ზურაბ წერეთელს[2].

სოლომონ II რიკჰოფისადმი გაგზავნილ წერილში ადასტურებს ახალციხის საფაშოდან მასთან მოსალაპარაკებლად ხალიმ-ალას მოსვლის ფაქტს. ხსენებულ წერილში სოლომონი არაფერს ამბობს იმაზე, რომ ზურაბ წერეთელი ღებულობდა ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობას. სოლომონ II როგორც ჩანს, მოლაპარაკების შინაარსს საიდუმლოდ ინახავდა, მაგრამ როგორც კი აღნიშნული

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 61, л. 47.

[2] იქვე, ფ. 49.

შეხვედრა ცნობილი გახდა რუსეთის სამხედრო წარმომადგენლებისათვის, მან სცადა თავი გაემართლებინა იმით, რომ განზრახული ჰქონდა ოსმალეთის წარმომადგენელთან მოლაპარაკების შესახებ დროულად ეცნობებინა გენ. რიკჰოფისათვის, მაგრამ მას ხელი შეუშალა თავისი დის, თავად დავით წულუკიძის მეუღლის — ბარბარეს გარდაცვალებამ[1].

სოლომონ II-ეს წერილში მოხსენებული ჰყავს ის დიდებულები, რომლებიც შეხვედრაში მონაწილეობდნენ, მაგრამ მონაწილეთა შორის არ ასახელებს ზურაბ წერეთელს. საფუძვლიანი იმერეთის მეფეს არ უნდოდა ზურაბ წერეთელი გაეცა, რადგანაც იგი მეფესა და რუსეთის მთავრობას შორის შუამავლობდა. ენდობოდა მას და ეგონა, რომ იგი მისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებდა. ზურაბ წერეთელი კი სინამდვილეში მეფეს ღალატობდა. იგი საიდუმლოდ იყო დაკავშირებული რუსეთის ხელისუფლებასთან და აწვდიდა მას იმერეთის პოლიტიკური მდგომარეობისა და მეფის საქმიანობის შესახებ დაწვრილებით ცნობებს. სოლომონ II გენ. ციციანოვისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ის როგორ ახასიათებდა მას:

„რამოდენიმე საქმეთა ჩემთათვის წარმოვავლინე თავადი ჩ[ა]ი სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ. კაცი ჩემ მ[ა]რ სარწმუნო, ერთგული ქრისტიანებისა, ხელმწიფისაცა და მეფობისა ჩემისაცა, და მასთანა მეცნიერი საქმეთა ჩემთა"[2].

სოლომონ II სათანადო სიფხიზლეს არ იჩენდა თავისი სახლთუხუცესის მიმართ, რომელსაც რუსეთის მთავრობისაგან პოლკოვნიკის ჩინი ჰქონდა ნაბოძები, ხოლო ხელფასის სახით ათას ორასი მანეთი ჰქონდა დანიშნული ვერცხლით. მთავრობის მიერ წარჩინებული ზურაბ წერეთლისაგან რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება ერთგულ სამსახურს მოითხოვდა. ალექსანდრე I 1808 წ. 10 თებერვლის თარიღით ზურაბ წერეთლისადმი გამოგზავნილ წერილში რწმენას გამოსთქვამდა, რომ იგი ბოლომდე ერთგულ სამსახურს გასწევდა[3]. რუსეთის მთავრობისგან ჩინ-მედლებითა და საჩუქრებით მოხიბლული ზურაბ წერეთელი თავისთვის სასარგებლო პირო-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 61, л. 49.
[2] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 218, л. 45.
[3] ЦГИАГ, ф 2, оп. 1, д. 218, лл. 173—179.

ბებში ემსახურებოდა რუსეთის მთავრობას, ხოლო იმერეთის მეფე სოლომონ II კი, როგორც ითქვა, მას ენდობოდა და საიდუმლოდ ინახავდა მის მონაწილეობას ოსმალეთთან მოლაპარაკებაში; მოლაპარაკების შედეგები კი ზურაბ წერეთლის საშუალებით ცნობილი იყო რუსეთის მთავრობისათვის.

* * *

ირანთან საზავო მოლაპარაკება 1809 წ. ინგლისელებმა ჩაფუშეს. ტორმასოვი 1809 წლის სექტემბერში საგარეო საქმეთა მინისტრს გრაფ რუმიანცევს სწერდა იმის შესახებ, რომ ირანთან საზავო მოლაპარაკების ჩაშლის ძირითადი მიზეზი ინგლისელები იყვნენ; იგი აღნიშნავდა: «Причиною же сего нечто другое, как большие суммы денег английским правительством присланные в Персию, насчет коих персияне предприняли в нынешний год войну и стараются всех соседей Грузии восставить против войск наших».[1]

აბას-მირზა 1809 წ. სექტემბერში 25000-იანი არმიით ყარაბაღს მიადგა იმ განზრახვით, რომ აეღო ის და მის მეზობლად მდებარე შირვანისა და შაქის სახანოები, რომლებიც რუსეთის მფარველობის ქვეშ იყვნენ შესულნი[2]. გენ. ტორმასოვი ბამბაკის პროვინციაში იდგა და იქიდან უთვალთვალებდა მტერს. ნებოლსინის რაზმებმა აბას-მირზას მრავალრიცხოვანი არმია უკუაგდო; აბას-მირზამ, რადგან ყარაბაღის აღება ვერ შეძლო, შეცვალა თავისი გეგმა და შეეცადა წასულიყო ყარაბაღიდან ნახჭევანზე, ხოლო იქიდან შამქორის მაღლობების გადალახვით თავს დასხმოდა ელიზავეტპოლის პროვინციას. გენ. ტორმასოვი მიხვდა მტრის განზრახვას, მან მოასწრო შამქორს მისვლა და აბას-მირზას 4000-იანი რაზმი, რომელიც მთებიდან ეშვებოდა და რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა ხორბლის ყანების გადაწვა, გაფანტა. ტორმასოვის მოულოდნელმა გამოჩენამ შამქორში შეაკრთო აბას-მირზა და თავისი არმიით უკუიქცა. აბას-მირზას ელიზავეტპოლის მოსახლეობისადმი მოწოდება გაუგზავნია, რათა მიემხრო ისინი, სამაგიეროდ დიდძალ საჩუქარს აღუთქვამდა მათ. ტორმასოვის ცნობით, მოსახლეობის ზედაფენაში გარ-

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп I, д. 218, лл. 84, 85.

[2] იქვე, ფ. 85.

კვეულ მერყეობას ჰქონდა ადგილი, არჩევანში ყოფილან, თუ ვის უნდა მიმხრობოდნენ. მაგრამ ტორმასოვის გამოჩენამ მერყეობას ბოლო მოუღო და რუსეთისათვის სასარგებლო პირობები შექმნა[1].

ირანის შაჰი დარწმუნდა რა, რომ რუსეთის არმიასთან ბრძოლაში წარმატებას ვერ მოიპოვებდა, ევრაგულ მეთოდებს მიმართა. შეეცადა მოეტყუებია ტორმასოვი საზავო მოლაპარაკების შესახებ ახალი წინადადების შეთავაზებით. მირზა ბეზიურგმა ტორმასოვთან წერილი გამოგზავნა, რომელშიც ირწმუნებოდა, რომ ირანი რუსეთთან დაზავებისათვის იღწვოდა[2].

მაშინ, როდესაც რუსეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ ახალ-ახალ წერილებს აგზავნიდა ირანის მთავრობა, აბას-მირზა თავდასხმების გეგმებს აწყობდა. აბას-მირზა გოქჩის ტბისა და ერევნის მიდამოებში იყო დაბანაკებული. მისი ძმა მამად-ალი-მირზა რამდენიმეჯერ შეეცადა საქართველოს საზღვრები გადმოელახა და შეძლო კიდეც ბორჩალოს პროვინციაში შემოჭრა; მისმა რაზმებმა აყარეს 8 სოფელი თავისი პირუტყვით და ეწადათ ირანში წაესხათ, მაგრამ ბორჩალოელმა აზერბაიჯანელებმა მტერს გამანადგურებელი დარტყმა აგემეს და ტყვეები და პირუტყვი დაატოვებინეს[3]. შერცხვენილი მამად-ალი-მირზა თავისივე რაზმებით უკანვე გაბრუნდა ხელცარიელი და ყარსის საფაშოს გავლით ერევნის მიმართულებით გაუჩინარდა.

ირკვევა, რომ ინგლისის უშუალო ზემოქმედებით ირანის მთავრობა ცდილობდა 1809 წლისათვის გამოენახა საერთო ენა ოსმალეთის მთავრობასთან რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ირანის მთავრობა ახალციხის ფაშას ფინანსურ დახმარებას უწევდა და რუსეთის ჯარებთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის აქეზებდა. ირანის შაჰს ფაშასათვის, ჯარის ორგანიზაციის მიზნით, გაუგზავნია ალექსანდრე ბატონიშვილი. ამის შესახებ რუმიანცევისადმი ტორმასოვის მიერ 1809 წლის სექტემბრის თვეში გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: ახალციხის სელიმ ფაშა *«вместе с Александром царевичем в его владении находящимся делает сбор войск и за деньги, от персиян полученныя, нанял уже несколько тысяч лезгин, намереваясь напасть на Карталинию»*[4]. (ხაზი ჩვენია, ნ. ჭ.)

---

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 218, л. 87.
[2] იქვე, ფფ. 87—88.
[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 91 об.
[4] იქვე, ფ. 92.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ირანი დიდძალ ფინანსებს ღებულობდა ინგლისიდან; სწორედ ამ თანხას აგზავნიდა ირანის შაჰი ოსმალეთის იმპერიის მოსაზღვრე საფაშოებში, კერძოდ ახალციხის საფაშოში და მას თავის მოკავშირედ აქცევდა. ირან-ოსმალეთის დაახლოების საქმეში ინგლისელების მიერ გაცემული ფინანსები საკმაო როლს თამაშობდა. ოსმალეთისა და ირანის მთავრობების მზრუნველობის ქვეშ მყოფი ახალციხის ფაშა, ცხადია, საშიში ძალა გახდა საქართველოსათვის. ამიტომ გენ. ტორმასოვს ყოველთვის მზად უნდა ჰყოლოდა მის წინააღმდეგ საბრძოლველად საკმაოდ ძლიერი სამხედრო ძალა. ირანის შაჰი ახალციხის ფაშას ალექსანდრე ბატონიშვილის საშუალებით უკავშირდებოდა; იგი აკავშირებდა ირანის შაჰს აგრეთვე იმერეთის მეფე სოლომონ II-სთან.

1809 წ. 31 აგვისტოს გენ. ტორმასოვისათვის გენ. დ. ორბელიანისაგან ცნობილი გახდა, რომ მაშინ, როდესაც ფოთის ციხესიმაგრე რუსეთის ჯარსა და ქართველთა მილიციას ალყაში ჰქონდა მოქცეული, «царь Соломон имел свидание на имеретинской границе от стороны Ахалциха с Александром царевичем, прибывшим в Ахалцих с знатною суммою денег для возбуждения Ахалцихского паши, имеретии и горских осетинцев».[1]

ტორმასოვისათვის ცნობილი გახდა ისიც, რომ სოლომონ II-ეს ალექსანდრე ბატონიშვილთან შეხვედრის შემდეგ საიდუმლო წერილით გაუგზავნია ახალციხის ფაშასთან და ირანის შაჰთან თავისი სიძე მალხაზ ანდრონიკაშვილი, რაჭის ერისთავი და თავ. როსტომ ნიჟარაძე. როგორც ირკვევა, იქმნებოდა რუსეთის წინააღმდეგ ერთიანი ლაშქრობის გეგმა. სოლომონ II-ს განზრახული ჰქონდა რუსეთის ჯარების განადგურება არა მარტო იმერეთში, იგი აგრეთვე ახალციხის ფაშასთან და ირანის ჯარებთან ერთად ქართლში უნდა შეჭრილიყო და ქართლ-კახეთიდან რუსეთის ჯარები განედევნა.

ტორმასოვი რუმიანცევს 1809 წ. შემოდგომაზე სწერდა: «Царь Соломон никогда не перестанет делать нам безпокойства и вредить нашим делам».[2]

გარდა ამისა, 1809 წ. შემოდგომაზე ტორმასოვი უკვე გრძნობდა, რომ ირანსა და ოსმალეთს შორის სამხედრო კავშირის გაფორმების საქმე მომწიფებული იყო; რუსეთის საგარეო საქმეთა სამინის-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 96.
[2] იქვე, ფ. 97.

ტორმასთვის კონსტანტინოპოლიდან ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მოსაზღვრე საფაშოები ირანის ჯარებთან ერთად გამოვიდოდნენ რუსეთის წინააღმდეგ. ტორმასოვი 1809 წ. 25 სექტემბერს რუმიანცევს აცნობებდა, რომ *«известия о предприятиях персиян и стараниях при Порте, чтобы поставить на здешний край в соединенное действие с ними соседние с Грузиею турецкие пашалыки, сообщенныя мне вашим сиятельством и дошедшия до вас из Царьграда известными каналами, должно быть совершенно справедливо. Ибо самыя события в нынешнее лето оправдали достоверность оных»*[1] (ხაზი ჩვენია, ნ. ჭ.). ირანსა და ოსმალეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმების საქმე დღითი დღე რეალური ხდებოდა. ირანსა და რუსეთს შორის საზავო მოლაპარაკება ჩაიშალა, ირანს გაგზავნილი პოდპოლკოვნიკი ბარონი ვრედე რუსეთის ბანაკს დაუბრუნდა. მირზა ბეზიურგს მასთან ერთად გამოუგზავნია ირანის სამხედრო მოხელე მამად-ბეკი, რომელიც საქმაო ხანს ფრანგების მიერ ირანში ჩამოყალიბებული რეგულარული არმიის თავრიზის პოლკის სარანგი (მეთაური) იყო. მირზა ბეზიურგი ითხოვდა მომავალი საზავო მოლაპარაკებისათვის ევროპული წესის მიხედვით განესაზღვრა ტორმასოვს ირანისათვის დიპლომატიური მისიის წევრთა რაოდენობა. მამად-ბეკიმ ტორმასოვთან საუბარში სარწმუნოდ განაცხადა, რომ **«Английский посол при персидском дворе не щадил денег, чтобы возстановить персидское правительство против России и разорвать мирныя скошения»**:[2] როგორც მოტანილიდან დასტურდება, თვითონ ირანელებიც კი არ უარყოფდნენ იმას, რომ საზავო მოლაპარაკების ჩაშლის ძირითადი მიზეზი ინგლისელები იყვნენ. ადრე (1808 წ.) ფრანგებმა შეუწყვეს ხელი ირანსა და რუსეთს შორის საზავო მოლაპარაკების ჩაშლას, ახლა კი ინგლისელებმა გააგრძელეს ფრანგების ეს ტრადიციული საქმიანობა.

მაშინ, როდესაც ირანსა და რუსეთს შორის წარმოებდა საზავო ხელშეკრულების პირობების შესახებ მიმოწერა და მწიფდებოდა აზრი, რომ ირანს ხელი აეღო ამიერკავკასიაში თავის პრეტენზიებზე იმ ქვეყნების მიმართ, რომლებმაც უკვე მიიღეს რუსეთის ქვეშევრდომობა, ირანში (1809 წ. შემოდგომაზე), ტორმასოვის ცნობით, ჩასულა ინგლისიდან **«еще новый посланец с большею денежною**

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 98.
[2] იქვე, ფ. 117.

суммою и всячески старается, внушить персиянам о возможности завладеть Грузиею, обещевая для того вспомоществование в деньгах и предлагая персидскому правительству послать в Санктпетербург одного хана с предложением, чтобы Россия оставила Грузию и возвратила завоеванныя у Персии места, или правительство персидское будет искать их возвращения силою оружия»[1] (ჩაზი ჩვენია, ნ. ჭ.).

მოტანილი საბუთი მეტყველებს იმის შესახებ, რომ ინგლისელები დიდძალ ფულს აყრიდნენ ირანს, რათა გაეძლიერებინა თავისი ექსპანსიონისტური პოლიტიკა ამიერკავკასიის ხალხების, კერძოდ, საქართველოს მიმართ; ინგლისელები შაჰის ხელისუფლებას სცნობდნენ საქართველოსა და მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაზე. ინგლისს უდავოდ საკუთარი ინტერესებიც ამოძრავებდა ამიერკავკასიაში; უანგაროდ კი ივი არასოდეს არავის დახმარებია და არც ირანსა და ოსმალეთს დაეხმარებოდა. პოლკოვნიკ ენსგოლმი, რომელიც კარგად იცნობდა ინგლისელების პოლიტიკას ირანში, კითხვას სვამდა, თუ რა ინტერესებდათ ინგლისელებს ირანში, რატომ უბიძგებდნენ ისინი ირანს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ივი დასმულ კითხვაზე ასე პასუხობდა: «Позволено догадываться, что господа сии (ლაპარაკია ინგლისელებზე, ნ. ჭ.) сами увлечены были вероятностию успеха и в уме своем разделяли уже земли Грузии на плантажи и находили в оной другую Индию»[2].

პოლკოვნიკ ენსგოლმის ეს მოსაზრება უდავოდ საყურადღებოა. მართლაცდა, ჩვენს ხელთ არსებული საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ინგლისელები საკმაოდ დიდ ინტერესს ამჟღავნებდნენ კავკასიის მიმართ, მათ ინტერესებდათ კახპიისა და შავი ზღვების აუზი, ვარაუდობდნენ გემთსაშენი ვერფების აგებას, ცდილობდნენ ამიერკავკასიის ვაჭრობა საკუთარ კონტროლქვეშ მოექციათ; ისინი დიდად იყვნენ დაინტერესებული აბრეშუმის ნედლე-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 123 об.

[2] ЦГВИА, ф. 446, д. 12, л. 46 и об. Военно-политическое обозрение персидского государства, сочиненное свиты его императорского величества по квартермейстерской части полковником Энгольмом, 1827 г.

ულით და ამიტომ ეჭვს არ იწვევს პოლკოვნიკ ენსგოლმის ზემოთ მოტანილი სიტყვები იმის შესახებ, რომ ინგლისელებს ვარაუდი ჰქონდათ ბუნებრივი პირობებით უხვად დაჯილდოებულ საქართველოში საკუთარი პლანტაციები მოეწყოთ და საქართველო ამიერკავკასიის სხვა პროვინციებთან ერთად კოლონიალურ მდგომარეობაში ჩაეყენებიათ. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას კოლოსალური ხარჯის გაწევის ის რისკი, რასაც ინგლისის მთავრობა იჩენდა ირანის მიმართ.

თუ რუსეთი არ დაუთმობდა ირანს საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა ტერიტორიებს, მაშინ ინგლისელები ვარაუდობდნენ 1810 წლის გაზაფხულზე დაეწყოთ გენერალური ბრძოლა ირანისა და ოსმალეთის გაერთიანებული არმიებისა რუსეთის წინააღმდეგ. 1809 წლის შემოდგომაზე დაიწყო ინგლისელ სამხედრო სპეციალისტთა მეთვალყურეობითა და მითითებებით ირანის ციხე-სიმაგრეების რეკონსტრუქცია, ახალი შეიარაღებით არმიის აღჭურვა და სხვ. ინგლისის ელჩები ირანსა და ოსმალეთში ურჩევდნენ შაჰსა და სულთანს მომავალი 1810 წლის გაზაფხულისათვის გაერთიანებული სამხედრო ძალებითა და საომარი საშუალებებით დაერტყათ რუსეთის არმიისათვის. იმ მიზნით, რომ ეს საქმე მოგვარებულიყო, ირანის მთავრობას კონსტანტინოპოლში გაუგზავნია თავისი დიპლომატი დიდძალი და ძვირფასი საჩუქრებით ოსმალეთის სულთანთან. იგი ოსმალეთში უნდა დაკავშირებოდა ინგლისის სამხედრო მისიას, *«чтобы согласить турецкого султана на содействие Персии всеми силами азиатской Турции противу войск, в Грузии расположенных»* [1] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.).

როგორც ითქვა, ალექსანდრე ბატონიშვილი ბაბა-ხანის განკარგულებით ახალციხეში იმყოფებოდა. მას დავალებული ჰქონდა 1809-1810 წწ. ზამთარში იქვე დარჩენილიყო და ყოველგვარ საშუალებათა გამოყენებით ეცადნა ოსმალეთის საფაშოები დაერაზმა საქართველოს წინააღმდეგ ინტენსიური საომარი მოქმედებისათვის ირანელებთან ერთად[2] დაელესტანს, ყაბარდოსა და სხვა ადგილებში გაეგზავნენ ირანის ჯაშუშები დიდძალი თანხით, რათა მთის ხალხების მოსყიდვა-გადმობირებით გადაეჭრათ საკომუნიკაციო გზები, შეეფერხებინათ სურსათ-სანოვაგის მიწოდება, შეეიარაღებინათ და

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 124.

[2] იქვე.

აემხედრებიათ ადგილობრივი მოსახლეობა რუსეთის წინააღმდეგ[1]. 1810 წლისათვის მეტად მძიმე პირობები იქმნებოდა ამიერკავკასიაში. ტორმასოვი 1809 წლის მიწურულს აუწყებდა რუმიანცევს საქართველოსა და ამიერკავკასიაში შექმნილი რთული მდგომარეობის შესახებ. განსაკუთრებით ამახვილებდა მის ყურადღებას იმაზე, რომ იმერეთის მეფე სოლომონ II-ს უკავშირდებოდნენ როგორც ირანი, ასევე ოსმალეთი; მთიან ოსეთში ხშირად იგზავნებოდა ირანის შაჰის, ახალციხის ფაშასა და ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ დიდძალი თანხა და წერილები; ისინი მოუწოდებდნენ ოსებს აჯანყებისაკენ. ირანის შაჰის მიერ ინგლისური ოქრო-ვერცხლით დასაჩუქრებული და გადიდგულებული ყაზი-ყუმუხის სურხაისანი, ყუბისა და დარუბანდის ყოფილი შიხალი-ხანი და დაღესტნის წარჩინებულთა დიდი ნაწილი, ირან-ოსმალეთის ძალებთან ერთად. მიმართულნი იყვნენ საქართველოს წინააღმდეგ. ტორმასოვი სინანულს გამოთქვამდა, რომ იმ ძალებით, რომელიც მაშინ მას გააჩნდა ამიერკავკასიაში, შეტევითი ოპერაციების წარმოება შეუძლებელი იქნებოდა; საფიქრებელი იყო მტერს სერიოზული წარმატებაც კი მოეპოვებინა.

საგარეო საქმეთა მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში ტორმასოვი წერდა, რომ ირანის შაჰმა და სულთანმა ნამდვილად შეძლეს ყაბარდოელების, ჩერქეზებისა და ჩეჩნების თავკაცების გადაბირება-მოსყიდვა[2]. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნული ხალხების მდაბიო ფენა არ ყოფილა თანახმა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისა[3].

საარქივო საბუთების მიხედვით შესაძლებელია იმის წარმოდგენა, თუ როგორი მძიმე უნდა ყოფილიყო 1810 წელი რუსეთის ჯარებისათვის კავკასიაში. მზადდებოდა, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ მას, ირან-ოსმალეთის ჯარების კომბინირებული ლაშქრობა საქართველოს წინააღმდეგ, ხოლო ამიერკავკასიაში რუსეთის არმიის ზურგში ანტირუსული ამბოხებანი, რომელთა ფესვები ირან-ოსმალეთისა და ინგლისის აგენტურის საქმიანობაში იხლართებოდა. ტორმასოვი ხედავდა რა მდგომარეობის სირთულეს, კავკასიის ჯარების რიცხობრივი შემადგენლობის გაზრდას მოითხოვდა, წინააღ-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 124.
[2] იქვე, ფ. 84.
[3] იქვე, ფ. 83.

მდეგ შემთხვევაში, როგორც იგი იწერებოდა «трудно и невозможно было бы изворотиться во всех местах и удержать целость здешняго края».[1]

1809 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში ახალციხის მხრიდან ლეკი აბრაგების რამდენიმე პარტია, დაღესტანში განთქმული მძარცველთა ბელადის ნურ-მამადის მეთაურობით, თავს დაესხა ქართლის სოფლებს, გაიტაცეს ტყვეები, დიდძალი პირუტყვი და გასწიეს ახალციხისაკენ. ეს იყო თავისებური ცდა ლეკი აბრაგების მიერ ძალების მოსინჯვისა. ლეკებს დაედევნენ ქართლის დიდებულები თავიანთი ყმა-გლეხებით, რომელთა სოფლებიც ლეკთა მიერ იქნა გაძარცული, და სასტიკი დღე აყარეს მათ[2]. ლეკთა მეორე, 300 აბრაგ-საგან შემდგარ პარტიას დონის პოლკის რაზმები გამოუდგნენ. 30-მდე ლეკი-მძარცველი მოკლულ იქნა, რამდენიმე ტყვედ ჩავარდა, ხოლო გატაცებული ტყვე და პირუტყვი დაატოვებინეს.

ნიეგოროდის დრაგუნთა პოლკის ერთი ესკადრონი, ყაბარდოს მუშკეტერთა პოლკის ერთი ასეული და ქართველთა ცხენოსანი მილიცია ერთდროულად გამოუდგნენ ლეკ-აბრაგთა 800-ბანდიტისაგან შემდგარ პარტიას, რომელშიც იყო მათი ბელადი ნურ-მამადი. რუსი ჯარისკაცებისა და ქართველთა რაზმების გაერთიანებულმა ძალებმა მთლიანად გაანადგურეს მძარცველთა ბრბო 1809 წლის 6 სექტემბერს. ლეკთა ერთ-ერთ ბრბოს გამოუდგა ყაბარდოს მუშკეტერთა პოლკის ორი ასეული მაიორ ორბელიანის მეთაურობით და მძარცველები მთლიანად ამოჟლიტეს[3].

1809 წლის ოპერაციებში ირანელებისა და ლეკების წინააღმდეგ, ისე როგორც ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც აღინიშნა, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები, რომელთაგან მრავალი გენ. ტორმასოვს იმპერატორისათვის დასაჯილდოებლად წარუდგენია 1809 წ. 21 ნოემბერს. ტორმასოვის წარდგინება ალექსანდრე I-ს კიდევაც დაუდასტურებია[4].

მაგრამ მტერი არ ცხრებოდა. ახდენდა საომარი ძალებისა და სამხედრო საშუალებების მობილიზაციასა და საქართველოს საზღვრებზე მათს დისლოკაციას. საფრთხის ქვეშ აყენებდა საქართვე-

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, лл. 125—126.

[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6166, ч. 2, л. 125 и об.

[3] იქვე ფ. 126—127.

[4] სამხედრო მინისტრის მოადგილე გენ. ტორმასოვს ამის შესახებ შემ-

ლოს. დამაფიქრებელი იყო 1810 წლის დამდეგი. აბას-მირზას გადაწყვეტილი ჰქონდა 1810 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ირანისა და ოსმალეთის გაერთიანებული ჯარების ერთდროული დარტყმით საბოლოოდ დაეპყრო საქართველო და განედევნა რუსეთის ჯარები ამიერკავკასიიდან. 1809 წ. შემოდგომაზე აბას-მირზას გაუგზავნია მოწოდება აყუშინის ყაიტაღმი, რომელიც წარმოადგენს ფრიად საგულისხმო დოკუმენტს იმის დამადასტურებლად, თუ რა დიდი საფრთხე ემუქრებოდა საქართველოს 1810 წლისათვის. აბას-მირზა აყუშინის ყაღს სწერდა:«*По милости аллаха, в то время, когда зефир дуновением своим распространит запах весны, орлы победоносных знамен наших распустят крылья из Тавриза для уничтожения наций вражды и коварства. Тогда визир Юсуф-Зия-Паша двинется чрез Башачук (Имеретия) в Тифлис для очищения этого города от неверных и вследствие единовременного похода с обеих сторон* (ოსმალეთისა და ირანის მხრიდან, ნ. ქ.) *достигнется цель двух держав и исполнятся желания двух дворов*»[1]. (ხაზი ჩვენია ნ. ქ.).

დეგს აუწყებდა: «Государь император, по отношениям вашего высокопроисходительства от 21 ноября прошедшего 1809 года об отличившихся при отражении персидской армии и разбитии лезгинцов, грузинских князях и дворянах, высочайше указать изволил: 1. произвесть в чине майора князя Тарханова в подполковники, князей Адама и Иосифа Бебуровых, Ивана Черкезова, Ивана Гургенидзе, Иосифа Макаева и Заза Тарханова. В пропорщики, заседателя Тифлисской управы земской полиции Колежского секретаря князя Иосифа Орбелиани, в колежские асессоры, а дворянина Адама Нозадзе—в губернские секретари.

2. Наградить серебряными саблями с надписью «за усердную службу»: манора князя Абесалома Бебутова, Тифлисского маршала титулярного советника князя Заала Зурабова—Баратова, Хевсурского моурава надворного советника князя Ивана Чолокаева и капитана князя Давида Тарханова—Моуравова.

3. Производить жалованье серебром подполковнику князью Джамбакурианy—Орбелиану по чину, порутчику Дмитрию Сагинову по 200 руб; подпорутчику из татар Амверду Едигарову, пропорщикам князям Адаму и Иосифу Бебуровым, князю Ревазу Баратову по 150 р. каждому и Тифлисской татарской мечети ахуну Тариверди по 120 руб. серебром в год» (ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 257, л. 192—193).

[1] Акты, т. V, д. 800, стр. 428.

ირკვევა, რომ 1809 წლის შემოდგომისათვის უკვე არსებობდა წინასწარი შეთანხმება ირანსა და ოსმალეთს შორის საქართველოში ერთიანი ლაშქრობის მოწყობის შესახებ, რომლის საფუძველზედაც აღმოსავლეთ საქართველო (ქართლ-კახეთი) ჭ. თბილისითურთ უნდა გადასულიყო ირანის შაჰის ხელში, ხოლო დასავლეთ საქართველო — იმერეთი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი — ოსმალეთის სულთნის ხელში.

1809 წლის შემოდგომაზე ირანელებმა იერიში მიიტანეს თალიშის სახანოზე, რომელიც რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. ოქტომბრის თვეში აბას-მირზას 11000-იანი არმია შეიჭრა და ნაცარ-ტუტად აქცია მირ-მუსტაფა-ხანის რეზიდენცია. თალიშის ხანის რაზმების დიდი ნაწილი შეაკვდა მტერთან ბრძოლას. **«хан с остальною частию своих войск, семейств и их имущества загнан на один полуостров, на малую часть своего владения»**[1] — სწერდა საგარეო საქმეთა მინისტრს რუმიანცევს 1809 წ. 31 ოქტომბერს ტორმასოვი. 1809 წ. 29 ნოემბერს ტორმასოვმა წინადადება მისცა აბას-მირზას დაეტოვებინა თალიშის სახანოს საზღვრები, რადგანაც თალიშის სახანო ჯერ კიდევ 1802 წლიდან მფარველობითი ტრაქტატით დაკავშირებული იყო რუსეთთან[2]; ტორმასოვი მოაგონებდა აბას-მირზას, რომ სამოკავშირეო ხელშეკრულება ავალებდა რუსეთს დაეცვა თალიშის სახანო.

ტორმასოვმა 1809 წ. შემოდგომაზე თალიშის ხანის დასახმარებლად გაგზავნა რამდენიმე ქვეითი ასეული ბაქოდან კასპიის ზღვის ფლოტის ნაწილებთან ერთად, რომლებმაც საკმაო ხანი დაჰყვეს თალიშის სახანოში მის დასაცავად[3].

რუსეთის სარდლობა გრძნობდა რა იმ სიძნელეებს, რომელიც იქმნებოდა ჯარებისათვის ამიერკავკასიაში, და რომ არც დამხმარე ძალების მიღების იმედი იყო, შეეცადა 1810 წლის გაზაფხულზე გაენეახლებინა საზავო მოლაპარაკება ირანთან და დროებითი საზავო ხელშეკრულების გაფორმების საშუალებით, თუ დიდი ხნით არა, მოკლე ვადით მაინც გაეთიშა ირანისა და ოსმალეთის სამხედრო ძალები.

1810 წლის 20 აპრილს ასკარანის ციხის ახლოს ერთმანეთს შეხვდნენ დროებითი ზავის გაფორმების მიზნით ტორმასოვისა და მირზა

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 128 об.
[2] იქვე, ფ. 141.
[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 216.

ბეზიურგის მისიები. მოლაპარაკება მათ შორის 18 დღის განმავლობაში გრძელდებოდა. ტორმასოვმა მირზა ბეზიურგს მოთხოვა თალიშის სახანოდან ჯარების გაყვანა, რაზედაც ირანის სარდალი არ დათანხმდა. ირანის მისია კატეგორიულად მოითხოვდა დროებით საზავო ხელშეკრულებაში არ ყოფილიყო ნახსენები თალიშის სახანო; მირზა ბეზიურგი მას ირანის უცილობელ პროვინციად თვლიდა[1]. თუ დროებითი ზავის არცერთ მუხლში არ აისახებოდა თალიშის სახანოს დამოკიდებულება რუსეთთან, მაშინ ირანელები ფაქტიურად დაიტოვებდნენ იმის უფლებას, რომ იარაღით დაემორჩილებინათ თალიშის მფლობელი მირ-მუსტაფა-ხანი[2]; ე. ი. რუსეთს ფაქტიურად ხელი უნდა აეღო თალიშის სახანოს მიმართ მფარველობის შესახებ არსებულ ხელშეკრულებაზე. დავა ტორმასოვსა და მირზა ბეზიურგს შორის დიდხანს გაგრძელდა; დასასრულ, ტორმასოვი დაეთანხმა მას დროებითი საზავო ხელშეკრულების არტიკულში არ შესულიყო თალიშის სახანოს საკითხი, მხოლოდ იმ პირობით, რომ არცერთ მხარეს საბოლოო ზავის დადებამდე არ შეუყვანია იქ თავისი ჯარები, ანდა მირზა ბეზიურგს, როგორც ირანის მთავრობის სრულუფლებიან წარმომადგენელს, მიეცა ტორმასოვისათვის საგარანტიო წერილი, ზავის გაფორმებამდე თალიშის სახანოში **status quo**-ს შენარჩუნების შესახებ[3], რაზეც მირზა ბეზიურგი დიდი კამათის შემდეგ დათანხმდა. მირზა ბეზიურგი და ტორმასოვი ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ შეთანხმდნენ თითქმის ყველა სადავო საკითხში. სწორედ ასეთ მომენტში მირზა ბეზიურგმა საგანგებო პირის ხელით თავრიზიდან მიიღო საიდუმლო წერილი, რომელმაც ტორმასოვის სიტყვით რომ ვთქვათ, «**приметно охладил то доброе расположение правительства к заключению перемирия, которое дотоле обнаруживаемо было им во многих случаях**»[4]. მაშინ, როდესაც სრული თანხმობა და ურთიერთგაგება იყო მიღწეული, როდესაც საჭირო დოკუმენტებიც მზად იყო ხელმოსაწერად, მირზა ბეზიურგი, ასრულებდა რა თავისი სასახლის განკარგულებას, ახალ-ახალ და სრულიად მოულოდნელ პრეტენზიებს აყენებდა, რითაც ცხლოდა საზავო მოლაპარაკება ჩაეშალა. მირზა ბეზიურ-

[3] ЦГВИА, ф. ВУА, д 6184, л. 215.
[2] იქვე. ფ. 216.
[1] იქვე, ფ. 217
[4] იქვე. ფ. 218.

გმა კატეგორიულად მოითხოვა, რუსეთს ხელი აეღო თალიშის სახანოს მფარველობაზე და ეცნო ირანის მიმართ თალიშის სრული დამოკიდებულება. გარდა ამისა, მირზა ბეზიურგმა მოითხოვა, რუსეთის მთავარსარდლის ტიტულში არ ყოფილიყო ნახსენები სიტყვები: „Главнокомандующий в Дагестане", რითაც იგი ამცდავნებდა ირანის დიდი ხნის წადილს—დაღესტანზე თავისი გავლენა შეენარჩუნებინა.[1]

განსაკუთრებით საყურადღებო იყო მირზა ბეზიურგის მიერ წამოყენებული წინადადება რუსეთის მიმართ ოსმალეთთან ურთიერთობის საკითხში. მირზა ბეზიურგი რუსეთის სარდლობისაგან კატეგორიულად მოითხოვდა: *«Не подымать оружия против Ахалцыхского и Карского пашалыков, по данному оным от персидского правительства обязательству в покровительстве их и защите»*[2] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.). ირანი მოითხოვდა, საქართველოს მოსაზღვრე ოსმალეთის საფაშოების წინააღმდეგ ბრძოლისაგან რუსეთს თავი შეეკავებინა, რადგანაც მათ მფარველობას უწევდა იგი. ირანის მიერ რუსეთისათვის შეთავაზებული საზავო ხელშეკრულების ეს უკანასკნელი ვარიანტი ბოჭავდა რუსეთის სარდლობას ოსმალეთთან ომის პირობებში მოსაზღვრე საფაშოების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში და ფაქტიურად ნიშნავდა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელის აღებას ამიერკავკასიაში. ეს კი იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ირანსა და ოსმალეთს შორის უკვე გაფორმებული იყო სამოკავშირეო ხელშეკრულება რუსეთის წინააღმდეგ. სხვა მოტივით შეუძლებელია აიხსნას ირანსა და ოსმალეთს შორის ადრე არსებულ წინააღმდეგობათა პირობებში, რომლებიც აქამდე გადაუჭრელი რჩებოდნენ, ასეთი პრეტენზიული მოთხოვნის წამოყენება ირანის მიერ ოსმალეთის სასარგებლოდ. დასასრულ, მირზა ბეზიურგი მოითხოვდა ირანისათვის ყარაბაღის სახანოს დიდი ნაწილის გადაცემას[3]. რუსეთის მიმართ ამგვარი მოთხოვნების წაყენებას, ბუნებრივია, საზავო მოლაპარაკების ჩაშლა უნდა მოჰყოლოდა.

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 218; შდრ. Потто, Утверждение русского владычества на Кавказе, т. 2, стр. 161—163, Тифлис 1902 г.

[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 216.

[3] იქვე, 83. 219.

საარქივო მასალები ერთხმად ადასტურებენ, რომ ამჯერადაც საზავო მოლაპარაკების ჩაშლის ორგანიზატორები ინგლისელები იყვნენ, პირველყოვლისა, ინგლისის ელჩი ირანში ჰარფორდ ჯონსი და ინგლისის ელჩი ოსმალეთში ადერი. საყურადღებოა ტორმასოვის წერილი საგარეო საქმეთა მინისტრ რუმიანცევისადმი, სადაც ვკითხულობთ: »*Столь неожидаемая перемена и охлаждения персидского правительства к постановлению перемирия, которого прежде оное, казалось, искренно желало, произошла, как после я наверное узнал, от напряженных действий аглинского в Персии посольства, а весь золото, щедрою рукою агличанами разсыпаемое при Тейранском кабинете, решило персиян преклониться к их стороне и приостановить перемирие, в коем аглийцкий министр Гарфорт Джонес со всем усилием старался воспрепятствовать чрез разные интриги и вымыслы*»[1] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.).

ჰარფორდ ჯონსი დიდ მატერიალურ მხარდაჭერასთან ერთად, მორალურადაც ამხნევებდა და აქეზებდა ირანის არმიასა და მთავრობას რუსეთის წინააღმდეგ ომის გაგრძელებისათვის. იგი არწმუნებდა ბაბა-ხანს, რომ ირანი, რომელსაც უკვე გააჩნდა საკმაოდ გაწვრთნილი არმია და დიდი რაოდენობით ინგლისიდან მიღებული არტილერია, «*не имеет надобности в сем перемирии и может легко приобрести потерянные ею провинции во время войны с Россиею, когда еще Персия не имела способов устоять Российским войскам*»[2] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.).

ბუნებრივია, რომ ირან-რუსეთის დაზავების საქმეს ხელს უშლიდა ოსმალეთიც. ოსმალეთის სულთანმა კარგად იცოდა, რომ თუ რუსეთი მისთვის ხელსაყრელ პირობებში შეძლებდა ირანთან საზავო ხელშეკრულების გაფორმებას, მაშინ მას საშუალება მიეცემოდა მთელი ძალები წარემართა საქართველოს მოსაზღვრე საფაშოების წინააღმდეგ. სულთანი დიდძალ საჩუქარს უგზავნიდა ირანის შაჰს და აძლევდა მრავალ დაპირებას, ოღონდ რუსეთთან არ დაედო საზავო ხელშეკრულება. ამის შესახებ ტორმასოვი გრაფ რუმიანცევს აუწყებდა: ირანს რომ ზავი არ დაედო რუსეთთან, სულთნის მიერ «*употреблены были весьма знатные подарки к Тейранскому двору с лестным обещанием разных выгод и вспомоществования 12*

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 221.

[2] იქვე, ფ. 221. შდრ. Потто, указ. соч. т. 2, стр. 163—172.

тысячами лучших войск из Анадолии , отдавая их в совершенное распоряжение наследника Персии»[1] (ხაზი ჩვენია, ნ. ჯ.).

იმ პერიოდში, როდესაც ირანსა და რუსეთს შორის საზავო მოლაპარაკება სწარმოებდა (1810 წ. აპრილ-მაისი), ირანი საბოლოოდ აფორმებდა სამოკავშირეო ხელშეკრულებას ოსმალეთთან; მირზა ბეზიურგმა საზავო მოლაპარაკება სწორედ მაშინ ჩაშალა, როდესაც მიიღო ზუსტი ცნობა ირანსა და ოსმალეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. უთუოდ დასტურდება ის ფაქტიც, რომ სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება ირანსა და ოსმალეთს შორის უშუალოდ ინგლისელების ხელმძღვანელობით ხდებოდა. ფრიად საინტერესოა, და ზემოაღნიშნულს ადასტურებს საგარეო საქმეთა მინისტრის რუმიანცევის მიერ 1810 წლის 24 ივნისის თარიღით ტორმასოვისადმი გამოგზავნილ წერილი, სადაც ვკითხულობთ: *«Могу подтвердить вам, что ваши замечания насчет домогательства англичан и турецкого правительства, дабы не допустить сего перемирия, совершенно основательны, ибо здесь получены верные из Царяграда известия, что в то же время, когда персидское правительство занимало вас переговорами, производились таковыя же и гораздо деятельнее с Портою Оттоманскою, которыя кончились формальным между ими согласием о совокупном противу нас действии, и г-н Адер, хвалился вслух, что он не допустит и в том ручается, чтоб мы успели в нашем ожидании в разсуждении замирения с Персией»*[2] (ხაზი ჩვენია, ნ. ჯ.).

ამგვარად, ცნობილი ხდება, რომ ირანსა და ოსმალეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება გაფორმდა 1810 წლის გაზაფხულზე კონსტანტინოპოლში მყოფი ინგლისის ელჩის ადერის უშუალო მონაწილეობით, რასაც მოჰყვა ირანსა და რუსეთს შორის საზავო მოლაპარაკების ჩაშლა.

ასევე, 1810 წ. 6 ივლისის თარიღით გენ. ტორმასოვის მიერ საგარეო საქმეთა სამინისტროს მისამართით გაგზავნილ დეპეშაში ვკითხულობთ ირანსა და ოსმალეთს შორის სამხედრო კავშირის გაფორმების შესახებ შემდეგს: «Персияне и турки соединились

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 221—222.
[2] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, л. 257, л. 121 и об.

дружественным постановлением и не замедлят действовать совокупно».[1]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ: ინგლისის დიპლომატიის მთელი საქმიანობა მიმართული იყო იქითკენ, რომ ჩაეფუშა რუსეთსა და ირანს შორის ყოველგვარი საზავო მოლაპარაკება, ირანი დაეახლოვებინა ოსმალეთისათვის და ირანისა და ოსმალეთის გაერთიანებული ძალები წარემართა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ამიერკავკასიაში; ინგლისმა თავის მიზანს, მართლაც, მიაღწია და 1810 წ. გაზაფხულის მიწურულს მოხდა ინგლისის უშუალო ინიციატივითა და ზემოქმედებით ირან-ოსმალეთის საომოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება, რასაც უნდა მოჰყოლოდა ირანისა და ოსმალეთის გაერთიანებული ძალების შემოჭრა ამიერკავკასიაში.

---

[1] АВПР, ф. Главный архив, I—13, 1809—1811 гг. д. 8, л. 16 об.

თავი მეშვიდე

იმერეთის მეფის სოლომონ II-ის დაპატიმრება. იმერეთის აჯანყება და ირან-ოსმალეთის გაერთიანებული ჯარების დამარცხება ახალქალაქთან (1810 წ.). სუჯუკ-კალეს აღება

რუსეთის ხელისუფლებას სოლომონ II სახიფათო ფიგურად მიაჩნდა, რადგან მას საკმაო მომხრეები ყავდა არა მარტო დასავლეთ, არამედ აღმოსავლეთ საქართველოშიაც. იგი ამავე დროს დაკავშირებული იყო ირანთან და ოსმალეთთან, რომლებსაც მხარს უჭერდნენ ხან იოგლისი და ხან კიდევ საფრანგეთი. მიუხედავად იმისა, რომ ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლებში რუსეთმა საკმაო წარმატებანი მოიპოვა, სოლომონ II კვლავ იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობაზე ოცნებობდა და ირანისა და ოსმალეთის სამხედრო ძლიერებაზე დაყრდნობის გზით ფიქრობდა თავისი სამეფო ტახტის შენარჩუნებას. ირან-ოსმალეთთან სოლომონ II-ის ურთიერთობა 1808—1809 წწ. რუსეთის სარდლობამ თავისთვის საშიშ საქმედ ჩათვალა და მისი დაპატიმრება განიზრახა. მეფის შეპყრობის საქმე მიენდო გენ. დ. ორბელიანის ადგილზე დანიშნულ გენ. სიმონოვიჩს, რომელსაც რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები „იმერეთის მმართველად" ითვალისწინებდნენ.

რუსეთის მთავრობა არღვევდა იმერეთის მეფესთან დადებულ ხელშეკრულებას და თვითნებობდა.

სოლომონ II 1810 წ. 5 იანვარს ტორმასოვისადმი გაგზავნილ წერილში ამხელდა რუსეთის ხელისუფლების მიერ იმერეთის მეფესა და რუსეთის მთავრობას შორის დადებულ საქვეშევრდომო ტრაქტატის დარღვევის ფაქტებს. იგი წერდა: ა) „სად არს სამკვიდრო სამფლობელო ჩემი ლეჩხუმი, რომლითა შემოველ მფარველობასა ქვეშე, და რომელსა ზედა საშინელისა ფიცითა მაქვს ხელმოწერილობა და პირობა თავადის ციციანოვისა"; მეფე სოლომონი ნაწყენი იყო იმით, რომ ლეჩხუმი, წინააღმდეგ პირობისა, სამეგრელოს მთავარს დადიანს გადაეცა.

ბ) დეხვირში „მოგვიკლეს მეციხოვნე მუნ მყოფთა მოსახლეთა... და ნაცვლად სამართლის მიცემისა წაგვართვეს ციხეცა იგი და მისცეს დადიანს".

გ) მეფის მიერ დალუქულ დუქანს, როგორც სოლომონი წერს, ერთმა პოლკოვნიკმა „მოგლიჯა სამეფო ბეჭედი ჩვენი, გატეხა დუქანი, გამოიღო საქონელი და მისცა ჩვენ მიერ განწყრომილსა ვაჭარსა ჩვენსა".

დ) ციციანოვთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, იმერეთის სამეფოში უნდა მდგარიყო „მცირე ნაწილი მხედრობისა როტა ერთი ასოცი კაცი..., ხოლო აწ სადაცა მე არა მნებავს, უკითხავად ჩემდა დგანან სიმრავლე მხედრობისა" — ჩივის სოლომონი.

ე)ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო, „იმერეთს არა გარდმოვიდეს საჭურველიანი სალდათი არცა ერთი", მაგრამ ეს დაირღვა და სოლომონის თქმით იქ „აწ პოლკები დაზამთრებულ არიან".

ვ) „წაგვართვეს ქალაქიცა ჩვენი ქუთაისი, სადაცა აღარა არს მყოფობა ჩვენი ესოდენთა წელიწადთა".

ზ) „ქუთაისს სამეფოსა სასახლესა და თვით საწოლსა შ'ა ჩემსა, დაბალთა მოხელეთა უსხდათ ხასები, წართმეულნი თავადთა ჩემთა მოახლენი" — საყვედურობს იმერეთის მეფე.

თ) „დააქციეს სამეფო სასახლე ჩემი ქუთაისს ვიდრე საფუძვლამდე" — მიუთითებს იგი.

ი) იმერეთის მეფის სოლომონ II-ის სიძე დავით წულუკიძე,— ნათქვამია საბუთში, — „სალდათებმა შეიპყრეს, ქუთაისს ათრიეს, გალახეს, თავი გაუტეხეს".

კ) „და უკეთუ დაიცვეს წმინდად (რუსეთის მთავრობის წარმომადგუნებმა ის ტრაქტატი, რომელიც იმერეთსა და რუსეთს შორის ჯერ კიდევ ადრე გაფორმდა, ნ. ქ.) ესოდენთა წელიწადთა დგანან მხედრობანი რუსეთისანი, სამეფოსა შ'ა ჩემსა ვითარცა სახლსა შინა თვისსა, და იზრდებიან შეშითა, სახლითა ჩვენ მიერ მიცემულითა, პროვიანტითა, ფურაჟითა, ხარითა, ცხენითა, ურემითა, სასმელითა და საზრდელითა და წარვლენ დღეთა ზამთრისა და ზაფხულისათა მშვიდობით, გარნა ნაცვლად მადლობისა, გვაგინებენ და შეურაცხჰყოფენ თავადთა და კეთილშობილთა ჩვენთა"[1].

---

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 218, л. 73 и 77 об. Ср. Акты, т. IV, стр. 214—216.

სოლომონ II-ის წერილი დამაფიქრებელი იყო. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ნამდვილად არღვევდნენ 1804 წ. გაფორმებულ ტრაქტატს, დღითი-დღე უფრო ღრმად ერეოდნენ იმერეთის სამეფოს საშინაო საქმეებში. ზემოთ მოტანილი ფაქტები საინტერესოა არა მხოლოდ იმ მხრივ, თუ როგორ იყო შეკვეთილი ებული უკანასკნელ ხანებში იმერეთის მეფე, არამედ იმ აზრითაც, თუ როგორი დამოკიდებულება იჩენდა რუსეთის ხელისუფლება ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. იმერეთში მყოფი რუსეთის ჯარი უნდა შეემარაგებინა ადგილობრივ მოსახლეობას სათბობით, ბინით, სურსათ-სანოვაგით, ფურაჟით, გამწევი ძალითა და ყველაფრით, რაც კი ჯარისთვის იყო საჭირო; სამაგიეროდ ცარიზმის წარმომადგენლები მოსახლეობას, ნაცვლად მადლობისა, აბუჩად იგდებდნენ, შეურაცხყოფდნენ. ეს კი უკმაყოფილებას იწვევდა არა მარტო საზოგადოების ზედა ფენებში, არამედ მდაბიო ხალხშიაც, რომელიც ყველაზე მეტად იჩაგრებოდა.

იმერეთის სამეფოს გაუქმება რუსეთის მთავრობას პერსპექტივაში გადაწყვეტილი ჰქონდა; რადგან დამატებით სამხედრო ძალების იმერეთში შეყვანა შეუძლებელი იყო ჯარის სიმცირის გამო, რუსეთის მთავრობამ, როგორც შენიშნავს პროფ. დუმბაძე, „იმერეთში შინაფეოდალური განხეთქილების გაღვივების ხერხს მიმართა. გადაწყვიტეს მეფისაგან გურიელის ჩამოცილება, რაჭის საერისთაოს აღდგენა და (სამეგრელოს მთავართან ერთად) მათი გამოყენება მეფის წინააღმდეგ“[1].

ცნობილია, რომ 1804 წელს „მფარველობრთი ხელშეკრულება“ გურიასთან ცალკე არ გაფორმებულა, რადგან ფორმალურად გურია იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, მიუხედავად იმისა, რომ გურიის მთავრები, მსგავსად სამეგრელოს მთავრებისა, არ სცნობდნენ იმერეთის მეფის ხელისუფლებას. რუსეთის მთავრობა, როგორც ტორმასოვის 1810 წ. 12 ოქტომბერს რუმიანცევისადმი გაგზავნილი წერილიდან ჩანს, იყენებდა იმერეთში თავისი ხელისუფლების დამკვიდრებისათვის ადგილობრივი მთავრების მეფისადმი დაპირისპირების მეთოდს; ტორმასოვი წერდა: «Силу одного

[1] მ. დ უ მ ბ ა ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 191.

владельца можно будет противу полагать другому в неизбежных случаях»[1].

იმერეთის სამეფოს სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი პაპია გურიელის ბიძა იყო, რომლის საშუალებით ტორმასოვმა შეძლო გურიელის არა მარტო სოლომონ II-საგან ჩამოშორება, არამედ უკანასკნელისადმი დაპირისპირებაც. რელიეფურად ასახავს ტორმასოვის პოლიტიკას ზემოაღნიშნული წერილი, სადაც ვკითხულობთ: **«Я почел необходимо нужным обратиться к средствам, через кой бы не только отвратить владетеля Гурии от соединения с царем, но еще восстановить его против царя»**[2].

სამეგრელოსა და გურიის მთავრები, მეფის ეს ურჩი ვასალები რუსი მოხელეების წაქეზებით მხარში ამოუდგნენ რუსეთის მთავრობას საკუთარი პრივილეგიების შენარჩუნებით დაიმედებულნი. ტორმასოვი გურიის სამთავროსადმი დამოკიდებულებაში უფრო შორს წავიდა. იგი მოითხოვდა, იმპერატორს დაეკმაყოფილებია გურიელის თხოვნა და გურიის სამთავრო ცალკე მიეღო თავის მფარველობის ქვეშ იმ სახით, რა სახითაც არსებობდა სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. იგი ასაბუთებდა ამ აზრის სისწორეს იმით, რომ გურიის მთავარი საჭირო შემთხვევაში თვითონ მიიღებდა აქტიურ მონაწილეობას ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში და უნარი შესწევდა მას დაეცვა თავისი სამთავროს საზღვრები ოსმალებისაგან; საჭირო იქნებოდა რუსეთის მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის სამხედრო ძალა გურიაში, იმიც განსაკუთრებულ შემთხვევაში[3]. მართლაც, ასეთი ხელშეკრულება რუსეთის მთავრობამ გააფორმა გურიის სამთავროსთან, რითაც გააქტიურა მამია გურიელის მოქმედება როგორც იმერეთის მეფის, ასევე ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სოლომონ II-ის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის მთავრობას დიდ სამსახურს უწევდა ზურაბ წერეთელი; ტორმასოვი ზურაბ წერეთელს ამიტომაც უწოდებდა გენ. დ. ორბელიანის თანაშემწეს, რომელსაც დავალებული ჰქონდა იმერეთის თავადაზნაურობა გადაებირებინა რუსეთის მთავრობის მხარეზე და ამით გაეადვილებინა მისთვის სოლომონ მეფის ტახტიდან ჩამოგდება[4].

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 289 об.
[2] იქვე, ფ. 287.
[3] იქვე, ფ. 289.
[4] Акты, т. IV, д. 289. стр. 207.

1810 წლის ადრე გაზაფხული იმერეთის სამეფოსათვის მეტისმეტად მძიმე იყო. ტორმასოვისათვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მოსაზღვრე საფაშოებში ოსმალეთი თავს უყრიდა ჯარს, რაც რუსეთის სარდლობას აიძულებდა მზადყოფნაში ყოფილიყო. ტორმასოვისათვის ისიც გახდა ცნობილი, რომ იმერეთის მეფე ოსმალეთის ფაშებს რუსეთის წინააღმდეგ აქეზებდა[1]. ამიტომ ტორმასოვმა საჭიროდ სცნო სოლომონის მიმართ გადამჭრელი ზომების მიღება. 1810 წლის თებერვლის დასაწყისში მის მიერ საგანგებოდ გაიგზავნა იმერეთში რუსი მოხელე მოგილევსკი წინადადებით — დამორჩილებოდა მეფე რუსეთის ხელისუფლების ნება-სურვილს, სამაგიეროდ მას ჰპირდებოდა, რომ იგი ყველა თავის უფლებას შეინარჩუნებდა იმერეთის მმართველობის საქმეში[2]. სოლომონ II არც ტორმასოვს ენდობოდა და არც მის მიერ გამოგზავნილ მოხელეს. მთელი რვა დღე გრძელდებოდა მეფესთან მოლაპარაკება; სოლომონ ლიონიძე ამბობდა იმერეთის მიმართ ცარიზმის ნამდვილ განზრახვას. მოლაპარაკების წარმოებისას მოგილევსკი იმ დასკვნამდე მიკიდა, რომ მეფეს სურდა მოლაპარაკებაში დრო გაეყვანა ადრე გაზაფხულამდე: გაზაფხულზე კი შესაძლებლობა ექნებოდა თავის ტყიან სამეფოში თავშესაფარი ეპოვა და გარეშე ძალების დახმარებას გარანტირებით დაიმედებულს ძლიერი წინააღმდეგობის გაწევის პირობები შეექმნებოდა.

ტორმასოვი მოელოდა, რომ იმერეთის მეფესთან მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდებოდა და ამიტომ ეგერთა მე-9 პოლკის ორი და ხერსონთა პოლკის ერთი ბატალიონი მან იმერეთის საზღვარს მიუახლოვა იმ მოსაზრებით, რომ რუსეთის მიერ შეთავაზებულ პირობებზე უარის თქმის შემთხვევაში, მათ დაეწყოთ მეფის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედება. მართლაც, 15 თებერვალს ტორმასოვმა ბრძანა იმერეთის საზღვარზე მყოფი ჯარები სიმონოვიჩის სარდლობით შეჭრილიყვნენ სამეფოს ტერიტორიაზე. როგორც კი საჭირო პოზიციები დაიკავა რუსეთის ჯარმა, სიმონოვიჩმა მეფეს გაუგზავნა ტორმასოვის წერილი, რითაც უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი იარაღის ძალით ემუქრებოდა[3]. სოლომონ II-ს წინადადება ეძლეოდა: 1. ტორმასოვი-

[1] ЦГВИА. ф. ВУА, д. 6166 ч. 2, л. 203.

[2] იქვე, ფ. 204.

[3] Акты, т. IV, д. 289, стр. 207.

სათვის მძევლებად გამოეგზავნა იმერეთის 4 დიდებული; 2. პეტერბურგს გაეგზავნა დიდებულთა დეპუტაცია ბატონიშვილ კონსტანტინეს, მეფის სიძის მალხაზ ანდრონიკაშვილის, თავადების — სოლომონ ლიონიძის, სეხნია წულუკიძის, ქაიხოსრო წერეთლისა და როსტომ ნიჟარაძის შემადგენლობით; 3. მეფე სრული ნდობით მოჰკიდებოდა რუსეთის ჯარს და თვითონ საცხოვრებლად გადასულიყო ქ. ქუთაისში; 4. იმერეთის დეპუტაციისათვის გაეტანებინა წერილი, რითაც რუსეთის მფარველობისა და ქვეშევრდომობის მიღებისათვის მადლობასთან ერთად პატიება ეთხოვა იმპერატორისათვის იმ დიდი დანაშაულის გამო, რომელიც მას რუსეთის საიმპერატორო ტახტის მიმართ ჰქონდა ჩადენილი და მომავლისათვის კი სრული ერთგულების ვალდებულება ეკისრნა[1]. ამიერიდან, თუ ხელს აიღებდა მტრულ საქმიანობაზე, მეფეს პატიებას ჰპირდებოდნენ.

მოფიქრებისათვის მეფეს დრო ეძლეოდა. სოლომონ II გაეცნო რა წაყენებული ულტიმატუმის პირობებს, უარი შეუთვალა ალმოხოვიჩს აღნიშნული მუხლების შესრულებაზე. მეფე არაფერში არ ენდობოდა რუსეთის ხელისუფლებას და ყველა დაპირება ფარატინა ქაღალდად მიიჩნია. ამის საპასუხოდ პოლკოვნიკ სიმონოვიჩმა დაიწყო სამხედრო მოქმედება. რუსეთის ჯარები ერთდროულად დაიძრნენ ქართლიდან, ქუთაისიდან, სამეგრელოდან და ლეჩხუმიდან. იმერეთის მეფის თავიდან მოცილება დაიწყო მის ჰიმართ ძალის გამოყენების გზით. სოლომონ II-ის წინააღმდეგ ბრძოლაში თავიანთი რაზმებით ჩაებნენ სამეგრელოსა და გურიის მთავრები — ლევან დადიანი და მამია გურიელი. ირკვევა, რომ როდესაც სოლომონ II ვარციხეში იყო გამაგრებული, მას დახმარების სათხოვნელად საიდუმლოდ ელჩები გაუგზავნია ოსმალეთში[2]. ამიტომაც ჩქარობდა რუსეთის სარდლობა იმერეთის მეფის დაპატიმრებას.

20 თებერვალს, რუსეთის ჯარის ნაწილები, სამეგრელოსა და გურიის რაზმები დანიშნულ ადგილზე იყვნენ; ქუთაისის ეკლესიებში გამოაცხადეს ტორმასოვის განკარგულება სოლომონ II-ის სამეფო ხელისუფლების გაუქმების შესახებ. პოლკოვნიკი სიმონოვიჩი მეფის მომხრე თავადაზნაურობას მამულების, ყმებისა და ყოველგვარი ქონების ჩამორთმევით ემუქრებოდა.

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 163 об.

[2] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 218, л, 37.

მეფე ვარციხეში იმყოფებოდა 4000-იანი რაზმით. მაგრამ იმერეთში მრავალრიცხოვანი ჯარის შემოკრებამ მორალურად იმოქმედა მის მომხრეებზე და მეფის რაზმმა დაშლა იწყო[1].

20 თებერვალს ქუთაისის მცხოვრებლებმა მიიღეს ფიცი სამეფოს გაუქმებისა და რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ. ფიცში ნათქვამი იყო: «Царь удаляется навсегда от управления Имеретинским царством и Имеретия приемлется в непосредственное подданство Российской империи»[2].

სამხედრო რაზმების მეთაურები — კაპიტანი ტიტოვი, მაიორი უშაკოვი, მაიორი შელკაჩევი თავიანთი რაზმებით ებრძოდნენ მეფის მომხრე თავადთა რაზმებს და დაიკავეს სამხედრო ნოქმედებისათვის მნიშვნელოვანი მაღლაკის, ჩხარისა და ჯიხაიშის ციხეები. სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი თავისი რაზმებით მხარს უჭერდა ბელევის მუშკეტერთა პოლკს, რომელსაც მაიორი გედრიძოვიჩი მეთაურობდა და რომელიც ოკრიბასა და რაჭაში იდგა, ხოლო მამია გურიელის რაზმები საჯავახოში მყოფ რუსეთის ჯარის ნაწილებს უჭერდა მხარს.

მეგრელთა და ლეჩხუმელთა რაზმებმა, რომლებსაც ლევან დადიანი და ბერი გელოვანი მიუძღოდნენ, საშუალება მისცა მაიორ გედრიმოვიჩს ადვილად დაეძლია წინააღმდეგობა სოლომონ II-ის 2000-იანი რაზმისა, რომელსაც გიორგი წულუკიძე და დავით აბაშიძელი მეთაურობდნენ; უკანასკნელნი უბრძოლველად დანებდნენ მაიორ გედრიმოვიჩის დასახმარებლად მოსულ ქართველთა რაზმს[3].

ლეჩხუმის მოურავის თავად ბერი გელოვანის უშუალო დახმარებით ერთგულების ფიცი მიაღებინეს ოკრიბისა და მისი ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებს, აღებულ იქნა რაჭაში — ხვანჭკარის, სადმელის, ტოლის, ხოტევის, ონის, პატარა ონისა და სხვა ციხეები. მაიორ პრიბილოვსკის წინააღმდეგობის გარეშე დაიკავა სვირის ციხე. ლიხისახევიდან მომავალმა მაიორმა რეუტმა გაანადგურა თავად ქაიხოსრო წერეთლის რაზმი, რომელიც რუსეთის ჯარის ალყაში მყოფ ჩხერის ციხის დასახმარებლად მოდიოდა. ვარციხეში მყოფ სოლომონ II-ეს გზები გადაეჭრა. ჩხერის ციხისა და რაჭის დაკავებამ რუსეთის ჯარების მიერ, მას დიდი სტრატეგიული ადგილები დაუკარგა. პოლკოვნიკ სიჭინოვიჩმა 6 მარტს გადალახა

[1] ЦГВИА, ВУА, д. 6166, ч. 2, л. 206.
[2] იქვე, ფ. 206.
[3] იქვე, ფ. 207.

მდ. რიონი და ვარციხის მიმართულებით წავიდა. იგი უთვალთვალებდა მეფეს, რომ ის არსად გაქცეულიყო[1]. სოლომონის მდგომარეობა სახიფათო იყო, იგი მაშველ ძალებს მოსწყდა. მეფემ ასეთ მომენტში დატოვა ვარციხე და გეზი აიღო ბაღდადის ციხისაკენ. მაგრამ მაიორ კალატოზოვის რაზმმა გადალახა მდინარეები რიონი, ყვირილა და გზა გადაუჭრა მეფეს. სოლომონ II-ემ მიმართულება ხანის ხეობისაკენ აიღო, რომელიც ახალციხისაკენ მიდიოდა. იგი იქ იმედოვნებდა გამაგრებას, სადაც მას 2000-იანი მაშველი რაზმი ელოდა. პოლკოვნიკ ლისანევიჩს ახალციხისაკენ მიმავალი გზა უკვე დაკავებული ჰქონდა. ახალციხის ფაშასთან გაგზავნილმა სოლომონ ლიონიძემ და მალხაზ ანდრონიკაშვილმა მეფეს ოსმალთა ჯარი დროულად ვერ მოაშველეს; სოლომონმა გადაწყვიტა პოლკოვნიკ სიმონოვიჩს ჩაბარებოდა თავისი მცირერიცხოვანი რაზმით[2]. იმერეთის მეფის დატყვევებას რუსეთის მთავრობა დიდ გამარჯვებად მიიჩნევდა. მართლაც, სოლომონ II-ის ხელში ჩაგდებით ცარიზმმა თავიდან მოიცილა იმჟამად ერთი დიდი მოწინააღმდეგე დასავლეთ საქართველოში.

სოლომონმა მოახერხა თავის მომხრე დიდებულთათვის წერილები გაეგზავნა, სადაც იგი იუწყებოდა, რომ რუსეთის მთავრობის წარმომადგენლობასთან მიდიოდა თბილისში მოსალაპარაკებლად და მალე დაბრუნდებოდა იმერეთში. მეფის მომხრე დიდებულები ამის საფუძველზე ავრცელებდნენ იმერეთის მოსახლეობაში ხმას, რომ სოლომონ II კვლავ მალე დაბრუნდებოდა იმერეთში.

მეფის ამალა 500-მდე ცხენოსანი დიდებულისაგან შედგებოდა. გზაში სოლომონ II-მ გაქცევა დაიპირა, მაგრამ მისი ეს განზრახვა მალე გახდა ცნობილი, რამაც დაცვის გაძლიერება გამოიწვია[3]. სოლომონს სოფ. ვარიანში შეხვდა გენ. ტორმასოვი, იქიდან კი შეყვე თბილისს გაიგზავნა.

1810 წლის 10 მაისს. ღამით, როდესაც გენ. ტორმასოვი დროებითი ზავის დადების შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდა ყარაბაღში, ასკარანის ციხის ახლოს მირზა ბეზიურგთან, სოლომონ II შახსრის ტანსაცმელში გადაცმული გაიქცა, მეფემ თავის ტანისამოსთან ერთად დატოვა ალექსანდრე I-ის მიერ ნაბოძები ჯილდოსაჩუქრები და მოახერხა ახალციხის საფაშოში გადასვლა.

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6166, ч. 2, л. 208.

[2] იქვე, 209— 210.

[3] იქვე ფ. 213.

1810 წ. 13 მაისს სოფელ ქოთელში სოლომონ II-ეს შეხვდა ალექსანდრე ბატონიშვილი.

იმერეთის მეფის გაქცევა რუსეთის მთავრობამ დიდ მარცხად ჩათვალა; ფალავანდოვი, პენტელოვი, ავთანდილოვი და სხვ., რომელთაც ბრალი დასდეს ამ საქმის გამო, დახვრეტილ იქნენ; გენ. როზენს, რომელიც ტორმასოვმა თავისი მოვალეობის შემსრულებლად დატოვა, ეჭვის თვალით უყურებდნენ[1].

მთელი საგუბერნიო ხელისუფლება იმპერატორის ბრძანებით პასუხისგებაში იქნა მიცემული.

ირან-ოსმალეთთან მიმდინარე ომის პირობებში რუსეთის პოლიტიკურ მდგომარეობას საქართველოში უდავოდ ამძიმებდა სოლომონ II-ის გაქცევა, რომელიც ახალციხეში ჩასვლისთანავე იმერეთის ტახტის დაბრუნებისათვის ბრძოლის სამზადისს შეუდგა.

ჩვენ მოკლედ შევჩერდებით ომის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა ამ ომების პერიოდში ახალციხის საფაშო. როგორც თაქის დროზე აღინიშნა, ახალციხის საფაშო იყო ოსმალეთისათვის პირველხარისხოვანი პლაცდარმი საქართველოში ბატონობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. მე-19 საუკუნის დასაწყისში კი ოსმალეთს იმპერია პოლიტიკურად დასუსტდა. რამაც თავისი დაღი დაასვა ახალციხის საფაშოსაც, გაართულა მისი მდგომარეობა: ახალციხის ფაშას უკვე განუდგნენ ყარსის ფაშა და აჭარის სელიმ-აღა. ისინი რიგ შემთხვევაში უარს აცხადებდნენ ახალციხის საბუდ-ფაშას განკარგულებათა შესრულებაზე. სელიმ-აღა საიდუმლო კავშირს ამყარებდა რუსეთის სარდლობასთან და ცდილობდა მეგობრული ურთიერთობა ჰქონოდა მასთან.

საბუდ-ფაშას ახალციხეში აღმოაჩნდა ოპოზიციონერები, რომლებიც ცდილობდნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. მართლაც, საბუდ-ფაშა ახალციხის საფაშოდან განდევნილ იქნა; მან თავი შეაფარა ჯერ ქართლს. შემდეგ სოლომონ II-ს. მაგრამ მალე ახალციხის საფაშოში ძალაუფლება ხელთ იგდო შერიფ-ფაშამ, სოლომონ II-ის მეგობარმა, ხოლო საბუდ-ფაშა იმერეთის მეფემ სიკვდილით დასაჯა.

ახალციხის საფაშოში მომხდარი შინაფეოდალური ბრძოლებისა და საბუდ-ფაშას სიკვდილით დასჯის შესახებ ბაგრატ ბატონიშვილი წერდა: „ხოლო წელსა 1802 ახალციხის ფაშა საბუთ გარდაგლო სულეიმან ფაშას შვილმან შარიფმან, მიუღო ახალციხე და გარე-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6166, ч. 2, л. 156—160.

მონი მისნი ყოველნივე. მისრული საბუთ ფაშა ქართლს, იყო მცირე ხანსა, ხოლო ქართლითგან წარვიდა იმერეთს და ენება მუნითვან წარსვლა სტამბოლად. ისტუმრა მეფემან სოლომან და აღუთქვა შეწევნა. მსმენელმან ფაშამან შარიფ აღუთქვა მეფესა სოლომონს მრავალისა მიცემა, რათა მოჰკვეთოს თავი საბუთ ფაშასა და წარუვლინოს მას. ამისმა მსმენელმა მეფემან მოჰკვეთა თავი საბუთ ფაშასა და წარუვლინა შარიფ ფაშასა ახალციხეს"[1].

ოსმალეთის სულთანი შერიფ-ფაშას პოლიტიკით არ ყოფილა კმაყოფილი; მის წინააღმდეგ მალე სულთნის განკარგულებით 20.000-იანი, ჯარი გამოუგზავნიათ ახალციხეში. შერიფ-ფაშას მდგომარეობის გართულებით ისარგებლა სელიმ-აღა ყიფიანმა, რომელიც სიკვდილით დასჯილ საბუდ-ფაშას მეგობარი იყო. იგი წინასწარ შეუთანხმდა ყარსის მაჰმედ-ფაშას, აჭარის მმართველ სელიმ-აღა ხიმშიაშვილს, გენერალ კნორინგს და შეკრა სამხედრო კავშირი შერიფ-ფაშას წინააღმდეგ. სელიმ-აღა ყიფიანმა იეშმაკა; მან დახმარება შესთავაზა შერიფ-ფაშას როგორც რუსების, ისე სერასკირის ჯარების წინააღმდეგ, მხოლოდ იმ პირობით, რომ შერიფ-ფაშას მისთვის მძევლად თავისი საკუთარი ძმა მიეცა. მართლაც, შერიფ-ფაშამ მას მძევლად თავისი საიმედო ძმა გაატანა, რომელიც მალე სიკვდილით იქნა დასჯილი. ამის შემდეგ ადვილი იყო შერიფ-ფაშას თავიდან მოცილება. 1802 წლის 17 ოქტომბერს სელიმ ხიმშიაშვილისა და სელიმ-აღა ყიფიანის მიერ დაკავებულ იქნა ახალციხე, შერიფ-ფაშა კი თავისი მომხრეებით გაიქცა.

ახალციხის მმართველად დაინიშნა რეჯებ-ფაშა, ხოლო 1803 წლისათვის, კაფუჯი ფაშის თანამდებობაზე — სელიმ-აღა ხიმშიაშვილი. ახალციხიდან გაქცევის შემდეგ შერიფ-ფაშამ ჩილდირის მხარე დაიკავა, მალე ბაიაზეთის ფაშას დახმარებით ოლთისის ციხეც მის განკარგულებაში გადავიდა. შერიფ-ფაშას სახელმწიფო ღალატი დაბრალდა, რის გამო მალე გაცემულ იქნა სულთნის ფირმანი მისი სიკვდილით დასჯის შესახებ[2], თუმცა ეს განკარგულება მაშინ სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი. მალე ახალციხის ფაშად დაინიშნა სელიმ-აღა ხიმშიაშვილი. სელიმ-ფაშა 1809 წ. შეჭიდგომაზე, სანამ მას შერიფ-ფაშა შეავიწროებდა, აწარმოებდა რუსეთის

[1] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი ახალი მოთხრობა, გვ. 81, თბ. 1941, წელი.

[2] გ. ტივაძე, ოსმალეთის დერვიშობა და გლეხთა აჯანყებანი XVI—სა. გვ. 216—217.

სარდლობასთან მოლაპარაკებას რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის შესახებ, მაგრამ სინამდვილეში იგი ატყუებდა რუსეთის სარდლობას. მას განზრახული ჰქონდა ირანის ჯარების მხარდამხარ სპარსი საფაშოებთან ერთად, მოეწყო რუსეთის წინააღმდეგ გაერთიანებული ლაშქრობა საქართველოს დასაპყრობად[1]. გენ. ტორმასოვი ძალიან მიუხვდა სელიმ-ფაშას მუხანათურ მოქმედებას; სელიმ-ფაშა 1809 წ. მზად იყო მომავალი მოკავშირის — ირანის შეკვეთით დიდძალი ლეკ-აბრაგები დაეყრილებინა საქართველოზე თავდასხმისათვის. კონსტანტინოპოლში მომხდარმა სახელმწიფო გადატრიალებებმა ხელი შეუწყო შერიფ-ფაშას თავისი რეპუტაცია აღედგინა; იგი ტრაპიზონის სერასკირი გახდა. როგორც ცნობილია, ტრაპიზონის სერასკირი შერიფ-ფაშა სულთნის ბრძანებით წამოვიდა უოლოს მეციხოვნე გარნიზონის დასახმარებლად, მაგრამ იგი ფოთისათვის ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა, მისი მრავალრიცხოვანი არმია მთლიანად განადგურდა. დამარცხებულ სერასკირს შეეშინდა დაბრუნებულიყო ტრაპიზონში, რადგანაც სულთანი და ადგილობრივი დიდებულები სიკვდილით ემუქრებოდნენ; 400-ჰდე კაცით მან თავი შეაფარა გურიის მოსაზღვრე ერთ-ერთ პატარა სიმაგრეს და იქიდან თავისი ძმისწულის სული-ბეგის დახმარებით (რომელიც კარგად იცნობდა ახალციხის საფაშოს და რომელსაც იქ ჰყავდა საკმაოდ ძლიერი მომხრეები), შეეცადა ახალციხის მოსახლეობა აემხედრებინა სელიმ-ფაშას წინააღმდეგ.

სული-ბეგის მოქნილი საქმიანობის შედეგად სელიმ-ფაშა ახალციხიდან გაძევებული იქნა, იგი აჭარაში გაიქცა და იქ ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეში გამაგრდა. მალე შერიფ-ფაშას ერზრუმის სერასკირისაგან მოუვიდა ახალციხის ფაშად მისი დამტკიცების შესახებ განკარგულება. ამრიგად, შერიფ-ფაშამ, რომელიც სოლომონ II-ის ახლო მეგობარი იყო, ახალციხის საფაშო კვლავ დაიბრუნა. ახალციხის საფაშოსათვის დიდი ბრძოლა გაიშალა შერიფ-ფაშასა და აჭარაში გაქცეულ სელიმ-ფაშას შორის, რითაც გენ. ტორმასოვი ცდილობდა ესარგებლნა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლისა და მოსაზღვრე საფაშოების დასუსტებისათვის. სელიმ-ფაშა, რომელიც ხედავდა თავის სისუსტეს შერიფ-ფაშასთან ბრძოლაში, ახლა რუსეთთან დაახლოებისა და დამეგობრების გზას დაადგა. ტორმასოვი,

[1] АВПР, Ф. Гя. архив, 1—13, 1809—1811, д. 8. лл. 5—6.

ზურაბ წერეთლის რჩევით, ცდილობს მამია გურიელის მეშვეობით დაუახლოვდეს აჭარაში თავშეფარებულ ახალციხის სელიმ-ფაშას. ზურაბ წერეთელმა აღუთქვა, რომ იგი თავისი დისწულის — გურიელის მეშვეობით სელიმ-ფაშას რუსეთის მფარველობაში შეიყვანდა. სელიმ-ფაშა თავის მხრივ ნათესაურ ურთიერთობაში იყო მამია გურიელთან. სელიმ-ფაშას შვილი მამია გურიელის სიძე იყო და ამ გზით ცდილობდნენ სელიმ-ფაშას რუსეთის მფარველობის ქვეშ მაღებას. ტორმასოვმა სელიმ-ფაშას შესთავაზა რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის პირობები, რომელიც 11 მუხლისაგან შედგებოდა. სელიმ-ფაშას რუსეთის მთავრობა დიდძალ საჩუქარსა და გენერალ-ლეიტენანტის ჩინს ჰპირდებოდა. რუსეთის მთავრობა ცდილობდა სელიმ-ფაშას შერიფ-ფაშას წინააღმდეგ ბრძოლაში ისეთივე მეთოდები გამოუყენებინა, რაც ადრე იქნა გამოყენებული აფხაზეთში მთავრის ტახტისათვის ბრძოლის დროს გიორგი შერვაშიძის მიერ ასლან-ბეგის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გიორგი შერვაშიძე, რომელმაც მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა, აღიარებულ იქნა აფხაზეთის მთავრის ტახტზე, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტიურად მთავარი ასლან-ბეგი იყო. გიორგი შერვაშიძეს შეძლო, რუსეთისა და საშეგრელოს ჯარების მხარდაჭერით, აფხაზეთის დაკავება. ახალციხის საფაშოს მიმართ იგივე ისტორიის გამეორებას ვარაუდობდა გენ. ტორმასოვი: სელიმ-ფაშაზე მხარდაჭერით, მისი რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღებით, თუ კი იგი რუსეთის ერთგული გამოდგებოდა, ტორმასოვი ახალციხის ფაშას ტახტზე მის აყვანას ფიქრობდა. რუსეთის ჯარის მხარდაჭერით კი იგი გარანტირებული იქნებოდა შერიფ-ფაშას წინააღმდეგ ბრძოლის მთელ მანძილზე[1].

ტორმასოვმა პოლკოვნიკ სიმონოვიჩს მისცა განკარგულება, მოლაპარაკება ეწარმოებინა სელიმ-ფაშასთან იმ ვარაუდით, რომ მისგან გაეგო ყველა საიდუმლეობანი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ახალციხის საფაშოს დაუფლება. სელიმ-ფაშა ხედავდა რა, რომ რუსეთი მას მხარდაჭერას ჰპირდებოდა, თვითონ დაიწყო შერიფ-ფაშას წინააღმდეგ საბრძოლველად ძლიერი პარტიის შედგენა[2].

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 156 и об.

[2] იქვე, ლ. 156—157.

რუსეთის სარდლობა სელიმ-ფაშასათვის საკმაოდ დიდი თანხის გაცემას კარაუდობდა იმ მიზნით, რომ მას გაეჩინა ჯარი შერიფ-ფაშას წინააღმდეგ. 1810 წლის 6 ივლისს ტორმასოვის მიერ რუმიანცევისადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ პოლკოვნიკ სიმონოვიჩისათვის მას გაუგზავნია 3 ათასი ჩერვონეცი და მიუცია განკარგულება ერთგულებისდა მიხედვით ეძლია ეს ფული სელიმ-ფაშასათვის[1].

შერიფ-ფაშა თავის მხრივ, სელიმ-ფაშას წინააღმდეგ ბრძოლის შემსუბუქების მიზნით ნიადაგს სინჯავდა რუსეთის სარდლობასთან. შერიფ-ფაშამ თავისი წარმომადგენელი გამოგზავნა ტორმასოვთან «с изъявлением своей дружбы и желания жить в добром соседстве и мире с Грузиею»[2].

ტორმასოვმა იცოდა შერიფ-ფაშას მტრული განზრახვა, მაგრამ „მეგობრობის“ შესახებ წინადადებაზე, რომელსაც იგი აყენებდა, უარი არ განუცხადებია. ტორმასოვი ერთსა და იმავე დროს ცდილობდა მოებრუნებინა იგი რუსეთისაკენ და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურში ჩაეყენებინა. ტორმასოვი 1810 წ. იანვარში რუმიანცევს სწერდა: «Я не упущу стараний довести и до него внушения, дабы он искал покровительства и подданства Российской империи на тех же условиях, какие предложил Селим паша»[3]

გამორიცხული არაა, რომ რუსეთის მთავრობა ორიენ პრეტენდენტს ჰპირდებოდა დახმარებას და თუ ერთ-ერთი მაინც გაუმართლებდა. განზრახული ჰქონდა მისთვის დაეჭირა მხარი და ახალციხის ფაშად დაესვა. ტორმასოვის აზრით, ახალციხის საფაშოს შემოერთება იმ დროისათვის იყო აუცილებელი საქართველოს უშიშროებისათვის[4]. მართლაც, ახალციხის გზით მოდიოდა საქართველოში, და კერძოდ კი ქართლში, შემოსეული მტრის დიდი ნაწილი: ახალციხეს, ირან-ოსმალეთის სამხედრო კავშირის გაფორმების შემდეგ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგანაც ამ გზით ვარაუდობდნენ ირან-ოსმალეთის ჯარები საქართველოზე თავდასხმას. ირანის მაჰმადი რუსეთის წინააღმდეგ ახალციხე ერთ-ერთ მთავარ პლაცდარმად გაიხადა; აქ ჰქონდა ანტირუსული საქმიანობის წარმოებისათვის მთა-

[1] ЦГВИА. ф. ВУА, д. 6184, л. 250.
[2] იქვე, ფ. 157.
[3] იქვე.
[4] იქვე, ფ. 158.

ვარი შტაბი ალექსანდრე ბატონიშვილს, აქედან იგზავნებოდნენ დიდძალი ჯაშუშები საქართველოში. ამიტომ გასაგები ხდება, რატომ გაიქცა ახალციხეში სოლომონ II და რატომ მიაჩნდა მას ეს ადგილი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებისათვის დასაყრდენ პუნქტად.

იმერეთის მოსახლეობას — გლეხობას, აზნაურებსა და სამღვდელოებას მიაღებინეს ფიცი რუსეთის ქვეშევრდომობაზე[1]. იმერეთის მმართველს პოლკოვნიკ სიმონოვიჩს მთავრობის წინაშე დამსახურებისათვის გენერალ-მაიორის სამხედრო ჩინი უბოძა. იმერეთში დაბანაკდა რუსეთის ჯარის ნაწილები, როჭელთა გამოკვება ადგილობრივ მოსახლეობას დაეკისრა; გარდა ამისა, ისე როგორც ქართლ-კახეთში, მოსახლეობა ვალდებული იყო მთავრობის სასურსათო კომისიებისათვის ჩაებარებინა სურსათი მეტისმეტად დაბალ ფასებში, რაც მოქმედი ფასების მეოთხედს და ზოგჯერ მეხუთედს უდრიდა. „ამ ფასს, — წერდა ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის ისტორიულ წერილში, — აწესებდნენ სრულიად თვითნებურად მთავარმმართველნი და ან გუბერნატორები — აწესებდნენ ადგილობრივი ფასების ნახევარს ან მეოთხედს... ფასების დაწესებისა და განაწილების შემდეგ, რეკვიზიციის წესით საშუალებათა და მოსავლის ანგარიშგაუწევლად—იგზავნებოდნენ პროვიანტ-კომისიონერები. თვითეულ მათგანს ყაზახთა რაზმი ახლდა... ფასის სიმცირით ხალხი ფრიად იყო გამწარებული, თავის საკუთრებას იცავდა და ისე არ ელეოდა მას, სანამ ძალით არ წაართმევდნენ და ფიზიკურად არ დასჯიდნენ. ხანდახან პროვიანტის გამოღება გაწერის მიხედვით ისეთ სოფლებს დაეკისრებოდა ხოლმე, რომელთაც რაიმე მიზეზით საკუთარი პური არ ჰქონდათ და იძულებული იყვნენ სხვებისაგან შეეყიდათ იგი. ამისთანა შემთხვევაში კომისიონერები შემდეგს ორნს მიმართავდნენ: თვითონ იძენდნენ მათ მაგიერ პროვიანტს და მათგან ფულს ღებულობდნენ, მაგრამ არა საბაზრო ფასების მიხედვით; გარდა ამისა, ისინი ფულს ახდევინებდნენ მცხოვრებთ აგრეთვე მოტანასა და ჩაბარებაში, ვინაიდან პურის ჩაბარების დროს მცხოვრებთ ყოველთვის მეტს ახდევინებდნენ. ხოლო როცა, საუბედუროდ, პროვიანტის გაღება გაეწერებოდა ისეთ სოფლებს, რომელთაც არ ჰქონდათ პური არც თვითონ, არც მეზობლებს მოესავ-

[1] Акты, т. IV, д. 330. стр. 245—250.

ლობის გამო, ამისთანა შემთხვევაში მცხოვრებნი კომისიონერების სრულ განკარგულებაში ვარდებოდნენ; კომისიონერი სახაზინო ფასების მიხედვით ფულს მიუყრიდა ხოლმე ვათ და მრისხანედ უბრძანებდა სურსათი გააჩინეთო"[1]. ამგვარი სისტემა სურსათ-სანოვაგისა და ფურაჟის დამზადებისა მტაცებლობის განუსაზღვრელ საშუალებას აძლევდა ინტენდანტებს, რომლებიც უმოწყალოდ ძარცვავდნენ ქართველ გლეხობას. თვითონ გენ. ციციანოვი იძულებული იყო 1805 წ. დამზადების დარგის მოხელეთა შესახებ ეღიარებინა: «К совершенному моему несчастью, в три года здешнего моего пребывания не могу иметь порядочного провиантского чиновника: один под судом умер, другой ныне под судом находится с двумя младшими его чиновниками, третий — управляющий, хотя и чище двух первых, но... не деятелен»[2]. 1808 წელს უფროსი კომისიონერის პოსტზე დანიშნული მოხელე ბოლეცოვი მთავარსარდალს გენერალ გუდოვიჩს სწერდა, რომ «дела Грузинского комиссионерства застал в полном запущении — денежной отчетности не представлялось с 1803 года»[3]. აეთი სასურსათო საგადასახადო სისტემა, რუსი მოხელეების აღვირახსნილი საქმიანობა, ამძიმებდა გლეხობის მდგომარეობას. მოსახლეობა ვალდებული იყო გაეღო არა მარტო სურსათი, არამედ აგრეთვე ომიანობასთან დაკავშირებული ჯარისათვის საჭირო ტვირთსაზიდი გაემართა. ირკვევა, რომ მარტო საქართველოს წლიურად საშუალოდ უნდა მიეწოდებინა 112.000-ზე მეტი ხარ-ურემი თავისი მდევრებით და 99 ათასი ბარგის ცხენი თავის მებარგულებით[4]. ეს ციფრი მაინცდამაინც გადაჭარბებული არ უნდა იყოს; სატრანსპორტო ბეგარის სიმძიმეზე უნდა მეტყველებდეს გლეხთა ის საჩივრებიც, რომლებიც ჩვენამდე შემოინახა. გლეხები წერდნენ, რომ საჭიროებისამებრ სადაც კი მოითხოვდნენ მათ. ისინი მიდიოდნენ თავიანთი ხარებითა და ურმებით. ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ომების დროს სურსათსა და ტყვია-წამალს უზიდავდნენ ელიზავეტპოლში, გუმრში, ახალციხეში, ნუხაში და იმერეთშიაც კი. სადაც ხარ-ურმებით შეუძლე-

---

[1] ალ. ჭავჭავაძე, თხზ. კრებული, ი. გრიშაშვილის რედაქციით, თბ. 1940 გვ. 248.

[2] ЦГВИА, ф. 4,оп. 1, д. 964 л. 19.

[3] იქვე, ფ. 28.

[4] Кавказский сборник, Тифлис, 1902, т. XXIII, стр. 12.

ბელი ხდებოდა მომსახურების გაწევაც იქ ცხენები უნდა გამოეყენებიათ[1].

სიღნაღის მაზრის მოურავს თავად ანდრონიკოვს ბოდბისხეველები სწერდნენ, რომ მათ ფოთში რუსეთის ჯარისათვის ჩაზიდეს სურსათი; მარტო აღნიშნული სოფლიდან 15 ურემი ყოფილა. ამ შორეული მოგზაურობიდან არც ერთი ხარი არ გადარჩენილა, მრავალი გამყოლიც ვერ მსხვერპლად შეუწირავს ამ სამსახურს. ხოლო ბევრი მკაცრი ზამთრისა და ყინვისაგან დაავადმყოფებული დაბრუნებულა[2].

გლეხურ მეურნეობას აჩანაგებდა სატრანსპორტო ბეგარა, რასაც გამწევ ძალასთან ერთად ხშირად ადამიანებიც ეწირებოდნენ. მაშინ როდესაც ბოდბისხევიდან ფოთში მიდიოდა კახელი გლეხი სატრანსპორტო ბეგარის მოსახდელად, ადგილი წარმოსადგენი ხდება, როგორი უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოს გლეხობის ხვედრი. აი, თუნდაც ასეთი მაგალითი: 1811 წლის 13 მარტს იმერეთის სამღვდელოებამ ხალხის სახელით იმერეთის მმართველს შემდეგი განუცხადა: „არ ძალგვიძს დადუმება და, თუ დავიდუმოთ ეს თბოვნა, ვერ მოგვიგონია, ჩვენი თავი და სახლეული რით გამოვზარდოთ და აქამდის მიღწეულა ჩვენი საქმე, რომ ჩვენი თავი ჩვენის ხელით დავიხოცოთ, ამად რომელ არას მკვიდრს, ოჯახშიდ იმერეთშიდ დღეს თავისთვის მუშაობა არ არის თუ გზის ჩეჩვ, თუ ციხის შენებით, თუ მშიერის მუშაობით თქვენთვის, თუ სხვისა და სხვის მწუხარებით, რომელიც ჩვენის მეფის ხელშიდ არც ერთი არა გვქონია და თავისუფალი ვიყვენით. შეუძლებელი არის, რომ მოგართვათ 480 ცხენი, არ ძალგვიძს დახოცითა და აოხრებითა“[3].

ამას ზედ ემატებოდა ბატონყმური ურთიერთობის სიმძიმე, ყმა გლეხთა მძიმე ექსპლუატაცია მებატონეებისაგან. რუსეთის ცარიზმისა და ადგილობრივი ფეოდალების ძალადობამ იმერეთში დიდი მღელვარება გამოიწვია. სოლომონ II-სა და მის მომხრე დიდებულებს სურდათ თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ იგი. მოწოდებებში, რომელსაც ხშირად უგზავნიდა სოლომონ II იმერეთის მცხოვრებთ, ხაზს უსვამდა რუსული რეჟიმის დამკვიდრების უარყოფით მხარეებს და რუსეთის საქართველოში დამკვიდრების

[1] Акты, т, V, д. 90, стр. 62.
[2] Акты, т. V, д. 90, 100, стр. 70.
[3] Акты, т. IV. д. 477, стр. 358.

ფაქტს ერისათვის დამღუპველ საქმედ ხატავდა. ასეთივე შინაარსის წერილებს აგზავნიდნენ აგრეთვე ახალციხეში მეფესთან ერთად გაქცეული იმერელი დიდებულებიც[1].

1810 წ. ივნისის პირველ რიცხვებში აჯანყდა იმერეთი, რომელმაც თბილისთან ყოველგვარი კავშირი მოშალა. აჯანყება ასე დაიწყო: სოფელ საკაროსთან თავი მოიყარა 2 ათასამდე აჯანყებულმა; მიიღო თუ არა ცნობა ამის შესახებ სიმონოვიჩმა, მღელვარების ჩასახშობად ორი ასეული გაგზავნა მაიორ კალატოზოვის მეთაურობით. მას დავალებული ჰქონდა განეფანტა ისინი, რათა მოძრაობას სერიოზული სახე არ მიეღო. აჯანყებულებთან პირველი შეჯახებისთანავე მაიორი კალატოზოვი მოკლეს. რაზმის მეთაურობა იკისრა კაპიტანმა ტიტოვმა. მთავრობის ჯარებთან ხელჩართულ ბრძოლაში აჯანყებულებმა 90 კაცი დაკარგეს. აჯანყება ერთ ხანს თითქოს მინელდა კიდეც, მაგრამ მალე ისევ ახალი ძალით იფეთქა[2].

აჯანყების განვითარებაზე განსაკუთრებით იმოქმედა ახალციხეში გაქცეული სარდლის ქაიხოსრო წერეთლისა და რომან წერეთლის იმერეთში გამოჩენამ. ისინი ხალხს მასობრივი აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ და მიუთითებდნენ მათ დასახმარებლად მომავალ ოსმალთა, ლეკთა და ირანელთა მრავალათასიან არმიაზე, რომელსაც გაქცეული მეფე სოლომონ II მოუძღოდა[3].

სოლომონ II-ეს შემწეობას ჰპირდებოდა ახალციხის შერიფაშა, მაგრამ თვითონ ჯერჯერობით იმერეთის აჯანყებაში აქტიური მონაწილეობისაგან თავს იკავებდა, რადგან ახალციხის მიმართულებით რუსეთის არმიის იერიშზე გადასვლისა ეშინოდა. შერიფაშამ ათასი კაცისაგან შემდგარი ოსმალთა რაზმი გადასცა სოლომონ II-ეს იმერეთში შესასვლელად.

აჯანყება კი დღითი დღე იზრდებოდა. მის ჩასაქრობად იმერეთში გაიგზავნა ფოთისათვის ბრძოლებში სახელმოხვეჭილი გენერალი დ. ორბელიანი ყაბარდოს მუშკეტერთა პოლკის ორი და ეგერთა პოლკის ერთი ბატალიონით.

---

[1] Акты, т. IV, д. 334, стр. 268, 271, 272.

[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 238 и об.

[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 239. შდრ. მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIX-ს. პირველ ნახევარში, გვ. 194—195; შდრ. ა. კიკნაძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე) გვ. 75—77. თბ. 1954 წ.

ტორმასოვმა ახალციხის საზღვარს მიუახლოვა რუსეთის ჯარი იმ მიზნით, რომ შერიფ-ფაშა შიშის ქვეშ ყოლოდა და საშუალება არ მიეცა მისთვის მეფის მხარეზე გამოსულიყო. ამან მართლაც შეუშალა ხელი შერიფ-ფაშას შეჭრილიყო იმერეთში[1].

როგორც კი იფეთქა იმერეთში აჯანყებამ, ირანის დიდძალი არმია მოადგა ყარაბაღის, მიგრისა და გიუნის პროვინციებს. აქაყარაჯთან საზავო მოლაპარაკების დროს გენ. ტორმასოვს ამ პროვინციების გამო ედავებოდა მირზა ბუზიურგი. პოლკოვნიკ კოტლიარევსკის მიერ მტრის მრავალრიცხოვანი არმია განადგურებულ იქნა.

ბაბა-ხანის უფროსი შვილი მამად-ალი-მირზა 15000-იანი ჯარით ნახჭევნის გზით საზღვარს უახლოვდებოდა. ახალციხის შერიფ-ფაშამ კი თავისი ჯარი 17 ათასამდე გაზარდა[2]. მას მოსდევდა დაპირისპირებული ტორმასოვის არმია აკავებდა. საომარი მოქმედებების დაწყებისათვის იგი ირანელებს უცდიდა, ირანელები კი მას შეჰყურებდნენ. რუსეთის ჯარის მდგომარეობა მეტად სერიოზული იყო. გარდა იმისა, რომ მას ირანისა და ოსმალეთის ჯარებთან მოუხდებოდა ბრძოლა, ზურგშიაც დიდ წინააღმდეგობას წააწყდა იმერეთის აჯანყებულთა მხრივ. შემთხვევით კი არ მოახსენებდა ტორმასოვი სამხედრო მინისტრს რუსეთის მძიმე მდგომარეობის შესახებ ამიერკავკასიაში; იგი წერდა: «**Кроме того, что я имею против себя двух сильных неприятелей, превосходящих числом войск и чрезвычайное пространство границ, еще много связало меня открывшееся в Имеретии возмущение в народе**»[4].

იმერეთის 1810 წლის აჯანყებაში ჩაბმული იყო საზოგადოების თითქმის ყველა ფენა. აჯანყება გლეხობიდან მომდინარეობდა, რადგანაც ცარიზმის ხელისუფლების დამყარებამ, კოლონიალური პოლიტიკის სისასტიკესთან ერთად, გამოიწვია ექსპლოატაციის გაძლიერება, რასაც ყველაზე მეტად გლეხობა გრძნობდა. მოძრაობით უნდოდა ესარგებლნა თავადაზნაურობის იმ ნაწილს, რომელიც სოლომონ II-სთან იყო უშუალოდ დაკავშირებული; ოსმალეთის ჯარებით სოლომონ II-ის იმერეთში შემოჭრის მომენტიდან, აჯანყებამ დაკარგა განმათავისუფლებელი ხასიათი; აჯანყებაში უცხო ძალების მონაწილეობამ, ბუნებრივია, დაუკარგა მას პროგრესული შინაარსი

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 240
[2] იქვე, ფ. 243—244.
[3] იქვე, ფ. 244.
[4] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 263—264.

და ანტიხალხური ხასიათი მისცა. ლეკი ყაჩაღები და ოსმალები გააქტიურდნენ. ქაიხოსრო წერეთლისა და სულეიმან-ბეგის მეთაურობით იმერეთში შემოიჭრა 7.000-იანი ლეკებისა და ოსმალების ბრბო, რომელიც არა მარტო რუსეთის ჯარს უპირისპირდებოდა, არამედ ძარცვავდა და ანადგურებდა იმერეთის მშრომელ მოსახლეობასაც[1]. იმერეთი პოლიტიკური კატასტროფის საფრთხის წინაშე დადგა. გარეშე ძალების გააქტიურებას საბედისწერო შედეგები მოჰქონდა. ჭუთაისთან ახლოს, 1810 წ. 28 ივლისს, რუსეთისა და ლეკ-ოსმალთა ჯარები ერთმანეთს დაეჯახნენ. ბრძოლამ ოთხ საათზე მეტ ხანს გასტანა. მრავალი ლეკი ფეოდალი და ოსმალო მოძალადე მოკლულ იქნა, რომელთა შორის სულეიმან-ბეგიც იყო[2].

ლეკებისა და ოსმალების ჩარევა იმერეთის აჯანყებაში — ეს იყო მტრის მიერ იმერეთის კრიტიკული მდგომარეობის გამოყენების საშიში ცდა. საქართველოს მტრის — ოსმალეთის ქვეყნის საშინაო საქმეებში რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით ჩარევა საბედისწერო შედეგების მომტანი იყო.

სოლომონ II-ის სამეფო ხელისუფლების აღდგენის ყოველი ცდა, რისთვისაც მეფის მომხრე დიდებულები იღწვოდნენ, იმ ისტორიულ ვითარებაში, ობიექტურად, საქართველოში ირანელთა და ოსმალთა ბატონობის აღდგენას ნიშნავდა. ოსმალთა, ლეკთა თუ, ირანელთა გამარჯვების შემთხვევაში ხალხის ბედი ოსმალო და ირანელი დამპყრობლების ხელში ვარდებოდა. ეს კარგად ესმოდათ ოსმალებს და ამიტომ გააქტიურდნენ ისინი განსაკუთრებით აჯანყების ბოლო პერიოდში.

როგორც ითქვა, იმერეთის აჯანყებაში გლეხობის გარდა მონაწილეობა მიიღო თავად-აზნაურობამაც. მათი კლასობრივი დაპირისპირებულობა განასხვავებდა მათს ინტერესებს, მიზნებსა და ამოცანებს. იმერეთის გლეხობა იბრძოდა რა ცარიზმის წინააღმდეგ, ერთდროულად უპირისპირდებოდა ექსპლოატატორულ კლასსაც. რასაც კარგად გრძნობდა იმერეთის თავადაზნაურობა. გაბატონებული კლასის წარმომადგენლებს, როგორც ირკვევა, აშინებდათ გლეხობის გაბედული ნაბიჯები, რაც იმერეთის ფეოდალთა წინააღმდეგაც იყო მიმართული, და ამიტომაც ცდილობდნენ ისინი «мятежников... держать... в послушании себе и в страхе, чтобы, когда успеют

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 297.

[2] იქვე.

приобрести себе... опять в управление царство Имеретинское, не быть тогда от них истребленными и не пожертвовать своими семействами и имуществом»[1].

რამდენადაც თავადაზნაურობა ცდილობდა აჯანყების თავის სასარგებლოდ გამოყენებას და უცხოური მტრული ძალების მოწოლა იმერეთში — ოსმალებისა და ლეკების რაზმების სახით — იზრდებოდა, აჯანყებას გლეხობის საკმაოდ დიდი ნაწილი ჩამოსცილდა.

ოსმალეთის მმართველი წრეები იმერეთის აჯანყებას რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებად თვლიდნენ. ამიტომ იყო, რომ ისინი ასე თავგამოდებით ეხმარებოდნენ სოლომონ II-ეს. გენ. ტორმასოვის ცნობით, ახალციხის შერიფ-ფაშა «Не взирая на все неудачи бывшего царя, подкреплял его своими войсками и послал на воспоможение ему до трех тысяч турок и лезгин. Военные же снаряды, состоящие в порохе и свинце, во все время были к нему доставляемы на вьюках из Ахалцыха нащет Шериф-паши»[2].

სოლომონ II-სადმი დახმარების გაწევის ნიღბით, ოსმალეთის ჯარები ფაქტიურად იმერეთს შემოესია; რუსეთის ჯარის ნაწილების საბრძოლო ოპერაციებს იმერეთში 1810 წელს, აღნიშნული აჯანყების პერიოდში, არ შეიძლება თავისი ადგილი არ დაეთმოს რუსეთ-ოსმალეთის ომში.

ოსმალთა რაზმებით მოლონიერებული იმერეთის მეფე უბრძოლველად არ თმობდა არცერთ სოფელსა და ციხე-სიმაგრეს. სოფ. საკაროსთან მოხდა დიდი ბრძოლა, რომელმაც ხუთ საათს გასტანა. აქ დაიხოცნენ აჯანყების მოთავე თავადები ხახული აბაშიძე, გიორგი წულუკიძე და მრავალი სხვ. აჯანყების მონაწილეებმა გაფანტვა დაიწყეს: ხალხის მასები თანდათან რწმუნდებოდნენ, რომ უცხო ძალების ჩარევის შემდეგ აჯანყებას არავითარი სიკეთის მოტანა აღარ შეეძლო მათთვის. ამიტომ იყო, რომ მთელი სოფლები განუდგნენ აჯანყებასა და იმერეთის მეფეს.. «Жители, по левую сторону реки Квирилы живущие,—წერდა ტორმასოვი-- имеют расположение отклониться от бывшего царя и быть покорными Российскому правительству»[3]. ასეთი განწყობილების სოფლები იმერეთში ერთეულები რომ იყვნენ.

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 300.
[2] იქვე, ფ. 301.
[3] ЦГВИА ф. ВУА, д. 6184, лл. 303—304.

შერიფ-ფაშას განზრახული ჰქონდა დიდძალი არმია დაეგზავნა იმერეთისაკენ. ერზრუმსა და ტრაპიზონში ოსმალეთის სარდლობამ თავი მოუყარა მრავალრიცხოვან ჯარს. გადაწყვეტილი იყო საქართველოზე ძლიერი თავდასხმის მოწყობა. მომენტიც საკმაოდ კრიტიკული იყო, იგი ოსმალთა სასარგებლო აღმოჩნდა. ანატოლიის თაშებაშარს აცხადებდნენ ჯარის ევროპაში გაგზავნაზე, რადგანაც საქართველოში ეგულებოდათ მათ მტერი რუსეთის სახით.

რუსი მოხელე მოგილევსკი 1810 წ. დასაწყისში ტორმასოვს აცნობებდა: «Известно уже из многих опытов, что со вступления Российских войск в Грузию, никогда Анатольские войска, даже и в крайностях Порты по самым строгим ея требованиям не соглашались вспомоществовать своим войскам, действующим в Европейской Турции, *отговариваясь всегда, что они имеют неприятелями русских на собственной их границе*»[1].

სწორედ ამიტომ იყო სახიფათო ქვეყნის ინტერესებისათვის იმერეთის აჯანყებაში ოსმალთა მონაწილეობა. ყოველდღე იყო მოსალოდნელი ოსმალთა დიდი შემოსევა. იმისათვის, რომ მტრის იერიში შეეჩერებინათ და ოსმალებს იმერეთში პარპაშის საშუალება არ ჰქონოდათ, სარდლობამ საჭიროდ მიიჩნია ბაღდადის ციხე-სიმაგრის დაკავება, რისთვისაც გაიგზავნა რაზმი მაიორ კნიაზევიჩის მეთაურობით. რუსებმა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ხელსაყრელი პოზიცია დაიჭირეს და ბაღდადის ციხეც დაიკავეს. სწორედ ამ დროს, ტორმასოვის თქმით, «прибыл в лежащее по ту сторону Багдата Ханийское ущелье из Ахалцыха вспомогательные турецкие войска до двух тысяч и, соединясь с мятежниками, укреплялись засеками и завалами»[2].

ოსმალები თავიანთი ბანაკიდან თავს ესხმოდნენ მაიორ კნიაზევიჩის რაზმებს, რაც ხშირად ხელჩართულ ბრძოლით მთავრდებოდა. გენერალ-მაიორმა როზენმა, როგორც კი გაიგო, ბაღდადში მყოფ მცირერიცხოვან რუსთა რაზმს საფრთხე მოელოდა ოსმალებისაგან, მაიორ კნიაზევიჩს დამატებით გაუგზავნა სამი ასეული ორი ქვემეხით. ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ ამ დამხმარე რაზმს, „თან

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 218, л. 36 об.

[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 303 об. и 304.

ახლავს 700-მდე იმერელი ჩვენდამი ერთგულ თავადებთან ერთადო[1], -- წერდა ტორმასოვი.

იმერეთის მოსახლეობას, განსაკუთრებით მშრომელ მასებს, თავადაზნაურობის პროგრესულ ნაწილთან ერთად უკვე თვალი ეხილათ, ისინი გრძნობდნენ, რომ რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ იმერეთის მოსახლეობის ბრძოლას მოხერხებულად იყენებდნენ ოსმალო დამპყრობლები. იმერეთის მოსახლეობაში მომწიფდა აზრი იმის შესახებ, რომ ოსმალო დამპყრობთა მოძალებისაგან განთავისუფლება მხოლოდ რუსი ჯარისკაცების მხარდამხარ ბრძოლით შეიძლებოდა.

რუსთა და ქართველთა ჯარი მაიორ შელკაჩევის მეთაურობით მიადგა მტრის ბანაკს, რომელიც საბედისწეროდ ემუქრებოდა ბაღდადში გამაგრებულ ქნიაზევიჩის რაზმს.

მაიორ შელკაჩევის რაზმებმა ოსმალთა ბანაკზე იერიში მიიტანეს. ფლანგებზე იმერელთა მილიცია უტევდა, ხოლო ცენტრში — რუსი ჯარისკაცები. მტრის სიმაგრეები აღებულ იქნა, ხოლო ოსმალები სასტიკად დამარცხდნენ და გაიქცნენ ბრძოლის ველიდან. იმერლებმა სიმამაცე და თავდადება გამოამჟღავნეს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ტორმასოვი ამის შესახებ წერდა: *«Имеретинские войска со всем стремлением обратились на бегущих и произвели сильное поражение. Турки были крайне изумлены тем, что пришедшие на помощь к бывшему царю Соломону, увидели, что имеретинцы же против них сражаются»*[2]. გენერალ-ლეიტენანტი — ბარონი როზენი თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში იმერელთა ვაჟკაცობის შესახებ 1810 წლის 29 აგვისტოს ტორმასოვს სწერდა: *«Турки, будучи более всего поражены тем, что пришедшие на помощь к бывшему царю Соломону, увидели, что Имеретинские войска сражаются против их, дабы получить спасение, рассыпались по лесам и бежали в Ахалцыхский пашалык. В сем сражении многие имеретинские князя и дворяне действовали со своими крестьянами и противу изменщиков совместно с нашими войсками»*[3]. (ხაზი ჩვენია, ნ. ჯ.).

ოსმალეთთან სოლომონ II-ის შეთანხმებული მოქმედება ობიექტურად ქართველი ხალხის ინტერესების აშკარად საწინააღმდეგო

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 304 об.

[2] იქვე.

[3] Акты, т. 4, д. 25, стр. 315—316.

ხასიათს იღებდა; სწორედ ამიტომ გამოვიდა იმერეთის მოსახლეობა მეფისა და ოსმალთა ჯარის წინააღმდეგ, რომელიც მას ეჭერდა მხარს. ზემოაღნიშნულ ბრძოლაში ოსმალებმა მარტო მოკლულთა სახით 400-მდე კაცი დაკარგეს, აღარაფერს ვამბობთ მრავალრიცხოვან დაჭრილთა შესახებ. ოსმალთაგან ვინც კი გადარჩა, ახალციხეში გაიქცა. ამ ბრძოლაში ოსმალებთან ერთად ბევრი ქართველი თავადი დაიღუპა, რომლებიც აჯანყებას უშუალოდ მეთაურობდნენ.

გენ. მაიორი სიმონოვიჩი ფეხდაფეხ მისდევდა მეფეს და არ აძლევდა მომაგრების საშუალებას. მეფე მალე მიატოვეს მისმა მომხრეებმა; სოლომონს 500-მდე კაცი შემორჩა, ისინიც პირადი ერთგულებით იყვნენ მასთან დაკავშირებული. მთელი რაჭა უკვე დაშვიდებული იყო. სოლომონმა ყოველგვარი იმედი დაკარგა; იგი თავის ერთგულ პირებსაც უნდობლობით ეკიდებოდა; ღამეს მიუვალ ციხე-სიმაგრეებსა და უღრან ტყეებში ატარებდა. შემდგომ, მეფე უგზო ადგილებით გაიქცა და თავი შეაფარა ხანის ხეობას, რომელიც მას ყველაზე უსაფრთხო ადგილად მიაჩნდა. აქვე იდგა ოსმალთა ჯარიც. ტორმასოვი შემდეგნაირად აღწერდა ამ ხეობას: «Ханское ущелье, в котором были турецкие вспомогательные войска и в которое пробрался бывший царь, по своему местоположению есть одно из крепчайших в природе»[1]. სწორედ მისი გეოგრაფიული მდებარეობა ხდიდა მიუვალს ამ ხეობას. სოლომონმა აქ ახალი მაშველი ძალა მიიღო და ოსმალთა უფრო დიდი ძალების მიღების მოლოდინში მყოფი, ხანის ხეობის ციხეში ჩაიკეტა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მეფის რაზმში უმრავლესობას ოსმალები წარმოადგენდნენ და არა იმერლები; ოსმალები სოლომონ II-ეს ციხის გამაგრების საქმეში ეხმარებოდნენ. ტორმასოვის ცნობით: «Беглый царь Соломон, запершись в ущельи с 1500 человек Леванских и Ахалцыхских турок, вновь прибывших к нему на помощь, и с малым числом Имеретинцев, оставшихся верными, укрепил еще параллелями завалов, поделал во многих местах обрывы, через срытие утесов, завалил бревнами и на утесах по дороге навалил каменьев и дерев с тем, чтобы оные повергать в наши войска при их проходе»[2].

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 306 об.

[2] იქვე.

გენ.სიმონოვიჩს ნაბრძანები ჰქონდა, მიუხედავად არსებული სიძნელეებისა, იერიში მიეტანა ხანის ხეობაზე და ბოლო ზოელო მეფესთან ერთად ხანის ციხეში გამაგრებულ ოსმალთა ჯარისათვის. 1810 წ. 23 სექტემბერს სიმონოვიჩმა მართლაც შეუტია აღნიშნულ ციხეს, მიუხედავად მისი მოხერხებული მდებარეობისა, რუსი ჯარისკაცებისა და იმერლების თავგანწირულმა ბრძოლამ შეაიწროვა სოლომონ II-ის რაზმი. ოსმალებმა ვერ გაუძლეს იერიშს და როგორც ტორმასოვი იუწყებოდა: «Турки, пораженныя в их укреплениях, обратились в бегство и так стеснились в узком месте, что большее число из них переколото штыками, а царь, не дожидаясь уже сближения атакующих колон, поспешно к счастию турецких войск бежал в Ахалцых через непроходимую покрытую лесом гору, которая отняла все возможности его преследовать»[1]. მეფესთან ერთად გაიქცა მისი ერთგული 30 დიდებული. მეფეს ჩამოსცილდნენ არა მარტო ხალხის მასები, არამედ იმერეთის ფეოდალებიც კი.

როგორც ირკვევა, აჯანყებას მხარს უჭერდნენ არა მარტო ოსმალები, არამედ ირანელებიც. 1810 წლის 18 დეკემბერს ტორმასოვის სამხედრო მინისტრისადმი გაგზავნილი პატაკიდან ვკითხულობთ: «*Персидское правительство не упустило заключить дружественный союз с Портою, для того, чтобы Карсский и Ахалцыхский пашалыки поставить против Грузии. Мятеж в Имеретии был всемерно поддерживаем Персиею*».[2] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ იმერეთის აჯანყებამ, რომელიც წარმოიშვა სოციალური ჩაგვრისა და უხეში დამპყრობლური პოლიტიკის ნიადაგზე, ფართო ხასიათი მიიღო თავდაპირველად ეს იყო სამართლიანი ბრძოლა ცარიზმის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული, რომლის გამოყენებასაც ცდილობდნენ იმერეთის ყოფილი მეფე სოლომონ II და მისი მომხრე დიდებულები იმერეთში და საერთოდ საქართველოში ფეოდალურ-მონარქიული წყობილების აღდგენისათვის ბრძოლაში. სოლომონ II-ისა და იმერეთის წარჩინებულთა მისწრაფებებით სარგებლობდნენ ირან-ოსმალეთის მმართველი წრეები და აქტიურად ებმებოდნენ აჯანყებაში თავიანთი ვერაგული მიზნების განსახორციელებლად. ოსმალთა შემოსევამ იმერეთში, მარ-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184. л. 308.

[2] იქვე, ფ. 358 об.

თალია, ის სოლომონ II-ისადმი დახმარების გაწევის ნიღბით სწარმოებდა, მაგრამ რა ფორმითაც არ უნდა ყოფილიყო იგი, იმერეთის მოსახლეობა შემოაბრუნა მეფის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პოზიციებიდან და დაუპირისპირა იმერეთში შემოსულ ჯართა ურდოებს, რომელთა ბატონობის აღდგენას ქართველები გაცილებით უფრო სახიფათოდ მიიჩნევდნენ, ვიდრე რუსეთის ხელისუფლების დამყარებას საქართველოში. გლეხური მასების ჩამოცილებამ ხდა უკიდურესი ელემენტის გაძლიერებამ აჯანყებას დაუკარგა პროგრესული შინაარსი და იგი ხალხის ინტერესებისათვის საშიში გახადა. ამიტომ დაუპირისპირდა რუსეთის ჯარებთან ერთად იმერეთის მოსახლეობა სოლომონ II-სა და მის მიერ შემოყვანილ ჯარს და დროებით ხელი აიღო ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე. სწორედ ამან განაპირობა აჯანყების ბედი.

ირან-ოსმალეთის გაერთიანებული ჯარების პირველი დამარცხება
(1810 წ. აგვისტო)

იმ პერიოდში, როდესაც აჯანყების ტალღა ბობოქრობდა და სოლომონ II ლეკთა და ოსმალთა ჯარებით იბრძოდა იმერეთში, ბამბაკისა და შურაღელის პროვინციებში შემოიჭრა ირანის 3000-იანი კავალერია. ეს მოხდა 21 ივლისს. ისინი თავს დაესხნენ სოფელ ამამლოს რუსების საგუშაგოს, მაგრამ ენერგიული დარტყმის შედეგად მტერი უკუქცეულ იქნა. 22 ივლისს შამშადილის პროვინციაში უფრო მკაცრი შემოტევა დაიწყო ირანის 6000 კაცისაგან შემდგარმა კავალერიამ, რომელსაც შაჰის ვაჟი ალი შაჰზადე მეთაურობდა. ირანის კავალერიას რუსთა ბატალიონი შეხვდა მაიორ სევარსამიძის მეთაურობით. ბრძოლა ხუთ საათს გაგრძელდა და ირანელების დამარცხებით დამთავრდა. შამშადილთან ირანელების წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აზერბაიჯანელთა მილიცია. სანამ მაიორ სევარსამიძის ბატალიონი მტერს ბრძოლას გაუმართავდა, შამშადილში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა ცხენოსანი რაზმი თვითონ იცავდა თავის მხარეს[2]. ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში აზერბაიჯანელთა გმირული მოქმედებით აღფრთოვანებული გენ. ტორმასოვი სამხედრო მინისტრს სწერდა, რომ აზერბაჯანელები «составляют здесь лучшую конницу, охотно по тре-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258, ч. 1[9] лл. 294—295.

[2] იქვე, ფ. 344 об.

бованиям выставляют свои войска, даже и в дальные походы на собственном их содержании и защищают также свои жилища... не редко без всякого со стороны Российских войск пособий»[1]. იმავე დღეს ირანელებმა სცადეს სოფელ გუმრთან ეწარმოებინათ ძლიერი შემოტევა, მაგრამ მტერმა კვლავ მარცხი განიცადა; 23 ივლისს ირანელთა 5000-იანი რაზმი შეეცადა იერიშით აეღო გუმრის ციხე, მაგრამ მაიორ ტოკარევის რაზმთან ბრძოლაში დამარცხდა და უკუიქცა.

როგორც ირკვევა, ირანელები მთელი ძალით აწარმოებდნენ შემოტევას. 23 ივლისს ირანელთა დიდი რაზმი გამოჩნდა არტანავის ხეობიდან და სოფ. ამამლში მყოფ რუსთა საგუშაგოსკენ აღმ. გეზი. პოლკოვნიკმა პოპოვმა ბრძანება გასცა, მაიორ ზგარელსკის ოთხი ასეულითა და ორი ქვემეხით გზა გადაეღობა მტრისათვის. მოწინააღმდეგე 6 ათასამდე მებრძოლს ითვლიდა. გაიმართა 11-საათიანი სასტიკი ბრძოლა, რომელიც რუსების გამარჯვებით დამთავრდა[2].

ირანელები მთელ ფრონტზე იწყებდნენ შემოტევას. აბას-მირზა 10.000-იანი არმიით ნახჭევნის მიმართულებით წამოვიდა[3].

ფრონტის ხან ერთ, ხან მეორე უბანზე, ხან კი რამდენიმე ადგილას ერთდროულად გამოყოფდა თავს მრავალრიცხოვანი მტერი, რომელსაც სურდა საქართველოში შემოჭრა, მაგრამ რუსეთის არმიის ნაწილების ძლიერი დარტყმების შედეგად იძულებული ხდებოდა უკან დაეხია[4]. ბაბა-ხანი რუსეთის ჯარების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის წარმოებას ვერაუდობდა; მას განზრახული ჰქონდა 1810 წელს ოსმალეთის ჯარებთან ერთად ბოლო მოეღო ამიერკავკასიაში რუსეთის არმიისათვის[5].

ინგლისელები, გარდა იმისა, რომ ღიად დახმარებას უწევდნენ ირანს, ცდილობდნენ რუსეთის ხელისუფლების ქვეშ მყოფი ხანები გადაებირებინათ და დაეპირისპირებინათ რუსეთისათვის. ტორმასოვი 1810 წლის ზაფხულში სამხედრო მინისტრს სწერდა,

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258, ч. I, л. 342. об.
[2] იქვე, ფ. 297.
[3] იქვე, д. 6186, л. 39—43.
[4] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258, ч. I, л. 298 об.
[5] იქვე, д. 6186 л. 39—43

რომ «Талышинский хан и еще получил письма из Персии и от английского посланника, там находящегося, старающихся отклонить его от зависимости России»[1]. 1810 წელს რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ირანი საგანგებოდ იყო მომზადებული ზაფხულ-შემოდგომის შეტევისათვის; ამასთან ერთად, ინგლისის უშუალო მეთაურობით ოსმალეთთან გაფორმებული სამხედრო კავშირი ამხნევებდა ირანის მთავრობას რუსეთის წინააღმდეგ ამიერკავკასიაში გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

ირანის სარდლობამ იმისათვის, რომ უფრო ეფექტური გაეხადა მოკავშირე ოსმალეთის ჯარების მოქმედება, გადაწყვიტა ახალციხის ფაშასთვის გაეგზავნა დამხმარე ძალა. მართლაც, 1810 წლის ზაფხულში ახალციხის შერიფ-ფაშას 7000-იანი ჯარი გაეგზავნა ერევნის სარდლის ჰუსეინ-ყული-ხანის მეთაურობით[2]. ერევნის ხანს გზაზე ოსმალეთის ზოგიერთი პროვინციებიდან მოხალისე ოსმალთა რაზმები შეუერთდა და ჰუსეინ-ყული ხანის არმია უკვე 10 ათასამდე გაიზარდა.

იმის შესახებ, თუ როგორ გამოგზავნა შერიფ-ფაშასთან ერევნის ჰუსეინ-ყული-ხანი, საინტერესო ცნობას იძლევა ტორნასოკი იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში: *«13-го числа августа я получил сведение, что персидское правительство, по заключенному чрез посредство английского министра союзу с Оттоманскою Портою, будучи убеждаемо Ахалцыхским Шериф пашею к соединенным действиям против Грузии, отправило по внутренности Баязатского и Карсского пашалыков 7 тысяч отборных своих войск под начальством Ериванского Сардаря Гусейн Кули хана, который на пути своем присоединил к себе всех Карсских и Ахалцыхских карапапах, войск магозбердского владельца Карабека, отложившегося от повиновения Карсскому паше, и других удельных владельцев, составя до 10 тысяч человек, кроме главных сил. Ахалцыхского Шериф паши, который внутри своего владения имел их собранным и должен был также соединить оные с персиянами»*[3]. (ხაზი ჩვენია; ნ. ჯ.).

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258, ч. I, лл 39—43.

[2] იქვე, д. 6186, л. 80.

[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258, ч. I, лл. 329—330; შდრ. იქვე, д. 6193, л. 122.

ჰუსეინ-ყული-ხანმა ჯარი მოსთხოვა აგრეთვე ერზრუმის სერასკირს, მაგრამ ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ მან მთელი ჯარი ევროპულ ოსმალეთში გაგზავნა რუსეთის წინააღმდეგ ომში და შემორჩა მხოლოდ 3 ათასი ჰებრძოლი[1].

შერიფ-ფაშას 18 ათასამდე ჯარი ჰყავდა. საქართველოს საზღვარზე თავი მოიყარა ირან-ოსმალეთის მრავალრიცხოვანმა არმიამ, რომელსაც შეეძლო დიდი საფრთხე შეექმნა საქართველოსათვის. ჰუსეინ-ყული-ხანთან იმყოფებოდა ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც არწმუნებდა ირან-ოსმალეთის ჯარების სარდლობას, რომ ქართლი, ირან-ოსმალეთის ჯარების გამოჩენისთანავე, ალექსანდრე ბატონიშვილს მეფედ აღიარებდა[2].

ამ დროს იმერეთში გაჩაღებული ბრძოლა წარმოებდა. როგორც აღინიშნა, იმერეთის მოსახლეობის პროგრესული ნაწილი სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა ოსმალთა და ლეკთა ჯარებს, რომლებიც იმერეთში შემოიჭრნენ. «Беглый царь Соломон, —წერდა ტორმასოვი 1810 წ. 18 აგვისტოს, — просил Ериванского сардаря прибыть с войсками в Имеретию, в чем ему пообещано»[3].

მტერს პირველ რიგში ქართლის აღება ჰქონდა განზრახული. ტორმასოვი დაუყოვნებლივ შეუდგა პოზიციების გამაგრებას სამხრეთში. იგი გაემართა წალკისაკენ, სადაც იმყოფებოდა ეგერთა ბატალიონი; ამ ბატალიონს დავალებული ჰქონდა მტრის ძალები დაეზვერა და დივერსიული საქმიანობა ეწარმოებინა.

ირან-ოსმალეთის გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ შეიქმნა გაძლიერებული რაზმი, რომლის სარდლობა დაეკისრა გენერალ-მაიორ მარკიზ პაულუჩს და მას ებრძანა ახალციხესთან დაბანაკებული მტრის ჯარების განადგურება[4]. პაულუჩმა ორად გაყო თავისი რაზმი. პოლკოვნიკ ლისანევიჩს უბრძანა მტრის ბანაკის მარჯვენა ფლანგზე მიეტანა იერიში, ხოლო მარცხენა ფლანგზე — პოლკოვნიკ პეჩორსკის. რაც ასიოდე ხალხი დარჩა მტრის ბანაკამდე, მხოლოდ მაშინ გახდა რუსეთის რაზმი მტრისათვის შესამჩნევი. მოულოდნელმა ცეცხლმა, რომელიც ორივე ფლანგიდან ერთდროუ-

---

[1] АВПР, 1801—1814 гг., ф. Гл. архив. I—13, д. 5, л. 138.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6186 л. 89.
[3] АВПР, 1801—1814 гг. ф. Гл. архив, 1—13, д. 5, л. 138 об.
[4] იქვე.

ლად გაიხსნა, დააბნია მტერი; ხელჩართულ ბრძოლაზე რუსეთის ჯარების გადასვლამ მტერი მთლიანად გასტეხა. ტორმასოვის ცნობით ჰუსეინ-ყული-ხანი და ალექსანდრე ბატონიშვილი, რომლებსაც არ ეძინათ, გამოცვივდნენ თავიანთი ბანაკიდან ნახევრად ტიტველნი და ძლივს დაიხსნეს თავი მოსალოდნელი ტყვეობისაგან[1]. მოულოდნელმა იერიშმა დიდი ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგეს. ორი ირანელი ხანი და 700-ზე მეტი ჯარისკაცი ადგილზევე იქნა მოკლული, ამდენივე ხრამში გადაიჩეხა[1]. დიდი რაოდენობით გაწყვიტეს უგზო-უკვლოდ გაქცეული მტერი. რუსებმა ხელთ იგდეს დიდძალი სამხედრო ნადავლი. ბრძოლა ირანელ და ოსმალო დამპყრობთა წინააღმდეგ სამი საათი გაგრძელდა. მართალია, ახალქალაქის ციხეში 2000-მდე მეციხოვნე იდგა[2], მაგრამ ღამის სიბნელის გამო დიდ ზიანს ვერ აყენებდა მოიერიშე რუსეთის ჯარს.

ირანელთა და ოსმალთა გაერთიანებული ჯარების დამარცხების შესახებ თავის „ახალ მოთხრობაში“ ბაგრატ ბატონიშვილი წერდა: „მისრულნი ესენი წალკს დაესხნენ თავსა ღამესა, ყიზილბაშთ. ათტნეს სპარსნი, თურქნი და ლეკნი ვ~ თექვსმეტი ათას კაცამდე, მოსწყვიდნეს მრავალნი ჩინებულნი სპარსეთისა და ოსმალისანი, აღიღეს ბანაკი მათი სრულებით, ძლივს ღა განერნენ სარდალი და ალექსანდრე, და მოიქცნენ გამარჯვებულნი თბილისს“[3]. ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით ახალქალაქთან დამარცხდა მტრის 16000-იანი ჯარია. ირანის ჯარის გადარჩენილ ნაწილს უკანდახევისას თავს დაესხნენ მათივე მოკავშირე ახალციხის ყარაფაფახები, რომლებმაც იმისგანაც გაძარცვეს ირანელები, რაც მათ შერჩათ და, ტორმასოვის ცნობით, «**довели персиян до того, что они остались совершенно без оружия, без лошадей и полунагие**»[4].

ერევნის ჰუსეინ-ყული-ხანი თავის დამარცხებას ახალციხის შურიფ-ფაშას აბრალებდა, რომელმაც თავისი მთავარი სამხედრო ძალა არ მიაშველა მას. ჰუსეინ-ყული-ხანს სურდა შური ეძია შერიფ-ფაშაზე ღალატისათვის.

---

[1] АВПР, 1801—1814 гг. ф. Гл. архив, I—13, д.5, л. 333.

[2] ЦГВИА, ф. ВУА, д.6186, л. 43.

[3] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბ. 1941 წ. გვ. 113.

[4] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258, ч. I, л. 338 об.

საინტერესოა, რით იყო გამოწვეული შერიფ-ფაშას, საქართველოს ამ დაუძინებელი მტრის, უმოქმედობა. ვანგებ ხომ არ აკეთებდა ამას შერიფ-ფაშა საქართველოს სასარგებლოდ? — ცხადია, არა. როგორც ზემოთ აღინიშნა, შერიფ-ფაშას გადაეკიდა სელიმ-ფაშა, რომელმაც ახალციხის საფაშო დაკარგა და აჭარაში იყო გამაგრებული. მას შერიფ-ფაშას წინააღმდეგ ბრძოლაში მოხდენილად იყენებდა რუსეთის სარდლობა. ახალციხის საფაშოზე სელიმ-ფაშას თავდასხმის საფრთხემ საშუალება არ მისცა შერიფ-ფაშას თავისი ძალები გაეერთიანებინა ჰუსეინ-ყული-ხანის ჯარებთან და ერთად ეწარმოებინათ ლაშქრობა საქართველოს წინააღმდეგ. გენ. ტორმასოვი სამხედრო მინისტრს აუწყებდა: «Главные силы не присоединил (ლაპარაკია შერიფ-ფაშაზე, ნ. ქ.) от опасения Селим паши, им сверженного с пашалыка, и которого я успел привлечь к своей стороне до того, что он, собрав своих подвластных и наняв также лезгинские войски, причиняет теперь не малое опустошение во внутренности Ахалцыхского пашалыка»[1]. რუსეთის სარდლობამ კარგად იცოდა, რომ შერიფ-ფაშასა და სელიმ-ფაშას დაპირისპირება ხელს შეუწყობდა ირან-ოსმალეთის ჯარების გაერთიანებული ლაშქრობის ჩაფუშვას და ამიტომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, დიდძალ ფინანსურ დახმარებას უწევდა სელიმ-ფაშას შერიფ-ფაშას წინააღმდეგ ბრძოლაში. სელიმ-ფაშას თავდასხმის მოლოდინში მყოფ შერიფ-ფაშას თავისი ჯარი სწორედ მის წინააღმდეგ ჰყავდა საბრძოლველად გამზადებული და ამით ინარჩუნებდა იგი ახალციხეს. ტორმასოვის ცნობით, როდესაც ჰუსეინ-ხანს უნდა შეერთებოდა ახალციხის ჯარი, «двоюродный брат Шериф-паши Сулейман Ага находился в Ливане с 12.000 пехоты для того, чтобы не пропускать Селим пашу из Ачарии»[2].

ამგვარად, ირანისა და ოსმალეთის გეგმა, კომბინირებული ძალებით საქართველოში ლაშქრობისა, ჩაიფუშა. ამ დიდმა მარცხმა ერთმანეთს დაუპირისპირა ახალციხის შერიფ-ფაშა და ერევნის ჰუსეინ-ყული-ხანი. 1810 წ. ირან-ოსმალეთის გაერთიანებული ძალებით ლაშქრობის ჩაშლას ხელს უწყობდა ირანსა და ოსმალეთში ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე, შინაფეოდალური უთანხმოებანი და ომები. სწორედ ამ გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი რუსეთის ჯარებს საქართველოსა და ამიერკავკასიაში ირანელებისა

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258, ч. I, л. 335.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6186, лл. 42—43.

და ოსმალების მიერ პროვოცირებულ აჯანყებათა ჩაქრობის საქმეში.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ მაშინ, როდესაც იმერეთში მწვავე ბრძოლა წარმოებდა და ირან-ოსმალეთის გაერთიანებული ჯარი ახალქალაქთან იდგა სალაშქროდ გამზადებული, ირანის შაჰმა ბაბა-ხანმა იმ მიზნით, რომ სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ამბოხებული ოსები რადიკალურად დაეპირისპირებინა რუსეთის მთავრობისათვის, ახალციხიდან იმერეთისა და რაჭის მთიანეთის გზით შემოგზავნა სამხრეთ ოსეთში ლევან ბატონიშვილი (იულონ ბატონიშვილის ძე). უფრო ადრე, ოსთა ზედაფენის იმ ნაწილისათვის, რომელიც ქართველ ბატონიშვილს მხარს უჭერდა, ბაბა-ხანს გამოუგზავნია დიდძალი ფული და საჩუქრები[1]. ლევანმა, როგორც კი ჩააღწია ოსეთს, შეძლო დიდებულების მიმხრობა და რუსეთის წინააღმდეგ ამხედრება. ისინი აწყობდნენ თავდასხმებს ქართლზე. ბატონიშვილის გარშემო თავი მოიყარა 2-ათასამდე კაცმა და მათ განიზრახეს ცხინვალის აღება. ცხინვალში იდგა რუს ჯარისკაცთა ერთი ასეული და ქართველთა მილიცია, რომლის დასახმარებლად გენ. ტორმასოვმა ქართლიდან გაგზავნა ორი ასეული ქვეითი[2]. ქართველთა მილიციამ და რუსეთის ჯარის ნაწილებმა დაამარცხეს ლევან ბატონიშვილის რაზმი, რომელშაც დაკარგა 80 კაცი მოკლულთა. სახით და იძულებული გახდა თავი შეეფარებინა მიუვალ ადგილებისათვის[3]. ის სოფლები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ლევან ბატონიშვილს, ტორმასოვის ბრძანებით ცეცხლს მისცეს. ბატონიშვილის მომხრე თავადები დაიჭირეს, ხოლო მათი ქონება სახელმწიფო ხაზინას გადაეცა[4]. საქართველოს მთავარმართებელი გენერალ-მაიორი ალვერდოვი ორჯერ შეეცადა ჰიემხრო ლევანი; ამ მიზნით მას მისი აღმზრდელი დეკანოზი ქართველიშვილი მიუგზავნია. მაგრამ ლევანმა უარი განაცხადა. მან რუსეთის წარმომადგენლებს შეუთვალა. რომ «отца и мать оставил однажды навсегда и никогда подданным России быть не намерен»[5].

ახალციხესთან მდგომი ალექსანდრე ბატონიშვილი „აღმაშფოთე-

---

[1] ЦГВИА. ф ВУА, д. 6192, л. 1.
[2] იქვე ფ. 2.
[3] იქვე.
[4] იქვე ფ. 3.
[5] იქვე.

ბელ წერილებს" აგზავნიდა ქართლსა და ოსეთში[1]. ქართლის მარშალმა კაპიტანმა დავით ციციშვილმა ლევან ბატონიშვილთან შეჯახების დროს დაჰკარგა მისი რაზმი და ტყვედ ჩაიგდო 12 კაცი; მათგან ციციშვილმა გაიგო, რომ მცირე ლიახვის გზით ოსეთში ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ შემოგზავნილი ოთხი ჯაშუში ფულითა და „აღმაშფოთებელი წერილებით." დატვირთულნი მოდიოდნენ ლევანთან[2]. ციციშვილმა სასწრაფოდ მიიღო ზომები იმისათვის, რომ ირანისა და ოსმალეთის მიერ შემოგზავნილი ჯაშუშები დაეპატიმრებინა.

ალექსანდრე ბატონიშვილი ოსებს მოუწოდებდა, ირან-ოსმალეთის გაერთიანებული ჯარების საქართველოზე თავდასხმისას, ენერგიულად ემოქმედნათ რუსეთის ჯარების გასანადგურებლად.

ერთ-ერთი ჯაშუშის—დოლაძის დაპატიმრების შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა ბაგრატ ბატონიშვილი. იგი წერს: „ხოლო წელსა ამას 1810 წარმოუვლინა მეფის ძემან ალექსანდრემ ახალციხით ძმისწულსა თვისსა ლეონს დოლაძე, კაცი მართალი და ერთგული ბატონისა თვისისა და მიუმცნო, რათა იყოს მთასა მას შინა და სჯვრიტოს დროსა რუსთასა. ესე დოლაძე მოსრული სასიერეთს ისტუმრა ტარიელ გლურჯიძემა და განუსვენა ღამესა მას. ხოლო დღესა მეორესა წარვიდა რა დოლაძე მთით კერძო ლეონთან, აცნობა ესე გორს მყოფსა ციციშვილს დავითს ზაქარიას ძეს, რამე თუ დავით იყო მას ჟამსა მარშლად (ესე იგი მაზრის მოურავად). ამან დევნა უყო დოლაძესა, შეიპყრო იგი და მიჰგვარა რუსთა გორს"[3]. საარქივო მასალის მიხედვით ტორმასოვის განკარგულებით შეპყრობილი ჯაშუში ჩამოახრჩვეს[4], ამასვე ადასტურებს ბაგრატ ბატონიშვილიც თავის „ახალ მოთხრობაში"[5].

ლევან ბატონიშვილი არ ცხრებოდა, ოსთა დიდებულებს მოუწოდებდა რუსეთის წინააღმდეგ ენერგიული მოქმედებისაკენ; ივი ბაბა-ხანის სახელით საგანგებო საჩუქრებსა და ჯილდოს აღუთქვამდა ოსთა დიდებულებს; ლევან ბატონიშვილი დაიმედებული იყო

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192, л. 4.

[2] იქვე.

[3] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 108, თბ. 1941 წ.

[4] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192, л. 4.

[5] მითითებული ნაშრომი, გვ. 109.

იძით, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ირან-ოსმალეთა 20-ათასიანი ჯარით ქართლში შემოიჭრა[1]. ოსეთში ლევან ბატონიშვილის ჰოვ-ხრე დიდებულები მძლავრობდნენ, მათთვის უცნობი იყო ახალქა-ლაქთან ირან-ოსმალეთის გაერთიანებული ჯარების დამარცხება[2]. ირან-ოსმალეთის ჯარების წარუმატებლობამ ტორმასოვს საშუალება მისცა ქართლიდან ოსეთში გაეგზავნა სარეზერვო ჯარის ნაწილები— ეგერთა ერთი ასეულისა, ორი ესკადრონისა და ორი ქვემეხის შე-მადგენლობით, რომლის სარდლობაც პოლკოვნიკ სტალს ჰქონდა დაკისრებული. იმერეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ოსეთში და-მატებით გაიგზავნა ხუთი ასეული და კაზაკთა ნაწილები ქართველ-თა მილიციასთან ერთად[3]. აჯანყებულებზე იერიში მიიტანეს, იარი-განდეგილ იქნენ თავიანთი სიმაგრეებიდან. რუსები ფეხდაფეხ მის-დევდნენ მათ და გამაგრების საშუალებას არ აძლევდნენ. აჯანყებე-ლებმა მოკლულთა სახით მრავალი დაკარგეს. პოლკოვნიკ სტალის ბრძანებით ცეცხლს მისცეს ოსთა ბევრი სოფელი. ლევან ბატონი-შვილი ჩრდილოეთ ოსეთში გადაიხვეწა. ტორმასოვი 1810 წ. გვიან შემოდგომით ატყობინებდა სამხედრო მინისტრს, რომ ლევანი გა-იქცა თოვლიანი მთების გაღმა, უაბარდოში, სადაც რუსეთის ჯარე-ბისათვის მისვლა შეუძლებელი იყო[4].

ლევან ბატონიშვილი კიდევ მრავალჯერ შეეცადა ოსეთი აჯ-ანყებინა, მაგრამ როცა მისი ცდა უშედეგო აღმოჩნდა, განიზრახა ახალციხეში გადასულიყო სოლომონ II-სთან. ერთ-ერთ ხევში, ალ-ბათ რუსეთის სარდლობის მიერ მოწყობილმა ლეკებმა, ლევან ბატონიშვილი მძიმედ დაჭრეს, თავი მოკვეთეს და ახალციხის ფა-შას გაუგზავნეს[5]. ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით, „წელსა 1812 ოქ-ტომბრის 26, წარემართა ოვსეთით ახალციხეს მეფის ირაკლის ძის ძე ,ძე იულონისა ლეონ. მისრულნი ესენი ხეობაში პეტრეს ციხესა. ისტუმრეს ლეკთა, რ^ს ლეონს არა ჰყვა კაცი გარნა სამი-სა და რა განუსვენეს, მძიმედ ლეონ მოკლა ლეკმან და სხვანიცა მისთანა მყოფნი მოსწყვიტნეს. გარნა განერა ერთი მანაველი აღ-

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА. д. 6192 л. 4 об.
[2] იქვე, ფ. 5.
[3] იქვე, ფ. 6.
[4] იქვე, ფ. 7.
[5] იქვე, ფ. 12.

დგომელასშვილი ცოცხალი. განძარცვეს იგი და წარიღეს ახალციხეს"[1].

იმერეთში აჯანყებულებისადმი დახმარების საბაბით ოსმალეთის ჯარების შემოჭრა, ირან-ოსმალეთის ჯარების გაერთიანება ახალქალაქთან, ოსეთში აჯანყება, ირან-ოსმალეთის ფრონტებიდან შემოტევა, როგორც ტორმასოვი სამხედრო მინისტრს აუწყებდა, **«все происходило в одно время и требовало деятельных изворотов, дабы нигде не дать неприятелю поверхности»**[2].

მაგრამ, როგორც ჩანს, ირან-ოსმალეთის მიერ გაერთიანებული ძალების შემოჭრა და იმერეთისა და ოსეთის აჯანყებების გამოყენების გზით საქართველოს აღების გეგმა ჩაიფუშა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1810 წ. შემოდგომაზე აჯანყებას მარტო საქართველოში კი არ ჰქონია ადგილი. რუსეთის ჯარების ზურგში მოხდა აჯანყება ავრეთვე აზერბაიჯანშიაც, ყუბის სახანოში შიხალი-ხანის მეთაურობით; ეს აჯანყება, როგორც ირკვევა, ორგანიზებული იყო ირანელების მიერ. აჯანყებების მოწყობის გზით ირან-ოსმალეთის მთავრობა ცდილობდა მძიმე მდგომარეობა შეექმნათ რუსეთის ჯარისათვის, დაექსაქსათ ის და ზურგში და ფრონტზე ერთდროული დარტყმების შედეგად დაემარცხებინათ იგი.

ტორმასოვი 1810 წ. შემოდგომაზე სამხედრო მინისტრს სწერდა: **«Персия не оставила также стараться Дагестанцев, живущих в горах..., возбудить к тому, чтобы сии народы наносили вред и безпокойство Кубинской и Дербентской провинциям, прилегающим к Каспийскому морю»**[3]. დაღესტანში არაერთხელ გაუგზავნიათ ირანის შაჰსა და ოსმალეთის სულთანს ძვირფასი საჩუქრებით თავიანთი ჯაშუშები, რათა დაღესტნის ფეოდალები გამოსულიყვნენ რუსეთის ჯარების წინააღმდეგ ამიერკავკასიაში. ცნობილია, რომ ყუბის ყოფილმა შიხალი-ხანმა რუსეთის ერთგულებაზე ორჯერ მიიღო ფიცი, მაგრამ ორჯერვე ულალატა რუსეთს; ყუბის სახანოს დაკარგვის შემდეგ იგი დაღესტანში გაიქცა, იქ დაჰყო სამი წელი, შეაკოწიწა ყაჩაღთა და მკვლელთა მძარცველური ბანდა, რომელიც ხშირად თავს ესხმოდა და ძარცვავდა ყუბის პროვინციის სოფლებს. ტორმასოვის ცნობით, მაშინ, როდესაც რუსეთის ჯარები

---

[1] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა გვ. 117, თბ. 1941 წ.

[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192, л. 12.

[3] იქვე.

«были заняты военными действиями против персиян, турок, горских осетинцев и мятежной Имеретии, он (ლაპარაკია შიხალი-ხანზე, ნ. ქ.) *от персидского правительства чрез скрытые каналы получил знатную сумму денег для наима войск из хищных дагестанцев, собрал из них партию до 4 тысяч и приблизился к границам Кубинского владения».*[1] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.).

სწორედ ამ დროს ყუბის ყოფილ სახანოში სევასტოპოლის პოლკის ორი ბატალიონი იდგა; ერთი მათგანი ყუბის ციხის დამცველ გარნიზონს შეადგენდა, ხოლო მეორე მთულ. პროვინციას იცავდა. მაგრამ ეს ძალა ძალიან მცირე იყო და მას არ შეეძლო არსებითი წინააღმდეგობა გაეწია მრავალრიცხოვანი მტრისათვის. ბაქოდან ან დარუბანდიდან ჯარების გამოგზავნის შესაძლებლობა არ იყო, რადგან იქაც თითო ბატალიონი იდგა გაუთვალისწინებელი შემთხვევისათვის. ყუბაში შიხალი-ხანის გაბოჩენამ გარკვეული გავლენა მოახდინა მოსახლეობის ზედა ფენაზე; იგი წლების მანძილზე ხანის ტიტულს ატარებდა და მას მხარს უჭერდნენ ყუბის ბეგები. შიხალი-ხანმა ხმა გაავრცელა, რომ იგი რუსეთის იმპერატორის მიერ ყუბის ხანად იქნა დამტკიცებული და მოსახლეობის ყველა ფენამ მას უნდა დაუჭიროს მხარი. მშრომელი მასები შიხალის გაურბოდა, მას მხარს არ უჭერდა შიხალი-ხანის დავალებით ჰოქმედებდა მისი ერთგული იუნუს-ხანი, რომელმაც შეკრიბა ხალხი და მოუწოდა მათ რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო ვინც ამაზე არ დათანხმდა, მათი სახლ-კარი გაძარცვა[2]. ძალის და მოსყიდვის მეთოდების გამოყენებით შიხალი-ხანმა შეძლო ხალხის ნაწილი მიემხრო. შიხალის მრავალრიცხოვანი ბრბო საშიში ძალა გახდა. მას, ცხადია, ვერ გაუმკლავდებოდა ის ერთი ბატალიონი სევასტოპოლის მუშკეტერთა პოლკისა, რომელიც ყუბის პროვინციაში იდგა. ამიტომ მაიორ რიაბინის ბრძანებით ეს ბატალიონი შეუერთდა ყუბის ციხის გარნიზონს ციხის დაცვის გაძლიერების მიზნით. შიხალი-ხანი ყოველმხრივ ცდილობდა ყუბიდან ბაქოსა და დარუბანდში მიმავალი გზები გადაეჭრა. იგი თავისი ბრბოთი მივიდა ყუბის ციხეს და კომენდანტ მაიორ პისემსკის ციხის ჩაბარება

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192, л. 12.
[2] ЦГИАГ, ф. 2, оп. I, д. 283 лл. 4—6.

მოსთხოვა; მაგრამ ციხიდან გამოსულმა სამმა ასეულმა, რომელსაც ორი ქვემეხი ჰქონდა, მაიორ რიაბინის მეთაურობით სასტიკად დაამარცხა ციხის კედლებთან მდგომი შიხალი-ხანი, იგი გაიქცა. რუსეთის ჯარის ნაწილები დაედევნენ მტერს და როცა ყუბის ციხისაკენ მობრუნდნენ, მეამბოხეთა ნაწილს მათთვის გზა გადაეჭრა; ცხარე ბრძოლის შემდეგ რუსებმა გზა გაიკაფეს ყუბის ციხისაკენ. მტერმა დიდი დანაკლისი განიცადა და გაიქცა[1]. გენ. ტორმასოვმა შიხალის ამბოხების შესახებ ცნობა ბაქოს კომენდანტ გენერალ-ლეიტენანტ რეპინისაგან მიიღო, უკანასკნელი დამხმარე ჯარის გამოგზავნას ითხოვდა. ეს მომენტი, ტორმასოვის თქმით, მეტისმეტად მძიმე იყო რუსეთის ჯარებისათვის, შიხალი-ხანი სწორედ მაშინ მოქმედებდა რუსეთის წინააღმდეგ, როცა ირან-თურქეთის გაერთიანებული ჯარები ქართლს ემუქრებოდნენ[2], რომ არაფერი ვთქვათ იმერეთისა და ოსეთის აჯანყების შესახებ. მიუხედავად ფრონტზე მძიმე მდგომარეობისა, ტორმასოვი იძულებული გახდა დამხმარე ძალა გაეგზავნა ყუბაში. ტორმასოვმა ყარაბაღში ირანელების წინააღმდეგ მოქმედ რუსეთის ჯარის მეთაურს პოლკოვნიკ ასეევს უბრძანა, მოეხსნა ფრონტიდან და ყუბაში გაეგზავნა 4 ასეული პოდპოლკოვნიკ ტიხონოვსკის მეთაურობით და შაქის ადგილობრივი მოსახლეობისაგან შემდგარი მილიცია ათასამდე მებრძოლით რუსეთის ერთგულ შაქის ჯაფარი-ყული-ხანის სარდლობით[3].

პოდპოლკოვნიკი ტიხონოვსკი თავისი რაზმით 1810 წლის 20 სექტემბერს შეიჭრა ყუბის პროვინციაში, ქარავან-სარაისთან შეხვდა მეამბოხეთა ერთ-ერთ ბრბოს და პირველი დაჯახებისთანავე დაამარცხა იგი, გაფანტა მისი ძალები და ზოგიერთი დაატყვევა კიდეც. ირან-ოსმალეთის გაერთიანებული ჯარების ახალქალაქთან დამარცხების შემდეგ ტორმასოვს ყუბის სახანოში დამატებით გაუგზავნია დამხმარე რაზმი და შირვანის ცხენოსანი მილიციაც[4]. ყუბაში ამბოხების ჩაქრობა გენერალ-მაიორ ლისანევიჩს დაევალა. 1810 წლის 1—5 ოქტომბერს ლისანევიჩის სარდლობის ქვეშ მყოფ ჯარს არაერთი შეჯახება ჰქონდა შიხალისთან. უკანასკნელი დიდ დანაკარგს განიცდიდა და ბრძოლით იხევდა უკან-მთისკენ. ტორმასოვის ცნობით, ლისანევიჩის რაზმებმა გზაზე დაიჭირეს ერთ-ერთი

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192, л. 14.

[2] იქვე.

[3] იქვე. ლ. 14—15.

[4] იქვე ლ. 16.

ჯაშუში, რომელსაც აღმოაჩნდა შაჰის საიდუმლო ბარათები; ირანის მფლობელი მოუწოდებდა აზერბაიჯანის მოსახლეობას რუსეთის წინააღმდეგ მასობრივი აჯანყებისაკენ. შაჰს აგრეთვე აზერბაიჯანში შემოუგზავნია ციციანოვის მკვლელი, ჰუსეინ-გული-ხანი ბაქოს პროვინციის ასამხედრებლად რუსეთის წინააღმდეგ; მაგრამ მას, როგორც კი მიუღია ცნობა შიხალი-ხანის დამარცხების შესახებ, უკანვე გაბრუნებულა[1].

ლისანევიჩმა ცხენოსანი რაზმი დაადევნა ბაქოს ყოფილ ხანს, მაგრამ მან მოასწრო გაქცევა.

შიხალი-ხანს ბაბა-ხანთან გაუგზავნია თავისი ჯაშუში ვინმე კიში-ბეგი-ხანი და უთხოვია ადგილობრივი დიდებულებისა და მოსახლეობის მოსასყიდად დიდძალი თანხა. ბაბა-ხანს აღნიშნული ჯაშუშის ხელით გამოუგზავნია 10 ათასი მანეთი; მაგრამ კიში-ბეგმა შიხალი-ხანამდე ვერ მიაღწია, ის გზაზე დაიჭირეს რუსებმა და სიკვდილით დასაჯეს[2].

შიხალი მთებში გაიქცა და თავი შეაფარა თუბასარანის პროვინციას, რომელიც, მართალია, რუსეთის ქვეშევრდომად ითვლებოდა, მაგრამ ყოველთვის წარმოადგენდა შიხალისათვის თავშესაფარს; იქ მას ჰყავდა თავისი სიძე აბდულ-ბეგი და მასთან ინახავდა თავს[3]. 25 ოქტომბერს რუსეთის რაზმები შეიჭრნენ თუბასარანის პროვინციის სოფ. ერსში, სადაც სიძესთან თავს აფარებდა შიხალი თავისი ბრბოთი. იგი რუსეთის რაზმებთან ბრძოლაში დამარცხდა და დაღესტანში გაიქცა; შიხალის სიძეც თავისი სამფლობელო — ერსიდან აგრეთვე გაიქცა და მთას შეაფარა თავი. რუსეთის მთავრობამ აჯანყების მონაწილე ბეგები სასტიკად დასაჯა, მრავალ მათგანს მამულები ჩამოართვა. შიხალი-ხანის ერთგული ბეგები დააპატიმრეს და 28 კაცს ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს[4].

როგორც ზემოაღნიშნულიდან დასტურდება, 1810 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე რუსეთის ჯარებმა ირანელების მიერ ინსპირირებულ აჯანყებათა ჩასაქრობად დიდი ბრძოლები გადაიბადეს; ირანელებისა და ოსმალთა მიერ მოწყობილი პროვაკაციები აღკვეთილ იქნა.

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192. л.19.
[2] ЦГИАГ, ф. 2. оп. I, д. 283, л. 4, об.
[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192, л. 19.
[4] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1. д. 283, л. об.

სოლომონ II ახალციხეში იდგა და 1810 წლის შემოდგომისათვის იმერეთში ოსმალთა ჯარით შემოჭრას ცდილობდა, იგი იქ სხვა აჯანყების მოწყობის გეგმებს აწყობდა. რუსეთის სარდლობას ცნობა ჰქონდა იმის შესახებ, რომ ერზრუმისა და ახალციხის საფაშოებში დიდძალ ჯარს უყრიდა თავს ოსმალეთი. რუსეთის სარდლობის წინაშე ახალციხის აღების საკითხი დაისვა. საომარი ოპერაციის გაადვილებისა და მტერზე გამარჯვების მოპოვებისათვის ბრძოლაში, ტორმასოვი ცდილობდა კვლავ გამოეყენებინა შერიფ-ფაშას დაუძინებელი მტერი სელიმ-ფაშა. სოლომონ II და შერიფ-ფაშა თიუმრუქ-ბოღაზის ციხეში იმყოფებოდნენ და დიდძალი არმიის შექმნის თადარიგში იყვნენ[1]. რუსეთის მთავრობას განზრახული ჰქონდა, სოლომონ II ან ტყვედ ჩაეგდო, ანდა ახალციხის აღებით მისთვის საბუდარი ამოეკვეთა, რითაც, ბუნებრივია, შესუსტდებოდა მისი გავლენა იმერეთის მოსახლეობაზე. ტორმასოვის განკარგულებით 1810 წლის 5 დეკემბერს რუსეთის ჯარი სამ დიდ ნაკადად გაემართა ახალციხისაკენ: გენ. პორტნიაგინის რაზმები ბამბაკიდან, წალკის გზით უნდა შესულიყო ახალციხის საფაშოში, გენ. სიმონოვიჩი (რეგულარული ჯარის ნაწილებითა და მეგრელ-გურულების მილიციით) — იმერეთიდან, ხოლო ტორმასოვი — სურამიდან — ბორჯომის ხეობით. ასე რომ, სამი სხვადასხვა მხრიდან უნდა შეჭრილიყო რუსეთის ჯარები და ქართველთა მილიცია ახალციხის საფაშოში[2]. უცხოელ როტიეს ცნობით ახალციხის ლაშქრობაში 4 ათასამდე ქართველი მონაწილეობდა[3]. ამ ლაშქრობას შემდეგნაირად აღწერს ბაგრატ ბატონიშვილი: „წელსა 1810, ნოემბრის 5 წარვიდა უპირველესი მართებელი საქართველოსა ტორმასოვი ახალციხის დასაპყრობად მხედრობითა თვისითა და ეგრეთვე ქართლ-კახეთითა და იმერეთითა, რომელნიცა ახლდა თანა დადიანი ლეონცა მხედრობითა თვისითა“[4]. გენ. სიმონოვიჩმა, როგორც კი გადალახა თოვლით დაფარული მთები და შეევიდა ახალციხის საფაშოში, საზღვართან, მაჯის წყლის გადასასვლელთან, მას დაუხვდა ჩასაფრებული ოსმალთა და ლეკთა რაზმი. აღნიშნული გადასასვლელი მტერს ძლიერ ჰქონ-

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 371.

[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192 л. 24⅓и об.

[3] Акты, т. V, стр. 979.

[4] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი, ანალი მოთხრობა, გვ. 114.

და გამაგრებული[1]. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალთა და ლეკთა რაზმი სიმაგრეებში იმყოფებოდა, გენ. ტორმასოვის ჯარმა მას დიდი ზიანი მიაყენა. მტერი გაიქცა და ადგილზე დატოვა 150-მდე მოკლული (ბევრიც თან წაიღეს); მრავალი სხვადასხვა სახის საომარი იარაღი, ცხენები, სურსათი და სხვა რუს და ქართველ მებრძოლებს დარჩათ ნადავლის სახით[2].

ბამბაკიდან მომავალი გენერალ-მაიორ პორტნიაგინის რაზმი ახალციხეს უახლოვდებოდა. ადგილობრივი მოსახლეობა მას არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა. ახალციხიდან 20 კმ. დაშორებით პორტნიაგინის რაზმს შეხვდა 1500 ცხენოსნისაგან შემდგარი ოსმალთა რაზმი, მაგრამ შამშადილის ცხენოსანთა რაზმმა, რომელიც ყაზახებისაგან შედგებოდა, შეძლო მტრის უკუგდება. ძირითადი კოლონა, რომელსაც ტორმასოვი სარდლობდა, სეროზულ წინააღმდეგობას არ შეხვედრია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ლეკების ძლიერ გუნდებს, რომლებიც ჯარის ავანგარდის მიერ გაფანტულ იქნა. ოსმალთა რაზმები გზადაგზა უსაფრდებოდნენ რუსეთის ჯარს, მაგრამ მარცხს განიცდიდნენ და უკანვე გარბოდნენ. ტორმასოვი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა აწყურის ციხესთან, რომელიც ფაქტიურად ახალციხის გასაღებს წარმოადგენდა. ენერგიული შეტევის შედეგად მტერი აქაც უკუიქცა, აღებულ იქნა აწყურის ციხის ფორპოსტი და ალყა შემოარტყეს მას. მტერმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით დიდი ზარალი განიცადა[3]. აწყურის ციხის გარემოცვით გზა გაეხსნა ქართლიდან ახალციხისაკენ მიმავალ ჯარებს. 14 სექტემბერს რუსეთის რაზმებმა ალყა შემოარტყეს ახალციხეს და მბრძანებელი ადგილები დაიკავეს. ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით „მისრულნი ახალციხეს მოადგნენ თვენახევარი. ახალციხე ღ'დ განმაგრებული იყო ოსმალთაგან"[4]. რუსეთის სარდლობა ვარაუდობდა: ირანი ახალციხის ფაშას იმ დიდი მარცხის გამო, რომელიც ახალქალაქთან აგვისტოში განიცადა, არ დაეხმარებოდა, ხოლო ერზრუმში თავმოყრილი ჯარებისათვის არც ისე ადვილი იქნებოდა

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192, л. 25 об.

[2] იქვე.

[3] იქვე, ფ. 27.

[4] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი ახალი მოთხრობა. გვ. 114.

თოვლით დაფარული მთების გადმოლახვა. იქ ოსმალეთის კავალერიის მოქმედება გაძნელდებოდა და არ იყო შიში იმისა, რომ სრიდანმე ახალციხის ფაშა დახმარებას მიიღებდა. სოლომონ II-ეს ახალციხეში ყოფნა სახიფათოდ ჩათვალა; «Беглый царь Соломон, — სწერდა ტორმასოვი სამხედრო მინისტრს, — устрашенный движением войск наших к самому Ахалцыху, где он несколько дней находился, не доверяя, может быть и Шериф паше, бежал из сего города в Ериван»[1]. ახალციხე ძლიერ შეავიწროვა რუსეთის ჯარმა; ოსმალთა გარნიზონმა ბრძოლაში მნიშვნელოვანი მარცხი განიცადა. 19 ნოემბერს ოსმალებმა სამჯერ სცადეს იერიშზე გადმოსვლა, მაგრამ სამჯერვე დიდი დანაკარგით უკან დაიხიეს; მარტო ერთი დღის მანძილზე მათ მოკლულთა სახით 300-მდე კაცი დაკარგეს.

პირობის თანახმად, ახალციხის წინააღმდეგ მებრძოლ რუსთა და ქართველთა ლაშქარს უნდა შეერთებოდა თავისი ჯარით სელიმ-ფაშა; მას დეზორგანიზაცია უნდა შეეტანა თავისი მისვლით მტრის ბანაკში; რადგანაც ახალციხეში ხომ ზოგიერთი დიდებული მისი მომხრე იყო და შერიფ-ფაშას მტრობდა; ეს კი ხელს შეუწყობდა ახალციხის აღების საქმეს; მაგრამ სელიმ-ფაშა არ გამოცხადდა, მან თავი მოიავადმყოფა და ამით აიცილა ახალციხისათვის ბრძოლა. ახალციხის მოალყეთა შორის იყო ქართული მილიცია, რომელიც 3000 კაცისაგან შედგებოდა[2].

ახალციხის ალყის დროს ქართველთა მილიციაში გაჩნდა შავი ჭირი. ტორმასოვი იძულებული გახდა ალყა მოეხსნა ახალციხისათვის და უკან გამობრუნებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ჯარებმა ქართულ მილიციასთან ერთად დატოვა ახალციხის საფაშო, ახალციხეში ლაშქრობას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ექსპედიციის შედეგად ოსმალთა ტყეეობიდან განთავისუფლდა 1500-მდე იმერელ და ქართლელ გლეხთა ოჯახი, რუსეთის ჯარმა ახალციხიდან გამორეკა 50 ათასამდე სხვადასხვა სახეობის პირუტყვი, რომელიც ჯარის საკვებად იქნა გამოყენებული[3]. ახალციხის საფა-

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192, л. 28.
[2] იქვე, ფ. 29—30.
[3] იქვე, ფ. 33.

შიში ლაშქრობამ გამოიწვია მისი სამეურნეო და ეკონომიური დაქვეითება; ტორმასოვის თქმით, აღნიშნული საფაშო 10 წელი ვერ წარმოდგებოდა ფეხზე იმ დიდი ზიანის გამო, რომელიც მას მიაყენა რუსეთის ჯარმა[1].

1810 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე დიდ იმედებს ამყარებდა ირანის შაჰი და ოსმალეთის სულთანი ამიერკავკასიის დაპყრობისათვის ბრძოლაში. მაგრამ ყველა ეს იმედები გაუცრუვდათ. რუსეთის ჯარებმა ქართველთა და სხვა ხალხების მილიციასთან ერთად მტრის ყველა იერიში მოიგერია ფრონტებზე, ხოლო ზურგში მტრის მიერ პროვოცირებული ამბოხებანი ჩააქრო. ამასთან ერთად, რუსეთის ცარიზმი ულმობელი იყო ამიერკავკასიის ხალხთა სამართლიანი ბრძოლის მიმართაც და სისხლში ახშობდა ყველა მათს გამოსვლას, რომელიც ცარიზმის ანტიხალხური პოლიტიკის, ან სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ახალქალაქსა და ახალციხეში ლაშქრობით რუსეთის ჯარებმა ინიციატივა ხელთ იგდეს ბრძოლაში და საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენეს მტერს, მაგრამ ამით როდი ამოიწურებოდა რუსეთის ამოცანა; გარდა იმისა, რომ რუსეთის ქვეშევრდომობაში იყვნენ სამეგრელო, გურია, იმერეთი და აფხაზეთი, რუსეთის სარდლობას გათვალისწინებული ჰქონდა დაეპყრო ახალციხისა და ახალქალაქის საფაშოები — შავი ზღვის სანაპიროები ტრაპიზონის ჩათვლით[2].

ობიექტურად, ამ გეგმის განხორციელებას პროგრესული შედეგი უნდა მოჰყოლოდა ქართველი და სომეხი ხალხებისათვის. მას უნდა მოჰყოლოდა ოსმალთა ძალმომრეობისაგან ქართველი და სომეხი ხალხების განთავისუფლება. საფიქრებელია, რომ ახალციხეში 1810 წ. შემოდგომაზე ტორმასოვის ლაშქრობა მარტო ახალციხის საფაშოს დაპყრობას არ ითვალისწინებდა; არ არის გამორიცხული იმის ვარაუდი, რომ იგი უფრო შორს წავიდოდა სამხრეთისაკენ, რომ ჯარში შავი ჭირის ავადმყოფობას არ ეჩინა თავი.

ირკვევა, რომ 1810 წ. სექტემბერში რუსეთის სამხედრო სამინისტროს გადაწყვეტილი ჰქონდა ტრაპიზონის აღება. ამ მიზნით მზადდებოდა საზღვაო ექსპედიცია. ვიცე ადმირალ ლარიჩევს ებრძანა ტრაპიზონის აღება. საზღვაო ფლოტის სარდლად დანიშნა

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192, фф. 34— 35.

[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 332, л. 9—12, Записка ген. Тормасова.

გენერალ-მაიორი განგებლოვი. სადესანტო ჯარი 5 ბატალიონის, 200 ქვეითი კაზაკის, მსუბუქი არტილერიისა და 30 ბერძენი მოხალისისაგან შედგებოდა.

ფლოტი მომარაგებულ იქნა სურსათითა და საომარი მასალით და თანაც ებრძანა ტრაპიზონის აღებისას გაეტარებინა შემდეგი ღონისძიება: *«1. укрепить его и стать там твердою ногою. 2. открыть сухим путем сообщение с Поти, 3. приобретать расположение греков и христиан, приглашая их в нашу службу, для вооружения их взять с собою на эскадру 2.000 ружей, 4. тотчас по занятии Требизонда уведомить о том Тормасова»*[1]. (ბაზი ჩვენია, ნ. ჯ.).

ის ამოცანა, რომელიც ფლოტს დაეკისრა, უაღრესად დიდი მნიშვნელობისა იყო. ამ ოპერაციის წარმატებით განხორციელებას უნდა მოჰყოლოდა რუსეთის პოზიციების გამაგრება არა მარტო შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე, არამედ მთელ ანატოლიაშიც. ტრაპიზონი უნდა გამხდარიყო მძლავრი ფორპოსტი რუსეთის სახმელეთო და საზღვაო ჯარის ნაწილებისათვის. გამარჯვებული რუსეთის საზღვაო ფლოტის დესანტს უნდა მიემხრო ოსმალთა ბატონობის ქვეშ მყოფი ქრისტიანული მოსახლეობა ბერძნებთან ერთად; ქრისტიანულ მოსახლეობაში, რასაკვირველია, ქართველებიც იგულისხმებოდა. მათთვის სპეციალურად მიჰქონდა საზღვაო ფლოტს საომარი იარაღი. ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებულ ხალხთაგან ჩამოყალიბებულ რაზმებსა და რუსეთის სადესანტო ნაწილებს უნდა აეღო აგრეთვე ბათუმის ნაკუსადგური და ხმელეთით გზა გაეხსნა ტრაპიზონიდან ფოთამდე. ამ დიდ ამოცანას მარტო ეს ფლოტი, ბუნებრივია, ვერ შეასრულებდა; ამიტომ იგი უნდა დაკავშირებოდა ტორმასოვს. მან, ალბათ, იცოდა შავი ზღვის ფლოტის ტრაპიზონზე გალაშქრების ამბავი.

6 ოქტომბერს საზღვაო ფლოტი სევასტოპოლიდან გაიგზავნა და 9 ოქტომბერს ტრაპიზონს მიაღწია. ნისლიან და ქარიშხლიან ამინდში ფლოტმა თავი შეაფარა პატარა ყურეს, ტრაპიზონიდან 15 კმ. დაშორებით. ოსმალებმა, რომორც კი შენიშნეს რუსეთის ფლოტი, ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს. მეორე დღეს ლარიონოვმა მოიწვია სამხედრო საბჭო და გადაწყვიტა, როგორც კი ამინდი გამოკეთდებოდა, ნაპირზე გადაესხათ დესანტი. 11 ოქტომბერს, დი-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2875, ч. 2, лл. 313—314.

ლით, მართლაც, შესანიშნავი ამინდი დადგა. საზღვაო ფლოტმა გახსნა ძლიერი საარტილერიო ცეცხლი და მტრის ბატარეა განადგურებულ იქნა. სამხედრო გემებიდან ნაპირზე 330 კაცამდე დესანტი გადასხეს ნიჩბიანი ნავებით. მაიორ რეველიოტის მეთაურობით. დესანტის გადასხმა წარმატებით ჩატარდა. დესანტმა, რომელმაც სანაპირო დაიკავა, გაფანტა ოსმალთა მცირერიცხოვანი რაზმი და ხელთ იგდო მტრის 3 ქვემეხი[1]. მაგრამ სულ მალე ჯაგ-ბუჩქნარიდან და ახლომდებარე ხევებიდან, მოულოდნელად მტრის დიდძალი ლაშქარი თავს დაესხა დესანტს და ალყაში მოიქცია. გაჩაღდა ცხარე ბრძოლა; მტრის ძალა რამდენიმეჯერ სჭარბობდა რუსთა დესანტს. მაიორ რეველიოტის რაზმი მტერთან ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება; ბევრი დაიჭრა, ბევრი კი მტერთან ბრძოლას შეაკვდა, მძიმედ დაიჭრა თვითონ რეველიოტი. მის დასახმარებლად სამხედრო გემებიდან 400 კაცისაგან შემდგარი დესანტი წაბრძანდა გენერალ-მაიორ ფანჩულიძის მეთაურობით, მაგრამ მტრის დიდი სიჭარბე არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ დესანტი ნაპირზე გადაესხათ და უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმულ რეველიოტის რაზმს დახმარებოდნენ. ოსმალთა არტილერიის ცეცხლისაგან ბევრი ნავი დაზიანდა; დამხმარე დესანტმა ნაპირამდე ვერ მიაღწია, მათგან ბევრი მძიმედ დაიჭრა, ხოლო ნაწილი დაიხოცა. ამ ბრძოლაში ოსმალებმა მოკლულთა სახით 2 ათასამდე კაცი დაკარგეს, რუსებმა კი— 127[2]. ბრძოლის დროს გამოირკვა, რომ ტრაპიზონის ციხე-სიმაგრე ინგლისელი ინჟინრებისა და სამხედრო სპეციალისტების მიერ ძლიერ იყო გამაგრებული, კონტრ-ადმირალი ლარიჩევი 1810 წლის 31 ოქტომბერს სწერდა ვიცე-ადმირალ იაზიკოვს, რომ «**все расстояние на 15 верстах укреплено в две линии лажементами, около берегов вырытыми, и по большей части покрытых кустарниками, в которых множество находилось турок, имевших немалое число пушек**»[3].

მტრის მრავალრიცხოვანი ძალა, მისი ძლიერი საარტილერიო ცეცხლი, რომელსაც ოსმალები ინგლისელი სპეციალისტების მიერ გაკეთებული სიმაგრეებიდან უშენდნენ, შეუძლებელს ხდიდა ტრაპიზონისა და მისი გარეუბნის დაკავებას. 16 სექტემბერს სამხედრო

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6186, л. 102.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2934, л. 134 об.
[3] ЦГВИА, ф. 6186, л, 101 об.

საბჭომ გადაწყვიტა ხელი აეღო ტრაპიზონის აღებაზე; 30 ოქტომბერს საზღვაო ფლოტი კვლავ სევასტოპოლში დაბრუნდა.

მართალია, ტრაპიზონის აღება ვერ შეძლო რუსეთის საზღვაო ფლოტმა, მაგრამ ამ რეიდმა შიშის ზარი დასცა ოსმალებს; ამიერიდან რუსეთის ფლოტის კვლავ გამოჩენის შიშით მტერი იძულებული იყო საკმაო ძალა დაებანდებინა ტრაპიზონის მიდამოებში კავკასიის ფრონტზე გასაგზავნი ჯარის შემადგენლობიდან. ეს კი ნაწილობრივ მაინც ამსუბუქებდა კავკასიის ფრონტზე რუსეთის არმიის მდგომარეობას.

ამიერკავკასიაში რუსეთის პოზიციების განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ნავსადგურებს, რომლითაც ოსმალეთი კავშირს ამყარებდა კავკასიის მთის ხალხთა ზედაფენებთან. სოხუმისა და ანაპის ნავსადგურების დაკავებით უდავოდ ვაუმჯობესდა რუსეთის მდგომარეობა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე; აღნიშნული ნავსადგურები უკვე აღარ წარმოადგენდა ოსმალეთისათვის ჩრდ. კავკასიის ხალხებთან დამაკავშირებელ ფორპოსტებს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ სუჯუკ-კალე (ნოვოროსიისკი), შავი ზღვის ერთ-ერთი უძლიერესი ნავსადგური, ოსმალეთის ხელში რჩებოდა. ოსმალეთი მას საგანგებოდ ამაგრებდა და ცდილობდა ფოთის, სოხუმისა და ანაპის დაკარგვის შემდეგ ეს ნავსადგური მაინც არ გაეშვა ხელიდან და მით დაემყარებინა კავშირი მთის ხალხთან. სუჯუკ-კალეს, როგორც უკანასკნელ პლაცდარმს, ოსმალეთი საგანგებოდ აძლიერებდა. სწორედ სუჯუკ-კალეში გადიოდნენ ოსმალეთის სამხედრო გემები ქვემეხებითა და სხვა საომარი იარაღებით დატვირთულნი და აწვდიდნენ მას ანაპის ჰუსეინ-ფაშას, რომელიც ანაპის აღების შემდეგ თავისი რაზმებით სუჯუკ-კალეში იმყოფებოდა. ჯერ კიდევ 1810 წლის აგვისტოში გენერალ-ლეიტენანტი დიუკ-დე-რიშელიე სამხედრო მინისტრს აუწყებდა იმის შესახებ, თუ რა სახიფათო მდგომარეობა იქმნებოდა სუჯუკ-კალედან რუსეთის ჯარებისათვის. იგი წერდა: «Черкессы, приняв-ши в Суджук-кале присланные от Порты к живущему в горах. Анапскому паше орудия с принадлежащими к ним снарядами и деньгами на подкупление и соединение всех владельцев, собрались в большом количестве и намеревались напасть на границу нашу»[1].

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6186, лл. 230—235.

პროთურქული ორიენტაციის დიდებულები ანაპის ჰუსეინ-ფაშას მეთაურობით თავს ესხმოდნენ და სპობდნენ რუსეთის მიმართ მეგობრულად განწყობილ დიდებულებსა და მოსახლეობას. ისინი არა ერთხელ დასხმიან თავს რუსეთის ერთგულ ახმატუკისა და ალაკასის რაზმებს და მათთვის დიდი ზიანიც მიუყენებიათ[1].

სუჯუკ-კალეს აღება სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმედ მიაჩნდა რუსეთის სარდლობას. ტორმასოვი ამიერკავკასიაში დამკვიდრებისათვის ბრძოლაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სუჯუკ-კალეს ოსმალთაგან განთავისუფლებას. მისი აზრით, სუჯუკ-კალეს აღებით ოსმალეთს საკომუნიკაციო კვანძი, რითაც იგი ჩრდილოეთ კავკასიას უკავშირდებოდა, მოეშლებოდა.

1810 წლის 20 სექტემბერს სამხედრო მინისტრს ბარკლაი-დე-ტოლს ტორმასოვი სწერდა: «Покорение крепости Суджук-Кале в безотлагательном времяни тем необходимее, что ежели мы сближимся к миру с Портою, не удержав по праву оружия сей крепости за собою, то не можем в полной мере отрезать горских народов от власти Оттоманской Порты, ибо те народы посредством сей крепости, между нашими береговыми крепостями лежащей, будут иметь свободное сообщение морем с Турциею, которая по единоверию с ними будет иметь вредное для нас посреди их влияние»[2].

ტორმასოვის მოსაზრებისა იყო, მაშინ, როგორც ირკვევა, რუსეთის სამხედრო წრეები და მათსავე მოსაზრებას იზიარებდა იმპერატორი ალექსანდრე I-იც.

1810 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში გენერალ-ლეიტენანტ დიეკ-დე-რიშელიეს ბრძანებით ჭერჩიდან და ენიკალედან გაიგზავნა ფლოტი და სახმელეთო ჯარის ნაწილები ანაპაში იმ მიზნით, რომ იქ გადაესხათ დესანტი და იქიდან ეწარმოებინათ შეტევა სუჯუკ-კალეს ნაესადგომის ასაღებად. 20 დეკემბერს რუსეთის ჯარები ანაპიდან სუჯუკ-კალეს მიმართულებით დაიძრა. სუჯუკ-კალედან 12 კმ-ის მოშორებით ჩერქეზთა დიდებულებმა, რომლებიც ოსმალებს ემსახურებოდნენ, შენიშნეს მიმავალი რაზმები; ისინი გამაგრდნენ მთის მბრძანებელ მწვერვალებზე და იქიდან დაეშინეს ძლიერი საარტილერიო ცეცხლი, რითაც ცდილობდნენ შეეჩერებინათ

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6186, лл. 230—235.
[2] იქვე, ფფ. 237—238, 245—246.

ჯარის წინსვლა. მათ ხელში აღმოჩნდა სუჯუკ-კალესკენ მიმავალი ორივე გზა. ზღვიდან რუსეთის ფლოტი მხარს უჭერდა ბრძოლაში ჩაბმულ ჯარს. რუსეთის ჯარის ნაწილების ძლიერმა ცეცხლმა, ოსმალთა რაზმებს, რომელთაც მთის ხალხთა მოსყიდული დიდებულები ეხმარებოდნენ, უკან დაახევინა. რუსებმა დაიკავეს გორაკი, რომელიც ადრე მტერს ეჭირა[1]. ვიწრო ბილიკი, რომელზედაც გავლა ისედაც ჭირდა, მტრის მიერ გადახერგილი აღმოჩნდა; მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ჯარი წინ მიიწევდა. 22 დეკემბერს მტერმა ალყაში მოაქცია ბილიკზე მიმავალი რუსეთის ჯარი; ბრძოლა წარმოებდა გათენებიდან დღის 2 საათამდე. ამ ბრძოლის შედეგებს საინტერესოდ აღწერს დიუკ-დე-რიშელიე ბარკლაი-დე-ტოლისადმი გაგზავნილ პატაკში: «Неприятельские батареи, из сяти чугунных пушек состоящия и построенныя турками для препятствия входить судам нашим в бухту, были на некоторое время обращены на нас, но черкессы (ლაპარაკია ოსმალეთის სულთნის მიერ მოსყიდულ ჩერქეზ დიდებულთა ბრბოზე. ნ. ქ.) после нескольких выстрелов будучи стеснены по дороге, идущей к Геленчику, принуждены их оставить и из них взяты 5 в крепость, одна — на суд, а прочия по невозможности за крутизною берегов погрузить на баркасы, потоплены в море»[2]. რუსეთის ჯარების წინააღმდეგ მებრძოლ ოსმალთა და ჩერქეზთა რაზმს ხელმძღვანელობდა ანაპის ყოფილი ფაშა, რომელიც ამ ქალაქის აღების შემდეგ თავს სუჯუკ-კალეს აფარებდა, ხოლო მისი დაცემის შემდეგ—მთას შეეხიზნა თავისი არტილერისტებით[3]. რაც შეეხება ჩერქეზ დიდებულებს, მათ თავიანთი წარმომადგენლები გამოუგზავნიათ რუსეთის სარდლობისათვის და ზავი უთხოვიათ.

დიუკ-დე-რიშელიემ სუჯუკ-კალე წესრიგში მოიყვანა, იგი რუსეთის საზღვაო თავდაცვის ერთერთ მნიშვნელოვან ფორპოსტად აქცია.

სუჯუკ-კალე, გარდა იმისა, რომ იყო ოსმალეთისათვის მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე, იგი, ამავე დროს წარმოადგენდა ჩრდილო კავკასიის დიდ სავაჭრო ცენტრს, სადაც ოსმალები მე-19 საუკუნის დასაწყისშიც ფართოდ ეწეოდნენ ტყვეებით ვაჭრობას. რუსეთის ჯარე-

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6186, лл. 131—135

[2] იქვე, ფ. 132.

[3] იქვე.

ბის მიერ სუჯუკ-კალეს აღების მომენტშიც კი, რუსებს უნახავთ ნავსადგურში გასული ოსმალეთის გემები, რომელთაც უნდა წაეყვანათ თურქი ვაჭრების მიერ შესყიდული ტყვეები. აი, რას წერს რიშელიე ამის შესახებ: *«Находившияся близ Суджук-Кале два небольшия турецкия судна, назначенныя для отвоза в Константинополь невольников, быв оставлены экипажем, сожжены нами, и я немедленно велел выйти оттуда без груза одному нейтральному судну, которое застал там, и которое сделало было уже закупку 60 невольников».*[1] რუსეთის ჯარების სუჯუკ-კალეში შესვლით თავისუფლდებოდნენ მუდმივი მონობიდან არა მარტო ის ადამიანები, რომლებსაც ბორკილი ედოთ და ოსმალეთში წასაყვანად იყვნენ გამზადებული, არამედ ისინიც, ვინც მომავალში მსხვერპლი უნდა გამხდარიყო ამ დიდი სოციალური უბედურებისა, რომელმაც ოსმალთა ბატონობის პერიოდში დამღუპველი სენის სახე მიიღო.

სუჯუკ-კალეს აღებით რუსეთმა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ხელთ იგდო კიდევ ერთი დიდი ნავსადგური, რომელსაც უაღრესად დიდი სამხედრო და ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა. ამით ამოიკვეთა ოსმალთა დიდი გავლენა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებზე და რუსეთს საშუალება ეძლეოდა სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებინა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან და ისინი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ფერხულში ჩაება.

დიუკ-დე-რიშელიე სამხედრო მინისტრის—ბარკლაის ყურადღებას აჩერებდა სუჯუკ-კალეს მნიშვნელობაზე და სწერდა მას: «Кроме того, что бухта при крепости по положению своему есть одна из лучших в Черном море, и только Севастопольской может уступить преимуществом, мы, имея в руках своих сию рейду, прекращаем чрез то все сношения, какия доселе горские народы имели с турками, ибо к сему пункту примыкают все удобные дороги из гор, по коим производился главнейший торг даже из самых отдаленных частей земли, занимаемой горскими народами».[2] სუჯუკ-კალეს აღებით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროების მნიშვნელოვანი ნავსადგურები, გარდა ბათუმისა, რუსეთის ხელში აღმოჩნდა. ოსმალეთი, ცხადია, ვერ ურიგდებოდა ისეთი ძლიერი პლაცდარმის დაკარგვას ჩრდილო-დასავლეთ კავ-

[1] ЦГВИА. ф. ВУА, д. 6186, л. 135 об.

[2] იქვე, ფ. 136.

კასიაში, როგორიც სუჯუკ-კალე იყო. იგი ცდილობდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში მოეხვეჭა ნდობა და გავლენა, მათი ძალები გამოეყენებინა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ოსმალეთის სულთანი, რომელსაც ინგლისელები უხვად აფინანსებდნენ, უგზავნიდა დიდძალ საჩუქრებს, ფულს, საომარ იარაღს და სურსათს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა რეაქციულ ფენას იმ მიზნით, რომ მათ გაეჩაღებინათ რელიგიური ომი რუსეთის წინააღმდეგ. ოსმალეთიდან იგზავნებოდნენ აგრეთვე ჯაშუშები და რელიგიური ომის გაჩაღების მოქადაგენი, რომლებიც პროპაგანდას ეწეოდნენ ხალხში საღვთო ომის გაჩაღების შესახებ. გემები, რომლებიც ჯაშუშებთან ერთად ტყვია-წამალს უზიდავდნენ რელიგიური ომის გამჩაღებლებს ჩრდილოეთ კავკასიაში, რუსეთის მოკავშირე საფრანგეთის ალმებით მოდიოდნენ. საინტერესოა, ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად რიშელიეს მიერ 1811 წლის 5 აგვისტოს თარიღით სამხედრო მინისტრისადმი გაგზავნილი ცნობა, სადაც ვკითხულობთ: «Я получил на сих днях сведение, что суда под французскими флагами, взятыми нашими крейсерами в Геленчикской бухте, недалеко от Суджук-калийской крепости, доставили им (ლაპარაკია ჩერქეზთა დიდებულებზე, ნ. ქ.) свинцу 40 кантарь, соли более 40 тысяч пудов, высадили Муфтия Мегмет Эфендия и чиновника турецкого Музуль Имин, который привез для народа сего 300 кес пиастров жалования с обнадеживанием, что Порта обещает им дать помощь в войске, оружии и артиллерийских снарядов... на самых тех судах везли пушки и снаряды, но опасаясь крейсеров наших, выгрузили в Синопе до удобного случая»[1].

ჩერქეზთა იმ დიდებულებმა, რომლებიც ადრე რუსეთის მიმართ კეთილად იყვნენ განწყობილნი, ოსმალეთის ჯაშუშების ზეგავლენით ზურგი შეაქციეს რუსეთს და მის საწინააღმდეგო საქმიანობას მიყვეს ხელი. ამიტომ რიშელიეს საჭიროდ ჩაუთვლია გამოეყო სპეციალური ხომალდები სუჯუკ-კალესა და ანაპას შორის მეთვალყურეობისათვის[2].

ოსმალეთის აგენტები დაუკავშირდნენ ანაპის ყოფილ ფაშას, რომელსაც მრავალრიცხოვანი ბანდა ჰყავდა რუსეთის წინააღმდეგ,

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192, л. 141 и об.

[2] იქვე.

დაიწყეს თავდასხმები რუსეთის ჯარის ნაწილებზე და დიდ ზიანს აყენებდნენ მას. «*Они, — წერდა რიშელიე, — подстрекаемы будучи бывшим Анапским Гуссеин пашею и вновь прибывшим чиновником турецким Назиром, начали неприятельския свои действия и тем принудили меня принять строгие меры*»[1]. ხაზი ჩვენია, ნ. ქ.).

მაგრამ ოსმალთა ხრიკები ჩრდილოეთ კავკასიაში, ისე როგორც საქართველოში, უნდა ჩაფუშულიყო. რუსეთის ჯარის ნაწილების ენერგიული მოქმედებითა და ხალხის მასების მხარდაჭერით, მტერი განწირული იყო დამარცხებისათვის.

1810 წლის სამხედრო ოპერაციები კავკასიის ფრონტზე, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისმა ირანსა და ოსმალეთს დიდი დახმარება აღმოუჩინა, რუსეთის სამხედრო ძალების გამარჯვებით დამთავრდა.

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192 л. 143.

თავი მეოთხე

ირან-ოსმალეთის მიერ კომბინირებული მეორე ლაშქრობის მოწყობის ცდა და მისი ჩაფუშვა 1811 წელს. ბრძოლა ახალქალაქისათვის (1811—1812 წწ. ზამთარი)

1810 წ. ირანისა და ოსმალეთის გაერთიანებული ჯარი ახალქალაქთან სამარცხვინოდ დამარცხდა, რაშიაც, როგორც აღინიშნა, ერევნის ჰუსეინ-ყული-ხანი ახალციხის შერიფ-ფაშას ადანაშაულებდა. ამ დამარცხებამ ირან-ოსმალეთის სამხედრო კავშირში ბზარი გააჩინა; ირანის შაჰი განაწყენებული იყო ოსმალეთის სულთნის მიმართ, რადგან შერიფ-ფაშამ, მართლაც, არ მიიღო აქტიური მონაწილეობა რუსეთის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში. ირკვევა, რომ ოსმალეთის სარდლობა თავს დამნაშავედ გრძნობდა. 1810—1811 წლის ზამთრის განმავლობაში არა ერთხელ გაუგზავნია ირანის შაჰისათვის ოსმალეთის სულთანს ძვირფასი საჩუქრებით ელჩები იმ მიზნით, რომ ბოლო მოეღებოდა მათ შორის უნდობლობას და კვლავ გაერთიანებული ძალებით ეწარმოებინათ ბრძოლა საქართველოსათვის. 1811 წლის ზაფხულში, ერთ-ერთ ელჩობას ოსმალეთის ვეზირი აზემი მეთაურობდა. აზემის ელჩობის შესახებ ტორმასოვი 1811 წლის 24 თებერვალს რუმიანცევს აუწყებდა: *«От Константинопольского двора проехал чрез Ериван посол визирь Азим, имеющий от султана полномочие как в распоряжениях турецкими войсками здешняго края, так равно в отрешении и определении пашей, он следует к владетелю Персии Баба хану с большими суммами денег, и подарками для подтверждения союзного трактата и для условий о действии против Грузии».*[1]

ვეზირი აზემი დიდი უფლებებით იყო აღჭურვილი თავისი მთავრობისაგან. იგი უფლებამოსილი იყო სულთნისაგან, თავისი შე-

[1] АВПР, 1809—1811 гг. ф. Гл. Архив. I—13, д. 5, л. 142 и об. შდრ. იქვე, д. 8, л. 21 об.

ხელშეკრულებისამებრ გადაეყენებინა ის ფაშები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას არ მიიღებდნენ საქართველოსათვის ლაშქრობაში. ბევრი მათგანი იძულებული იყო საგანგებო ღონისძიება გაეტარებინა მომავალი ლაშქრობისათვის. ტორმასოვი რუმიანცევს იმავე წერილში სწერდა: «Карский, Арзерумский и Трапизонтский паша, кои в прошлом году слабо персиянам содействовали, будут властию проехавшего в Персию турецкого посла визиря Азима понуждены к поднятию оружия и соединению с персиянами».[1]

ოსმალეთის სულთანი და ირანის შაჰი კვლავ შეთამხმებულან გაერთიანებული ლაშქრობის მოსაწყობად საქართველოში რუსეთის ჯარების განადგურების მიზნით.

ირანს შაჰთან აზემის მოლაპარაკების შემდეგ, ერევნის ხანის მტრული საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურდა. როგორც 1811 წ. 16 იანვარს იმპერატორისადმი ტორმასოვის მიერ გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, ირანში აზემის ჩასვლის შემდეგ ყარსის ღიდებულებმა თავიანთი რწმუნებული გაგზავნეს ერევნის ხანთან მოსალაპარაკებლად რუსეთის წინააღმდეგ გაერთიანებული ლაშქრობის მოწყობის თაობაზე[2]. ოსმალეთის სულთანმა გასცა განკარგულება — ყარსის, ერზრუმისა და ტრაპიზონის ფაშები შეერთებოდნენ ირანის ჯარებს საქართველოსათვის ბრძოლაში[3].

ირან-ოსმალეთის გაერთიანებული ძალებით რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს ძველებურად კვლავ ინგლისის სამხედრო მისია მეთაურობდა. ირან-ოსმალეთის წარმომადგენელთა შორის ხშირი მიმოსვლა წარმოებდა; მჭიდრო ურთიერთობა მყარდებოდა აბასმირზასა და ერზრუმის სერასკირს ემინ-ფაშას შორის. ირანიდან ოსმალეთის საზღვრისპირა საფაშოებში, რომ არაფერი ვთქვათ კონსტანტინოპოლიდან მოსული ინგლისელი სამხედრო სპეციალისტების შესახებ, ხშირად შემოდიოდნენ ირანის სამხედრო ძლიერებაში ჩახედული ინგლისის სამხედრო აგენტები, რომლებიც აწესრიგებდნენ ლაშქრობასთან დაკავშირებით საჭირო საქმეებს. 1811 წ. 27 ივნისს ტორმასოვი გრაფ რუმიანცევს სწერდა: «На сих днях проехал из Тавриза чрез Ериван Аглинской чиновник с свитою более 40 человек в Эрзерум»[4], ინგლისელები იყვნენ სამხედრო

---

[1] АВПР, 1809—1811 гг., ф. Гл. архив, I—13, д. 5, л. 144.

[2] იქვე, д. 89, л. 23.

[3] იქვე.

[4] იქვე, д. 5, л. 154 и об.

მრჩევლები და ხელმძღვანელობდნენ გაერთიანებული ლაშქრობის საქმეს. უთანხმოება ირანსა და ოსმალეთს შორის უკვე მინელდა. ირანისა და ოსმალეთის სარდლობა ერთმანეთს ამარაგებდნენ იმით, რისი ნაკლებობაც ადგილზე იგრძნობოდა. მაგალითად, 1811 წლის ზაფხულში ერზრუმის ფაშას 96 აქლემის საპალნე ტყვია-წამალი გაუგზავნია ერევნის ჰუსეინ-ყული-ხანისათვის[1].

ირან-ოსმალეთის ერთიან ლაშქრობას ძველებურად მაინც უშლიდა ხელს ოსმალეთის საფაშოებს შორის არსებული წინააღმდეგობანი. მაგაზბერტის მფლობელი ყარა-ბეგი ცდილობდა ირან-ოსმალეთის სამხედრო კავშირი თავისი პირადი ინტერესებისათვის გამოეყენებია. იგი შეურიგებლად უპირისპირდებოდა ყარსის ფაშას და ცდილობდა ყარსის საფაშოს დაუფლებოდა. მან შეძლო აღნიშნული საფაშოს მნიშვნელოვანი ტერიტორია დაეპყრო; ყარსის აბდულ-ფაშას მხოლოდ ყარსი და მის გარშემო მდებარე პროვინციები შერჩა. ყარა-ბეგი დაკავშირებული ...ყო ერევნის ხანთან. ტორმასოვი ჯერ კიდევ 1810 წ. 5 ივლისს რუმიანცევს სწერდა: «Карабек в тесной связи с Ериванским сардаром и обязались между собою во всем друг-другу помогать»[2]. შინაფეოდალურმა ომებმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ოსმალეთის იმპერიაში, საკმაოდ უარყოფითი შედეგები მოუტანა მოკავშირეებს 1811 წლის სამხედრო ოპერაციების ჩატარების საქმეშიც.

1811 წლისათვის ირან-ოსმალეთის სამხედრო ლაშქრობას საქართველოში საკმაო ეფექტი რომ ჰქონოდა, ოსმალეთის სულთანმა ძველებურად ჯაშუშები გაგზავნა ჩრდილოეთ კავკასიაში, რათა აემხედრებინა მთის ხალხები რუსეთის წინააღმდეგ. ტორმასოვი გრაფ რუმიანცევისადმი 1811 წლის 24 თებერვლის თარიღით გაგზავნილ წერილში საინტერესო ცნობას იძლევა ოსმალეთის სულთნის მიერ გაგზავნილი ჯაშუშის საქმიანობის შესახებ. მისი ცნობით 1811 წლის 9 იანვარს ოსმალეთის სულთანმა სპეციალური ჩინოვნიკი გაგზავნა ერზრუმისა და ყარსის გზით ირანში 'აბას-მირზასთან საიდუმლო დავალებით; ირანიდან იგი დაღესტანში უნდა გადასულიყო რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფ პროვინციებზე გავლით. მისი ამოცანა ტორმასოვის ცნობით, მდგომარეობდა იმაში, რომ დაღესტნის მრავალრიცხოვან ხალხებს აღემართათ იარაღი **«против войск его**

---

[1] АВПР, 1801—1814 гг. ф. Гл. архив, 1-13, д. 5 л. 118.

[2] იქვე, ფ. 131

императорского величества в здешнем краю находящихся и действовать соединенно с персиянами и турками».[1]

ტორმასოვმა ბრძანა გზა გადაეჭრათ სულთნის ჯაშუშისათვის. რომელსაც თურმე 32 წერილი მიჰქონდა დაღესტანში. ჯაშუში შეპყრობილ იქნა. წერილებში მოცემული იყო ცნობა იმის შესახებ, რომ სულთანმა მოაწყო «Важное турецкое посольство с богатеишими подарками,... к владетелю Персии Баба-хану, для подтверждения союза к соединенным действиям против России»[2] — იქვე აღნიშნული იყო, რომ ერზრუმს, ყარსსა და ახალციხეში წარმოებდა დიდი მზადება მომავალი სამხედრო ლაშქრობისათვის. რომ ტრაპიზონიდან ბათუმს მოვიდა ოსმალეთის მრავალრიცხოვანი ჯარი ფოთზე სალაშქროდ[3]. ტორმასოვი წერდა, რომ მომავალ 1811 წ. ზაფხულისათვის ირანი და ოსმალეთი მოაწყობდნენ ერთობლივ თავდასხმას საქართველოზე (ეს მან მრავალი წყაროებიდან იცოდა). ხოლო მას საკმაო ჯარი არ გააჩნდა[4].

ირანის კავალერიამ ზამთრის პირობებში დაიწყო საზღვრებზე თავდასხმა, რასაც ისინი აქამდე ვერ ბედავდნენ. ირანელები თავის მხრივ ამყარებდნენ კავშირს შიხალი-ხანთან და მოუწოდებდნენ ყაზიყუმუხის სურხაი-ხანს განდგომოდა რუსეთს[5].

შაჰი და სულთანი გაერთიანებული ჯარების მძლავრ შეტევაზე და მთის ხალხების რეაქციული ზედაფენის დივერსიულ მოქმედებებზე დიდ იმედებს ამყარებდნენ; ისინი სოლომონ II-საც დიდ ძალად მიიჩნევდნენ იმერეთიდან რუსეთის ჯარების განდევნისათვის. უხვად იფანტებოდა ინგლისის ფინანსები ანტირუსული კოალიციის შესაქმნელად.

ტრაპიზონს, ბათუმსა და ახალციხეში აგროვებდნენ დიდძალ ჯარს ზაფხულისათვის ნავარაუდევი სამხედრო ოპერაციის ჩატარებისათვის. ასევე ემზადებოდა შეტევისათვის ირანის ჯარიც. სოლომონ II კი ცდილობდა იმერეთში კვლავ მოეწყო აჯანყება. ამას ნათლად ადასტურებს 1811 წ. 19 აპრილს ბარკალაი-დე-ტოლისადმი ტორმასოვის მიერ გაგზავნილი პატაკი, სადაც ვკითხულობთ:

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6184, л. 440.
[2] იქვე, ფ. 444.
[3] იქვე, ფ. 444.
[4] იქვე. ფ. 444.
[5] იქვე ფ. 447.

«Ныне, имею верныя сведения о необыкновенных приуготовлениях двух соседних неприятелей персиян и турок, сделавшихся единодушным действием английского золота, щедро в здешнем краю разсыпаемого, и об неистощаемых усилиях беглым имеретинским царем Соломоном, живущим в Ахалцыхе, и подкрепляемых всеми способами от персиян и турок, чтобы опять возжечь пламя бунта в Имеретии».[1] (ხაზი ჩვენია, ნ. ჯ.).

ოსმალეთის სულთანმა 1810 წლის ბოლოს, იმ მიზნით, რომ რუსეთის ჯარებისათვის ზურგში ძლიერი დარტყმები მიეყენებინა, მთის ხალხების ფეოდალთა რეაქციულ ფენას დაუნიშნა მთავარსარდალი, რომელსაც უნდა დამორჩილებოდა კავკასიის მუსლიმანური მოსახლეობა. ტორმასოვი 1810 წლის 17 დეკემბერს გრაფ რუმიანცევს სწერდა: *«Абазехинский Аджи привез с собою от турецкого двора ферман хромому Закубанскому Султану, которым он назначается верховным начальником всех народов магометанского исповедования, начиная от Черного до Каспийского моря, и что сей ферман послан уже по всем горам с обявлением, чтобы все племена, живущия в горах, повиновались власти и воле назначаемого сераскира».*[2] (ხაზი ჩვენია, ნ. ჯ.).

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა, თუ პერსონალურად ვინ იყო ის იმიერყუბანელი სულთანი „ხრამოი", რომელსაც ოსმალეთის მთავრობა ასე დიდ ნდობას უცხადებდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ფაქტი მეტად საგულისხმოა, ვგი მიუთითებს ირან-ოსმალეთის აგენტურის სიძლიერეზე. ირან-ოსმალეთის ფრონტების გაერთიანების პარალელურად, რუსეთის არმიის ზურგში მტრული ძალების მოქმედების კოორდინაციისათვის იქმნებოდა ერთიანი სარდლობა, რომელსაც სულთნის მითითების საფუძველზე უნდა ემოქმედნა. 1811 წელს, მართლაც, ირან-ოსმალეთის აგენტურის მიერ მოსყიდული კავკასიის მუსლიმანური მოსახლეობის ზედაფენა გაერთიანებული ძალებით იბრძოდა რუსეთის ჯარების წინააღმდეგ ამიერკავკასიაში, რასაც ადასტურებს შემდეგი საარქივო ცნობა: *«Кабардинский народ и чеченцы, возбуждаемые поднять оружие против Российских войск, с одной стороны Оттоманской Портою, а с другой—персидским правительством,*

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6166, ч. 3, л. 34 и об.

[2] АВПР, 1810, ф. Гл. архив, I—9, д. 1, л. 1

чрез фермана к ним безпрерывно посылаемые, также чрез... обещания для них выголе и иногда чрез подарки, наконец, явно обнаружилы свое волнение и оба сии народа... соединились вместе данною ими озаимною присягою, напрягать все свои силы ко вреду Российских войск и уже открыли неприязненныя свои действия»[1], ასეთივე პოლიტიკას ატარებდა ირან-ოსმალეთის აგენტურა ყაბარდოს, ჩერქეზეთის, დაღესტნისა და სხვა ხალხების მიმართ. ხშირად დიდძალი ფულითა და საჩუქრებით მათ საშუალება ეძლეოდათ მიემხროთ აღნიშნული ხალხის დიდებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც ართულებდა რუსეთის მდგომარეობას ამიერკავკასიაში.

რუსეთის მზვერავები აწვდიდნენ ტორმასოვს ცნობას იმის შესახებ, რომ ირანში სწარმოებდა გაცხოველებული მზადება საომარი მოქმედების განახლებისათვის. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ბაბა-ხანმა დაანაწილა ირანის არმია თავის შვილებს შორის და დაგზავნა საზღვრებზე სამი მიმართულებით: ერთი ყარაბაღის, მეორე შამბაკისა და მესამე არფაჩაის მიმართულებით. არფაჩაის მიმართულებით მოქმედი არმია უნდა შეერთებოდა ერზრუმის სერასკირის, ყარსის ფაშასა და ახალციხის შერიფ-ფაშას ჯარებს და, შეთანხმების თანახმად, ისინი უნდა შეჭრილიყვნენ იმერეთში, რომ დახმარებოდნენ ახალციხეში თავშეფარებულ სოლომონს. მათვე უნდა ეწარმოებინათ თავდასხმა ქართლზე. ირანის ჯარის დიდი ნაწილით თვითონ ბაბა-ხანი ვარაუდობდა მედგრად დაერტყა ქართლ-კახეთისათვის[2]. რუსეთის სარდლობის ხელთ არსებული ცნობა ირანის არმიის განლაგებისა და მოქმედების გეგმის შესახებ საკმაოდ ზუსტი იყო.

ინგლისელები ვარაუდობდნენ, რომ ირან-ოსმალეთის გაერთიანებული ძალების ავანგარდი აზიაში ირანის ჯარები უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც ოსმალეთის არმიის დიდი ნაწილი დუნაის ფრონტზე იყო დაკავებული, ხოლო დანარჩენი არმია კი კავკასიის ფრონტზე იბრძოდა. იგი გაცილებით ნაკლებ ბრძოლისუნარიანი იყო, ვიდრე ირანის უზარმაზარი არმია, რომელიც მთელი ფრონტით უპირისპირდებოდა რუსეთის ჯარს აზიაში. ინგლისის მხრივ საგანგებო ყურადღება ექცეოდა ირანის ჯარების საბრძოლო მზადყოფნას. 1811 წ. ირანში, ტორმასოვის ცნობით, კვლავ გამოიგზავნა

[1] АВПР, 1809—1814, ф. Гл. архив, I—13, д, 5, л. 116, Разныя известия 1811 г.

[2] ЦГВИА, ф. ВУА, д 6192 л. 76 и об.

ინგლისიდან ახალი ელჩი, რომელიც ბაბა-ხანის მიერ გულთბილად იქნა მიღებული[1]. ინგლისის ელჩი დაინტერესებული იყო ირანის არმიის მაღალი ბრძოლისუნარიანობით და იგი ურჩევდა ბაბა-ხანს გაეძლიერებინა ქვეითი ჯარი და არტილერია[2]. ელჩის ეს რჩევა დიდი მადლობით იქნა მიღებული. თავრიზში დაიწყო კიდეც რეგულარული ქვეითი პოლკების ფორმირება. ინგლისელ ელჩს, ტრადიციისამებრ, დიდძალი სამხედრო სპეციალისტები ჩამოყვა ინგლისიდან იმ მიზნით, რომ 1811 წლის სამხედრო ოპერაცია რუსეთის წინააღმდეგ წარმატებით დამთავრებულიყო; „Посол сей, — ნათქვამია ზემოთ მოტანილ საბუთში, — *имеет в своей свите многих артиллерийских офицеров, которые вместе с ними отправились уже в Тавриз, так как новый посол будет находиться при наследнике Персии Абас-Мирзе, а прежный останется при Баба-хане, артиллерийские же офицеры привезены им для обучения персиян действовать артиллериею*».[3] დასტურდება, რომ ინგლისის მთავრობა ამრავლებდა ირანში სამხედრო სპეციალისტებს, რომლებიც უშუალოდ ედგნენ სათავეში შაჰის არმიის საბრძოლო მომზადების საქმეს.

ერევნის სარდალმა ჰუსეინ-ყული-ხანმა შეადგინა ცხენოსანთა სპეციალური რაზმები (ირანის პირობებში საუკეთესონი) იმ მიზნით, რომ თავს დასხმოდნენ ბამბაკისა და შურაღელის პროვინციებს.

ირკვევა, რომ ოსმალეთის სულთანიც, რომელსაც სერიოზული მარცხი მოსდიოდა რუსეთის ჯარებთან ბრძოლაში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, იმედებს რუსეთის წინააღმდეგ ომში აზიაში ირანის არმიაზე ამყარებდა. გაერთიანებული ძალებით რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების თაობაზე 1811 წლის გაზაფხულზე (აპრილში) ოსმალეთიდან ირანში ჩასულა ახალი ელჩი იასინ-ეფენდი, რომელმაც «привез Баба-хану денежную сумму от Арзерумского сераскира, которая им принята, так как и предложение его, чтобы на Арпачае часть войск персидских соединилась с *сераскирскими войсками для соединенных действий*».[4] ერზრუმის სერასკირი ემინ-ფაშა შეუთანხმდა ირანის სარდლობას და დროც

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192, л. 76 и об.

[2] იქვე.

[3] იქვე, ფ. 77.

[4] იქვე, ფ. 76. об.

დაინიშნა შეთანხმებული მოქმედების დაწყებისათვის. ამჯერად ერზრუმის სერასკირს მიანდო. სულთანმა ოსმალეთის ჯარების ორგანიზაციისა და მომზადების საქმე; კავკასიის ფრონტზე სარდლის მოვალეობა მასვე დაეკისრა. ემინ-ფაშამ ყარსის აბდულა-ფაშას უბრძანა სასწრაფოდ მოეყვანა თავისი ჯარი საბრძოლო მდგომარეობაში და აგრეთვე გაემართა ურმები და საზიდრები სურსათისა და არტილერიის დანიშნულების ადგილზე მისატანად[1].

ოსმალეთის სულთანი, ჩვენი ქვეყნისათვის ასეთ მრისხანე დღეებში, ცდილობდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა სოლომონ II; ტორმასოვს 1811 წ. 10 ივნისისათვის ზუსტი ცნობა ჰქონია იმის შესახებ, რომ კონსტანტინოპოლიდან ერზრუმს ჩასულან სოლომონ II-ის ერთგული პირები — ქაიხოსრო წერეთელი და დავით აღნიაშვილი. ერზრუმის ფაშას სულთნისაგან ნაბრძანები ჰქონდა 300 ქისა ფული მიეცა სოლომონ II-სათვის და მთელი ძალებით ემოქმედნა რუსეთის წინააღმდეგ[2]. ირან-ოსმალეთის ძალების გაერთიანება არფაჩაისთან უნდა მომხდარიყო. გაერთიანებული სახმელეთო ჯარების მიერ საომარი ოპერაციების დაწყებასთან ერთად ოსმალეთის შავი ზღვის სანაპიროსთან განლაგებულ ჯარებს უნდა ემოქმედნა გურია-იმერეთსა და სამეგრელოში რუსეთის ჯარების გასანადგურებლად და ოსმალეთის ბატონობის აღსადგენად. „С другой же стороны, —ეკითხულობთ დოკუმენტში,— приморские Анадольские войски под начальством Дженискаго паши Хазинадар-Оглу действовать имеют совокупно с Ливанскими, Ачарскими и Ахалцыхскими турками, к коим ожидают они прибытия вновь из Дагестана лезгин на Поти и Имеретию».[3] აბას-მირზასა და ერზრუმის ემინ-ფაშას შორის ხშირად ხდებოდა სამხედრო სპეციალისტების გაცვლა იმ მიზნით, რომ საომარი მოქმედებისათვის უფრო ეფექტური ხასიათი მიეცათ. ამ მხრივ აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ინგლისელი სპეციალისტები: ისინი ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ ყარსში, ერზრუმსა და სხვა საფაშოებში, ამოწმებდნენ ოსმალეთის ჯარის საბრძოლო მზადყოფნას[4].

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192, л. 77.
[2] იქვე, ფ. 77—78.
[3] იქვე.
[4] იქვე, ფ. 86.

ანატოლიაში ოსმალეთის ჯარი მობილიზებული იყო საქართველოს დასაპყრობად. ტორმასოვის ცნობით, ერზრუმის სერასკირი ემინ-ფაშა ყარსში ჩასულა 20 ქვემეხითა და 6000-იანი ცხენოსანი ჯარით; აერთიანებდნენ ერზრუმის, ბაიაზეთისა და ყარსის ჯარებს. აღნიშნული საფაშოების ქვეითი ჯარი, რომელიც 18-ათასამდე მეომარს ითვლიდა, შეუერთდა კავალერიას[1].

ირან-ოსმალეთის სარდლობას გათვალისწინებული ჰქონდა ზღვიდან და ხმელეთიდან ერთდროულად დაერტყა საქართველოსათვის. დიდი საფრთხე დაემუქრა ამიერკავკასიის ხალხებს, მრავალათასიანი არმია მათ წალეკვით ემუქრებოდა. რომ კარგად წარმოვიდგინოთ მტრების მიერ საქართველოს დაპყრობის საფრთხის მთელი სერიოზულობა, ჩვენ მოვიტანთ ტორმასოვის მიერ გრაფ რუმიანცევისადმი გაგზავნილ წერილიდან ერთ ადგილს, სადაც ნათქვამია: *«На сей конец находящихся в собрании на всех пунктах более тридцати тысяч персидских войск, предводительствуемых сыном и наследником Баба-хановым Аббас Мирзою, два турецких сераскира, Эрзерумской Эмин паша и Трабизондской Казнадар-Оглу приближились с войсками своими к нашим границам, первый—к стороне Карса для соединенного действия с персиянами, а второй—к стороне Батума для содействия бывшему Имеретинскому царю. Сверх того, подкуплены ими в большом числе лезгинцы и прочия горныя дагестанския народы».*[2]

აბას-მირზა 30 000-იანი არმიით მოადგა საზღვარს ყარაბაღთან და ერევნის ჰუსეინ-ყული-ხანს გადასცა 10 ათასამდე ჯარისკაცი სერასკირ ემინ- ფაშასთან შესაერთებლად და საქართველოზე თავდასხმისათვის[3]. 1811 წ. ივლისში ხაზინადარ-ოღლი ოსმალთა 16 000-იანი ჯარით ბათუმში იდგა; მას ნაბრძანები ჰქონდა თავისი არმია 40 ათასამდე გაეზარდა[4]. ხაზინადარ-ოღლის თავისი მრავალრიცხოვანი ჯარით სურდა თავზარი დაეცა რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის. დასავლეთ საქართველოში ხაზინადარ-ოღლი თავისი ერთგული პირების — ოსმალეთის ჯაშუშების საშუალებით ცდილობდა დაეზუსტებია, თუ როგორი იყო ადგილობრივი მოსახლეობის განწყობილება რუსეთის მი-

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192, л. 97 и об.
[2] იქვე, ფ. 97.
[3] იქვე, ფ. 98.
[4] იქვე, ფ. 113.

მართ, რა რაოდენობის ჯარი იყო დაბანაკებული იქ და სხვ. ხაზინადარ-ოღლი ცდილობდა ოსმალეთის ნაცადი მეთოდისათვის — დიდებულების მოსყიდვა-გადმობირებისათვის მიემართნა[1].

ხაზინადარ-ოღლიმ თავისი ყურადღება გურიის მთავრის—პოლკოვნიკ მამია გურიელისაკენ მიმართა, რომლის სამფლობელო უშუალოდ ესაზღვრებოდა აჭარას, სადაც მაშინ ოსმალები იყვნენ დამკვიდრებულნი. ხაზინადარ-ოღლი ცდილობდა გამოეყენებია სელიმ-ფაშასა და მამია გურიელის ნათესაური კავშირი, გადაებირებინა ეს უკანასკნელი და ოსმალეთის სამსახურში ჩაეყენებინა. ხაზინადარ-ოღლი საქართველოზე თავდასხმისაგან თავს იკავებდა მანამდე, სანამ დასავლეთ საქართველოს დიდებულებს არ მიიმხრობდა და სანამ აბას-მირზასა და ემინ-ფაშას გაერთიანებული ჯარები არ გადმოლახავდნენ საზღვარს[2].

მამია გურიელისათვის ხაზინადარ-ოღლის გამოუგზავნია წერილები; ეს უკანასკნელი აღუთქვამდა გურიელს დიდძალ საჩუქარს და მოუწოდებდა ჩაბმულიყო თავისი ჯარით რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ხაზინადარ-ოღლის მიერ გამოგზავნილი წერილები მამია გურიელს, ნიშნად რუსეთისადმი დიდი ერთგულებისა, გადაუცია გენერალ-მაიორ სიმონოვიჩისათვის[3]. მამია გურიელმა, როდესაც საქართველოსათვის მეტისმეტად დაძაბული მომენტი იყო, როცა მთელი მუსლიმანური სამყარო ფეხზე იდგა საქართველოს წინააღმდეგ, დიდი მამულიშვილობა გამოიჩინა მიუხედავად იმისა, რომ გადაყენებითა და დასჯით ემუქრებოდა ოსმალეთის მთავრობა რუსეთის ჯარების დამარცხების შემთხვევაში. აი, რას სწერდა 1811 წლის 13 აგვისტოს გენერალ-მაიორი სიმონოვიჩი ტორმასოვს: *«Получил я письмо Гурийского владетельного князя Мамия Гуриела, в коем пишет, что он получил от Хазинадара-Оглу чрез нарочно посланного чиновника три бумаги, из коих две на турецком — Султанской ферман на имя Хазинадар-Оглу и от сего последнего письмо — и третье письмо от Хазинадара-Оглу на грузин-*

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192, л. 113.
[2] იქვე, ს. 114.
[3] იქვე.

ском языке к нему, Гуриелу, в коем приглашает его принять их сторону, да сверх того еще письмо на грузинском от какого-то аги Цецехеладзе (ალბათ ცეცხლაძე, ნ. ჯ.), *в котором сей последний уведомляет Мамия, чтоб он ускорил предаться Хазнадар-Оглу, что Вахтанг и Давид Гуриелы и князя Накашидзевы имеют с Хазнадар-Оглу сношение и намерены провозить турецкие войска под Поти, с тем, чтобы турки после сделали Вахтанга Гуриелом и что они и намерены произвести в действо, если Мамия заблаговременно не примет их сторону»*[1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ჯ.).

ოსმალეთის მთავრობა ცდილობდა ხაზინადარ-ოღლის მრავალრიცხოვანი არმიით პირველ რიგში დაუფლებოდა შავი ზღვის ნავსადგურებს — ფოთს, ანაკლიას, ყულევს, სოხუმს, რითაც საბოლოოდ აღადგენდა თავის დაკარგულ უფლებებს დასავლეთ საქართველოს მიმართ. ახალციხის შერიფ-ფაშა, როგორც კი ხაზინადარ-ოღლი შეიჭრებოდა საქართველოში, მზად იყო თავისი ჯარით დაეკავებინა პირველ რიგში იმერეთი და გურია[2]. ტორმასოვი ვარაუდობდა, რომ 1811 წელს ირანსა და ოსმალეთს ამიერკავკასიაში მთის ხალხების რეაქციულ ფენებთან ერთად რუსეთის ჯარების წინააღმდეგ შეეძლოთ გამოეყვანათ ერთდროულად 100 000-იანი არმია[3], მაშინ როდესაც ამიერკავკასიაში მყოფი რუსეთის ჯარი 17.469 ჯარისკაცსა და ოფიცერს ითვლიდა 64 ქვემეხით[4]. ტორმასოვი ხედავდა რა დიდ საფრთხეს, რომელიც იქმნებოდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში მყოფ რუსთა ჯარებისათვის, ითხოვდა სამხედრო სამინისტროსაგან დამატებით დამხმარე ძალების გამოგზავნას; იგი ცდილობდა გაეძლიერებინა გარნიზონი ფოთში, სოხუმში, ანაკლიაში, დარუბანდში, ბაქოში, ელიზავეტპოლსა და სხვა სამხედრო მნიშვნელობის ნაესადგურებსა და ქალაქებში. მაგრამ ტორმასოვის თხოვნა არა თუ დააკმაყოფილეს, არამედ სამხედრო მინისტრი ეკითხებოდა კიდეც მას: ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი ორი პოლკი გაეგზავნა ტორმასოვს საქართველოდან დასავლეთის საზღვარზე, სადაც ნაპოლეონის წინააღმდეგ რუსეთის ჯარი იკრიბებოდა[5], ცხადია, ტორმასოვისაგან დასავლეთის ფრონტზე

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 67, л. 429 об, и 430.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192, л. 70.
[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192, л. 69 об. и 70.
[4] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2875, ч. 3 л. 163 об. и 164.
[5] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2875, ч. 3, л. 163, и об.

გასაგზავნი ჯარის მოთხოვნა იმ კრიტიკულ მომენტში სრულიად მოულოდნელი იყო და მის ბედზე დაცინვას წააგავდა.

იმის გამო, რომ მას დამხმარე ძალებს ვერ უგზავნიდნენ ფოთის, სოხუმისა და ანაკლიის დასაცავად, ტორმასოვი სამხედრო მინისტრისაგან განმეორებით ითხოვდა. შავი ზღვის ფლოტი დახმარებოდა ხაზინადარ-ოღლის წინააღმდეგ ბრძოლაში, რათა უზრუნველეყო შავი ზღვის საქართველოს სანაპიროების დაცვა. მინისტრმა დააკმაყოფილა გენ. ტორმასოვის თხოვნა. ვიცე-ადმირალი იაზიკოვი სწერდა ტორმასოვს: «**Учреждено уже от Черноморского флота крейсерство легкими военными судами на всем пространстве от Анапы до Поти для пресечения сообщений между турками и горскими народами и для содержания неприятелей в страхе».**[1]

1811 წლისათვის საქართველოს მდგომარეობა მძიმე იყო არა მარტო იმიტომ, რომ მტრის მრავალათასიანმა არმიამ მოიყარა თავი მის გარშემო, არამედ იმიტომაც, რომ ახალციხის მებრძოლ რაზმებში გავრცელებული შავი ჭირი სწრაფად მოედო საქართველოს და მთელ ამიერკავკასიას. საშიში ხასიათი მიიღო მან დასავლეთ საქართველოში. 1810 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე იმერეთში შექმნილმა მდგომარეობამ, კერძოდ სოლომონ II-ის წინააღმდეგ რუსეთის ჯარების ბრძოლებმა მოსახლეობა მატერიალურად გააჩანაგა. სოლომონის „დახმარების" მოტივით ოსმალთა შემოსევამ და მისმა მწვავე შედეგებმა, აგრეთვე მარტის თვეში მოსულმა ღრმა თოვლმა და სხვა სტიქიურმა უბედურებამ ქვეყანა წელში გატეხა. შიმშილისაგან ღონემიხდილი მშობლები ლუკმა-პურისათვის მუდმივ მონობაში ჰყიდდნენ თვიანთ შვილებს[2]. ხალხი რკოსა და ვაზის რტოებს ფქვავდა და იმით იკვებებოდა. „თავისუფალი კაცი იძულებული ხდებოდა ყმად დადგომოდა მას, ვინც მის რჩენას იკისრებდა. დამშეულ ქვეყანას საოცარი სისწრაფით მოედო შავი ჭირი, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში მარტო იმერეთში 32.750 კაცი იმსხვერპლა. 4750 კაცი გაიხიზნა, ხოლო 2.000 სული ტყვედ დაჰყიდეს. ასეთ განსაცდელში მყოფ ქვეყანას თავს დაატყდა ახალი სტიქიური უბედურება — წყალდიდობა, რომელმაც ბარის გლეხთა ასობით ოჯახი ფუძიანად მოშალა. სოფლები დაყრუვდა და მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი ამოწყდა"[3].

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192, л. 74 შდრ. იქვე, д. 2884, л. 111. об.

[2] Акты, т. VII, ч. 1, д. 433, стр. 481.

[3] საქართველოს ისტორია, I (მაკეტი), 1956 წ. თბ., გვ. 396.

ასეთივე მდგომარეობაში იყო დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებიც — გურია, სამეგრელო, აფხაზეთი. «Во всех тамошних владениях России, — წერდა გენ. მარკიზ პაულიჩი, — существует недостаток в продовольствии и болезни, а в Имеретии — голод и зараза в высшей степени»[1].

აი, როგორ აღწერდა ბაგრატ ბატონიშვილი მაშინდელი საქართველოს ამ უბედურებას: „წელსა 1811 იქმნა სიყმილი ქართლსა, კახეთსა და იმერეთსა შინა ოდიშ-გურიითურთ და ჭირი და სვრა დიდი და მოსწყდა მრავალი სული. წელსა ამას ისყიდებოდა პური კოდი რვას მინალუთად, რომელი არა თქმულა აროდეს. და იყო შიმშილი ესე ვიდრე წელი ერთი და ფ~დ შემ პირდნენ მხედრობანი რუსთანი უსაზრდელობითა და ამჭირვებდნენ ხალხთა ფ~დ“[2].

საქართველოში მყოფი რუსი ჯარისკაცების შენახვა ძირითადად ქართველ გლეხობას აწვებოდა ზურგზე, რაც კიდევ უფრო აუარესებდა მათს ყოფას. მეტისმეტად მძიმე მდგომარეობაში მყოფ საქართველოს, როგორც აღინიშნა, სასიკვდილოდ ემუქრებოდა მტრის მრავალრიცხოვანი არმია. ასეთ დაძაბულ მომენტში ბევრი რამ იყო დამოკიდებული მრავალმხრივ უბედურებაში ჩავარდნილი ქართველი ხალხის გმირულ შემართებაზე. ხაზინადარ-ოღლის შემოსევის საფრთხეს მთელი სერიოზულობით აფასებდა დასავლეთ საქართველოს მშრომელი მოსახლეობა და იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის დიდებულთა ნაწილი. გურიის სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრები, რომლებიც რუსეთის ერთგულნი იყვნენ, თავის გარშემო რაზმავდნენ და პირადი მაგალითით ამხნევებდნენ მოსახლეობას მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. იმერეთში გაცილებით უფრო საშიში მდგომარეობა იყო; იქ სოლომონ II-ეს თაქისი მომხრე დიდებულები ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით შემორჩა, თვითონ კი ახალციხეში იდგა შერიფ-ფაშას ჯარებით იმერეთზე თავდასხმისათვის გამზადებული. რუსეთის სარდლობა იმერეთში ერთგული თავადების მეთაურობით ქმნიდა რაზმებს ოსმალეთის წინააღმდეგ. ქრისტიანული ეკლესია კვლავ ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურში იქნა ჩაყენებული. გენერალ-მაიორი სიმონოვიჩი 1811 წ. 13 აგვისტოს ტორმასოვს აუწ-

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192, л. 115.

[2] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი ახალი მოთხრობა, გვ. 117.

ყებდა, რომ იმერეთის მიტროპოლიტთ და რუსეთის მომხრე დიდებულებს წინადადება მიეცათ, ხალხი რუსეთის ერთგულების ქვეშ ჰყოლოდათ[1].

ირკვევა, რომ ამ განსაცდელის ჟამს მდაბიო ხალხსა და თავადობას რუსი მოხელეები ცალ-ცალკე ხელახლა აფიცებდნენ რუსეთის ერთგულებაზე. დიდებულებს გაცილებით ნაკლებად ენდობოდნენ რუსეთის წარმომადგენლები, ვიდრე მდაბიო ხალხს; დიდებულთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა ხომ 1810 წლის აჯანყების დროს თავისი რეპუტაცია შეილახა. ქრისტიანული რელიგიის მესვეურები რუსეთის სამსახურში იდგნენ როგორც იმერეთში. ასევე გურიასა და სამეგრელოში. გენერალ-მაიორი სიმონოვიჩი იმავე წერილში შემდეგს აღნიშნავდა: «**Написал митрополитам Чхонителю** (ჭყონდიდელს, ნ. ჭ.), **Цагарелю** (ცაგარელს, ნ. ჭ.), **и Чаяшелю** (ცაიშელს, ნ. ჭ.) **прося их о увещевании князей и удерживании их в верности**».[2] გურიის მიტროპოლიტი ჯუმათელი, ამ დროს მძიმე ავადმყოფი, ვერ ღებულობდა ამ დიდ საქმეში მონაწილეობას, მაგრამ სხვა მაღალი რანგის სასულიერო პირები აქტიურად მოქმედებდნენ. 1811 წ. 13 აგვისტოს გენერალ-მაიორი სიმონოვიჩი სწერდა ტორმასოვს, რომ მას ეშინია იმერეთში სოლომონ II-ის გამოჩენისა, რადგან მას იქ ჯერ კიდევ ჰყავს თავისი მომხრეებიო და ითხოვდა რუსეთის ჯარის ნაწილებით იმერეთის საზღვრების გაძლიერებას. მას მიზანშეწონილად მიაჩნდა ფოთის მიდამოებში მდგომი რუსეთის ჯარის ნაწილები იმერეთში გადაეყვანა, იმ ყარაულით, რომ ისინი მეგრელთა მილიციას შეეცვალა, ოღონდ საჭიროდ თვლიდა როგორც იმერეთში, ისე სამეგრელოში მოქმედი სახალხო მილიციის ულუფით უზრუნველყოფას. სიმონოვიჩის წერილში ვკითხულობთ: «*Можно было употребить при Поти Мингрельские войска, но по существующему теперь в той земле голоду, надобно будет отпускать им казенный провиант, как ровно имеретинским охотникам*».[3] სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს წინადადება მიეცა «*о зборе войск с тем, чтобы по первому востребованию итти им в Поти*».[4] აფხაზეთის მთავარს გიორგი შერ-

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 67, л. 432.

[2] იქვე.

[3] იქვე, ფ. 431

[4] იქვე, ფ. 432.

ვაშიძეს ებრძანა აფხაზთა ლაშქარი გამოეყვანა სოხუმის დასაცავად. დასავლეთ საქართველოში, მიუხედავად წარმოუდგენლად მძიმე მდგომარეობისა, ხალხი ფეხზე დადგა ხაზინადარ-ოღლის თავდასხმისაგან ქვეყნის დასაცავად. საგანგებოდ ამაგრებდნენ შავი ზღვის სანაპიროებსა და მის ნავსადგურებს — ფოთს, ანაკლიას, ყულევსა და სოხუმს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 1811 წ. მარტში ჭყონდიდის მიტროპოლიტ ბესარიონს ფოთის გასამაგრებლად საჭირო ცემენტისა და სხვა მასალის გადასატანად თავისი მამულიდან 300 უმა გლეხი გაუგზავნია[1]. ასევე იქცეოდა სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სასულიერო და საერო წოდების ბევრი წარმომადგენელიც. ოსმალეთისაგან საქართველოს დაცვის ინტერესმა საზოგადოების თითქმის ყველა ფენა აამოძრავა და იარაღქვეშ დააყენა, გარდა ფეოდალთა იმ ნაწილისა, რომელიც ირანსა და ოსმალეთს ერთგულობდა. რუსეთის მთავრობა მზად იყო სახალხო მილიციისათვის გაეცა საჭირო თანხა ცხენებისა და საომარი იარაღის შესაძენად[2]. რუსეთის ჯარების გარშემო მჭიდროდ დაირაზმა ქართველი მოსახლეობა, რომელიც მზად იყო თავისი წვლილი შეეტანა კარზე მომდგარი მტრის განადგურების საქმეში. სიმონოვიჩი მალე დარწმუნდა, რომ თვით იმერეთშიაც კი, სადაც მას მდგომარეობა საეჭვოდ მიაჩნდა, ძალიან მცირე იყო იმათი რიცხვი, ვინც ოსმალეთის ჯარის შემოჭრის შემთხვევაში მტრის მხარეს დაიჭერდა[3].

ხაზინადარ-ოღლის არმია დღითი დღე იზრდებოდა; აგვისტოს ბოლო რიცხვებში ის 30 ათასამდე ავიდა[4].

რუსეთის საზღვაო ფლოტი აწარმოებდა დივერსიებს ანატოლიის სანაპიროებიდან აჭარამდე[5]. ოსმალეთში კარგად ახსოვდათ 1810 წ. შემოდგომით ტრაპიზონში გადასხმული დესანტის შესახებ და რუსეთის საზღვაო ფლოტის დივერსიული მოქმედება მათ შიშის ზარსა სცემდა. საქართველოს დაპყრობის ირან-ოსმალეთის გეგმა საოცარი სისწრაფით ჩაიშალა.

1811 წლის 30 აგვისტოს ირანის ჯარების სარდალი აბას-მირზა და ერზრუმის სერასკირი ემინ-ფაშა არფაჩაისთან ერთმანეთის შესახვედრად მიდიოდნენ. ოსმალთა ჯარების სამხედრო ჯირითის დროს ემინ-ფაშა, ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილე, ქურთის მიერ

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 1664, ч. 67, л. 99.
[2] იქვე, ფ. 436.
[3] იქვე, ფ. 435.
[4] იქვე, ფ. 433.
[5] იქვე, ფ. 433.

იქნა მოკლული[1]. საინტერესოა, ვინ იყო ემინ-ფაშას მკვლელი და რა ნიადაგზე მოხდა მისი მკვლელობა.

ტორმასოვმა კარგად იცოდა, რომ სულთნის ქვეშევრდომ ფაშებს სულთნის დიდი მორიდება და პატივისცემა არ ჰქონდათ, სამაგიეროდ ისინი ერთმანეთის დაუძინებელი მტრები იყვნენ. ტორმასოვმა ყარსის საფაშოში პურის შესყიდვის საბაბით, ჯერ კიდევ 1809 წელს, ოსმალეთთან საომარი მოქმედების განახლებამდე მაიორი კანანოვი მიავლინა. რუსი ოფიცრის ძირითადი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ თვალ-ყური ედევნებინა ყველაფრისათვის, რაც კი იმ მხარეში ხდებოდა, მოლაპარაკებოდა ყარსის ყარა-ფაფახებს, რომლებიც სურვილს აცხადებდნენ ლორის ტერიტორიაზე გადმოსახლებაზე და დაეჩქარებინა ამ განზრახვის შესრულება. ტორმასოვისაგან მაიორ კანანოვს დავალება ჰქონდა, საიდუმლო ურთიერთობისა და მოსყიდვის გზით გადმოებირებია ყარაფაფახები და რუსეთის სამსახურში ჩაეყენებინა[2].

ყარსში ყოფნის დროს კანანოვი დარწმუნდა იმაში, რომ ბაიაზეთში, ყარსში, ახალციხესა და მთელ ანატოლიაში განუწყვეტელი უთანხმოება და შინაბრძოლა იყო დიდებულთა შორის, განსაკუთრებით ყარსში, სადაც ყარა-ბეგი ერევნის ხანის მხარდაჭერით ცდილობდა დაემხო აბდულა-ფაშას ბატონობა[3]. რუსეთის სარდლობა ამით სარგებლობდა, მოწინააღმდეგე ფაშებს ერთმანეთის სამტროდ დახმარებასა და რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღებას ჰპირდებოდა, სულ უფრო აღრმავებდა მათ შორის წინააღმდეგობას. საფიქრებელია, არაპირდაპირ რუსეთის აგენტურის ხელი ერია ემინ-ფაშას მკვლელობაში; ჯერ კიდევ 1810 წ. ირან-ოსმალეთის გაერთიანებული ჯარების წინააღმდეგ გალაშქრების წინ, ტორმასოვი სამხედრო მინისტრს სწერდა: «**И так мною зделаны все распоряжения, чтобы не допустить им соединиться**»[4].

ყარსის აბდულა-ფაშასთან მეგობრულ ურთიერთობაში იყო ერზრუმის სერასკირი ემინ-ფაშა, ხოლო ყარსის ფაშას მტრობდა. როგორც აღინიშნა, მაგეზბერტის მფლობელი ყარა-ბეგი; ემინ-ფაშა ბოლო ხანებში დიდ სამხედრო ჯალას ახმარდა აბდულა-ფაშას ყარა-ბეგის წინააღმდეგ ბრძოლაში, რითაც განაწყენებული იყო

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 1664, ч. 67, л. 99.
[2] იქვე, ფფ. 40—41.
[3] იქვე, ფ. 41.
[4] იქვე, ფ. 268.

მაგეზბერტის მფლობელი. ქურთი, რომელმაც სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა სერასკირ ემინ-ფაშას, მოსყიდული იყო[1].

დოკუმენტები ადასტურებენ, რომ ამ დროისათვის რუსეთის სარდლობასა და ყარა-ბეგს შორის უკვე არსებობდა საკმაოდ ახლო ურთიერთობა; რუსეთის სარდლობა მას მხარს უჭერდა აბდულა-ფაშას წინააღმდეგ იმ ვარაუდით, რომ ყარსის საფაშოში ყარა-ბეგის ხელისუფლების დამკვიდრების შემთხვევაში იგი რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდოდა. როგორც ჩვენმოთ დავინახავთ, ყარა-ბეგისა და რუსეთის გაერთიანებულმა ჯარებმა, უფრო გვიან, ერთერთ ბრძოლაში კიდევაც დაამარცხეს აბდულა-ფაშა. რუსეთის სარდლობა აბდულა-ფაშას ყარა-ბეგთან დაპირისპირებით ცდილობდა ყარსის საფაშოს სამხედრო ძლიერების დასუსტებას. არ არის გამორიცხული, რომ რუსეთის სარდლობა ყარსის აბდულა-ფაშას წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებისათვის, მისი მფარველის ემინ-ფაშას სიკვდილს მიიჩნევდა გადაუდებელ საქმედ, რითაც ერთდროულად რუსეთის სასარგებლო საქმეც კეთდებოდა. ამიტომ, ბუნებრივია, რუსეთის სარდლობა ბიძგს მისცემდა ყარა-ბეგს, მოეკლა ანატოლიაში ოსმალეთის ჯარების სარდლის პოსტზე სულთნის მიერ დანიშნული ემინ-ფაშა მანამ, სანამ იგი ირანის ჯარებს შეუერთდებოდა. კვლავ შინაფეოდალურმა ქიშპობამ და უთანხმოებამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ოსმალეთში, და რომლის გაღრმავებასაც ხელს უწყობდა რუსეთი, განაპირობა ირან-ოსმალეთის გაერთიანებული არმიის საქართველოზე ლაშქრობის ჩაფუშვა.

ემინ-ფაშას მკვლელობა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ გამწვავებულიყო ირან-ოსმალეთს შორის ადრე არსებული წინააღმდეგობა, რომელიც მათ შორის სამხედრო კავშირის გაფორმების წინ, ინგლისის დიპლომატიის ენერგიული მოქმედების შედეგად, დროებით იქნა მიყუჩებული. ემინ-ფაშას სარდლობის ქვეშ მყოფი ოსმალეთის ჯარი სწრაფად დაიშალა. ერევნის ჰუსეინ-ყულიხანი, მომხდარი ამბით დიდად განაწყენებული, ყარსის საფაშოდან სასწრაფოდ გამობრუნდა ერევნის პროვინციაში თავისი ჯარით, სადაც, ჩვეულებრივად, ირანელებს თავიანთი სამხედრო ბანაკი ჰქონდათ გაშლილი.

მომხდარმა ფაქტმა, რომელიც ირან-ოსმალეთისათვის მეტის-მეტად არასასიამოვნო იყო, გული გაუტეხა არა მარტო ოსმალეთის

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 67 л. 434 об.

ჯარებს, არამედ ირანის არმიასაც. ირანელების ყველა იერიში რუსეთის ჯარების მიერ გმირულად, მტრისათვის დიდი ზარალის მიყენებით იქნა მოგერიებული. სურხაი-ხანს, შიხალი-ხანს და რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილ დაღესტნის სხვა დიდებულებს, რომლებიც გამზადებული იყვნენ საქართველოზე თავდასხმისათვის, მოლოდინი არ გაუმართლდათ. საქართველოში ირან-ოსმალეთის გაერთიანებული ლაშქრობის ჩაფუშვამ მათი ძალების პარალიზება მოახდინა და ლეკ-ავარაგთა ცალკეული თავდასხმები გააუქმებლა.

ხაზინადარ-ოღლი ხედავდა, რომ საქართველოს დაპყრობის გეგმა ჩაფუშვის კარამდე იყო მისული. იცოდა რა საქართველოში ოსმალეთის საწინააღმდეგოდ გატარებულ ღონისძიებათა და სახალხო მოძრაობის შესახებ, ის მარტო ვერ ბედავდა საქართველოში გამოლაშქრებას. მან დახმარებისათვის მიმართა ბათუმში მყოფ სელიმ-ფაშას. ეს უკანასკნელი, მართალია, პირადად არ დახმარებია ხაზინადარ-ოღლის, მაგრამ რუსეთის სარდლობას ჰქონდა სარწმუნო ცნობა იმის შესახებ, რომ ახალციხის ფაშას წინააღმდეგ გამზადებული ჯარი მან უკანვე გამოიწვია იმ მიზნით, რომ თავისი შეილის სარდლობით დახმარებოდა საქართველოსათვის მებრძოლ სერასკირს — ხაზინადარ-ოღლის[1]. რადგანაც რუსეთის სარდლობას სელიმ-ფაშას ერთგულების იმედი არ ჰქონდა, გენ. სიმონოვიჩი საკმაო თანხის გაღებით ცდილობდა მის გადმობირებას იმ ვარაუდით, რომ დახმარება არ გაეწია ხაზინადარ-ოღლისათვის, სელიმ-ფაშა რუსეთის მიმართ ორგულობდა. მისი პოზიცია დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორი მდგომარეობა შეექმნებოდა რუსეთის სარდლობას საქართველოში.

რუსეთის საზღვაო ფლოტის დივერსიული მოქმედება ოსმალეთის შავი ზღვის სანაპიროებზე ფართო ხასიათს ღებულობდა. რუსეთის სამხედრო გემებმა, რომლებიც აქტიურად მოქმედებდნენ ბათუმსა და ტრაპიზონს შორის, გაიტაცეს ტრაპიზონის ნავსადგურიდან მტრის ორი გემი და სოხუმში ჩაიყვანეს[2]. შავი ზღვის აღმოსაველეთ სანაპიროზე სუჯუკ-კალედან ვიდრე ფოთამდე ყველა ნავსადგური რუსეთის ხელში იყო, გარდა გელენჯიკ-კალესი, რომელიც ვაჭრობისათვის და მცირე სამხედრო გემების მოძრაობისათვის მეტად მოხერხებული ნავსადგური იყო. ამ ნავსადგურს ფლობდა ჩერქეზი დიდებული ყალაბათ-ოღლი, რომელსაც ადრე მხარს.

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 67, л. 434 об.

[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192, л. 103 и об.

ლჭერდა ანაპის ფაშა. კაპიტან-ლეიტენანტი სკურტული 1811 წლის შემოდგომით, რუსეთის სამხედრო გემების მოქმედებისა და გელენჯიქ-კალეში რუსეთის ფლოტის დივერსიის შესახებ წერდა: «*Сия бухта есть одна по всему Черкесскому берегу, от Суджуккале до Сухума, которая от турок доставляет жизненые и другие припасы для тех приморских черкессов. В сей самой бухте, во время крейсирования нынешнего лета, капитаном-лейтенантом Свинкиным взято шесть турецких судов под французским флагом, которыя оказались турецкими и из коих на одном был турецкий паша с его женою и отведены пленными в Севастопольский порт*»[1]. (ბაზი ჩვენია, ნ. ჭ.). რუსეთის საზღვაო ფლოტის მიერ წარმოებულმა დივერსიებმა, ქართველი ხალხის ენერგიულმა დახმარებამ რუსეთის ჯარებისადმი, რუსეთის სარდლობის მიერ სელიმ ფაშას გადმობირებამ და რაც მთავარია, ირან-ოსმალეთის ჯარების გაერთიანების ჩაფუშვამ და ირანელების შეტევის წარუმატებლობამ, ხაზინადარ-ოღლის საქართველოს დაპყრობის ყოველგვარი იმედი დაუკარგა.

ხაზინადარ-ოღლის ჯარები 1811 წლის შემოდგომაზე 20 ათას მებრძოლს ითვლიდა, მათგან 15 ათასი ბათუმში იდგა, ხოლო 5 ათასი გონიოში იყო დაბანაკებული დიდძალი საომარი მასალითა და არტილერიით[2].

რუსეთის სარდლობამ საქართველოში უზრუნველყო არა მარტო ქვეყნის თავდაცვა, არამედ განიზრახა საზღვაო ფლოტის მხარდაჭერით იერიში მიეტანა ბათუმში მდგომ ხაზინადარ-ოღლის ჯარების წინააღმდეგ ზღვითა და ხმელეთით და ერთდროული დარტყმის შედეგად მოეხდინა მტრის ბანაკის ლიკვიდაცია. მარკოზ პაულუჩის ცნობით, დასავლეთ საქართველოში სიმონოვიჩის მიერ მოეწყო არა მარტო აქტიური თავდაცვა, არამედ «**зделано было оказательство самому Батуму посредством** *крейсерских военных судов под командою флота капитан-лейтенанта Головина и выставлением одного отряда пехотных войск в Гурию, ровно как и чищением дороги чрез Саджавахо в Гурию для другой колоны войск от стороны Имеретии*».[3] მტრის უველა ვარაუდი საქარ-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192, лл. 203, 104.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164. ч. 67 л. 434 об.
[3] ЦГВИА, ф. ВУА, д 6192, л. 114 и об.

თველოში შემოჭრისა ჩაიფუშა. ირან-ოსმალეთისა და მათ მიერ მოსყიდული მთის ხალხების რეაქციული ფენის მიერ ამიერკავკასიის დაპყრობის გეგმის ჩაფუშვამ საკმაოდ დიდი ავტორიტეტი შეუქმნა რუსეთის მთავრობის წინაშე ტორმასოვს; იგი 1811 წ. შემოდგომაზე კავკასიიდან გაწვეულ იქნა რუსეთზე ნაპოლეონის თავდასხმის საშიშროების გამო, ხოლო ამიერკავკასიაში სარდლის პოსტზე დაინიშნა გენერალ-ადიუტანტი მარკიზ პაულუჩი.

ხაზინადარ-ოღლის წინააღმდეგ შეტევის დაწყებისათვის მზად იყო რეგულარული ჯარის ნაწილებთან ერთად ქართული მილიცია, რამაც შიშის ზარი დასცა ხაზინადარ-ოღლის. მარკიზ პაულუჩი აუწყებდა სამხედრო მინისტრს 1811 წლის 7 ნოემბერს, რომ ხაზინადარ-ოღლი შიშმა ისე შეიპყრო, რომ მიუხედავად სულთნის მიერ გაცემული სასტიკი ბრძანებისა — დაუფლებოდა იმერეთს, გურიას, სამეგრელოსა და აფხაზეთს, იძულებული გახდა დაეტოვებინა ბათუმი და თავისი ჯარებით უკან დაეხია ტრაპიზონში[1].

ხაზინადარ-ოღლიმ დატოვა მცირერიცხოვანი ჯარისკაცები ბათუმში, ჩაქვსა და ჭობელეთში, ხოლო თვითონ ტრაპიზონში გაბრუნდა[2]. მისი არმიის უკან დახევამ ოსმალეთის სულთნის გულისწყრომა გამოიწვია. ხაზინადარ-ოღლი არაფერს ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ მას რუსეთის ჯარებისა და ქართველთა მილიციისაგან საფრთხე ემუქრებოდა; ივი თავის უკან დახევას ამართლებდა იმით, რომ მისი ჯარი საკმაოდ დაუძლურდა შავი ჭირისაგან და უკვე აღარ შეეძლო ვისმეს შებრძოლებოდა[3].

ამგვარად, ირან-ოსმალეთის გეგმა საქართველოს დაპყრობისა 1811 წელს, ისე როგორც 1810 წელს, სამარცხვინოდ ჩაიფუშა: ინგლისელების მიერ შეკოწიწებულმა ანტირუსულმა კოალიციამ ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწია.

მიუხედავად დიდი წარუმატებლობისა, აბას-მირზა 1811 წლის შემოდგომით ცდილობდა შემოჭრილიყო ყარაბაღში, ყარადაღისა და ნახჭევნის მხრიდან[4]. რუსეთის ჯარებმა 1811 წლის შემოდგომით ირანელების წინააღმდეგ ბრძოლაში საგრძნობლად შეცვალეს ბრძოლის ტაქტიკა. რუსეთის არმიის მცირერიცხოვანი რაზმები მტერს მოულოდნელად ესხმოდნენ თავს ხან ერთ, ხან მეორე

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192, л. 114 и об.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 67. л. 441.
[3] იქვე, ფ. 444.
[4] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192, л. 116.

ადგილას, არ აძლევდნენ მას გონს მოსვლის შესაძლებლობას და დიდ ზიანს აყენებდნენ. ერევნის ჰუსეინ-ყული-ხანმა თავის მხრივ კაცი გაუგზავნა გენერალ-მაიორ ლისანევიჩს და სთხოვა, გენ. პაულუჩს მასთან სეპარატული წესით დაედო ზავი. მტრის ეს ნაბიჯი გასაგები იყო; მას სურდა დრო მოეგო, წელში გამართულიყო, და მერე კვლავ შეეტია რუსეთის ჯარებისათვის[1].

გენერალ-მაიორი ლისანევიჩი დიდ ზიანს აყენებდა მტერს. მას განზრახული ჰქონდა ინგლისელების მიერ ჩამოყალიბებულ რეგულარულ ჯარის ნაწილებს, რომლებსაც ინგლისელი ოფიცრები მეთაურობდნენ, შერკინებოდა და მოესპო ისინი. მტერმა ვერ გაუძლო რუსეთის ჯარის ნაწილებთან ბრძოლას და ერევნის ციხეს შეაფარა თავი. ამის შესახებ საინტერესოა გენ. პაულუჩის მიერ 1811 წ. 7 ნოემბერს სამხედრო მინისტრის სახელზე გაგზავნილი პატაკი, სადაც კვითხულობთ: *«Генерал-майор Лисаневич скорыми походами по сему владению* (ლაპარაკია ერევნის სახანოზე, ნ. ქ) *приводил в чрезвычайный ужас персидское правительство и старался всеми способами выманить из Еривана регулярную персидскую пехоту в 6-ти баталионах с конною артиллерийскою ротою, образованную англичанами и имеющую англинских же офицеров, или принудить Баба-ханова сына Аббас-Мирзу, в то время бывшего в Нахичеване, выступить против него с войсками, при нем находившимися»*[2]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.). ეს ფაქტი მეტყველებს იმის შესახებ, რომ მრავალათასიანი ირანის არმია იმ წარმატებების გამო, რომელიც რუსეთის ჯარებმა მოიპოვეს ირან-ოსმალეთის ომის ფრონტებზე, პარალიზებული აღმოჩნდა 1811 წლის ბოლოსათვის. აბას-მირზა 1812 წლისათვის მზადების თადარიგს შეუდგა; ახდენდა არმიის ფორმირებას და მომავალი კომპანიისათვის ემზადებოდა. ინგლისელი ოფიცრები და სამხედრო სპეციალისტები ვერ ბედავდნენ პირისპირ შებმოდნენ რუსეთის არმიას მათ მიერვე ორგანიზებული რეგულარული ქვეითი ჯარით, ერიდებოდნენ მასთან შეხვედრას და სიმაგრეებში იმალებოდნენ. ინგლისელები კვლავ შეუდგნენ 1812 წლისათვის ირანის არმიის საბრძოლო გადამზადების საქმეს გადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6192, лл. 118—119.

[2] იქვე, л. 117 об.

ბრძოლა ახალქალაქისათვის 1811—1812 წწ. ზამთარში[1]

ოსმალეთის ჯარების უმოქმედობამ რუსეთის სარდლობა დაარწმუნა იმაში, რომ ზამთრის ოპერაციას შეეძლო რუსეთისათვის სამხედრო წარმატებები მოეტანა. ახალქალაქის ციხე-სიმაგრე თავისი სტრატეგიული მნიშვნელობით, როგორც ცნობილია, ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე იპყრობდა რუსეთის სარდლობის ყურადღებას. ზემოთ აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ 1807 წ. გუდოვიჩი 8000-იანი ჯარით შეეცადა აეღო ახალქალაქი, მაგრამ ამ ოპერაციას წარმატება არ მოჰყოლია. ოსმალები და ლეკები სწორედ ახალქალაქიდან აწყობდნენ თავდასხმებს ბორჩალოს მიმართულებით, ერეკებოდნენ დიდძალ პირუტყვს და ტყვეებად მიჰყავდათ ადგილობრივი მოსახლეობა. ახალქალაქი იყო მტრისათვის ერთი უძლიერესი პლაცდარმი საქართველოზე თავდასხმისათვის.

პაულუჩმა ზამთრის პირობებში განიზრახა ახალქალაქის აღება. ამ ამოცანის შესრულება დაეკისრა პოლკოვნიკ კოტლიარევსკის. მას თავის განკარგულებაში ჰყავდა ქართულ გრენადერთა პოლკის ორი ბატალიონი და 100 კაზაკი. 3—4 დეკემბერს, ღამით პოლკოვნიკი კოტლიარევსკი გორიდან გავიდა. 4—7 დეკემბერს, მიუხედავად საშინელი ქარბუქისა, მან გადალახა ღრმა თოვლით დაფარული თრიალეთის მთა და მდინარე ხრამის სანაპირო ველზე დაეშვა. იმ მიზნით, რომ ჯარისკაცებს ბუნებრივი წინააღმდეგობანი ადვილად გადაელახათ, კოტლიარევსკის ბრძანებით ჯარის ნაწილს არც ერთი ქვემეხი არ წაუღია, გარდა აუცილებლად საჭირო საბრძოლო საშუალებებისა. 7 დეკემბერს, გათენებისას, კოტლიარევსკის რაზმი ახალციხის საფაშოში შევიდა; კოტლიარევსკიმ თავისი რაზმი მთებს შუა მდებარე ხევში მიმალა. ახალქალაქამდე 25 კმ.-ღა რჩებოდა. მან მთელი დღე შეტევისათვის საჭირო სამზადისს მოანდომა. ციხეში შესასვლელი კიბეები წესრიგში მოიყვანა და შებინდებისას რაზმი ახალქალაქისაკენ დაძრა. კოტლიარევსკიმ რაზმი სამ ნაწილად დაჰყო: ერთს თვითონ გაუძღვა, მეორეს პოლკოვნიკი სტეპანოვი ჩაუყენა სათავეში, ხოლო მესამეს — პოდპოლკოვნიკი უშაკოვი. თითოეული კოლონა 200-მდე მებრძოლს ითვლიდა. ახალქალაქის ოსმალთა გარნიზონი, პაულუჩის ცნობით, 200 იანიჩარისაგან შედგებოდა; ციხეში 16 ზარბაზანი იდგა, რამდენიმე ქვემეხი ციხის კედლებზე იყო დადგმული; გარნიზონი დიდძალი საომარი საშუა-

[1] შდრ. А. В. Фадеев, Россия и Кавказ первой трети XIX в. стр. 156—161, М., 1960.

ლებებით იყო უზრუნველყოფილი[1]. მტრისათვის მოულოდნელი და სწრაფი იერიშით ახალქალაქის ციხე-სიმაგრე აღებულ იქნა. ოსმალთა გარნიზონიდან 47 იანიჩარი ტყვედ ჩავარდა, დანარჩენები კი ბრძოლაში დაიხოცნენ. ციხეში მყოფი ოსმალო დიდებულები ციხის კომენდანტთან ერთად დაიღუპნენ. ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით „წარსულმან კიტლერევსკიმ (ლოტლიარევსკიმ) გარდავლო მთაჲ თოლიანი თრიალეთისა, მივიდა ღამესა ერთსა, მოადგა ახალქალაქსა. უცნობად, მიჰყუდა კიბენი და აღიყვანა მას ზედა მხედრობანი და აღიღო ციხე ახალქალაქისა დეკემბრის 8, მოსრნეს მუნ მყოფნი მხედრობანი ოსმალთანი"[2].

მოპოვებული წარმატებით აღფრთოვანებული პაულუჩი ბარკლაი-დე-ტოლს სწერდა: «Гордая, Ахалкалакская крепость, природою и искусством укрепленная, вмещавшая в себе гнездо разбойников, наносивших с давных времен важныя бедствия Грузии, наконец, после упорнейшего защищения оной турецким гарнизоном, понизил надменное чело свое от блеска победоносного Российского оружия, двумя только баталионами Грузинского гренадерского полка».[3] ახალქალაქისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა მიუღია ქართულ მილიციასაც. დასაჯილდოებლად წარდგენილთა შორის მოხსენებულნი არიან თავადები — აფხაზოვი (აფხაზი). ზაქარია, ქაიხოსრო და დიმიტრი ჯავახოვები (ჯავახიშვილები), ძმები საგინოვები (საგინაშვილები) და სხვ[4].

ახალქალაქის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო ოსმალეთის მმართველი წრეები არ ურიგდებოდნენ მის დაკარგვას. აქამდე ოსმალები ზამთრის პერიოდში თავს იკავებდნენ ბრძოლისაგან, ახლა კი ეს ტრადიცია დაარღვიეს. 1812 წლის იანვრის პირველ რიცხვებში, რუსეთის მზვერავის ბაირამ-ოღლი-თემურის ცნობით, შერიფ-ფაშა ახალქალაქზე იერიშის მისატანად ამზადებდა დიდ რაზმს. ოსმალებისა და ლეკების 800 კაციანი ცხენოსანი რაზმი ხერთვისიდან ახალქალაქის ციხისაკენ დაიძრა[5].

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2889, л. 67.

[2] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 115, თბ. 1941 წ.

[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2889, л. 67.

[4] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2889, лл. 73—74. (მათ საბრძოლო დახასიათებაში უწერიათ: „Отличились храбростью против неприятеля при занятии штурмом крепость Ахалкалак").

[5] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 68, л. 287 об.

მტრის რაზმი დანაწილდა და ახალქალაქთან ახლო ადგილებში ჩასაფრდა იმ ვარაუდით, რომ გარნიზონის ნაწილი როგორც კი გამოვიდოდა ციხიდან ფურაჟისათვის, გაენადგურებინა და ციხეზე იერიში მიეტანა.

1812 წლის 11 იანვარს, როცა ახალქალაქის ციხე-სიმაგრიდან ფურაჟისათვის გავიდა გარნიზონის ერთი ნაწილი — (80 კაცი და ქვემეხით) კაპიტან ჩესნოკის მეთაურობით, მტრის ჩასაფრებული რაზმი სრულიად მოულოდნელად მას თავს დაესხა[1]. გაიმართა ცხარე, მაგრამ უთანასწორო ბრძოლა. რუს ჯარისკაცებს ახალქალაქის კომენდანტმა მაიორმა ბარშოვმა ახალი ძალა მიაშველა მაიორ ოსტროვსკის მეთაურობით. მართალია, ლეკები და ოსმალები ცხენებზე ისხდნენ და სწრაფად მოძრაობდნენ, მტრის რიცხობრივი სიჭარბეც დიდი იყო, მაგრამ რუსმა ჯარისკაცებმა სძლიეს მტერს. დიდად დაბარალებული მტერი გაიქცა. ახალქალაქის დაბრუნების პირველი ცდა ოსმალთა სასტიკი დამარცხებით დამთავრდა.

ოსმალეთის სარდლობა საქმეს წაგებულად მაინც არ თვლიდა. 15 იანვარს მტერი ახალქალაქს მეორედ მოადგა. მტრის ცხენოსანი და ქვეითი ჯარი დაძაბული ენერგიითა და მონდომებით იბრძოდა ციხე-სიმაგრის ასაღებად, მაგრამ კაპიტან კაზნაჩეევის მეთაურობით რუსი მებრძოლები თავგანწირულად იცავდნენ ციხე-ქალაქს. მტერი დამარცხდა.

ოსმალეთის მთავრობა გამძვინვარებული იყო; მან მრავალი ციხე-სიმაგრე დაკარგა საქართველოში. ახლა კი ახალქალაქის აღების ორივე ცდა უშედეგო აღმოჩნდა. უკვე საფრთხე ემუქრებოდა ოსმალეთის ბატონობას მთელ კავკასიაში. ახალციხის შერიფ-ფაშას სულთნის ბრძანება მოუვიდა, არავითარ შემთხვევაში არ დაეთმო ახალქალაქი რუსეთისათვის. განზრახული იყო მისი აღება თებერვლის შუა რიცხვებისათვის. შერიფ-ფაშა და მეჰმედ-აღა აღზაჩიხი ახალციხესა და ხერთვისში აგროვებდნენ ჯარს. რუსეთის მზვერავი ბაირამ-ოღლი რუსეთის სარდლობას რეგულარულად აწვდიდა ცნობებს ოსმალეთის ჯარის მოძრაობისა და სხვ. შესახებ[2].

ახალქალაქის გარნიზონი დიდი საფრთხის მოლოდინში იყო. ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა, რამდენ კაცს ითვლიდა იგი. ზოგიერთი წყაროს მიხედვით გარნიზონის შემადგენლობა 100 კაცს არ

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2889, л. 130 и об.

[2] იქვე...

აღემატებოდა[1]. ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით, პოლკ. კოტლიარევსკიმ როგორც კი აიღო ახალქალაქის ციხე, „დაუტევა მუნ როტა ერთი დასაცველად ციხისა"[2]. საფიქრებელია, რომ გარნიზონის შემადგენლობა უფრო მეტი იყო. რუსეთის ზემოაღნიშნულ მზვერავს ბაირამ-ოღლის, რომელიც ოსმალებს შეუპყრიათ, დაკითხვისას გაუცხადებია, რომ რუს მეციხოვნეთა შემადგენლობა 600-მდე კაცს აღწევსო[3]. უნდა ვიფიქროთ, რომ მეციხოვნეთა რაოდენობა გაცილებით უფრო ნაკლები იყო, ვინემ მტრის რაზმის რიცხობრივი შემადგენლობა. შერიფ-ფაშასათვის ცნობილი გამხდარა გარნიზონის შემადგენლობა. მან სასწრაფოდ თავი მოუყარა დიდძალ ჯარს და მეჰმედ-აღა-აღზაჩიხის მეთაურობით ახალქალაქის ასაღებად გაგზავნა[4].

1812 წლის 21 თებერვალს, ღამის 2-საათზე, ოსმალთა 8000-იანი ლაშქარი ქურდულად მიეპარა ახალქალაქს; შერიფ-ფაშას ახალქალაქის ბედი გადაწყვეტილად მიაჩნდა და თვითონ ხერთვისში დარჩა, საჭიროების შემთხვევაში დამხმარე ძალების გაგზავნასაც აპირებდა.

ახალქალაქის ციხე-სიმაგრის გუშაგებმა, როგორც კი შენიშნეს ოსმალთა ჯარი, სროლა ატეხეს; მთელი გარნიზონი ფეხზე დადგა და მტერს სასტიკი ცეცხლით გაუმასპინძლდნენ. ოსმალებს სურდათ რიცხობრივი უპირატესობით ესარგებლათ და ციხეში შეჭრილიყვნენ. მტერი თავგამოდებით იბრძოდა, მაგრამ ციხის გარნიზონის გმირობამ და თავდადებამ იხსნა თვით მეციხოვნენი განადგურებისაგან. ოთხნახევარი საათი გაგრძელდა სისხლისმღვრელი ბრძოლა. შერიფ-ფაშას ცნობა ახალქალაქის დაცემის შესახებ ნაადრევად მიუვიდა. მისი აღტაცება ხანმოკლე აღმოჩნდა. იგი ახალქალაქში გაემგზავრა, თავისი ჯარისათვის გამარჯვება რომ მიელოცნა. მაგრამ ხუთიოდე კილომეტრი არც კი გაევლო, რომ შენიშნა: მისი ჯარი უკანვე გამორბოდა და თან მოყავდათ დაჭრილები და დახო-

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164. ч. 68, л. 288.

[2] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი ახალი მოთხრობა, გვ. 115, თბ. 1941 წ.

[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 68, л. 287.

[4] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 68, л. 287. შდრ. ЦГВИА, ф. ВУА, д 2889, л. 131 об. и 132.

ცილები[1]. მტერმა ახალქალაქისათვის ბრძოლაში დიდი ზარალი ნახა[2]. სამარცხვინო დამარცხების გამო განრისხებული შერიფ-ფაშა ბრძანებას იძლევა: უკანვე გააბრუნონ გამოქცეულნი ციხე-სიმაგრეზე ხელახლა საიერიშოდ. მაგრამ ისინი ამ ბრძანებას არ დამორჩილდნენ[3]. ფაშა უკანვე გაბრუნდა ხერთვისში და ახალი სამხედრო ოპერაციის თადარიგს შეუდგა.

ახალქალაქთან გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მტერმა ვერ შეძლო დაკარგული პლაცდარმის დაბრუნება. შერიფ-ფაშა ჯიუტობდა, იგი ცდილობდა, კვლავ დაუფლებოდა ახალქალაქს, და რადგან საკუთარი ძალები არ ეყო ახალქალაქის ასაღებად, შეეცადა სხვადასხვა პროვინციებიდან მოეგროვებინა ჯარი[4].

შერიფ-ფაშა თვით საქართველოს შიგნითაც ეძებდა მოკავშირეებს, აგზავნიდა თავის ჯაშუშებს მტრული საქმიანობისათვის[5].

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზამთრის პერიოდში ირანელები და ოსმალები შეტევითი ხასიათის ბრძოლებს არ აწარმოებდნენ. საინტერესოა, რით იყო გამოწვეული ოსმალეთის სარდლობის ასეთი ძლიერი სურვილები, ახალ-ახალი შეტევითი ოპერაციები ეწარმოებინათ ახალქალაქისათვის. რა ამოძრავებდათ მათ ზამთრის პირობებში, რატომ ასეთ აქტიურ საბრძოლო მოქმედებაზე გადადიოდნენ?

1812 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში დაიწყო გლეხთა დიდი აჯანყება კახეთში, რომლითაც უნდოდათ ესარგებლნათ ალექსანდრე ბატონიშვილს, ირანელებსა და ოსმალებს. საქართველოსაკენ მოიწევდნენ აგრეთვე ირან-ოსმალეთის მიერ წაქეზებული ლეკებიც. 1812 წლის 11 მარტის თარიღით გენ. პაულუჩი სამხედრო მინისტრს ბარკლაი-დე-ტოლს საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ სწერდა: «*Кроме приглашения бунтовщиками Александра Царевича прибыть в Грузию с персидскими войсками, также всех дагестанских лезгин и горских осетин, мятежники не упустили, как видно, возбудить к сему же и турок. Ибо Ахалцыхский Шериф паша в одно время с усилением бунта в Грузии собрал до 8 т. своих войск, прошлого м-ца на 21 число предпринял штурм на Ахалкалакскую крепость по всем военным*

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 68, л. 288.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2889, л. 132. об.—133.
[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 68 л. 268 об.
[4] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2889, л. 132 об.—133.
[5] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 68, лл. 268—269.

правилам, но храбростию войск е. и. в. был отбит от крепости»[1]. შერიფ-ფაშას ეგონა, რომ იგი ადვილად აიღებდა ახალქალაქის ციხეს და გზას გაიკაფავდა ქვეყნის სიღრმეში; მოწინააღმდეგის შემხვედრ ძალებს იგი თითქმის თბილისამდე არ მოელოდა, რადგან ოსმალეთის აგენტურამ იმ დროს შეძლო ბორჩალოს თათრების დიდებულთა ნაწილის ამბოხება რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. შერიფ-ფაშა ამას გარდა ვარაუდობდა, რომ რუსეთის ჯარები კახეთის აჯანყებით, შეტევაზე გადმოსული ირანის არმიისა და ლეკების წინააღმდეგ ბრძოლით იქნებოდა დაკავებული. გენ. რტიშჩევი სათანადოდ აფასებდა ახალქალაქთან მოპოვებული გამარჯვების დიდ მნიშვნელობას და სამხედრო მინისტრს სწერდა: *«Если же бы турки при Ахалкалакской крепости, закрывающей совершенно всю Сомхетию, не встретили сей для себя преграды, то борчалинская провинция погибла бы и путь им открыт бы был до самого Тифлиса»*.[2] (ხაზი ჩვენია, ნ. ჯ.).

აბას-მირზამ 1812 წლის დასაწყისში, კახეთის აჯანყების დაწყების წინ, სურხაი-ხანსა და შიხალი-ხანს დიდძალი თანხა და ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა იმ მიზნით, რომ ისინი აჯანყების დაწყებისთანავე თავიანთი მეამბოხე რაზმებით წამოსულიყვნენ რუსეთის ჯარების წინააღმდეგ საქართველოში[3]. ირანის არმია კახეთში აჯანყების დაწყების წინა დღეებში (1თებერვალს) თავს დაესხა ყარაბაღის პროვინციას. აბას-მირზა, რომელიც ყარაბაღიდან საქართველოში შემოჭრას ფიქრობდა, ინგლისელი სამხედრო სპეციალისტებითა და ინგლისური არტილერიით იყო უზრუნველყოფილი, რის შესახებ რტიშჩევი 1812 წ. 21 მარტს სამხედრო მინისტრს აუწყებდა: **«Абас Мирза, сын Баба ханова с персидскими войсками из 10 т. конницы и 8 т. пехоты 1-го числа февраля вошел в границы Карабага чрез Худоперийской мост, имея при себе 11 орудий и 100 фалконетов под распоряжением английских артиллеристов»**.[4] პოლკოვნიკ კოტლიარევსკის რაზმის მისვლამდე ყარაბაღში მდგომი ტროიცკის პოლკის ერთი ბატალიონი მაიორ ჯიპის მეთაურობით თითქმის 10 საათის განმავლობაში აწარმოებდა უთანასწორო ბრძო-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6166, ч. 3, л. 140 и об
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6166, ч. 3, л. 140 об и 141.
[3] ЦГВИА, ф. ВУА. д. 6164, ч. 68, л. 300 и об.
[4] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 68, л. 269, Ср. ЦГВИА, ф. ВУА, д. 6166, ч. 3. л. 132.

ლას ირანის მრავალრიცხოვან არმიასთან. მაიორი ჯიპი და მრავალი სხვა მეთაური მტერს შეაკვდნენ. აბას-მირზამ ტროიცკის ბატალიონიდან გადარჩენილი 560 კაცი, რომელთა შორის ბევრი იყო მძიმედ დაჭრილი, ტყვედ ჩაიგდო. როგორც ჯი გაიგო, რომ მის წინააღმდეგ დაიძრა პოლკოვნიკ კოტლიარევსკის რაზმი, მან დროებით უკან დაიხია[1]. ირან-ოსმალეთის აგენტურამ კახეთის აჯანყების პერიოდში მოახერხა ბორჩალოს და შამშადილის თათრთა ამბოხების [illegible] ყობა[2].

თავი წამოჰყვეს ლეკთა ათასეულებმა შიხალისა და სურხაი-ხანის მეთაურობით. მაგრამ მათი თავდასხმა მოგვრიებულ იქნა[3]. რუსეთის ჯარის ნაწილები მტრის ღრმა ზურგში შეიჭრნენ და დაამარცხეს უაჩალთა ბრბოები, რომლებიც საქართველოსაკენ მოიწევდნენ. ანტირუსული აჯანყების საფრთხე ქართლშიაც იყო[4].

ზემოალნიშნული ფაქტებიდან ჩანს, რომ ახალქალაქისათვის ოსმალთა ჯარების თავგამოდებული ბრძოლები ემთხვეოდნენ საქართველოს წინააღმდეგ ირანელებისა და მათ მიერ მოსყიდული სურხაი-ხანისა და შიხალი-ხანის შემოტევებს. ამდენად ახალქალაქისათვის ბრძოლა, შეიძლება ითქვას, იყო საქართველოს წინააღმდეგ ირან-ოსმალეთის ლაშქრობის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც ოსმალეთისათვის დიდი დამარცხებით დამთავრდა.

ირანი და ოსმალეთი ცდილობდნენ კახეთის გლეხთა აჯანყება, რომელიც დიდხანს გრძელდებოდა, გამოეყენებინათ ამიერკავკასიაში რუსეთის ძლიერების გასატეხად. 1812 წლის მარტის ბოლო რიცხვებში რუსეთის სარდლობა საჭირო ზომებს ღებულობდა, რომ გაეძლიერებინა ახალქალაქის ციხე-სიმაგრე და იგი ოსმალეთისათვის მიუვალ ბასტიონად ექცია. გენ. ორბელიანს მარკიზ პაულუჩმა უბრძანა, გაედიდებინა ახალქალაქის გარნიზონის რაოდენობა. ახალქალაქის რაიონში რუსეთის ჯარს გაეჩინა თავდაცვის ძლიერი პოზიციები და მოემარაგებინა იგი სურსათით. რეგულარულ ჯარის ნაწილებთან ერთად გენ. ორბელიანს უნდა გამოეყვანა ახალქალაქთან, როგორც საიმედო ძალა, ქართული მილიცია[5]. მართლაც, ორბელიანის მეთაურობით რუსეთის გარნიზონის დასახმარებლად

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 68, лл. 269—271.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6166, ч. 3, л. 134 об.
[3] იქვე ფ. 132.
[4] იქვე, ფ. 135.
[5] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 68, л. 310.

ახალქალაქს გაემგზავრა ქართული მილიციაც, რომელიც დახმარებას უწევდა რუსეთის ჯარს ახალქალაქის რაიონში თავდაცვითი სიმაგრეების ასაგებად და მტრის თავდასხმის შემთხვევაში მზად იყო რუსეთის ჯართან ერთად საკადრისი პასუხი გაეცა მისთვის[1].

რუსეთის სარდლობა ირანის სასაზღვრო ხაზს გულმოდგინედ ამაგრებდა. გენერალ-მაიორ ფონ იუნგენსბურგს დაევალა ჯარის ნაწილების საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა[2]. კოტლიარევსკის ებრძანა მიგრის და შუშის ციხეების გამაგრება და ყარაბაღის დაცვის ორგანიზაციის მოწყობა, ხოლო გენერალ-მაიორ ლისანევიჩს— ბამბაკისა და შურაღელის პროვინციების დაცვა და გუმრის ციხის გაძლიერება[3]. მართლაც, აპრილის პირველ რიცხვებში ირანელებმა სცადეს იერიშზე გადმოსვლა ყაჰრამან-ხანისა და იზმაილ-ბეგის მეთაურობით, მაგრამ მტერი სამარცხვინოდ დამარცხდა. ყაჰრამან-ხანი და ისმაილ-ბეგი კი ბრძოლის ველზე დაიხოცნენ[4].

ყარსის აბდულა-ფაშამ სულთნისაგან ბრძანება მიიღო, იერიში დაეწყო საქართველოს წინაალმდეგ. როგორც ზემოთ აღინიშნა, მაგაზბერტის მფლობელი ყარაბეგი და ყარსის ფაშა სამკვდრო სასიცოცხლოდ იყვნენ ერთმანეთის მიმართ დაპირისპირებული. გენ. რტიშჩევი შეეცადა მოხერხებულად გამოეყენებინა მტრის ბანაკში არსებული შუღლი და უთანხმოებანი და ამით ხელი შეეშალა მტრისათვის საქართველოზე თავდასხმის საქმეში. სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, გენ. რტიშჩევმა უბრძანა ბამბაკის პროვინციაში დაბანაკებულ რუსეთის ჯარების მეთაურს გენ. ლისანევიჩს, ყარაბეგთან ჰქონოდა კარგი ურთიერთობა. ყარაბეგის სამფლობელო უშუალოდ ემიჯნებოდა შურაღელის პროვინციას და, რტიშჩევის თქმით, მაგაზბერტის პროვინციის, როგორც ბარიერის, გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად[5]. რტიშჩევის მიერ გადადგმული ასეთი ნაბიჯი გამართლდა. ყარაბეგის სამფლობელოს გადმოულახავად ყარსის აბდულა-ფაშა ვერ ესხმოდა თავს ბამბაკისა და შურაღელის პროვინციებს. გარდა ამისა, ყარაბეგის სამფლობელოში უხვად იყო პური, რასაც მძიმე სასურსათო პირობებში მყოფი რუსეთის ჯარებისათვის უდი-

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 68, л. 310.
[2] იქვე, ფ. 311.
[3] იქვე, ფფ. 312—314.
[4] იქვე, ფ. 315.
[5] იქვე ფ. 119.

დესი მნიშვნელობა ჰქონდა. ყარაბეგისაგან რუსეთის ჯარის სარდლობამ დიდი რაოდენობით შეისყიდა პური. იგი ფასსაც ზომიერ ფარგლებში აწესებდა და ამით სამსახურს უწევდა რუსეთის სარდლობას. გენ. რტიშჩევი ცდილობდა ყარაბეგი რუსეთის მოკავშირედ გაეხადა, დახმარებოდა მას თავისი შეიარაღებული ძალებით ყარსის აბდულა-ფაშას წინააღმდეგ ბრძოლაში და გამარჯვების შემთხვევაში ყარაბეგი ყარსის ფაშად დაესვა იმ ვარაუდით, რომ ყარსის საფაშო მთლიანად რუსეთის მოხარკე პროვინციად გაეხადა.

ყარსის აბდულა-ფაშა ყარაბეგის რუსეთის სარდლობასთან ასეთი დამოკიდებულების გულგრილი მაყურებელი, ცხადია, არ იქნებოდა, მით უფრო, რომ მას სულთნისაგან ნაბრძანები ჰქონდა საქართველოზე იერიში მიეტანა და ირანელებთან ერთად ჭვლილი შეეტანა ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების განადგურების საქმეში. ყარსის ფაშამ იცოდა, რომ რუსეთის სარდლობასთან ყარაბეგის დაკავშირებას მისთვის საბედისწერო შედეგები უნდა მოყოლოდა, თუ იგი თავის დროზე არ გაილაშქრებდა ყარაბეგის წინააღმდეგ. ამიტომ აბდულა-ფაშა ხშირად თავს ესხმოდა მაგაზბერტის სამფლობელოს[1].

რუსეთის არმიის მაიორს — სევარსამიძეს მიეცა ბრძანება ყარაბეგს დახმარებოდა. იგი, მართლაც, მალე დაიძრა გუმრის ციხიდან თავისი რაზმით, რომელიც ორი ქვეშეხისა, 280 ქვეითი ჯარისკაცისა, 70 კაზაკისა და გუმრში მცხოვრები 40 აზერბაიჯანელისაგან შედგებოდა. 1812 წლის 24 მარტს სევარსამიძის რაზმი შეუერთდა ყარაბეგის ლაშქარს და ისინი გაერთიანებულნი მიადგნენ სოფელ პერგიტს, სადაც მტერი იყო დაბანაკებული. ოსმალები ყარსიდან დამხმარე ძალის მოსვლის მოლოდინში იყვნენ. მტერს ხელსაყრელი პოზიციები ეკავა. ყარაბეგისა და სევარსამიძის გაერთიანებულმა ძალამ იერიში მიიტანა მტრის ბანაკზე სამი მხრიდან; გაიმართა გააფთრებული ბრძოლა, რომელიც ოთხ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა და ყარაბეგისა და სევარსამიძის გამარჯვებით დამთავრდა[2].

რუსეთის სარდლობის გონივრულ ნაბიჯს ბრწყინვალე გამარჯვება მოჰყვა. ყარაბეგისა და რუსეთის ჯარების გაერთიანებულმა მოქმედებამ გასტეხა ყარსის აბდულა-ფაშა; იგი არა მარტო იძულე-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2884, л. 119 об.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2884, л. 120

ბული გახდა ხელი აეღო საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობაზე, არამედ თვითონ დიდ საფრთხეში ჩავარდა და თავისი სამხედრო ძალები ყარსის საფაშოს თავდაცვას მოახმარა.

ოსმალეთის ჯარების ყველა ცდა 1811 წელსა და 1812 წლის ზამთარსა და გაზაფხულზე საქართველოს დაპყრობისა დამარცხებით დამთავრდა. მიუხედავად ინგლისელების დიდი მონდომებისა, ირან-ოსმალეთის გაერთიანებული ძალებით გამოლაშქრების გეგმაც ჩაიფუშა. რუსეთის ჯარებისა და ქართველ მოხალისეთა მილიციის გმირული ბრძოლების შედეგად ოსმალეთმა საქართველოში დაჰკარგა უმნიშვნელოვანესი საზღვაო ფორპოსტები — ფოთი, ანაკლია, ყულევი და სოხუმი, ხოლო ხმელეთზე — სამხრეთ საქართველოში უძლიერესი ციხე-სიმაგრე — ახალქალაქი.

თავი მეცხრე

რუსეთის სამხედრო და დიპლომატიური ბრძოლა ზავისათვის. ბუქარესტის ზავი და საქართველო[1]

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1805—1806 წწ. ნაპოლეონი მჭიდროდ დაუკავშირდა ირანის შაჰსა და ოსმალეთის სულთანს, იგი ცდილობდა შეექმნა ირან-ოსმალეთ-საფრანგეთის სამხედრო კავშირი რუსეთის წინააღმდეგ. ნაპოლეონი დიდი რაოდენობით აგზავნიდა საომარ საშუალებებსა და სამხედრო სპეციალისტებს — ინჟინრებს, არტილერისტებსა და სხვებს ოსმალეთში, რათა გაეზარდა ოსმალეთის არმიის ბრძოლისუნარიანობა და დაეპირისპირებინა იგი რუსეთისათვის. მასვე ჰპირდებოდა ჯარის ნაწილების საფრანგეთიდან გამოგზავნას და ყირიმისა და კავკასიის სხვადასხვა ტერიტორიების დაბრუნებას.

ასევე იგზავნებოდა მრავალრიცხოვანი სამხედრო მისიები ძვირფასი საჩუქრებით ირანის შაჰთან, ნაპოლეონი მას აღმოსავლეთ საქართველოს ჰპირდებოდა, რომელიც რუსეთთან უკვე იყო შეერთებული, აღუთქვამდა ყოველგვარ დახმარებას. ოღონდ ინტენსიურად განეგრძო ომი რუსეთის წინააღმდეგ. გარდა ამისა, იგი ცდილობდა უკმაყოფილება დაეთესა ინგლის-რუსეთს, პრუსია-რუსეთს, ინგლის-პრუსიასა და ავსტრია-რუსეთს შორის.

ნაპოლეონმა რუსეთთან ტილზიტის ზავის გაფორმებით აიძულა ალექსანდრე I მონაწილეობა მიეღო ინგლისის წინააღმდეგ კონტინენტალურ ბლოკადაში. ომი გამოეცხადებინა ინგლისისათვის და ეცნო ყველა ის ცვლილებანი, რომელიც უკვე მოახდინა და რომელსაც მომავალში მოახდენდა ნაპოლეონი დასავლეთ ევროპაში.

ტილზიტის ზავის დადებამ რუსეთის ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის მკვეთრი დაცემა გამოიწვია. ეს ზავი ხელს უწყობდა საფრანგეთის ეკონომიურ აყვავებასა და რუსეთის ეკონომიკის დაცემას. ნაპოლეონს სურდა რუსეთთან ომის დაწყებამდე მოეხდინა მისი ეკონომიური დაკაბალება და იგი საფრანგეთის ნახევარკოლო-

---

[1] იხ. А. В. Фадеев, Бухарестский мир 1812 г. и вопрос о кавказских границах. „Ученые записки ист.—филол. фак-та Ростовского н/Д гос. университета", 1952, т. 21, вып. 3.

ნიად გაეხადა. თუ 1806 წელს რუსეთის საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვა 120 მილიონ მანეთს უდრიდა, 1807 წელს 100 მილიონამდე ჩამოვიდა, ხოლო 1808 წელს 83 მილიონ მანეთამდე დაეცა[1]. საფრანგეთის მთავრობა რუსეთიდან შეტანილ საქონელზე მაღალ ბაჟებს აწესებდა. საფრანგეთის ბაზარმა რუსეთის საგარეო ვაჭრობაში, ცხადია, ინგლისის ადგილი ვერ დაიჭირა. რუსეთისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაღებისა და სამრეწველო საქონლის შესყიდვის ძირითად ბაზარს ადრე ინგლისი წარმოადგენდა. ახლა კი რუსეთის საგარეო ვაჭრობა საგრძნობლად შეიკვეცა; რუსული მანეთის სყიდვითი უნარიანობა 270%-ით დაეცა. რუსეთისათვის კონტინენტალური ბლოკადა სრული გაღატაკების მომასწავებელი იყო. ფრ. ენგელსი წერდა: «Россия могла приобретать деньги лишь посредством морской торговли и путем вывоза своих сырых продуктов на тогдашний главный рынок, в Англию; а Россия была уже слишком европейской страной, чтобы обходиться без денег. Торговая блокада становилась невыносимой»[2].

კონტინენტალური ბლოკადის თავზე მოხვევით, რუსეთი იძულებული გახდა საკუთარი ეკონომიური ზარალის ფასად შეეწყო ხელი საფრანგეთის ეკონომიური აღორძინებისათვის. ყოველივე ეს, სხვა მიზეზებთან ერთად, ძირს უთხრიდა ტილზიტის ზავს და აახლოებდა ომს რუსეთსა და საფრანგეთს შორის. საფრანგეთის მრეწველებს სჭირდებოდათ ნედლეული, რაშაც ინგლისი თავისი კოლონიებიდან ეზიდებოდა. ნედლეულის უქონლობა ხომ კატასტროფის წინაშე დააყენებდა საფრანგეთის მსხვილ ბურჟუაზიას; საკუთარი ბურჟუაზიის ინტერესებისათვის ნაპოლეონი იძულებული გახდა ნება დაერთო ინგლისიდან ნედლეულის შემოტანაზე. ნაპოლეონი თვითონ არღვევდა კონტინენტალურ ბლოკადას ინგლისის მიმართ, მაგრამ თავის მოკავშირე რუსეთს ამას უკრძალავდა. 1810 წლის 5 აგვისტოს ტრიანონის დეკრეტით ნაპოლეონმა დააკანონა ინგლისიდან ნედლეულის შემოტანა, რაც სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა საფრანგეთის მრეწველობისათვის. ამგვარად, საფრანგეთის ბურჟუაზია თვითონვე არღვევდა კონტინენტალურ ბლოკადას, ხოლო მის ჩაფუშვაში ადანაშაულებდა რუ-

---

[1] Н. Ф. Гарнич, 1812 год, стр. 25, М. 1956 г.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. XVI, ч. II, 1936, стр. 20.

სეთს. რუსეთის მთავრობამ ტრიანონის დეკრეტს 1810 წ. 31 დეკემბერს ე. წ. „რუსული ტარიფით“ უპასუხა, რამაც უპირველესად ყოველისა, გამოიწვია საფრანგეთის ვაჭრობის შევიწროება რუსეთის ბაზარზე. თუ აღნიშნული ტარიფის დაწესებამდე ყოველწლიურად 1.511 ათასი მანეთის საქონელი შემოდიოდა საფრანგეთიდან რუსეთში, შემდეგში ის 306 ათას მანეთამდე დაეცა, რამაც საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზიისა და ნაპოლეონის გულისწყრომა გამოიწვია[1]. რუსეთის მთავრობა ნებას რთავდა ინგლისს შემოეტანა თავისი საქონელი, ხოლო თვითონ კი დაიწყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების ინგლისში გატანა. ეს კი კონტინენტალური სისტემის კატასტროფასა და საფრანგეთის ბურჟუაზიისადმი სასიკვდილო დარტყმას ნიშნავდა.

საფრანგეთსა და რუსეთს შორის ახალი შეჯახებისათვის მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ვარშავის საჰერცოგოს შექმნამ, რომელიც ნაპოლეონმა 1809 წელს გააფართოვა. ვარშავის საჰერცოგოს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა საფრანგეთისათვის რუსეთის წინააღმდეგ მომავალ ომში; იყო სხვა სახის წინააღმდეგობანიც, რომლებმაც აშკარად დააჩქარეს რუსეთსა და საფრანგეთს შორის ომის დაწყება. მაგრამ განსაკუთრებული ადგილი კონტინენტალური ბლოკადის გარშემო შექმნილ წინააღმდეგობას ეჭირა მაინც. ახასიათებდა რა 1812 წლის ომის წინ შექმნილ მდგომარეობას, ფრ. ენგელსი წერდა: «Торговая блокада становилась невыносимой. Экономика была сильнее дипломатии и царя, вместе взятых, торговые сношения с Англией были в тихомолку возобновлены; Тильзитские условия были нарушены, и разразилась война 1812 года».[2]

რუსეთის წინააღმდეგ მომავალი დიდი ომისათვის ნაპოლეონმა სამზადისი დაიწყო ჯერ კიდევ 1807 წლიდან, ტილზიტის ზავის დადების დღიდან. 1812 წლისათვის ნაპოლეონის ფეხქვეშ იმყოფებოდა მთელი დასავლეთი ევროპა. მან დაპყრობითი ომების შეუგად შეძლო უზარმაზარი იმპერიის შექმნა. საფრანგეთის იმპერიასა და მისდამი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ ქვეყნებში. 80 მილიონი კაცი მოდიოდა ევროპაში მცხოვრებ 172 მილიონიდან.

ოსმალეთთან დაზავება რუსეთისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობის საქმე იყო. გრაფ კამენსკის, ჯერ კიდევ ადრე, დავალებუ-

[1] Н. Ф. Гарнич, 1812 год, стр. 29, М. 1956 г.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. XVI, ч. II, стр. 20, 1936.

ლი ჰქონდა მოლაპარაკება ეწარმოებინა ოსმალეთთან და დაედო საზავო ხელშეკრულება, რომლითაც ოსმალეთს რუსეთისათვის უნდა გადაეცა ბესარაბია, მოლდავეთი და დიდი და მცირე ვალახეთი; მდ. დუნაიზე უნდა გაევლო რუსეთ-ოსმალეთის სახაზღვრო ხაზს და უნდა განახლებულიყო წინათ არსებული აქტები და ხელშეკრულებანი რუსეთსა და ოსმალეთს შორის; სერბიას უნდა მიეღო დამოუკიდებლობა, ოსმალეთს უნდა გადაეხადა რუსეთისათვის კონტრიბუცია და სხვ. საზავო ხელშეკრულების პროექტში, რომელიც გრაფ კამენსკის უნდა წაეყენებია ოსმალეთის წარმომადგენლისათვის, ფართო ადგილი ჰქონდა დათმობილი საქართველოს საკითხს; პროექტში ნათქვამი იყო: «Порта признает навеки присоединенными к России Грузию, Имеретию, Мингрелию, Гуриель, Анапу и Поти».[1] კამენსკის დამატებით რუმიანცევისაგან მოუვიდა ავრეთვე დეპეშა იმის შესახებ, რომ: 1. რუსეთს სურს საზავო ხელშეკრულება გააფორმოს ოსმალეთთან სხვა სახელმწიფოს შუამავლობის გარეშე, 2. ოსმალეთთან დაზავებას არაფერი საერთო არა აქვს ირანთან დაკავშირებულ საკითხებთან და 3. ოსმალეთსა და რუსეთს შორის სასაზღვრო ხაზმა უნდა გაიაროს არა სერეტზე, არამედ მდ. დუნაიზე[2]. თავადი მურუზი აწარმოებდა დიდ ვეზირთან მოლაპარაკებას დაზავების შესახებ, მაგრამ ამ მოლაპარაკებამ უშედეგოდ ჩაიარა. ოსმალეთის მთავრობა წინააღმდეგი იყო სახაზღვრო ხაზს მდ. დუნაიზე გაევლო. რუსეთ-ოსმალეთის დაზავების საქმეს ხელს უშლიდნენ როგორც ინგლისელები და ავსტრიელები, ასევე რუსეთის მოკავშირე საფრანგეთის დიპლომატური მისია, აკრედიტებული კონსტანტინოპოლში. კამენსკი 1810 წლის ივნისში რუმიანცევს სწერდა: «*Французская, Английская и Австрийская миссии не престают поощрять Порту к продолжению войны с Россиею*».[3] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.). ხოლო რუსეთის საიდუმლო კორესპონდენტი (აგენტი) ოსმალეთიდან 1810 წლის 10 თებერვალს

---

[1] А. М. Михаиловский—Даниловский, Описание турецкой войны в царствование императора Александра, с 1806-го до 1812 года, ч. 2, стр. 3, 1843 г.

[2] А. Петров, Война России с Турцией 1806—1812, т. 3, стр. 320. 1887 г.

[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2884, л. 150.

იტყობინებოდა:«Антагонисты (англичане и французы) распускают здесь слухи весьма неблагоприятные для России; иные говорят, что Россия колеблется революциею, другие, что Франция угрожает ей погибелью: вообще здесь и очень мало желающих добра России».[1] ინგლის-საფრანგეთისა და ავსტრიის დიპლომატიურ შანტაჟს და ინგლისელების უხვ დახმარებას თავისი შედეგი მოჰქონდა. ოსმალეთი აგრძელებდა ომს რუსეთთან. 1810 წ. 8 თებერვალს რუსეთის საიდუმლო კორესპონდენტი კონსტანტინოპოლიდან იუწყებოდა: «*Султан твердо решился вести войну и опасение о мятеже прекратилось. Флот снаряжается и даже ожидают английского для соединенного действия*»[2] (ხაზი ჩვენია, ნ. ჭ.). ინგლისი და საფრანგეთი ერთმანეთის მიმართ სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ დაპირისპირებულნი, მაგრამ ორთავენი საერთო ძალებით მოხერხებულად საგანგებოდ ხელს უშლიდნენ დაზავების საქმეს. საფრანგეთის როლი და ავტორიტეტი სულ უფრო ეცემოდა ოსმალეთის მმართველი წრეების თვალში და ისინი ინგლისელებზე ამყარებდნენ საკუთარ იმედებს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში; მაგრამ ინგლისელებმა ვერ შეძლეს ოსმალეთიდან საფრანგეთის განდევნა. 1811 წ. 4 იელისის თარიღით ცნობაში საიდუმლო კორესპონდენტი იტყობინებოდა: «Вся политика здешняя говорит гласно о мире с Россиею. Одни французы уверяют, что сие быть не может. Реис-Ефенди, Кегай-бей и другие правители турецкие преданы Англии: французы же совершенно потеряли прежняго своего положения».[3]

მიუხედავად იმისა, რომ ფრანგები ინგლისელებს შევიწროებული ჰყავდათ, ინგლისის დიპლომატიას ოსმალეთში, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, არ სჭირდებოდა საფრანგეთის ანტირუსული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა, პირიქით, ერთი-მეორეს ავსებდა და აძლიერებდა ანტირუსულ ფრონტს ოსმალეთში. ოსმალეთის სულთანი და სასახლის მოხელეები ხშირად იღებდნენ ნაპოლეონის საიდუმლო წერილებს, სადაც იგი რუსეთთან საზავო მოლაპარაკების შეუძლებლობისა და ოსმალეთის მიმართ დიდი მხარდაჭერის შესახებ ლაპარაკობდა. 1811 წ. 16 იანვარს, რუსეთის საიდუმლო კორესპონდენტის ცნობით, ოსმა-

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2884, л. 194.

[2] იქვე, ფ. 149—150.

[3] იქვე, ფ. 161.

ლეთის ვეზირთან ჩასულა საფრანგეთის კურიერი, რომელსაც მისთვის ნაპოლეონის შემდეგი შინაარსის დეპეშა გადაუცია: *«Если Россия не согласится возвратить Молдавию, Валахию и прочее, то Порта не должна приступать к заключению мира, и в случае упорства с нашей стороны* (ლაპარაკია რუსეთზე,ნ. ქ) *Франция и Австрия готовы вступиться за Порту»*

გრაფმა კამენსკიმ ოსმალეთთან მოლაპარაკებაში ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია.

კამენსკის დუნაის ფრონტზე იარაღის ქვეშ 80 ათასი მებრძოლი ჰყავდა[2]. მან შეძლო დუნაის მარჯვენა სანაპიროებზე ძლიერი ციხე-სიმაგრეების — სილისტრიის, ბაზარჩიკის, რუშუკის, ჟურჟას და სხვ. აღება. 1811 წელს დუნაის არმიიდან უნდა გამოეთხოვათ 5 დივიზია ნაპოლეონის წინააღმდეგ დასავლეთის საზღვრების გასამაგრებლად. ოსმალეთის სულთანმა, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დუნაის ფრონტი ძლიერი იყო რუსეთის სამხედრო ძალებით, განაცხადა, რომ იგი ზავს დადებდა რუსეთთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოსმალეთის იმპერია შეინარჩუნებდა თავისი ტერიტორიების ხელშეუხებლობასა და რუსეთ-ოსმალეთის სახელმწიფო საზღვარი უცვლელი დარჩებოდა[3]. ახლა კი, სულთნისათვის ცნობილი იყო, რომ ინგლისს რუსეთის მიმართ მტრული პოზიცია ეჭირა და საფრანგეთსა და რუსეთს შორის არსებულ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ორივე იმპერატორი იყო გულაცრუებული. თანაც ნაპოლეონი არწმუნებდა სულთანს, რომ ამჯერად საზავო ხელშეკრულების გაფორმება რუსეთთან საზიანო იქნებოდა თვით ოსმალეთისათვის.

კამენსკის მძიმე ავადმყოფობის გამო დუნაის ფრონტის სარდლად დაინიშნა 1811 წლის გაზაფხულზე მიხეილ ილარიონის ძე კუტუზოვი. აქამდე იგი ვილნოში სამხედრო გუბერნატორის პოსტზე იმყოფებოდა. 7 აპრილს კუტუზოვი ბუქარესტში ჩავიდა. ზემოაღნიშნული ხუთი დივიზია ჯერ კიდევ დასავლეთის საზღვარზე არ იყო გაგზავნილი იმ მოტივით, რომ ნაპოლეონისათვის საბაბი არ მიეცათ ინციდენტისათვის. ფაქტიურად დუნაის ფრონტზე ოსმალეთის არმიის საპირისპიროდ რჩებოდა 46240 მებრძოლი, 190 საველე და 38 საალყო ქვემეხით[4].

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2884, л. 161 об. ил. 158 об.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2875, ч. III, л. 29 об. и 30.
[3] იქვე, ფ. 31.
[4] იქვე, ფ. 34 об.

რუსეთის არმიის რიცხობრივი სიმცირე აღაფრთოვანებდა ოსმალეთის სულთანს. იგი დაარწმუნეს ნაპოლეონის დიპლომატებმა იმაში, რომ საფრანგეთის მრავალრიცხოვანი არმია სულ მალე დაიძროდა რუსეთის წინააღმდეგ[1]. სულთანმა არმიის რეორგანიზაცია ჩაატარა; მან დუნაის ფრონტის სარდლის პოსტიდან გადააყენა მოხუცი ვეზირი იუსუფ-ფაშა, რომელიც რუსეთთან დაზავებას მოითხოვდა[2]. იუსუფ-ფაშას ადგილზე ახმედ-ბეი დაინიშნა. ოსმალეთში წარმოებდა გამალებული მზადება 1811 წლის ზაფხულის შეტევისათვის[3].

მ. ი. კუტუზოვმა, ფრონტის სარდლად დანიშვნისთანავე, თავისი წარმომადგენელი გაგზავნა ახმედ-ბეისთან და მოსთხოვა სრულუფლებიანი წარმომადგენელი გამოეგზავნა მასთან საზავო მოლაპარაკებისათვის. 1811 წ. 24 მაისს ბუქარესტში საზავო მოლაპარაკებისათვის ჩამოვიდა გამიდ-ეფენდი თავისი მდივნითა და თარჯიმნით. რუსეთის მხრიდან მოლაპარაკებას დიპლომატი ა. იტალინსკი აწარმოებდა. წინასწარი მოლაპარაკებით გამოირკვა, რომ ოსმალეთი ზავს დადებდა რუსეთთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი შეინარჩუნებდა თავისი იმპერიის მთლიანობასა და დამოუკიდებლობას[4]. რუსეთის მთავრობა კი კატეგორიულად მოითხოვდა დუნაის სამთავროების შემოერთებას. 1811 წ. 19 მაისს დიდი ვეზირი მ. ი. კუტუზოვს სწერდა, რომ დაზავება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ორივე მხარე ერთმანეთის მიმართ ზომიერებას გამოიჩენდა[5]. ოსმალეთს ჯერ კიდევ შესწევდა ძალა განეგრძო საომარი ოპერაციები რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო ინგლისი და საფრანგეთი, როგორც ითქვა, აქეზებდნენ მას გადამწყვეტი ბრძოლისაკენ და აიმედებდნენ, რომ ოსმალეთი საზავო მოლაპარაკების წარმოების დაყოვნებით შეძლებდა უკეთეს პირობებში დაედო ზავი რუსეთთან.

გრაფი ნ. რუმიანცევი 1811 წ. 21 ივნისს მ. ი. კუტუზოვს სწერდა, რომ შეეწყვიტა მოლაპარაკება ოსმალეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებთან[6].

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2875. ч. III, л. 45 об.
[2] А. Петров, указ. соч. т. 3, стр. 322.
[3] იქვე, გვ. 325.
[4] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2884, л. 74.
[5] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2884, л. 75 об.
[6] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2958, л 56—60.

ბუქარესტში მოლაპარაკების დროს ოსმალეთის არმია იერიშისათვის ემზადებოდა. შეტევა ორი მიმართულებით დაიწყო: იზმაილ-ბეი ვიდინისაკენ უტევდა 25.000-იანი არმიით, ხოლო დიდი ვეზირი ახმედ-ფაშა — შუმლიდან 60.000-იანი ჯარითა და 78 ქვემეხით. რუშუკთან რუსეთის ჯარი 18 ათასი მებრძოლისაგან შედგებოდა 114 ქვემეხით[1]. 20 ივნისს ოსმალთა კავალერია 5000 ცხენოსნით თავს დაესხა რუსეთის ჯარის ავანპოსტს, მაგრამ მტერი მოგერიებულ იქნა. მ. ი. კუტუზოვისათვის ცნობილი იყო, რომ ახმედ-ფაშას განზრახული ჰქონდა გენერალური ბრძოლა გაემართა რუსეთის მცირერიცხოვანი ჯარებისათვის. 22 ივნისს სასტიკი ბრძოლა მოხდა რუშუკთან. ოსმალეთის მრავალრიცხოვანი არმია თავგანწირულად იბრძოდა. 1811 წ. 23 ივნისს მ. ი. კუტუზოვი ალექსანდრე I-ს სწერდა: *«Атаковал меня тысячах в шестидесяти кавалерии, пехоты и артиллерии в позиции моей в четырех верстах впереди Рушука. Движение его распоряжений было так мудро, что могло бы служить славою и самому искусному генералу».*[2] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.).

ამ ბრძოლაში ანატოლიის კავალერია, რომელიც ათი ათას მებრძოლს ითვლიდა, კუტუზოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, *«действовал с такою наглостию, что я в долговременную мою противу турецких войск службу таковой не помятую»*[3] რუშუკის ბრძოლა იყო აქტიური თავდაცვის ბრწყინვალე ნიმუში. მიუხედავად იმისა, რომ მტრის ძალა სამჯერ აღემატებოდა რუსეთის ძალებს, კუტუზოვმა ოსტატურად გამოიყენა ბრძოლის ველზე თავისი ჯარი და დაამარცხა მტრის უზარმაზარი არმია. 1811 წ. 24 ივნისს მ. ი. კუტუზოვმა თავის ბრძანებაში მადლობა გამოუცხადა რუსეთის არმიის გენერლებს, ოფიცრებს და ჯარისკაცებს მტერზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებისათვის[4].

მართალია, რუშუკთან გამარჯვებამ ჩაშალა ოსმალეთის არმიის გეგმა, მოწინააღმდეგემ დაჰკარგა მოკლულთა სახით 5 ათასამდე მებრძოლი, მაგრამ ოსმალეთის არმია ჯერ კიდევ არ იყო განადგურებული. მას შეეძლო შეუპოვარი თავდაცვა. კუტუზოვს კი განზრახული ჰქონდა მტრის არა ნაწილობრივი, არამედ მთლიანი განად-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2875, ч. III, л. 59 об.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2952, л. 245—247.
[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2952, л. 245—247.
[4] Фельдмаршал Кутузов, 1947, стр. 116—117.

გურება. ამ ამოცანის შესასრულებლად კუტუზოვმა ტაქტიკურ ხერხს მიმართა. იგი შეეცადა დაერწმუნებინა მტერი იმაში, რომ რუსეთის ჯარი დასუსტებულია; ამით მას სურდა გაეთამამებინა მოწინააღმდეგე და გამოეყვანა იგი თავდაცვითი სიმაგრეებიდან. ამ მიზნით 1811 წ. 27 ივნისს რუშუკიდან მოსახლეობა გაასახლა, ააფეთქა ციხე-სიმაგრე და თავისი არმია დუნაის ჩრდილოეთ სანაპიროსაკენ წაიყვანა. გენ. ესენი განცვიფრებული დარჩა კუტუზოვის ასეთი მოქმედებით, მან ვერ გაუგო კუტუზოვს და გადუცხადა, რომ თვითონ დაიცავდა რუშუკს; ამის საპასუხოდ კუტუზოვმა თავისი ტაქტიკური მოსაზრება გაუმჟღავნა მას: «**Не в Рушуке важность, главное дело состоит в том, чтобы заманить визиря на левый берег Дуная. Увидя наше отступление, он наверное пойдет за нами».**[1]

დუნაის ფრონტიდან 5 დივიზიის გაყვანა, ცხადია, დაასუსტებდა რუსეთის არმიას. კუტუზოვი ცდილობდა შეეტყუებინა ახმედ-ფაშა დუნაის ჩრდილო სანაპიროზე და იქ გაემართა დიდი ბრძოლა. მტერი მდინარესთან მიემწყვდია და ამ გზით გაენადგურებინა ოსმალეთის არმია. დუნაის ფრონტიდან დასავლეთის ფრონტზე გაგზავნ ორ დივიზიას (მე-9 და მე-15) ჯერ კიდევ არ დაეტოვებინა დუნაის ფრონტი. ისინი მხოლოდ გამზადებულნი იყვნენ საამისოდ რუშუკის ბრძოლის შემდეგ, 1811 წ. 16 ივლისს. მ. ი. კუტუზოვმა თხოვნით მიმართა სამხედრო მინისტრს, დაეტოვებინა ისინი მ-ს განკარგულებაში: «*Турки, удостоверясь в том, что план войны нашей оборонительный и что мы не сильные, могут и вовсе не заботиться ныне о мире. Визирь деятельностию своею собрал знатные силы, и одно, что только может возродить в них желание к миру, есть то, чтобы дать движение 9-й и 15-й дивизиям в Валахию*».[2] (ხაზი ჩვენია, ნ. ჭ.). ოსმალეთთან დაზავების მიღწევის ძირითად საშუალებად მ. ი. კუტუზოვი აქტიური თავდაცვიდან შეტევაზე გადასვლას და მტრის ძალების განადგურებას თვლიდა.

ბარკლაი-დე-ტოლმა ნება დართო კუტუზოვს დუნაის ფრონტზე დაეტოვებინა ზემოაღნიშნული დივიზიები. კუტუზოვი ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ახმედ-ფაშას მოძრაობას. დაზუსტებულ იქნა, რომ მტერი დაბანაკებული იყო რუშუკის მარჯვენა და მარცხენა

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2875, ч. 3, л. 70.

[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2932 л. 262 и об.

ფლანგებზე. ოსმალთა ძირითადი, 70.000-იანი არმია კადიკიასთან იდგა, ხოლო იზმაილ-ბეის 20.000-იანი ჯარი ვიდინთან იყო განლაგებული. ახმედ-ფაშას განზრახული ჰქონდა რუშუკთან გადმოელახა დუნაი. იგი უცდიდა ნავების მოსვლას, რომ მარცხენა ნაპირზე გადაესხა ჯარი, თანაც იზმაილ-ბეის ჯარებსაც მოელოდა, რომელიც გენ. ზასის ჯარის განადგურების შემდეგ მას უნდა შეერთებოდა.

ახმედ-ფაშასათვის ცნობილი გახდა, რომ კუტუზოვის დასახმარებლად ორი დივიზია მოიწევდა და გადაწყვიტა დამხმარე ძალის მიღებამდე იერიში მიეტანა კუტუზოვის არმიაზე. ახმედ-ფაშა არ დაელოდა იზმაილ-ბეის ჯარს და 29 აგვისტოს ღამით, 4—5 კმ-ით რუშუკის ჩრდილოეთით, დაიწყო დუნაის მარცხენა სანაპიროზე ჯარის გადასხმა. პირველ რიგში მდინარე გადალახა 6 ათასმა იანიჩარმა და ბრძოლა გაუმართა ბულატოვის რაზმებს. კუტუზოვმა ბრძანა: «**Немедленно прекратить бой и занять очень выгодную позицию на высотах, окаймляющих низменность, занятую противником**».[1] 30—31 აგვისტოს ახმედ-ფაშამ დუნაის ჩრდ. სანაპიროზე გადასხა ჯარის საკმაოდ დიდი ნაწილი. სულ დუნაის ჩრდილო სანაპიროზე გადასხმულ იქნა 35—40 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხოლო სამხრეთ სანაპიროზე კვლავ რჩებოდა 25 ათასამდე მებრძოლი. ამგვარად, კუტუზოვის ტაქტიკის შედეგად მტრის არმია ორ ნაწილად აღმოჩნდა დაყოფილი. მის მიერ ჩატარებულმა გონივრულმა ოპერაციებმა მტრის ძალები დაჭსაქსა. მთავარი ამოცანა ამჯერად მდგომარეობდა იმაში, რომ «**отрезав переправившегося на сию сторону неприятеля от правого берега, прекратить ему всякую с оным коммуникацию**».[2] მტერს ჯერ კიდევ კავშირი ჰქონდა დუნაის მარჯვენა ნაპირთან, იგი იქიდან ღებულობდა საომარ მასალასა და სურსათს[3].

მ. ი. კუტუზოვმა გადაწყვიტა მტრისათვის სრულიად მოულოდნელად, დუნაის მარჯვენა ნაპირზე გადაესხა ერთი კორპუსი, რომელსაც მტრის მრავალრიცხოვანი ჯარი უნდა გაენადგურებინა და დუნაის მარცხენა ნაპირზე მყოფი ოსმალეთის მრავალათასიანი არმიის იზოლაცია მოეხდინა. ეს ასეც მოხდა[4]. 14 ოქტომბერს ღა-

---

[1] М. И. Кутузов, Сборник документов, т. 3, д. 781, стр. 680—684. М., 1952.

[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2934, л. 150—155, Рапорт Кутузова Александру I от 29 октября об уничтожении Визирского лагеря на правом берегу Дуная и взятии Туртукая и Силистрии.

[3] იქვე.

[4] იქვე

მით მარკოვმა გადასხა დუნაის მარჯვენა ნაპირზე თავისი კორპუსი, რომელიც 7.000 მებრძოლს ითვლიდა. ოსმალთა კავალერია, რომელიც 2000 ცხენოსნისაგან შედგებოდა, 2 ოქტომბერს მარკოვის კორპუსს დაეჯახა. მტერი რუსეთის კავალერიამ უკუაგდო. რუსეთის ჯარის ნაწილები შეიჭრნენ რუშუკის სანგრებში და მტრის ბანაკს დაეუფლნენ[1].

ოსმალებმა ამ ბრძოლაში მოკლულთა სახით დაჰკარგეს 1500, ხოლო ტყვედ ჩავარდა 400 მებრძოლი. დანაკარგი რუსეთის მხრიდან სრულიად უმნიშვნელო იყო.

რუსეთის ჯარის ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ მორალურად დასცა ოსმალეთის არმია. ახმედ-ფაშამ 2 ოქტომბერს მ. ი. კუტუზოვს წერილი გამოუგზავნა; იგი თხოვდა კუტუზოვს, დაედოთ დროებითი ზავი და შესდგომოდნენ მოლაპარაკებას დაზავების შესახებ[2].

რუსეთის ჯარის გამარჯვებით დამფრთხალი ახმედ-ფაშა 3 ოქტომბერს ღამით, რუშუკს გაიპარა ნავით[3]. რუსეთის ჯარების მედგარი შეტევის შედეგად 11—12 ოქტომბერს აღებულ იქნა სილისტრია.

მ. ი. კუტუზოვი ღრმად იყო დაჯერებული იმაში, რომ იგი შეძლებდა რუსეთისათვის სასარგებლო პირობებში დაედო ზავი ოსმალეთთან. მალე მასთან გამოცხადნენ ახმედ-ფაშას წარმომადგენლები მეჰმედ-ესად-ეფენდის მეთაურობით. კუტუზოვმა განუცხადა ოსმალეთის წარმომადგენელს, რომ რუსეთი თანახმა იქნებოდა ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი სასაზღვრო ხაზი მდ. პერეტზე გაივლებდა.

მ. ი. კუტუზოვს სამხედრო მინისტრისაგან (იმპერატორის სახელით) ნაბრძანები ჰქონდა საზავო მოლაპარაკება წარემართა იმგვარად, რომ მდ. დუნაიზე გაევლო სასაზღვრო ხაზს; მაგრამ ეს მოსაზრება დუნაის ფრონტის სარდალს არარეალურად მიაჩნდა. ამ

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2934, л. 150—155, Рапорт Кутузова Александру I от 29 октября об уничтожении Визирского лагеря на правом берегу Дуная и взятии Туртукая и Силистрии.

[2] М. И. Кутузов, Сборник документов, т. 3. М. 1952 д. 738, стр. 644.

[3] АВПР, ф. Канцелярия, 1808—1814, д. 1960, лл. 373—375.

რთულ საერთაშორისო ვითარებაში, როცა რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებული იყო ევროპის დიდი სახელმწიფოები და როცა საფრანგეთი რუსეთზე თავდასხმისათვის ემზადებოდა, შეუძლებელი იყო ოსმალეთი ასეთ მძიმე საზავო პირობებს დათანხმებოდა. ფრიად საყურადღებოა მ. ი. კუტუზოვის მიერ 1811 წლის 20 აგვისტოს თარიღით სამხედრო მინისტრის სახელზე გაგზავნილი წერილის შინაარსი, სადაც საქმის ღრმა ცოდნითაა დასაბუთებული, თუ როგორ უშლიდა ხელს საფრანგეთი დაზავების საქმეს და როგორ დაარწმუნა ნაპოლეონმა ოსმალეთის მმართველი წრეები იმაში, რომ ის უახლოეს დროში ომს დაუწყებდა რუსეთს, რითაც არსებითად გაუმჯობესდებოდა ოსმალეთის მდგომარეობა. სწორედ ამიტომ მოითხოვდა კუტუზოვი ოსმალეთის მიმართ ერთგვარ დათმობაზე წასვლას და დაზავების საქმის დაჩქარებას. მ. კუტუზოვი წერდა: « *Взять должно, с одной стороны, самые ласкательные для Порты внушения, от французского агента делаемыя, что при разрыве России с Францией, (что не умедлит быть, как турки думают), Порта постановит с Россиею мир, какого пожелает. Порта во всем бы другом не поверила Французским внушениям; но сии обещания кажутся ей столь естественны, столь подобны истине, что, конечно, должны ободрять ее к продолжению войны.*

С другой стороны, ежели взять требования наши (границу по Дунаю), для турков столь страшныя, то можно ли удивляться их наклонности внимать внушениям Французским, продолжать войну с русскими, доколе не последует разрыва с другой стороны,... Но ежели разрыв с Францией застанет нас в войне с турками, тогда сие последние будут в необходимости переменить свою систему, — разорвать с Англиею и тесно связаться с французами; в противном случае, ежели бы мы прежде эпохи разрыва с Францией успели сделать мир, хотя с некоторым ущербом Оттоманской империи, тогда, наверное, полагать должно, что Порта по отвращению ея к Франции, несмотря на сделанныя ею некоторыя потери, останется спокойною и войны не возобновит»[1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.).

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2952, л. 306—307. შდრ. იქვე, д. 2884 л. 14 об.

რუსეთის მმართველმა წრეებმა მ. ი. კუტუზოვის წერილის შემდეგ გონების თვალით შეხედეს ოსმალეთთან დაზავების საქმეს და შედარებით ზომიერნი გახდნენ მის მიმართ იმ თვალსაზრისით, რომ დაეჩქარებინათ საზავო ხელშეკრულების გაფორმება. საზავო მოლაპარაკება რუსეთსა და ოსმალეთს შორის გრძელდებოდა. ოსმალები უკვე თანახმანი იყვნენ რუსეთს გადასცემოდა მთელი ბესარაბია და მდ. პრუტის გასწვრივ დაწესებულიყო სასაზღვრო ხაზი, მაგრამ კუტუზოვი საგანგებოდ მოითხოვდა საზღვარი მდ. სერეტზე გასულიყო.

ოსმალეთის დიდმა ვეზირმა ახმედ-ფაშამ განაცხადა, რომ იგი პრინციპში თანახმაა რუსეთთან დადოს საზავო ხელშეკრულება იმ პირობებში, რომელთაც მ. ი. კუტუზოვი აყენებს, «**и назначает границею реку Серет, протекающую между Молдавии и Валлахии: но границы в Азии остаются in status quo**».[1]

ახმედ ფაშა კატეგორიული წინააღმდეგია იმისა, რომ აზიაში მოხდეს რაიმე ტერიტორიალური ცვლილებანი ოსმალეთის მიმართ. იგი ანგარიშს ოდნავადაც არ უწევდა საქართველოში, კერძოდ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში, რუსეთის ჯარების მიერ მოპოვებულ წარმატებებს და დაკავებული ტერიტორიების დაბრუნებას მოითხოვდა. ახმედ-ფაშა 1811 წ. 26 ოქტომბერს კუტუზოვისადმი გამოგზავნილ წერილში ცდილობდა გვერდი აევლო ყოველგვარი ტერიტორიული დათმობებისათვის დასავლეთ საქართველოში რუსეთის მიმართ. იგი წერდა: «**Совершенно не в его власти назначить границу в Азии на основании uti possidetis. Соломон Хан Имеретинский (ლაპარაკია სოლომონ II-ზე. ნ. ჯ.) принес новую присягу в верности; равно также за Кубанью находится множество данников турецких, составляющих даже часть войск Порты. Приняв в разсуждение обстоятельство сие, просит оставить сию и без оной приступить к заключению мира**»[2].

ირკვევა, რომ სოლომონ II-ის ბრძოლას იმერეთისათვის, როგორც სერიოზულ არგუმენტს, იყენებდა დიპლომატიურ ბრძოლაში ოსმალეთის მთავრობა დასავლეთ საქართველოს შენარჩუნებისათვის. მას სრულებითაც არ სურდა განხილულიყო საზავო მოლაპარაკებისას საკითხი დასავლეთ საქართველოს

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2884, л. 78.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2884, л. 78, и об.

შესახებ და ტრადიციულად მოითხოვდა მის დარჩენას ოსმალეთის ხელისუფლების ქვეშ. ამის საპასუხო 26 ოქტომბრის წერილში მ. ი. კუტუზოვი მიუთითებდა, რომ საკმაო ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც იმერეთი რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდა და იქაურმა ხალხმა რუსეთის ერთგულების ფიცი მიიღოო[1]. დასასრულ, ხანგრძლივი დიპლომატიური მიმოწერისა და მოლაპარაკების შემდეგ, მ. ი. კუტუზოვი 1811 წ. 3 ნოემბერს სამხედრო მინისტრს ატყობინებდა: *«В Азии султан удержать хочет Анапу, Черкессию и реку Рион, о Грузии и Имеретии спору не будет».*[2] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.).

რუმიანცევი საიდუმლო წერილში, რომელიც დათარიღებულია 26 ოქტომბრით, მ. ი. კუტუზოვს სწერდა, რომ იმპერატორი ხოტბა-დიდებას ასხამდა მას წინდახედულობის გამო. თანაც ავალებდა საზავო ხელშეკრულების გაფორმებისას განსაკუთრებულ ყურადღება მიექცია მოლდავეთისა და ვალახეთისათვის; იმედი ჰქონდა გადაეჭრა საკითხი, რომ რუსეთს აღნიშნულ პროვინციებში შეენარჩუნებინა თავისი გავლენა. გარდა ამისა, სერბიაში უნდა შეზღუდულიყო ოსმალეთის უფლებანი ისე, რომ გარდა ბელგრადისა ოსმალეთის ჯარებს გასაქანი არ ჰქონოდათ[3].

მ. ი. კუტუზოვისათვის გასაგები იყო, რომ ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების სასწრაფოდ გაფორმებას ფრიად სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის და ცდილობდა აზიაში სადავო საკითხებისათვის გვერდი აევლო.

კუტუზოვმა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შეძლო საზავო ხელშეკრულებაში აზიის შესახებ მუხლი ისე შეეტანა, რომ დაებნია ოსმალეთის დიპლომატები და საკითხი საბოლოოდ რუსეთის სასარგებლოდ გადაეჭრა.

საფრანგეთის დიპლომატია მოქნილად მოქმედებდა და ყოველგვარ ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ რუსეთთან საზავო მოლაპარაკება ჩაეშალა. დიპლომატ ფონტონის 1811 წ. 24 ნოემბრის თარიღით რუმიანცევისადმი გაგზავნილ წერილში ამის შესახებ ვკითხულობთ: *«Г. Латур-Мобург в свидании своем с Реис-Ефенди, уговаривал его не торопиться заключить мир с Россиею: ибо Пруссия, Германия, Польша, Швеция совокупно с Францией,—*

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2884, л. 78 и об.

[2] იქვე, ფ. 80, შდრ. იქვე, ფ. 79.

[3] იქვე ფ. 84.

готовы по первому знаку, поднять оружие противу России»[1]. ამჯერად საზავო ხელშეკრულების გაფორმება შეუძლებელი გახდა საფრანგეთის დიპლომატიის მტრული საქმიანობის გამო.

მდ. დუნაის მარცხენა ნაპირზე გადმოსხმული ოსმალეთის არმიის ბედი ახმედ-ფაშას გაქცევის შემდეგ უნუგეშო იყო. ნოემბრის შუა რიცხვებში არმიის 2/3 განადგურებულ იქნა, ხოლო 25 ნოემბერს გადარჩენილი 12000-იანი რაზმი „ტყვედ" ჩაბარდა („на сохранение") რუსეთის არმიას[2]. კუტუზოვი სამხედრო მინისტრს სწერდა, რომ: «вся цель моя после дня перехода Визирского (войска, Н. К.) на нашу сторону была в том, чтобы сей армии не перепустить обратно, в чем я, благодарение богу, и успел».[3] ოსმალეთის განიარაღებული ჯარი ვალახეთში იქნა დაბანაკებული.

მ. ი. კუტუზოვმა და ახმედ-ფაშამ ხელი მოაწერეს დროებით ზავს. რუსეთის ჯარი დასასვენებლად კუტუზოვმა ჟურჟას მიდამოებში დააბანაკა, ხოლო მე-9 და მე-15 დივიზია დნესტრისაკენ გაგზავნა. ამის შემდეგ მან თავისი მთავარი ბანაკი ბუქარესტში გადაიტანა, სადაც მოვიდნენ ოსმალეთის წარმომადგენლები საზავო მოლაპარაკებისათვის.

მ. ი. კუტუზოვს მოუვიდა ალექსანდრე I-ის რესკრიპტი; იმ შემთხვევაში, თუ ოსმალეთი რუსეთის მიერ წაყენებულ საზავო პირობებზე უარს იტყოდა, მას უნდა დაერღვია ოსმალეთთან დადებული დროებითი ზავი[4]. როგორც რუმიანცევმა აცნობა კუტუზოვს, იმპერატორი გრძნობდა საზავო მოლაპარაკების არასასურველ დაბოლოებას და ამიტომ წინადადება ეძლეოდა მას, დაეწყო საომარი მოქმედება და იარაღის ძალით მოეყვანა სრულ მორჩილებაში ოსმალეთი. სულთანი ძირითად საკითხებზე წინასწარ თუ განაცხადებდა თანხმობას, იმპერატორი მხოლოდ მაშინ იძლეოდა ნებართვას განეგრძოთ საზავო მოლაპარაკება. რუსეთის ძირითადი მოთხოვნები შემდეგში მდგომარეობდა: 1. რუსეთსა და ოსმალეთს შორის საზღვრად მდ. სერეტზე გაივლიდა; 2. სერბიას მიეცემოდა მშვიდობიანი არსებობის საშუალება, და 3. აზიაში, ე. ი.

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2884, лл. 78.—79.

[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2952, л. 373—374; Рапорт Кутузова Александру I—о сдаче турецкой армии.

[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 434, лл. 67—68.

[4] იქვე, д. 453, л. 8—10.

კავკასიაში საზღვარი იქნებოდა დაწესებული იმგვარად, რომ ყველა ციხე-სიმაგრე, რომელიც ამ ომის პერიოდში დაკავებულ იქნა რუსეთის ჯარების მიერ, რუსეთსავე დარჩებოდა[1]. აი, უმთავრესი საკითხები, რომლებიც საზავო ხელშეკრულების ხერხემალი უნდა ყოფილიყო.

ოსმალეთს არ სურდა ამ პირობებში დაედო საზავო ხელშეკრულება რუსეთთან, იგი ცდილობდა ახალი ძალებით შეევსო თავისი არმია და განეგრძო ომი. კუტუზოვმა წინადადება მისცა ახმედ-ფაშას, თუ რუსეთის მიერ წაყენებულ პირობებზე სულთანი თანახმა არ იქნებოდა, მაშინ რუსეთი ოსმალეთის იმ 12000-იან ჯარს, რომელიც დუნაის მარცხენა სანაპიროზე ჩაბარდა რუსეთის სარდლობას («на сохранение»), გამოაცხადებდა დატყვევებულად (ფაქტიურად ეს ასეც იყო) და რუსეთი კვლავ განაახლებდა საომარ მოქმედებას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შვეცია მხარს უჭერდა საფრანგეთის ანტირუსულ საქმიანობას 1812 წლის იანვრამდე და ყოველმხრივ ხელს უშლიდა რუსეთ-ოსმალეთის დაზავების საქმეს. რუსეთსა და შვეციას შორის ურთიერთობა 1812 წ. დასაწყისისათვის უკვე შეიცვალა. 1812 წლის იანვარში ნაპოლეონმა იმ მიზნით, რომ რუსეთთან მისადგომი ჰქონოდა, დაიპყრო შვეციის პომერანია. საბაბად შვეციის მიერ კონტინენტალური ბლოკადის დარღვევა გამოიყენა მეგობრული ურთიერთობა შვეცია-საფრანგეთს შორის მტრული დამოკიდებულებით შეიცვალა. ეს კი კარგად გამოიყენა რუსეთის დიპლომატიამ საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. შვეციას დაუკავშირდა რუსეთის მთავრობა და ცდილობდა იგი გამოეყენებინა ოსმალეთთან დაზავების საქმისათვის. 1812 წლის თებერვლის შუა რიცხვებში რუსეთისა და შვეციის მთავრობების შეთანხმებით კონსტანტინოპოლში რუსეთ-ოსმალეთის დაზავების საქმის დაჩქარების მიზნით ბარონი გიმელი გაიგზავნა.

ალექსანდრე I-ს მიღებული ჰქონდა ცნობა იმის შესახებ, რომ ოდერთან ნაპოლეონის უზარმაზარი არმია უკვე მოახლოებული იყო; ამიტომ ალექსანდრე I კუტუზოვისაგან მოითხოვდა ოსმალეთის ჯარების დაუყოვნებლივ განადგურებასა და საზავო ხელშეკრულების სასწრაფოდ გაფორმებას[2]. მართლაც, რუსეთის ჯარებმა დაიწყეს სამხედრო მოქმედება დუნაის მარჯვენა ნაპირზე ოსმალე-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2884, л. 81 и об.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 453, л. 11 и об.

თის ჯარების წინააღმდეგ. მტერი დიდ ზარალს ნახულობდა მოკლულთა და ტყვედ ჩავარდნილთა სახით[1]. სწორედ ამ დროს აცნობა სულთანმა კუტუზოვს, რომ იგი თანახმაა დაიწყოს საზავო მოლაპარაკება რუსეთთან იმ შემთხვევაში, «если Россия откажется от сделанных ею в Азии в течение пяти лет завоеваний».[2] როგორც ჩანს, ოსმალეთს ძლიერ უმძიმდა საქართველოზე ხელის აღება და ცდილობდა რუსეთი ჩამოეცილებინა საქართველოსათვის ბრძოლის გზიდან.

გენ. მარკიზ პაულუჩი 1812 წლის 4 იანვარს ფელდმარშალ კუტუზოვს სწერდა იმის შესახებ, თუ საქართველოში რა ტერიტორიებისა და ციხე-სიმაგრეების შენარჩუნება იყო აუცილებელი რუსეთისათვის, რათა აქ იგი საბოლოოდ დამკვიდრებულიყო: *«Для доставления Грузии спокойных границ, требуется склонить Порту на следующия пожертвования: чтобы Порта признала торжественно владениями нашими Имеретию, Мингрелию, Гурию и всю Абхазию до самой крепости Суджук-Кале, отстоящей в 35 верстах от Анапы, ибо Порта все еще старается содержать их от своей зависимости.*

Сверх того, признать и крепости, покоренныя на правом берегу Черного моря—Поти, Сухум-кале и Суджук-кале, что сделало бы нас властелинами сего берега. С другой стороны, прилежащую к внутри самой Грузии Ахалкалакскую крепость, довольно важную, недавно взятую, и всю сию область, которая была всегда опаснейшею для Грузии, заключая в себе гнездо разбойников. Для совершенной безопасности Грузии нужно бы было выговорить весь Ахалцыхский пашалык, коего самое местоположение весьма способствует к скоропостижным набегам из ущелин гор на... Грузию»[3]. (ხაზი ჩვენია, ნ. ჯ).

იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის ტერიტორიებისა და ანაპის, სოხუმის, ფოთის, ახალქალაქისა და ახალციხის ციხე-სიმაგრეთა რუსეთის ხელში გადასვლა, ბუნებრივია, გააძლიერებდა რუსეთის პლაცდარმს მთელს ახლო აღმოსავლეთში და ოსმალეთის პოზიციას საკმაოდ დაასუსტებდა.

---

[1] ЦГВИА, ф. 29 оп. 153, св. 47, ч. 26, лл. 1—4.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2875, ч. 3, л. 181 об.
[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2884, л. 204 и об.

ამიერკავკასიაში ჩატარებული ბრძოლებისა და მისი შედეგების საქმეში საკმაოდ ჩახედული კუტუზოვი ადვილად არ დაუთმობდა ოსმალეთს ბრძოლებით მოპოვებულ წარმატებებს საქართველოში.

ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებას სათავეში უშუალოდ კუტუზოვი ჩაუდგა. მისთვის ცნობილი იყო, რომ ნაპოლეონის ჯარებმა დაიწყეს ოდერის გადმოლახვა, ხოლო ავანგარდი ვისლაზე გამოჩნდა. ოსმალეთთან დაზავება სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმე ხდებოდა. დარჩენილი ყოველი დღე რუსეთისათვის მეტისმეტად ძვირფასი იყო. ალექსანდრე I პეტერბურგიდან ვილნოში გამგზავრების დღეს მ. ი. კუტუზოვს სწერდა: «**Всякая потеря времени есть в настоящих обстоятельствах совершенное зло. Отстраните все побочныя занятия и с тем проницанием, коим вы одарены, примитесь сами за сию столь важную работу**».[1]

საზავო მოლაპარაკების დროს ვენიდან ოსმალეთის მთავრობას მისი წარმომადგენელი აუწყებდა, რომ რუსეთსა და საფრანგეთს შორის ომი გარდაუვალია, ის უახლოეს დროში დაიწყება, რომ საფრანგეთის ჯარები უკვე დაიძრნენ[2]. ამიტომ იგი ურჩევდა რუსეთთან არ დაედოთ ზავი, რა პირობებშიაც არ უნდა ყოფილიყო იგი შეთავაზებული. საფრანგეთის მტრულ საქმიანობასთან ერთად. აქტიურად მოქმედებდა ავსტრიის დიპლომატიაც, რათა ამ კრიტიკულ მომენტში არ მომხდარიყო რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაზავება. ამ მხრივ კონსტანტინოპოლში ავსტრიის ელჩის დიდი „დამსახურება" ავსტრიისა და საფრანგეთის მთავრობათა ჯილდოებითა და საჩუქრებით აღინიშნა. რუმიანცევი 1812 წლის 15 თებერვალს მ. ი. კუტუზოვს სწერდა, რომ ინტერნუნციმ მიიღო *«от двора своего командорской крест Ордена св. Стефана... в то же самое время император Наполеон прислал к нему тайным образом десять тысяч Луидоров, и то и другое в награду за успешное старание его в недопущении мира между Россией и Портой»*[3]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.).

1812 წლის 3 მაისს პ. ა. ფონტონი მ. ი. კუტუზოვს სწერდა ავსტრიისა და საფრანგეთის დიპლომატიური ხრიკების შესახებ კონ-

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2875, ч. 3, л. 186. შდრ. АВПР, 1812, ф. Канцелярия д. 1982. лл. 276—277.

[2] АВПР, 1812 г. Ф. Канцелярия, д. 1982, л. 81.

[3] იქვე, ფ. 333.

ტანტინოპოლში, რითაც ხელი ეშლებოდა ოსმალეთთან დაზავების საქმეს[1].

მ. ი. კუტუზოვი დარწმუნებული იყო, რომ მიუხედავად შეციის წარმომადგენლის დიდი მეცადინეობისა კონსტანტინოპოლში, მიეღწია რუსეთ-ოსმალეთის დაზავებისათვის — ლატურ-მობურგი და ინტერნუნცი გადაიბირებდნენ ოსმალეთის სულთანს თავიანთ მხარეზე და განაწყობდნენ მას დაზავების საწინააღმდეგოდ[2].

რუსეთ-ოსმალეთის დაზავების საქმეს უყურადღებოდ არც ინგლისი ეკიდებოდა. განსაკუთრებით მას აინტერესებდა დაზავების შემთხვევაში ის მუხლები, რომლებიც აზიის საკითხთან იქნებოდა დაკავშირებული. იგი ცდილობდა რუსეთ-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების გაფორმება მომხდარიყო ინგლისისათვის ხელსაყრელ პირობებში, რომ მას არ შეელახა ინგლისის სავაჭრო და სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესები ახლო აღმოსავლეთში. ინგლისი ცდილობდა ომამდელი მდგომარეობა მაინც შეენარჩუნებინა აზიაში თავისი მოკავშირეებისათვის — ოსმალეთისა და ირანისათვის. ინგლისის დიპლომატია მოითხოვდა, აზიაში ოსმალეთის ტერიტორიების შესახებ საკითხი არც კი ყოფილიყო ნახსენები საზავო ხელშეკრულებაში, ე. ი. ძველებურად დარჩენოდა ოსმალეთს კავკასიაში ის ტერიტორია, რომელიც ომამდე მას ეკუთვნოდა. ამან საზავო მოლაპარაკების მსვლელობაში გართულება გამოიწვია. 1812 წლის 4 მარტს მ. ი. კუტუზოვი რუმიანცევს სწერდა: *«Сие новое затруднение почитаю я единственно последствиями внушений г-на Канинга, рожденных от торгового корыстолюбия его правительства. Неожиданное предложение, зделанное нам Портою, отстранить совершенно статью об Азии, нельзя иному чему приписать, как равномерно внушениями Аглинского поверенного в делах».*[3]

ოსმალეთი აიძულა რუსეთის დიპლომატიამ და მისმა სამხედრო ძლიერებამ დათანხმებოდა საზავო ხელშეკრულებაში შეეტანათ მუხლი აზიის შესახებ, მაგრამ სულთანი მოითხოვდა დაეცვათ ოსმალეთის ინტერესები აზიაში, კერძოდ კი ამიერკავკასიაში, ამ მხრივ საინტერესოა 29 მარტს გალიბ-ეფენდის მიერ წამოყენებული საზავო ხელშეკრულების პროექტი. ამ პროექტის I და IV მუხლით, რომ

[1] М. И. Кутузов. Сб. документов, т. 3, стр. 891.

[2] იქვე, стр. 890—891.

[3] АВПР, 1812 г; ф. Канцелярия, д. 1982, л. 99—100, შდრ. А. В. Фадеев, Россия и восточный кризис 20-х годов XIX в. стр. 100—101; М. 1958.

არაფერი ვთქვათ II-ზე და აგრეთვე III მუხლზე, უარყოფილი იყო რუსეთის მიერ წაყენებული პირობები ევროპაში საზღვრის დაწესებისა და სერბიის შესახებ.

პირველი მუხლი შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: „Возстановить в Азии Status quo ante bellum", ხოლო IV მუხლი კი ასე: „Включить мир с Персиею, яко с державою, действовавшею совокупно с Портою".[1]

მ. ი. კუტუზოვმა დაავალა დიპლომატ ფონტონს გადაეცა ოსმალეთისათვის, რომ რუსეთი ასეთ წინადადებებზე არასოდეს არ დათანხმდებოდა; ირანთან რუსეთს სულ სხვა პრეტენზიები ჰქონდა, ვიდრე ოსმალეთთან. ირანმა უფრო ადრე დაუწყო რუსეთს ომი, ვიდრე ოსმალეთმა და ამიტომ ოსმალეთთან დაზავების საქმეს არაფერი ჭონდა საერთო ირანთან. რომ ოსმალეთთან ანგარიშსწორების დამთავრების შემდეგ ირანთან ცალკე დაზავების დროც დადგებოდა. აზიაში Status Quo-ს მოთხოვნა ნიშნავდა ოსმალეთის ბატონობის ქვეშ დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს დატოვებას, ხოლო ირანისათვის — რუსეთის მიერ ომის განმავლობაში შემოერთებული ტერიტორიების უკანვე დაბრუნებას.

რუსეთის მდგომარეობა დღითი-დღე რთულდებოდა. ოსმალეთთან დაზავების საქმე უიმედოდ გამოიყურებოდა მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის დიპლომატია მზად იყო ყველაფერი გამოეყენებინა დაზავების დაჩქარებისათვის. 1812 წ. 5 მარტს ნ. რუმიანცევმა კუტუზოვს აცნობა პარიზიდან ფლიგელ-ადიუტანტის, პოლკოვნიკ ა. ჩერნიშევის ჩამოსვლის შესახებ, რომელსაც თითქოს ალექსანდრე I-ის სახელზე ჩამოეტანოს ნაპოლეონის წერილი, რომ ნაპოლეონი მზად იყო შეენარჩუნებინა რუსეთსა და საფრანგეთს შორის არსებული კავშირი. ერთდროულად რუმიანცევმა კუტუზოვს აუწყა საფრანგეთში რუსეთის ელჩის ა. კურაკინის წერილის შესახებაც, რომელიც თითქოს და ადასტურებდა ზემოაღნიშნული ცნობის სისწორეს.

რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს სურდათ ზემოქმედება მოეხდინათ დაზავების დასაჩქარებლად ოსმალეთზე იმ მოტივით, რომ თითქოსდა საფრანგეთის იმპერატორი გონს მოვიდა და ევროპაში სახელმწიფოთა შორის არსებულ უთანხმოებათა ლიკვიდაციისათვის აუცილებლად მიიჩნია რუსეთთან გაბზარული კავშირის კვლავ განმტკიცება და ოსმალეთის ევროპული ტერიტორიის დანა-

[1] АВПР, 1812, ф. Канцелярия, д. 1982, л. 180 и об.

წილება ევროპის დიდ სახელმწიფოებს — რუსეთსა და საფრანგეთს შორის; და რომ, თითქოს, რუსეთის იმპერატორი ჯერჯერობით თავს იკავებდა შემოთავაზებულ წინადადებაზე პასუხის გაცემისაგან, იმ ვარაუდით, რომ დადგენილი არ იყო ოსმალეთის პასუხი დაზავების პირობების შესახებ[1].

ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, რომ ნაპოლეონმა მართლაც შემოსთავაზა თუ არა ალექსანდრე I-ს მსგავსი შინაარსის წინადადება. უნდა ვიფიქროთ, რომ საზავო ხელშეკრულების გაფორმების დაჩქარების მიზნით რუსეთის დიპლომატიამ საკმაოდ ძლიერ ფანდს მიმართა, რომელმაც დიდი შედეგიც მოიტანა.

იმ შემთხვევაშიაც კი, ნაპოლეონს ასეთი წინადადება საიდუმლოდ რომ შემოეთავაზებინა რუსეთისათვის დასავლეთის საზღვრებიდან ყურადღების ოსმალეთზე გადატანის მიზნით, რუსეთის დიპლომატიამ იგი ჩინებულად გამოიყენა თვით საფრანგეთის წინააღმდეგ, ოსმალეთთან დაზავებისათვის.

1812 წლის 13 მარტს მ. ი. კუტუზოვს შეხვედრა ჰქონდა გალიბ-ეფენდისთან დაზავების საკითხზე. ამ შეხვედრისას კუტუზოვმა საიდუმლოდ გააცნო გალიბ-ეფენდის სახელმწიფო კანცლერის მიერ გამოგზავნილი წერილი. გალიბ-ეფენდიმ, როგორც ამის შესახებ კუტუზოვი გრაფ რუმიანცევს ატყობინებდა, 1812 წლის 17 მარტს *«принял сделанное ему... сообщение не только с полною верою, но и в событии предполагаемых Франции замыслов противу европейских провинций Порты Оттоманской не усумнился»*[2]. (ხაზი ჩვენია, ნ. ჭ.).

გალიბ-ეფენდიმ სანდო პირის საშუალებით მაშინვე საიდუმლოდ აუწყა სულთანს ეს მეტისმეტად არა სასიამოვნო და ფრიად ყურადსაღები ამბავი.

მ. ი. კუტუზოვთან საუბარში გალიბ-ეფენდის აინტერესებდა გაეგო, თუ როგორი იყო რუსეთსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობა, როდის შეიძლებოდა მათ შორის დაწყებულიყო ომი. კუ-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2958, л. 167—168. შდრ. ЦГВИА, ф. ВУА, д. 2887, л. 138 об.

[2] АВПР, ф. Канцелярия, д. 1982. лл. 145—148, შდრ. М. И Кутузов, сборник документов, т. 3, стр. 343.

ტუზოვმა განუცხადა: მართალია, ორივე იმპერია ომისათვის დიდ საშზადისშია, მაგრამ მათ შორის ომი ჯერ შორსაა, რადგანაც ნაპოლეონი დიდად შეეწროებულია ესპანეთში შექმნილი მდგომარეობით; ამჯერად ნაპოლეონი მზადაა გამონახოს საშუალება რუდა გვთავაზობს ოსმალეთის დანაწილების წინადადებასო. შემდეგ სეთთან მოლაპარაკებისათვის, გაურბის რუსეთთან განხეთქილებას კი კუტუზოვმა განაგრძო: «Его императорское величество, без сомнения, убежден в неискренности чувств Наполеона, какие тот ему высказывает. Поэтому совершенно ясно, что Наполеон предлагает России раздел турецкого наследства только потому, что в данный момент он один не в состоянии присвоить себе всю Турцию. Уничтожение мощи Турции в Европе никогда не было в интересах России, так как при дележе наиболее лучшие провинции попали бы в руки Франции. Его императорское величество может пойти навстречу предложениям Наполеона только в самом крайнем случае, когда он убедится, что Порта отвергает все средства сближения»[1].

კუტუზოვმა გალიბ-ეფენდისთან საუბარში რუსეთის სამხედრო ძლიერებასაც გაუსვა ხაზი, რომ მას შეუძლია ოსმალეთის დაყოფის საქმეში მიიღოს აქტიური მონაწილეობა, მაგრამ ეს იქნებოდა უკიდურესი გამოსავალი რუსეთისათვის; გალიბ-ეფენდი აღშფოთებული იყო ნაპოლეონის ორპირობის გამო; მან განაცხადა: «В то время, как он (ლაპარაკია ნაპოლეონზე, ნ. ჭ.) намеревается разделить нашу страну, в глаза нам он говорит совершенно другое»[2].

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაპოლეონი მთელ თავის შესაძლებლობებს ახმარდა საზავო მოლაპარაკების ჩაფუშვის საქმეს. მას ქონდა ოსმალეთში დიპლომატთა და სამხედრო ჯაშუშთა კარგი ორგანიზაცია, რომლისთვისაც დიდი სახსრები იხარჯებოდა. მაგრამ მ. ი. კუტუზოვმა მოლაპარაკებისას ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, გამოამჟღავნა უაღრესად დიდი დიპლომატიური ნიჭი რუსეთისათვის ამ გადამწყვეტ მომენტში.

კუტუზოვმა შეძლო დაემტკიცებინა ოსმალეთის დიპლომატებისათვის, რომ საფრანგეთსა და რუსეთს შორის ომის საფრთხე

---

[1] АВПР, ф. Канцелярия, д. 1982, лл. 149—152. (ფრანგულ ენაზე), მოტანილია წიგნიდან—М. И. Кутузов, сб. документов, т. 3. стр. 846, М. 1952.

[2] იქვე.

უკვე გაიარა, რომ შესაძლებელია ორივე იმპერიის არმიების ერთდროული მოქმედების დაწყება ოსმალეთის წინააღმდეგ, თუ ოსმალეთის მმართველი წრეები გონების თვალით არ შეხედავდნენ რუსეთთან დაზავების საქმეს. მ. ი. კუტუზოვისა და ოსმალეთის სრულუფლებიანი დიპლომატიური წარმომადგენლის გალიბ-ეფენდის 1812 წლის 3 აპრილის კერძო შეხვედრის ოქმიდან ერწმუნდებით, რომ მ. ი. კუტუზოვმა დაზავების საქმეს სასურველი მიმართულება მისცა. აი მისი სიტყვები: «*Общее положение дел в Европе не позволяет дольше затягивать эти переговоры, что они, напротив, приводят к решению заключить мир с Портою без дальнейших отлагательств, чтобы связать наитеснейшим образом интересы двух империй, или разорвать вовсе эту негоциацию и принять настоятельные предложения императора Наполеона прекратить недорозумения, возникшие между двумя дворами, и возобновить наитеснейший союз с Францией, чтобы приступить к осуществлению ее обширных планов*»[1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ჭ.).

ოსმალეთში კარგად ახსოვდათ და სულთნის მეხსიერებიდან რა ამოშლიდა, 1807 წ. რუსეთისა და საფრანგეთის დაზავების ფაქტს. რომელიც ოსმალეთმა მძიმედ განიცადა. მ. ი. კუტუზოვმა იმდენი გააკეთა დაზავების საქმისათვის, რომ სულთანს საფრანგეთის დიპლომატებისა და თვით ნაპოლეონის ხელით დაწერილი წერილების გულწრფელობაში ეჭვი შეეპარა. სულთანი ასე მსჯელობდა: თუ რუსეთსა და საფრანგეთს შორის ომი გარდუვალი გახდება, რუსეთს ავსტრია მიემხრობა და უკანასკნელი თავის საზღაურს ოსმალეთის ტერიტორიებიდან მოითხოვს. სულთანი დარწმუნდა იმაში, რომ ოსმალეთის ყველაზე საშიში და სახიფათო მტერი ამჯერად საფრანგეთი და ავსტრიაა. იგი საბოლოოდ დათანხმდა რუსეთთან ზავის დადებაზე[2].

1812 წლის 5 მაისს, დიდი დიპლომატიური ბრძოლის შემდეგ, მ. ი. კუტუზოვმა მიაღწია ოსმალეთთან პრელიმინარული ზავის დადებას, ხოლო 16 მაისს გაფორმდა საზავო ხელშეკრულება. 5 მაისს კუტუზოვის მიერ ბუქარესტში ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულების წინასწარი პირობები, რომელიც 6 მუხლისაგან შედგებოდა,

---

[1] М. И. Кутузов, сб. документов, т. 3, М. 1952 г. стр. 878; приложение к документу № 964, перевод с французского.

[2] АВПР. 1812, ф. Канцелярия, д. 1982, л. 180 и об.

საფუძვლად დაედო საზავო ხელშეკრულებას. საზავო ხელშეკრულება 16 მუხლისაგან შედგებოდა. ამ ხელშეკრულებით ბესარაბია და მოლდავეთის ნაწილი რუსეთს შემოუერთდა. რუსეთის ახალი საზღვარი გადიოდა მდ. პრუტზე დუნაის შესართავამდე, ხოლო შემდეგ მდ. დუნაიზე — შავ ზღვამდე[1].

მოლდავეთისა და ვალახეთისათვის შენარჩუნებულ იქნა ყველა ის პრივილეგიები, რაც გათვალისწინებული იყო იასის საზავო ხელშეკრულებით (მუხ. V).

ოსმალეთი ვალდებულებას კისრულობდა სერბიისათვის მიეცა საშინაო მმართველობაში სრული ავტონომია[2]. ოსმალეთის უფლებები სერბიაში შეიზღუდა; იგი რეგლამენტირებული იყო საზავო ხელშეკრულებით. ამან კი შემდგომში ძირი გამოუთხარა ოსმალეთის ბატონობას სერბიაში.

საზავო ხელშეკრულების VI მუხლი აზიაში ოსმალეთის საზღვრებს ეხებოდა; საზავო ხელშეკრულებაში ეს შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: «*Российский императорский двор отдаст и возвращает Блистательной Порте Оттоманской, в таком состоянии, в каком теперь находятся, крепости и замки, внутри сей границы лежащие и оружием его завоеванные, купно с городами, местечками, селениями, жилищами и со всем тем, что сия земля в себе содержит*»[3]. ამ მუხლში არაფერია ნათქვამი საქართველოს პროვინციების რუსეთის ქვეშევრდომობაში გადასვლის შესახებ. თითქოს ის ტერიტორია თავისი ქალაქებით, სოფლებითა და ციხე-სიმაგრეებით, რომელიც რუსეთის ჯარებს ჰქონდათ დაკავებული და ომამდე ოსმალეთის ქვეშევრდომობაში ითვლებოდა, ოსმალეთსავე უნდა დაბრუნებოდა. მაგრამ კუტუზოვის მიერ ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულების წინასწარი პირობების მესამე მუხლში[4] გამოთქმულ დებულებათა განსახორციელებ-

---

[1] ПСЗРИ, т. XXXII, стр. 316—322. № 25110. შდრ. А. В. Фадеев. Россия и Восточный Кризис 20-х годов XIX века, стр. 97—99. 1958.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] ეი, რა იყო ნათქვამი აზიაში საზღვრების დაწესების შესახებ პრელიმინარული ხელშეკრულების III მუხლში. „Границы со стороны Азии и других мест будут, согласно опубликованной статьи, восстановлены полностью так, как они были прежде до войны, но будет оговорено в секретной

ლად საზავო ხელშეკრულებას ორი საიდუმლო მუხლი გააჩნდა. მეორე საიდუმლო მუხლი აზუსტებდა ხელშეკრულების VI მუხლს შემდეგნაირად: «*В соответствии со статьей 3-й предворительного договора, установливается, что Морское побережье, расположенное в двух часах от правого берега фазы (Риона, Н. К.) и в четырех часах от Анакры, на котором нет ни крепостей, ни палanок, предоставляется в пользование Российского императорского двора, как своего рода мост для обеспечения и облегчения доставки военных припасов и другого необходимого имущества*»[1].

რუსეთი საზავო ხელშეკრულების VI მუხლის საფუძველზე ვალდებული იყო „იარაღის ძალით" დაპყრობილი ადგილები მისივე ციხე-სიმაგრეებით ოსმალეთისათვის დაებრუნებინა. საზავო ხელშეკრულების ეს კუტუზოვისეული ფორმულირება მიღებულ იქნა ოსმალეთის დიპლომატიური წარმომადგენლების მიერ და მას დღეც კი არ გამოუწვევია. მაგრამ, სწორედ, ასეთმა ფორმულირებამ საშუალება მისცა რუსეთს, მიუხედავად იმისა, რომ იმერეთსა და აფხაზეთში მან თავის დროზე „იარაღის ძალა" გამოიყენა, დასავლეთ საქართველოს სხვა პროვინციებთან ერთად დაუფლებოდა მათ. რუსეთისადმი ერთგულების ფიცი დასავლეთ საქართველოს ყველა პროვინციაში უკვე ჰქონდა მიღებული მოსახლეობას და რუსეთის მთავრობა ამით ასაბუთებდა აღნიშნული პროვინციების რუსეთის ქვეშევრდომობაში ნებაყოფილებით გადასვლას. კუტუზოვის მიერ გაკეთებული მოხდენილი ფორმულირება აღნიშნული საზავო ხელშეკრულების მუხლებისა, ცხადია, მოწონებულ იქნა როგორც იმპერატორის, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. კუტუზოვის უბადლო დიპლომატიურმა ნიჭმა დასავლეთ საქართველოს ბედი საბოლოოდ რუსეთთან დააკავშირა.

статье, что морской берег, расположенный в двух часах от Анакры (ანაკლია, Ნ. კ.) и лишенный, крепостей и укреплений, будет предназначен к пользованию Российского императорского двора, как средство для обеспечения и облегчения следования военных транспортов и снабжения всем необходимым и он сохранят во владении укрепленный магазин, построенный до войны на этой территории; но право собственности этой местностью останется за блистательной Портой и на ней не будет воздвигаться ни той, ни другой стороной крепостей (М. И. Кутузов, сб. документов, т. 3, стр. 998).

[1] М. И. Кутузов, сб. документов, т. 3, стр. 914. დედანი დოკუმენტისა ფრანგულ ენაზეა.

1812 წლის აგვისტოში ნ. რუმიანცევი კავკასიის ჯარების მთავარსარდლისადმი მიმართვაში წერდა: *«На основании Бухарестского трактата вовсе не следует отдавать туркам областей, которые прежде и в продолжение последней войны с Портою добровольно нам покорились, и поэтому от Порты никакие притязания на эти области приняты быть не могут, и возвратить следует те только крепости и замки с землями, к ним принадлежащими, которые в нынешнюю войну завоеваны у турок силою оружия».*[1]

ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების გაფორმება მოხდა მეტისმეტად რთულ საერთაშორისო ვითარებაში, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მას. მ. ი. კუტუზოვის სამხედრო და დიპლომატიური ნიჭის წყალობით ოსმალეთი ჩამოცილებულ იქნა ნაპოლეონისაგან, როგორც მისი მოკავშირე.

ნაპოლეონისათვის სრულიად მოულოდნელი იყო ოსმალეთის რუსეთთან დაზავების ფაქტი. ნაპოლეონი დაიმედებული იყო იმაში, რომ ოსმალეთის 100.000-იანი არმია არა მარტო დუნაიდან უკუაგდებდა კუტუზოვს, არამედ დასავლეთ დვინასთან შეუერთდებოდა რუსეთის დასაპყრობად მიმავალ საფრანგეთის არმიას[2].

გაიგო რა რუსეთ-ოსმალეთის დაზავების ამბავი, ნაპოლეონმა წონასწორობა დაჰკარგა და თავზარდაცემულმა შესძახა: *«Поимите вы этих собак, этих болванов—турок! У них есть дарование быть битыми. Кто мог ожидать и предвидеть такие глупости?»*[3].

რუსეთ-ოსმალეთის ომები XVIII საუკუნეში ობიექტურად პროგრესულ როლს თამაშობდა ამიერკავკასიის ხალხებისათვის; პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა მათ ბალკანეთის ხალხებისთვისაც. ამ ომებში სუსტდებოდა ოსმალეთის იმპერიის პოზიციები ამიერკავკასიაში, კერძოდ — საქართველოში და ადვილებდა ოსმალთა ბატონობისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლების საქმეს. მაგრამ შეიძლება ითქვას გადაუჭარბებლად, რომ რუსეთ-ოსმალეთის 1806—1812 წწ. ომის შედეგები გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობისა იყო ქართველი ხალხისათვის, ვინემ წინა ომების შედეგები ერთად აღებული. ამ ომის შემდეგ ოსმალეთი

---

[1] С. Жигарев, Русская политика в Восточном вопросе, т. 2. М. 1896, стр. 276.

[2] Е. В. Тарле, 1812 год, стр. 744.

[3] იქვე, გვ. 745.

იძულებული გახდა საბოლოოდ აეღო ხელი დასავლეთ საქართველოზე. იურიდიულად რუსეთის ჯარების მიერ დაკავებული ტერიტორიიდან მან მხოლოდ ფოთისა და ახალქალაქის ციხე-სიმაგრეები შეინარჩუნა საქართველოში. შავი ზღვის დიდი ნავსადგური ანაპა ოსმალეთმა დაიბრუნა.

ბუქარესტის საზავო ხელშეკრულებაში დავიწყებული არ უფილა ირანის საკითხი. საზავო ხელშეკრულების XIII მუხლით რუსეთის მთავრობა უთანხმდებოდა ოსმალეთს, რათა უკანასკნელს ყოველმხრივ შეეწყო ხელი რუსეთ-ირანის ომის დამთავრებისა და დაზავების საქმისათვის. საზავო ხელშეკრულებაში ამის შესახებ ნათქვამი იყო: «Чтобы Блистательная Порта Оттоманская, по сходству богослужения с персиянами, употребила добрые услуги свои, дабы война между двором Российским и персидскою державою была кончена, и между ими восстановлен мир по взаимному их согласию»[1]. მაგრამ ოსმალეთი ზემოაღნიშნულს შეჰდგომში არ ასრულებდა, პირიქით, იგი ომის გაგრძელებისაკენ უბიძგებდა ირანს, ხოლო თვითონ ომის განახლებისათვის აწყობდა ახალ ახალ პროვოკაციებს, რაზედაც ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ოსმალეთის სულთანი კუტუზოვის მიერ მოტყუებული დარჩა. ნაპოლეონი თავისი დიდი არმიით რუსეთის საზღვრებზე იდგა ომისათვის გამზადებული. სულთანი მიხვდა, რომ ივი რუსეთის დიპლომატიის ხაფანგში გაება და ცდილობდა არ მოეხდინა ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია. გარდა იმისა, რომ საფრანგეთის დიპლომატია სულთანს საზავო ხელშეკრულების დარღვევისაკენ მოუწოდებდა, რუსეთს ინგლისიც მტრობდა, მიუხედავად იმისა, რომ მან უკვე სამოკავშირეო ხელშეკრულება დადო მას. აღსანიშნავია, რომ 1812 წლის 5 აპრილს რუსეთმა შეძლო სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება შვეციასთან, იმავე წლის 3 მაისს ინგლისიც შეუერთდა ამ კავშირს, ხოლო 18 ივლისს ინგლისმა რუსეთთან დადო სამოკავშირეო ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ.

მიუხედავად საზავო ხელშეკრულების გაფორმებისა, ოსმალეთი, რომელიც ირანის მოკავშირე იყო, ბოლომდე მტრობდა რუსეთს და საზავო ხელშეკრულებას ღალატობდა. 1812 წლის 5 ივნისს ბულგაკოვი სწერდა ადმირალ პ. ჩიჩაგოვს: «*Султан медлит*

[1] ПСЗРИ, т. XXXII, стр. 316—322, № 25110

ратификовать Букарестской мир, потому, что II отдельная секретная статья о свободном пропуске воинских снарядов России к берегам Азии, явно показывает, что сии приготовления устремлены противу Персии, союзницы Порты»[1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ჯ.) სულთნის ასეთი საპროტესტო განწყობილება საზავო ხელშეკრულების საიდუმლო მუხლის მიმართ და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე საომარ საშუალებათა გადმოტვირთვის შეუძლებლობაზე ლაპარაკი, ინგლისელი დიპლომატების უშუალო ზემოქმედების შედეგიც იყო. ირანის წინააღმდეგ მებრძოლი რუსეთის არმიის მომარაგება საომარი ტექნიკითა და სურსათით შავი ზღვიდან არ აწყობდა ინგლისელებს. მათ ირანში ღრმად ჰქონდათ გადგმული ფესვები და ესმარებოდნენ მას ყველაფრით, რითაც კი შეეძლოთ. საქართველოში ირანის ბატონობის აღდგენას საერთოდ უნდა მოჰყოლოდა ინგლისის პოზიციების მომაგრება ამიერკავკასიაში.

ინგლისის დამოკიდებულებას დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების ფაქტისადმი ჭეშმარიტად ასახავს ოსმალეთში ინგლისის ელჩის კანინგის 1812 წლის 5 ივნისის წერილი იტალინსკისადმი, სადაც ვკითხულობთ: *«Требования России касательно учреждений при устье Риона свободного сообщения посредством сей реки с Грузиею,... умерив требования свои, должна Россия в сей статье неупорствовать. При том, как Порта согласиться на сие может, когда в сих предложениях России усматривает ея намерения вредить Персии, ея союзнице? При упорном настоянии России могут родиться новыя препятствия в заключении мира»*[2].

ზემოთ მოტანილი ნათლად ადასტურებს, ერთი მხრივ, ინგლისის დამოკიდებულებას დასავლეთ საქართველოს, კერძოდ რიონის შესართავის, რუსეთთან შეერთების ფაქტისადმი; ინგლისი „ჭირსუფლობდა" ირანსა და ოსმალეთს და ცდილობდა შეეზღუდა რუსეთის გაბატონებული მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში. მეორე მხრივ კი, ნათელს ჰფენს მის პოზიციას ირანის საკითხში. იგი ნამდვილად მხარს უჭერს სულთნის მეგობრულ განწყობილებას მისი მოკავშირის, ირანის შაჰის მიმართ. ინგლისის დიპლომატიის ბრტყელი მანევრები ართულებდა რუსეთთან ოსმალეთის დამოკიდებულებას და უბიძგებდა მას, მსგავსად ნაპოლეონისა, საზავო ხელშეკრულების დარღვევისა და რუსეთთან ხელახლა საომარი მოქმედების დაწყებისაკენ. ინგლისის ელჩი კანინგი განაწყენებული იყო იმით, რომ ინგლისმა, ოსმალეთს ამოფარებულმა, წარმატება ვერ ჰპოვა საქართველოსათვის ბრძოლაში.

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 2884, л. 200.

[2] ЦГВИА. ф. ВУА, д. 2884, лл. 203 об. и 204.

თავი მეათე

გუჯარმსტის ზავიდან გიულისტანის ზავამდე. გლეხთა აჯანყება კახეთში. ირანელების დამარცხება ასლანდუზესთან და ლენქორანთან. ოსმალეთის პრეტენზიები დასავლეთ საქართველოს მიმართ. გიულისტანის ზავი და მისი შედეგები

ომებმა ირანთან და ოსმალეთთან მეტის-მეტად უარყოფითი გავლენა იქონია გლეხთა ცხოვრებაზე. ქართველი გლეხი ორჭაკი ჩაგვრის ქვეშ აღმოჩნდა. ადგილობრივი ფეოდალების თავგასულობასა და მათგან უზომო ექსპლოატაციას ზედ დაერთო რუსეთის ბიუროკრატიული ხელისუფლების სიმძიმე და სისასტიკე. ჯარის სურსათით მომარაგება, რუსეთის ცენტრალური გუბერნიების დიდი ხიშორის, უგზოობისა და სახელმწიფო ტრანსპორტის უქონლობის გამო, ძალიან ცუდი იყო. მთავრობა შეეცადა სურსათის აღგილობრივი რესურსები გამოეყენებინა ჯარის გამოსაკვებად. ივი ანგარიშს არ უწევდა იმ მწვავე მდგომარეობას, რომელიც მაშინ საქართველოში შეიქმნა. საერთოდ და განსაკუთრებით კი მოუსავლიან წლებში საქართველოში დაბანაკებული რუსეთის ჯარების გამოკვება მეტად ძნელი იყო. გლეხობა ვალდებული იყო მოუსავლიან წლებშიაც ჩაებარებინა სურსათი წარმოუდგენლად დაბალ ფასებში სახელმწიფოს მიერ შექმნილ სასურსათო კომისიებისათვის. მასვე ეკისრებოდა საგზაო ბეგარა, გაწვევი ძალის გამოყვანა და სხვ. ცარიზმის ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატის წარმომადგენლები აბუჩად იგდებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ქართველი გლეხი ვერსად ვერ პოულობდა სამართალს. მეჩრთამეობამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ მოსახლეობას ყოველგვარი ნდობა დაეკარგა რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობისა და რუსი მოხელეების მიმართ.

პურის ნაკლებობამ განსაკუთრებით იჩინა თავი 1811—1812 წლებში. მოუსავლიანობამ ზამთრის პერიოდში სასტი-

კი შიმშილობა გამოიწვია. მოსახლეობამ, ბუნებრივია, ჯარს პური ვერ მისცა. პირუტყვის გაწყვეტის გამო ქართველ გლეხს აღარ შეეძლო მიეცა მთავრობისათვის მუშა საქონელი, გაემართა ტრანსპორტი. ცარიზმის მოხელეები ანგარიშს არ უწევდნენ ამას და ეგზეკუციებს აგზავნიდნენ სოფლებში; ისინი უკანასკნელ ლუკმაპურს ართმევდნენ კახელ გლეხს. აი, როგორ აღწერს ამ ფაქტს ბაგრატ ბატონიშვილი: „შეამჭირვეს კახეთი ფ'დ სურსათა ღიანარალ-მაიორმან პარტნეგინმან, ესრეთ რომელ კომლზე კაცს ჩაუყენა ოც-ოცი კაცი სალდათი და სთხოვდა სურსათსა. ამისთვის დიდად ეეედრნენ კახნი, რათა დასცხრეს თხოვნისათვის სურსათისა, რომელ არა ძალგვიცსო მოცემა, რამე თუ ცოლშვილნიცა ჩვენნი იზრდებიან ჟამსა ამას მხოლოდ მწვანილითაო, რამეთუ არ იპოების პური და, უკეთუ აქეთ ვისმე, ისყიდება მცირედ რაიმე რვას მანეთათა (ესე იგი რვას მინათულათა). განრისხნა პარტნეგინი და არა ივედრნა იგინი და მიუწერა ბრძანება: „უკეთუ ვინმემ არა მოგცეთ პური, ცოლშვილნი მათნი შეიპყარით და ჰყავით პატიმრად"[1].

1812 წ. 31 იანვარს სოფ. ახმეტაში აჯანყებულმა გლეხობამ სურსათის ამაკრეფად მისული ეგზეკუცია უკუაქცია[2]. აჯანყებამ 1812 წ. 5 თებერვლიდან ფართო ხასიათი მიიღო; აჯანყება მოედო ახმეტას, თელავს, სიღნაღს და კახეთის თითქმის ყველა კუთხეს; გენ. მარკიზ პაულუჩს კახეთის გლეხობისათვის ოფიციალური მიმართვა გაუგზავნია, რომელშიაც აჯანყების შეწყვეტას მოითხოვდა და მის მონაწილეებს არწმუნებდა, რომ ისინი ღალატობენ ქრისტეს და რუსეთის იმპერატორისადმი მიცემულ ერთგულების ფიცს. გლეხების პასუხი, დაწერილი გენ. პაულუჩის მომართვის მეორე გვერდზე, რელიეფურად ამხელს რუსეთის ცარიზმის პოლიტიკის ანტიხალხურ ხასიათს. გლეხები წინააღმდეგი არ არიან კვლავაც დარჩნენ რუსეთის ქვეშევრდომობაში, მაგრამ მოითხოვენ მათ მიმართ ადამიანურ დამოკიდებულებას ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან. აი როგორაა დახასიათებული ზემოაღნიშნულ წერილში ცარიზმის მოხელეთა აღვირახსნილობა, არაადამიანობა და დაპყრობითი პოლიტიკის მთელი სისასტიკე: „ამას მოგახსენებთ ჩვენ არა

---

[1] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი ახალი მოთხრობა, გვ. 118. შდრ. იქვე, გვ. 39.

[2] Акты, т. 5, стр. 62. იხ. ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, (XIX საუკუნე) გვ. 82—98.

ვართ წერილში გამოცდილი და არას გავიგებთ თქვენს მოწერას. და არცა ვართ ქრისტეს უარის მყოფელი და არც ხელმწიფის ორგულნი და არც ფიცის გამტეხნი. თქვენ მოგვეცით მიზეზი, რომელიც გვებრძანა ყოვლად მოწყალის ხელმწიფისაგან მანიფესტით და არ აგვისრულდა თქვენგან—მიზეზი მოგვეცით სიკვდილით თოკით დარჩობა, თოკით. და დამნაშავე და ერთგული არ იყო გარჩეული და კიდევ ესეც მოვითმინეთ ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ერთგულებით და ჩვენგან ფიცით. ამას გარდა, რომელიც არ იპოვებოდა ჩვენში ზეკუციით და შტიკით გვატანდით, მადს ცოლსა და შვილს გვიხოცავდით, პური წაგვართმევით, შიმშილით გავწყვეტდით და ჩვენ გვეუბნებოდით, ბალახი ძოვეთო. ჩვილ ყრმათ ბალახი როგორ ეძოვნათ. ბევრისაგან ხარი აღარ შეგვრჩა და ტყეში შეშაც ვეღარ ვიშოვნეთ ურმისათვის და ეს მწუხარება ვეღარ მოვითმინეთ, მინამ კაცი თავის ცოლსა და შვილს გაწყვეტს, სხვას უწინ მოკლავს. ჩვენ, ეს ჭეშმარიტებით ვიცით, რომ ხელმწიფე საზოგადოს, ხალხის ამოწყვეტას არ ინებებს, მიზეზი თქვენგან მოგვეცა. ჩვენი და თქვენი ერთობა აღარ იქნება. ჩვენ ცოლს და შვილზედაც ხელი აგვიღია და თავზედაც. ექვს აბაზს კოდში გვაძლევდით და ვისაც პური არ ჰქონდა—ფასათ ოთხს მინალთუნს კოდში გვართმევდით. ჩვენ ხელმწიფისათვის არ გვიმტხლთნია და არც ორგულნი ვართ. თქვენ გარდახდით ხელმწიფის ბრძანებასა და ჩვენც ვეღარ შევიძლევით უსამართლობა. თქვენი და ჩვენი ერთობა აღარ იქნება"[1].

ზემოთ მოტანილი საბუთის ანალოგიურია 1812 წ. 7 მარტის სოფ. პრასიანის გლეხების მიერ რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების წინაშე წარდგენილი მოხსენება. სადაც აჯანყების მიზეზების შესახებ ვკითხულობთ: *«Во первых, мы покупали литру хлеба по 40 к.; а они брали у нас литру иногда по 10 к. иногда по 7½ к.; у нас брали на двух литровую меру, а сами отдавали в казну на определенную меру. Во 2-х, нам платили прогоны 6 р., а мы давали 30 р. в хорошее время на арбы, а в снег и дождь заставляли нас самих возить; сверх того, при нарядах у двух или у трех деревень брали взятки, а тягость ту несла одна деревня; когда нас брали куда-либо на два дня езды, то 3 месяца должны были там остаться; не позволяли выпрягать быков и из ярма, а все стояли как мы, так и скот, не отпускали нас домой, а малой части чего-либо нам не уделяли, а указывали на землю,*

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258, ч. 1, л. 483 об.

чтобы мы ее ели: вместо павшего быка нас самих запрягали и плетью гоняли.

В 3-х. наиболее нас притесняли Портнягин, кап.-исправник и начальник Кара-агачский; всем тем, что столько брали с нас, еще каждую зиму ставили в доме войско и заставляли до весны кормить его, поили мы их—били нас, кормили их — все били; нас гоняли с постелей и сами ложились, и сколько наших жен и детей обезчестили! Но мы из усердия к нашему государю ничего не говорили, суда никогда не удостоивали нас, и о каком недвижимом имении и воде никогда не бывало спору, возбуждали его между деревнями и брали взятку по 400 и 600 р. и виновных оправдывали»[1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.).

აუტანელი სასურსათო გადასახადები, პურის შესყიდვის დაბალი ფასი, აბუჩად აგდება, ოჯახის შეურაცხყოფა, უღელში შებმა, უსამართლობა — აი, რა იყო ქართველი გლეხის ხვედრი. ფართო ხასიათს ღებულობდა აგრეთვე რუს მოხელეთა მიერ დანერგილი მექრთამეობა; გლეხი სამართალს ვეღარსად პოულობდა. ალავერდის მიტროპოლიტის მიერ 1812 წ. მარტში მარკიზ პაულუჩისადმი გაგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ რუსი მოხელეები „წართაცებენ ყოველსა ნივთსა, მძლავრობდნენ კაცთა და დედაკაცთა ზედა, იღებენ ქრთამს და არაოდეს ჰპოებდნენ სიმართლესა"[2]. გენ. მარკიზ პაულუჩი იძულებული იყო დაუფარავად ეღიარებინა კახეთის გლეხთა აჯანყების ერთ-ერთ მიზეზად «безнравственности вообще царствующей здесь между россиискими чиновниками»[3]. რუს მოხელეთა არაადამიანური ქცევა, ბუნებრივია, ხალხის მასების აღშფოთებას იწვევდა ცარიზმის წინააღმდეგ. ცნობილია, რომ „მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილეს წარმოადგენდა. არარუსი ხალხები, რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობას — 57 პროცენტს შეადგენდნენ, სრულიად უუფლებონი იყვნენ, აურაცხელ დამცირებასა და შეურაცხყოფას განიცდიდნენ. მათი ბედი მეფის მოხელეთა ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული"[4].

ირანსა და ოსმალეთს, რომლებიც საქართველოსათვის იბრძოდნენ, კახეთის გლეხთა აჯანყება სურდათ გამოეყენებინათ რუსეთის ძლიერების აღსაკვეთად ამიერკავკასიიდან. ამ მიზნით, როგორც აღ-

---

[1] Акты, т. 5,д. 91, стр. 62.

[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258, ч. 1 л. 499 и об.

[3] იქვე. ფ. 460.

[4] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, გვ. 14, თბ. 1961 წ.

ვნიშნეთ, თითქმის ერთდროულად დაიწყეს შემოტევა ახალქალაქიდან და ყარაბაღიდან ირანისა და ოსმალეთის ჯარებმა. ისინი რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოხერხებულად იყენებდნენ ქართველ ბატონიშვილებს, რომლებსაც ჯერ კიდევ საკმაო გავლენა ჰქონდათ ქართველ დიდებულთა შორის.

ქართველი ფეოდალებიც აჯანყების დაწყების პირველი დღეებიდანვე ცდილობდნენ გლეხთა აჯანყება თავიანთი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ. აჯანყებულებს რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ალექსანდრე ბატონიშვილის მრავალრიცხოვანი პროკლამაციები.

აჯანყების პერიოდში კახეთში ცხოვრობდა გრიგოლ ბატონიშვილი, მოსკოვში მყოფი იოანე გიორგისძის შვილი. ფეოდალებმა იგი საქართველოს მეფედ გამოაცხადეს. გრიგოლ ბატონიშვილიც თავის მხრივ, ხალხში აგზავნიდა წერილებს და მოუწოდებდა მათ ბრძოლისაკენ რუსეთის ჯარების წინააღმდეგ[1]. მიწყნარდა თუ არა ნაწილობრივ კახეთის აჯანყება, გრიგოლ ბატონიშვილი 1812 წ. 6 მარტს გამოცხადდა ქ. თელავში და რუსეთის ხელისუფალთ დანებდა. იგი გენერალ პაულუჩის განკარგულებით ჯერ თბილისს გაიგზავნა. ხოლო იქიდან — პეტერბურგს.

აბას-მირზაც, თავის მხრივ, ფირმანებს აგზავნიდა და ქართველებს რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა. 1612 წლის ზაფხულში, როცა კახეთში სახალხო აჯანყების ტალღა ბობოქრობდა, ირანიდან მოვიდა ალექსანდრე ბატონიშვილი ლეკთა რაზმებით. ალექსანდრე ცდილობდა შეექმნა ძლიერი მაშველი რაზმები და შეერთებოდა კახეთის აჯანყებულებს; იგი ცდილობდა აჯანყება ბაგრატიონების დინასტიის აღსადგენად გამოეყენებინა. ალექსანდრე ბატონიშვილს ირანში ბაბა-ხანთან მიუვლინებია თავისი ერთგული თავადები ხუდად-ბეგის თანხლებით იმ მიზნით, რომ შაჰს მისთვის გამოეგზავნა საჭირო თანხა მაშველი ჯარის შესადგენად. ერევნის ჰუსეინ-ყული-ხანი ალექსანდრე ბატონიშვილს სწერდა: „სანამ ხუდად-ბეგი და თავადები თეირანიდამ ამოვიდოდნენ, მანამ ორმოცდაათი ათასი თუმანი თქვენს სახელზე აქ მოვიდაო"[2], იგივე ჰუსეინ-ხანი სხვა წერილში ალექსანდრე ბატონიშვილს ატყობინებდა, რომ „ამას გარდა ორმოცდაათი ათას

---

[1] Акты. т. V, д. 97, стр. 72,
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6166, ч. 3, л. 154.

თუმანი კიდე მოდის. ეს ასი ათასი თუმანი უნდა საქართველოზე დაიხარჯოს თქვენის ბრძანებით"-ო[1]. აქ დასახელებული თანხის კოლოსალურ რაოდენობაზე მიგვითითებს ის გარემოება, რომ ირანის რეგულარული ჯარის თითოეული სპრბაზი (ჯარისკაცი) წელიწადში, პოლკოვნიკ ენსგოლმის ცნობით, 10 თუმანს (40 მანეთს) ღებულობდა[2]. აღნიშნული თანხით ვარაუდობდნენ დაექირავებინათ კავკასიის სხვადასხვა ხალხების წარმომადგენელთაგან შრავალრიცხოვანი არმია და ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით იერიში მიეტანათ რუსეთის ჯარებზე აჯანყებულ კახელებთან ერთად. რუსეთის მდგომარეობა ამიერკავკასიაში მძიმე აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულება გაფორმდა, რუსეთის სარდლობა ოსმალეთის მოსაზღვრე ადგილებიდან ვერ ძრავდა თავის არმიას.

სულთანი კატეგორიულად მოითხოვდა დასავლეთ საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანას. ირანის შაჰი და ოსმალეთის სულთანი, რომლებსაც ინგლისელები უჭერდნენ მხარს, ცდილობდნენ ეს აჯანყება მოხდენილად გამოეყენებინათ საქართველოში თავიანთი ბატონობის აღსადგენად.

კახეთის აჯანყებისადმი ირან-ოსმალეთისა და ინგლისის დამოკიდებულებას საინტერესოდ ასახავს 1812 წლის 2 ივლისის თარიღით სამხედრო მინისტრის სახელზე რტიშჩევის მიერ გაგზავნილი პატაკი, სადაც მითითებულია ალექსანდრე ბატონიშვილისა და სოლომონ II-ის დამოკიდებულება აჯანყებისადმი. პატაკში კარგად ჩანს ირანის ჯარის საქართველოზე გალაშქრების საქმეში ინგლისის როლიც. «Царевич Александр,—ნათქვამია იქ, — *покровительствуемый персидским двором, намереваясь воспользоваться смущением народа, разослал от себя возмутительные письма не только ко всем обитателям Грузии, но и к смежным с оною лезгинам и другим горским народам... и они начинают оказывать свои дерзости, в надежде на помощь персов и турок, у коих находится под покровительством бывший имеретинский царь Соломон, и тоже всеми мерами стараются приводить здешний народ в возмущение... Персы, побуждаемые более от англичан, кои, обучая войски их европейской тактите, своими офицерами, кононерами,*

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6166, ч 3, л. 205.

[2] ЦГВИА, ф. 446, д. 12, л. 29 об. ენსგოლმი წერდა: „Денежного жалованья всякой сарваз получает по положению ежегодно по 10 туманов (40 рублеи серебром)".

артиллерией и оружиями и будучи ободрены небольшим успехом при взятии в Карабахе баталиона Троицкого пехотного полка и народным замещательством в Кахетии, имеют намерение большими силами в трех пунктах впасть в Грузию, а Ших-Али хан, получивший от Баба-хана подарки и уверенный о покровительстве, собирает вновь партии лезгин, чтобы с другой стороны, где может в одно время впасть с персиянами и произвести всеобщее в здешнем краю смятение»[1], (ხაზი ჩვენია, ნ. ჯ.).

ირკვევა, რომ ბაბა-ხანის მიერ მოსყიდული ლეკები შახალი-ხანის მეთაურობით, ალექსანდრე ბატონიშვილის ერთგული ფეოდალების მიერ ორგანიზებული რაზმები, ირანის არმია ინგლისელი ოფიცრებით, არტილერისტებითა და სამხედრო საქმის სხვა სპეციალისტებით უზრუნველყოფილი, ოსმალეთის არმიასთან ერთად თავს უნდა დასხმოდნენ საქართველოს; მათი მიზანი კახეთის აჯანყებასთან შეერთება და რუსეთის ჯარის მოსპობა იყო.

საინტერესოა, როგორი ურთიერთობა დამყარდა ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების დამყარების შემდეგ. ოსმალეთის სულთანი კატეგორიულად მოითხოვდა იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის დაბრუნებას ფოთით, ანაკლიით, ყულევითა და სოხუმით; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თავდასხმით იმუქრებოდა. ასე რომ, ერთი წუთითაც არ შეიძლებოდა დაკავებული პოზიციებიდან ჯარების მოხსნა; პირიქით, როგორც ქვემოთ დავინახავთ, აღნიშნულ ტერიტორიაზე 1812 წლის მიწურულსა და 1813 წლის განმავლობაში ჯარი სრულ საბრძოლო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

1812 წლის ივნისსა და ივლისში ერზრუმის ფაშამ დიდძალი ჯარი მოაყარა ახალციხეს ქვემეხებითა და სხვა საომარი საშუალებებით, ხოლო მისი სურსათითა და ფურაჟით მომარაგება, როგორც გენერალ-მაიორი ლისანევიჩი აუწყებდა 1812 წლის 3 ივლისს გენ. რტიშჩევს, ყარსის აბდულა-ფაშას დაავალა[2].

რუსეთის სარდლობა იძულებული გახდა საგანგებო ღონისძიებისათვის მიემართა. ივნისის ბოლო რიცხვებში გენ. რტიშჩევს კახეთის აჯანყების წინააღმდეგ ბრძოლაში ცარიზმის წინაშე დამსა-

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 68, л. 334—335.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 68 л. 307 об.

ხურებული გენერალი დ. ორბელიანი თავისი რაზმით ახალქალაქში გაუგზავნია, გაუძლიერებიათ ახალქალაქის გარნიზონი და მიუწოდებიათ მეციხოვნეებისათვის სურსათი. ამ ღონისძიებებით თავიდან აუცდენიათ ოსმალების თავდასხმა ახალქალაქზე; აღნიშნულის შესახებ 1812 წლის 2 ივლისს გენ. რტიშჩევი იმპერატორს აუწყებდა: *«Будучи по прибытии из Кахетии* (ლაპარაკია გენ. ორბელიანზე. ნ. ქ.) *отправлен на другой же день с отрядом в Ахалкалакской крепости, успел в оную доставить, несмотря на чрезвычайныя в нынешнее лето затруднения, транспорт провианта. охраняя его от нападения собравшихся турок и лезгин и расположась в Цалке, принудил партию сих последних, наносивших всегда вред всему здешнему краю, разсеяться... Ныне же по дошедшим сведениям турки намерены зделать нападение на крепость Ахалкалакскую»*[1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.). ამ პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა აგრეთვე ლეკთა თავდასხმები ქართლსა და კახეთზე. ამ მხრივ საინტერესოა ის ჩანაწერები, სადაც მოცემულია ცნობები 1812 წლის ივლის-აგვისტო-სექტემბერში ახალციხის თათრებისა და ლეკების მიერ მიყენებული ზარალის შესახებ. ირკვევა, რომ ისინი ტყვედ იტაცებდნენ მოსახლეობას და ერეკებოდნენ პირუტყვს. მაგ: ივლისის თვეში სოფელ ლილოდან გაუტაცნიათ ხერსონის კრეწადვრთა პოლკის 43 ცხენი; აგვისტოს თვეში გორის მაზრის სოფელ ცხრამუხიდან მოუკლავთ და გაუტაცნიათ 65 კაცი და 16 ცხენი. გორის მაზრის სოფელ ნაბახტევიდან სექტემბრის თვეში გაუტაცნიათ 25 მამაკაცი და 27 ქალი, მათ შორის სოფლის მღვდელი, ჯინშე დავითი ცოლითა და ქალიშვილით; გაუტაცნიათ 41 რქოსანი საქონელი და 6 ცხენი. იმავე მაზრის სოფელ გრაკალიდან ახალციხელ თათრებსა და ლეკებს წაუყვანიათ 37 მამაკაცი და 30 ქალი[2].

ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების არსებობის მიუხედავად, რუსეთის სარდლობა იძულებული იყო მუდამ მზად ჰყოლოდა ჯარი მტრის თავდასხმების მოსაგერიებლად; სწორედ ამის გამო ამიერკავკასიაში არსებული ძალების ირანისათვის დაპირისპირება, რაც დააჩქარებდა მტრის დამარცხებასა და ომის დამთავრებას, შეუძლებელი ხდებოდა.

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 68, л. 333.
[2] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д, 379, л. 84 и об.

ირანელების არა ერთი შემოტევა იქნა მოგერიებული რუსეთის ჯარის მიერ 1812 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში. ნაპოლეონის მიერ რუსეთზე თავდასხმამ და მოსკოვის აღებამ აღაფრთოვანა როგორც ირანის შაჰი, ასევე ოსმალეთის სულთანი: ამ ფაქტმა აამოძრავა ყველა რეაქციული ძალები ახლო აღმოსავლეთში ამიერკავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად და საქართველოს დასაპყრობად. მოსკოვის აღებისთანავე ნაპოლეონმა, როგორც ინგლისის ელჩს პეტერბურგში სერ უზელე აუწყებდა, აფრინა თავისი აგენტები ირანის შაჰთან შემდეგი წინადადებით: «Он (ლაპარაკია ნაპოლეონზე, ნ. ჯ.) *Россию покорил и что ежели посольство его в-ва* (ლაპარაკია ირანში მყოფი ინგლისის მისიაზე, ნ. ჯ.) **будет отсюда выслано, а вместо оного принято Французское, то он** *немедленно возвратит Шаху всю Грузию*»[1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ჯ.). მართალია, მოსკოვის აღებამ გაამხნევა ირანის შაჰი და მისი არმია, მაგრამ იგი მაინც ვერ ბედავდა წინადადება მიეცა ინგლისელებისათვის, დაეტოვებინათ ირანი; ირანის მთავრობა დიდად იყო დავალებული ინგლისის მთავრობის წინაშე დიდი დახმარებისა და მხარდაჭერის გამო. თუ ნაპოლეონის წარმატებანი რუსეთში ასე გაგრძელდებოდა, ბუნებრივია, იგი ხელს შეუწყობდა ირანის საბოლოო გამარჯვების საქმეს რუსეთთან ომში.

ფრანგების მიერ მოსკოვის აღებამ თავისი გამოძახილი ჰპოვა ოსმალეთშიაც. მან გამოაცოცხლა ოსმალეთის რეაქციული ძალები და უფრო აქტიური გახადა იგი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ოსმალეთის მმართველმა წრეებმა რუსი ტყვეების სამშობლოში დაბრუნების საქმე შეაჩერეს. სულთანი ფიქრობდა დაერღვია რუსეთთან დადებული საზავო ხელშეკრულება და კვლავ დაეწყო ომი რუსეთის წინააღმდეგ. ოსმალეთის პრეტენზიები საქართველოს მიმართ უფრო კატეგორიულ ხასიათს ღებულობდა. 1812 წ. 18 (30) ოქტომბერს რუსი დიპლომატი იტალინსკი აი რას აუწყებოდა: «*Взятие французами Москвы распространило здесь невыгодныя для России впечатления, — и охладило приверженность к нам преданных, — не знаю, по какой причине В. везирь остановил наших пленных, шедших в свое отечество*»[2]. (ხაზი ჩვენია, ნ. ჯ.).

---

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1. д. 380, л. 123.
[2] ЦГВИА, ф. ВУА. д. 2884, л. 199.

ირანის არმია 1812 წლის ზაფხულში გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა. აბას-მირზამ შეადგინა უზარმაზარი არმია. მან, გენერალ კოტლიარევსკის ცნობით, მიიღო 12 ინგლისური ქვემეხი და განზრახული ჰქონდა შეჭრილიყო ყარაბაღში, გაენადგურებინა რუსეთის ჯარი, მოეწყო ჯაფარ-ყული-ხანის წინააღმდეგ ნუხის მოსახლეობის ამბოხება და თავს დასხმოდა საქართველოს. 1812 წლის 12 ივლისს ირანის კავალერიის 4000-იანმა რაზმმა გადმოლახა მდინარე არაქსი და თავს დაესხა ყარაბაღს. მტრის თავდასხმის შესახებ ცნობის მიღებისთანავე მოწინააღმდეგესთან პირისპირ შესახვედრად გაიგზავნა კაპიტან კულიაბკოს ასეული, რომელსაც შეუერთდა იმავე სოფლის სომეხთა შეიარაღებული რაზმი[1]. გარდა სომხებისა, ირანელთა წინააღმდეგ აღსდგა ყარაბაღის ადგილობრივი მოსახლეობა ყარაბაღელმა კასიმბეგმა, როგორც კოტლიარევსკი იუწყებოდა, შეაგროვა ოცდაბუთი ცხენოსნისა და ორასი ქვეითი მებრძოლისაგან შემდგარი რაზმი[2] სოფ. გიორგიზურასთან მტერმა არა ერთხელ სცადა იერიშზე გადმოსულიყო, მაგრამ უშედეგოდ, იგი უკუგდებულ იქნა 2 კმ. შანძილზე. კაპიტან კულიაბკოს დასახმარებლად წამოვიდა მაიორ დიაჩკოს რაზმი, რომელიც სოფ. გიორუსეში იდგა და ეხმარებოდა ადგილობრივ მოსახლეობას ხორბლის აღებაში. დიაჩკოს რაზმს მთელი სოფლის მოსახლეობა შეუერთდა ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. გაერთიანებულმა ძალებმა აიძულა მტერი დიდი დანაკარვით გაქცეულიყო. ბრძოლაში ჰაჯი-ბეჰმედ-ხანი მძიმედ დაიჭრა. სომხები და აზერბაიჯანელები მარჯვედ იბრძოდნენ მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად. საინტერესოდ აღწერს ამ ბრძოლაში ადგილობრივი მოსახლეობის გმირულ მონაწილეობას კოტლიარევსკი თავის პატაკში რტიშჩევისადმი: *«Карабахские чиновники, —ვკითხულობთ იქ,— престарелый 70-летний Касим бек, при покушении неприятельской партии на деревню им употребляемую, отразил оную с уроном и потом поспешил присоединиться с своими людьми по роте, где также оказывал отличную храбрость и получил рану; Агалар бек, быв при отражении неприятеля от Гиоруизура и в сражении с ротою показал подвиги отличного муже-*

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 68, л. 295.

[2] იქვე, ფ. 297.

ства,особливо, когда неприятель принужден был ретироваться, то он с малым числом конных охотников поражал его в преследовании»[1] (ხაზი ჩვენია, ნ.ქ.).

ადგილობრივი მოსახლეობისაგან შემდგარი ცხენოსანთა რაზმის ენერგიული მხარდაჭერით 19 ივლისს ასევე სასტიკად იქნა დამარცხებული აბარანიდან გუმბრის პროვინციაში გადმოსული მტერი მაიორ სევარსამიძის რაზმის მიერ[2].

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისსა და რუსეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება უკვე არსებობდა, ინგლისელები ინტენსიურად ეხმარებოდნენ ირანელებს რუსეთის წინააღმდეგ ომში. ირკვევა, რომ რუსეთის ოსმალეთთან დაზავების შემდეგ, ახლო აღმოსავლეთში რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სიმძიმე ინგლისელებმა ირანზე გადაიტანეს. კასპიის ზღვის ფლოტილიის მეთაურის, I რანგის კაპიტნის ვესელოვის 1812 წლის 21 აგვისტოს გენ. რტიშჩევისათვის გაგზავნილი პატაკი ნიღაბს ხდის ინგლისელი კოლონიზატორების მოქმედებას ირანის მიერ ამიერკავკასიის დაპყრობის საქმეში. ირანელებმა 1812 წლის აგვისტოში იერიში მიიტანეს თალიშის სახანოზე. აბას-მირზა 20.000-იანი ჯარით 9 აგვისტოს შეიჭრა ლენქორანში. მის არმიაში ინგლისელების მეთაურობით იბრძოდა მათ მიერვე გაწვრთვნილი 2 ათასი არტილერისტი[3]. ირანელებმა ინგლისელებთან ერთად ჩამოახრჩვეს და გადაწვეს იმათი კარ-მიდამო, ვინც რუსული ორიენტაციისა და მირ მუსტაფა-ხანის მომხრე იყო. ამ საქმეში მათ დიდი სამსახური გაუწიეს ადგილობრივმა მოლალატე ფეოდალებმა, რომლებიც ადრევე ინგლისური ოქროთი იყვნენ მოსყიდულნი ირანელების მიერ. ინგლისელები შეუნიღბავად და უსირცხვილოდ ჩაებნენ თავისი მოკავშირის რუსეთის ჯარებს წინააღმდეგ ბრძოლაში კავკასიისათვის. მათ ბაქოსთან ერთად აინტერესებდათ ლენქორანი, სადაც გემთსაშენი ვერფების აგებას ვარაუდობდნენ. აი როგორ აღწერს ვესელოვი ლენქორანის ციხისათვის ინგლისელთა თავგამოდებულ ბრძოლას: *«Англичане с передовым своим войском, с 8 пушкою и барабанным боем, бросились на укрепленное нами место в надежде одним ударом разрушить стену, скрывающую порученный мне отряд и хана* (ლაპარაკია თალიშის მირ მუსტაფა-

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 68, л. 298 и об.
[2] იქვე, ფ. 308.
[3] იქვე, ფ. 279.

ხანის შესახებ, რომელიც დიდი ხანია რუსეთის მფარველობის ქვეშ იყო შესული) *с малым числом приближенных его, но против чаяния своего были отражены морскою артиллериею с судов»*[1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ჭ.). როცა ინგლისელებმა საკუთარი ძალა გამოსცადეს და ვერაფერს გახდნენ რუსეთის ჯარის ნაწილთან ბრძოლაში, ინგლისელმა მაიორმა არსმა ვესელოვს გამოუგზავნა კაპიტანი თხოვნით, «сделать перемирие на 7 дней,—წერდა ვესელოვი,—для того, чтобы отписать своему министру, быть ли англичанам противу нас в действии или нет, ибо английский двор с нашим должен быть ныне в союзе»[2]. ინგლისელებისათვის, ცხადია გასაგები იყო, რომ ისინი რუსეთის მოკავშირენი იყვნენ, მაგრამ რუსეთის საქმეს საბოლოოდ გადაწყვეტილად თვლიდნენ და ცდილობდნენ ამიერკავკასიაში დამკვიდრება დაესწროთ ფრანგებისათვის. ვესელოვს უარი შეუთვლია ინგლისელი ოფიცრისათვის. «Отрицательный мой отзыв,—წერდა ვესელოვი,—принудил самого Арс приехать ко мне на эскадру для возобновления своих требований. Тут я приметил, что под сим перемирием скрываться должна личная выгода англичан и персов и потому решительно отказал».[3] ინგლისელები ნამდვილად ცდილობდნენ დროებითი ზავის შემოთავაზებით მოესწროთ დამხმარე ძალის გადმოსროლა და გაენადგურებინათ რუსეთის ჯარი, რასაც კარგად მიუხვდა რუსი ოფიცერი ვესელოვი.

სწორედ იმ მომენტში, როცა ინგლისელებმა იერიში მიიტანეს ლენქორანის ციხეზე, ირანის ინიციატივით ირანისა და რუსეთის წარმომადგენლები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ დროებითი ზავის დადების შესახებ. ამ მოლაპარაკების პერიოდში ირანელები აქტიურად მოქმედებდნენ მთელ ფრონტზე, კერძოდ კი თალიშის სახანოში, რუსეთის წინააღმდეგ. 1812 წლის 13 სექტემბერს ოფიცერი ვესელოვი გენ. რტიშჩევს სწერდა: «...Под видом мирных переговоров с вами, разоряют дальныя от Вас места и делают вред нашим приверженным и совершенно преданным к России»[4]. იმავე პატაკში ვესელოვი მოახსენებდა გენ. რტიშჩევს, რომ მას შემ-

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 68, лл. 279 и об.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე, ფ. 281.

დეგ, რაც ინგლისელებმა ირანელებთან ერთად ვერ შეძლეს ლენქორანის ციხის აღება, ამავე ციხის პირისპირ შეუდგნენ ისინი ახალი ციხე-სიმაგრის აშენებას, რითაც საფრთხე ექმნებოდა რუსეთის ჯარს თალიშის სახანოში საერთოდ და კერძოდ კი ლენქორანში[1]. ლენქორანის ახალი ციხე-სიმაგრე ინგლისელი სპეციალისტების უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ აშენდა ელვის სისწრაფით. მის კედლებში დატანებული იყო ინგლისური წარმოების ქვემეხები, რომლებიც მიმართული იყო ლენქორანის ძველი ციხისაკენ. ვესელოვი რტიშჩევს თხოვდა დამხმარე ძალის გამოგზავნას, რათა თავი დაეღწიათ თალიშის ხანსა და მის მომხრე დიდებულებს რუსეთის რაზმებთან ერთად ინგლისელებისა და ირანელების მიერ განადგურებისაგან.

ალექსანდრე I-ის დაკალებით 1812 წლის ზაფხულში რუსეთზე ნაპოლეონის თავდასხმის შედეგად შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო გენ. რტიშჩევის მთელი ყურადღება ირანთან დაბაეებისაკენ წარიმართა. ირანის მთავრობის წინადადებით, რომელიც თვალთმაქცური აღმოჩნდა, 21 აგვისტოს გენ. რტიშჩევი 3.000-იანი რაზმით ყარაბაღში ჩავიდა მოლაპარაკების დაწყების მიზნით. აბას-მირზასა და გენ. რტიშჩევს შორის წინასწარი შეთანხმების საფუძველზე დადგენილ იქნა დროებითი. 40 დღიანი ზავი. აბას-მირზასა და გენ. რტიშჩევს, შეთანხმების თანახმად უნდა დაეწყოთ საზავო მოლაპარაკება. მაგრამ ირანი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ომის გაგრძელებასა და საქართველოს დაპყრობაზე ფიქრობდა და არა ზავზე. აბას-მირზა საზავო მოლაპარაკებისათვის დანიშნულ ადგილზე არ გამოცხადდა და გენ. რტიშჩევს შემოუთვალა, რომ საზავო მოლაპარაკება აწარმოონ თაეიანთი წარმომადგენლების საშუალებით.

მალე რტიშჩევს ცნობა მოეეიდა ხელახალი აჯანყების შესახებ კახეთში. მისთვის ცნობილი გახდა აგრეთვე ალექსანდრე ბატონიშვილის დიდძალი თანხით კახეთში შემოსვლის ამბავი. როგორც ირკვეეა, აბას-მირზამ მოლაპარაკების დაწყება რტიშჩევს იმიტომ შესთავაზა, რომ ამით მისი ყურადღება მოედუნებინა. ხოლო სექტემბერ-ოქტომბრის თვეში ალექსანდრე ბატონიშვილი დაკავშირებოდა აჯანყებულებს კახეთში, მოესყიდა დიდებულები, შეეც-

[1] ЦГВИА, ф. ВУД, д. 4259 ч. 5, л. 108 и об.

გინა ძლიერი ჯარი და რუსეთის არმიაზე ზურგიდან დარტყმით სამსახური გაეწია შეტევაზე გადმოსული ირანის ჯარებისათვის.

მართლაც, 1812 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში ირანის ჯარები — 20 ათასი ცხენოსანი და 10 ათასამდე ქვეითი ჯარისკაცი არტილერიასთან ერთად — გამოემართნენ ყარაბაღისა და შაქის სახანოს საზღვრებისაკენ, რათა იქიდან შემოჭრილიყვნენ საქართველოში. 8 ოქტომბერს ირანის არმიის მთავარი ნაწილი აბას-მირზას სარდლობით იდგა მდ. არაქსთან, ასლანდუზეს მახლობლად, რომელიც საუკეთესოდ იყო გამაგრებული ინგლისელი სპეციალისტების მიერ. ირანის ქვეითი რეგულარული ჯარის ნაწილებს ინგლისელი მაიორი კრისატი მეთაურობდა (იგი ბრძოლაში იქნა მოკლული). ხოლო ირანის არტილერიას — კაპიტანი მინდსი[1].

აბას-მირზას თავდაპირველად პირდაპირ იერიშზე სურდა გადმოსვლა, მაგრამ ეს განზრახვა მან მალე შესცვალა; 3000 ცხენოსანი გაგზავნა ფირ-ყული-ხანისა და მოღალატე შაქის სელიმ-ხანთან ერთად შაქის პროვინციაში იმ ვარაუდით, რომ სელიმ-ხანი კვლავ აღედგინა შაქის ხანად; ორი ბატალიონი ქვეითი რეგულარული ჯარის ნაწილისა აბას-მირზამ სალიანის ასაღებად გაგზავნა, დიდძალი კავალერია კი — ყარაბაღის ასაოხრებლად; თვითონ მდ. არაქსთან დადგა. მას სურდა რუსეთის ჯარები დაეცსაქსა, ხოლო თვითონ მრავალათასიანი არმიით შეტევაზე გადმოსულიყო და კახეთში შეერთებოდა ალექსანდრე ბატონიშვილს. აბას-მირზას ერთდროულად გამიზნული ჰქონდა თავისი ჯაშუშების საშუალებით აემხედრებინა შამშორის, შამშადილის, ყაზახის და ბორჩალოს მოსახლეობა რუსეთის წინააღმდეგ[2].

გენ. კოტლიარევსკის, რომელიც ირანის წინააღმდეგ მებრძოლ რუსეთის არმიას სარდლობდა, გადაწყვიტა არ დაეცსაქსა თავისი ჯარი, რომელიც არც ისე მრავალრიცხოვანი იყო (იგი 1500 ქვეითი ჯარისკაცის, 500 კაზაკისა და 6 ქვემეხისაგან შედგებოდა). მან დღე-ღამის განმავლობაში 70 ვერსი გაიარა; 19 ოქტომბერს გათენებისას გადალახა მდ. არაქსი ასლანდუზეს ზემოთ, შემოუარა მოწინააღმდეგის ყარაულს და იერიში მიიტანა მტრის 30.000-იან არმიაზე. მტრისათვის სრულიად მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო ასეთი თავდასხმა. «*Персияне*, —წერდა კოტლიარევსკი,—

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4259, ч. 1, л. 257 об.

[2] იქვე, ფ. 258.

твердо полагавшиеся на неразмерное превосходство своих сил, на регулярную пехоту свою и на аглинскую артиллерию, никак не ожидали на себя сего смелого удара и в остолбенении своем, были тот час смешаны, опрокинуты и прогнаны за речку Дараурт. Причем, неприятель в сем первом действии.. потерял 35 фалконетов, множество артиллерийских снарядов и обширный свой лагерь со всею персидскою пышностью»[1] (ხაზი ჩვენია,ნ. ჯ.).

ირანელებმა პირველსავე ბრძოლაში დიდი ზარალი ნახეს. კოტლიარევსკის რაზმებმა დაიკავეს ის პოზიცია, რომელიც ადრე მტერს ეკავა. აბას-მირზამ კი გადალახა მდ. დარაუფჩაი და თავისი მძიმე ჯარის მოგროვებას შეუდგა. გადარჩენილი ჯარი მან შეაფარა ასლანდუზეს ციხეს, რომელიც მდ. დარაუფჩაის არაქსის შესართავთან იყო აღმართული. აბას-მირზა კოტლიარევსკის რაზმის წინააღმდეგ მთელი დღე აგზავნიდა კავალერიას არტილერიასთან ერთად; მტერი ცდილობდა თავისი ადრინდელი პოზიცია დაებრუნებინა, მაგრამ იგი დიდი დანაკარგით იძულებული გახდა უკანვე დაეხია[2]. აბას-მირზა აძლიერებდა თავის ბანაკს და გენერალური ბრძოლისათვის ემზადებოდა. 20 ოქტომბერს, გათენებისას, გენ. კოტლიარევსკის რაზმებმა გადალახეს მდ. დარაუფჩაი, მტრისათვის შეუმჩნეველად მიადგნენ აბას-მირზას ბანაკს და სწრაფი დარტყმებით მისი არმია წელში გატეხეს. ასლანდუზესთან მოპოვებული გამარჯვების შესახებ რტიშჩევი ალექსანდრე I-ს სწერდა: ირანელები «...после упорного, но непродолжительного сопротивления были обращены в бегство и регулярная их пехота бросилась искать своего спасения в укреплении Асландузе, которая, будучи по правилам фортификации устроена аглинскими инженерами на высокой горе, обнесена полисадником и окружена двумя глубокими рвами, казалось в глазах персиян неприступным... Укрепление Асландузе тотчас штурмовано и взято мгновенно, чем довершилось конечное разбитие Абас Мирзы и увенчано полным успехом мужественное предприятие генерал-майора Котляревского»[3].

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4259, ч. 1, лл. 257 об. и 259. შდრ. გ. ბაქაქურიძე შრომები, ტ. 2, გვ. 45—46, თბ. 1958 წ.

[2] იქვე, ფ. 260.

[3] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4259, ч. 1, лл. 257 об. и 261.

ირანელები ასლანდუზესთან ბრძოლაში სასტიკად დამარცხდნენ, მოკლულთა სახით მტერმა 10.000კაცი დაჰკარგა[1], მათ შორის მაღალი სამხედრო ჩინის მქონე დიდებულები. თითქმის მთლიანად იქნა განადგურებული რეგულარული ქვეითი ჯარის ოთხი ბატალიონი; 11 ინგლისური ქვემეხი, 3 დროშა და სხვა ნადავლი გამარჯვებულებს დარჩათ; აბას-მირზამ ძლივს დააღწია თავი ტყვეობას და 20 მხედრით თავრიზში გაიქცა. ომის პერიოდში ირანელების მიერ დატყვევებული რუსეთის ჯარისკაცები და ოფიცრები განთავისუფლებულ იქნენ კოტლიარევსკის მიერ, ხოლო ირანის არმიის მრავალი მებრძოლი ტყვედ ჩავარდა. ამგვარად, საქართველოს და რუსეთის არმიის განადგურების ფართო გეგმა, რომლისთვისაც ირანის მთავრობამ მოძრაობაში მოიყვანა ყველა თავისი ძალები — ჩაიფუშა.

აბას-მირზას სამარცხვინო დამარცხებამ, მის მიერ ამიერკავკასიის სხვადასხვა პროვინციებში გაგზავნილი ირანის ჯარების მოქმედებათა გეგმაც ჩაშალა. შაქის სახანოში გაგზავნილი ირანის ჯარს, როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთის ერთგული ჯაფარ-ყული-ხანი უნდა დაემხო და მის ადგილზე მოღალატე სელიმ-ხანი უნდა დაესვა. შაქში მყოფი რუსეთის რაზმების ენერგიულმა მხარდაჭერამ და ჯაფარ-ყული-ხანის გაბედულმა მოქმედებამ მტერი, რომელმაც უკვე გაიგო ასლანდუზესთან მომხდარი აბას-მირზას მარცხი, აიძულა გაქცეულიყო.

სხვა რაზმებიც, რომლებიც აბას-მირზას მიერ გაიგზავნენ სალიანის მდიდარი პროვინციის დასაპყრობად და ყარაბაღის მოსახერხებლად, აბას-მირზას დამარცხებისთანავე უკანვე გაბრუნდნენ.

ერევნის სარდარი ჰუსეინ-ყული-ხანი, რომელიც აბას-მირზას გეგმით მოქმედებდა და სამჯერ შეეცადა ბამბაკისა და შურაღელის პროვინციებს თავს დასხმოდა, სამჯერვე უკუგდებულ იქნა დიდი დანაკარგით გენერალ-მაიორ ლისანევიჩის რაზმების მიერ.

აბას-მირზას დამარცხებამ საკმაო დიდი გავლენა იქონია კახეთის აჯანყებაზედაც, რომელმაც აშკარად მონარქისტული ხასიათი მიიღო 1812 წლის შემოდგომისათვის. ალექსანდრე ბატონიშვილს ირანის არმიის დახმარების იმედი უკვე გაუქრა. ალექსანდრე ბატო-

---

[1] Утверждение русского владычества на Кавказе, Тифлис, 1902 г. т. 2, стр. 467.

ნიშვილს დღითი-დღე შორდებოდნენ თანამზრახველნი და ბოლოს, გენერალ რტიშჩევის ცნობით, ***«сам царевич, видя каждый день уменьшение своих сообщников и жар, простывающий у кахетинцов, его подкреплять, помышляет о спасении своем, намереваясь прократься обратно в Ериван»***[1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.).[2]

ასლანდუზესთან ირანის არმიის დამარცხების შემდეგ ჯერ ლენქორანის ციხეზე მიდგა, რომელსაც 4 ათასი რჩეული ირანელი ჯარისკაცი იცავდა. 1812 წლის 26 დეკემბერს გენ. კოტლიარევსკის ჯარები ლენქორანის ირანელთა ციხე-სიმაგრეს მიადგა. აღნიშნული ციხე-სიმაგრის ბლოკადა 26 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე გაგრძელდა. გენ. კოტლიარევსკიმ ორჯერ (27 და 29 დეკემბერს) შესთავაზა მეციხოვნეებს წინადადება უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ. 27 დეკემბერს ირანელებმა ამაყად განაცხადეს, რომ ისინი თავს დაიცავდნენ ყოველგვარი შემოტევისაგან, ხოლო მეორედ (29 დეკემბერს) კოტლიარევსკის წინადადება უპასუხოდ დატოვეს.

მალე გენ. კოტლიარევსკის ცნობა მოუვიდა ომის შესახებ. რომ თავრიზიდან მეციხოვნეთა დასახმარებლად დაიძრა აბას-მირზა დიდძალი ჯარით, რათა შური ეძია მოწინააღმდეგეზე[3]. კოტლიარევსკის რაზმები ყუმბარების ნაკლებობასაც განიცდიდნენ. ამიტომ რუსმა გენერალმა გადაწყვიტა აბას-მირზას მოსვლამდე იერიშით აეღო ციხე-სიმაგრე; იერიში ციხისათვის, რომელიც 1813 წ. 1 იანვარს დაიწყო, სასტიკი და სისხლისმღვრელი აღმოჩნდა. დასახლებულ ლენქორანი აღებულ იქნა. მტრის დანაკარგმა ყოველგვარი მოლოდინს გადააჭარბა. ციხის გარნიზონიდან ვერცერთი მებრძოლი ვერ გაექცა. ციხის კომენდატი სადიხ-ხანი და კიდევ 10 სხვა დიდებული მოკლულ იქნენ იერიშის დროს. გენ. კოტლიარევსკის ცნობით 2500-ზე მეტი ირანელი ციხის კედლებთან დაეცა. ხოლო დანარჩენები, როგორც კი დააპირეს გაპარვა მდ. ლენქორანზე გასვლით, ტყვეთ იქნენ განგმირულნი[3]. ამგვარად, ლენქორანი რომელსაც ირანელები მიუვალ ციხე-სიმაგრედ თვლიდნენ, დაეცა. აბას-მირზა ერთ-ერთ წერილში ლენქორანის კომენდანტს სადიხ-ხანს ციხის სამხედრო მნიშვნელობაზე სწერდა. «...***Ежели-бы и целыя горы войск возстали против него,***—ე. ი. სადიხ-ხანის წინააღმდეგ, ნ. ქ.—***он не должен колебаться.***

---

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4259, ч. I, л. 261—263.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4259, ч. 5, л. 111—112.
[3] იქვე, ფ. 113.

но защищать до последней капли крови сей ключ к сердцу Персии»[1] (ხაზი ჩვენია, ნ. ჭ.). რუსეთის ჯარებმა გაათავისუფლა თალიშის სახანო ლენქორანითურთ და მის მმართველად რუსეთის მფარველობაში მყოფი მირ მუსტაფა-ხანი დაინიშნა, აბას-მირზამ, როგორც კი გაიგო ლენქორანის ციხის განადგურების შესახებ, უკანვე გაბრუნდა. ირანელების მთელი საბრძოლო ტექნიკა და საომარი საშუალებანი რუსებმა ხელთ იგდეს, მათ შორის 8 ინგლისური ქვემეხი იყო[2]. გენ. რტიშჩევი ლენქორანის ციხის დაცემის შესახებ იმპერატორს სწერდა: *«Лежащая на берегу Каспийского моря Ленкоранская крепость при разрыве еще России с Англией, вновь устроенная и укрепленная по планам аглинских инженеров, которую, персияне считали неприступною, преклонила гордую выю свою под тяжестью высокославного Российского оружия»*[3]. (ხაზი ჩვენია, ნ. ჭ.).

ლენქორანისა და ასლანდუზეს ბრძოლებმა წელში გატეხა ირანის არმია; რუსეთის ჯარებს გზა გაეხსნათ შუა ირანისაკენ. ლენქორანისათვის ბრძოლებში თავი უსახელებიათ ქართველებსაც; მთავრობის მიერ დაჯილდოვებულ იქნა თავადი აბხაზი, კაპიტანი საგინაშვილი[4], პროპორშიკი დიმიტრი შალიკაშვილი და სხვ.

აბას-მირზას ჯარების დამარცხებამ უდავოდ დიდი გავლენა იქონია მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე მთელს ახლო აღმოსავლეთში. უკვე მომწიფდა ირანსა და რუსეთს შორის დაზავების საქმე. ალექსანდრე ბატონიშვილმა კახეთის აჯანყება ვერ გამოიყენა ბაგრატიონთა ტახტის დასამკვიდრებლად. როგორც აღინიშნა, კახეთის გლეხთა აჯანყება იყო ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქართველ გლეხთა მოძრაობის ისტორიაში. გლეხობა აღსდგა ცარიზმის ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ აჯანყებით სურდათ ესარგებლნათ ირანსა და ოსმალეთს საქართველოში თავიანთი ბატონობის აღდგენისათვის. ალექსანდრეს ბრძოლა საქართველოს სამეფო ტახტის დაბრუნებისათვის დაკავშირებული იყო ირანის ბრძოლასთან საქართველოში დაკარგული უფლებების აღდგენისათვის, ამიტომ იყო მჭიდროდ დაკავშირებული ბატო-

---

[1] ЦГВИА. ф. ВУА, д. 4259, ч. 5, л.л. 113 об. и 114.
[2] იქვე, ფ. 114—115.
[3] იქვე, ფ. 117. об.
[4] იქვე, ფ. 142.

ნიშვილთან ირანის მმართველი წრეები. ალექსანდრე ბატონიშვილი კახეთის აჯანყების დამარცხების შემდეგ დაღესტანში გაიქცა, სადაც მან ექვსი წელი დაჰყო, ხოლო შემდეგ კვლავ ირანში გადაიხვეწა.

1813 წლის იანვარში ირანის მთავრობამ დასვა საკითხი რუსეთთან დაზავების შესახებ. ჯერ სიტყვიერად მიმართა ირანის წარმომადგენელმა თალიშში რუსეთის ჯარის სარდალს, შემდეგ კი თალიშის ხანს, მაგრამ რადგან ასეთ განცხადებას არავითარი იურიდიული ძალა არ ჰქონდა, ირანის წარმომადგენელმა უარი მიიღო. ბოლოს, ვერევნის ჰუსეინ ყული-ხანის შუამავლობით ირანის მთავრობამ ოფიციალურად გამოაგზავნა თავისი წარმომადგენელი. სომხეთის პატრიარქი ეფრემი და ზავი ითხოვა.

ცნობილია, რომ საზავო მოლაპარაკებანი ირანსა და რუსეთს შორის ჯერ საფრანგეთის, შემდეგ კი ინგლისის დიპლომატიური შანტაჟის გამო ხშირად ჩაიფუშა. რუსეთის სარდლობას არც ახლა ჰქონდა გარანტია იმისა, რომ დიპლომატიურ მოლაპარაკებაში ინგლისი კვლავ მტრულ როლს არ ითამაშებდა, მიუხედავად იმისა, რომ ის რუსეთის მოკავშირედ ითვლებოდა. 1813 წ. 18 იანვარს გენ. რტიშჩევს ოფიციალური წერილი გაუგზავნია თეირანში ინგლისის მისიის მეთაურ უზელესთვის, რომლითაც რუსეთის ჯარების სარდალი ამიერკავკასიაში მოაგონებდა ინგლისელ დიპლომატს, რომ ინგლისი რუსეთის მოკავშირე და მეგობარია და რომ იგი ამიტომ მასთან სრულიად გულახდილია. რტიშჩევი წერდა:

Тесная дружба и союз, существующие между Россиею и Англиею, должны делать пользы обеих сих держав общими».[1] ამ სიტყვებით გენ. რტიშჩევი დიპლომატიურად ეუბნებოდა ინგლისის მთავრობის წარმომადგენელს, რომ მას ხელი არ შეეშალა დაზავების საქმისათვის, რომ ორივე სახელმწიფო, როგორც მოკავშირენი, ვალდებულნი არიან ერთმანეთის სასარგებლო საქმე აკეთონ. რტიშჩევი ინგლისელი დიპლომატის ყურადღებას მიაქცევდა რუსეთის არმიის სიძლიერეზე და მოაგონებდა მას ასლანდუზესთან და ლენქორანთან ირანელების სასტიკ განადგურებას. აქ რუსი გენერალი გადაკვრით ელაპარაკებოდა იმის შესახებაც, რომ ამ ბრძოლებში ინგლისელი ოფიცრები, არტილერისტები და სამხედრო საქმის სხვა სპეციალისტებიც მონაწილეობდნენ.

ინგლისის ელჩი არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო კახეთის აჯანყების საქმეებში გარკვეული; იგი უდავოდ იცნობდა ალექსანდრე ბატონი-

---

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 379, л. 73.

შვილს და მის ანტირუსულ საქმიანობას. რტიშჩევის წერილის ტონიდანაც ირკვევა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს, როგორც ირანის შაჰის იარაღს საქართველოში, იცნობდნენ ინგლისის დიპლომატიური მისიის წევრები. გენ. რტიშჩევი სერ უზელეს სწერდა: *«Действиями персидского правительства возбужден в Кахетии бунт чрез посредство беглого царевича Александра в то самое время, когда я вблизи Аракса в прошлом году вел мирные переговоры. Силою оружия и мерами мною взятыми, оный совершенно уничтожен, так что и следа мятежного духа не осталось. Я надеюсь при том, что после никакия обольщения персиян не преклонят уже кахетинцев к новому волнению»*[1] (ხაზი ჩვენია, ნ. ჯ.). რტიშჩევი დასძენდა თან, რომ დამარცხებული ალექსანდრე ბატონიშვილი დაღესტნის მთებში გაიქცა და იქიდან ითხოვს პატიებას იმ დანაშაულისათვის, რაც მან ჩაიდინა. ყოველივე ამის შეხსენება რტიშჩევს სჭირდებოდა იმისათვის, რომ ინგლისელ ელჩს, ამიერიდან ხელი აეღო რუსეთის მიმართ მტრულ საქმიანობაზე და მუხანათური პოზიცია არ დაეჭირა დაზავების საქმის მიმართ. ირან-ოსმალეთის ურთიერთობაში მომხდარი ცვლილებანიც, რაზედაც ქვემოთ ვილაპარაკებთ, უდავოდ ირანის რუსეთთან დაზავების საქმეს აჩქარებდა.

სანამ ირანსა და რუსეთს შორის საზავო მოლაპარაკების დაწყებას შევეხებოდეთ, საჭირო იქნება გავარკვიოთ, როგორ წარმართა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა საქართველოში ბუქარესტის ზავის დადების შემდეგ.

ბუქარესტის საზავო ხელშეკრულებით ოსმალეთს უნდა დაბრუნებოდა რუსეთის მიერ „იარაღის ძალით" აღებული ის ციხე-სიმაგრეები, რომლებიც უწინ ოსმალეთს ეკუთვნოდა. 1812 წლის 10 ოქტომბერს ერზრუმის სერასკირმა გენ. ლისანევიჩთან გამოაგზავნა მუსტაფა-აღა-ბაირახტარი და ახალქალაქის ოსმალეთისათვის გადაცემა მოითხოვა[2]. რუსეთის სარდლობას განკარგულება მოუვიდა ფოთისა და ახალქალაქის ციხეების ოსმალეთისათვის დაბრუნების შესახებ. 1812 წლის 29 ოქტომბერს ახალქალაქის ციხე-სიმაგრე რუსეთის გარნიზონის კომენდანტმა პოდპოლკოვნიკმა ზგარელსკიმ ჩააბარა სერასკირ მამედ-ემინ-ფაშას მიერ გამოგზავნილ თურქ ჩინოვნიკს; მასვე გადაეცა არტილერია და ის საბრძოლო საშუალება-

---

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 379, л. 74 об. и 75.

[2] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 232, л. 35 об. и 75.

ბი, რაც ახალქალაქის აღების დროს ადგილზე იმყოფებოდა. ფოთის ციხე კი იმავე წლის 7 დეკემბერს ჩაბარა ტრაპიზონის სერასკირის სულეიმან-ფაშას მიერ გამოგზავნილმა გარნიზონმა, რომელსაც მისარლი-ოღლი მეთაურობდა[1].

ოსმალეთის მთავრობა არ დაკმაყოფილდა ზემოაღნიშნული ციხე-სიმაგრეების გადაცემით; იგი დიდ ტერიტორიალურ პრეტენზიებს უყენებდა რუსეთის სარდლობას. სულთანი მოითხოვდა სოხუმის, ანაკლიის, ყულევიას და შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და ყოფილი იმერეთის სამეფოს ტერიტორიის მისთვის დაბრუნებას. ფოთის ციხე-სიმაგრის გადაცემის წინ ოსმალეთის სულთანს თავისი ვეზირისათვის, სულეიმან ფაშასათვის გამოუგზავნია ფირმანი, რომლის ასლიც უკანასკნელს 1813 წ. 25 მარტს დასავლეთ საქართველოში მყოფი რუსეთის ჯარების სარდლისათვის — პოლკოვნიკ მერლინისათვის გადაუცია. ამ ფირმანში გადმოშლილია ოსმალეთის სულთნის დაპყრობითი მისწრაფებანი ამიერკავკასიის მიმართ,—იგი არ ურიგდებოდა რუსეთის ხელში საქართველოს ტერიტორიების გადასვლას. ფირმანში ვკითხულობთ: *Да и ныне согласно с первым моим к тебе повелением, предписываю тебе отправиться и принять крепость Поти и Сохум с принадлежащими к оным всеми местами, пушками и снарядами, о успехах же по сему предмету должен донести подробно нашему высочайшему двору... сверх того Гурджи, черкессы, Абхазия и Кабарто повиновались престолу нашему, а Хорга* (ლაპარაკია რედუტ-კალეზე, ყულევზე, ნ.ქ.) *и Анаклия с местоположением их принадлежали нам, что только в мирном трактате написано, ты должен все в точности исполнить...*

Хорга и Анаклия никогда не принадлежали русским и не сказано ни от нас, ни от российского государя, чтобы остались русские в оных местах, ныне же буде ты не исполнишь прежнего и нынешнего повелений моих и не примешь по мирному трактату собственных наших земель Хорги и Анаклей и укреплений со всеми принадлежащими к оным местами и в свое время не донесешь нам, то ты, яко изменник не избегнешь наказания. Может быть, ты о сем и не печешься, но ты должен быть осторожным и повеление наше без замедления привести в исполнение.

---

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 379, лл. 26—27; შდრ. АВПР, 1813, ф. Канцелярия, д. 2286, лл 222—223.

то есть, принять престолу нашему принадлежащия крепости Сохумкале, Поти, Хоргу, Анаклею и укрепления со всеми их местами и деревнями... также ты должен оградить безопасностию и принять на вечное подданство Гурджи, Черкессы и Абхазию»[1] (ხაზი ჩვენია, ნ. ჭ.). სულთანი ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში სულეიმან ფაშას სასტიკი დასჯით ემუქრებოდა. ბუქარესტის ზავი საქართველოსათვის ფაქტიურად არ იყო მტკიცე ზავი. ამიტომ რუსეთმა ვერ შეძლო დასავლეთ საქართველოდან ვერცერთი ჯარისკაცის გაგზავნა ირანის ფრონტზე. ოსმალეთის სულთანი საგანგებოდ ამაგრებდა ფოთის ციხე-სიმაგრეს, აძლიერებდა ჯარს და ცდილობდა იარაღის ძალით დაებრუნებინა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიები. გენ. სიმონოვიჩი 1813 წლის 21 ივლისს რტიშჩევს აუწყებდა 29 ივნისს ფოთში სერასკირ სულეიმან ფაშას მოსვლის შესახებ, რომელსაც ჩამოუყვანია 100 ნავით 2000 ოსმალო ჯარისკაცი[2]. ოსმალთა ჯარებით აფხაზეთში შეიჭრა აფხაზეთის მთავრის საფარ ალი-ბეგის (გიორგი შერვაშიძის) ძმა, მამის მკვლელი — ასლან ბეგი, დიდძალი თანხითა და საჩუქრებით დატვირთული. როგორც ირკვევა, მან მიიმხრო თავისი დედა, უმცროსი ძმები და აფხაზეთის დიდებულთა საკმაო ნაწილი. იგი ოსმალთა ჯარით სოფ. გუდაუთაში დაბანაკდა და რუსეთის ჯარებთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის მოემზადა. ოსმალები ფოთიდან ამარაგებდნენ მას ჯარითა და მისთვის საჭირო საომარი საშუალებებით სურსათ-სანოვაგესთან ერთად. სიმონოვიჩი აუწყებდა რტიშჩევს, რომ 6 ივლისს ფოთში მყოფმა სერასკირმა ხაზინადარ ოღლით გააგზავნა **«из Поти к Асланбею в Абхазию на 17 лодках неизвестное число войск и для продовольствия оных провиант и деньги»**.[3] ოსმალეთის ჯარი სისტემატურად მოსდიოდა ასლან ბეგს აფხაზეთში; გენ. სიმონოვიჩის ცნობით «**Турецкие войски из крепости Поти 9 числа** (ლაპარაკია ივნისზე, ნ. ჭ.). **отправились все морем к Сухуму, коих из редута было видно лодок до пятнадцати**»[4]. ოსმალეთის სულთანი პირველ ხანებში აფხაზეთში მთავრის ტახტისათვის ბრძოლის გაჩაღების გზით ცდილობდა იქ გაბატონებას. ასლან-ბეგი ოსმალეთის ყურმოჭრილი მონა

---

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 332 лл. 13—14.

[2] იქვე, ფფ. 13—14, 25.

[3] იქვე, ფ. 23.

[4] იქვე, ფფ. 15—16.

იყო. იგი ცდილობდა თავისი ძმა გიორგი შერვაშიძე მოეკლა და მის ტახტზე ასულიყო. ასლან-ბეგს ოსმალეთის ჯარებთან ერთად თავისი პარტიაც ჰყავდა, რომლებიც აფხაზეთში ოსმალეთის ბატონობის აღდგენისათვის იბრძოდნენ. ფოთში კი გაუწყვეტლივ მოდიოდა ბათუმიდან ოსმალეთის ჯარი. აფხაზეთში ფართოდ გაიშალა ასლან-ბეგის მომხრე პარტიის ანტირუსული საქმიანობა. 1813 წლის მაისში რტიშჩევი კონსტანტინოპოლში მყოფ იტალინსკის ოსმალთა მტრული მოქმედების შესახებ აფხაზეთში აუწყებდა: «**Все коварныя старания прилагаются со стороны турков, дабы возбудить междоусобие в Абхазском народе и отклонить оных от повиновения законному их владельцу Георгию Шервашидзеву**»[1], ოსმალეთის აგენტები განხეთქილებას თესდნენ აფხაზეთის ფეოდალთა შორის, კლავდნენ რუსეთის მომხრე ფეოდალებს[2]. ფართოდ გაჩაღეს ოსმალებმა ადამიანთა ვაჭრობა ფოთსა და აფხაზეთში. გენ. რტიშჩევის ცნობით, ოსმალებმა აფხაზეთიდან და სამეგრელოდან ხუთი თვის განმავლობაში სამასი კაცი გაიტაცეს[3].

1813 წლის 22 ივნისს ფოთიდან პოლკოვნიკ მერლინთან ტრაპიზონის სერასკირმა ხაზინადარ ოღლიმ, რომელმაც 1811 წელს ვერ შეძლო დასავლეთ საქართველოში შემოჭრა, გამოგზავნა თურქი მოხელე აღა ემინი და თავისი მთავრობის სახელით კატეგორიულად მოითხოვა ყულევის ოსმალეთისათვის დაბრუნება. თუ კი რუსეთის სარდლობა უარს იტყოდა მის დაბრუნებაზე, მაშინ იგი იმუქრებოდა, «***придут к нему еще четыре паши с войсками с тем, чтобы взять оной вооруженною рукою***»[4] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.).

გარდა ამისა, სერასკირ ხაზინადარ ოღლის მამია გურიელისათვის გაუგზავნია წერილი და მოუთხოვია მისთვის გურიის ტერიტორიის ოსმალეთისათვის დაბრუნება. ოსმალეთის სერასკირი შეეცადა მიემხრო გურიელი და სხვა დიდებულები[5]. მაგრამ როგორც ირკვევა, გურიის მოსახლეობა არ აჰყოლია ოსმალეთის პროვოკაციას, მხარი არ დაუჭერია მისი მოწოდებებისათვის, რისთვისაც გან-

---

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 332, лл. 15—16
[2] АВПР, 1813, ф. Канцелярия, д. 2286, л. 226 об.
[3] იქვე.
[4] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 332, л. 20.
[5] იქვე, ფ. 23.

რისხებულ სერასკირს განზრახული ჰქონდა „ურჩი“ გურულების სასტიკი დასჯა. რუსეთის სარდლობა იძულებული გახდა ჯარის ნაწილებით გაეძლიერებინა გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთის სანაპიროები. პოლკოვნიკმა მერლინმა ბრძანა ყულევის გამაგრების მიზნით დამატებით გაეგზავნათ იქ ორი ასეული ორი ქვემეხით[1]. პოლკოვნიკმა მერლინმა წინადადება მისცა ფოთის ფაშას, რომ ოსმალეთის ჯარები ასლან-ბეგთან ერთად გამოსულიყვნენ აფხაზეთიდან[2]. ფოთის ფაშა შეჰპირდა მას, რომ იგი მოახსენებდა ამის შესახებ სერასკირ ხაზინადარ-ოღლის და შემდეგ გასცემდა პასუხს. მაგრამ მერლინს მისგან არავითარი პასუხი არ მიუღია, აშკარა იყო, რომ ოსმალეთს სურდა აფხაზეთის ოკუპაცია.

მერლინმა მოლაპარაკება აწარმოვა სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრებთან — ლევან დადიანთან და გიორგი შერვაშიძესთან. რათა რუსეთის ჯარებთან ერთად გამოსულიყვნენ გუდავაში დაბანაკებულ ოსმალთა ჯარის წინააღმდეგ. ორივე მთავარმა პირობა მისცა მას, რომ თავიანთი ლაშქრით იბრძოლებდნენ მტრის წინააღმდეგ. მერლინმა რუსეთის რაზმების მეთაურს ყულევში კეტიევს უბრძანა სამეგრელოს მთავრის ლაშქართან ერთად შეჭრილიყო აფხაზეთში და ბოლო მოეღო ოსმალთა მტრული საქმიანობისათვის. თუ მტერი ნებით არ დასტოვებდა აფხაზეთს, სოხუმიდან უნდა წამოსულიყვნენ მაიორი აგარკოვი და ფლოტის ლეიტენანტი ფონ ბურმისტერი ოსმალთა წინააღმდეგ. მათ, ოსმალთა ჯარის დამარცხების გარდა, დავალებული ჰქონდათ «**чрез посредство Дадиана и Сафар бея поимать тех, которые от нас отклонились** (ლაპარაკია მოღალატე ფეოდალებზე ნ. ქ.) *и пристали к Аслан бею, и доставить за караулом в Кутаис*»[3]. მტრის დამარცხების შემდეგ, დადიანის თხოვნით, ერთი ასეული ნაბაკევში უნდა ჩამდგარიყო, ხოლო მეორე — ორი ქვემეხით ყულევში[4]. დასავლეთ საქართველოში მდგომარეობა მძიმე იყო, ყოველ დღე იყო მოსალოდნელი რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომის დაწყება. ჯარს, რომელიც დასავლეთ საქართველოში იდგა, „ნაბრძანები“ ჰქონდა, საბრძოლო მდგომარეობაში ყოფილიყო.

---

[1] ЦГИАТ, ф. 2, оп 332, лл. 20 и 31. об.
[2] იქვე.
[3] იქვე, ф. 33.
[4] იქვე.

რეგულარული ჯარის ნაწილებისა და ქართველთა მილიციის გაერთიანებულმა ძალებმა დააფრთხო ასლან-ბეგი და ოსმალთა ჯარი, რომელსაც გუდავასთან ერთად ტამიშიც ჰქონდა დაკავებული. ოსმალებმა დატოვეს ასლან-ბეგი და ზღვით უკუიქცნენ ფოთში, ასლან-ბეგმა კი ჯიქეთს შეაფარა თავი. ამის შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა ისტორიკოსი ნიკო დადიანი, რომელსაც, როგორც ბრძოლების მონაწილეს, დაკისრებული ჰქონია გაერთიანებული ჯარების სარდლობა და აფხაზეთიდან მტრის განდევნა. იგი წერს: „სერასკილისფოთს ყოფნასა შინა მოიცა ასლან ბეგმა ძალი. წარმოიტანა რამოდენიმე ოსმალთა ჯარი ზღვით და მოვიდა გუდავას. და გუდავადამ მოვიდა ტაშუშს და მუნ დასდგა. სწადდა დაპყრობა აფხაზეთისა. გარნა მოვიდა საფარ ალი-ბეგ და სთხოვა შეწევნა რუსთა. მაშინ მიბრძანეს მე და წარმგზავნეს და მომცეს ბრძანებასა ჩემსა ქვეშე ბატალიონი თავისი არტილერიითა და მიბრძანეს, რათა დავეხსნა მათ თავს. და რა წარველ და მიველ ილორს. მაშინ, სცნეს მისვლა ჩემი და ივლტოდენ ოსმალნი, აფხაზეთი კვალად დაშთა საფარ-ბეგს“. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.).

ოსმალეთს, საზავო ხელშეკრულების საფუძველზე, ყოველმხრივ უნდა შეეწყო ხელი ირანსა და რუსეთს შორის საზავო ხელშეკრულების გაფორმებისათვის, მაგრამ იგი, თავის მხრივ, არა მარტო მტრობდა რუსეთს, არამედ აგრეთვე საშუალებას აძლევდა ირანის ჯარს გამოეყენებინა ოსმალეთის ტერიტორია საქართველოზე თავდასხმისათვის. მაშინ, როდესაც იმერეთზე, გურიაზე, სამეგრელოსა და აფხაზეთზე ოსმალთა თავდასხმის საფრთხე მეტისმეტად დიდი იყო, ახალციხიდან თავდასხმა მოაწყო ირანის ჯარმა, გაძარცვა საზღვრისპირა მდებარე სოფელი და მიიმალა აჭარის ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეში. ამაზე ამახვილებდა გენ. რტიჩშევი იტალინსკის ყურადღებას, როგორც ოსმალეთის მიერ საზავო ხელშეკრულების დარღვევის ერთ-ერთ უხეშ ფაქტზე; იგი 1813 წლის 24 მაისს იტალინსკის სწერდა: „*Они* (ლაპარაკია, ოსმალეთის მმართველ წრეებზე, ნ. ქ.) *не только дозволили сильной неприятель-*

[1] ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ. 1962 წ. გვ. 205.

ской партии персиян пройти из Еривана чрез Карское и Ахалцыхское владения для нечаянного впадения в Грузию, чего они не могли бы зделать со стороны своих границ по расположению на оных крепких наших кордонов; но когда сия партия скоропостижно угнала из поля весь скот селения Думанис, лежащего на границе Ахалцыхского пашалыка, захватив 15 душ людей и более 700 рогатых скотин, то во время преследования оной, персияне со всею добычею укрылись в Крепость Ачары, принадлежащую Ахалцыхскому пашалыку и служащую всегда свободным пристанищем для лезгин и других разбойников. После же открылось, что турки разделились с персиянами сею добычею и что провожащими сей хишнической партии были ахалцыхские подвластные»[1] (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.). ირკვევა, რომ ირანელები ოსმალებთან ერთად ახდენდნენ თავდასხმებს საზღვრისპირა სოფლებზე და აოხრებდნენ მათ. ზემოაღნიშნული ფაქტები ეპიზოდური ხასიათის მატარებელი არ ყოფილან; სწორედ ამიტომ მიმართავდა გენ. რტიშჩევი იტალინსკის, რომ მოითხოვოს ოსმალეთის მთავრობისაგან მსგავსი ფაქტების აღკვეთა, ბოლო მოუღოს ოსმალეთმა სასაზღვრო ინციდენტებს საერთოდ საქართველოს საზღვრებზე და არ დაუშვას ირანის ჯარის ყოფნა ოსმალეთის სახელმწიფოს ფარგლებში.

მაშინ, როდესაც ოსმალეთთან ურთიერთობა გამწვავებული იყო და ომის განახლების საფრთხე დღითი-დღე იზრდებოდა, რუსეთის სარდლობა ცდილობდა დაჩქარებულიყო ირანთან დაზავების საქმე. რტიშჩევი 1813 წ. 24 აგვისტოს ირანში ინგლისის ელჩს სერ უზელეს სწერდა, რომ მას ირანის მთავრობისათვის მიეცა რჩევა, რათა რუსეთსა და ირანს შორის დადებულიყო საზავო ხელშეკრულება Status quo adresentem-ის პრინციპის საფუძველზე[2]. ის პროვინციები, რომლებიც ამიერკავკასიაში დაკავებული ჰქონდა საზავო მოლაპარაკების დაწყების მომენტისათვის რუსეთის ჯარს, რუსეთსვე უნდა დარჩენოდა. ასეთივე შინაარსის წერილი გაუგზავნა რტიშჩევმა ბაბა-ხანის სასახლის მინისტრს მირზა ბეზიურგს. ირანის მთავრობამ საზავო მოლაპარაკებაში შუამავლობა ინგლისის ელჩს სერ უზელეს დააკისრა. ინგლისის ელჩის ცოლისათვის რტიშჩევს,

---

[1] АВПР, 1813 г. ф. Канцелярия, д. 2286, л. 228 и об.

[2] ЦГИАГ, ф. 2, оп. I, д. 379 л. 353—354.

ნიშნად მისდამი დიდი პატივისცემისა, ვაჟიშვილის შეძენასთან დაკავშირებით ბრილიანტით მოოქვილი ოქროს ბეჭედი გაუგზავნია სხვა საჩუქრებთან ერთად[1]. რუსეთის სარდლობა ცდილობდა ინგლისელთა გული მოეგო ირანში იმ ვარაუდით, რომ მათ საზავო მოლაპარაკების საქმისათვის ხელი არ შეეშალათ. საზავო ხელშეკრულების გაფორმების საქმეში დიდი როლი ითამაშა რუსეთში ნაპოლეონის არმიის განადგურებამ; ირანელებმა რუსეთზე გამარჯვების რწმენა დაჰკარგეს და მზად იყვნენ საზავო ხელშეკრულება დაედოთ რუსეთთან. მით უმეტეს, რომ 1813 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული სამხედრო ოპერაციები ირანელების დამარცხებით დამთავრდა.

1813 წლის 1 ოქტომბერს დაბა გიულისტანში დაიდო რუსეთსა და ირანს შორის დროებითი ზავი, რომელსაც რუსეთის მხრიდან ხელს აწერდა გენ. რტიშჩევი, ხოლო ირანის მხრიდან — მირზა აბულ ხასან-ხანი. საზავო ხელშეკრულება 4 მუხლისაგან შედგებოდა: ზავი 50 დღის ვადით იდებოდა, მისი მოქმედების ვადა 1813 წ. 21 ნოემბრამდე იყო (I მუხ.). ამ ხნის განმავლობაში ორივე მხარეს უნდა შეეწყვიტა ყოველგვარი საომარი მოქმედება (II მუხ.). თუ მეომარი მხარეები საზავო ხელშეკრულების გაფორმების საკითხებზე ვერ შეთანხმდებოდნენ, საომარი მოქმედების განახლება მოხდებოდა არა უადრეს 20 დღისა, დღიდან დროებითი ზავის გაუქმებისა (მუხ. III); დროებით ზავზე ხელის მოწერისთანავე ორივე მხარე უნდა შესდგომოდა საზავო მოლაპარაკებას Status quo adresentem-ის პრინციპის საფუძველზე (მუხ. IV)[2].

ირანთან ურთიერთობა დღითი-დღე უმჯობესდებოდა, ოსმალეთი კი გამძვინვარებული იბრძოდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების დასაბრუნებლად. 1813 წ. 21 ნოემბერს გენ. რტიშჩევის მიერ გრაფ რუმიანცევისადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ ოსმალთა ჯარი შემოდგომაზე შეიჭრა გურიაში, რათა სულთნის ბატონობა კვლავ აღედგინა, *«однако же собранными вскоре Гурисельскими войсками,—წერდა რტიშჩევი,—через старание усердного и преданного к России князя Гуриела были приостановлены, чувствительно наказаны и выгнаны из границ его владения»*[3]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.).

---

[1] ЦГИАГ ф. 2, оп. I, д. 379. л. 364—365.
[2] იქვე, ფ. 416—417.
[3] იქვე, 529.

რტიშჩევი საგარეო საქმეთა მინისტრის ყურადღებას მიაქცევდა იმ ფაქტს, რომ ტრაპიზონის სერასკირი თავს უყრიდა დიდძალ ჯარს, აძლიერებდა საზღვაო ფლოტს და დასავლეთ საქართველოს მიმართ თავის პრეტენზიებზე ხელს არ იღებდა. იგი გამოთქვამდა რწმენას, რომ ირანთან დაზავების საქმე წარმატებით დამთავრდებოდა, რის შემდეგ მას ეყოლებოდა ერთადერთი მტერი ოსმალეთის სახით და შესაძლებლობა ექნებოდა «**обратить при надобности силы свои совсем в противуположную сторону для охранения побережных владений наших на Черном море**»[1].

ალექსანდრე ბატონიშვილმა, მაშინ როდესაც ირანსა და რუსეთს შორის საზავო მოლაპარაკება წარმოებდა, შეკრიბა ლეკთა დიდი ჯარი და კახეთის საზღვრებს მოადგა[2], ხოლო ოსმალეთში გაქცეული სოლომონ II, ოსმალეთის სულთნისაგან დაიმედებული, რომ იგი ისევ აღადგენდა ოსმალეთის მფარველობის ქვეშ სამეფო ხელისუფლებას იმერეთში, მოადგა ახალქალაქს იმ ვარაუდით, რომ იმერეთსა და გურიაში კვლავ დაავშირებოდა თავის მომხრეებს და აღედგინა თავისი ძლიერი პარტია, ამჯერადაც ეჯანყებინა იმერეთის მოსახლეობა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ[3]. ალექსანდრე ბატონიშვილის ცდა, ლეკთა ლაშქრით შემოეკრიბა საქართველოში — დამარცხებით დამთავრდა. რუსეთის ჯარის ნაწილებმა ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით სასტიკად დაამარცხა ბატონიშვილი. რტიშჩევი სამხედრო მინისტრს სწერდა, «**многие из дворян и народа, соединясь с отрядом полковника Тихоновского, выступившего ему встречу, дрались против царевича, который разбит и прогнан во внутр Дагестана**»[4].

დასავლეთ საქართველოსათვის დაძაბულ დღეებში გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრები, რომლებიც, რტიშჩევის თქმით, ჭეშმარიტად ერთგულნი იყვნენ რუსეთის ხელისუფლებისა, თავიანთი ლაშქრით ფეხზე იდგნენ და მზად იყვნენ დაეცვათ თავიანთი სამფლობელოები[5].

---

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 379, л. 529. ფ. 529.
[2] იქვე, ფ. 534.
[3] იქვე, ფ. 534.
[4] იქვე, ფ. 541.
[5] იქვე, ფ. 535.

ოსმალეთის სულთანი ხელს უშლიდა რუსეთ-ირანის დაზავების საქმეს. ფრანგი ჯაშუშებიც ირანსა და ოსმალეთში ყოველმხრივ ცდილობდნენ ჩაეშალათ ირანთან რუსეთის დაზავების საქმე[1]. ამიტომ გენ. რტიშჩევი იღწვოდა იმისათვის, რომ რაც არ უნდა დაჯდომოდა, დაედო საზავო ხელშეკრულება; მისი აზრით **«мир с персиею, каков бы оный ни случился, может быть спасителен для здешняго края и полезен для самой России»**[2]. თუ კი ამჯერად რუსეთი ირანთან დაზავებას ვერ შეძლებდა, ნაშდვილად მოსალოდნელი იყო, რომ რუსეთის სარდლობას მოუწევდა გაეყო თავისი ძალები შავი ზღვისა და კასპიის ზღვის სანაპიროებზე მოქმედებისათვის[3]. ფრონტზე, რომელიც 1500 კმ-ზე იქნებოდა გადაჭიმული, უკვე ძნელი იყო ბრძოლის გაგრძელება იმ ხანგრძლივი ომის შემდეგ, რომელიც რუსეთმა აწარმოვა ერთდროულად ირანთან და ოსმალეთთან, რომ არაფერი ვთქვათ საფრანგეთთან მძიმე ომის შესახებ.

ოსმალეთის სულთანს საზავო მოლაპარაკების ჩაშლის მიზნით სპეციალური მოხელე გაუგზავნია აბას-მირზასთან და ერევნის ხანსეინ ყული-ხანთან, რომელიც სასტიკი წინააღმდეგი იყო რუსეთთან ზავის დადებისა.

ირანში იყო ჯგუფი ადამიანებისა (ერთი პარტია), რომელიც საფრანგეთის აგენტურას ემხრობოდა და ცდილობდა ხელი შეეშალა საზავო მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების საქმისათვის. სწორედ მაშინ, როდესაც ოსმალეთი რევანშისტულად იყო გახმაურებული დასავლეთ საქართველოს მიმართ, ამ პარტიის წარმომადგენლებს სპეციალური აგენტები—ნასრულა-ხანი და ჰუსეინ-ხანი გაუგზავნიათ კონსტანტინოპოლში, რათა საზავო მოლაპარაკება ირანიდან ოსმალეთში გადაეტანათ[4]. ირანიდან ოსმალეთში საზავო მოლაპარაკების გადატანა ფაქტიურად საზავო მოლაპარაკების ჩაფუშვის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო. დიპლომატი იტალინსკი 1813 წ. 2 ნოემბერს რტიშჩევს აცნობებდა, რომ დაზავებამდე დიდ ხნით ადრე კონსტანტინოპოლში ჩასულ ირანის აღნიშნულ აგენტებს სურვილი ჰქონიათ პირადად შეხვედროდნენ მას. ეს შეხვედრა, როგორც ირკვევა, მართლაც შემდგარა. მათთან საუბრის მასალები იტალინსკის რტიშჩევისათვის გამოუგზავნია; სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მივა-

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. I, д. 379, л. 536.
[2] იქვე.
[3] ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 425, л. 48.

გენით ამ მასალებს, მაგრამ იტალინსკის მიერ ზემოაღნიშნული თარიღით გამოგზავნილი წერილითაც კი შეიძლება იმის დადგენა, თუ რა ამოცანა ჰქონდათ ირანელ აგენტებს დაკისრებული და ვინ უბიძგებდა მათ საამისოდ. იტალინსკი იტყობინებოდა, რომ ოსმალეთის ელჩი ირანში, ნაპოლეონის ჯაშუშებთან დაკავშირებული, ხელს უშლიდა დაზავების საქმეს. *«Я даже думаю не иначе, —* წერდა იტალინსკი,—*как об интриге Гусеин-аги* (ლაპარაკია ირანში ოსმალეთის ელჩზე, ნ. ქ.) *по согласию Порты оттоманской и, вероятно, даже по согласию и с французским посланником, который, по сведениям, мною получаемым, имеет тайныя сношения с сим персидским агентом»*[1].

ოსმალეთის სულთანი ცდილობდა თავისი პრეტენზიები რუსეთის მიმართ დაეკავშირებინა ირანის პრეტენზიებისათვის და ამგვარად კვლავ შექმნილიყო ანტირუსული ფრონტი. იტალინსკი დასძენდა, რომ «Министерство Оттоманское желало вместе соединить оба сии предметы в надежде извлечь пользу в том, что относится до прямых выгод Порты»[2]. იტალინსკი დაჯერებული იყო იმაში, რომ ოსმალეთის სულთანს, რა პირობებშიც არ უნდა ყოფილიყო, არ სურდა ირან-რუსეთის დაზავება მანამ, სანამ მისი პრეტენზიები რუსეთის მიმართ არ დაკმაყოფილდებოდა. ოსმალეთის მმართველმა წრეებმა იცოდნენ, რომ ირანთან დაზავების შემდეგ რუსეთი ადვილად შეძლებდა ოსმალეთის პრეტენზიათა აღკვეთას, თუ საჭირო იქნებოდა იარაღის ძალითაც კი.

ირანსა და ოსმალეთში ფართოდ იყო გაშლილი საფრანგეთის აგენტურის ქსელი, რომელიც აქეზებდა ოსმალეთს რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო ირანს—საზავო მოლაპარაკების ჩაფუშვისათვის[3]. ინგლისისა და საფრანგეთის ბრძოლა ერთმანეთის წინააღმდეგ ირანსა და ოსმალეთში, ობიექტურად ხელს უწყობდა რუსეთს ირანთან და ოსმალეთთან სადავო საკითხების მოგვარებაში.

სულთანი კვლავ აგზავნიდა თავის ჯაშუშებს ამიერკავკასიის მუსლიმანური სარწმუნოების ხალხებში და მოუწოდებდა მათ რუსეთის წინააღმდეგ ომის განახლებისაკენ. 1813 წ. 12 სექტემბერს სულთნის ფირმანითურთ შეპყრობილ იქნენ ოსმალეთის

---

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. I, д. 380 л. 206 об.

[2] იქვე.

[3] ЦГИАГ ф. 2, оп. 1, д. 379 л. 469.

შუშები. ისინი ოსმალეთიდან ირანისა და აზერბაიჯანის გავლით მიდიოდნენ დაღესტანში დიდძალი ფულითა და ოქროს სამკაულებით დატვირთულნი, რათა მოეყიდათ იქაური დიდებულები კვლავ რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. შახსევარ-ბეგი ჯერ კიდევ რუსეთ-ოსმალეთის ომის პერიოდში დაპატიმრებულ იქნა შაქის პროვინციაში, როგორც ოსმალეთის ჯაშუში, იქიდან იგი გენ. ტორმასოვს გაუგზავნეს თბილისში, თბილისიდან კვლავ შაქის ჯაფარყული-ხანს ნუხაში, საიდანაც მალე დაღესტანში გაიქცა ყურხაიხანთან; აქედან კი—ჭარის, ყარაბაღისა და ირანის გზით ოსმალეთში გადავიდა. როგორც გამოცდილი ჯაშუში, იგი რამდენიმეჯერ შემოუგზავნია ოსმალეთის მთავრობას ამიერკავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ მტრული საქმიანობისათვის. ახლა კი მეორედ ჩაუვარდა იგი რუსეთის სარდლობას ხელში. მას ჩამოხრჩობა მიესაჯა, რაც მალე სისრულეში იქნა მოყვანილი[1].

საზავო მოლაპარაკებაში, მართალია, შენიღბულად, მაგრამ მაინც საკმაოდ მტრული პოზიცია ეჭირა ინგლისის დიპლომატიასაც. იგი მზად იყო მოლაპარაკება ისე წარემართა, რომ ყველა ის ტერიტორია, რომელიც რუსეთის ჯარების მიერ ომის განმავლობაში იქნა დაკავებული, კვლავ ირანს დაბრუნებოდა, ალექსანდრეზესთან და ლენქორანთან რუსეთის ჯარების მიერ ირანისათვის მიყენებული გაძარცვა-ნადგურებული დარტყმების შემდეგ, ინგლისის დიპლომატიური მისიის მეთაური უზელი ხედავდა, რომ თავის განზრახვას სისრულეში ვერ მოიყვანდა, მაგრამ ცდილობდა ერთი ან ორი პროვინცია მაინც დაებრუნებოდა რუსეთისაგან ირანს, იმ ვარაუდით, რომ ამით ირანის შაჰის გული მოეგო და მასთან, ინგლისისათვის ხელსაყრელ პირობებში, დაედო სავაჭრო ხელშეკრულება.

გრაფი ნ. რუმიანცევი 1813 წლის 9 აგვისტოს წერილში გენ. რტიშჩევისადმი ნიღაბს ხდის ინგლისის დიპლომატიის მტრულ საქმიანობას ირანში საზავო მოლაპარაკების პერიოდში. უზელეს ხშირი მიმოწერა ჰქონდა პეტერბურგში ინგლისის ელჩთან კატკარტთან. როგორც ირკვევა, ამ მიმოწერის პერიოდში სერ უზელეს რამდენიმე წერილის შინაარსი ცნობილი გახდა რუსეთის დაზვერვისათვის. ამ წერილებს გაცნობილი გრაფი რუმიანცევი ინგლისის მტრული საქმიანობის შესახებ გენ. რტიშჩევს სწერდა:

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. I, д. 387 л. 10—15.

«Из сих писем Вы видели, что Англия объязалась трактатом с Персией употребить всевозможное старание, чтобы склонить Россию на возвращение всех земель, у Персии нами завоеванных; но, что после блистательных успехов, одержанных по вашим распоряжениям генералом Котляревским, надежды персидского правительства до того понизились, что г. Узеле, как видно, опасается, чтобы заключение мира не состоялось без его содействия, в каковом случае Англия потеряла бы в том краю сниск анное ею уважение, и дабы удержать свое влияние, сей посланник намерен настоять на том, чтобы мы возвратили Персии хотя одну или две малыя провинции, полагая за такую услугу Персии удержать разныя выгоды посредством торгового трактата, который они надеются заключить с сею державою».[1] როგორც ირკვევა, ინგლისელები არც საზავო მოლაპარაკების დროს ივიწყებდნენ მტრულ საქმიანობას რუსეთის წინააღმდეგ; ისინი ახლო აღმოსავლეთში, თავიანთი სავაჭრო ინტერესებიდან გამომდინარე, ამჯერადაც ღალატობდნენ თავიანთ მოკავშირეს—რუსეთს. ამიტომ იყო, რომ გრაფი რუმიანცევი ურჩევდა გენერალ რტიშჩევს: „ограничить, поскольку можно, его влияние (ლაპარაკია სერ უზელეს შესახებ, ნ. ჭ.) на переговоры". რაც შეეხება საზავო ხელშეკრულებას ირანთან, მასში არავითარ შემთხვევაში არ უნდა ასახულიყო ინგლის-ირანის სავაჭრო ურთიერთობის საკითხი[2].

ინგლისის დიპლომატია რუსეთის წარმომადგენელთა მოსაზრებებლად თითქოს და ენერგიას არ იშურებდა ირანსა და რუსეთს შორის შეთანხმების მისაღწევად და საზავო ხელშეკრულების გაფორმების დასაჩქარებლად; სინამდვილეში კი ხელს უშლიდა ამ საქმეს. 1813 წლის 22 მარტს თეირანიდან სერ უზელეს მიერ პეტერბურგში ლორდ კატკარტისათვის გაგზავნილი დეპეშებიდანაც, რომლის ასლიც რუს დიპლომატებს ჩაუვარდათ ხელში, ყოველმხრივ დასტურდება ინგლისური დიპლომატიისათვის ჩვეული გაიძვერობა და მუხანათობა მოკავშირე რუსეთის მიმართ. უზელე წერს, რომ მოლაპარაკებას წარმატება ექნება მხოლოდ მაშინ, თუ კი რუსეთი ორიოდე პროვინციას მაინც დაუბრუნებს ირანსო. მირზა ბეზიშურგი, რომელიც დაზავების წინააღმდეგი იყო, საზავო მოლაპარაკების

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. I, д. 380 л. 116.

[2] იქვე, ფ. 116—117.

პერიოდში უზელეს მითითებით მთავრობის მიერ მირზა აბულ-ხასან-ხანით შეიცვალა, რომელიც ინგლისის კარზე სამი წლის მანძილზე ირანის ელჩის მოვალეობას ასრულებდა. სერ უზელე სწერს ლორდ კატკარტს, რომ იგი მზადაა შეაჩეროს მირზა აბულ-ხასან-ხანის გამოცხადება სავაჭრო მოლაპარაკებაში მონაწილეობისათვის, თუნდაც რამდენიმე თვით მაინც, *«пока не заключится торговый договор между Персией и Англией»*[1]. მოტანილიდან ნათლად ჩანს, რომ სავაჭრო მოლაპარაკების დაწყებამდე ინგლისის ელჩი ცდილობდა თავის ქვეყნისათვის ხელსაყრელ პირობებში დაედო სავაჭრო ხელშეკრულება ირანთან და შემდეგ, ირანის მთავრობას გულისმოგების მიზნით, გამოქომაგებოდა მას და რაც შეიძლებოდა უეჭველად რუსეთის ინტერესები ამიერკავკასიაში.

მიუხედავად ინგლის-საფრანგეთისა და ოსმალეთის მტრულ საქმიანობათა მთელი სერიისა, რუსეთის დიპლომატიამ შეძლო 1813 წ. 12 (14) ოქტომბერს ყარაბაღის სოფ. გიულისტანში ირანთან სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმება. სავაჭრო ხელშეკრულება სულ 11 მუხლისაგან შედგებოდა. მეორე მუხლი წინადმდეგ ინგლისის დიპლომატიის საქმიანობისა. პასუხობდა რუსეთის სურვილებს ყველა იმ ტერიტორიის შემოერთების საქმეში, რაც ომის პერიოდში რუსეთის ჯარების მიერ იქნა დაკავებული. ხელშეკრულებაში ჩაწერილი იყო: «Постановить мир на основании status quo ad presentem, т. е., дабы каждая сторона осталась при владении теми землями, ханствами и владениями, какия ныне находятся в совершенной их власти»[2]. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რუსეთმა სავაჭრო ხელშეკრულებით დაკანონა არა მარტო იმ ტერიტორიების შემოერთება, რომლებიც ირანთან ომის შედეგად რუსეთის ჯარების მიერ იქნა დაკავებული, მაგ.: ყარაბაღის, განჯის, შაქის, შირვანის, დარუბანდის, ყუბის, ბაქოს, თალიშის, დაღესტნის, აღმოსავლეთ საქართველოსა და სხვა, არამედ აგრეთვე იმ ტერიტორიების რუსეთის ხელში გადასვლაც, რომლებიც უწინ ოსმალეთის ქვეშევრდომობაში ითვლებოდნენ: მაგ., იმერეთი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი[3]. ირანი, როგორც ოსმალე-

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. I, д. 380, л. 122 и об.
[2] ПСЗРИ, Т. XXXII, стр. 642.
[3] იქვე, 643—644.

თის მოკავშირე, იძულებული გახდა ეცნო რუსეთის მიერ იმ ტერიტორიების შემოერთება, რომლებზედაც პრეტენზიებს აცხადებდა სულთანი. ამით ირანსა და ოსმალეთს შორის უკვე იშლებოდა სამოკავშირეო ხელშეკრულების არსებობის ყოველგვარი კვალი. ამიერიდან, სხვა მიზეზებთან ერთად, ამანაც განაპირობა ირანსა და ოსმალეთს შორის შუღლისა და მტრობის ჩამოვარდნა.

გიულისტანის საზავო ხელშეკრულების მეხუთე მუხლი განამტკიცებდა რუსეთის ბატონობას კასპიის ზღვაზე. რუსეთისა და ირანის სავაჭრო გემებს თანაბარი უფლება ენიჭებოდათ კასპიის ზღვის აუზში ნაოსნობისათვის; მაგრამ ირანს ეკრძალებოდა სამხედრო გემები ჰყოლოდა კასპიის ზღვაზე, «...Кроме Российской державы,—ნათქვამი იყო საზავო ხელშეკრულებაში,—никакая другая держава не может иметь на Каспийском море военного Флага»[1]. გიულისტანის ხელშეკრულებამ განამტკიცა რუსეთის ძლიერება ამიერკავკასიაში. მას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის ოსმალეთთან სადავო საკითხების მოწესრიგებისათვის. გრაფი რუმიანცევი 1813 წლის 17 ნოემბერს წერილში იტალიჲსკისადმი ხაზს უსვამდა ირანთან დადებულ საზავო ხელშეკრულების შედეგებს და აღნიშნავდა: «*Я уверен также, что обстоятельство сие не мало будет способствовать и вам по делам нашим с турецким правительством, которое неравнодушно, конечно, сведает, что с прекращением сей войны, вся армия наша, действовавшая против Персии, безпрепятственно может быть употреблена на границах наших в том крае, смотря по обстоятельствам*»[2]. გიულისტანის საზავო ხელშეკრულების გაფორმების შედეგები კარგად ესმოდა ოსმალეთის სულთანს. ირანსა და რუსეთს შორის საზავო ხელშეკრულების გაფორმებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია კონსტანტინოპოლში; ოსმალეთის მმართველი წრეები რუსეთთან ომისათვის ემზადებოდნენ და ამიტომ რუსეთ-ირანის დაზავება მათ თავზე გამსკდარ უბედურებას წაადგა. ოსმალეთის სულთანი გიულისტანის ზავს უყურებდა როგორც დროებით მოვლენას, მისი აზრით, ირანის შაჰის სიკვდილი საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ ეს ზავი დარღვეულიყო. შაჰის მოკვლის მიზნით მას მკვლელებიც კი მიუგზავნია მისთვის[3].

---

[1] ЦСЗРИ, т. XXXII, стр. 643—644.
[2] АВПР, 1813 г. ф. Канцелярия, д. 2288, л. 66—67.
[3] ЦГИАГ, ф. 2, оп. I, д. 425, л. 83—85.

ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დღითი-დღე სულ უფრო მწვავდებოდა წინააღმდეგობა ირანსა და ოსმალეთს შორის. საზავო ხელშეკრულებაში რუსეთსა და ოსმალეთს შორის არაფერი იყო ნათქვამი ირანის სასარგებლოდ, რამაც დიდად გაანაწყენა ირანის შაჰი მისი მოკავშირე ოსმალეთის მიმართ. ბუქარესტის ზავის გაფორმების შემდეგ ირან-ოსმალეთს შორის სასაზღვრო ინციდენტები ფართო ხასიათს ღებულობდა. რუსეთი პირდაპირი თუ არაპირდაპირი საშუალებებით, რითაც კი შეეძლო, ამწვავებდა ირანსა და ოსმალეთს შორის წინააღმდეგობას, რაც, ცხადია, ხელს უწყობდა მას მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. ირკვევა, რომ 1812 წელს ირანის ჯარები თავს დაესხნენ ბაღდადისა და ბასორის საფაშოებს, სადაც დიდი ბრძოლა გაიმართა. გენ. რტიშჩევს 1812 წ აგვისტოში ცნობა ჰქონია იმის შესახებ, რომ **«сыны Баба-хановы с 12 тыс. отборных персидских войск, находившиеся в экспедиции против Багдада, были тамошним пашею, совершенно разбиты, потеряли все свои войски и едва сами спаслись бегством».**[1] სულეიმან ფაშამ სასტიკად დაამარცხა ირანის არმია. ოსმალეთის მთავრობა უკმაყოფილო იყო ირანის ჯარების ოსმალეთის პროვინციებზე თავდასხმის გამო. ინგლისი ცდილობდა ირანსა და ოსმალეთს შორის სადავო საკითხები მოეწესრიგებინა და მათი საერთო ძალები ძველებურად, რუსეთისათვის დაეპირისპირებინა. გენ. რტიშჩევს პოდპოლკოვნიკ ლუარსაბ ორბელიანის საშუალებით ოსმალეთში დაუზუსტებია ირან-ოსმალეთს შორის დიდი ინციდენტის შედეგები. რტიშჩევი დაჯერებული იყო სარწმუნო ცნობათა საფუძველზე, რომ ***«англичане принимают великое участие в примирении сих двух держав и даже Англия сама расположена за персидское правительство платить туркам все убытки»***[2] (ხაზი ჩვენია, ნ. ჯ.). როგორც სხვა წყაროებითაც დასტურდება, ინგლისელები მზად იყვნენ გაეღოთ საკმაო მსხვერპლი ამას წინად რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებათა ლიკვიდაციისათვის. ირანსა და ოსმალეთს შორის სასაზღვრო კონფლიქტი კიდევ უფრო გაღრმავდა, რასაც 1821 წელს მათ შორის ომი მოჰყვა.

---

[1] ЦГИАГ, ф, 2, оп. 1, д 379, л. 34.

[2] იქვე, ფ. 313.

1813 წ. დასასრულს სულთანმა ერზრუმის სერასკირი მაჰმად-ემინ-ფაშა უკანვე გაიწვია; ალბათ იმ მოტივით, რომ მან ვერ უზრუნველჰყო ოსმალეთისათვის დასავლეთ საქართველოს გადაცემა. მის ადგილზე დაინიშნა და მთელ აღმოსავლეთში მთავარსარდლობა დაეკისრა ახმედ-ფაშას. სერასკირი ახმედ-ფაშა ერთ დროს ბუქარესტში აწარმოებდა მ. ი. კუტუზოვთან საზავო მოლაპარაკებას. ოსმალეთის სულთანი მას ავალებდა იმ პირობების გათვალისწინებით გაეტარებინა საზავო ხელშეკრულება საქართველოს მიმართ. პირობებზედაც მან ხელი მოაწერა. ახმედ-ფაშამ, როგორც კი ჩაიბარა აღმოსავლეთში მთავარსარდლის პოსტი, რტიშჩევს გამოეგზავნა ნდობით აღჭურვილი პირი—მირზა-ბეგი და ოფიციალურად მოითხოვა ოსმალეთისათვის იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის დაბრუნება. რტიშჩევი შეეცადა დაესაბუთებინა აღნიშნული ტერიტორიის რუსეთის მფლობელობაში გადასვლის სამართლიანობა, თანაც დაიწყო დასავლეთ საქართველოში ჯარის გაძლიერება. ირანთან დაზავებამ საშუალება მისცა რუსეთის სარდლობას უფრო კატეგორიული ტონით ელაპარაკნა ოსმალეთის ხელისუფლებთან დასავლეთ საქართველოს შესახებ. გრაფ რუმიანცევისადმი ვაგზავნილ რტიშჩევის წერილში ვკითხულობთ: «**Мир, столь благополучно заключенный с Персиею, приметно подействовал на турок и начинает ослаблять их стремительность, чтобы силою возвратить от нас требуемые ими места**».[1]

იმერეთში დამატებით რუსეთის ჯარების შესვლამ, კერძოდ კი რედუტ-კალეს გარნიზონის დასახმარებლად მიმავალი რუსეთის ჯარის რაზმების მოძრაობამ, დააფრთხო ფოთში მყოფი ტრაპიზონის სეიდ სულეიმან-ფაშა; მას შიში ჰქონდა, ფოთზე იერიში არ მიეტანა რუსეთის ჯარებს. ფოთში მასთან ერთად იმყოფებოდა ოსმალეთის დახმარებით იმერეთის სამეფო ტახტის მაძიებელი სოლომონ II. რომლის გამოყენებასაც კვლავ ფიქრობდა ოსმალეთის მთავრობა დასავლეთ საქართველოში თავისი ბატონობის აღდგენისათვის ბრძოლაში. ტრაპიზონის სეიდ სულეიმან-ფაშა იმდენად დაშფრთხალა რუსეთის ჯარების ფოთზე მოსალოდნელი თავდასხმით, რომ, რტიშჩევის ცნობით, «**сам сожег весь Потийский форштат и собственный дом; а беглого царя Соломона, находящегося у него под покровительством, взял в крепость, в коей и сам заперся,**

[1] ЦГИАГ. ф. 2, оп. 1, д. 425, л. 1, и об, 9др, იქვე, ფ. 39—40.

причем бывший царь Соломон может быть от движения страха, или от крайне нездорового воздуха, всегда бывающего в Поти, впал в весьма опасную горячку»[1]. ფოთის ფაშა საშუალებას არ აძლევდა რუსეთის გემებს შემოეტანათ გურიაში მყოფი ქართველებისთვის საზღვაო გზით სურსათი; მან ორჯერ გააბრუნა სურსათით დატვირთული რუსეთის გემი[2].

ოსმალეთი დასავლეთ საქართველოს მიმართ პრეტენზიებზე ხელს არ იღებდა და უცდიდა კრიტიკულ მომენტს, რომ აღენიშნულ ადგილები დაეკავებინა. იგი ხშირად აწყობდა დასავლეთ საქართველოს ცალკეულ პროვინციებზე თავდასხმებსა და ძარცვავდა მათ.

1814 წლის 17 ნოემბერს ოსმალებმა თავდასხმა მოახდინეს ოზურგეთზე, უმოწყალოდ დახოცეს ქალები და ბავშვები, გაძარცვეს ოჯახები და ცდილობდნენ ნადავლით გაბრუნებას, მაგრამ მათ მოლოდინი არ გაუმართლდათ: მტერი მალე განადგურებულ იქნა. ამის შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა მამია გურიელი გენ. სიმონოვიჩისადმი გაგზავნილ წერილში, სადაც ვკითხულობთ: «სამოდ ჩემდა ვრაცხ რათა ვაუწყო თქუენს აღმატებულებას ამბავი საამონი, რომელ სულიმან ფაშამ ხაზინადარ ოღლიმ ქობულეთის ბეგს მისცა ოცდაათი ქესა ოსმალეთის თეთრი, რათამცა მით მოინადიროს ხალხნი და ეშტეროს ჩვენს სამფლობელოს.

ჟამსა ამას იზ ნოემბრის რიცხვსა ქობულეთის ბეგის შვილი ხუთასის კაცით ქვეითით და ცხენოსნით ღამით მოუხდა ოზურგეთს. ჩვენის სასახლის მახლობლად დაჰკლეს დედაკაცნი და ბოვშები და რამდენიმე ტყვედ წარიყვანეს. ესე ამბავი ხალხთა ჩვენთა მსწრაფლ უურადიღეს და არ დამზოგველმან სიცოცხლისა მათისაგან ფეხლავ მიეწივნენ და დერიენ თოფებით და სატევრებით. ჩვენი ტყვები მსწრაფლ განაგდეს — ოსმალოს ერთი კარგი აღა მოჰკლეს და ასხვანიცა სამოცამდის დახოცეს, ორმოცამდის

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп. I, д. 425, л. I и об. შდრ. იქვე, ფ. 39—40.
[2] იქვე, ფ. 41.

ტყვედ დაიჭირეს ოსმალნი"[1]. (ხაზი ჩვენია, ნ. ქ.). რუსეთის ჯარები ქართველებთან ერთად საიმედოდ იცავდნენ საქართველოს მიწა-წყალს. რუსეთ-ოსმალეთის ომმა ობიექტურად უაღრესად პროგრესული როლი ითამაშა ქართველი ხალხის ისტორიაში. ოსმალთა ბატონობისაგან საბოლოოდ განთავისუფლდა იმერეთი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი.

ოსმალო და ირანელი დამპყრობლები ცდილობდნენ გამოეყენებინათ ტახტისათვის მებრძოლი სოლომონ II საქართველოს დაუფლებისათვის ბრძოლაში, მაგრამ რუსეთის ჯარების სიძლიერემ და მისდამი ქართველთა მხარდაჭერამ საბოლოოდ გადაწყვიტა საქართველოს ბედი. სოლომონ II 1815 წ. 7 იანვარს ტრაპიზონში გარდაიცვალა. ოსმალეთის ყველა ღონისძიება, მიმართული დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის ბატონობის აღდგენისაკენ, განწირული იყო ჩასაფუშავად.

ზემოთქმულიდან ნათელი ხდება, რომ ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში რუსეთისა და კავკასიის ხალხთა პოლიტიკური ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა, რადგან რუსეთის მიერ წარმოებული ომები ოსმალეთთან და ირანთან ობიექტურად პროგრესულ როლს თამაშობდა კავკასიის ხალხთა განთავისუფლების საქმეში. თავის მხრივ, კავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა აძლიერებდა ერთიან ფრონტს ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ, ქმნიდა რუსეთისათვის ხელსაყრელ პირობებს ეფექტური სამხედრო ოპერაციების განსახორციელებლად და აადვილებდა საერთო მტრის დამარცხების საქმეს. ეს იყო მტკიცე საფუძველი მათი დაახლოებისა და მათ შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა. რუსეთის მიერ ირანსა და ოსმალეთზე მოპოვებული გამარჯვებანი ერთდროულად აგრეთვე ნიშნავდა მათს ზურგს უკან მდგომი ინგლისისა და საფრანგეთის პოლი-

[1] ЦГИАГ, ф. 2, оп 1, д. 232, л. 46.

ტიკურ და სამხედრო მარცხს ახლო აღმოსავლეთში. ინგლის-საფრანგეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკის დამარცხებით ძირითადად საფუძველი ეცლებოდა ამიერკავკასიის ხალხებზე ირანისა და ოსმალეთის გამანადგურებელ ბატონობას, ამიერიდან ქართველი ხალხის განთავისუფლებისა და მისი მიწა-წყლის გაერთიანების პროცესი შედარებით სწრაფად წარიმართა.

1806—1812 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომი, მიუხედავად ორთავე მხრიდან დამპყრობლური ხასიათისა, საქართველოსათვის ობიექტურად განმათავისუფლებლის როლს თამაშობდა. მართალია, რუსეთის ცარიზმი თავის გავლენის სფეროთა გაფართოებისათვის ბრძოლას ამიერკავკასიაში ირანელ და ოსმალო დამპყრობთა მიერ მიტაცებულ ტერიტორიებს მშობლიურ ქვეყნისათვის დაბრუნების ნიღაბქვეშ ატარებდა, მაგრამ რუსეთის ცარიზმის მისწრაფება ოსმალეთის მიერ მიტაცებული საქართველოს ტერიტორიების დაპყრობისაკენ, ობიექტურად ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველთა ინტერესებს ემთხვეოდა. საქართველოს ტერიტორიის გაერთიანებისა და ოსმალთა ბატონობისაგან ქართველთა განთავისუფლების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს აგრეთვე რუსეთ-ოსმალეთის მომდევნო ომებმაც (1828—1829 წწ. და 1877—1878 წწ.).

1829 წ. 2 (14) სექტემბერს დადებულმა ადრიანოპოლის სავაჭრო ხელშეკრულებამ, სხვა მნიშვნელოვან შედეგებთან ერთად, რუსეთს ამიერკავკასიაში დიდი წარმატებანი მოუპოვა, იგი გაბატონდა შავი ზღვის ამიერკავკასიის სანაპიროებზე, საბოლოოდ დამკვიდრდა ანაპასა და ფოთში, შემოერთებული იქნა ახალციხე, ახალქალაქი და ახალციხის საფაშოს მნიშვნელოვანი ნაწილი. კავკასიაში რუსეთის შემოსვლის ოცდაათი წლის მანძილზე ძირითადად დამთავრდა საქართველოს ტერიტორიული გაერთიანება. დიდი მსხვერპლის ფასად ბოლო მოეღო საქართველოს მტრულ გარემოცვას და ქვეყანა მშვიდობიანი განვითარების ფერხულში ჩაება. აღიკვეთა ოსმალეთის ექსპანსია საქართველოში, შავი ზღვის ნაკადულებიდან ოსმალეთის ბატონობის ამოკვეთით ლახვარი ჩაეცა ქვეყნის ამომგდებ ტყვეთა გატაცებას და ადამიანებით ვაჭრობას.

XIX საუკუნის შუაწლებში კვლავ გამწვავდა „აღმოსავლეთის კრიზისი“. ინგლისისა და საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზია ცდი-

ლობდა მბრძანებლურად დამკვიდრებულიყო აღმოსავლეთის ბაზრებში. ოსმალეთის რეაქციული წრეები კი არ ურიგდებოდნენ ყირიმისა და კავკასიის რუსეთის ხელში გადასვლას და მათს დაპყრობაზე ოცნებობდნენ. ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატია ხელს უწყობდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის კონფლიქტის გაღრმავებას. ყირიმის ომის წლებში (1853—1856 წწ.) მარტო რუსეთს უბედებოდა ბრძოლა ინგლის-საფრანგეთ-ოსმალეთის კოალიციის წინააღმდეგ. რუსეთის ჯარებს ამიერკავკასიაში მხარში ამოუდგნენ ქართველები, აზერბაიჯანელები და სომხები. რუსეთის მიერ ამიერკავკასიის შენარჩუნების საქმეში ადგილობრივი ხალხების მხარდაჭერას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ომის დროს რუსეთმა თავი დააღწია საქართველოს დაკარგვის საფრთხეს და თავისი პოზიციები შეინარჩუნა ამიერკავკასიაში. ინგლის-საფრანგეთის ყველა ცდა საქართველოს დაპყრობისა, მარცხით დამთავრდა.

საკმაოდ დიდი მნიშვნელობისა იყო საქართველოსათვის 1877—1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგებიც. ბერლინის კონგრესმა, რომელმაც გადასინჯა სან-სტეფანოს ხელშეკრულება და შეზღუდა რუსეთის მიერ მოპოვებული წარმატებანი, რუსეთს ამიერკავკასიაში მაინც შეუნარჩუნა უპირატესი მდგომარეობა. შემოერთებულ იქნა ოსმალეთის მიერ ადრე მიტაცებული სამხრეთ საქართველოს ნაწილი აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი—ოლთისი, საბოლოოდ გათავისუფლდა ოსმალეთის ძალმომრეობისაგან სამასი წლის მანძილზე მრავალტანჯული ქართველობა. რუსეთ-ოსმალეთის ზემოაღნიშნულ ომსა და მის შედეგებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. მან ხელი შეუწყო ქართველი ერის კონსოლიდაციას და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. გარდა ამისა, მან დააჩქარა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარება. „რუსეთის კაპიტალიზმი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს"[1].

საქართველოს ეკონომიურმა კონსოლიდაციამ შექმნა ყველა პირობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ერის ჩამოყალიბებისათვის. ქართველი ხალხი ეზიარა დიდი რუსი ხალხის მოწინავე კულტურას. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „არის ორი ნაციო-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 3, გვ. 704.

ნალური კულტურა თვითეულ ნაციონალურ კულტურაში. არის ველიკორუსული კულტურა პურიშკევიჩების, გუჩკოვების და სტრუვეებისა, — მაგრამ არის აგრეთვე ველიკორუსული კულტურა, რომლის დამახასიათებელია ჩერნიშევსკისა და პლეხანოვის საჭელები"[1].

ქართველი ინტელიგენცია სწრაფად პოულობდა საერთო ენას გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის და პლეხანოვის რუსეთთან. დიდი კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინეს რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა ქართველი ერის მოწინავე ინტელიგენციის ჩამოყალიბების საქმეზე. ი. ჭავჭავაძე ამის შესახებ წერდა:

„...რუსულმა სკოლამ-მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებას და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ... თვითეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თვითეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია"[2].

რუსეთის საქართველოში დამკვიდრების პროგრესულად აღიარებას არაფერი აქვს საერთო რუსეთის ცარიზმის ანტიხალხური პოლიტიკის დაცვასთან. ცნობილია, რომ მეფის თვითმპყრობელობა რუსი, უკრაინელი, ქართველი და რუსეთის იმპერიაში შემავალ სხვა ხალხების უბოროტესი მტერი იყო. ეყრდნობოდა რა ადგილობრივ მემამულეთა და ბურჟუაზიის რეაქციულ ზედაფენას, ცარიზმი ახორციელებდა არარუს ხალხთა ეროვნულ-კოლონიალური ჩაგვრის პოლიტიკას. რუსეთის ცარიზმმა საქართველოში მოსპო ადგილობრივი თვითმმართველობა. მთელი სისასტიკით აღშობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ამუხრუჭებდა ქართველი ერის კულტურულ განვითარებას. საქართველოს მშრომელები ორმაგი ჩაგვრის უღელქვეშ აღმოჩნდნენ; ყოველივე ამას შეუძლებელი იყო არ გამოეწვია სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. რუსე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. XX გვ. 21.

[2] ი. ჭავჭავაძე, ტ. VIII, გვ. 332. თბ. 1957 წ.

თის ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში წამყვანი როლი შეასრულა დიდმა რუსმა ხალხმა, რომელმაც პირველმა აღმართა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა. რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის ძმური დახმარებით ქართველმა ხალხმა საბოლოოდ მიაღწია სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან სრულ განთავისუფლებას.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი . . 3

თ ა ვ ი I. წინააღმდეგობანი ინგლისს, საფრანგეთსა და რუსეთს შორის ოსმალეთში და საფრანგეთის დიპლომატიის როლი რუსეთ-ოსმალეთის ომის მომზადებაში (1801—1806 წწ.) 8

თ ა ვ ი II. რუსეთისა და თურქეთ-ირანის წინააღმდეგობანი საქართველოში გაბატონებისათვის XIX ს. დასაწყისში 57

თ ა ვ ი III. რუსეთ-ოსმალეთის ომის დასაწყისი და მისი მსვლელობა კავკასიის ფრონტზე. სლაბოდეას დროებითი საზავო ხელშეკრულების დადება 140

თ ა ვ ი IV. დიპლომატიური ბრძოლა სლაბოდეას დროებითი ზავის დადების შემდეგ საომარი მოქმედების განახლებამდე 190

თ ა ვ ი V. საომარი მოქმედების განახლება რუსეთსა და ოსმალეთს შორის დროებითი ზავის შემდეგ 231

თ ა ვ ი VI. ერევნის 1808 წლის ოპერაცია. ინგლისსა და საფრანგეთს შორის დიპლომატიური ბრძოლის შედეგები ირანში 1807—1809 წწ. ირან-რუსეთის საზავო მოლაპარაკების ჩაფუშვა და ირან-ოსმალეთის სამხედრო კავშირის გაფორმება 273

თ ა ვ ი VII. იმერეთის მეფის სოლომონ II-ის დაპატიმრება. იმერეთის აჯანყება და ირან-ოსმალეთის გაერთიანებული ჯარების დამარცხება ახალქალაქთან (1810 წ.). სუჯუკ-კალეს აღება 317

თ ა ვ ი VIII. ირან-ოსმალეთის მიერ კომბინირებული მეორე ლაშქრობის მოწყობის ცდა და მისი ჩაფუშვა 1811 წელს. ბრძოლა ახალქალაქისათვის (1811—1812 წწ. ზამთარი) 365

თ ა ვ ი IX. რუსეთის სამხედრო და დიპლომატიური ბრძოლა ზავისათვის. ბუქარესტის ზავი და საქართველო 397

თ ა ვ ი X. ბუქარესტის ზავიდან გიულისტანის ზავამდე. გლეხთა აჯანყება კახეთში. ირანელების დამარცხება ასლანდუზესთან და ლენქორანთან. რუსეთის პრეტენზიები დასავლეთ საქართველოს მიმართ. გიულისტანის ზავი და მისი შედეგები 425

Кортуа Николай Мелитонович

ГРУЗИЯ В РУССКО-ТУРЕЦКОЙ ВОЙНЕ 1806—1812 гг.

(на грузинском языке)

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО «ЦОДНА»

Тбилиси—1964

რედაქტორი პროფ. ირ. ანთელავა
გამომც. რედაქტორი ჯ. ჩიქოვანი
ტექრედაქტორი მ. გოგინავა
კორექტორი გ. ცეცხლაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/II-64 წ. ანაწყობის ზომა 6×10. ქაღალდის ზომა 60×90. ნაბეჭდი თაბახი 29,25. საავტორო თაბახი. 25.19. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 25,61. უე 03615. შეკვ. № 1306. ტირაჟი 1000 ფასი 73 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5

რი ჭარს გაემართა. ალექსანდრე ბატონიშვილი იძულებული შეიქმნა გაქცეულიყო. 29 მარტს ჭარის მოსახლეობა დამორჩილდა რუსეთის არმიას. ალექსანდრე ბატონიშვილის 10-ათასიანი არმიის წინააღმდეგ რუს ჯარისკაცებთან ერთად ენერგიულად იბრძოდნენ ქართველებიც. ქართველები დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის გამარჯვებას საქართველოში ირანელთა ბატონობის აღდგენა მოჰყვებოდა; ამიტომ ქართველები რუსებთან ერთად გმირულად ეკვეთნენ ირანელებსა და მათ მიერ მიმხრობილ ჭარისა და ბელაქნის ლეკთა რაზმებს, რომლებიც საქართველოზე თავდასხმისათვის იყვნენ გამზადებულნი. ბელაქანთან მოპოვებული გამარჯვებისა და რუსთა მხარეზე ქართველთა მონაწილეობის შესახებ გენ. ციციანოვი 1803 წ. 16 მარტს იმპერატორ ალექსანდრე I-ს სწერდა: ალექსანდრე ბატონიშვილის ჯარი «**поражаемо сильно было донскими казаками с грузинскою конницею *до самого селения, а рассыпано в разныя стороны, к чему наш авангард с стрелками и грузинская пехота скоро подоспели и неприятель совершенно выбит из Белакана***»[1]. მალე ჭარ-ბელაქნის მცხოვრებლებმა თბილისს გამოგზავნეს დეპუტაცია და მიიღეს პირობები რუსეთთან ჭარ-ბელაქნის შეერთების შესახებ. ისინი ვალდებულნი იყვნენ ყოველწლიურად გადაეხადნათ ხარკის სახით 220 ფუთი აბრეშუმი, ნიშნად ერთგულებისა მძევლები მიეცათ და ჩაეყენებინათ რუსეთის ჯარი თავიანთ ტერიტორიაზე. გარდა ზემოაღნიშნულისა საგანგებო ვალდებულება იკისრეს ჭარელებმა: «**Не принимать и не укрывать у себя ни царевича Александра, ни его сообщников, ни дагестанских горцев**»[2]. ჭარ-ბელაქანში შინაგანი მმართველობის სისტემა უცვლელი რჩებოდა.

1803 წ. დეკემბერში ჭარ-ბელაქანს, როგორც რუსეთის მიერ შემოერთებულ პროვინციას, თავს დაესხა ყაზი ყუმუხის სურხაი ხანი 6-ათასიანი ჯარით[3], ხოლო მათ დასახმარებლად მოვიდნენ ჩ. მოვიდა ლეკთა 3-ათასიანი ცხენოსანი რაზმი, რომელიც მოსყიდული იყო ირანელების მიერ[4]; ადგილობრივი მოსახლეობის ფეოდალ-

[1] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6166, ч. I, л. 38 об.

[2] იქვე, ფ. 40.

[3] ЦГВИА, ф. I (Ленинградский), д. 589; л. 8, ციციანოვის 1804 წ. 1 თებერვლის წერილი იმპერატორს.

[4] იქვე, ფ. 9.

не похода на Гянджу из шамшадильцев и казахцев».[1] აზერბაიჯანის მთელი მშრომელი მოსახლეობა განჯის ჯევათ-ხანს ირანის შაჰის აგენტად თვლიდა.

განჯის ციხეში პირველნი შეიჭრნენ გენერალ-მაიორ პორტნიაგინის ჯარისკაცები, დაეუფლნენ ციხის სამ კოშკს და ხელთ იგდეს ლეკთა მცირერიცხოვანი რაზმი[2]. ციხე-სიმაგრის აღებისას ჯევათ-ხანი და მისი ერთი ვაჟი მოკლეს, ხოლო ჯევათის ორმა შვილმა გაქცევა მოასწრო. განჯის აღებაში აქტიური მონაწილეობა მიუღია ქართველთა მილიციას. ქართველი მებრძოლები გენ. ციციანოვს დახმარებლად წარუდგენია[3].

ჯევათ-ხანის მრავალრიცხოვან მეციხოვნეთაგან ნაწილი ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო დიდი ნაწილი ტყვედ ჩავარდა. გენ. ციციანოვის ცნობით მტრის დანაკარგი მოკლულთა სახით შეადგენდა 1750 კაცს, ხოლო ტყვეთა სახით 17,724[4].

ნადავლის სახით რუსებმა ხელთ იგდეს 12 ქვემეხი, 6 ზამბურაკი, 8 დროშა და საომარი იარაღი[5]. იმპერატორის პატივსაცემად განჯას დედოფლის — ელისაბედის ქალაქი — ელიზავეტპოლი ეწოდა.

განჯის დაცემას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის ჯარების მიერ აზერბაიჯანის სხვა სახანოების ირანელთა ბატონობისაგან განთავისუფლების საქმეში. განჯისადმი ვასალურ მდგომარეობაში მყოფი შირინ-ბეგი იძულებული გახდა რუსეთის ქვეშევრდომობა ეცნო. მან ვალდებულება იკისრა ყოველწლიურად გადაეხადა რუსეთისათვის ხარკის სახით 1000 ჩერვონეცი[6].

ირანის შაჰი შეშფოთებული იყო ამიერკავკასიაში რუსეთის პოზიციების გამაგრებით. 1801 წ. 4 იანვარს კაპიტან ჯონ მალკოლმის მიერ ირანთან დადებული ხელშეკრულება ფორმალურად თითქოს მიმართული იყო მარტო საფრანგეთის მთავრობისა და ავღანისტანის ემირის წინააღმდეგ, მაგრამ სინამდვილეში არა ნაკლებად იყო იგი მიმართული რუსეთის წინააღმდეგაც; ირანი მალე რუსეთთან ომის სამზადისს შეუდგა. ინგლისის სამსახურში მყოფი ფრანგი

---

[1] История Азербайджана, т 2, стр 4, Баку, 1960 г.
[2] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4258, ч. 1, л. 21.
[3] იქვე, ფ. 22.
[4] იქვე. ფ. 23.
[5] იქვე.
[6] История Азербайджана, стр. 4.